

00



მნათობი



9-10

2000



მნათობი

წელიწადი 76-ე

№ 9-10

2000 წელი

საქართველოს მშვიდობა ქაშვირის ორგანო

შინაარსი

ამოხიზა, პრუზა, დრამატურგია

ჭურაზ კუხიანიძე - ლექსები	3
ნანა ახვიაია - ორი მოთხრობა	5
ტაბუ მებურიშვილი - ლექსები	10
გორა მანველიძე - მოკლე რომანი	12
გიორგი გიგაური - ლექსები	36
თენგიზ სვანიძე - ლექსები	38
აქსანტი კვიციანი - შავინდობიდან გათენებამდე. პიესა	40
მიხეილ და მონათეი - ესეები. ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჭიძე-ხოფერიამ	47

კრიტიკა, კულტურისტიკა

ინოე ტარციძე - ფიქრის კაცის ეროვნული საზრუნავი	59
კახა ტოლიაშვილი - რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში XIX ს. მიწურულს და XX ს. დასაწყისში	64
გიორგი შაყულაშვილი - ჩვენი სულიერი ცხოვრების ამოგალიები. ნაწილი პირველი	69
ინოე კუჭავა - ვაჟა-ფშაველას საყვანეილო პრუზა	86
თამარ ფხაკაძე - ფიზიკური ლიტერატურა, ფიზიკური ლიტერატურა ..	87
ზაზა ასლანიძე - ტარიელი სივრცე - სასჯელი ადამიანისათვის?!	90

თარიღები

სიმონ ჯანაშია - 100

ორი დოკუმენტი სახელმწიფო არქივიდან. წინასიტყვაობა რუსუდან ჯანაშიასი 92

ოთარ ღორთქიფანიძე - 70

თეიმურაზ ჩიქოვანი, რამინ რამიშვილი, ალექსანდრა რამიშვილი -
ღვანულმოსილი მაცნეიანი

შინაარსი
(ცავრძელება)



ხალკვაება

თამაზ შილაძე - ლენონის სიკვდილი	103
ეთარ შავგულიძე - თანამედროვე სოციალ-კულტურულ სფეროში ახალ შეატარულ მიმართებათა ზოგიერთი ასპექტი	106
დავით ანდრიაძე - ნოსტალგიური ტოპო-გრაფი ანუ თვეო მამაპარინის აღმართი, რეგულიც ვარ იმცა ვაქად	111

თვალსაზრისი

ლარი აღიმონაძე - ფრთხილად, მაღინდარა, ახლმა შამი!	115
---	-----

მეცნიერება

თამარ შარაბიძე - სწორფროგისა და ნაწლავის მისტარია	119
დარევიშა გოგოლაძე - ლენონი მრეველის ქართული ხალხის ეთნოგენეტიკური და გლოტოლოგიური კონცეფცია	127
ნათია მიქელთაძე - მუცა საუკუნის ლიტერატურული რეპრეზენტაციის ფსიქო-ფილოსოფიური წინამძღვრები	144
კობა წერეთელი - ქართული სასულიერო პოეზიის მოტივები ნიჟოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში	148

გაფოსათხოვარი

რანდული გუნების ქატი (ოთარ მამფორია)	51
--	----

მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე

სარედაქციო საგომ:
მარიაშ აბიაშვილი
ანდრო გუაჩიძე
აკაკი მიწინაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორღელი (პ/მგ. მღვიანი)

პოეზია, პროზა, დრამატურგია

ეროვნული

ბიბლიოთეკა

ზურაბ კახიანიძე

ფურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს ცნობილ ქართველ პოეტს ზურაბ კახიანიძეს 70 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით ნარმატებებს.

● ჩამოუშვებს როცა ქვიქვირს
კაცი, არაფერი გვიყვირს.

რომ დაიწყებს ქალი კვირს —
ესეც უკვე აღარ გვიყვირს.

თავს ადგამენ დაუნის გვირგვინს
უნიჭოს და აღარ გვიყვირს.

● ვაზო, შენს მტვერს,
ღილით შაშვი რომ კენკავს ხარბად,

● არა! სიყვდილს არა ჰკავს
ოცნებების ჩარაგვა.
მათ რომ თავზე ესხმიან —
სიყვდილზე უარესია.
როცა ცელი მოცელავს

● აპრილია, დახრილია
ზამთრის მძიმე გზების ფარდა...
გმაფხულის მარხილია
თეთრი ყვავილების კალთა.

წლები ისე გაიფრინდა,
ქამანდა ვერ მოვდე დარდებს,
ღმერთო, იქნებ აპრილიდან
მიმიყვანო სექტემბრამდე.

● როს ატმის ტოტზე ჩასთვლელს
გმაფხულს და როს მისწვდება კაცთ
საუბარი —

ტყვი ძერება ქლესას ღიქნით,
ესეც უკვე აღარ გვიყვირს.

ჰკვიანს ჩაგრავს ხშირად ბრიყვი,
ვაი, ესეც აღარ გვიყვირს.

მიყვირს
და გულს სვედა კირნის,
არაფერი რომ არ გვიყვირს.

მიტომაც ვალობს
იგი ღვთიურ პანგებით, ალბათ.

შენს ხანუკვარ ოცნებას,
როს ოცნებას გესლიან
გაწერონილ ისარს ესერიან —
სიყვდილზე უარესია!
სიყვდილზე უარესია!

სექტემბრამდე თუ მივალწვე,
შეეძლება მთავრე შემოდგომას —
ჩვენ ძმები ვართ, ძმურად გავძლებთ
მე და ჩემი შემოდგომა.

გადეურჩები მერე ციდან
მხრებზე უხვად დაყრილ დარდებს
და როგორმე თავს გაეიტან
სექტემბრიდან აპრილამდე.

ნამგალა მთვარის კავით გადახნულ
ცაში ვარსკვლავებს თვსავს უფალი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

●
ნეტავ კაცის ვულს
რა ღრღნის, რა ჭია —
ფუჭ დიდების თუ
სულის ენებულის,
როცა ვცახცახებთ, როგორც ბაჭია,
მგლის ყმუილისგან
შემინებული.

საფეხურებზე
მერყევე კიბეთა
რად ვემგვანებით
ზოგჯერ გორილას,
ან სიყვარული

ვინ დაგვიბედა,
ან სიძულელი
სად გაგონილა.

ამქვეყნად ასე
სანამ ვემინავდეთ,
მღვრიე ღელეში
სანამ ეცურავდეთ,
სიყვარულიდან
სიძულელამდე,
სიძულელიდან
სიყვარულამდე.

●
ღრო დადგა მცაცრო,
ღრო დადგა მცაცრო,
აეი ძაღლივით ყველგან მყუფარე...
ძვრფას საფლაკებს ათოვს და აწვიშს,
ღლემდე მათ მკერდზე ვერ გადავფარე.

ვერც ჰეგლი დაედგი შესაფერისი,
ვერც აგიყვავეთ მიწა სამეფო,

ძილი ნებისა, მკვდრებო, სხვებისთვის,
ჩემთვის ძვირფასნი და უკედავებო.

საყვედურს გკადრებთ კრძალვით და
თრთოლვით,
ღღეს რომ თოვლით ხართ გადაბარდნილი —
ერთ ღროს თქვენს გვერდით წამოსაწოლი,
არ შემინახეთ ერთი ადგილი

ქიხტრამას ჩიხილი

ღმერთო,
ნუ მიწყენ მწარე საჩივლებს:
ყვაუც კი ბუღეს ძაღლა იყეთებს —

ამქვეყნად ჩიტად რომ გამაჩინე,
ღობემშვრალობა რად
ღამობედე.

●
ცის ცრემლი ისე სპეტაკია,
ისე ღამაში,
ხეატით დამაშრულ მიწას
როცა დაეკურება,
ნაშ ყვაილებად ამოდის ცრემლი.

ისე მწარეა კაცის ცრემლი,
ისე მწარეა,

როს ღაპალუპით
დაფურჭვევა მოქარველ მიწას,
ყოველნაირი ყვაილი ჭკნება.

იტირე, ცაო,
კაცის ტკივილებს
შენზე ერთგული მომტირალი ვინ
გააჩნია.

საშუალო ლექსი

იმ უცხო ქალაქში ორივენი შემთხვევით მოვხვდით: მე საქმიანი მიზნების თანმიმდევრობამ ჩამიყვანა იქ, ის ახლობლებთან იყო ჩასული — ყოველმხრივი დაძაბულობით აფორიაქებული მშობლიურ გარემოს გამოირიდებოდა და განმარტოებას ეძებდა.

ჩვენ შორის მაშინვე დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. ის საოცრად მოკრძალებული, ჩუმი და მგრძნობიარე ქალი აღმოჩნდა და იმთავითვე თბილად განვუწყვე მისდამი.

ლამის ყოველდღე ვხვდებოდი მისსავე ახლობლებთან, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებდა. თანდათან შევატყვე, რომ ჩემს მიმართ ძალზე ფაქიზი ქალური განცდები გაუჩნდა და გაორებული ფიქრი აწვალებდა — ჩვენი ურთიერთობა მეგობრული გრძნობებით დაიწყო და ამ გრძნობების ქალურ განცდებში გადაიზარდა არაფრით არ შეეფერებოდა მისადმი ჩემს დამოკიდებულებას.

მაინც გამომიტყდა — ეს იყო ისეთი მორიდებული და გაუბედავი აღსარება, რომ სიბრწულელის განცდა დამეუფლა ამ უთვალავი სატკივართ დაქანცული ქალის მიმართ. მაგრამ, რაკი სიბრალული უმთავრესად შეურაცხყოფელ გრძნობად აღიქმება, ვცდილობდი, რომ მას ეს არ შეეჩინია. თუმცა, ქალს უთქმელადაც იმდენი რამის მიხედვრის უნარი ჰქონდა, რომ, არა მგონია, ჩემი შემწყნარებლობის მთავარი მიზეზი ვერ ეგრძნო. ვხვდებოდი, რომ ჩემზე ფიქრში დამეებს ათევედა და ტირილით იოხებდა გულს...

თავდაპირველად რამდენიმე ლექსის ფაქიზად აკიძული ხელნაწერი მარჯუა. სხვათა შორის, ვამიკვირდა, რომ ყოველდღიური მოკრძალებული ქვეყების მიუხედავად, ქალის ლექსებს სითამამეს ვერ დაუნუნებდი — გამოკვეთილად, ზუსტად და ვნების მთელი სიმძაფრით გადმოსცემდა საკუთარ განცდებს და ჩემდამი დამოკიდებულებას...

იმ დღეს სადარბაზოში შემომეგება — ახლობლების ხალხმრავალ ბინაში ლირიკული განმარტოების საშუალება არ

იყო. დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოემართა და დამწაფვე ბავშვის მორიდებით მომესალმა.

მე, ჩვეულებისამებრ, თამამად გავეხუმრე, ის მომიახლოვდა და ჩურჩულით მითხრა: — რალაცას მოგცემ ნასაკითხად, ოღონდ არ გამოიბრაზდე.

მე გაცეცხულმა შევხედე.

მან თავი დაბარა და უფრო ხმადაბლა განავრძო:

— რომ ნაიკითხავ, დახიე, სხვამ არავინ ნახოს.

ისე ახლოს იდგა, რომ მისი არეული გულისცემა მესმოდა. ცამეტი წლის გოგოსავით მორცხვად დაეხარა თავი და ჩემი ქურთუკის ლიკილოს აწვალებდა.

— მომეცი, კაცო, — ამის თქმალა შეუძელი საკმაოდ შეცბუნებულმა და გამოწვდილი ხელნაწერი გამოეკრათი.

სადარბაზოდანვე გაებრუნდი და განმარტოებულმა ნაიკითხე...

რამდენიმე დღე თავს მარიდებდა — როგორც ჩანს, ნინასნარეც გრძნობდა ჩემი პასუხის უღმობელობას და აჭიანურებდა მის მოსმენას. მე კი ჩემი მამაკაცური ღირსების საქმედ მიმაჩნდა, რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ მეთქვა პასუხი.

საჭირო შემთხვევა მალე ჩამივარდა ხელთ — ნაცნობ ოჯახში ერთდროულად მოვხვდით სტუმრად. დავიმარტოხელე და შორიდან დავიწყე:

— ამ უცხო ქალაქში ისეთ მშობლიურ მზრუნველობას მიწევ, აქედან რომ ნახვალ, რა მემეღლება?

ნამით შემომხედა.

მის უკვე მოწყლიანებულ თვალებში ვეღერება იკითხებოდა: „ოღონდ მომეცი ასეთი უსაზღვრო ბედნიერების უფლება და, სულაც, მენს სამსახურში დავიღვივო“.

ისეც სიბრალულის გრძნობა მომეძალა და შევკოვნი — მისი ცრემლების დანახვა ნამდვილად არ მინდოდა.

ჩემდა გასაკვირად, ქალმა უცრემლოდ გადაატარა პირველი ტალა — ალბათ, ჯერაც არ გაქრობოდა სათუო იმედი.

მე ისევე ფრთხილად განვაგრძე:

– შენნაირი ქალი ამდენ ყურადღებას რომ დაუთმოს მამაკაცს, არაა ეგ უბრალო ამბავი... მე ყოველთვის ვეძებდი ასეთ მეგობარს...

– Неужели? – ნერვიულად ჩაიციინა ქალმა და უფრო დაფინებით ჩააცქერდა სამზარეულო რეცეპტების წიგნს, რომელსაც მთელი საუბრის მანძილზე ნაღმა-უკულმა ატრიალებდა და ამით უნებლიედ ავლენდა შინაგან მღელვარებას.

ნერვიულ ჩაყინებაზე შევატყვევ, რომ საბოლოოდ გაერკვა ჩემს დამოკიდებულებაში და დასკვნითი ფრაზა დავაჩქარე:

– ასე რომ, ბოლომდე მეგობრებად უნდა დავრჩეთ.

– ვიცი, – თავაუღებლად მიპასუხა და ტურები აუთრთოლდა, მაგრამ ყელს მობჯენილი ცრემლები ამჯერადაც გააბრუნა უკან.

საკმაო ხანს ვისხედით ჩუმიად. მერე ის ადგა, ქურთუკი ჩაიცვა, მომიახლოვდა, ლოყაზე მაკოცა და ჩუმიად დამემშვიდობა:

– კარგი, აბა... ვმადლობ...

ფანჯრიდან ვხედავდი: გაჩერებაზე იდგა და ტიროდა...

წლების მერე უფრო მტკივნეული გახდა ამის გახსენება. ასაკს მიტანებული უკვე სხვანაირად ხედავ მოვლენებს და კიდევაც აზუსტებ მათ მიმართ შენს დამოკიდებულებას.

ყოველივე ზემოთქმული მაშინ იყო ერთი მშვენიერი ნაში, რომელშიც მე ნაკლები წვლილი მიმიძლოდა და უმთავრესად, ქალის მეოცნებე ბუნებას სურდა ხანგრძლივ სინამდვილედ ექცია...

– მე ვიცი, რომ დავაშავე, მაგრამ ეგრე გაბრაზებული ნუ მიყურებ, თორემ მართლა მოვკვდები, – რამდენიმე დღის მერე ისევ იმავე სადარბაზოში დამხვდა და უფრო დაღონებული ხმით გამომელაპარაკა.

– არა, არაფერი არ დაგიშავებია, – მშვიდად შევხედე მე.

– მართლა?

– მართლა.

– ისეთი მკაცრი სახით დადიოდი, რომ მე ვიფიქრე, გავაბრაზე და მეგობრადაც დავკარგეთო.

– მაგას ნუ იფიქრებ, თორემ ახლავე დავიჭერ დისტანციას.

– სწორედ ეგ მინდა.

– რას ამბობ, მე და შენ თბუთი ეტიოცი წლის მერე უნდა გეყრებო?

– მთელი სიცოცხლე გეყრებო? რა გულში მართლა ჩამწყდა რაღაც.

– როგორ ფიქრობ, თბუთმეტიოცი წლის მეტი ვერ უნდა ვიცოცხლოთ მე და შენ? – გავუღიმე და მის ათრთოლებულ ტურებზე დამრჩა მხერა.

– რა ვიცი, – სევდიანად მიპასუხა და განზე გაიხედა.

– ეგ მხოლოდ გამოსაცდელი ვადაა.

– მერე ისევ გასცემ ლიმიტებს?

– აბა, რა!

რამდენიმე წლის მერე ისევ საკუთარ ქვეყანაში გადამოვბარვდი. ოჯახური საზრუნავებითა და მამაკაცური საქმეებით დაკავებულს იშვიათად მეძლეოდა საშუალება, რამე გამეგო ქალის შესახებ – უმთავრესად თვითონვე შემახსენებდა ხოლმე თავს, ისევ მორიდებითა და დამნაშავე ბავშვით. ერთხელ ლიტერატურული გაზეთი გამომიგზავნა – სწორედ ის ცამეტი ლექსი დაებეჭდა, პირველად რომ მიძღვნა იმ უცხო ქალაქში. გაზეთს მოკლე ბარათიც ერთვოდა: „როცა ეს ლექსები გიძღვენი, გადავიწერე და გადავთვალე, მაშინვე მივხედი, რასაც მიპასუხებდი, რადგან ლექსების რაოდენობა ცამეტი აღმოჩნდა... ლამაზად უარყოფამიც არის თავისებური ბედნიერება (მართალია, ცრემლიანი)... ვმადლობ ამ ბედნიერებისათვის!“

დროდადრო, როდესაც, უკვე ასაკოვანი კაცის განწყობით გადავითვალერებხოლმე ქალური განცდებით სავსე იმ ლექსებს, ვცდილობ და ვერ გამორკვევია, მაშინ რატომ ვერ შევძელი მისი გრძნობების გაზიარება: შემეშინდა, რომ ჩემზე მისი პოეტური ნარმოდგენებისთვის შეუფერებელი არ აღმოჩენილიყავი, თუ იმის გამო, რომ ცოლშვილიანი კაცის საბუდამო მოვალეობებით ვიყავი ხელფეხმკრული. თუმცა, ქალი შეუძლებელს არაფერს მთხოვდა – ჩემს ოჯახურ კავშირს არაფრით ეშუქებოდა მისი სურვილები...

გარკვევით ვიცი მხოლოდ ერთი რამ: ამჟამად, როდესაც ის უკვე აღარაა ცოცხალი და მისი სიკვდილი უბედურ შემთხვევასაც ჰგავს და თვითმკვლელობასაც, ვგრძნობ, რომ ისეთი რაშე დავაკელი, რის ვალებაც შემეძლო სიყვარულს მონყურებული, მაგრამ სრულყოფილად ვერგანზორციელებული ქალისთვის.



ზოგჯერ სიზმარშიც ვხედავ მის მომუდარე თვალებს: „შენი მიზეზით/ გაჩენილ გრძნობებს / ისე ვუფრთხილდები, / როგორც დიდ ჯილდოს / სასჯელის მერე – / ასე დედები უფრთხილდებიან / თავიანთ ჩვილებს“.

ალბათ, სიბერის ნიშანია, ასე დანერვილებით რომ გვსაუბრეთ. ის კი

ყურის ნიჟარა

ნანობდა ამ ქალაქში გადმოსვლას. აქაურობა ჰკავდა ორმოს, სადაც მხოლოდ ბაყაყები ფუთფუთებენ. ყოველ შემთხვევაში, იმ რვა თვის მანძილზე, რაც ამ ქალაქში იმყოფებოდა, აზრდალაგებული და ნაკითხი ადამიანი არ შეხვედრია. შეიძლება, თითო-ორი საინტერესო პიროვნება აქაც ცხოვრობდა, მაგრამ მთლიანობაში ქალაქი იმდენად უსახური იყო, რომ სულიერი პროვინციის დედაქალაქობა ნამდვილად შეეფერებოდა. სიტყვამ მოიტანა და, გარკვეული გვარტომის დედაქალაქი კი ვახლდათ და მთელი ქვეყნის საჩოთირო ყოფაში უარყოფითი როლიც ჰქონდა შესრულებული, რა თქმა უნდა, თით ქვეყნის ნამდვილი დედაქალაქისა და საითითაოდ ყოველი მოქალაქის მონანილეობით. ოღონდ, თუკი ნამდვილი დედაქალაქი დიდი ორმო იყო, სადაც ხელს მაინც გაშლიდი, ეს ქალაქი მყარად გადებდა ბორკილებს. ამ ქვეყანაში ყველა ქალაქს საერთო კი ის ჰქონდა, რომ მშობლიურობის განცდას არ გიტოვებდა და ადგილნაცვლისა და გერის ურთიერთობას ამსგავსებდა ცხოვრებას...

ამ ქალაქში გადმოსვლას კი ნანობდა, მაგრამ, ჯერჯერობით, ნასასვლელიც აღარსად ჰქონდა. ნინა ადგილსამყოფელიდან (უფრო პატარა ქალაქიდან) იმიტომ გადმობარჯდა, რომ იქ სამსახურეობრივ უსიამოვნებას გადაეყარა. მართალია, სხვათა მიზეზით, მაგრამ მაინც ამჯობინა, თვითონ გასცლოდა იქაურობას. თავისი მონოდების შესაფერისი სამსახური არც იქ ჰქონდა და არც ახალ ადგილსამყოფელში დახვედრია. შინაგანად იმდენად ღრმა და დახვეწილი ადამიანი იყო, რომ სურვილისა და შესაძლებლობების შეუსაბამობა დეპრესიულ განწყობილებებს უქმნიდა:

– მემინია, ნარმოდგენა არ დავაკარგო საკუთარ თავზე, – იტყოდა მოჩვენები-

მეუბნებოდა: „შენ ისეთი ვაჟაკი ხარ, გულიბილი და საიმედო ვეღარ ხარ, რომ არასოდეს არ დაბნობდები“.

როცა ხალხმრავალ ქუჩაში მივაბიჯებ, გამულელებს ვაკვირდები და მის სევდიან თვალებს დავეძებ, თუმცა ვიცი, რომ მათ საკუთარი ტკივილიანი მოგონების გარდა სხვაგან ველარსად ვიპოვი...

თი ხუმრობით და მისი ინტელექტის მონმეს აუცილებლად მოგინდებოდა გარკვევა – სინამდვილეში რა სიღრმეებს მალავდა ხუმრობისა და ირონიის მიღმა. გარკვეული თავდაჯერებულობა სიარულზეც ეტყობოდა – დადიოდა ნაბიჯაუჩქარებლად და მშვიდად – ალბათ, გარკვევით გრძნობდა მასიური ადამიანების ტიპთან საკუთარი ინდივიდუალობის უპირატესობას. ხმა ხვეწდოვანი ჰქონდა და როცა ლაპარაკობდა, გეგონებოდა, სევდიან მელოდის მღერისო. ელვანტურად გამოიყურებოდა და ჩანდა, კარგი გემოვნება ჰქონდა. ბავშვობა და სიყმანვილე უსიამოვნოდ ახსენებოდა:

– ზედმეტად მორიდებულად მზრდიდნენ, ლამის ავაღსყოფური მოკრძალებით ვეძეცოდი უფროსებს... უკვე სტუდენტი ვიყავი და ასაკოვნებთან ერთად სუფრასთან არ ვჯდებოდი, მათი თანდასწრებით სიგარეტს არ ვენიოდი...

ადრეული ასაკის შემანუხებელი სიმორცხვე, ალბათ, ერთდციისა და უაღრესად ანალიტიკური გონების მუშევრებით ჰქონდა დაძლეული. ამასთან, წლების მანიძლზე მრავალმხრივი გამოცდილებაც შესძენოდა. ერთი სიტყვით, ქრისტეს ასაკში მყოფი სრულიად ჩამოყალიბებულ პიროვნებას წარმოადგენდა, ოღონდ, დაკარგულ წლებს მისტიროდა და უსაპარტო ანწყოდა ადარდიანება:

– ინსტიტუტი რომ დავამთავრე, კათედრაზე დარჩენა შემომთავაზეს, მე კი სოფელში წავედი სამუშაოდ – ფულის გაკეთება მინდოდა. სოფლის ყველა ძალი მცნობდა, – ხუმრობით ჰყვებოდა ამასაც და ზერელე მსმენელზე მზიარული ადამიანის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა, ვიდრე შეჭირვებულისას. მხოლოდ დაკვირვებულ თვალს

შეეძლო შეემჩნია, რომ მის წინაშე მნიშვნელოვანი მისწრაფებებისა და დაბრკოლებების მქონე ადამიანი იდგა:

— გვიან მივხვდი, რომ დრო ფუჭად დაეკარგე, საკუთარი თავის დასამარების გარდა არაფერი მოკეთებია, ჩემს ასაკში კი ღრმა მეცნიერული მუშაობის დაწყება უკვე სასაცილოა... თუმცა, ისეთი ვინმეებისგან მესმის, თემაზე ვმუშაობო... რაც ამ ქალაქში გადმოუვდი, ნიგნიც გამოუცხოვდა — რამდენიმე გვერდის ნაკითხვისთანავე ძილი შერევა...

ზღვისპირა ქალაქი, სადაც თავიდან ცხოვრობდა და სწავლობდა, მშობლიურ სითბოსა და სივრცის სიახლოვეს აგრძნობინებდა. უფრო ზუსტად, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, ზღვა აჩენდა განცდას, რომ სივრცე შენს ფეხებთან იწყება. ალბათ, ამის გამო იყო, რომ ადამიანური შესაძლებლობების უსაზღვროებისაც სჯეროდა. მაგრამ ეს იყო მაშინ და მანამ, სანამ იმ ზღვისპირა ქალაქს ზღვიან-ხმელეთიანა უცხო დაეპატრონებოდა. მაშინ და მანამ ლალი სიჭაბუკის განცდა მუდმივი მეგზურივით ახლდა თან:

— ყოველი დღე რაღაცით იყო დატვირთული. ჩვენს სამეგობრო ნრეში თითქმის თანაბარი აზროვნებისა და ინტერესების ადამიანები ვიყავით თავმჯდომარე და თავს უკრავდ ვგრძნობდით... ახლა კი, დღეები უღმელამოდ ენაცვლებიან ერთმანეთს...

აქამდე არც მატერიალური სივინროვის მარნუხები გამოეცადა. ყოველ შემთხვევაში, ელემენტარული უქონლობას არასოდეს შეუნუხებია, ახლა კი, მთელი ქვეყანა იყო არა მხოლოდ მატერიალური კატასტროფის ფსკერზე გართხმული: — ფეხით სიარული საერთოდ მიუვარდა — რა აუღია, რომ მიდიხარ შენთვის, ფიქრში გართული, მაგრამ ხანდახან ტროლეიბუსითაც კი უნდა მგზავრობდეს ადამიანი, — იმსუბუქებდა განწყობილებას:

— ისე ახია ჩემზე, როცა მატერიალური კეთილდღეობის პერიოდები მქონდა, ისინი დაუსრულებელი მეგობა და ხელგამლილად ვხარჯავდი. ახლა ვხვდები, რომ ღმერთმა არ მაპატია — ან მათხოვისათვის შეძლია რამე, ან თუნდაც თითო სანთელი დამენტო დღეში. ახია ჩემზე, მაგრამ უკვე ვეღარაფერს ვახერხებ სინანულის გარდა...

მოულოდნელად შეამჩნია, რომ დაჯინებით აკვირდებოდნენ. საჭიროების შემთხვევაში მისი სწავლებისაგან ვათვისუფლებს და მხოლოდ რეილობით მიღწეულ ნორვანამი მყოფად თვლიდა და თვითონვე გაუკვირდა, ქალის მკაფიო ქარაგმებას რომ ააღუღა.

ჯერაც ახალი გაცნობილი ჰყავდა, ზედმეტი ზუმრობით რომ ატკინა გული. ქალი იმ დროისათვის უკვე ნატრობდა მისგან ყურადღებას და დაახლოებას ცდილობდა.

— Стобой не уютно. — ქალმა პატარა შურისითება სცადა.

— Уютно тую не. — ხმადაბლა ნათქვამი ფრაზა ვერ გაარჩია მამაკაცმა.

— Не уютно, не смотря на интеллект, — ქალმა კმაყოფილება იგრძნო აზრის განვრცობით, — უგულისყურო ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებ.

— შთაბეჭდილებას, არა?.. უსიამოვნო დუმილი ჩამონვა.

— კაი, აბა, ნავედი, — მამაკაცი კარებისკენ გაემართა, — უაზრო უძრაობას უაზრო მოძრაობა სჯობს.

მამაკაცის გასვლისთანავე ქალი ღია აივანზე გავიდა. თვალი გადაეწეა ხალხმრავალ ტროტუარზე თავდაჯერებულად მიმავალს და წყენა უფრო გაულრმავდა. ამ ნუთას მხოლოდ ერთს ნატრობდა — სადმე, განმარტოებით ყოფილიყო ამ მამაკაცთან და მის მკლავებს დაენებოდა. პასუხად მიეღო მზურგაზე ენება და უ... უსაზღვრო განცდები ამოებანა საკუთარი ქალური ბუნებიდანაც. მისი ყურის ნივრა ცხადივით გრძნობდა მამაკაცის ამბორის სიტკბოს.

მაგრამ მამაკაცი თავდაჯერებული ნაბიჯებით მიდიოდა და უნუგუმო ჩანდა ქალის ყოველგვარი მოლოდინი.

რამდენიმე დღე გადაულეზლა ნეიმდა. ერთ-ერთ ნვიმიან დღეს მამაკაცი ისევ გამოჩნდა.

— მე შენთან გაბუტული ვარ, — შეაგება ქალმა მის სალამს.

— რა შეეცოდე ამისთანა? — მამაკაცმა ამჯერადაც ზუმრობა სცადა, — ყურში მითხარი, მაგრამ ფრთხილად, ყურის ნივრა ძალიან მგრძობიარე ორგანოა.

— ის, რომ ბრმა ხარ და ვერ მამჩნევ, — მომდგარი ცრემლი გადაყლაპა ქალმა.

მამაკაცს ნაბით სუნთქვა შეეკრა და უნებლიედ ბავშვური ფანდი იხმარა — მოშორებით მდგარ ქალს თვალეზთან



ბინოკლივით მიტან ჯღი მუშტებიდან გახვდა.

ეს კი მეტისმეტი იყო – მრისხანების დასაფარავად ქალმა ოთახს მიაშურა.

მეორე დღით კი ბრანჯანელეზული ისევ მოუთმენლად ელოდა მამაკაცის გამოჩენას. ახალმოსულს კიბეებთან შეეჩეხა. ორივენი შეყვინდნენ. მამაკაცს განსაკუთრებულად შკაცრი იერი ედო საბეზე – გაუგებარი იყო, საკუთარი პრობლემების გამო თუ ქალთან თამაშობდა სერიოზული კაცის როლს.

მოუთმენლობით შეპყრობილი ქალი სასიამოვნოდ აღელდა:

- სამსახურში ასე უნდა დაიგვიანო? მამაკაცმა საათზე დაიხედა:
- ოცდახუთი ნუთია მოვდივართ მე და ჩემი ფიქრები.
- თორემ, შენც, ფიქრობ...
- რატომაც არა, გუშინ შენ ისეთი რამე მითხარი, დამაფიქრე...
- ფრთხილად იყავი, თორემ ყურის ნივარი ძალიან მგრძობობარე ორგანოა.
- საიდან იცი?
- გუშინ მოვისმინე.
- გუშინ... მე კი მომკალი და...
- რატომ?.. პირიქით, კაი რამე გითხარი...

- არ ვიცი, ჩემო კარგო, არ ვიცი, – საგონებელში ჩავარდნილის ხმით უპასუხა მამაკაცმა...

საგონებელში ჩავარდა ქალიც. «ფიქრა: ისედაც ხომ ვატყობ, რომ ფინანსური პრობლემები აქვს – ნაყინზეც კი ვერ დამპატიყებს. ამნაირი ვითარება მამაკაცურ თავმოყვარეობაზე ძალიან მტკივნეულად მოქმედებს. მე კი სწორედ ახლა გამოვიდე თავი... მაგრამ, ძალიან რომ მომწონს?.. ძალიან რომ მინდა მითანაგრძნოს სულიერადაც და ფიზიკურადაც?.. დახვეწილი და ფაქიზი

განცდების მოლოდინი რომ მაქვს მისგან?.. რა ვქნა?..»

ამჯობინა, დროებით ტყუილად დასაგონებელში ჩავარდნილი მამაკაცი დაემშვიდებინა, გაფრთხილებოდა მის თავმოყვარეობას. თუ ბედისწერას ენება, მათი შეხვედრა გარდუვალად მოხდებოდა, თუ არადა, ბედისწერასთან შერიგების გარდა რალა რჩებოდა.

ქალს მამაკაცის წინაშე პირისპირ ყოველთვის მღელვარება იპყრობდა. ამიტომ მოკლე ბარათი დაწერა და ხელსაყრელ დროს მოხერხებულად შეაჩერა.

დღის ბოლოს მამაკაცმა ქალის ოთახში შეიხედა.

შემწყნარებელი ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

ბარათი აეტორს დაუბრუნდა.

მარტოდ დარჩენილმა ქალმა კიდევ ერთხელ ჩაათვალა იერა საკუთარი ხელწერა: «აქაურობა ისეთი ორმოა, სადაც მხოლოდ ბაყაყები ფუთფუთებენ. მე შენ ღრმა და დახვეწილ ადამიანად ვთვლი, და შენთან ყოფნა ძალიან მჭირდება, მაგრამ არსებობს ათასი მიზეზი საიმისოდ, რომ ადამიანმა უკან დაიხოს სურვილის შემთხვევაშიც. ამიტომ, თავს ნუ ისჯი ყოყმანით (თუ განსჯით) – მე შენთან ჩვეულებრივი ურთიერთობაც გამიხარდება...»

მარტოობის განცდას ამ ქალისათვის მხოლოდ თმენა და მოლოდინი ესწავლებინა. უსახური გარემოსა და გარემოებების მიღმა, მხოლოდ ოცნების ზესკნელებში ბინადრობდა და იმედგაცრუებათა ნყებას მასში ვერ გაექრო სასურველი ადამიანის პოვნის მზურვალე სურვილი...

მამაკაცი მართალი იყო, ჰოროსკოპის დაზუსტებისას ხუმრობით რომ უთხრა: «ცოდვა ხარ ხმელეთზე!»





ღმერთის ვერ განმარტებებს

თავო ჩემო, ვამი ვიდვას სართველო —
კარს მომდგარი წაწმუდად და ცხონებად...
სიბერეშიც სახვეწო და სათლელლო,
ზღაპარია სრულქმნის მიახლოება.

ვარდა თვისხავ მესა და ორუელის,
მე ჩემს თავში ვხედავ ცხრა ადამიანს...
ბარუორი ცოდვაშია რეული,
ზოგიერთიც ქრთამით მონაქრთამია.

მოთმინების შეუვალო ჯვებორო,
ნეტამე მალე ვნასო — ქმნილი ივარ...
ჩემს მკითხველებს როგორ ვაკვაგებინო
ვინ ვარ, როცა თვით არ ვიცი, ვინა ვარ?!

ვეხუთქები მე საყუთარ ნაპირებს,
ჩემსავე თავს თვით ვანგრევ და ვაშენებ...
ღვთის ღალატია როსმე თუ დავაპირე,
მე... ჩემს თვთან ღმერთიც ვერ გამაშველებს.

როზორი შემხარამულეპი

ვარსკვლავებით არ კრთის ზეცის ფართლელული,
წყენა ცრემლად მოდგომია უფლის თვალებს,
მოთქვამს მთვარე უმწიკვლობაწართმეული,
ქალწულობადაყარული ტირის მთვარე.

ვაფიარჯვეთ: მთვარეს ფეხი დავაბიჯეთ,
ჩამოვტვირთეთ ხომალდიდან მთვარის გრუნტი,
მიწაზეა მთვარე, მთვარე დავაბიწეთ
და აგრგვინდა ცა ნათლისგან განაქურდი.

სქენადანშულ შეილებს არც კი გვეურება
გამიძენილი ჩვენგან რარივ კუთავს მიწა.
გვედრებით როგორც შეყვარებულები
ექვერტდეთ მთვარეს, ხმელეთივით ნუ წავბიღწეთ.

ისევ ჰოფილი ნატპრის ხისაღმი

ახლა რისი ხარ მნატკრული
ნატკრის ხეც, უკვე ყოფილო,
რტომუსხეპილო, მუხთალი
ბედისგან უარყოფილო.
ღრო იყო მრევლს ძხიდავდი,
მართლაცდა, ანდამატივით,
კაცის ვედრების უფალითან
მიტანის გედო პატივი.

მე კი ღმერთის დღემდე ვერა და
ვერ მივაწუდინე ძახილი —
მოსწონს თუ არა ზეციერს
ჩემი სიტყვათთან ვახირო.
ძელქვამ თქვა: დამიდასტურებთ
ოღესმე შენც და მავანიც,
სინანულია ღმერთისა და
კაცს შორის შუამავალი.

ტყვეობაში მოყვავილე ვარდო,
ტყვეობაში მოვალბე ჩიტო, —
თქვენც მაჯერებთ, რომ სიცოცხელ აქაც
არის ღვთისგან ბოძებული ვეაღდო.

ტყვეობაში მოვალბე ჩიტო,
ტყვეობაში მოყვავილე ვარდო, —
ნუ იზამთ, ნუ შემაროვებთ ცრემლითან,
ღამღამობით სასთუმალს რომ ვაღტრობ.



შემარიგეთ დაუძინარ მტერთან
პირადთან და საყუთართან, ოღონდ

შემარიგებ ნუ სამშობლომ მტერთან,
ბედს რომ უნდა თავზე ამარტოს.

ველარ გზობა

მახსოვს უუცივესი
ზამთრის ის საღამონი,
უსასოო საფლავში
როგორ ჩამოვბღაოდი.

დაიტირეს ჩემსავით
ღამეებმა-ძერებმა
სიყვარულის სამოთხით
ჩემი გამოძევება.

გლოვით თავდაპირველით
პირტიტველა დავებურდი,

სიჭაბუკის რვეულიდან

ბარუორჯერ, მას მერეც,
მიწვეულია თავბედი.

მაგრამ იმ ზამთრის ყინვა
წლობით მაკანცალებდა,
თოვდა ბედნიერების
ჩემთვის დახმულ კარებთან...

მე მგონხად მომიფვანა
შენმა წასულამ ქვენიდან,
კვადე, მაგრამ ხელახლა
ველარ გზობე ნკენიდან.

ვერასოდეს

ხსოვნა ბევრი დაბინდა
დავიწყების ბინდებმა,
ვერასოდეს ლექსებად
ველარ აბიბინდება.

მე თავსგარდახდენებით —
წარსულით ვარ ნაკები,
ემმასგან ნაცთუნევი,
ლეთისგან ნაჭომაგევი.

ყველა ღირსახსოვარის
მტკიცეა ვადავიწყება,
ემაგ დავიწყებებით
აღსახრული იწყება.

როცა მეხსიერებას
მიწვლავს დავიწყებანი,
მერე არ დამანახოთ
წონგური და ებანი.



მორიელი

რომანო

1.

1982 წელი. ავღანეთი. ქაბულის აღმოსავლეთით განლაგებული საბჭოთა ჯარების მოიერიშე ბრიგადის ბაზა. ზაფხულის მწველი მზისაგან შეწუხებული ადამიანები ჩრდილში ეძებენ შველას. ორი ჯარისკაცი ფხვიერი ქვიშით დაფარულ მოედანზე შეჩერებული საბრძოლო მანქანის მუხლუხებთან მოწყობილია. ერთი მათგანი ქერთაშიანი სლავია, მეორე კი ამკარად კავკასიური გარეგნობით გამოირჩევა. ჯარისკაცები ჩუმიდ არიან. გახურებული ჰაერი ლაპარაკის საშუალებას არ იძლევა.

ქერთაშიანმა მკლავზე ხელის შეხებით მიიპყრო მეორე ჯარისკაცის ყურადღება. და ქამარზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან მძიმე საბრძოლო დანა ამოიღო. მათი მიმართულებით მუხლუხების ქვემოდან გამოშვრალი, მოზრდილი, ალბათ, მტკაველისაგანა მორიელი მოემართება.

— არ მოკლა, — თითქმის ძალით გამოგლიჯა ჯარისკაცმა დანა მეგობარს და საცეცებზე მსუბუქად შემდგარ, მუქყვიითელ, ოდნავ ყავისფერში გადაშავალ მორიელს კმაყოფილი მზერა ესროლა, — მშვენიერი არსებაა.

— მშვენიერი, — უკმაყოფილოდ ჩაიფრუტუნა სლავმა.

— რა არის ამ ქვეწარმავალში მშვენიერი?

— მორიელი ქვეწარმავალი არ არის.

— აბა, რა არის?

— მორიელი მორიელია, — ჩაილაპარაკა კავკასიელმა და დანის პირი ნელა მიუახლოვა.

მისკენ მიმართული მოძრაობის შემჩნევისთანავე მორიელი საცეცებზე წამოინია და ნესტარით დაბოლოებული კუდი საბრძოლველად შემართა. დანამ მოძრაობა განაგრძო. მორიელს მოთმინებამ უმტყუნა. წინ გაიჭრა და დანის პირს კუდი დაჰკრა. დარტყმის უშედეგობით გაღიზიანებულმა ამჯერად ჯარი-სკაცის დაბალყელიანი ჩექმა აირჩია

მონინალმდეგედ და ახლა მასზე მიიტანა იერიში.

— ოჰო, შენ აღარ ხუმრობ, მეგობარო, — გაიცინა კავკასიელმა, — მეცოდება, თორემ გიწვენიბდი, რა არის მორიელი და როგორ გამოიხატება მისი თავზეხელაღებული ხასიათი, — გადაულაპარაკა სლავს.

— რატომ გეცოდება?

— არ მეტეება მოსაკლავად.

— ნუ მოგვლავთ.

— არ გამოვა, თავს მოიკლავს.

— მორჩი, — არ დაიჯერა სლავმა, — რისთვის მოიკლავს თავს?

— მოზრდილი შავი ხოჭოები თუ გინახავს, ცხვირზე რქა აქვთ, ბიჭები მარტორქას უწოდებენ?

— რა თქმა უნდა, მაგათ ფეხის ყველა ნაბიჯზე შეხვდები.

— ხოჭო და მორიელი შუშის ქილაში რომ ჩასვა, ამოსულას ვერც ერთი ვერ შეძლებს, ხოჭო ამოსასვლელის ძებნაში უაზროდ დაინყებს ქილის ძირზე წრეების კეთებას, მორიელი მაშინვე გაერკვევა ვითარებაში და როგორც კი დარწმუნდება, რომ აქედან თავს ველარ დააღწევს, თავს დაესხმება ხოჭოს, მაგრამ მისი სქელი ჯავშანი ნესტარისათვის შეუვალია. რამდენიმე უშედეგო იერიშის შემდეგ მორიელი ნესტარის თავში ჩარტყმით მოიკლავს თავს.

— რისთვის? — გაოცებული სახით იკითხა სლავმა.

— არ ვიცი, ალბათ, არავინ არ იცის, მე მგონია, რომ თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ აგრესიას დახარჯვა სჭირდება. ხოჭო ამ შემთხვევაში მხოლოდ აგრესიის განმუხტვის საშუალებაა, მაგრამ დაუმარცხებელი საშუალება. როდესაც ამკარა ხდება იერიშის უშედეგობა, მორიელი თავს იკლავს, ეს მისთვის ბრძოლაში დამარცხების ტოლფასია. მონინალმდეგე უნდა მოკვდეს, უარეს შემთხვევაში გაქცევით უშველოს თავს. ხოჭო სიამოვნებით გაერიდებოდა აბე-

ზარ მეზობელს, მაგრამ არც მას აქვს ამის საშუალება. მორიელი არასოდეს არ იხვევს უკან, იმარჯვებს, ან ილუპება. ზოქოსთან გამარჯვება შეუძლებელია, გამოსავალი მხოლოდ ერთი რჩება. და მორიელი თავს იკლავს. ეს ჩემი ვერაუდია, თუმცა ვინ იცის, იქნებ ყველაფერი სულ სხვაგვარად არის.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა სლავმა.

საბრძოლო განგაში გამთენიისას გამოცხადდა. ნამძინარევი ჯარისკაცები სწრაფად იკავებდნენ საკუთარ ადგილებს. დავალების მიღებისთანავე სადაზვერვო ქვედანაყოფი, რგ-17, საბრძოლო მანქანებზე მოენყო და ბაზის ტერიტორია დატოვა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე მისვლა ვეღარ შეძლო.

ვინრო ხეობაში გამავალ გზაზე მოძრაობისას, ქვედანაყოფი თვითონ მოჰყვა პარტიზანების მიერ მოწყობილ ჩასაფრებაში. ამგვარი ბრძოლის ხერხების კარგად მცოდნე ავლანელმა მებრძოლებმა რამდენიმე წუთში ჯართად აქციეს ქვედანაყოფის საბრძოლო ტექნიკა და ღია იერიშზე გადავიდნენ. ბრძოლა სწრაფად დამთავრდა. საბრძოლო ტექნიკის გარეშე დარჩენილმა მცირერიცხოვანმა ქვედანაყოფმა ვერ შეძლო იერიშის მოგერიება. ერთი საათიც არ იყო გასული ბრძოლის დაწყებიდან, ავლანელი მებრძოლები გულგრილი სახეებით აგროვებდნენ მინაზე სხვადასხვა მდგომარეობაში გამუშეებული ჯარისკაცების კუთ-

მეორე დღეს ქაბულში განლაგებული საბჭოთა ჯარების სარდლობის შტაბში მოიერიშე ბრიგადის მეთაურის პატაკი მიიღეს.

საბრძოლო დავალების შესრულებისას სადაზვერვო ქვედანაყოფი, რგ-17, მოჰყვა ავლანთა მიერ მოწყობილ ჩასაფრებაში.

1995 წელი. გაზაფხული. თბილისის აეროპორტის შენობიდან მალალი, ათლეტური აღნაგობის, ასაკით 32-33 წლის მამაკაცი გამოვიდა. მოკლედ შეკრეტილი ნაბლისფერი თმები, ბრინჯაოსფერი, ქარდაკრული სახე და ცივი გამ-

— ნადი, — ისევ დანის შირიფს ცადა კავკასიელმა მორიელის ფეხებზე მდებარეობდა. მორიელი კი თავისუფლად გამოდგა. დანის მიახლოებისთანავე კუდი შემართა და თვითონ გადავიდა იერიშზე.

— ჩვენ მოგვინევს აქედან ნასკლა, ეს აღარ მოგვეშვება, — ჩაიციინა კავკასიელმა, დანა პატრონს დაუბრუნა და ფეხზე ნამოდგა.

ვნილ იარაღს. რამდენიმე მათგანი ბრძოლის დაწყებისთანავე აფეთქების ტალღით ხევში გადასროლილ ჯარისკაცს ნაადგა თავს. ჯარისკაცი ცოცხალი აღმოჩნდა. დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ფეხზე ადგომას ვერ ახერხებდა და დაბინდული მშერით აკვირდებოდა გარისშემოხვეულ ავლანელებს. ერთერთი მათგანი წვერმოკაუჭებული ხანჯლით დაიხარა მისკენ. დანარჩენები გულგრილი სახეებით დასცქეროდნენ უკვე განწირულ ჯარისკაცს, მაგრამ სწრაფი ნაბიჯით მოახლოებულმა წვეროსანმა ხმამალალი შემახილით შეაჩერა ხანჯალმომარჯვებული თანამებრძოლი.

— რუსი ხარ, შურავეი? — უკითხა ჯარისკაცს.

— ქართველი ვარ, — წვეტილად თქვა ჯარისკაცმა. ავლანმა ხელით ანიშნა, ვერ გავიგეო.

— გურჯი, — აუჩქარებლად დააზუსტა ჯარისკაცმა.

— გურჯი, — გაიმეორა ავლანმა და თანამებრძოლებს ანიშნა, ფეხზე ააყენეთო.

ქვედანაყოფის მებრძოლები შემართებით შეებრძოლნენ რიცხოვნობიდან ბევრად აღმატებულ მონინალმდევებს. უთანასწორო ბრძოლაში მთელი შემადგენლობა დაიღუპა. რიგითი მებრძოლი, გარსევან ამირანის ძე ხომერიკი, დაიკარგა უგზო უკვლოდ. ბრიგადის მეთაური, გენერალი პეტროვი.

ობედევა ენერგიული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. მამაკაცს ტანთ თანამედროვე ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ მიმოხვრაზე ეტყობოდა, რომ არ იყო პიჯაკის და ლაბადის ტარებას შეჩვეული.

მამაკაცმა ღრმად ჩაისუნთქა ვაზაფხულის სურნელით გაჯერებული ჰაერი, აურჩარებელი მზერა მოავლო აეროპორტის შემოგარენს და გეზი მწკრივად გაქმული ტაქსებისაკენ აიღო. მანქანისაკენ მომავალი მგზავრის დანახვით გახარებულმა მძღოლმა კარები ღია დააბეჭდა.

— საით? — კითხვა სავარძელზე დამკვიდრებისთანავე.

— ლენინის მოედანზე, — ძლიერაქცენტიანი რუსულით უპასუხა მგზავრმა.

— შორიდან იქნები ჩამოსული, — ღიმილით გადახედა მძღოლმა, — რამდენიმე ნელია, რაც თბილისში ლენინის მოედანი აღარ არსებობს.

— რას ნიშნავს აღარ არსებობს?

— ახლა თავისუფლების მოედანი ქვეია, — მანქანა დაძრა მძღოლმა, — სადაური ხარ?

— უზბეკი.

— თბილისში თუ ხარ ნამყოფი.

— ვარ, მაგრამ დიდი ხნის წინათ.

— ბევრი რამ შეიცვალა, ვერც კი იცნობ აქაურობას, რომელ ქალაქში ცხოვრობ?

— ტაშკენტში.

— თქვენთან როგორ მიდის ცხოვრება?

— ჩვეულებრივად, — მოკლედ მოუჭრა ქალაქის თვალყურებით გართულმა მგზავრმა, — მართლაც ბევრი რამ შეცვლილა, — დაუმატა პაუზის შემდეგ.

— ისე იერით უზბეკს არ გავხარ, ჩვენებურის შესახებდობა უფრო გაქვს.

— უზბეკი ვარ.

— რა გქვია?

— გაიბულა.

— უჩვეულო სახელია, — გაელიმა მძღოლს.

— არაფერი განსაკუთრებული, ჩვენში ბევრი ატარებს ამ სახელს.

მძღოლმა მძიმედ დაუკლო სიჩქარეს. მანქანა ტროტუართან შეჩერდა.

— რა მზხდა? — იკითხა მგზავრის სახეზე მომხდარი ცვლილების შემჩნევისთანავე.

— იქ, საცხოვრებელი სახლი იდგა, — ხელი გაიშვირა მგზავრმა საპირისპირო მხარეს, — ასე მახსოვს, რა იქნა ის სახლი? მძღოლი ნაჩვენები მიმართულებით შებრუნდა, თუმცა წინასწარ იცოდა რასაც დაინახავდა: დიდი, სარეკლამო ფირნიშების უკან ამწეები მუშაობდნენ.

— მართალი ხარ, ეკუთვნის მანქანებს-ოვრებელი სახლი, მაგრამ იქნება ახარ არის, ომის დროს დაინგა.

— რომელი ომის დროს? — გოცებული სახით იკითხა მგზავრმა, — თბილისში ომს რა უნდოდა?

— შენ რა, არაფერი გსმენია, არც ისე შორს არის ტაშკენტი, ვაზეთებს არ კითხულობ, ან ტელევიზორი მაინც არა გაქვს?

— ბოლო რამდენიმე წელი უცხოეთში გავატარე, — დაბნეული იერით უპასუხა მგზავრმა.

— ტელევიზორი იქაც არის.

— რა ომი იყო, რომელ სახელმწიფოს ებრძოდა?

— ეე, შენ ძალიან შორს ნახვედი, რა სახელმწიფო, სამოქალაქო ომი იყო, ერთ-მანეთში ძიძგილაობდნენ, პრეზიდენტი გააძევეს.

— საქართველოს პრეზიდენტი? — ეჭვით იკითხა მგზავრმა.

— საქართველოსი, აბა, ამერიკის ხომ არა, — ჩაიციხა მძღოლმა, — მაგ სახლში ხომ არ ცხოვრობდნენ შენი მასპინძლები?

მგზავრმა უხმოდ დაუქნია თავი. — მართლაც, ბევრი რამ შეცვლილა, — ჩაილაპარაკა პაუზის შემდეგ და მძღოლს მიუბრუნდა.

— სახლი დაინგა, მაგრამ იმ ხალხის მოძებნა ხომ შეიძლება, სად წავიდა იმ სახლში მცხოვრები ხალხი?

— ეგ კი არ ვიცი, შენ აქ მოყვანა მთხოვე, შეც მოგიყვანე, ახლა ანგარიში გამოისწორე, — აჩქარდა მძღოლი.

— მთელი დღე საჭესთან უნდა გაატარო, რა მნიშვნელობა აქვს ვის მოემსახურები. დამეხმარე იმ ხალხის მოძებნაში, მე აქაურობას თითქმის არ ვიცნობ, რამდენიც საჭირო იქნება გადაგიხდი, — აურჩარებლად თქვა მგზავრმა.

— ეგ გასაგებია, მაგრამ ნარმოდგენა არა მაქვს, რით შემიძლია დაგეხმარო, თუ გინდა მთანმინდის გამგეობაში მიგიყვან, იქნებ იქ დაგეხმაროს ვინმე.

— ეგ რა არის?

— ეს სახლი ადრე კალინინის რაიონს ეკუთვნოდა, ახლა მას მთანმინდის რაიონი ეწოდება, გამგეობაში ნამდვილად ეცოდინებათ, სად გადასახლეს ამ სახლის მაცხოვრებლები, თუ პატარა ფულსაც დაახმარებ...



მგზავრმა დამთავრება აღარ დააცა-
და. პიჯაკის შიდა ჯიბიდან ამერიკული
დოლარების მსხვილი შეკვრა ამოიღო.

— მე წარმოგდგენა არა მაქვს თქვენს
ფასებზე, მაგრამ შენ ხომ კარგად ურკე-
ვეი ყველაფერში, აილე, რამდენიც დაგჭი-
რდება

მძლოლმა აღელვებული სახით გამოა-
ცალა შეკვრიდან ასდოლარიანი
კუპიურა.

— ეს ეყოფა, — ჩაილაპარაკა ხმადაბლა.
— კიდევ აილე.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნებულმა
მძლოლმა არც თუ სასიამოვნო ცნობა
მოუტანა. ცოლ-ქმარი ხომერიკები,
რომელთა მოსანახულებლადაც ჩამოვი-
და სამოქალაქო ომამდე დახოცილიყვნენ.

— მანაგაძე? — მძიმედ იკითხა მგზა-
ვრმა.

— სახლის დანვის შემდეგ რამდენიმე
ოჯახი სასტუმრო „ივერიაში“ შესახლეს,
მათ შორის მანაგაძე ვაჟაც. აქ აღა-
რაფერი გვესაქმება, ნავიდეო?

მგზავრმა უხმოოდ დაუქნია თავი და
თვალეებზე მზის სათვალე მოიარგო.

„ივერიასთან“ მძლოლმა ისევ მარტო
დატოვა მანქანაში, თვითონ შესასულელთ-
ან შეჯგუფებულ ახალგაზრდებს მიაშურა.

ლიფტიდან მეშვიდე სართულზე გამ-
ოვიდა, იატაკის რეცხვაში გართულ ქალს
მხარი აუქცია, დერეფანს გაუყვა. შეიდასმ-
ებუთე ნომერი იქვე აღმოჩნდა. ნელა დაა-
კაკუნა კარებზე. ნომერში სიჩუმე იდგა. ის
იყო, ბელმეორედ დაკაკუნებას აპირებდა,
რომ ზურგიდან ვიღაც მოუახლოვდა.

— რა გნებავთ? — მოესმა ქალის ხმა.

გაიბულამ შებრუნდა. დერეფნის მრეც-
ხავ ქალს საქმიანობა მიეტოვებინა.

— რა გნებავთ? — გაუმეორა კითხვა და
შუბლზე ჩამოშლილი ჭალარა თმები

— შენთან სალაპარაკო მაქვს, —
სერიოზული სახით თქვა ვაჟამ.

— ვილაპარაკოთ.

— აქ არა, ცალკე გავიდეო.

— კეთილი, — დაეთანხმა გარსევეანი და
უკან მიჰყვა ნინ ნასულ მეგობარს.

— ჩვენ მეგობრები ვართ, — საქმი-
ანი იერით ნამოინწყო ვაჟამ, — ჩვენში

მძლოლმა გაუბედავად აიღო მკორე
კუპიურა.

— მომაძებნინე ის ხატუნს უნდა მანაგაძე
ჩამოვედი და ერთი ამდენს კიდევ დაგი-
მატებ, — თქვა მგზავრმა და შეკვრიდან
გამოღებული ათი თუ თერთმეტი კუპიურა
ჩაუდო ხელში, — თუ საჭირო ვახდა, უფრო
მეტსაც — დაუმატა პაუზის შემდეგ.

— გამოვინებ, ნყალი არ გაუვა, — ჩაი-
ლაპარაკა მგზავრის სიგიჟეში დარწმუნ-
ებულმა მძლოლმა, კუპიურები ქურთუ-
კის ჯიბეში ჩაიკეცა და მანქანა სწრაფად
დაძრა ადგილიდან.

— მგონი, მივაგენით შენს ნაცნობს, —
სწრაფად აღაპარაკა უკან დაბრუნე-
ბული — მეშვიდე სართულზე ცხოვრო-
ბს, ნომერი შეიდას ხუთი. მაგრამ,
როგორც გავიგე, ახლა აქ არ იქნება.
ცოლი ჰყავს, ამ დროს ყოველთვის აქ
არის. ის გეტყვის მის ასავალ-დასავალს.

მგზავრი მანქანიდან გადავიდა.

— მოიცადე, — შეაჩერა მძლოლმა, — მე
აღარ გჭირდები?

— არა.

— კარგი, მაგრამ იმას რომ დამპირდი,
— თავი მოიქეცა მძლოლმა.

მგზავრმა ათიოდე კუპიურა დაუდევ-
რად მიანოდა და აუჩქარებლად მიაშურა
სასტუმროს.

ნელი მოძრაობით შეისწორა.

გაიბულამ აუჩქარებლად მოიხსნა
მზის სათვალე. ქალს ყურადღებით
ჩააცეკრდა სახეში.

— ნელი, — ჩაილაპარაკა პაუზის
შემდეგ ხმადაბლა.

ქალის ინტერესით სავსე მზერას შიში
და გაოცება შეერია.

— არა, შეუძლებელია, ეს შენ არ ხარ,
ღმერთო ჩემო, ცამეტი ნელინადი, —
დაიჩურჩულა გაჭირვებით, უკან გადა-
ქანდა და იატაკზე დაეშვა.

არასოდეს არ ყოფილა რაიმე და-
ფარული.

— მართალი ხარ.

— შენ ნელი გიყვარს? — პირდაპირ
მოსჭრა ვაჟამ.

— დავუშვათ.

— არავითარი დავუშვათ, გიყვარს თუ
არა?



— არ უნდა მოკლავდეთ დედისერთები ჯარში, — ამოიოხრა გოგონამ, — ნუ გემინია, ჩვენ ამოკლავდებით მხარში, ყველა შენი მეგობარი და მე, — დაუმატა პაუზის შემდეგ.

- თქვენი იმედი მაქვს.
- ორი წელი სწრაფად გაივლის, შენ ისევ დაგვიბრუნდები.
- კიდევ მითხარი.

— სად არის ახლა ვაჟა?
— რად გინდა?
— ჩემი მშობლები გარდაცვლილან, მათი ამბავი მაინტერესებს.
— შე გეტყვი ყველაფერს.
— მითხარი.

— არც კი ვიცი, საიდან დავინყო, ამდენი წელი გავიდა, — მიძიმე ამოიოხრა წელიმ, — ჩემთვის მტკივნეულია იმ დღეების გახსენება, შენი დაკარგვის ცნობამ კინალამ გადაიყოლა დედაშენი, ჩვენ ყველა იქ ვიყავით, მე, ვაჟა, ბიჭები, მთელი უბანი. პირველი ელდის შემდეგ დედაშენს ძაღვები გაუასკეცდა. ქვეყანა შესძრა, სადაც შეიძლება მისვლა, ყველგან მივიდა, ყველა შეანუხა, მაგრამ შენს ასავალ-დასავალს ვერაფერს მიაგნო. ყველგან მხოლოდ ერთი პასუხით ისტუმრებდნენ, დაიკარგა, ძებნამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ვერაფერს შეძლო მისი დახმარება. წლები გავიდა. შემდეგ მოხდა ყველაზე საშინელება.

— რა?
— დედაშენი გაგიტოვა, — ამოიოხრა წელიმ, — არავის არ უშავებდა არაფერს, მთელი დღეების განმავლობაში ჩუმად იყო, მხოლოდ იცინოდა.

— საერთოდ არაფერს არ ამბობდა?
— ამბობდა!
— რას?
— ჩემი შვილი ცოცხალია, ახლა არ შეუძლია ჩემთან ჩამოსვლა, მაგრამ დრო მოვა და დამიბრუნდებაო, — ხმადაბლა თქვა წელიმ, — ახლა უხედავ, რომ თურმე მართალს ამბობდა, — დაუმატა პაუზის შემდეგ.

— მამა?
— მამამ სმია დაიწყო, მას შემდეგ ფხიზელი არავის უნახავს.
— შენ?
— მე და ვაჟა... ორი წელი გავიდა, ოთხიც, — ჩავარდნილი ხმით განავრძო წელიმ, — შენ არ ჩანდი, ვაჟა ლანდივით

— რა გითხრა?
ბიჭმა მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ესროლა და თითებით მიუჩვენებდა მოფერვა.

— გეტყვი და კიდევ მრავალჯერ გაგიმეორებ, მე შენ მიყვარხარ, საჭირო რომ გახდეს, მთელი ცხოვრება დაგელოდები. სხვასთან ვერასოდეს ვიქნები ბედნიერი, მხოლოდ შენთან.

დამდეგდა, ბავშვობა დამთავრდა, მე გავეთხოვდი.

— შემდეგ რა მოხდა?
— ექვსი წელია, რაც შენი მშობლები აღარ არიან. მამა ბევრს სევამდა, ერთ საღამოს საბლში მომავალს მანქანა დაეჯახა და ბოლო მოუღო. სახლში აღარც მოუსვენებიათ, საავადმყოფოდან დაასაფლავეს, ხარჯები იმ მძღოლმა გაიღო.

— დედა?
— იმას ერთხელაც არ მოუკითხავს მამაშენი. ბოლო დროს ვერავის ვეღარ სცნობდა, მხოლოდ შენ არ გივიწყებდა.

— როგორ დაიღუპა?
— არ ვიცი, მასთან აღარაფერს დადიოდა, მეზობლები ანედიდნენ ლუკმაპურს.
— შენ?

— მეც იშვიათად მივდიოდი, ასე ყოფილა მონყობილი ადამიანი, ყველა შეეჩვია შენს არყოფნას.

— ბიჭები?
— არავენ, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყვეს მეზობლებმა, რომ მომკვდარიყო, ზაფხული იყო. სუნით.

გაიბუღლამ ორივე ხელი სახეზე აიფარა.

— შემდეგ? — თქვა მოგუდული ხმით.
— მამაშენის გვერდით დაასაფლავეს, ამჯერად თქვენმა კარის მეზობელმა გაიღო ხარჯები და ბინაც მან მიისაკუთრა.

— სად დაასაფლავეს ისინი?
— მუხათგვერდის სასაფლაოზე.
— ეგ სად არის?
— ქალაქგარეთ.
— იცი მათი საფლავი?
— არა.

— ვაჟამ?
— არც ვაჟამ, მაგრამ მოძებნა მაინც არ გაგაჭირდება, სასაფლაოზე ეცოდინებათ.

— ჩემი მშობლები ასე უპატრონოდა არ უნდა ნასულიყვნენ.

– მართალი ხარ, მაგრამ მაინც ასე მოხდა. ცხოვრება გაძნელდა, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ჩვენს გულებში სიცივე დაიბოუდა.

– ძალიან უბრალოდ მიხსნი ნელი.

– რა ვენა, სიმართლე ასეთია, ბევრი რამ შეიცვალა.

– შემდეგ რა მოხდა?

– შემდეგ ომი დაიწყო, ჩვენი სახლი დაინვა, ასე მოხვდით სასტუმროში.

– სად არის ვაჟა?

– არ ვიცი, ჩვენ ერთად აღარ ვცხოვრობთ.

– რატომ?

– ვაჟა ნარკომანია, ჩვენ აღარ ვჭირდებით.

– ვინ ჩვენ?

– მე და ჩვენი შვილები. ჩვენ ორი გოგონა გვყავს, ისინი შვიდი და რვა წლისები არიან, ახლა სკოლაში წაიღებენ.

– შენზე მიაბამე, როგორ ცხოვრობდი ეს წლები?

– ჩემზე რა გიაბო, მართალი გამოდგა ჩემი სიტყვები, შენს მეტი ვერავისთან ვიქნებოდი ბედნიერი. ვაჟასთან ცხოვრება მეტად მძიმე იყო, მაგრამ გოგონების გულისთვის უფრო მეტსაც ავიტანდი, შემდეგ სახლი დაგვეწვია, სასტუმროში ორი პატარა ოთახი მოგვცეს. ვაჟამ ერთი ოთახი კაპიკებში დაუთმო სხვას. მე და ჩემი გოგნები ამ ოთახში დავრჩით. ვაჟა ახლოს აღარ გვეკარება. მისი გონება მხოლოდ წაშლით არის დაკავებული.

– რითი ირჩენ თავს?

– ნუ გამახსენებ, თუმცა შენც ნახე, სასტუმროში დერეფნებს და კიბეებს ვრეცხავ, ასე ვშოულობ პურის ფულს, ცოტას მთავრობა მეხმარება. აუტანელია ასეთი ყოფა. გოგონები რომ არა, ერთი დღეც არ ვიცოცხლებდი თავს. ძველი სილამაზე მაინც შემრჩენოდა, მეძავობას დავინწყებდი. ვის ვჭირდები ასეთი, ქურები ანგელოზებივით გოგონებით არის სავსე.

– ნელი, – მძიმედ ჩაილაპარაკა გაიბულამ.

– ნუ გიკვირს, თბილისში ბევრი რამ შეიცვალა, მეძავობა პრესტიჟულ საქმედ ითვლება, მშვიერი მაინც არ ვიქნებოდი, ნუ მალაპარაკებ, – ამოიკვნესა ნელიმ, – ისედაც ცოცხალმკვდარი ვარ, რისთვის მოხვედდი ჩემთან?

– მე ვაჟასთან მოვედი.

– ჩემთან არ მოხვიდოდე?

– როდესაც შენს მკერდს ვეხებოდი, მოვიდოდე, მაგრამ შენს ცხოვრებით ვმაცოფლდით – არა. ცამეტი წელიწადი დიდი დროა, მე არ მქონდა იმის პრეტენზია, რომ მთელი ცხოვრება ჩემს ლოდინში გაგეტარებინა, მაგრამ ჩემი მშობლები ასე არ უნდა ნასულიყვნენ, მათი საფლავი მაინც უნდა გცოდნოდა.

– დამნაშავე ვარ, პატიებასაც არ გთხოვ, რა აზრი აქვს, – თვალი აარიდა ნელიმ.

– შენს შესახებ მითხარი რამე, სად იყავი ეს წლები. რატომ არ მომანდინე ხმა, ყველაფერი სხვაანაირად იქნებოდა, – და არღვია ნელიმ ჩამოვარდნილი სირუშე.

– არ შემეძლო.

– სად იყავი.

– არ ვიცი, არ მახსოვს.

– ქართულად რატომ არ ლაპარაკობ, ხომ არ დაგავიწყდა?

– არა, ყველაფერი კარგად მესმის, უბრალოდ გადავიწვიე, რუსულადაც მიჭირს.

– რა ენაზე ლაპარაკობ?

– ენა რამდენიმე ვიცი, ინგლისური, ფრანგული და კიდევ სხვაც.

– ცოლ-შვილი თუ გყავს?

– არა.

– რამდენჯერ წარმომიდგენიხარ ოცნებაში, მაგრამ ახლა გიყურებ და ვხვდები, რომ ჯობდა, სულ არ მოსულიყავი, მაშატიე, – აკანკალებული ხმით თქვა ნელიმ, – შენმა მოსვლამ ყველა მიძინებული ტკივილი გააცოცხლა. ახლა რას აპირებ, თბილისში დარჩები?

– არა.

– რატომ?

– აქ არავინ არის, ვისი გულისთვისაც დარჩენას მოვისურვებდი. მხოლოდ მშობლების საფლავს მოვინახულებ, შემდეგ გავემგზავრები.

– სად?

– ქვეყანა დიდა.

– მართალი ხარ, აქ არავინ არის შენი ყურადღების ღირსი, – შეფარვით შეხედა ნელიმ მის მდიდრულ ჩაცმულობას.

– რას ისურვებდი, ნელი?

– ვერ გავიგე? – დაუბრუნა კითხვა.

– რას ისურვებდი ახლა, ამ წუთას?

– მხოლოდ ერთს, არ ყოფილიყო ის ცამეტი წელი.

– ეგ ილუზიაა, მე კი რეალურს გვითხები, რისი ასრულებაც შესაძლებელია.

- რატომ შეკითხები?
 - მოპასუხე, ნელი.
 - არ ვიცი, მე უკვე არაფერი მინდა, ხომ ზედავ შეძავობაც სანატრელი გამიხდა, გოგონები მეზრდება, მათი მომავლი შემინია, ლამაზები არიან, რა ელით ასე უსახლკაროდ დარჩენილებს, კარგს რას ნახავენ ამ სასტუმროში. ბინა რომ მქონდეს და ცოტაოდენი ფული, მათი მომავლის შიში აღარ მექნებოდა. მათი ბედნიერებით მეც გავიზარებდი, რისთვის მალაპარაკებ, საკმარისია ერთი დღისათვის, - ისევე ატირდა ნელი.

- ასე ძნელია დღევანდელ თბილისში ბინის ყიდვა?

- ვისთვის როგორ, ჩემთვის წარმოუდგენელია, სხვისთვის არ ვიცი.

გაიბულამ ჯიბიდან ტყავის ტომსიკა ამოიღო, თასმით შეკრული პირი გაუხსნა და მაგიდაზე გამჭვირვალე, ბრჭყვიალა კენჭები წამოყარა. მზის სხივებში ნაირფერად აციმციმებულმა ქვებმა მამინევე მიაბეჭდრეს ნელი, რა იყო მის წინ.

- ეს ხომ ბრილიანტებია, - თქვა გაოცებული სახით.

- ბრილიანტებია, - გულგრილად უპასუხა გაიბულამ, - აილე რამდენიც გინდა.

ნელიმ დაბნეული გამომეტყველებით აიღო ერთი ბრილიანტი.

- ეგ ყველაზე პატარაა, - უკმაყოფილოდ თქვა გაიბულამ.

- არ შემიძლია, - ამოიკენესა ნელიმ და ბრილიანტი ცხელი ნაკვერჩაბლივით გააგებო ხელიდან.

- შეურაცხყოფას მაცენებ.

- რატომ? მე არა ვარ შენგან ამის ღირსი, რისთვის მაძლევ ამ ქვას?

- ეს მართლაც ქვაა და მეტი არაფერი, არ ვეჩყინოს, რომ შენთვის ამის მეტი არაფრის მოცემა არ შემიძლია, მაგრამ რამდენიმე წუთის წინ შეძავობას ნატკობდი, შენთვის უცნობი მამაკაცი-საგან საარსებო ფული რომ მიგელო, ჩემგან კი ამ ქვის მიღება არ გსურს. შენი

საქციელით იმ მამაკაცზე დაბლა მაცენებ.

ნელიმ ხმისამოუღეს და ბრილიანტი.

- ეგ ყველაზე პატარაა, - განაგრძო გაიბულამ, მაგიდაზე გაფანტული ოცნოდე ბრილიანტიდან ხუთი ყველაზე მოზრდილი ამოარჩია და ხელში ჩაუდო ნელის, - ძნელი ხომ არ არის მათი გაყიდვა?

- არა, იცი რა ღირს ეს ქვები? ეს ხომ უზარმაზარი თანხაა, თითო ეს ბრილიანტი სამ კარატზე ნაკლები არ იქნება.

- შენ და შენ გოგონებს გეყოფათ.

- რისთვის იქცევი ასე, მე მჩუქნი ამ ბრილიანტებს თუ ცამეტი წლის წინ დაშორებულ ნელის?

- ცამეტი წლის წინ დაშორებულ ნელის ეს ბრილიანტები არ სჭირდებოდა. ამას შენთვის და ჩემთვის ვაკეთებ.

- შენ ასე მდიდარი ხარ?

- ეს სიმდიდრე არ არის, მაგ სიმდიდრის უკან ცამეტი წელიწადი დგას, რომელიც არანაირად არ შეუასდება.

- სად იყავი ეს წლები?

- ხომ გითხარი, არ მახსოვს, - ფეხზე წამოდგა გაიბულამ.

- მიდიხარ? აღარ მოხვალ ჩემთან?

- აქ აღარ მოვალ, არ მინდა შენი ამ ოთახში ხილვა.

- სასახლეში რომ ვიყო, რა შეიცვლებოდა?

- შენში არაფერი, მე კი მეცოდინებოდა, რომ თუნდაც ერთ ადამიანს მოუუტანე სიკეთე ჩემი დაბრუნებით. სანამ ბინას არ შეიძენ და არ მოეწყობი, მე არ გავემგზავრები.

- მეტი არაფერი?

- არაფერი.

- ვაფას ნახვა აღარ გინდა?

- რისთვის? უმჯობესი იქნება, თუ საერთოდ არ ეტყევი ჩემს შესახებ, - სწრაფად თქვა გაიბულამ და სანამ ნელი გონს მოეგებოდა, ოთახიდან გავიდა.

2.

მშობლების უკანასკნელი ადგილსამყოფელის აღმოჩენა არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. ერთმანეთის გვერდით მჭიდროდ ჩამწკრივებულ საფლავის ქვებსა და მესრებს შორის მიკარგული საფლავი, ექვსი წლის განმავლობაში საერთოდ შეუმჩნეველი გახდა.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოახერხეს სასაფლაოს თანამშრომლებმა ოხლად მიტოვებული მიწის ნაგლეჯის მოძებნა. თანადრიგანი მეზობლებს საკუთარ მიცვალებულთა საფლავის მესრები ისე გადმოეწიათ, რომ მისი მშობლების საფლავი სანახევროდ მათ შიგნით აღმოჩნდა მოქცეული.



გაიბულამ დაპირებული თანხა უხმოდ მიან უდა და მხმარე მუშას და მარტოდ დარჩენილი, მძიმედ ჩამოჯდა ბაზალტით მოპირკეთებულ დაბალ კიბეზე.

რა გაჭირვების მწახველი არ იყო ცხოვრებაში, რა აღარ მგომხდარა მის თვალწინ, მაგრამ ისეთი მძიმე შთაბეჭდილება, როგორც უპატრონოდ მიტოვებულმა მინის ნაგლეჯმა აღუძრა, არაფერს დაუტოვებია.

ასე ჯაჭვივით ყოფილა ჩვენი ცხოვრება ერთმანეთთან დაკავშირებული — გაიფიქრა თავისთვის. ჩემი ნასვლით ისინიც ნაფინდენ და მინის ამ უპატრონო და მოუვლელი ნაგლეჯის მეტი მათგან არაფერი დარჩა. ჩემი დაბრუნებითაც არაფერი შეიცვლება. რა თქმა უნდა, შემიძლია ამ საფლავების მსგავსად მოვანყო და მოვრთო მათი საფლავი, მაგრამ რისთვის? რა აზრი აქვს?

თუმცა მე მათი სურათიც კი არა მაქვს, — გაუბრძინა გონებაში საფლავის ქვეშე გამოსახული სურათების თვალში მოხვედრისას.

რისთვის დაებრუნდი აქ. აქ, სადაც აღარაფერ აღარ მელიოდა. მათი ნასვლით ყველასაგან მოწყვეტილი დაერჩი. ყველასთვის სულ ერთია ჩემი ყოფნა-არყოფნა, მე დაეიკარგე, მორჩა და გათავდა, ამით დამთავრდა ყველაფერი. აღარ არიან დედა, მამა, აღარ არის წელი და ძველი სიყვარული, ვაჟა, ბავშვობის მეგობრები, თვითონ ბავშვობა, აღარაფერი აღარ დარჩა, მხოლოდ ნაადრევად დაბერებული წელი და მინის უპატრონო ნაგლეჯი.

არავის ვჭირდები, ისევე მარტო დაერჩი, მაგრამ ახლა თავისუფალი ვარ, სრულიად თავისუფალი, არაფერ და არაფერი არ მზღლუდავს თვით ნარსულის მოგონებები და მინის ეს ნაგლეჯიც კი.

დედა, მარტო დედა დარჩა ბოლომდე ჩემი ერთგული, ისევე დედას დაუბრუნდა მისი ფიქრები.

მამა გალოთდა. კაცს არ უპატოებია ასეთი სისუსტე. იმისთვის რომ დედას ამოსდგომოდა მისი ნასვლის მიუჯდა. დედამ არ მილაღატა, ბოლომდე ერთგულებით მელიოდა. როდესაც დარწმუნდა, რომ მე არ მოვიდოდი, თვითონ ნამოვიდა იმქვეყნად, ჩემს საძებნელად არ იცოდა საწყალმა, მე რომ ცოცხალი ვიყავი და ყოველ წამს მასთან დაბრუნებაზე ვოცნებობდი.

მე მაინც დაებრუნდი, მაგრამ დედა აღარ არის, არაფერ აღარ არის, მეც აღარ ვარ. ცამეტი წლის წინ აქედან სულ სხვა ადამიანი ნავიდა და ახლა სულ სხვა დაბრუნდა. შეგონა, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა, მაგრამ უკვე ვხვდები, რომ მე აქ ვერ ვიცხოვრებ. აქაურობა უცხო გახდა ჩემთვის. ცამეტმა წელიწადმა უკვალოდ ნამალა ჩემი ქართველობა და თბილისელობა. ამდენი წლის შემდეგ მშობლიურ ენაზე ლაპარაკის სურვილიც კი არ გამჩენია. ის, რაც ჩემს წარსულთან დაკავშირებას შესძლებდა სასტუმროს პატარა ოთახშია, ნაადრევად დაბერებული და მინის ამ ნაგლეჯშია ჩაფლული. ამ მინაში მარტო ისინი არ დამარხულან, მეც აქ ვარ დაფლული, მე კი არა, ის, ვინც ცამეტი წლის წინ ნავიდა აქედან, თბილისელი ბიჭი, გარსევან ხომერიკი, ის არის ამ საფლავეში დამარხული, მე კიდევ სხვა ვარ. ადამიანი, რომელიც არ არსებობს, სახელიც კი არ გააჩნია: გაიბულა, სახელი, რომელიც ტამკენ ტკი შემარქვეს. მანამდე კი სახელიც არ მქონდა. არაფერი არ მქონდა, არც ვარსებობდი. სამაგიეროდ, ახლა მაქვს ყველაფერი, მე თავისუფალი ვარ და მნიშვნელობა არა აქვს, რა მერქნევა. გაიბულა, დარჩეს ასეც, იმ დრომდე, ვიდრე გაიბულაც გარსევანივით არ გაქრება.

ძლიერ შეცვლილმა, მაგრამ მშობლიურმა ქალაქმა მაინც ძალუმად მიიზიდა თავისკენ. გაიბულამ ძველ უბანში, თავისი ყოფილი საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს იკირავა პატარა, მაგრამ კარგად მოწყობილი ოროთახიანი ბინა. ძველმა უბანმა თავისთავად გამოაცოცხლა მასში ბავშვობის და სიყვარულის მივიწყებული სურათები, რომლებიც ახლო

ნარსულის კომპარულ მოგონებებში აითქვიფა და ორივემ ერთად საერთოდ დაუკარგა ისედაც შერყეული სულიერი ნონასწორობა. მარტოობით და ნარსულის სურათებით შენუხებულმა, რამდენჯერმე გადაწყვიტა წელის მონახულება, მაგრამ სასტუმროს უბადრუკი ოთახის გახსენებამ მაშინვე უარი ათქმევინა ჩანაფიქრის აღსრულებაზე.



მყუდრო ბინაში განდევნილი ვიყავი, გარეთ მხოლოდ საღამოობით გამოდიოდა, შორიანხლოს შერჩეულ კაფეში სავაზიმოდ, იქ გვიანობამდე რჩებოდა. კაფეს მხოლოდ დაკეტვის შემდეგ ტოვებდა, რამდენიმე საათის განმავლობაში ლამის ქუჩებში სეირნობით ჰქლავდა დროს და სახლში მხოლოდ გამთენიისას ბრუნდებოდა. ასე გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში, ვიდრე...

ახალი მოსალამოვებული იქნებოდა, როდესაც ნაცნობ კაფეში შევიდა, ვახშამად ტკბილეულობა და უშაქრო ჩაი შეუკვთა. მაგიდას მიუჯდა და დროის გასაყვანად დარბაზში მყოფი ხალხის თვალჩინებას შეუდგა.

ოფიციალტმა სწრაფად შეასრულა შეკვეთა. გაიბულამ გასინჯა თუ არა, უკმაყოფილო სახით გადადო გვერდით ნამცხვარი, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო უგემური გამოდგა. სამაგიეროდ ჩაი დაიმსახურა მისი მოწონება. ერთი ფინჯონი შემდეგ ოფიციალტს შეკვეთა გაამორბინა და გულგრილი სახით ისევ მაგიდების გარშემო შემომსხდარი ხალხის თვალჩინება გააგრძელა. მოულოდნელად მისი მზერა დარბაზში შემოსულ, ახალგაზრდა, იშვიათი სილამაზის ქალს გადააწყდა. ერთი შეხედვით სადად, თურთ ლაბადასა და მთლიან, მოკლე, შავ კაბაში გახშირებული, რომელიც კიდევ უფრო ხაზგასმით აჩენდა შავი წინდებით დაფარული მაღალი ფეხების სილამაზეს, თავისუფალი და ამავე დროს დაბუნელი მოძრაობით, მაღალი ყელით, სათუთი სახის კანით, უზომოდ ღრმა, ლურჯი თვალებით და წელამდე ჩამოშლილი მუქი ჩაღისფერი თმებით, რომლებსაც რაღაც უცნაური ფერფლისფერი ბზინვარება დაჰკრავდა, დაფოფლურ, რაღაც არამიწიერ სილამაზეს წარმოადგენდა.

თავის მხრივ ქალმაც შენიშნა მისკენ მიმართული მზერა და ქალური ცნობისმოყვარეობით დააკვირდა მაგიდასთან მარტო მყოფი მამაკაცის ბრინჯაოსფერ სახეს.

გაიბულა მონუსხულივით მოშორდა მაგიდას, ქალს მიუახლოვდა და თავის მაგიდასთან მიინეია.

ქალმა თავის უხმო დაქნევით მიიღო მონევა, მკლავზე გამოდებულ მარჯვენას ძალდაუტანებლად დაჰყვა და მაგი-

დასთან მიახლოვებისთანავე შეუთავაზებლად დაეშვა სკამზე.

— მე ინგა მქვია, — ნამსწრე წაქმნილ მცრე პაუზის შემდეგ.

- გაიბულა.
- არასოდეს მსმენია ასეთი სახელი.
- უზბეკი ვარ.
- არ გავხარო.
- ბევრს იცნობთ უზბეკს?
- არც ერთს, თქვენ პირველი ხართ, — გაიცინა ინგამ.

- ლამაზი სახელი გაქვთ, მომწონს.
- სამაგიეროდ თქვენი სახელი ღღერს ჩემთვის უცნაურად, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თქვენს სახელს ქართული ინტერპრეტაცია რომ მიეცე.
- სცადეთ.

- გაიბულა, გაბრიელი, გაბო, მოგწონთ გაბო, შეიძლება ასე გინოდოთ?
- იყოს გაბო, არაფერი მაქვს სანინაღმდეგო.

- სტუმრად ხართ თბილისში?
- სტუმრად, მაგრამ მალე ვაპირებ გამგზავრებას.
- სანყენია, — გულწრფელად თქვა ინგამ.

- რამდენი ხანია, რაც აქ ხართ?
- ორი კვირაა.
- ხშირად შემოდიოდით ამ კაფეში?
- ყოველდღე, უფრო სწორად, ყოველ საღამოს.

- უცნაურია, აქ მეც თითქმის ყოველდღე შემოვდივარ, არასოდეს მინახიხართ.
- ყოველთვის ამ მაგიდასთან ეჯდები.
- არ მინახიხართ, დაგიმახსოვრებდით.

- არც მე, თქვენი დავინყება შეუძლებელია, — გულწრფელად თქვა გაიბულამ.

ინგამ მომხიბვლელი ღიმილით უპასუხა და მაგიდაზე უხვად გაშლილ ტკბილეულობას გადახედა.

- ვინმეს ელოდებით?
- არა, ყოველთვის მარტო ვვახშმობ.
- ეს ტკბილეული თქვენი ვახშამია და მარტო აპირებთ მასთან გამკლავებას? — გაიცინა ინგამ.

- არა, ამ ტკბილეულს არ შეეჭამ, უგემურია, — თავი გაიქნია გაიბულამ.
- რატომ, ამ კაფეში ყოველთვის გემრიელ ტკბილეულს ამზადებენ.

- თქვენ ნამდვილი, აღმოსავლური ტკბილეული არ გიგემიათ.

— ამაში მართალი ბრძანდებით, ალბათ მართლაც ვერ შეედრება.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამაკაცების ყურადღებიან და აღტაცებულ მზერას მიჩვეული ინგა ვერ უძლებდა გაიბუღას უდაბნოს მზესავით მწველ გამოხედვას. ამავე დროს ქალური ინტუიციით ხედებოდა, რომ მის წინ მყოფი მამაკაცი უბრალოდ ქალის გარდა, კიდევ რაღაცას ხედავდა მასში, მაგრამ რას, მისთვის ასევე აუხსნელი დარჩა, როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ მის წინადადებაზე მიცემული თანხმობის მიზეზი.

— რისთვის მომინებთ თქვენს მაგიდასთან? — დაარღვია სიჩუმე ინგამ.

— თქვენთან ცხოვრება მინდა, — მშვიდად უპასუხა გაიბუღამ.

— ვერ გავიგე, — დაიბნა ინგა.

— თქვენთან ცხოვრება მინდა, — კვლავ მშვიდად გაიმეორა გაიბუღამ.

— თქვენ გინდათ, ჩემთან გაატაროთ ერთი ან რამდენიმე ღამე, სწორად გავიგე თქვენი აზრი? — აღმოფთვებული ტონით თქვა ინგამ.

— დიახ, თქვენ სწორად გავიგეთ ჩემი სიტყვების აზრი.

— და ამას მეუბნებით რამდენიმე წუთის წინ გაცნობილ ქალს, უცნაური ხომ არ არის თქვენი საქციელი, — ბრაზი მოერია ინგას, — იქნებ ჯერ დაინტერესებულიყავით ჩემი ოჯახური მდგომარეობით, იქნებ მე გათხოვილი ვარ, ან მეგობარი მამაკაცი მყავს, რომელსაც პირველ შემხვედრში არ გაცვკლი.

— მე ყველა ქალს ასე ვეუბნები.

— და როგორ პასუხს ღებულობთ?

— ჯერჯერობით უარი არ მიმიღია, — უპასუხა გაიბუღამ.

ინგამ ძაღვით მოიკრიბა და გააკეთა ის, რისთვისაც ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში შინაგანად ემზადებოდა. მზერა გაუსწორა გაიბუღას მცხუნვარე გამოხედვას. მამაკაცის თვალები მშვიდი, მოწონებით აღსავსე მზერით შეეგებნენ. ეს იყო ინგასათვის უცნაური გამოხედვა, არასოდეს არ განუცდია ისეთი გრძნობა, რომელიც იმ წუთებში დაეუფლა. თვალები ხომ ადამიანის სულის სარკეა და მართლაც ყველაფერი იყო ამ გამოხედვაში, აღტაცებაც, აღერსიც, ტკივილიც და კიდევ რაღაც, რისი აღქმაც ინგამ ვერ

შეძლო, მაგრამ ამ გამოხედვაზე მარჯვრ შენიშნა უტიფრობის უმდევლობის ან დაცინვის თუნდაც ერთი მისხალი. მზერა უშფოთველი და სუფთა იყო. მისი პატრონი კი, მართლაც იმას ამბობდა, რაც სურდა და სრულიადაც არ თვლიდა თავის სურვილს უღირსად, ან სამარცხეულოდ.

— არც ახლა მიიღებთ უარს, — თავისდაუნებურად წარმოთქვა ინგამ ხმადაბლა, — ხომ არ გიკვირთ ჩემი პასუხი?

— მიკვირს, ქართველი ქალისაგან რომ ვისმენ ამ პასუხს, სხვისგან არ გამიკვირდებოდა.

— გამოდის, რომ თქვენ დადებითი პასუხის იმედი არ გქონდათ და მაინც გამანდეთ თქვენი სურვილი, — გაუკვირდა ინგას.

— არ მქონდა, მაგრამ თავს ვერ მოვერიე, — უპასუხა გაიბუღამ.

— მომწონხართ, — ღიმილით თქვა ინგამ.

— ეს უკვე მეორედ გამაკვირვებ.

— რით? — გაუკვირდა ინგას.

— არც ერთ ქალს არ უთქვამს ჩემთვის, რომ მოვწონვარ.

— რატომ? საკმაოდ სიმშაბათიური ხართ.

— ალბათ, ზედმეტი იყო, ქალის სურვილი ვადამწყვეტ როლს არ თამაშობდა, მოვწონდი თუ არა, მაინც ჩემი იქნებოდა.

— ძალადობით?

— არა, ასეთი არასოდეს მომხბობა.

— უცნაურია.

— შეიძლება, მაგრამ იქ, სადაც მე ვცხოვრობდი, ეს რიგითი ამბავია.

— აქ ასე არ არის.

— ვიცი და იმიტომაც გამიკვირდა თქვენი პასუხი.

— ნაიღეთ აქედან, — მოულოდნელად შეცვალა ინგამ ლაპარაკის თემა.

— რატომ?

— აქ ბევრი ჩემი ნაცნობია.

— ჩემ გვერდით უხერხულად გრძნობთ თავს?

— არა, სხვა მიზეზი მაქვს.

— ნაიღეთ, მაგრამ სად?

— მე ნაგიყვანთ ერთ ადგილას.

— არ მინდა შთაბეჭდილება გავიფუტოთ, მე არ ვიცი თქვენებური დროსტარება.

— მაინც ნაიღეთ, — ღიმილით თქვა ინგამ და ფეხზე წამოდგა.



ინგას შერჩეული ადგილი მართლაც მოენონა გაიბუღას. პატარა, უფრო ოთახში, ვიდრე დარბაზში ოთხი მაგიდა იდგა. მათგან მხოლოდ ერთი იყო დაკავებული. მუქი ფერებით შეღებილი კედლები დამამშვიდებლად მოქმედებდნენ და რალაცნაირ ოჯახურ ელფერს სძენდნენ მყუდრო, სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახს.

— მიყვარს აქ ყოფნა. ყოველთვის ნყნარი ატმოსფეროა, ხმაურისმოყვარული ხალხი არასოდეს შემოდის აქ, შენ თუ მოგონს? — ხმადაბლა თქვა ინგამ.

გაიბუღამ უხმოდ დაუქნია თავი.

— მართლაც ნყნარი ადგილია, — დაუმატა შემდეგ.

— ამ საღამოს მასპინძელი მე ვარ, რა შეუქვეითო? — ჰკითხა ინგამ.

— ჩემთვის სულერთია.

— რომელი სასმელი გირჩევნია?

— მაგარი და უშაქრო ჩაი.

— სპირტიანი?

— სპირტიანს არ ვსვამ.

— საერთოდ? — გაუკვირდა ინგას.

— საერთოდ.

— არც ახლა აპირებ დაღევას?

— არა. შენ რაც გინდა, ის შეუქვეითე.

ინგამ დახლის უკან მყოფი ქალი მოიხბო. ალუბლის ლიქიორის და მოკოლადის მოტანა სთხოვა. ბელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, გრძელ თითებში ლამაზად მოიქცია და სანთებელით მოუკიდა. გაიბუღას სახეზე უკმაყოფილო ჩრდილმა გაირბინა.

— შენ არ ენევი? — ჰკითხა ინგამ.

— არა, — მოკლედ მოუჭრა გაიბუღამ.

— არც სვამ, — დაუმატა ინგამ პაუზის შემდეგ. — ალბათ, არ მოგონს, მე რომ ენევი?

— არ მომწონს.

ინგამ ნელა ჩაჭყლიტა სიგარეტი საფერფლეში. მომტანმა მაგიდაზე შე-

კვეთილი ლიქიორი და მოუჭრა ინგამს ნყ.

— ჩაის თუ მოგვიმზადებთ? — გაახსენდა ინგას გაიბუღას შეკვეთა.

— ჩაის? — გაუკვირდა მომტანს.

— დიახ, ჩაის.

— მოგიმზადებთ.

— ოღონდ მაგარი და უშაქრო უნდა იყოს. მომტანის ნასვლის შემდეგ მაგიდასთან კელავ სიჩუმე ჩამოვარდა. უშედეგო ლოდინის შემდეგ ინგამ თვითონ გახსნა ლიქიორის ბოთლი და სქელი სითხე ჭიქებში ჩამოასხა.

— მომიყვი რამე შენს შესახებ, — სთხოვა ინგამ ჭიქის გამოცლისთანავე.

— რა უნდა მოეყვი, — ჩაფიქრდა გაიბუღა.

— ყველაფერი მაინტერესებს.

— ჩვეულებრივი ცხოვრება მქონდა, არაფერი მაქვს მოსაყოლი.

— ცოლი თუ გყავს?

— არა.

— მშობლები?

— არა.

— და-ძმა?

— არავენ, ბავშვთა სახლში ვარ გაზრდილი, შეიძლება უზბეკიც არა ვარ და ჩემს ნამდვილ გეარს არ ვატარებ.

— აქ ვისთან ჩამოხვედი? — მაშინვე შეცვალა ინგამ უსიამოვნო თემა.

— საქმეები მქონდა, ნაცნობებთან ჩამოვედი, ისინი კი აქ არ დამხვდნენ.

— საქმოსანი ხარ?

— დაახლოებით.

— ძნელია შენთან ლაპარაკი.

— რატომ?

— არ ვიცი, ალბათ, სხვანაირ ურთიერთობას ვარ მიჩვეული.

ოთახი სასიამოვნო მელოდის პანგებით შეივსო.

— მაცეკვე, — ხმადაბლა სთხოვა ინგამ...

გაიბუღას მკერდზე მიყუჩებული ინგა მტკივნეულად განიცდიდა ყოველი წამის გასვლას. თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალ მამაკაცთან ჰქონია ურთიერთობა, ბევრი მათგანის სახელიც კი აღარ ახსოვდა, მაგრამ ასე, რამდენიმე საათის წინ გაცნობილ მამაკაცთან, თავისივე სურვილით არასოდეს გაუტარებია ღამე, თანაც ვისთან, თბილისში ორიოდე კვი-

რით ჩამოსულ გადამთიელთან, რომლის ვინაობაც კი არ იცოდა. ახლა კი შიშით ელოდება მის გაღვიძებას, იმის შიშით, რომ მასთან გატარებული ღამის შემდეგ გაიბუღა მშვიდად გაიკეტავს ბინის კარებს და ამით დამთავრდება ყველაფერი. შინაგანად გრძნობდა, რომ ეს მისთვის აუნაზღაურებელი ტკივილის ტოლფასი იქნებოდა. რალაც იყო ამ ბრინჯაოსფე-

რსაზიან, ჩაკუნთულ ვაჟაკეში ისეთი, რაც არც ერთ მის ნაცნობ მამაკაცს არ გააჩნდა და ამავე დროს თვითონაც ვერ ზედებოდა, რა იყო ეს, რამაც ასეთი ძალით მიიზიდა მისკენ.

გაიბუღას ღრმად ეძინა. დიდი ხანია, რაც ასეთი მშვიდი ძილი აღარ ჰქონია. მაგრამ სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელბულა. სმენას შორეული ხმები მისწვდა. ხმები კარგად ნაცნობია, ახალი და უჩვეულო არაფერი არ არის. ბრძოლის ჩვეულებრივი გუგუნი, გასროლები, აფეთქებები, მებრძოლთა შეძახილები. გონებაში კინოკადრივით გარბიან ნარსულის სურათები.

... ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოქცეული მცირერიცხოვანი რაზმი ბრძოლით იხვეს უკან. რაზმის ბოლოში სირძლით მომავალ მებრძოლს ავტომატი ხელიდან დაუვარდა, დაჭრილი უგონოდ დაეშვა მიწაზე. თანამებრძოლები დროს არ კარგავენ. ერთ-ერთმა მათგანმა აულელეუბლად მოულო ბოლო დაჭრილს და წინ ნასულ თანამებრძოლს აედევნა.

როგორმე კიდევ უნდა გაძლონ. გორაკებს მიღმა ვერტმფრენის გუგუნი ისმის, ის სიციცხლა. მანამდე კი შეიძლება ნებისმიერი მათგანი აღმოჩნდეს სიკვდილის კლანჭებში. თუმცა ესეც ნაკლებად აღელვებთ. ამ რაზმის მებრძოლებისათვის სიკვდილი უშიშვნელო შემთხვევაა. ისინი იმარჯვებენ ან იღუპებიან. დღევანდელი უკანდახვევა მათთვის გამარჯვების ტოლფასია. დარჩა მხოლოდ ვერტმფრენამდე მიღწევა. იქამდე კი ყველა თავის ფეხით უნდა მივიდეს. ვისაც ფეხზე ფეხი და ბრძოლა არ შეუძლია, ის მკვდარია. ეს ყველა მათგანმა კარგად იცის.

გორაკები უკან რჩება. ფართო მინდორზე ორი ვერტმფრენი დაეშვა. მებრძოლების ნაწილი ვერტმფრენების მიმართულებით გარბის, მეორე ნაწილი მათ უკანდახვევას იცავს. ერთი ვერტმფრენი ცაში აიჭრა, წრე გააკეთა და მდევარს ცეცხლი გაუხსნა.

— ვერტმფრენში! — ესმით მიწაზე დარჩენილებს მეთაურის ყვირილი.

გაიბუღას გვერდით მყოფი მებრძოლი ყრუ კვნესით დაეშვა მიწაზე. მოსორებით მყოფი თანამებრძოლები ვერ ამჩნევენ მის მკერდზე გაჩენილ ჭრილობას. რაზმის დაუნერვლი კანონებით გაიბუღა ვალდებულია ნურტილი

დაუსვას მის ნვალბებს, მაგრამ დაჭრილისათვის მოულოდნელად ავტომატი მარცხენა ხელში გადართქმნა. მწერში ამოუდგა და ვერტმფრენისაკენ წაიქცა.

— რას შერები? — ჩაესმა დაჭრილი მებრძოლის გაოცებული ხმა, — თავი გამანებე, ორივეს მოგვეკლავენ.

გაიბუღამ უპასუხოდ დატოვა მისი სიტყვები. ვერტმფრენის ახლოსაა, რამდენიმე ნაბიჯიც და...

ცეცხლის გუნდად გადაქცეული ვერტმფრენი გრუხუნით დაასკდა მიწას. ელვამ სწრაფად გაანათა მინდვრის კიდეს გამოცილებული მდევართა მრავალრიცხოვანი რაზმი.

გაიბუღა უკვე ვერტმფრენთანაა. დაჭრილი ფრთხილად დაუშვა ლითონის იატაკზე და თვითონაც უკან მიმავლა. მანქანა გუგუნით აიჭრა ცაში.

— მადლობელი ვარ, მორიელო, — ჩაესმა დაჭრილის სიტყვები. მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. მდევრის ცეცხლში მოხვედრილმა ვერტმფრენმა რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიიღო. მებრძოლებმა ღია კარებიდან საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ვერტმფრენი დაჭრილი ფრინველივით დაქანდა მიწისკენ. მფრინავმა მაინც შეძლო დაზიანებული მანქანის დამორჩილება. ვერტმფრენი ცაში აიჭრა, მინდორს გუგუნით გადაუარა და სიბნელეში მიიშალა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია მეთაურმა იატაკზე განოლილი მებრძოლის მკერდზე გაჩენილი ლაქა. ბრაზით წამოწიებული მხერვა გაიბუღას თვალებს ჩააკვდა. გაიბუღამ ამ მხერვამ მხოლოდ მისთვის და დაჭრილისათვის გამოტანილი განაჩენი ამოიკითხა. მარჯვენა სწრაფად მოძებნა ქამარზე ჩამოკიდებული მძიმე პისტოლეტის ტარი. მეთაური კარგად იცნობდა, მუდამ აულელეუბელი, მტკიცე გამოხედვის პატრონს, ისიც იცოდა, რომ სულ მცირე მოძრაობაზე და პისტოლეტის ტარზე შემოსალტული მარჯვენა ელვის სისწრაფით მოვიდოდა მოქმედებაში.

— ვერტმფრენში დაიჭრა? — იკითხა ყრუ ხმით.

გაიბუღამ უხმოდ დაუქნია თავი.

— მისი ბედი, — ჩაილაპარაკა მეთაურმა და თვალი აარიდა.

გაიბუღამ პისტოლეტის ტარს ხელი შეუშვა, ქამრიდან წყლიანი მათარა

მოიხსნა, დაჭრილს თავი წამოუნია და ფრთხილად დააღუკინა.

— მაღლობელი ვარ, მორიელი, — გაიმეორა დაჭრილმა, — მაგრამ არ ღირდა.

ვერტმფრენის თანაბარ გუგუნს უცხო ხმები შეერია. მფრინავი ვაჭირვებით იმორჩილებდა დაზიანებულ მანქანას. ყველა ხედებოდა, რომ მანქანა ეკლარ შეძლებდა მათ სამშვიდობოზე გაყვანას. მხოლოდ ერთის იმედი რჩებოდათ, იქნებ მდეურეებისაგან მაქსიმალურად დაშორება შეძლონ. მფრინავი გამოცდილია, კარგად იცის თავისი საქმე. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც მძიმე ვითარებიდან გამოჰყავდა რაზმის მებრძოლები, მაგრამ ასეთი დანაკარგი მაინც არასოდეს უკონიათ. რაზმის ორმოცეკაციანი შემადგენლობიდან მხოლოდ რვათი გადარჩნენ. თანაც ერთი მათგანი დაჭრილია. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რაზმი დაჭრილი

თანამებრძოლით ბრუნდებოდა ვერტმფრენებიდან.

ამასობაში ვერტმფრენმა საგრძნობლად დაჰკარგა სიმაღლე. გაღებულ კარში მთვარით განათებული წყლის ზედაპირი გამოჩნდა. ვერტმფრენი სანაპიროს მიუახლოვდა. კაბინაში კვამლის აუტანელი სუნი დატრიალდა. მფრინავი დასაშვებ მოედანს ეძებდა. ძრავაში ძლიერი ღრჭიალის ხმა გაისმა, ვერტმფრენი გვერდზე გადაიხარა.

გაიბულამ იცოდა, რომ ძრავის ვაჭირების შემთხვევაში მანქანა გადატრიალდებოდა. ეს კი უეჭველ სიკვდილს უდრიდა. ყველასათვის მოულოდნელად ფეხზე წამოიჭრა, დაჭრილს მხრებში სწვდა და მასთან ერთად გადახტა ღია კარებიდან.

რამდენიმე წამის შემდეგ ამოტრიალებული ვერტმფრენი ხმაშალალი ზატყით ჩავარდა თავთხელ წყალში.

— შემეშინდა, — გულწრფელად თქვა ინგამ, ორივე მკლავი მოხვია და ზურგზე მიეკრა, — ალბათ, ცუდი სიზმარი ნახე.

— მეძინება, — მოღლილი ხმით თქვა გაიბულამ.

- დაიძინე.
- ვერ ვიძინებ.
- გინდა გელაპარაკო?
- მინდა, მაგრამ მენს უნაზე მელაპარაკე.
- რისთვის, შენ ზომ ვერაფერს გაიგებ?

— მომწონს თქვენი ენა, მელაპარაკე, დამამშვიდებს.

— კარგი, რაზე გელაპარაკო?

— სულ ერთია.

— მაშინ ზლაპარს მოგიყვები, — თქვა ინგამ და მცირე პაუზის შემდეგ ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი. გაიბულა თვალეზდახუჭული უსმენდა. ინგა მისი სუნთქვის რიტმის ცვლილებით მიხვდა, როდის დაემშვიდა და მალე ჩაეძინა კიდევ უკვე ძლიერდრულ მისკენ შემობრუნდა, ორივე ხელი მოხვია და მაგრად მიიკრა მკერდზე. ძლიერ მკლავებში მოქცეულმა საოცრად მყუდროდ იგრძნო თავი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, აითქოს მისი სხეულის ირგვლივ შემოსაღებული მკლავები ყველა ამქვეყნიური უსიამოვნებისაგან იცავდნენ. მძინარეს ფრთხილად აკოცა, მის მკერდზე მოხერხებულად მოეწყო და თვითონაც მშვიდად დაიძინა.

ინგა აღელვებული სახით ადევნებდა თვალს გაიბულამ მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ გაღვიძებას მაინც ვერ უზბდავდა. ამასობაში კი მისი ბრინჯაოსფერი სახე ოფლის მსხვილი წვეთებით დაიფარა, ძლიერი თითები მუშტებად შეეკრა, მკლავებზე ძარღვები დაებერა. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გაიბულა სწრაფი მოძრაობით, თითქმის ნახტომით წამოიჭრა სანოლიდან და დაძაბული მხერით მოჩხრიკა ჩაბნელებული ოთახი. ინგა დასამშვიდებლად ფრთხილად შეუბო მარზე, მაგრამ მის გასაოცრად შეხებამ სრულიად სანინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ელვის სისწრაფით შემობრუნებული გაიბულა, ფოლადივით მტკიცე მარჯვენით სწვდა ყელში. ინგა თავზარდაცემული შესცქეროდა მისი თვალებიდან მომზირალ გულგრილ მკვლელს. უკანასკნელ წამს მხოლოდ ერთმა აზრმა გაურბინა გონებაში, ცოტაც და ძლიერი მარჯვენა უსულო სხეულად აქცეულდა.

— გაბო, — ვაჭირვებით ნარმოთქვა სუნთქვაშეკრულმა.

მისმა ხმამ დამამშვიდებლად იმოქმედა, გაიბულას სახეს უწინდელი გამომეტყველება დაუბრუნდა, ინგას ხელი შეუშვა, საფეთქლები მოისრისა და ზურგშექცეული დაეშვა ბალიშზე.

— ჩემი ნუ გეშინია, — ჩაილაპარაკა ყრუ ხმით.



დილით გამოღვიძებულმა გაიბულა თავის გვერდით ველარ ნახა, შეშინებული მზერა მოავლო ოთახს. სავარძელზე მის პერანგს მოჰკრა თვალი.

— აქ არის, — ამოისუნთქა შვევით და სანოლიდან ნამოდგა, მაგრამ სანამ ხალათის ჩამცვას მოასწრებდა, ოთახის კარები გაიღო. შემოსული გაიბულა მისი დანახვისთანავე ადგილზე გაშეშდა. ინგამ სწრაფად შეაქცია ზურგი. მის თვალებში გაელვებულმა ნაპერწკლებმა მიახვედრეს, რომ კაცი ალტაცებული დარჩა უზადო სხეულის ხილვით. ღამით სულ სხვა იყო. ასე პირდაპირ კი ინგამ ვერ შეძლო მის წინ მიშველი დარჩენა.

გაიბულაც მიხვდა მისი დარცხვენის მიზეზს. თვითონაც ზურგი შეაქცია და სავარძელზე დატოვებულ პერანგს მიაშურა. ინგამ სწრაფად მოიხსნა ხალათი, გაიბულას მიუახლოვდა და კისერზე შემოხევიდა. მხოლოდ ახლა მოხვდა თვალში მის მხარზე გამოყვანილი სეირინგი. სეირინგიანი სხეული ადრეც ჰქონდა ნანახი, მაგრამ ეს სულ სხვაგვარი იყო. არა ლურჯი, არამედ შავი. ამომავალი მზის ფონზე გამოსახული იყო მწვერვალი. მზის შიგნითა დისკოზე კი არაბული ასოებით რალაც ტექსტი იყო გამოყვანილი.

ასე იყო და, სოლოლაკში მდებარე ინგას პატარა ბინა, გარე სამყაროს სრულიად გათიშული ორი ადამიანისათვის

3.

ინგას სახლამდე ათიოდე ნაბიჯი იქნებოდა დარჩენილი, როდესაც წელი ნაბიჯით მიმავლებს შავმა მერსედესმა დაბრუნდა და მათ წინ შეჩერდა მუხრუჭების ნივლით. სახმეცვლელი ინგა მაშინვე გაბოს მიუბრუნდა.

— ნადი, — უთბრა ჩურჩულით.

— რატომ? — გაუკვირდა გაბოს.

— ასეა საჭირო, ჩემი გულისთვის, შენი გულისთვის.

მეტის თქმა ველარ მოასწრო, მერსედესიდან გადმოსული სამი ახალგაზრდა სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— ძვირი სანახავი გახდი, — დამცინავად მიმართა ერთ-ერთმა ინგას, — გავიგე, კურო გაუჩენიაო, მაგრამ არ დავიჯერე,

— რას ნიშნავს ეს? — ჩამოუსვა ხელი მკლავზე ზინიშინქა

— არაფერს, — უკმაყოფილოდ უპასუხა გაიბულამ, თავი მკლავებიდან გაითავისუფლა და სწრაფად ჩაიცვა პერანგი, — მე მივდივარ.

— ასე მალე, — ჩავარდნილი ხმით თქვა ინგამ.

გაიბულამ მისი ლოყები ხელისგულში მოიქცია და ზღვასავით ღრმა თვალებში ჩააცქერდა. ინგამ ვერ გაუძლო სულში ჩაწვედომ მზერას. თავის დახსნა არ უცდია, მხოლოდ უღონოდ დაბუჭა თვალები, ცრემლის გამჭვირვალე წვეთები წამწამებს მოშორდნენ და ძირს დაქანდნენ.

— შენ ვინდა, რომ დაერჩე? — ჰკითხა გაიბულამ.

— მინდა, ძალიან მინდა, — ჩაიწურწულა ინგამ.

— მითხარი.

— არ ნახვიდე, გაიბულა, მე მინდა, რომ შენ ჩემთან დარჩე, — ტირილმორეული ხმით თქვა ინგამ, — საშუალოდ! — მძიმე ამოსუნთქვით დააყოლა.

— არა, გაიბულა არა, გაბო, შენ ხომ ასე მინოდე.

— არ ნახვიდე, გაბო, — ოდნავ გასაგონი ხმით დაიწურწულა ინგამ და ატირებული ჩაეკრა მკერდში.

სიყვარულის თავშესაფრად გადაიქცა.

დღეები კი ელვის სისწრაფით გარბოდნენ.

ვინ არის ეს ჯეელი? — უკმაყოფილო მზერა ესროლა გაბოს.

— ჩემი მეგობარია, — ჩავარდნილი ხმით უპასუხა ინგამ.

— რა გქვია? — აგდებულად ჰკითხა ახალგაზრდამ.

— ქართულად არ ლაპარაკობს, — უპასუხა ინგამ.

— აბა, რა ენაზე ლაპარაკობს, ესპერანტოზე?

— უზბეკია.

— ქართულები ველარ გაკმაყოფილებენ! — ჩაიციხა ახალგაზრდამ. მისმა მეგობრებმა ხმამაღალი ხარხარი ააყოლეს უგერგილი დაციხვას.

— მოკლედ, — განაგრძო ახალგაზრდამ, — ზეალ ნუგზართან უნდა მიგიყუ-



ანო, შენთვის სამუშაო აქვს, ეს ჩურკა აღარ დავინახო შენს გვერდით, ის, რაც ფეხებშუა ვაქვს, ფული ღირს.

თვალეზზე ცრემლმომდგარმა ინგამ უხმოდ დახარა თავი.

— ნადი სახლში, ამას მე აუხსნი ვითარებას, ზეალოსათვის ფორმამი იყავი.

— არაფერი არ დაუშავოთ, გეხვეწები, ლამა, თუ გინდა, მე თვითონ ვეტყვი და ნავა, — სთხოვა ინგამ.

— უშენოდ მოვახერხებ, — ბრაზით თქვა ლამამ და ნასასულელად გაუთავისუფლა გზა.

— შენ კიდევ, — მიუბრუნდა გაბოს, — რამდენიმე წუთი გაქვს, აქედან რომ გაქრე, შემდეგ უკვე სხვანაირად მოგელაპარაკები.

— ნადი, გემუდარები, ნადი! — ხმადაბლა დაუმატა ინგამ.

დიდი სისწრაფით მიმავალმა მერსედესმა მთანმინდა უკან მოიტოვა, გზიდან გადაუხვია და ბინდმორეულ ტყის პირში შექრდა.

— გადადი, — უხეშად უბოძა გაბოს.

— შენ რა, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგე? — გაღიზიანებული ტონით ნამოისროლა ლამამ მანქანიდან გადმოსვლისთანავე და პისტოლეტჩაბლუჯული მარჯვენა სახეში გასარტყმელად მოუქნია. დარტყმამ მიზანს ვერ მოიღწია, ნელში ოდნავ მიზრინდა გაბომ ელვისებური მოძრაობით შეაგება მარჯვენა. ლამას ძლიერი ტკივილისაგან ხმაშალალი კვნესა აღმოხდა. პისტოლეტი ღამურასავით გაფრინდა სიბნელეშობაღებული ტყისკენ.

სანამ თავდამსხმელები გონს მოეგებოდნენ, გაბომ სწრაფი დარტყმა მიაყენა ლამას ყელის არეში, სუნთქვა-შეკრული ლამა ხრიალით ჩაიკეცა. მის მინახე დაშვებამდე მეორე მონინალმდევე

მდიდრულად განყობილ, ფართო სასტუმრო ოთახში, ორმოცდაათ წელს მიტანებული, თამაშქალარავებული სიმპათიური მამაკაცი სავარძელში ჩაფლულა. სავარძლიდან ძირსგადმოშვებული მარჯვენა ხელითაატაკვე განოლილჭრულ ნავაზს ეფერებდა. ოთახში კიდევ რამდენიმე მამაკაცი იმყოფებდა. ისინი ფეხზე დგანან. ყველაფერზე ეტყობა, რომ აქ სავარძელში მონყობილი მამაკაცია

ახალგაზრებისათვის მოულოდნელად გაბო უხმოდ შებრუნდა და მისი გაუყვია გზას. მისი სტატუსი ხარებული ინგა თვითონაც სასწრაფოდ მიიმალა სადარბაზოში.

— ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო, ამ კაბ-პას დაუჯერა, — კბილებში ვამოსცრა ლამამ, — მანქანამოაბრუნეთ, მაგას ჭკუა უნდა ეასწავლო.

მერსედესი სწრაფად ნამოენია ნელი ნაბიჯით მიმავალ გაბოს.

— ჩურკა, — დაუძახეს მანქანიდან, — დაჯექი, ჩვენ მივიყვანთ.

გაბომ მხოლოდ თავი გაიქნია უარის ნიშნად. მერსედესიდან ორნი გადმოვიდნენ. ერთმა მათგანმა ზურგზე პისტოლეტის ლულა მიაბჯინა.

— დაჯექი, — უთხრა ხმადაბლა და მანქანის ღია კარისკენ უბოძა.

ფეხის ძლიერი დარტყმით რამდენიმე ნაბიჯის იქით მოისროლა და მესამე მონინალმდევე მოიქცია მკლავებში. გაისმა ძვლების მტკერევის შემზარაფი ხმა. კისერში გადამტკერული სხეული ტომარასავით ჩაიკეცა. გაბომ თავი მიანება მოშვებულ სხეულს, რამდენიმე ნაბიჯის იქით მიწაზე მოკუნტული სხეულისაკენ ისკუპა, მის ნინა ცალ მუხლზე დაეშვა და დაშნისმაგვარად მიმართული თითები ძლიერად დაატაკა მკერდში, ფოლადივით მტკიცე თითები ნეკნებს შუა შეიჭრნენ. დარტყმა სასიკვდილო გამოდგა.

გაბო ფეხზე ადგა. სხეული ისევ აგრძელებდა მოძრაობას. მაგრამ ეს უკვე კონულსია იყო, რომელიც მალე შეწყდა. ჯიბიდან ამოდებული ცხვირსახოცით აუჩქარებლად შეინმინდა გასისხლიანებული თითები, მიწაზე გართხმულ გეამებს გულგრილი მზერა ესროლა და გაზატყვილს მიაშურა.

მდგომარეობის ბატონ-პატრონი. ქალართმინი გაბრაზებული მზერით ბურღავს მის ნინ მყოფ აცახცახებულ ინგას.

— რატომ დაარღვიე ჩვენი ხელშეკრულება, შენ რამე გაკლდა? — ისროლა მამაკაცმა ცივი ხმით.

— არ ვიცი, როგორ მოხდა, მაპატიე, ნუგზარ!

— ამას მოგვიანებით ისევ დაეუბრუნდებით, ახლა მიპასუხე, ვინ არის შენი

ახალი ნაცნობი? – მოჩვენებითი სიმშვიდით პეითხა ნუგზარმა.

– აქაური არ არის, ტაშკენტელია, სახელად გაიბულა პეია.

– სად ცხოვრობს?

– არ ვიცი, ჩვენი შეხვედრის შემდეგ ჩემთან ცხოვრობდა.

– რას საქმიანობს, რას წარმოადგენს საერთოდ?

– არ ვიცი.

– არ იცი, თუმცა შენს პროფესიას ეს არც ესაჭიროება, რამდენს ვიხდიდა?

– არა, – დაბნეულად ჩაილაპარაკა ინგამ, – ჩვენ, ჩვენ...

– რა ჩვენ, – არ დაამთავრებინა ნუგზარმა, – ჰუმანიტარული დახმარება გაუნიე, დედა ტერეზას ორგანიზაციაში ხომ არ შესულხარ? – ცივად გამოსცრა კბილებში, – სად არის ახლა ის შენი მეგობარი?

– არ ვიცი.

– კიდევ ერთხელ გიმეორებ, შენი ახალი მეგობარი უნდა მომადებინო.

– არ ვიცი, სად არის, შეიძლება გაემგზავრა კიდევ ბიჭებმა დაამინეს.

– დაამინეს, – მთელი ხმით იყვირა მოთმინებადაკარგულმა, – რას ბოდავ, კახა, შენმა შემინებულმა კურომ სამივე მოკლა.

პატრონის ყვირილის გაგონებისთანავე ნაგაზმა ჩასისხლიანებული თვალები მისი გულისწყრომის ობიექტს მიაპყრო და ყრუ ღრენით ნაშოინია იატაკიდან. სახეზე მკვდრისფერდადებული ინგა უღონოდ ჩაიკეცა იატაკზე. ნუგზარმა თვალთვალად აკანკალებულ ქალს.

– გაათრევა აქედან, – მიუგო ოთახში მყოფ მამაკაცებს, – კიდევ ელაპარაკეთ, არავითარი უხეშობა, შეიძლება რამესი გამოზადგეს, შენ დარჩი, მირიან! – მიმართა ერთ-ერთ მათგანს.

– ახლა დროის დაკარგვა არ შეიძლება, – დაიწყო ნუგზარმა მას შემდეგ, რაც მამაკაცებმა ინგა ოთახიდან გაიყვანეს.

– არ მომწონს ეს ამბები, ზუსტად დაადგინე იმ პიროვნების ვინაობა, შეამოიწმე აეროპორტი, ინგას სახლი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იქონიეთ, მეზობლებს გავსაუბრეთ, ის პიროვნება უნდა მოძებნოთ.

– დამშვიდდი, ნუგზარ, ყველაფერს გავარკვევთ, მე მგონი ასეთი საგანგაშო არაფერი არ არის, რა თქმა უნდა, მძიმე დანაკლისია ჩვენი სამი ვაცის ასე უაზროდ...

– რაში მინტერესდები, შენ? – შეუძახა ისინი სადმე მაინც ნაღმტყლონებში. – უხეშად შეანყევტინა ნუგზარმა, – შენ ეს არ გინახავს ჯერ! – თვალნი აუფრიალა ნაბეჭდი ტექსტით შევსებული ფურცლები.

– ეს რა არის? – დაინტერესდა მირიანი.

– ეს ექსპერტის დასკვნაა, ყურადღებით მომისმინე. სიკვდილის მიზეზია ბლაგვი საგნით მიყენებული ძლიერი დარტყმა, რომელმაც გამოიწვია ხორხის გასრესა, რაც თავის მხრივ ასფიქსიით დასრულდა. ახლა მეორე გვამს ყოველგვარი გარეგანი დაზიანებების გარეშე მომტყრეული აქვს კისერი. ეს კი ყველაზე ძალიან მომწონს, – შეატრიალა ხელში მესამე ფურცელი, – გვამს მკერდზე მიყენებული აქვს ნაგლეჯი ჭრილობა, რომელიც გულამდე ღრმადღება, თვითონ გული კი ორად არის გაგლეჯილი. არც ამ შემთხვევაში არის ნახმარი რაიმე მჭრელი იარაღი ან საგანი, ჭრილობა ბლაგვი საგნით არის მიყენებული და იცი, რა არის ეს ბლაგვი საგანი?

– არა, – დაბნეული გამომეტყველებით უპასუხა მირიანმა.

– ექსპერტის ვარაუდით ეს არის ხელი და მეტი არაფერი! – მწარედ ჩაიციინა ნუგზარმა, – რისთვის უნარჯავდი ფულს ამ რეგენების შენახვაზე, რომელთაც ქათმებოვით ხოცავენ მიშველი ხელებით. მე არ მეჯრა, – განაგრძო პაუზის შემდეგ, რომ ინგა ასე შემთხვევით გადააწყდა ვილაც უცნობს, მასთან ეგდო ორი კვირის განმავლობაში და არ იცის მისი ადგილსამყოფელი. მიცხადებს, რომ მისგან ფულს არ იღებდა, მოუწონა, შეუყვარდა, ვის, პროფესიონალ მეძავს? ანდა მე გეკითხები შენ, რა ესაქმება ასეთ პიროვნებას ჩემს სიახლოვეს?

– წარმოდგენა არა მაქვს, სად ტაშკენტი, სად ჩვენ, ჩვენ ხომ არანაირი ურთიერთობა არა გვაქვს უზბეკებთან.

– შენ არ გესწავლება, რამდენი კონკურენტი გეყავს და რამდენს სურს ჩვენი საქმიდან ჩამოშორება, გამორიცხავ ისეთ შესაძლებლობას დაქირავებული მკვლელები რომ მოგვიგზავნონ და ეს პიროვნება ტაშკენტელი იყოს?

– ვერ გამოვრიცხავ.

– ჰოდა, თუ ვერ გამორიცხავ, რაც გითხარი, ის გააკეთე. მარტო ფულის გაყო-



ფაში ხომ არა ხარ ჩემი თანშემწე, — გაცხარდა ნუგზარი, — ყველაფერა გვერდზე გადადე და ამ საქმეზე იმუშავე. ის

თავის ბინაში განმარტოებულ გაბოს ნარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო ნუგზარ ქორიძე, რომელსაც ასე მტკივნეულად გადაუჭრა გზა. პიროვნებას, რომლის სახელის ხსენებას ხმამალლა ბევრი ვერც კი ბედავდნენ და რომლის განკარგულებითაც მასზე ნამდვილი ნადირობა გაიმართა. მისი გონება მხოლოდ ინგას ფიქრით იყო დაკავებული. მიუხედავად მომხდარისა, რამდენიმე დღის შემდეგ მისი მონახულების სურვილმა მოსვენება დაუკარგა, მაგრამ თავისებურად შელაბულმა მამაკაცურმა თავმოყვარეობამ და ინსტიქტმა, რომ მის ბინაში მისვლა საფრთხესთან იყო დაკავშირებული,

კარი მისთვის უცნობმა ახალგაზრდა ქალმა გაუღო. მისალმების შემდეგ ბინაში მიიწვია და შესასვლელის გასათავისუფლებლად უკან დაინია. გაბომ ყურადღებით შეათვალიერა დერეფანი. სასტუმრო ოთახიდან მუსიკის დაბალი ხმა გამოდიოდა. საგანგაშო ვერაფერი შენიშნა, მაგრამ როგორც კი დერეფანში შედგა ფეხი, მაშინვე ცრემლსადენი გაზის ჭაღვში აღმოჩნდა. თვალები ნამიერად დაუბნელდა, სულშებუთულმა ისევ სადარბაზოსკენ გაიწვია, მაგრამ მხოლოდ

მხედველობა რამდენიმე საათის შემდეგ დაუბრუნდა. ჯერ ისევ მტკივანი თვალებით ყურადღებით შეათვალიერა მდიდრულად განწყობილი ოთახი, რამდენიმე კუშტი სახე, ჭრელტანიანი ნაგაზი და მის პირდაპირ სავარძელში მოკალათებული მამაკაცის სახეზე შეაჩერა მზერა.

— ვინ ხარ? — მოკლედ მოსჭრა უცნობმა.

გაბომ უპასუხოდ დატოვა კითხვა.

— რისთვის დახოცე ჩემი მეგობრები? გაბოს არც ამჯერად ამოუღია ხმა.

— შენი თავი გამოძიებულთან ხომ არ გგონია, — განაგრძო უცნობმა, — იქ შეგიძლია ჩუმიად იყო, ჩემთან კი ლაპარაკი მაინც მოგინევს და შენით თუ

პიროვნება უნდა მომიძებნოდა აქ მომიჯნაო, — სწრაფად თქვა და ხელის მოძრაობა დაემათავრე, შეგიძლია მხედველობა შენს

ხელი ააღებინა ჩანაფიქრის შესრულებაზე.

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ თბილისიდან გამგზავრება გადაწყვიტა, მაგრამ ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, კიდევ ერთხელ, დასამშვიდობებლად მოინახულა ნელი, რომელიც უკვე ახლადშეძენილ ბინაში ცხოვრობდა.

მიღებული გადანყვეტილების მიუხედავად, გამგზავრების თარიღი მაინც რამდენჯერმე გადაიდო. რალაც ძალა ინგას მოუნახულებლად თბილისის მიტოვების საშუალებას არ აძლევდა. საბოლოოდ კი უკვე აეროპორტში მისული და სალაროსთან მყოფი უკან გამობრუნდა. იმავე საღამოს ინგას ბინას მიაშურა.

ორიოდე ნაბიჯის გაკეთება მოასწრო. რამდენიმე ხელი ერთბაშად სწედა, უკან ბინაში შეათრეხს და იატაკზე დასცეს. ნახევრად გაგუდულს და მხედველობადაკარგულს ზურგისკენ გადაგრეხილ ხელებზე ბორკილები დაადეს. ამის შემდეგ კი ელაც სწრაფი მოძრაობით შეუდგა მისი სახის და თვალების უცნაური სურნელის მქონე პირსახოცით წმენდას. გაბომ მიხვდა, რომ თავდამსხმელები ამჯერად მის სასიკეთოდ ირეგობოდნენ და ბრძოლა შეწყვიტა.

გამცემი პასუხს, ისევ შენთვის იქნება უკეთესი.

— ვინ ხარ? — ყრუ ხმით იკითხა გაბომ.

— მე პირველმა დავისვი კითხვა!

— ჩემი პასპორტი ნინ გიდევთ, — თავით ანიშნა მაგიდაზე გამლილ თავის ნივთებზე.

— ამ პასპორტის თანახმად, შენ ხარ უბრალო მოქალაქე — გაიბულა ირანიშის ძე ნაბიევი. უბრალო მოქალაქე კი ჩემს სამ მეგობარს ვერაფერს დააკლებდა.

— ეს არც ისე ძნელი იყო, — ცივად თქვა გაბომ.

— ამიტომაც ზიხარ ბორკილებში, რისთვის დახოცე ჩემი მეგობრები?

— მე თავს ვიცავდი.

– სავსებით შესაძლებელია, რისთვის ხარ თბილისში, რა ესაქმება აქ უზბეკს?

– ეს ჩემი პირადი საქმეა, თქვენ არ გვებნათ. თქვენი მეგობრები პისტოლეტით შეიარაღებულნი დამესხნენ თავს და იძულებული გამხადეს, დამეხოცა.

– ესე იგი, თავი შემოგაკლეს, – ირონიულად ჩაილაპარაკა ნუგზარმა.

– მე ასე ვთვლი.

– როგორ მოახერხე სამი კაცის მოკვლა, კარგად ვიცი, რომ ისინიც არ იყვნენ საჩუქრები.

– ხელჩართული ბრძოლის ექსპერტი ვარ.

– მეტი არაფერი?

– მეტი არაფერი.

– რა გინდა თბილისში.

– თქვენ არ გვებნათ, ამხსენით ბორკილები.

– ნაადრევი ხომ არ არის?

– არ არის!

– მე ასე არ ვფიქრობ.

– სად არის ინგა?

– ნუ კი თხოულობ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის, შენს თავზე იფიქრე.

– რა გინდათ ჩემგან?

ნუგზარის სულში გაჩენილი ეჭვის გორგალი დღითი დღე უფრო იზრდებოდა. გაბოს ორკვირიანი პატიმრობის განმავლობაში მის ირგვლივ მაინც ვერაფერი გაიჩქვა. პატიმარი არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდა დამტყვევებლების მიმართ. მალე მასთან საუბარიც შეუძლებელი გახდა. მისთვის დასმულ ყველა კითხვაზე მხოლოდ ერთი ფრაზით პასუხობდა.

– სად არის ინგა?

ნუგზარის ვარაუდს, რომ რამდენიმე დღიანი იზოლაციის შემდეგ გაბო თვითონ შეეცდებოდა მასთან კონტაქტის დამყარებას, ასრულებდა არ ეწერა. ყოველივე ამას ვერც ინგასგან მიღებულმა პასუხებმა მოკოფინეს ნათელი. მალე ამკარა გახდა, ქალმა მართლაც არაფერი იცოდა თავისი ტამპკენტელი მეგობრის შესახებ. აეროპორტის გადაშონებამაც არაფერი მოიტანა, იქიდან მიღებული ინფორმაციით, გაბო ერთი თვის წინ ჩამოვიდა თბილისში. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა ინგას სიტყვებს, მაგრამ ნუგზარს მაინც არ სჯეროდა, რომ მათი გაცნობა და დაახლოება შემთხვევით

– ვედილობ, ისეთი რამ დაგინახო შენში, რაც შენი სიცოცხლის შესანარჩუნებაში დაშვებარება, მაგრამ გეცხვას, შენ შენ თვითონ არა ხარ ამით დაინტერესებული.

– რა გინდათ ჩემგან? – გაიმეორა გაბომ.

– შენ ჩვენი სამი მეგობარი მოკალი.

– რას ითხოვთ სამაგიეროდ, ჩემს სიცოცხლეს?

– რაში მჭირდება შენი სიცოცხლე, ჩვენ შურისმაძიებლები არა ვართ, ყოველ შემთხვევაში დღეს. კეთილი, დღეს ამით მოვათავოთ, ახლა შენ მოგათავსებენ ცალკე ოთახში, ჩათვალე, რომ ის შენი საკანია, თუმცა საკმაოდ კეთილმონყობილი. ხელებზე ბორკილებს აგხსნიან, სამაგიეროდ ფეხები გექნება შებორკილი. ეს ყველა მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, არ მინდა, რომ იმ სამუელს კიდევ ვინმე შეეშატოს. ხომ ხედავ, ისევე მე ვზრუნავ შენს სასიკეთოდ. შენი პატიმრობა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე შენი პიროვნების ირგვლივ ყველაფერს არ გაუარკვევთ. შემდეგ რა მოხდება, დრო გვიჩვენებს, – თქვა ნუგზარმა და თავის ხალხს ანიშნა, გაიყვანეთო.

მოხდა, მისი აზრით ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა მასთან მისაახლოებელი გეგმის ერთ-ერთი ნაწილი.

დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია, როდესაც მათი არზებით ტამპკენტში გაგზავნილი კითხვაზე პასუხი მიიღეს, გაიბულა ნაბიჯებს არასოდეს უცხოვრია პასპორტში აღნიშნულ მისამართზე. ასეთ პიროვნებას იქ არ იცნობდნენ. გაცოფებულმა ნუგზარმა მაშინვე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ოთახში გამოკეტილ პატიმარს, მაგრამ მუდამ აუღელვებელმა და ლოგიკურად მოაზროვნე მირიანმა ხელი ააღებინა განხრახვის სისრულეში მოყვანაზე.

– თუ ვერ გავიგებთ მის ვინაობას, ვერ შევიტყობთ რისთვის გამოჩნდა ჩვენს სიახლოვეს, ესე იგი ვერ შევიტყობთ, ვისი დავალებით მოქმედებდა. მისი ახლა მოსაპობა ადვილია, მაგრამ რა ეუფოთ მეორეს, შესამეს. ვინც ჩვენი საქმიანობით სერიოზულად არის დაინტერესებული, ასეთ თავზეხელაღებულს მრავალს გამოძებნის, – უთხრა ნუგზარმა.

– რას მთავაზობ? – მაშინვე საქმეზე გადავიდა პრაქტიკული ნუგზარი.



– ზუსტად უნდა დავერწმუნდეთ, მართლაც ის პიროვნებაა, თუ არა, ვინც ჩვენ გვგონია და ინგას დახმარებით მოვანებრხოთ მისი აღაპარაკება.

– ინგა, – ჩაფიქრდა ნუგზარი, – მან მართლაც არაფერი იცის. რაში შევძლებ მის გამოყენებას.

– უსბეკი მართლაც სერიოზულად არის დაინტერესებული ჩვენი გოგონათი. სხვა ახსნა ვერ მოუძებნე მის ინგას სახლში მისვლას. პროფესიონალი ასე არ მოიქცეოდა, მაგრამ ის ნამდვილად სერიოზული ადამიანია. შეიძლება ჩვენ ვართ უაზრო ეჭვებით შეპყრობილი.

– არავითარი ეჭვები.
– თანაც ამ ორი კვირის განმავლობაში დაეინებით კითხულობს ინგას, სხვა

გაბო გამოცხადებული დარჩა, როდესაც ნუგზარის მიერ მიჩენილმა მცველებმა ეზოში გამოიყვანეს. განვლილი ორი კვირის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საპატიმროდ ქცეული ოთახის გარეთ აღმოჩნდა.

– ნამომყევი, – ცალყბად მიუგო ერთ-ერთმა მცველმა და ფართო ეზოს ბოლოსაკენ ნაუძღვა. იქ, გრძელ შერბზე ინგა და მირიანი ისხდნენ. ვაბო მოკლე ნაბიჯებით მიჰყვა უკან, რამდენადაც შებორკილი ფეხები აძლევდნენ ამის საშუალებას. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, ეზოს შემოვლებული მაღალი კედლის იქით, ხშირ ფიჭვნარში მიმალულ, შამხანამომარჯვებულ სილუეტს მოჰკრა თვალი. დარბილული ფიჭვნარის ფონზე ავად ელაგდა მირიანის და ინგას მხარეს მიმართული შამხანის ოპტიკური საშიზნის ლინზა. ვაბომ ხელის ელვისებური მოძრაობით ნინ მიშავალ მცველს ქამარზე ჩამოკიდებული ბუდიდან პისტოლეტი ამოგლიჯა, მკლავი შეშართა და გაისროლა. სილუეტი გამოძრავდა, მაგრამ ადგილზე დარჩა. ვაბომ ერთიმეორეს მიყოლებით კიდევ შეიდი გასროლა გააკეთა. სროლის დაწყებისთანავე სხვადასხვა მხრიდან ათაოდე შეიარაღებული კაცო მოვარდა. და გარს შემოეხვეია. ვაბოს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მათთვის. გაკვირვებული ხის

არაფერი აღეღებებს, არც ეს არის პროფესიონალისათვის შესაფერისი ქვეყნულად ერთი ვითარება უნდა შევუძებნავთ მისი ნამდვილი სახით გვეჩვენოს.

– მაგალითად?
მირიანმა რამდენიმე ნუთი იფიქრა და შემდეგ სამოქმედო გეგმის აღწერას შეუდგა.

– არა, – თავი გაიქნია ნუგზარმა უარის ნიშნად, – სამიშია, არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ასეთ ვითარებაში.

– მე კი დარწმუნებული ვარ, რომ დადებით შედეგს მივიღებ.

– კარგე, – დაეთანხმა ნუგზარი პაუზის შემდეგ. – ფრთხილად იყავით, თუ რაიმე სხვა მოიმოქმედა, მოკალით, მაგის ბოლო მაინც ეგ არის.

ტოტებში შეფარულ სილუეტს აკვირდებოდა.

ინგა ორმა შამაკაცმა სახლის მიმართულებით ნაიყვანა. ქალი უცნაურად იქცეოდა. არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მომხდარისათვის. შამაკაცებს მშვიდად, ყოველგვარი ნინაალმდეგობის გარეშე გაჰყვა. ამასობაში მირიანი გაბოს მიუახლოვდა და ხელიდან მჭიდვაცლილი პისტოლეტი ჩამოართვა.

– პირველი გასროლის შემდეგ პაუზა გააკეთე, დარწმუნებული იყავი, რომ მოხვდა. დანარჩენი შეიდი გასროლა მას შემდეგ გააკეთე, რაც სამიხზე ხეზე დარჩა, – თქვა სერიოზული გამომეტყველებით.

რამდენიმე ნუთში ხიდან ჩამოხსნილი ფიტული მათ ფეხებთან დადეს.

– რვა და ყველა თავში, – ყურადღებით დაათვალიერა მირიანმა ფიტულზე გაჩენილი ნატყვიარები, – ხელჩართული ბრძოლის სპეციალისტისათვის კარგად ისვრი, შენ სხვა საკითხებშიც ექსპერტი ყოფილხარ, – ჩაიცინა ირონიულად.

ვაბომ უპასუხოდ დატოვა მისი სიტყვები. გვერდზე შებრუნდა და ნამონთებული მზერა შენობას ესროლა. მისი ბრაზით ავსებული თვალები, მეორე საართლის ფანჯარაში ნუგზარის კმაყოფილ მზერას გადააწყდნენ. ნუგზარმა ხელით ანიშნა მირიანს, ჩემთან ამოდითო და ფანჯარას მოშორდა.

– მშენიერი ნარმოდგენა გავვიმართე, – ცივი ხმით მიმართა ნუგზარმა და თვალი თვალში გაუყარა.

– რას ნიშნავს ეს ყველაფერი? – მშვიდად იკითხა ვაბომ.
– მე უნდა დამესვა იგივე კითხვა,

მაგრამ იყოს ასე, გიპასუხებ. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას, რომლის სახელით და გვართ გაგვეცანი, არასოდეს უცხოვრია შენს პასპორტში აღნიშნულ მისამართზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გაგაჩნია უნარი, ყოველგვარი იარაღის გარეშე, ხელით მოკლა სამი რჩეული კაცი. ამას დავაძაბებ რამდენიმე წუთის წინ ნანახს. ასეთ მანძილზე, რვა ზუსტი გასროლის გაკეთებას დილექტანტი და მოყვარული ვერ შესძლებდა. და იმას, რომ შე დღესაც არ ვიცი, რა გესაქმება ჩემს სიახლოვეს. ეს ყველაფერი სრულიად საკმარისია შენს იმპევეუნად გასამგზავრებლად და თუ ასე არ ვიქცევი, მხოლოდ ერთი მიზეზის გამო. არ მინდა შეცდომა დაეღუფა. და ტყუილუბრალოდ დაეღუფარო სისხლი. ამიტომ კიდევ ერთხელ გეკითხები, ვინ ხარ?

— ჩემი ვინაობა თქვენ არ გეხებათ!
— ჯიუტად გაიმეორა გაბომ.

— რა გესაქმება ჩემს სიახლოვეს?
— თქვენი სიახლოვე სრულიად არ მიზიდავს, ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

— ეს ყველაფერი უკვე მოსმენილი მაქვს, ახალს დაამატებ რაიმეს?

— არაფერს.
— ვხედავ, რომ შექმნილ ვითარებაში ვერ ურკვევი. შენ დღეს არავინ არ ხარ, არა, როგორ არ ხარ, შენ ხარ მკვლელი, შემძლია, აქვე გაგაქრო, ან ჩემს ნაგავს შევაჭმევინო შენი თავი. შემძლია სამართალდამცავებს გადავცე, სამი ადამიანის მკვლელობისათვის დახვრეტა არ აცდებდა. თანაც ისინი აუცილებლად გაარკვევენ, ვინ ხარ, საიდან და რისთვის ჩამოხვედი თბილისში, რაც შენ არ გსურს.

— კმარა, — შეანწყვეტინა გაბომ, — პირდაპირ მითხარით, რას მოითხოვთ ჩემგან?

— მე გაპატივები ჩემი მეგობრების სისხლს, იმ შემთხვევაში, თუ შენ დაუფარავად ამიხსნიდი შენს ვინაობას და აქ ყოფნის მიზეზს. ამავე დროს მოგცემდი შენი დანაშაულის გამოსყიდვის საშუალებას. თუ ყველაფერი კარგად იქნება, შეიძლება მეგობრებიც კი გავხდეთ.

— როგორი სახით შევძლებ ჩემი დანაშაულის გამოსყიდვას?
— დაინტერესდა გაბომ.

ნუგზარმა რამდენიმე წაქეჯი გააკეთა ოთახში, რამდენიმე წუთის განმავლობაში ყურადღებით აკვირდებოდა ვატიანს, სხედდა სავარძელში ჩაეშვა და ასე უთხრა:

— შენ მოკალი ჩემი სამი მეგობარი, შენი უნარის მქონე ადამიანს არ ვაუქირდება ჩემთვის სამი მტრის მოშორება. სამი სამში, მგონი სამართლიანია. შენ რას იტყვი?

— არასოდეს, შე არასოდეს არ მოვკლავ სხვისი სურვილით, კმარა. — უყოყმანოდ უპასუხა გაბომ.

— რას ნიშნავს კმარა, გამოდის, რომ ადრე მოგიკლავს.

— ეგ თქვენ არ გეხებათ!
— ნუ ჯიუტობ, ხომ ხედავთ, რომ ჩემს ხელში ხარ!

— ეგ თქვენ გგონიათ, რომ თქვენს ხელში ვარ! — გაელიზა გაბომს.

— აუტანელი ადამიანი ხარ! — უკმაყოფილოდ ნამოიძახა ნუგზარმა, — ვთქვით, შენი სიცოცხლე სრულიად უმნიშვნელოა შენთვის, კარგი. შენ გაქვს უფლება, როგორც გსურს, ისე მოექცე მას, მაგრამ რატომ უშლი ხელს სხვას, რისთვის არ აძლევ ნორმალურად ცხოვრების საშუალებას.

— ვის? — გაუკვირდა გაბომს.
— პირველ რიგში ინგას.
— ინგა არაფერ შუაშია.

ნუგზარი უხმოდ ნამოდგა ფეხზე, ვიდეომაგნიტოფონი ჩართო და ისევ სავარძელს დაუბრუნდა.

ეკრანზე ფართო სანოლზე მოკუნტული ინგა გამოჩნდა. ოთახში ნუგზარის ერთ-ერთი ხელქვეითი შევიდა, ინგა მაშინვე გამოცოცხლდა, სანოლზე ნამოჯდა და მუდართ ალსაფსე თვალები შემოსულს მიაპყრო. მამაკაცი ღიმილით ჩამოუჯდა გვერდით.

— მომეცი, — ჩახრინული ხმით სთხოვა ინგამ.

— ჯერ საქმე! — უპასუხა მამაკაცმა.
— არ შემძლია, მომეცი!

მამაკაცმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, ფეხზე ნამოდგა და კარებს მიაპყრა. ინგა უკან მიჰყვა. სანოლიდან ამდგარმა ორივე ნაბიჯი გააკეთა, იატაკზე ჩაიკეცა და ფეხებზე მოეხვია.

— მომეცი, შენ ხომ დამპირდი! — თქვა აკანკალებულიმა.

— საქმე! — განელა მამაკაცმა.
— კარგი, კარგი! — უღონოდ ჩაილაპარაკა ინგამ, ფეხზე ადგა, გახდილი ხა-



ლათი იქვე მიადგოდ და სანოლზე დანვა. მამაკაცმა აუჩქარებლად გაიხადა მარვალი და ზევიდან მოექცა.

გაბო დაძაბული ადევნებდა თვალს ეკრანზე მომხდარს, ნუგზარი უშედეგოდ ცდილობდა მის გაქვავებულ სახეზე თუნდაც უმინიმუმ ცელილებს დანახვას.

ფეხზე ნამომდგარმა მამაკაცმა ასევე აუჩქარებლად ჩაიკვა.

- მომეცი! - ანრილდა ინგა.

- კარგი, ისე არაფრად ვარგებარ! - უპასუხა მამაკაცმა, ჯიბიდან შპრიცი ამოიღო და დაჩხვლვტილ ვენაში ფრთხილად შეუშხაპუნა ნამალი.

სულ მალე ინგას სახეს მშვიდი გამომეტყველება მოეფინა. ხალათი დაუდევრად მოიხსხა მხრებზე და სანოლზე მოიკუნტა.

- ხედავ, სადამდე მიმიყვანა შენმა სიჯოტემ? - ტელევიზორი გამორთო ნუგზარმა, - ის არ იქმარე, რომ ხალხი დამიხოცე, ახლა შენს გამო ინგაც ხელიდან წასულია. მეგონა, რალაც იცოდა შენს შესახებ და ასე რომც შეტყოდა. მაგრამ ვამოდის, რომ შევეცდი. და ტყუილად დავსაჯე, მართლაც არაფერი სცოდნია. აუნაზლაურებელი ზარალი მომაცუნე. შენი სიკვდილიც კი ველარ მომანიჭებს შევბას. ინგა აღარაფრად ვარგა. თავი მომაბეზრა მისმა შენახვამ, - თქვა დინჯად და მაგიდის უჯრიდან ამოღებული თეთრი ფხვნილით სავსე, ცელიფინის პატარა შეკერა დაანახა.

- იცი, რა არის ეს?

- არ ვიცი, - უპასუხა გაბომ.

- ეს მეტადონია, სინთეტიკური ნარკოტიკი, ამ შეკერაში ორი გრამია, ამის შემდეგ შენი დედოფალა ველარ გამობრუნდება. მეტადონი საკმაოდ ძვირი ღირს, არც სხვა ნარკოტიკებია იაფი. ქუჩაში გაგდებული რალაც დროის განმავლობაში კიდევ შეძლებს თავის გატანას, ლამაზია, რაც მართალია, მართალია, მაგრამ რაც დოზა მოიმატებს, დაიკლებს მისი ფასი. სულ მალე ვაგზლის უკანასკნელ ბინძურ შეძავად გადაიქცევა. იცი, რით ამთავრებენ ასეთი ქალები? გონორეა, ათამანგი, და კიდევ ათასი ჭირი და უბედურება იქნება მისი ბოლო, ან კიდევ რომელიმე ავადმყოფობით დაჯილდოებული მიჯნური დააყრვენიებს ნანლაეებს, სადღაც ღობის ძირში

და ეს ყველაფერი შენა დამსახურება იქნება. თუმცა რისთვისაც შენ უკან ამდენს, შენ საკუთარი მარცხისთვის არ გალელეებს, რისთვის შეინუებთ თავს თუნდაც მართლაც ლამაზი, მაგრამ უპატრონო და გამოფიტული მეძავის გულისათვის, - თქვა ნუგზარმა და მეტადონის შეკერა ხელის სწრაფი მოძრაობით მირიანს გადაუგდო.

შეკერამ განვდილ ხელამდე ვერ მიაღწია. გაბომ ჰაერში მოახერხა მისი დაჭერა. ძლიერმა თითებმა ზიზლით გასრისა შეკერა. თეთრი ფხვნილი ხალიჩაზე მიმოიფანტა.

- რას მივანერო შენი საქციელი? - უკმაყოფილოდ თქვა ნუგზარმა, - ძალიან მონდომებით ცდილობ შენი ვალის გაზრდას, გადახდასაც რომ ასევე ცდილობდე... - არ დაამთავრა სიტყვა.

- ინგა დღესვე ჩემთან უნდა იყოს, - მოკლედ მოჭრა გაბომ.

- არაფერი მაქვს სანინალმდეგო, - ხელეში გამალა ნუგზარმა, - მაგრამ...

- პირობები საჭირო არ არის, - არ დაამთავრებინა გაბომ, - მე შემძლია დაგისახელოთ ჩემი ნამდვილი ვინაობა, მაგრამ ეს არანაირ შედეგს არ მოგცემთ. თქვენ არ გექნებათ ჩემი სიტყვების გადამონმების შესაძლებლობა.

- რატომ?

- მე ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ვარ, ვმსახურობდი ერთ-ერთ ელიტარულ სპეცქვედანაყოფში. მიუხედავად პროფესიული ვალდებულებისა, ყოველთვის გამაჩნდა ჩემი აზრი და შეხედულება, არ მომწონდა ბევრი საქმე, რომლის შესრულებაც ჩვენ გვევალეობდა. ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს მომხდარი კონფლიქტისას შემომავდა ქვედანაყოფის მეთაური. იძულებული გავხდი, გავეცუულიყავი. ნარმოშობით უზბეკეთიდან ვარ. მაგრამ იქ აღარ მეცხოვრება. მეგობრების დახმარებით პასპორტი შევიძინე და იქაურობას მოვეშორდი. ჩემი ყოფილი ქვედანაყოფი გასაიდუმლოებულია. თქვენ ვერ შესძლებთ მის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვებას.

- რომელ ქალაქში იმყოფება შენი ქვედანაყოფი?

— რუსეთის ტერიტორიაზე, მეტი არ არის საჭირო, ეს მაინც არაფერს შეცვლის.

— თბილისში რისთვის ჩამოხვედი?

— აქ დარჩენა ჩემთვის თვითმიზანი არ ყოფილა. მე აქ ნაცნიობებიც კი არ მყავს, მაგრამ თავისი არეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების საქართველოში თავის შეფარების კარგი შესაძლებლობა მექნებოდა. მაგრამ მხოლოდ დროებით. მე აქ მანამდე დავრჩებოდი, ვიდრე საქართველოს მოქალაქის კანონიერ საბუთებს არ შევიძენდი, შემდეგ კი საზღვარგარეთ გავემგზავრებოდი.

თბილისში ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ გავიცანი ინგა. შემდეგ რაც მოხდა, თქვენთვისაც კარგად არის ცნობილი. მე მეტის დამატება არ შემიძლია. თუ თქვენი ცნობისმოყვარეობა ვერ დავაკმაყოფილე, მოიქეცით, როგორც გსურთ. მე სიკვდილის არ მეშინია. ინგა არაფერში არ არის დამნაშავე. ყველაფერი ჩემს გამო მოხდა და მე თავს ვალდებული ვთვლი მის წინაშე. ამიტომ თანახმა ვარ, თქვენი წინადადება შევასრულო.

— კეთილი, — ჩაილაპარაკა ნუგზარმა, — კვალიფიკაცია თუ გაქვს საკმაო?

— თქვენ მტრების მოშორება გინდათ?

— დიახ.

— ჩათვალეთ, რომ მოშორებული გყავთ, მაგრამ ერთი პირობით, სანამ ინგა საბოლოოდ არ გამოკეთდება, არაფერი მოხდება.

— თანახმა ვარ.

— კიდევ ერთი, ეს უკვე გაფრთხილებათ. ვინც ინგას მისი სურვილის გარეშე მიეკარება, მოვკლავ! — ცივად გამოსცრა გაბომ და ნუგზარს აგრძობინა, ლაპარაკს მოვრჩით.

იმევე ხალამოს ინგა მის ოთახში გადაიყვანეს. ქალი ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე თვითონ მოელოდა. ინგა არაფრის მიმართ არ ამყვანებდა ინტერესს. მთელი დღეების განმავლობაში მოკუნტული ინვა. სახსრების წარმოუდგენელი ტკივილი თავისუფალი გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა. ადრე; ერთხელ უკვე

მიტოვებული და მოკლე დროის განმავლობაში კელაე ტარსენაძე ნარკოტიკებისადმი ლტმტყაჩქეტიტბლად ხრავდა მის სხეულს. აკანკალებული კიდურები, ჩაცვენილი თვალების აღზნებული გამოხედვა, ცხვირიდან ჩამონადენი ლორწოთი მოსვრილი, გაფითრებული სახე, საშინელ იერს სძენდნენ სულ ცოტა ხნის წინ ულამაზეს ქალს.

ინგას საქმლის ჭამა არ შეეძლო, ნარკოტიკის გარეშე მისი ორგანოები ნორმალურად აღარ ფუნქციონირებდნენ. გაბოს მიმართ უკიდურესი აგრესიით იყო განწყობილი. ისტერიკაში ჩავარდნილი ყვირილით ითხოვდა ნარკოტიკს, შემდეგ მუდარაზე, ტირილზე გადადიოდა, საბოლოოდ მიშლდებოდა და თავს სთავაზობდა ნამლის სანაცვლოდ.

მომინებით აღჭურვილი გაბო ყველაფერს ვაგებით ეკიდებოდა, საქმელს შეძლებისდაგვარად ძალით აჭმევდა, დილაობით თბილ წყალში დასველებული პირსახოცით ფრთხილად უწმენდა სახეს, სანოლში მასთან ერთად ნუებოდა, მკერდში იკრავდა და ასე ცდილობდა უძილობით შეპყრობილი, აკანკალებული ქალის დამშვიდებას.

ათიოდე დღის შემდეგ ინგას მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. აღზნებული თვალები დაუმშვიდდა, ახლა უკვე რამდენიმე საათით ძილიც შეეძლო, საქმლის მიღება ძალდაუტანებლად დაიწყო. მაგრამ სახსრების მტანჯველი ტკივილი მაინც არ იხევდა უკან. კიდევ ათიოდე დღის შემდეგ ინგა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა, თუმცა სრულიად ჯანმრთელი მაინც არ ითქმოდა მასზე.

ძილით გვიან გამოღვიძებულმა მის გვერდით ჩამოჩქვდარი გაბო დაინახა. გაბომ ფრთხილად შეუსწორა თვალებზე ჩამოშლილი ჩალისფერი თმების ბლუჯა. ინგას ცრემლი წასკდა, მისი მარჯვენა სუსტ ხელეში მოიქცია და კონკრ დაუნყო.

— შენ არასოდეს გექნება საქმე ნარკოტიკებთან და იმ მამაკაცებთან, ვინც შენ არ გსურს, — ხმადაბლა თქვა გაბომ, — თავისუფალი ხარ, შეგიძლია



ნახვიდე ამ სახლიდან, არავინ არ გაგი-
წევს წინააღმდეგობას, ჩემი ბრალი იყო
შენი ასეთ მდგომარეობაში ყოფნა.

– არსად არ წავეალ, მითხარი, რომ
ჩემი ხილვა აღარ გსურს, მხოლოდ ამის
შემდეგ წავეალ.

– ვერ გატყვი, ეს არ იქნება სიმა-
რთლე! – გულახდილად უპასუხა გაბომ.

– მაშინ რისთვის მთავაზობ აქედან
ნასვლას?

– ეს სახლი სიბინძურით არის სავსე.

– მე? განა მეც ბინძური არა ვარ? –
დაიკვნესა ინგამ.

– რატომ გგონია ასე?

– სხვა რაღა უნდა იყოს სიბინძურე,
ნარკომანი, მეძავი.

– შენ არ ხარ ნარკომანი
– მეძავი?
– არც მეძავი, შენ თავისუფალი ხარ.
– გუშინ, გუშინნინ?

– არავინ იცის, ვინ უფრო დიდი
მეძავი იყო გუშინ და გუშინნინ, შენ
თუ მე.

– გაბო, – კენესით თქვა ინგამ, – რას
ლაპარაკობ?!

– შენ არაფერი იცი ჩემს შესახებ და
არც არის საჭირო. არჩევანი შენზეა, ვე-
რავინ შეგეხება შენი სურვილის გარეშე,
ნაადი.

– არა, არ წავეალ, თუ დაგმორდები,
მხოლოდ შენი სურვილით, – თქვა
ჩურჩულით.

(გაგრძელება იქნება)





პალატის სტუმარი

აენთო თუთრი პალატა
 ცისარტყელების ფერებით,
 რწმენის სხივსავით შესტუმრე
 მზესავით მოსაფერები...

შენ ჩემი სულის მკურნალო,
 შენ დედოფალო ვვაილითა,
 შენგან სიცოცხლის იმედი
 მუშვიდე ცაზე ავიდა.

სივდილის სიმი გაწვეიტეს
 სასიყვარულო სიმებმა,
 ია-ყარდების ცვარ-ნამი
 ზედ მკერდზე დაძეწვიებთა.

ქალი კი არა, ელევა ხარ,
 ნატყორცი ნისლის აფრიდან,
 მოხვედი, დარდი დამარცხდა,
 რწმენის არწივი აფრინდა.

ბაღში

აკაციებო, თავი დახარეთ,
 ბაღში კიაფობს მზის სხივი ვიდრე,
 მინდა შევხედო მზეთუნახავებს, —
 მზეთუნახავი ქალაქის მკვიდრებს.

ნამიან მოღზე სიცოცხლე ღვივის,
 მარადისობა ითვის სივეთეს,
 მხრებზე შეცემა ობოლი სხივი
 და სხივი სულში ბუღეს ივეთებს.

საქართველოს მზე გიღვას თხალევაში

ნონა გაფრინდაძე

ქართველი ქალის უმწიველო მანდილს,
 ქართველი ქალის კაიქალობას,
 შესძინე მეტი სითბო და მადლი,
 ნაზი ფერების ნიაღვარობა.

მე მოშწონს შენი ლამჭრის თარეში,
 დიდი ბრძოლების გარკმევე ხელოვანს,
 საქართველოს მზე გიღვას თვალებში
 და გამარჯვება საქართველოა.

მუცოს ციხე

დედაე, დიდი ძეგლების,
 უღრუბლო ცა გქონოდეს,
 მეციხოვნედ გერგები,
 მიმსახურე ბოლომდე.

მთები, მუხის ნერგებით,
 შემოგრტყმიან დარაჯად,
 მეციხოვნედ გერგები,
 მიმსახურე მარადეაჟს!



●
სევდიო გავფურებ ზეცას ლილიანს,
ეკ. ვინ გამიგებს სულის ზაწუხარს?!
ჩემი იმედი მხოლოდ ფიქრია,
გამქექე თუნდაც, ფიქრს სად

წახეზად?!

ბილიცი კვდება სოფლის დღეუბთან,
შენი თვალეზით კრთება ცა ღურჯად...

მე რომ შეგონა, ამამღერებდა,
ამ სიყვარულმა მოღად დამამუნჯა.
არ ჩანხარ! — გული დაგებებს გემით,
გსოულობ — დარდი მიიყვამლება...

.....
მთვარე შემომამქვს ფანჯრიდან პეშვით,
როგორც ზამყაროს იღუმალება.

●
ვგვარ ჩამავალ მზის გაბძროლებას,
ბედის უფსურულში გადაჩეხილი...
ქარად ჩავლილი ჩემი ცხოვრება,
თაჭზე მატყდება ახლა მუხივით.
ცის ვახსნას ველარ დაველოლები,
არც არვინა ჩანს ჩემდა მსმობელად...

ღამე, შემკრთალი შენზე ბოდვებით,
ელის ჩემსავით მზის საბრნობელას.
ვის მიუყვარო დარდის ბონძები,
ქარს ვგვარ, შემლილს და ფეხშიშველას,
როცა მოვკვდები, ანგელოზები
ცად წაიღებენ შენზე სიმღერას.

●
ტკივილი დამიაამე,
ტკივილი დამიაამე,
ცრემლი დასდის ლოდინს.
ვერსად ეპოვე სიამე,
ვერსად ეპოვე სიამე,
არც სიკვდილი მოდის.
სიწმინდეში ნათლდება,
სიწმინდეში ნათლდება
სული, კაცის სული.
ჩემი სოფლის ჭადრებთან
ზეცა უფრო მადლდება,
ფიქრით დანისლული.

ბავშვის გულით მომინდა,
მოფერება მომინდა
იმ გარდასულ დღეთა.
ჩემი შემოდგომიდან,
ჩემი შემოდგომიდან
რა დარჩება ნეტავ?!
ვერასოდეს! — რა ხდება?!
ვერასოდეს! — რა ხდება?!
ვერ ვისრულებ სურვილს.
ხადაც არის ვახედება,
ხადაც არის ვახედება
გული, როგორც ჭურვი.



ერქვეული
მსახვენი

●
მგონია, სულ ძოლად გამოვიფიტე, —
კრთიან ლანდები შავი სუდარის...
შენ ხარ ცოცხალი თიხის ფირფიტა,
ჩემი ტკივილი და ხაწუხარი.
რად არ გამისყდეს ეს დედამიწა,
სიყვდილს შენს გამო როგორ
ენატრობდე?..

შენს სიყვარულში წაგვხვენი
გული ნატკენი შემრჩა მარტოდუნ.

აღერსი მაკლდა, თუ მაკლდა მამინ,
მზის გახელებით და მოწყურებით...
ვაქრობ სინათლეს, ვით აკლდამამი,
საკუთარ თავში შევიძურწები.

●
ყველგან, ო, ყველგან ღიმილი ფალბი
დაუნდობლობით მტანჯავს, მაწამებს...
წუთისოფელი იმგვარად გარბის,
არ შეშრობია ცრემლი წაშწამებს.
სული სულ უფრო ცარიელდება,
ვხე კუნძულებს — თბილ საბუდარს?!
ყოველდღე ობლის ცრემლით სველდება
და ჰანამვიდებს უზბდი საკუთარ

თავს და ზეციერ ცოდვებთან ერთად
გავითავისე მიწის ცოდვებიც
და ახლა ძალზე მგაფიოდ ვხედავ
სიყვდილს, რომელსაც ვუახლოვდები.
ოცნებით მოვევლე ლურჯი შორეთი,
მზის თბილი გული, მისი ჩრდილი ვარ...
მე გამაფხულებ ადრე მოვედი
და გამაფხულებთან ერთად მივდივარ.



შეხილავიან გათენავაშა

პიესა

მოქმედი პირნი:

იბო - 52 წლის

ანი - 48 წლის

მოქმედება ხდება იბოს ბინაში

პირველი ნაწილი

(ღამეა, ქარი ქუჩაში ანგრევს ყვე-
ლაფერს. იღება კარი.)

იბო (ჩურჩულით) - ჩქარა შემოდი,
ორპირია.

ანი - ფანჯარა ღია დაგრჩენია.

იბო - ცოტა ხმადაბლა.

ანი - როდის ვყვირი?

იბო - არ ყვირი, მაგრამ მაინც. მამა
გაალებდა...

ანი - მამა?..

(პაუზა.)

იბო - სანთელი იდო სადღაც. მანდ
მონახე.

ანი - ასანთი აანთე.

იბო - იპოვნე? (ასანთს გაკრავს.) ესეც
ასე. მოდი ერთი, შეგხედო.

(პაუზა.)

ანი - რას მიყურებ?

იბო - გტკივა ფეხი?

ანი - ოდნავ.

იბო - რამდენი ვირბინეთ, არა? ძლივს
გამოვასწარიოთ. რამდენნი იყვნენ ის
დამპლეები!

ანი - გაივსო ქალაქი მანანალებით.

იბო - ზოგჯერ მგონია, რომ მათსავით
ცხოვრება სჯობს. არასდროს გაგჩენია
სურვილი, რომ არ გაიქცე, შეჩერდე და
აღაშიანურად დაელაპარაკო?

ანი - რა გულუბრყვილო ხარ.

იბო - მართალია. ისე ცოტა
გულუბრყვილობა საჭიროა. სულ ცოტა.

ანი - ხო. არც უმაგისობა ვარგა.

იბო - ნელინადი ხომ იქნება, რაც ასე
დავრბივართ?

ანი - ნელინადი? ხანდახან მგონია,
რომ სულ ასე ვცხოვრობდით. მერე
ღამით, ღოგინში ვხედები, რომ სულ
სხვაა სინამდვილე. მალე, ალბათ, ქალის
სახესაც დაეკარგავ.

იბო - რა მოგივიდა, ტირი?

ანი (იციინის.) - ბოლოს როდის ვიტყვი,
გახსოვს? მგონი ტირილიც დამაუინყდა.

იბო - კიდევ კარგი, ქარი ზურგში გე-
ცემდა.

ანი - კიდევ კარგი, ფეხი სადარბაზ-
ოსთან გადამიბრუნდა.

იბო - ფეხი დამისველდა. გუბეში
ჩავტოპე.

ანი - წინდებს მოგიტან, არ გაცივდე.

იბო - სუუ...

ანი - რა მოხდა?

იბო - მგონი ადგა... მამა ადგა. არ
გესმის?

ანი - ქარია და გეჩვენება.

იბო - კარგი. ნადი, ფანჯარა მიხურე,
თორემ გავითოშე. არა, ჯერ წინდები
მომიტანე.

(პაუზა.)

ანი - ესენი ჩაიცივი, თბილია.

იბო - მაღლობთ. სანთელი სად მიგა-
ქვს?

ანი - ფანჯარა არ მიხურო?

იბო - გაგიჟდი? გაილეიძებს!

ანი - როგორ გაილეიძებს?

იბო - ოთახს ხომ უნდა ჩაუარო? გაი-
ლეიძებს, ანი.

ანი - მაპატიე, დავიბენი.

იბო - არ უნდა დაიბნე.

ანი - ბოლო დროს შიში გერევა.

იბო - შიში გონივრულობის ნიშანია.

ანი - ყოველთვის?

იბო - ხშირ შემთხვევაში. შიში ახლა
ყველას ერევა. მთელს ქალაქს, მთელს
პლანეტას. შიშით ცახცახებს ყველა. და
ასე ცხოვრობენ, ცახცახით. დაცახც-

ახებენ. შიში თოფივით მზარზე გადაგვი-
კიღია და ისე დაედვიართ, ანი. ოღონდ
თოფისგან იმით განსხვავდება, რომ ჩე-
ნს დაუკითხავად ისერის და გვაყრუებს.

(პაუზა. ქარი თუნუქის ქილას მიახო-
ხებს ქუჩაში.)



ანი - რა დაგეშართა?
 იბო - დავილაღე.
 ანი - ნაუღალ, ფანჯარას მივხურაფ.
 იბო - მამას ოთანთან მიაყურადე.
 (ანი ფანჯარას კეტავს.)
 ანი - წინდები ჩაიცვი?
 იბო - მიაყურადე?
 ანი - მივაყურადე. ახლა რა ექნათ?
 იბო - სანთლები ავანთოთ.
 ანი - არა. არ შინდა.
 იბო - რა მოგივიდა?
 ანი - არ შინდა, მაპატიე. დაღლილი ვარ და არაფერი გამოგვივა.
 იბო - კარგი, ერთი. გაპატიო, არა... მოდი ჩემთან.
 ანი - არა.
 იბო - ავად ხარ?
 ანი - აღარ შემეშვები?
 იბო - მაპატიე.
 ანი - კარგი, ერთი.
 იბო - ფეხი გტკივა?
 ანი - მამაშენი შეცოადება...
 იბო - რაო?
 ანი - მამაშენი შეცოადება. იქ რომ არის, ოთანში.
 იბო - აღარ გეშინია?
 ანი - შე არც არასდროს მშინებია. მოდი, მოვნიოთ. (ასანთს გაკრავს.) იცი, სარკეში რომ ვიხედები, მებრალეები.
 იბო - ეს ერთხელ უკვე მითხარი და საკმარისია.
 ანი - მოდი, გულაზაფილები ვიყოთ.
 იბო - ანი, გუნებაზე არ ვარ.
 ანი - შე უკვე ქალის საზე დავკარგე. ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის და შენც ამჩნევ. შეთანხმები?
 იბო - ანი, რა გინდა?
 ანი - ნეტავ ტირილი შემეძლოს...
 იბო - ჩვენ დაღლილები ვართ.
 ანი (ანყვეტიწებებს.) - მაგას თავი გაანებე და შეკითხვაზე შიპასუზე.
 იბო - შე მადანაშაულებ?
 ანი - ესე იგი შეთანხმები.
 იბო - არ გეთანხმები.
 ანი - თვალს ნუ მარიდებ, შემომხედე.
 იბო - თითქმის მთელი ცხოვრებაა, რაც ერთად ვართ. განა ეს სიყვარული არ არის? რა უშიროა ქალის გული. შე ვიცი, რომ გეშინია, მაგრამ არაფერს გეტყვი. არადა ნელან მე დამციწინდი.
 ანი - ცოდო ხარ, იბო.
 იბო - რა დავაშავე?
 ანი - გულუბრყვილოვ. არაფერი. არაფერი დავაშავებია და იმიტომ ხარ ცოდო.

იბო - გავჩუმდები და ილაპარაკე ილაპარაკე რაზეც გინდა (სარკეში შეიხედება) გინდა. გათენებაშდე ილაპარაკე ილაპარაკე
 ანი - გათენებაშდე?
 იბო - ხო. მერე ავადგეთ, ხელ-პირი დავებანოთ - ვითომ გვეძინა. მერე ვის-აუხმოთ და ნავიდეთ სამსახურში. მიდი, დაინყე.
 ანი - იბო...
 იბო - ხო, ვისმენ. დაინყე!
 ანი - არაფერი გენყინოს...
 იბო - არა უშავს. ციე წყალს დაელეე.
 ანი - ბავშვიც ვერ გაგიჩინე... (პაუზა.)
 იბო - იცი, ჩემი ქორწილის დღეს, ძალიან დიდი ხნის წინ, გამახსენდი და შემეცოადე. ყველაზე უცნაური და უსიამო, რაც კი განმიცდია ჩემს დღეში. (იხსენებს.) იმ დღეს ქორწილი იყო. ჩემი და მარიკას ქორწილი. მე მანქანაში ვიჯექი და ჩემს ყველაზე დიდ საქორწინო საჩუქარს - პატარძლის კაბაში გამოწყობილ მარიკას ვუყურებდი. იგი ვერავინ და ვერაფერს შედავდა. ბავშვივით ტიტინებდა და კისკისებდა. დროდადრო მუხლზე მკიდებდა ხელს, თითქოს მამონებდა - ადგილზე ვიყავი თუ არა. მერე ჯერისნერა იყო. მღვეღელი - მაღალი, ბრგე კაცი - რიხიანად დუღუნებდა. შუბლზე მუნუკებივით ეყარა ოფლი. ნვეთები საფეთქლებიდან უცებ ჩაქანაზოდნენ და ჭალარა-შერეულ ნევრში იკარგებოდნენ. ყველა სულგანაბული იყო. თითქოს ხატებიც კი უსმენდნენ მღვეღელს. მთელი ტაძარი საკმეღლის სუნით იყო დამტკბარი.
 ანი - მერე მარიკა მოკვდა. უცებ ვახდა ავად და სამიოდე თვეში სული დალია.
 იბო - რატომ თქვი ასე?
 ანი - როგორ?
 იბო - ასული დალია.
 ანი - მაპატიე. მარიკა სამიოდე თვეში გარდაიცვალა. (პაუზა.) ველარ ვაგრძელებ. რატომ შემანყვეტინე.
 იბო - ვინ ვთხოვა, დაინყეო?
 ანი - შენ არ მთხოვე ნელან?
 იბო - კარგი, გააგრძელებ.
 ანი - როგორი ვიყავი ოცდარეა წლის წინ, გახსოვს? გამხდარი, გაქანაჭული გოგო. ჩხირივით ფეხებზე ვიდექი და ახლომხედველის სათვალეს ვატარებდი. სათვალედან დიდი, შტერი თვალეები მიჩანდა. დედას პურზე ვეგზავნებოდი. დედა გახსნიდა საფულეს, სადაც

ნამლები უფრო იყო, ვიდრე ფული. მე მივდიოდი ქუჩაში და ქოლგის ქსოვილისგან შეკერილი ჩანთა მეჭირა ხელში. დედა ავად იყო. საშინელი, უსიამო სუნი სდიოდა პირიდან. ამიტომ მე უფრო მტერი თვალებით ვიყურებოდი, რადგან ვერ ვტიროდი. ანთ, რატომ იყურები ლენჩივით? — მეკითხებოდნენ დაქალები და იცინოდნენ. იმიტომ, რომ დედამ ქოლგის ქსოვილისაგან ჩანთა შეკერა, იმიტომ, რომ დედას ცუდი სუნი სდის პირიდან. ვპასუხობდი მე, ოღონდ — გულში.

იბო — ჩვენ შოკში ვართ, ანთ. დავლიოთ რამე, გულს გადავავლებთ.

ანი — შენ დალიე, თუ გინდა.

იბო — რა ცივი ხარ.

ანი — როგორი?

იბო — შენ ვერ ატყობ, არადა...

ანი — მარიკა როგორი იყო?

იბო — შენ მარიკას ვერ შეედრები.

ანი — ვიცი, ჩემო კარგო.

იბო — გაბრაზდი?

ანი — სულაც არა. მანდ ჩემი ხელჩანთაა.

იბო — რად გინდა? მაპატიე, ანთ, თუ განყენიხე. ეს ისე, ვიხუმრე. ახლა ხუმრობა თუ გვიშვალის.

ანი — ნამლის დალევა მიწევს. ნამალი კი ხელჩანთაშია.

იბო — მე მეგონა, გაბრაზდი და მიდიოდი. გამომართვი ჩანთა.

ანი — სად?

იბო — რა ვიცი. გულნატკენ ქალს ვასაქტევი ყოველთვის აქვს. კაცმა რა ქნას?

ანი — აივანზე ორი ბოთლი ღვინო დგას. ნადი და შემოიტანე.

იბო — შენც დალეე?

ანი — არა. მე ნამალს დავლეე.

იბო — ღვინოც დალიე, ანთ.

ანი — არ შეიძლება.

იბო — ეჰ, ღვინის დალევა თუ არ შეიძლება...

(ორივენი გადიან. გარეთ ისევ ქარია და ძალი ყფის.)

იბო — აივანზე ერთი ბოთლი იდგა.

ანი — ერთი? საოცარია. ჩემი ხელით გავიტანე ორი ბოთლი.

იბო — არადა, მარიკა ყველას სჯობდა. მსოფლიოში ყველაზე კარგი გოგო იყო. მაგრამ ბოლოს კი შესცოდა...

ანი — რა დაამაჯა?

იბო — მოკვდა...

(პაუზა.)

ანი — არ გშია?

იბო — პა? არ გისმენენ თვალები, ანდენი ფიქრისგან.

იბო — ყინულივით ცივია ღვინო.

ანი — არ გშია მეთქი?

იბო — არა, არ მშია. მე შენთვის ნამცხვარი მაქვს შენახული. ახლავე მოგართმევ.

(პაუზის შემდეგ.) აი, ორი დიდი ნაჭურია.

ანი — მადლობელი ვარ.

იბო — შენ ორი ბოთლი, მე ორი ნაჭური. თურმე ვზრუნავთ ერთმანეთზე და არ კი ვიცით.

ანი — აკი ერთი ბოთლიო?

იბო — ორი ბოთლი იქნებოდა, რაკი ასე გახსოვს. მეორე, ალბათ, ქარმა ნააქცია და გარეთ გადაავდო.

ანი — რა კარგია ნამცხვარი.

იბო — გესიამოვნა? ეს ღვინო კი ყინულივითაა და ძალიან კარგია.

ანი — ყელი გაგიცივდება.

იბო — ყელი არა... არ მათქმევინო ახლა... (იცინის.)

ანი — რა გაცინებს? (პაუზის შემდეგ.) რა სულელივით იყურები ზევით?

იბო — რა კარგია სიმთვრალე...

ანი — დათვერი? ერთი ბოთლით?

იბო — დალლილობამ იცის.

ანი — ხოო...

იბო — ახლა რა ვქნათ?

ანი — მეორე ნაჭურს ველარ მოვერევი. არ გინდა?

იბო — არ მინდა მეთქი. რა ვქნათ ახლა, ანთ?

ანი — დავიძინოთ. გვიანაა უკვე.

იბო — მაგას არ გეკითხები. საერთოდ რა ვქნათ? (პაუზის შემდეგ.) ახლა ზუსტად ისე იყურები — ლენჩივით, როგორც ბავშვობაში. თან სათვალეც ცხვირს გიმშვენებს. რატომ იყურები, ანთ, ლენჩივით? არ იცი, რა ვქნათ? (იცინის.)

ანი — ნეტა მეც დამეღია ღვინო. ახლა მომიხდა.

იბო — ღვინო? ღვინო მოგინდა? აუჰ, ეს ცარიელია.

ანი — სანთელი ილევა, დავიძინოთ.

იბო — ღვინო არა, ის არ გინდა? (თითქოს ვილაცას მიმართავს.) ეს ისე თქვა, ყურადღების გასაფანტავად. არ მოენონა ჩემი დაცინვა. დიდი ვირეშმაკა ხარ, ვინც არ გიცნობს.

ანი — ვმადლობოთ.



იბო — გაიზარდე. (იციინს.) შენ რომ კიდევ გაიზარდო... ზედგამოტრიალი პაპუასების კერპი იქნები! მე მოგიტან ჯამით სისხლს და ღანვებზე, შუბლზე თითოთი წავისვამ. (უცებ შეწყვეტს სიცილს. ასანთს გაკრავს.) მაპატიე...

ანი — მეც მომანვივნე.

იბო — გითხრა რატომ გიყურებ? მე უკვე მაშინებს შენი გამომეტყველება. არა, არა. თავი ნუ დამიქნიე. მე არ ვხუმრობ, მართლა მაშინებს. შენ, ალბათ, სულ ასეთი იყავი. ალბათ, კი არა, იყავი. ოღონდ მე ვერ ვხვდებოდი. ეს ამბავი რომ არ მოგეყოლა, მე რომ ეს გაყინული ღვინო არ დამელია, ვერც მივხვდებოდი ჩემს დღეში. ოცდარვა წლის წინ... როგორ არ მახსოვხარ? ასეთი იყავი მაშინაც, ოღონდ ჭალარა არ გერია თმში, ნაოჭები არ გქონდა წარბებს შუა და ტუჩებთან. მაშინ ჩვეულებრივი გოგო იყავი, გამხდარი, ანეკისივით გრძელი. დედასთან ჩემს არსებობას უშმაღავდი. საერთოდ ყველას, ყველას უშმაღავდი. საკუთარ თავსაც კი. შენთვის მარტო იყავი. მე ახლა მივხვდი ამას, ოცდარვა წლის მერე. (პაუზა.) გიხაროდა ჩემი არსებობა, ჩემთან ყოფნა. საბნის ქვეშ სიათონებისგან კვნესოდი. ოღონდ ჩუმად, ძალიან ჩუმად. ღამურასავით მხოლოდ შენ გესმოდა შენი ხმა. იმიტომ, რომ გემინოდა, არ დაგკარგვოდი. მარიკამ თითქოს ზედმეტად იგრძნო თავი და მოკვდა. მერე ისევ გამოჩნდი. გაუბედავი ნაბიჯებით და გაუბედავი ღიმილით. ძველი, მოდიდან გამოსული პალტო გეცვა და ჯიბეში, დაჭმუჭნული ცხვირსახოცივით, თავმოყვარეობას მალავდი მუქით. მე კი ქორნილის დღეს მახსენებდი და გულმუცელად მენუის. ნამუსი მახრჩობს. და თურმე არ ვცდები. რა დააშავე? არაფერი, და ამიტომ მებრალები. (პაუზის შემდეგ.) ნეტავ არ დამელია ეს ღვინო...

ანი — შენ კი ასეთ ადამიანთან ცხოვრობ. გახსოვს წელან რომ გითხარი?

იბო — წელან უამრავი რამ მითხარი.

ანი — სარკემი რომ ვიხედები მეთქი...

იბო — შენ ძალიან სასიტიკი ხარ, ანი, მშიშარა ხარ და იმიტომ. ხამაღლა ვერ კი ამბობ თორემ, ქალი ხარ, აბა ვინ ხარ? რატომ მოიხსენი სათვალე? გამწარდი, ქალი რომ გინოდე? არა უშავს. სათვალე გაიკეთე და ის გამომეტყველება მიიღე, ბავშვობიდან რომ გჩვევია.

(პაუზა.)

ანი — ამდენი სტრქმენს... ჩემს გეგმებზე, რას ვიფიქრებდი... მარიკას სიკვდილსაც მე მახრალბ.

იბო — რა სისულელეა! რა უტყინო ხარ, ანი. მარიკას თვალთაც არ უნახიხარ. არც კი იცოდა შენი არსებობა.

ანი — ყოველ ნაბიჯზე მლანძლავ, იბო. რა საწყენია... ამდენი ბოლმა რამ დაგიგროვა გულში? ჩემმა არსებობამ?

იბო — როგორ ვბრაზობ ჩემს თავზე, ქორნილის დღეს რომ გამახსენდი. არადა, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. შეცდომით, მარიკას ნაცვლად, შენ აღმოჩნდი საბრალე. ასეთია ადამიანის გული, დღევანდელი დღით ცხოვრობს. უბედური გეებრალბა, ბედნიერის — გეშურს. რა დააშავე ან ერთმა ან მეორემ? არაფერი და სწორედ ამიტომ. სწორედ ამიტომ.

ანი — საბრალე მარიკა. ისე მოკვდა ჩემი არსებობა არც გაუგია. ნეტავ სცოდნოდა...

იბო — მართალი ხარ. ისეთი საბრალე აღარ იქნებოდა.

ანი — მარიკას რომ ჩემი არსებობა გაეგო, აღარ მოკვდებოდა. მერე შენ მიხვიდოდი, ჩაუვარდებოდი მუხლებში პატიების სათხოვნელად... რალა მოკლავდა ამის მერე? ადამიანს სიძულელი უფრო ასულადგმულებს, ვიდრე სიყვარული. ასეა მონყობილი და რას იზამ? მარიკა სიყვარულმა შეინირა, ჩაყლაპა, ჩანთქა.

იბო — საერთოდ თუ იცი, რა არის სიყვარული?

ანი — ეგ რომ არ მცოდნოდა, არც იმ ჩემს თავმოყვარეობას დედალავდი დაჭმუჭნული ცხვირსახოცივით.

იბო — სიყვარული არაფერ შუაშია. აქ შენ შიშმა მოგყვანა. შენ ზომ პლანეტის მშიშარა ხარ...

ანი — „შიში შეიქმს სიყვარულსა“-ო.

იბო — ანი, დაგახრჩობ.

ანი — მაგაზეც მიფიქრია, იბო. ჩემს მოკვლას რა უნდა? კაციშვილი ჩემი გამკითხავი არ იქნება. მომიკიდებ ზურგზე და კრემატორიუმში წამათრევ. ნამოილებ იქიდან ჩემს ფერფლს და დამარხავ. საფლავზე ალვის ხე გაიზრდება. მალალი, უაზროდ მალალი და უნაყოფო.

იბო — ანი, მართლა დაგახრჩობ...

ანი — ჰოდა, ალვის ხეც გაიზრდება.

იბო (უცვებ.) - რა მოხდა?!

ანი - სანთელი ჩაქრა.

იბო - ნეტავ რომელი საათია?

ანი - სამის ნახევარია.

იბო - შუქს ალბათ აღარც მოგვცემენ.

ანი - შუქი არა, ის არ გინდა?

იბო - სანთელი აღარ გვაქვს?

ანი - აღარ. ახლა რა ვქნათ?

იბო - დავიძინოთ.

ანი - მაგას არ გვკითხები. საერთოდ რა ვქნათ?

იბო - სანთლები ავანთოთ.

ანი - აღარ გვაქვს, თორემ სიამოვნებით.

იბო - მაშინ დაგახრწობ...
ანი - მიდი, დაიწყე.

იბო (პაუზის შემდეგ.) - იცი, აივანზე ორი ბოთლი ღვინო იდგა. ერთი ბოთლი იქვე, სულმოუთქმელად გამოვცალე.

ანი - რას მეუბნები?

იბო - იმ ბოთლით შენი სადღეგრძელო დავლიე. ანის გაუმარჯოს მეთქი. ამ დინდ, ტყვიან და მძიმარა ქალს მეთქი. რას ჰგავს, როგორ მეზიზღება. მაგისი ან ქალობა ვინა სთქვა, ან დედობა ვინა სთქვა მეთქი. რამდენჯერ დამინახავს ქუჩაში. მაღალი, ძალიან გამზადარი და სათვალისანი. როგორ მძულს ის სათვალე მეთქი. მოდის ჩუმად, მოკრძალებით და სულ ქვევით იყურება. ხანდახან თუ ახნევს თავს. ტურფის ზომა დიდი აქვს, ქალისთვის შეუფერებელი. გამომეტყველებდა უაზრო, ყოველ შემთხვევაში, სათვალედან ასე ჩანს. ტურები თხელი, მკრთალი ვარდისფერი და სევდიანი. ყველაზე სევდიანი ზურგი აქვს. ზურგიდან თუ შეხედავთ, დარწმუნდებით. ანი მიდის ქუჩაში. თხელი, სამემოადგომო ქურთუკი აცვია. ხელები ქურთუკის ჯიბეებში ჩაუნყვია და მუჭით დაჭმუჭნულ ცხვირსაბოცს მაღავს. ამას ვფიქრობდი, ღვინოს რომ ვსვამდი. (ასანთს გაკრავს.)

ანი - შენ ძალიან მძიმე დღეები გქონდა, იბო. უნდა დაისვენო. ღვინოც არ უნდა დაგელია.

იბო - ღვინო მართლა არ უნდა დამელია. მშვენიერი ღვინო იყო, მაგრამ მომწამლა. საბოლოოდ მომწამლა. ანი, გინდა სანთლები ავანთოთ? როგორ მიყვარს ანთებელი სანთლები. ფილმებში მაქვს ნანახი და მომწონს. ეგვიტები ამ ფილმებზე, არადა ბოლოს მომიღებს, ვიცი. მთელი ქვეყანა ისე დადის, ისე

ქამს, ისე იცვამს და ისე ცხოვრობს, როგორც ამ ფილმებში. შენც უნდა არა ხარ? არა, არა. შენ სულ წინა ხანაში ვიჯიშის. სახელიც შესაფერი გქვია - ანი. მოკლე და ცივი.

ანი - სანთლები არა გვაქვს.

იბო - ხო, ვიცი. არცაა საქირო...

ანი - როგორც გინდა.

იბო - არა, მე აღარ მინდა. შენ, ალბათ... მაპატიე... თან არ მინდა მაშამ გაილვიძოს...

ანი - მაშა ვერ გაილვიძებს...

იბო - რაო?

ანი - მაშამენი მოკვდა. შენი თანხმობით ის კრემატორიუმში დანვეს. ეს გუშინ იყო.

იბო (თავისთვის.) - მაშა მოკვდა... გაუმარჯოს მაშას ეს რა მითხარი, ანი?

ანი - შენ წარმოიდგინე, ასეა.

იბო - ანი, ანი. შენ არ იცნობდი მაშაჩემს...

ანი - შენზე კარვად არა, მაგრამ...

იბო - არა, არა. ნუ შემედავები. შენ საერთოდ არ იცნობდი მაშას.

ანი - ქარი ჩადგა. არ გეძინება?

იბო - არც ისე. (თავისთვის.) მაშა მოკვდა... კრემატორიუმში... ფერფლი... ქელები... მაშა...

ანი - ვიყვარდა მაშა?

იბო - მაშა არასდროს მყვარებია. მაშის მეშინოდა, სულ. ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე. მაშა უკვე აღარ არის და მე უფრო მეშინია, ბავშვივით. ვილაცას შეიძლება სულელი ვეგონო - ჯანდაბამდე გზა ჰქონია (იხსენებს.) ბავშვობაში წყნარი, დამჯერე ვიყავი. მაშამ, სანამ დამუნჯდებოდა, ასეთი ამბავი მომიყვა: მე და დედა ერთ ზაფხულს მაღალმთიან კურორტზე, სანატორიუმში ვისვენებდით. მე პატარა ვარ, ხუთიოდე წლის. ნამოსვლის დღეს გაციებული ვყოფილვარ, საშინლად მახველებდა. დედა ალაგებდა ბარვს ტაქსში, მე კი, ხალვათად ჩაცმული, ქვის კიბეზე ვიჯექი. დედა გამიწყრა, ოთახში ამიყვანა და მიბრძანა: აქედან ფეხი არ მოიცვალაო. სანატორიუმიდან კარგა შორს ყოფილან, როცა მძღოლს უკითხავს ჩემი ვინაობა. დედას შემოუკრავს თავში ხელი და გამობრუნებულან უკან. შემოვარდნილა დედა ოთახში და რას ხედავს: ვზვიარ თურმე იმავე სკამზე, სადაც თვითონ დამსვა, მომიხურავს მხრებზე თბილი ქურთუკი და დიდი კაცით მუჭში ვახველებ. დედა უცნაური ქალი იყო.



ათი წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. სულ შენუბებული სახე უქონდა და სულ უჭარებოდა. ვინ იცის, იქნებ სიკვდილს ჩქარობდა. კი, ნამდვილად ასე იყო. ზოგი ადამიანის ცხოვრება კროსივითაა, სტარტიდან ფინიშიამდე უსწრაფესი გარბენა. დედა სულ ჩქარობდა. უნდოდა ყველაფერი მალე მომხდარიყო, დრო მალე გასულიყო. თურმე სიკვდილს ესწრაფოდა და არ კი იცოდა. საერთოდ არ ფიქრობდა სიკვდილზე. კროსი – სწრაფი გარბენა სტარტიდან ფინიშიამდე. (ანი იცინის.) რა ვატივებს?

ანი – რალაც სისულელე ვაგიფიქრე.
იბო – მითხარი. მეც მიყვარს სისულელეებზე ფიქრი.

ანი – ნამდვილი სირბილის დროს მორბენლები რომ ილუპებოდნენ, ოღონდ ფინიშთან მისვლისას. წარმოიდგინე რა იქნებოდა?

იბო – რა იქნებოდა?
ანი (იცინის.) – არ გაიტყეოდა არავინ.
იბო – რომ სცოდნოდათ, კი.
ანი – ჩვენც ასე არა ვართ?
იბო – მე მეგონა, მართლა სისულელეებს იტყოდი...

ანი – მამაკაცი. კარგად ვერ მოვიფიქრე. სად მიდიხარ?
იბო – აივანზე, იქნებ კიდევ იყოს ღვინო...

მეორე ნაწილი

(ქუჩაში ძალი ცუდს. საიდანაც კარზე ბრახუნი მოისმის.)

იბო – ქარი ჩადგა და სიჭუმბა.
ანი – საწყალი კაცი. კარს არ უღებენ.
იბო – რა იცი, რომ კაცია?
ანი – ბრახუნზე ვხედები. არ იღლება და არც ეშვება.

იბო – როგორ არ მსიამოვნებს ეს ხმა. სულ მგონია, რომ რალაც უბედურება მოხდა.

ანი – რა საშინელი იქნებოდა, წინასწარმეტყველი რომ დადიოდეს კარდაკარ და იმ ოჯახის კარზე აბრახუნებდეს ღამ-ღამობით, სადაც უბედურებაა მოსალოდნელი.

იბო – ბავშვივით ღაპარაკობ.
ანი – არ შეგეშინდა?
იბო – მართლა რამდენს აბრახუნებ...

ანი – ვინ იცის, იქნებ მანანალუბმა სცემეს.

იბო – რა თბილი გაქვს ფეხებზე...
ანი – აჰ! ფრთხილად! ეგრე უნდა უნდა
იბო – ნატკენ ფეხზე მუხმეფეხმეფე უკაციე.

ანი – რა სუსტად ანათებს კანდეელი.
იბო – არ უნდა გამოგეტანა, ანი, სირცხვილია.
ანი – ბნელში ხომ არ ვისხდებოდით?

იბო – როგორ დუმს მისი ოთახი...
ანი – ვისი გრცხვენია?
იბო – სანოლი, სავარძელი, კედლები. ყველაფერი დუმს... სავარძელი იდგა? სავარძელში ხომ არ იჯდა?

ანი – ვინ, იბო?
იბო – მამაჩემი...
ანი – არადა როგორ მინდოდა ყოფილიყო... იქნებ ახლა მაინც ეთქვა რაიმე.

იბო – რომ დაგხვედროდა, უსათუოდ გეტყოდა.

ანი – რას მეტყოდა?
იბო – არ ვიცი.
ანი – როგორ მაინტერესებს, ღმერთო.
იბო – შეიძლება არც არაფერი ეთქვა. ვინ იცის? (იხსენებს.) მე და მამა ერთმანეთისგან შორს ვცხოვრობდით.

ანი – შორს?
იბო – ხო, ასე იყო. ხუთი მეტრი გვაშორებდა ერთმანეთს. ეს იცი რამხელა მანძილია? ზოგჯერ სამი, ზოგჯერ ოთხი დღე ისე გავიდოდა, ერთმანეთს არც ვნახულობდით. ერთხელ შუალამისას ავდექი. სამზარეულოში დამხვდა, სადილობდა. გასვლისას რალაც მომამბა. ვერ ვაგიგე და ვამიშეორა: „რამოდენიმე დღეში დამუნჯდები და არ შეგეშინდესო“. მხრები ავიჩეჩე და გამოვედი. დღემდე არ ვიცი, მართლა დამუნჯდა თუ არა – ხმა არ გაუცია მას შერე...

ანი – საწყალი კაცი...
იბო – ზოგჯერ მაინც ედებოდა მისი არსებობა. სავარძელი ისევე შუა ოთახში დგას?

ანი – არ ვიცი. არ დავეკირვებივარ.
იბო – როგორ მძულს ის სავარძელი. მამა სულ აქ იჯდა. ერთხელ საშინლად მთვრალი მოვედი. მივგადე ლოგინზე და გმინვაში ჩამქძინა. რალაც ხმა ჩამამხოდა ძილში: „რა სწრაფად გიცემს გულიო“. გამელევიდა და მაშინვე გამოვფიხლდი: მამა სასთუმალთან მეჯდა და მაჯას მისინჯავდა. შერე ადგა და წავიდა, გამეცალა. მიხვდა, რომ უკვე ფხიზელი ვიყ-

აუი... (პაუზის შემდეგ.) მამაჩემი მოკვდა, ანი. რა იყო ჩემი ცხოვრება?

ანი - შენი თუ მისი?

იბო - ჩემი, ანი, ჩემი. ჩემი ცხოვრება რა იყო მეთქი, სანამ ის ცოცხალი იყო? (იხსენებს.) იმ დღეს დედის დაკრძალვა იყო. მამას მათი პერანგი ეცვა. საფლავთან დასვენებულ დედას მუბლზე ისე ეფერებოდა, თითქოს ხელს წვავდა მიცვალებული... მერე მუჭით მიწას აყრიდა კუბოს. მე მძულდა მამა, პირველად ცხოვრებაში. ვიდექი ათი წლის ტირისუფალი და ვნატრობდი, მამაც მომკვდარიყო. შემდეგ იცი, რა მოხდა? შემდეგ მინ დაბორუნდი. დედა კი იქ დავტოვეთ, მინამი. იმ ღამით მამამ დამიძახა. მამა სავარძელში იჯდა და სახეზე იმ თევზის ფერი ედო, რომელც ქელეხისთვის შეიძინეს. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ თევზის ულვაშებიც უკონდა. ზოგჯერ, მამა მკაცრი სახით მიცქერდა. „გინდა მეც მოვკვდე“-ო? (იცინის.) ამ შეკითხვამ იცი რა მიქნა? „მამა მიმიხედა, რაც მიდევს გულში“-ოო, გაუფიქრე და ავლუქუნდი. მამამ გულში ჩამიკრა. „ნუ გეშინია, შვილო, არ მოვკვდებიო“. ახლა დაერჩით მე და შენ და ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდეთო“. (იცინის.) სანყალი მამა. ტიროდა. მეც ეტიროდი სიხარულისაგან და სირცხვილისაგან.

ანი - გახსოვს, ერთხელ შინიდან რომ გააგდებ? გზის პირას იდგა და ჩუმად, კაცურად ტიროდა. შენ ფანჯრიდან უყურებდი, და გული გენვაოდა. რა სასაცილო იყავი მაშინ.

იბო - სახე მიხურს. ალბათ, ღვინის ბრალია.

ანი - სად მიდიხარ?

იბო - იფ, რა ცივია ეს კარი..

ანი - იბო, შე სანყალო, ახლა ხომ შევბა იგრძენი?

იბო - რა კარგია სიცივე. მთელი სახე მენწის!

ანი - ყველაფერი რიგზე იქნება, იბო. რამდენიმე დღეში ყველაფერი გაივლის და დაემშვიდდებით. მამას ოთახს დავაღებთ, დავანკრიალბთ. სავარძელს გადავადგებთ... იცი, მამაშენი მამა სავარძელში მოკვდა... (იბო, კარზე აბრაზუნებს.) რა მოხდა, შენ აბრაზუნებ?

იბო - სახე მენწის, ანი.

ანი - ნუ გეშინია. ეგვეც გაგივლის. შემთხვევით შევიხედე და რას ვხედავ: ჩამ-

ჯდარა სავარძელში და კედელზე რა ზღარ ვეცადე: ხან აქედან და აქედან... (იხსენებს.) ხან იქიდან - ძერა ვერ ვუძახებდი... (იხსენებს.) ხელი მუცელზე და ისეთი სახე უკონდა, თითქოს გველები ჰყავს ნანლავებშიო. როგორც ფილმებშია. კრემატორიუმში როგორც ციოდა, არა? პირველად შემშურდა ცხოვრებაში მიცვალებულის. ვინ იცის, მარტომ იმიტომ კი არა, რომ მას არ სციოდა. იმიტომაც, რომ შენთან აღარ იცხოვრებდა, იბო.

იბო - სახე მენწის, ანი. ჩააქრე კანდელი...

ანი - ანი ჩვენ მშვიდად ვიცხოვრებთ, იბო. აღარაფერზე ვიფარდებთ. ვინ იცის, იქნებ ბავშვიც გაგვიჩნდეს. ამ სათვალეს საერთოდ მოვიხსნი, აღარ გავიკეთებ. საბნის ქვეშაც შენს გასაგონად ვიკვნესებ. იცი, რა, მე მგონი, ჯობია დავნვათ სავარძელი. კრემატორიუმში რომ მივიტანოთ, არ დანვავენ? ვუთხრათ, ვისიცი იყო და მე მგონი, უარს არ გვეტყვიან. (იბო კარზე აბრაზუნებს.) მერე ნაეილოთ ფერფლი და მამაშენის საფლავზე დაფაროთ...

იბო - აღარ შემიძლია, ანი, ვარაუდში!

ანი - ჩვენ თუ ბავშვი გაგვიჩნდა, მამაშენის ოთახი ბავშვის ოთახად გადავაკეთოთ. კედლები ათასფრად შევღებოთ, ოთახის მცენარეები შევიძინოთ. ალუ, ალუ, პატარავ, დედამ მუცლით გატარა. დაიძინე, დაიძინე, დაიძინე... ნუ ტირი, პატარავ... დაიძინე... დაიძინე, შე ჩათლახო! (იბო კარზე აბრაზუნებს.) დაიძინე! დაიძინე! (ისტერიულად.) დაიძინე!!!

(ხანგრძლივი პაუზა.)

იბო - ანი. ანი (ჩურჩულით.) ანი, რა მოგივიდა?

ანი - გათუნდა. ხელ-პირი დავიბანოთ და ნაეიდეთ.

იბო - ჩვენ იდიოტები ვართ...

ანი - შეიძლება...

იბო - ნამცხვარი სად არის, მგელივით მშია.

ანი - ოთახში, მამაშენის სურათთან დავდე. ჩანთაში ვაშლი მაქვს, გინდა?

იბო - მომეცი. (ვაშლს ჩაქვიჩავს.) რა ნენიანია და ტკბილი. ანი, რა მოხდა, ტირი?

ანი - მე მგონი... (ტირის.)

(გარედან ახლადგამოღვიძებული ქუჩის ხმაური აღწევს.)



სსსსსს

წინასიტყვა

აღორძინების ეპოქის ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ დე მონტენის თხზულება „ესეები“ (1570) ნათლად ასახავს XVI საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას. ამ შრომამ, რომელზეც მონტენი ოც წელს მუშაობდა, დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე. ავტორს „ესეები“ რა მიზნითაც არ უნდა დაენერა, მაინც დიდი ღირებულება ექნებოდა ისეთი თვითმყოფადი მოაზროვნის ნარმოსაწინააღმდეგ, როგორც მონტენი იყო.

მონტენის „ესეები“ შეიქმნა საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნის რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში, როდესაც დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ფეოდალური წყობის ნიადაგი ისახებოდა წარმოების ახალი წესი – კაპიტალიზმი; იწყება ფეოდალური დაქსაქსულობის თანდათანობითი ლიკვიდაცია და მკვიდრდება დიდი, არსებითად ეროვნულობის საძირკველზე აშენებული მონარქიები; ჩნდება ახალი თავითი ნაციონალური ენები.

საერო აზროვნება – მეცნიერება და კულტურა გამოვლინდა თავისი ახალი ფორმით – პუბლიცისტით – აღორძინების ხანის დღა-მინაარსით. პუბლიცისტის მსოფლგაგების ცენტრში დგას ადამიანი – როგორც პიროვნება.

საფრანგეთში აღორძინების ანუ რენესანსის ხანა ხასიათდება ანტიკური კულტურის, ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი დიდი ინტერესით, წმინდა ფრანგული ენისა და წმინდა ფრანგული ლიტერატურის დამკვიდრების მცდელობით. პიროვნების თავისუფლების იდეა დღეა დღეადარღვეოდა ხდება XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგი პუბლიცისტების თხზულებებისა, რომლებშიც ადამიანი პარმონიულ, უზადო ბუნების არსებადაა წარმოდგენილი; მაგრამ საუკუნის მეორე ნახევარში რთულმა ისტორიულმა ვითარებამ პუბლიცისტურ იდეალებზე აღზრდილი მიშელ დე მონტენი სკეპტიკურად განაწყო ადამიანის სრულქმნილობის იდეის მიმართ. ასეთი ეჭვნარევი დამოკიდებულება სხვათაგან უკვე თითქმის უსიტყვოდ აღიარებული აზრების მიმართ, საზოგადოებრივი პროტესტის ერთგვარი ფორმა იყო და, უპირველეს ყოვლისა, მიმართული შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკისა და კათოლიკური რელიგიის დოგმების წინააღმდეგ.

მიშელ ვიკემ დე მონტენი დაიბადა 1533 წელს, პარიზის სამხრეთ-დასავლეთით, ქ. პერიგორის მახლობლად, მონტენის საგვარეულო ციხე-კოშკში. იგი მდიდარ ვაჭართა ოჯახის წამომავალი იყო. XV საუკუნის ბოლოს მისმა პაპის მამამ აზნაურობა მიიღო, ხოლო მონტენების საგვარეულო ადგილმამულის შექმნის შემდეგ, მათ გვარს – ვიკემს – დე მონტენიც დაემატა.

მიშელ მონტენის პიროვნების, მისი აზროვნების ჩამოყალიბებასა და სრულქმნას დიდად შეუწყო ხელი მისმა მამამ, განათლებულმა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანმა, პიერ ვიკემმა. როგორც კი პატარა მიშელი ძიძის კალთას მოსწვევტეს, მამამ სახლში აღმზრდელად ერთი ფრიად განსწავლული გერმანელი, გვარად ჰორსტი, მოიწვია, შესანიშნავი პირობები შესთავაზა და ორი დამხმარეც მოიწვინა.

ექვსიოდე წლის მიშელი, ტრადიციის თანახმად, მამამ გაგზავნა გენის კოლეჯში, რომელიც იმხანად საფრანგეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. აქაც მან საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა შეიღისადმი. ცამეტე წლის მონტენმა დაასრულა სწავლების სრული კურსი, მაგრამ, მისი სიტყვების თანახმად, „კოლეჯში არაფერი შემოძენია ისეთი, რაც ამჟამად ღირებული იქნებოდა ჩემთვის... საოცარ დაუდევრობას ვიჩენდი კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტისადმი... ჩემი აღმზრდელი მშვიდად ხუჭავდა თვალს ჩემს ამ და სხვა მსგავს ცოდვებზე; ამის წყალობით თითქმის სულმოუთქმელად ნავიციებე ვერგილიუსი, ტერენციუსი, პლავტუსი... ჩემს აღმზრდელს რომ ვიუტავდი და ძალით შეეწყვეტინებინა ეს გატაკება, კოლეჯიდან – თითქმის ყველა ჩვენი ყმანვილი აზნაურის მსგავსად – წიგნებისადმი მხოლოდ სიძულვილი გამოწყვეტებოდა“ („ესეები“ I, XXV).

მამა მიშელს მაგისტრატურისათვის აშნადება. ამიტომ გენის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, მონტენმა შეცადინებოდა განავრძო ქ. ტულუზაში, სამართლისმცოდნეობის შესასწავლად. 25 წლის მონტენი ბორდოს პარლამენტის მრჩეველის თანამდებობას იკავებს. 1570 წელს 38 წლის მონტენმა დატოვა ბორდოს პარლამენტი და მემკვიდრეობით მიღებულ ციხე-სიმაგრეში განმარტოვდა, რათა დარჩენილი სიცოცხლე „მუზათა სამახაურში“ გაეღლია.

1580 წელს გამოქვეყნდა მონტენის თხზულების „ესეები“-ს პირველი ფრი ნიჭი. ამჟამად ნელს მონტენის სამოგზაუროდ გაემართა ევროპის ქვეყნებში. მოგზაურებთან ერთად მას აცნობდა, რომ იგი არჩეული იყო ქ. ბორდოს მერად. ამგვარად, ათი წლის შემდეგ მონტენი კვლავ დაუბრუნდა საზოგადოებრივ საქმიანობას.

პოლიტიკური ორიენტაციის შუაგულში მდგომი მონტენი აქტიურად არცერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ემხრობოდა. თავადაც ძალიან კარგად ახასიათებს თავის თავს ამ სიტყუაციაში: „მრავალი უსიამოვნება დამატყდა თავს. საზოგადოებრივი არეულობის დროს ზომიერ, თავშეკავებულ ადამიანებს ემართებათ ხოლმე ასე. ყოველი მხრიდან შემოშიშვენილი“ („ესეები“, III, XII).

ცხადია, ასეთი ვითარება მისი, როგორც პოლიტიკოსის უპრინციპობისა და საკუთარი მრწამსის უქონლობის გამოვლინება კი არ იყო, არამედ პოზიციის იმ დიდი ფილოსოფოსისა, რომელსაც მოქმედი და მტერივე თანაბრად შეუძლია უარყოფითისა და დადებითის დანახვა, მისი აზროვნება ჯანსაღია, გონება მკაცრი და გამჭრიახი. იგი აკვირდება მოვლენებს. მისი რწმენით, „გონიერი კაცი არაფერს დაკარგავს, თუკი თავისი თავის შენარჩუნებას შეძლებს“ („ესეები“, III, XII). ... „ჩემ თავთან მარტო როცა ვარ, საზოგადო საქმეს, მსოფლიო მოვლენებს უფრო ადვილად ვუკირკიტებ“ („ესეები“, III, XII).

ბორდოს მერად მეორე ვადით არჩეული მონტენი უფლებამოსილების მოხსნის შემდეგ კვლავ თავის ციხე-სიმაგრეს დაუბრუნდა და ლიტერატურული საქმიანობა განაგრძო. რვა წლის განმავლობაში (1580-88) „ესეები“ ოთხჯერ გამოიცა, რაც უდაოდ მეტყველებს თხზულებისადმი საზოგადოების დიდ ინტერესზე. პუბლიცისტური იდეებით აღსავსე თხზულებამ მონტენი სიცოცხლეშივე დიდების შარავანდედით შემოსა. ცხოვრების ბოლო წლებში მონტენი დაუღალავად იღვწოდა, მრავალი დამატებით და შესწორებით სრულყოფდა თავის თხზულებას, ამზადებდა მის ახალ გამოცემას, მაგრამ ოროცი წლის ასაკიდან თირკმელის დაავადებული მონტენის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. 1592 წლის 13 სექტემბერს მიშელ მონტენი გარდაიცვალა.

აღორძინების ეპოქის დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ, მიშელ დე მონტენმა, თავის ეპოქის სულსკვეთება და სწრაფვანი ასახა თხზულებაში, რომელსაც „Les Essais“ უწოდა, რაც „ცდებს“ ნიშნავს. ამ თხზულებით მონტენმა დასაბამი მისცა ესსეისტურ ვანრის ევროპაში.

ამრიგად, ესე, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ვანრი, – რენესანსის ბოლო საფეხურისათვის დამახასიათებელი პროცესების პირში, – შეიქმნა საფრანგეთში. იგი აღორძინების ფრონდელი იდეალების – ადამიანის ტიტანიზმისადმი, სრულქმნილობისა და პარამოუნოლომისადმი რწმენის – მსხვერველ მოიტანა. ა.ფ. ლსკევის [Ю.Е. Скрипник, М. Мысь, 1978] სიტყვით, ესე „არტიკული, ლამაზი ინდივიდუალიზმის“ რეალისტური, მატიხელი ინდივიდუალიზმით შეცვლის ეპოქამ წარმოქმნა. მის ძირითად ნიშნად, როგორც მისი სახელდებაც („ცდა“) მიგვიჩიბებს – კატეგორიულ განსაზღვრულობისადმი დაუმორჩილებლობა უნდა მივიჩნიოთ.

„კლასიკური ესე ინდივიდის მიერ იწერება; იწერება ისეთ საგანზე, რომლითაც ღრმად არის დაინტერესებული ავტორი, ჭეშმარიტად ზრუნავს და ფიქრობს მასზე.“ (Drury D. Varieties of the essay. Traditional and modern. California, 1968, 9) მონტენის შემეცნების საგანია ადამიანი, მისი რთული და ძნელად ამოსაცნობი ბუნება. ავტორის აზრით, ყოველი ცალკეული ადამიანი მთელი ადამიანური ბუნების განსახიერებაა. სწორედ ადამიანის ბუნების მონტენისეული ანალიზი ანიჭებს განსაკუთრებულ ღირებულებას „ესეებს“:

ადამიანის არსების შესწავლა მონტენმა თვითანალიზისა და თვითშემეცნების რთული გზით შემოგვთავაზა. ავტორი ადამიანის ბუნებას თავის თავზე დაკვირვების შედეგად განსჯის; ამრიგად, მონტენის „ცდის“ პირი თავად მონტენი გახლავთ. „ჩემი არსების შესახებ მოვითხრობთ, ვანა ფილოსოფი მონტენის ან პოეტის ან იურისტის, არა, მთლიანად მიშელ დე მონტენის შესახებ“ („ესეები“, III, III).

მონტენის „ესეები“ ფილოსოფიური ენციკლოპედიაა, რომლის დედაზრი გონების უზენაესობაა; რასაც არ უნდა ეხებოდეს ესსეისტის მსჯელობა, მასში წარმმართველი ადგილი პიროვნებისეულ შეხედულებებს, ობიექტისადმი მისეულ დამოკიდებულებას, მისი ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარე მახასიათებლების, პოზიციის მრწამსის ერთგვარ გამოვლინებას უჭირავს; რა ავტორიტეტსაც არ უნდა მიმართავდეს აზროვნებისას, იგი განსჯას საკუთარი რწმენით ამთავრებს. მონტენს გაცნობიერებული აქვს – მისი პოზიციის შემოთავაზებულია არა როგორც უდავო, უსათუოდ მისაღები და კარგი, არამედ როგორც სუბიექტური თვალთახედვა. „ვაჩვენებ არა იმას, რაც სარწმუნოა, არამედ იმას, რაც მნამს“ („ესეები“, I, XXIII).

მონტენმა იცის, რომ ამგვარი ასახვისას მისი მსჯელობა არათანმიმდევრული და ფრაგმენტული, ხშირ შემთხვევაში ნინაღმდეგობრივიც შეიძლება გამოვიდეს, მაგრამ მისი რწმენით, ასეთივეა თავად საგანი, რომელსაც იგი შეისწავლის და ამდენად, მისი ბუნების გადმოსაცემად სწორედ ამგვარი მეთოდი გამართლებულია.



მონტენის „ესეებში“ ყველა მონაკვეთი აღწერილობითი თუ თხრობითი ხასიათისა; განსხვავებული ზონის თავები ერთი შეხედვით უსისტემოდ, ქაოტურადაა წარმოდგენილი თავად პარაგრაფების მიგნითაც აზრი ხშირად გარკვეულ რიგს აცდენილია, მკაცრ, ლეგიკას, მწყობრ სტილს ხშირად ენაცვლება ასოციაციური მსჯელობა; ეს უსისტემობა და მონაკვეთობა თხზულებისა მის ნაკლოვანებაზე კი არ მოუთხოვს, არამედ ფანრული სპეციფიკის ერთ-ერთი გამოვლენაა. გარკვეული ფრაგმენტულობის მიუხედავად შინაგანად თხზულება შეკრულია.

აზროვნების წესის თვალსაზრისით, არაკატეგორიულობით, სუბიექტივიზმით, განსჯის სილაღით – ნაწარმოები აღბეჭდილია თავისუფლების ნიშნით. თხზულების სტილის მიმზიდველობას ასევე განაპირობებს მისი სუბიექტურობა და ლირიზმი. სწორედ თხრობის ინტიმური მანერა განაცდევინებს მკითხველს „ესეებს“ არა როგორც „ნიგნს, რომელსაც კითხულობ, არამედ საუბარს რომლის მონაწილეც ხარ“!

მონტენის შესახებ ვილემენი წერდა: „მისი ყოყმანი აღფრთოვანების ღირსია, ის ბევრს საუბრობს მორალზე, პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, ბევრ საკითხს იხილავს ერთდროულად, მაგრამ არასოდეს გვთავაზობს – სისტემას. იგი არავის უცრუებს იმედს, არ არის უმეყოფილო არც თავის თავისა და არც სხვების. მისი პრინციპები მაკარი არ გახლავთ. იგი არ ეძიებს რაიმეს იმ მიზნით, რომ მანკიერების დანახვის შიში ალგვიძრას. საბოლოოდ კი ის ჩვენ სიამოვნებას გვთავაზობს და სიკეთისაკენ გვიბიძგებს“ (Grand Dictionnaire Universel du XIX siecle par P Larousse, VII, 940)

ავტორის ერთ-ერთ დამსახურებად მისი ნაწარმოების უბრალო, ხალხური ენაც ითვლება. ჩვეულებრივ, მონტენის თანამედროვე მოღვაწეი ლათინურად წერდნენ. მათგან განსხვავებით, მონტენმა თავისი თხზულებისათვის ცოცხალი, სადა, სასაუბრო მშობლიური ფრანგული აირჩია. იმ დროისათვის ეს დიდი სიახლე იყო.

მონტენის თხზულება „ესეები“ – მისი, როგორც პიროვნების უდიდესი განსწავლულობისა და მხატვრული ნიჭის ნაყოფი – გასცილდა „ეიწრო წრის“ ინტერესებს, თავისი მშობლიური ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად იქცა.

შთარგმნელი სპაპე

ერთი და იმავე მიზნის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით

ჩვენგან შეურაცხყოფილი ადამიანი თუ შურისგებას ლამობს და ძალუძს საკუთარი შეხედულებებისამებრ მოგვექცეს, ასეთ შემთხვევაში მისი გულის მოღობვა შესაძლებელია მხოლოდ მისდამი მორჩილებით, ჩვენდამი მისი თანაგრძობისა და სიბრაღის გამოწვევით; თუმცა ზოგჯერ საპირისპირო საშუალებებს – სიმამაცეს, სიმტიცეს და შეუპოვრობასაც იგივე შედეგი გამოუწვევია.

ედუარდს, გალების უფლისწულს, ასე ხანგრძლივად რომ განაგებდა ჩვენს გიენას, ვითარებამ და ბედისწერამ მრავალჯერ არგუნა დიდება. ერთხელ იგი ძლიერ შეურაცხველი ღიმოფნებმა. ედუარდმა აიღო მათი ქალაქი და სასტიკად გაუსწორდა; ყურს არ უქადებდა გასაფლავებად განიწიულთა – ქალებისა და ბავშვების ხვეწნა-მუდარას, რომლებიც მუხლებში უვარდებოდნენ და შებრალვებას სთხოვდნენ. ედუარდი ქალაქის ცენტრისკენ მიიწედა, ვიდრე არ შეამჩნია სამი ფრანგი აზნაური, რომლებიც მარტონი განსაცვიფრებელი სიმამაცით იგერიებდნენ მტრის ძლევამოსილი

ჯარის შეტევას. ასეთი გასაოცარი გმირობის ბილვამ დააცხრო მისი რისხვა, იგი პატივისცემითა და თანაგრძნობით განიმსჭვალა ჯერ ამ სამი აზნაურის მიმართ, შემდეგ კი ქალაქის სხვა მცხოვრებლებისადმიც აღედრა სიბრაღული.

სკადენბერგი, ეპირის გამგებელი, მოსაკლავად გამოუდგა ერთ-ერთ თავის ჯარისკაცს; ამ უკანასკნელმა ბევრი დამამცირებელი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გადაწყვიტა, ხმლით დაეცვა თავი. ჯაროსკაცის ამ ღირსეულმა გადაწყვეტილებამ დააცხრო მისი ბატონის რისხვა და იგი შეინყალა. ვისაც არ ნაუკუთხავს ამ ხელმწიფის საოცარი ფიზიკური ძალისა და მამაცობის ამბავი, იგი ამ მაგალითს სხვაგვარად განმარტავს.

იმპერატორმა კონრად მეხამემ ალყა შემოარტყა ბავარიის პერცოვს და ყოველად უწყინარ დათმობაზეც კი უარი განაცხადა, თუმცა ალყაში მყოფნი თანახმა იყვნენ ყოველგვარ სამარცხვინო და დამამცირებელ პირობებზეც კი; იმპერატორმა პერცოვთან ერთად ალყაში მოქცეულ მხოლოდ მალალი წრის

ქალებს დართო ფეხით გამოსვლისა და ხელბარგის ნამოლების ნება და ხელშეუხებლობა აღუთქვა. ქალებმა გასაოცარი გონიერება გამოიჩინეს – მათ მხრებზე შეისვეს ქმრები, შვილები და თვით პერცოვიც. იმპერატორი იმდენად აღაფრთოვანა მათი სიამაძვიის კეთილშობილებამ, რომ ალტაცების ცრემლი მოურიცა, დაუცხრა დაუოკებელი და ძლიერი შულის გრძნობა პერცოვისადმი. ამის შემდეგ პუმანურად ექცეოდა პერცოვსაც და მის ქვეშევრდომთაც.

ჩემზე ერთნაირად იმოქმედებდა როგორც პირველი, ისე მეორე ხერხი, ვინაიდან ბუნებით საოცრად გულწილი და შემწყნარებელი ვარ. ეს გრძნობა იმდენად ძლიერია ჩემში, რომ მე თანაგრძნობით უფრო განზიარალებთ, ვიდრე პატივისცემით. სტოიკოსები სიბრალულს მანკიერ გრძნობად თვლიან, თუმცა მომხრე არიან გაჭირვებაში მყოფთა დახმარებისა, მაგრამ არა მათდამი სიბრალულისა და თანაგრძნობისა. საკმაოდ დამაჯერებლად მიმაჩნია ჩემს მიერ მოყვანილი მაგალითები, რომლის გმირებმა საკუთარ თავზე გამოცაადეს ორივე ზემოთქმული საშუალება; ისინი ურყევი დარჩნენ პირველის მიმართ, მაგრამ ქედი მოიხარეს მეორის წინაშე. შეიძლება დავასლენა, რომ თანაგრძნობით გამსჭვალვა მოწყალების, გულწილობის, სისათუთის შედეგია, რაც უფრო სუსტ არსებებს – ქალებს, ბავშვებს, უბრალო ადამიანებს ახასიათებს; და პირიქით, გულგრილობა ცრემლისა თუ ვედრებისადმი და მოწინება მხოლოდ ქველობის ნმინდა ხატის წინაშე არის ძლიერი და ურყევი სულის გამოვლინება; ასეთი სული აღმერთებს და ეთავყანება ვაჟაკურ და უდრეკ ძლიერებას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ განცვიფრება და ალტაცება ისეთსავე ზეგავლენას ახდენს ნაკლებად დიდსულოვან ადამიანებზე, ამის ნიშნულია თებეს მოსახლეობა. მათ გაასამართლეს თავიანთი მხედართმთავრები და სიკვდილით დასაჯეს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ გააგრძელეს თავიანთ მოვალეობათა შესრულება მათთვის წინასწარ დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ. ძლიერ გაასამართლეს პელოპიდა, რომელიც მუდარით ითხოვდა შეწყნარებას მისთვის წაყენებული მრავალი ბრალდების გამო; როცა საქმე ეპამინონდამდე მივიდა, მან მოქალაქე

ეთა წინაშე ამაყი და ქედმაღლური ტონით, მჭევრმეტყველურად უთხრა თავისი მრავალი დამსჯელი ღონისძიება და დაამაგლა კედეც მათ თავისი თავი. ხალხს გამბედაობა არ ეყო შეწყალების განაჩენი გამოეტანა მისთვის, თუმცა კრების შემდეგ ხოტბას ასხამდნენ მისი ბუნების სიამაძვიეს.

უფროსმა დიონისემ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლებით აიღო ქალაქი რეგია, ტყვედ ჩაიგდო მტრის მხედართმთავარი ფიტონი, ძალზე მამაცი და ბუნებით ქველი პიროვნება, რომელიც შეუპოვრად იცავდა ქალაქს; დიონისემ მოისურვა შურისგების ტრაგიკული ნიშნები ეჩვენებინა. მან ჯერ ის უამბო ფიტონს, თუ როგორ დაახრწო მისი ვაჟი და ყველა მისი ნათესავი წინა დღით, რაზედაც ფიტონმა უპასუხა – ისინი, ალბათ, ჩემზე ერთი დღით უფრო ბედნიერი იყვნენო; შემდეგ დიონისემ ბრძანა, გაეძროთ მისთვის სამოსი, გადაეცათ ჯალათებისათვის და ასე ეთრიათ იგი ქალაქში, თან მაგრად და სამარცხვინოდ ეცემათ მათ რახით, ეძახათ ბილნი და შეურაცხმყოფელი სიტყვები; ფიტონი შედგრად ინარჩუნებდა სულიერ სიმტკიცეს, მხნედ და ამაყად მიაბიჯებდა და ხმაბაღლა გაიძახოდა, რომ საპატიო და მართალი საქმისათვის ევდებოდა, რომ ტიარანს არ დაანება სამშობლო და მას აღმერთების მომავალი სასჯელით ემუქრებოდა. დიონისემ თავისი მხედრების თვალეში აღმფოთების ნაცვლად დამარცხებული მტრით გამოწვეული აღფრთოვანება, თავიანთი ბელადისა და მისი ტრიუმფისადმი კი ზიზღი ამოიკითხა. ფიტონის საოცარი ქველობა დიონისეს მხედრებში თანაგრძნობას იწვევდა, ისინი მზად იყვნენ ამბოხებულნი იყვნენ და ხელიდან გამოეგლიჯათ იგი ჯალათებისათვის. დიონისე ბრძანებით, ფიტონის ნაშენი შეწყვიტეს და იგი ფარულად დაახრწეს ზღვაში.

ადამიანი, მართლაც, საოცრად ამაო, მერყევი და ცვალებადი არსებაა; ძნელია მასზე მყარი და ერთგვაროვანი აზრი იქონიო. მაგალითისათვის პომპეუსს დაეხსახელებ. პომპეუსი ძლიერ განრიხებული იყო მამარტინებზე, მაგრამ დაინდო მათი ქალაქი ერთ-ერთი მოქალაქის – ზენონის ქველობისა და დიდსულოვნების პატივისცემის ნიშნად. ზენონმა თავის თავზე იტვირთა საზო-



გადოების ბრალი და ერთი წყალობა – საკუთარი თავის დასჯა ითხოვა. მეორე მხრივ, ადამიანმა, რომელმაც ასეთივე თაშნირვით მიმართა ხელს პერუზიანთს. ვერც საკუთარ თავს უშველა და ვერც სხვებს.

ახლა კი მინდა სრულიად საპირისპირო მაგალითი დაგისახელოთ. ალექსანდრემ, ადამიანთა შორის ყველაზე მამაცმა და საოცრად მონყალემ და მარცხებული ბტრის მიმართ, დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ აიღო ქალაქი ღაზა და შეებრძოლა მხედართმთავარ ბეტისს. ალყის დროს ალექსანდრე არაერთხელ დარწმუნდა მის საოცარ საბრძოლო ხელოვნებასა და რაინდულ სიქველემში. ყველასაგან მიტოვებული ბეტისი ჭრილობებითა და სისხლით დაფარული, გატეხილი მახვილითა და ფარით, ყოველმხრივ მაკედონელებით გარემორტყმული, რომლებიც სულ უფრო ავიწროვებდნენ მას, მარტო განაგრძობდა ბრძოლას. ამ ბრძოლაში ალექსანდრემაც დიდძალი ცოცხალი ძალა დაკარგა, თავადაც ორჯერ დაიჭრა. ძვირად მოპოვებული გამარჯვებით განრისხებულმა ბეტისს დაუძახა: „არა, ბეტის, შენ ისე არ მოკვდები, როგორც ეს გსურდა. იცოდე, მოვიწევს ყველა იმ წამების ატანა, რისი მოვონებაც კი ძალუქს ადამიანს ტყვის მიმართ“. ბეტისმა მშვიდი, მაგრამ გამოწვევი და მედიდური იერით უხმოდ მოისმინა ეს მუქარა. მისი ამაყი და ჯოჯოტი სიჭრით განრისხებულმა ალექსანდრემ განაგრძო: „მუხლი მაინც მოგეყარა, შენს ბაგეებს ერთი მუდარა მაინც წამოსცდენოდათ? მე დაეთრგუნავ ამ დუმილს და თუ სიტყვა ვერ გამოგტყუე, კენესა მაინც აღმოხდებათ შენს ბაგეებს“. სულ უფრო და უფრო განრისხებულმა ალექსანდრემ ბრძანა, გაეხერხათ მისთვის

ქუსლები, მიებათ ბორბლებზე და ცხვირ-ლადა ეთრიათ, რათა ასე დაეხრებინა მისი პირადად მისთვის ასე ბუნებრივმა და ჩვეულმა სიამაყემ ალტაცება არ გამოიწვიო ალექსანდრემ? ნუთუ იგი იმდენად აფასებდა საკუთარ სიამაყეს, რომ მის ფონზე არ შეეძლო სხვაში რაიმე მსგავსის ატანა, ასე ეჭვით რომ არ გამსჭვალულიყო მისდამი? ან იქნებ მისთვის დამახასიათებელმა ბუნებრივმა თავშეუკავებლობამ ვერ შეძლო ვინმეს წინააღმდეგობის ატანა? მართლაც, ალექსანდრეს რისხვის დაოკება რომ შეძლებოდა, ალბათ, ეს თუბეს ალბისა და აოხრებისას უნდა გამოემყვანებულიყო, როდესაც მის თვალწინ უღმობლად ამოვლიტეს უამრავი მამაცი განწირული ადამიანი, რომელთაც არავითარი საშუალება აღარ ჰქონდათ თავის დასაცავად; ალექსანდრემ სიკვდილით დასაჯა ექვსი ათასზე მეტი ადამიანი, არცერთ მათგანს არც გაქცევა უცდია და არც შეწყალება უთხოვია. პირობით, შემთხვევას ექებდნენ, რომ ქუჩაში გამარჯვებულ მტერს შეფეთებოდნენ და ღირსეულად მომკვდარიყვნენ. ყველანი, მძიმედ დაჭრილნიც კი, უკანასკნელ ძალ-ღონეს არ იმურებდნენ, რათა შური ეძიათ და სასონარკვეთილნი თავიან უძღურებას მონინა-აღმდეგის სიკვდილით ანაზღაურებდნენ. თებელთა გმირობას არავითარი სიბრალული არ გამოუწვევია მასში, ერთი დღის ხანგრძლიობაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი მისი შურისგების დასაოკებლად. ეს ხოცვა-ყლეტა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაგრძელდა. მხოლოდ ისინი დაინდეს, ვისაც იარაღის ტარების უნარი არ ჰქონდა – ბავშვები, ქალები და მოხუცები, და ისინიც – ოცდაათი ათასი ტყვის სახით მიჰგვარეს დამპყრობს.

მწუხარება

მე ერთი იმთვანი ვარ, ვინც ნაკლებად ექვემდებარება ამ გრძნობას. მე იგი არც მიყვარს და არც პატივს ვცემ. თუმცა მთელი ქვეყანა, თითქოს პირი შეუკრავთო, განსაკუთრებულ პატივს სცემს მას. ამ გრძნობით მოსაყვენ გონიერებას, სიქველეს, სინდისს; რა უგუნური და საოცარი ორნამენტია! იტალიელებმა საკმაოდ მართებულად უწოდეს ეს სიტყვა ავგულობას იმიტომ,

რომ მწუხარება ისეთი გრძნობაა, რომელსაც მუდამ ზიანი მოაქვს, მუდამ უგუნურია. სტოიკოსები ბრძენს უკრძა-ლავენ დაემორჩილოს ამ მხდალსა და მდაბიურ გრძნობას. გადმოცემის თანახმად, ეგვიპტის მეფე ფსამენისი, რომელიც დაამარცხა და ტყვედ ჩაივდო სპარსეთის მეფე კამბისემ, საოცარი სიმშვიდე შეინარჩუნა, როდესაც თვალწინ ჩაუარა მისმა მოახლის

სამოსში გამოწყობილმა დატყვევებულმა ქალიშვილმა, წელის მოსატანად მიმავალმა. ამის დანახვაზე ყველა მის გვერდით მყოფი ახლობელი აქვითინდა. ფსამენიტი უსიტყვოდ იდგა და თვალებით მინას მოშტყვობდა; მან ასეთივე სიმშვიდე შეინარჩუნა სიკვდილით დასასჯელად მიმავალი ვაჟიშვილის ხილვაზეც. მაგრამ როდესაც ერთ-ერთი მისი მეგობარი ტყვეთა შორის დაინახა, ხელები თავში წაიძინა და საოცარმა სევდამ შეიპყრო.

ეს ამბავი ძლიერ შავს იმას, რაც ამას წინათ ერთ-ერთ ჩვენს გამგებელს შეემთხვა. ტრიენტში ყოფნისას მას თავისი უფროსი ძმის, მისი გვარის ბურჯისა და ღირსების, სიკვდილის ამბავი აცნობეს; რამდენიმე ხნის შემდეგ კი მისი მეორე იმედის, უმცროსი ძმის სიკვდილი შეატყობინეს. ორივე ელდა მან სამაგალითო ვაჟკაცობით გადაიტანა. მაგრამ ცოტაოდენი ხნის შემდეგ ერთ-ერთი მისი ახლობლის გარდაცვალებამ ძალიან მოქმედა მასზე, დაკარგა სულიერი სიმტკიცე და ისეთ მწუხარებასა და სასონარკვეთილებას მიეცა, რომ ზოგს კიდევ აუფიქრებინა – ამ უკანასკნელმა ელდამ ეს კაცი უფრო მეტად შეძრაო. სინამდვილეში ამ მცირეოდენმა სულიერმა ტკივილმა გაარღვია მისი დარდი და სევდი დატვირთული მოთმინების ზღვარი. ასევე შეგვეძლო აგვეხსნა ზემოთაღწერილი ამბავიც, ფსამენიტის პასუხი რომ არ გვეცოდნოდა კამბისეს კითხვაზე: თუ რატომ შეძრა იგი ვაჟიშვილისა და ქალიშვილის მწარე ხვედრზე მეტად ერთ-ერთი მეგობრის უბედურებამ, ფსამენიტმა უპასუხა: „იმიტომ რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი მწუხარება შეიძლებოდა გამოხატულიყო ცრემლით, შეუძლებელია იმის გამოხატვა ცრემლით, რაც პირველმა ორმა ელდამ გამოიწვია ჩემში“.

აქ ძალზე მართებულია, გავიხსენოთ იმ ძველი ფერმწერის ხერხი, რომელსაც უნდოდა გადმოეცა დამსწრეთა მწუხარება იფიგენიას მსხვერპლად შეწირვისას. მან მთელი თავისი ხელოვნება ჩააქსოვა, რათა თითოეულის საზეზე აღბეჭდილი ტანჯვა ეჩვენებინა ამ მშვენიერი და უმანკო არსებების მოხალღველი აღსასრულის გამო. როდესაც ჯერ იფიგენიას მამაზე მიდგა, იგი საზედაფარული დახატა ფერმწერმა, რომელსაც თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ არავითარ ფერწერულ ხერხს არ ძალუძს ასეთი დიდი მწუხარების გადმოცემა. ამან მისცა დას-

აბამი პოეტურ თხზულებას, წიობებაზე. უბედურმა დედამ, ნიჭქმე ქნენსეში დი ვაჟიშვილი დაკარგა, შემტყვევებული შვილი. ასეთი დიდი უბედურებით გამოწვეულ მწუხარებას დედამ ვეღარ გაუძლო და „დარდისაგან გაქვედა“ (ოვიდიუსი, მეტამფორფოზები, VI, 304).

პოეტებმა ეს სახე შექმნეს იმ ქუში, უტყვი და ყრუ სასონარკვეთილების გადამოსაცემად, რომელიც გვეუფლებს ისეთი მწუხარების ჟამს, რაც ჩვენს ადამიანურ ძალებს აღემატება. მართლაც, იგი ისე თრგუნავს ჩვენს სულს, რომ არ აძლევს მას მისი გამოვლინების საშუალებას. მსგავსი რამ ჩვენც გვემართება ხოლმე. რაიმე ცუდი ამბით ძლიერ შემფოთებულებსა და შეძრწუნებულებს, დამბლადაცემულებივით მოქმედების უნარი გვეკარგება. ცრემლისა და კვნესის შემდეგ ვგრძნობთ, როგორ მოუფონა ტკივილის მარწუხები ჩვენს სულს, თითქოს დაიცალა და დამშვიდდა.

„დაბოლოს მწუხარებამ ძლივს ამოიღო ხმა“ (ვერგილიუსი, ენეიდა, XI, 15).

ბუდასთან მეფე ფერდინანდსა და უნგრეთის ხელმწიფის იოანეს ქვრივს შორის ბრძოლის დროს ერთმა მხედართმთავარმა რაიშიაკმა შეამჩნია, როგორ გამოიტანა ბრძოლის ველიდან იმ მხედრის სხეული, რომელიც გასაოცარი სიმამაცით იბრძოდა. სხეულივით ისიც დაინტერესდა მოკლულის ვინაობით და მოუახლოედა განსვენებულს. მხედარს საჭურველი ახსნეს. რაიშიაკის წინ მისი ვაჟიშვილის ცხედარი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა დამსწრეთა თანაგრძობა; ყველა ატირდა, მხედართმთავარს არც სიტყვა დასცდენია, არც ცრემლი შორევია, დამუნჯებული და ცხველებული მოშტყვობდა თავის პირმშოს სხეულს, ვიდრე მწუხარება ძლიერი ცეცხლივით არ შემოეცხნო და არ შთანთქა მასში სასიცოცხლო გონი. იგი უგრძობლად დაეცა მიწაზე.

„ვისაც ძალუძს საკუთარი განცდის გამოხატვა, ძლიერი ვნებით არაა შეუპორობი“ (პეტრარკა, სონეტი, 137). ასე ამბობენ შეყვარებულები ძლიერი ვნების გადმოსაცემად:

„ვთი რომ სიყვარულმა ყველა გრძობა ჩამიკლა. ღესბია, საკმარისია დაგინახო, რომ გონებას ვეკარგავ და აღარ ძალმიძს რაიმე ვთქვა. ენა მეტმის, ნაზი გზნება ეუფლება მთელ სხეულს, ყურები



მიგუბდება და თვალთ მიბნელდება” (კატულუსი, II, 5).

ამგვარად, ჩვენ არ ძალგვიძს ძლიერი და მწვავე ღზინების გამოხატვა ჩივილითა და მუდარით; ჩვენი სული ღრმა ფიქრებითაა დამძიმებული, დათრგუნულ სხეულს სიყვარული ტანჯავს. ზოგჯერ ეს ინვეეს იმ მოულოდნელ ღონეშიხდილობას, უდროოდ რომ ეუფლება ხოლმე შეყვარებულებს, იმ ყინულოვანი სიცვიის მსგავსად, რომელიც უსაზღვრო აღტყინებით ეუფლებათ თვით ტკბობის დროს. საშუალოა ყოველი ვნება, რომელიც ტკბობას განსჯას უქვემდებარებს.

„პატარა მწუხარება შეტყვევლია, დიდი კი უტყვი“ (სენეკა, ფედრა, II, 3, 607). მოულოდნელი სიამოვნებით გამოწვეული სიხარულიც ასევე გვაოცებს.

„როცა დაინახა, რომ მოვდივარ და ტროელი მეგობრები მახლავან, გაოცებული, უდიდესი სასწაულით შემირბოული ვახვება, მისმა ძველმა სითბო დაკარგა, იგი დევია და კარგა ხნის შემდეგ ამოიღო ხმა“ (ვერგილიუსი, ენიდა, III, 306).

კანესთან ნაკვებელი ბრძოლიდან დაბრუნებული შვილის დანახვაზე, ერთი

რომაელი ქალი სიხარულისაგან მოულოდნელად გარდაიცვალა; **ყველაფერი გარდაიცვალა** სოფელში, რომელიც დიონისზე; ასე დაემართა ტალვისაც კუნძულ კორსიკაზე ნერილის კითხვის დროს, რაც მას აუწყებდა რომის სენატის მიერ მისთვის ბოძებულ პატივს. ჩვენი საუკუნის მავალითიც გვაქვს. პაპ ლეონ მეთეს მილანის ალება აუწყეს. ამ მისთვის ძლიერ სისიხარულო ცნობამ იგი ისე ალაფრთოვანა, რომ ციებით დაავადდა და გარდაიცვალა. ადამიანური უგუნურების უფრო მნიშვნელოვანი გამოვლინების ნიმუშად შეგვიძლია ერთი შემთხვევა დავასახელოთ; იგი ძველმა ბერძნებმა შეამჩნიეს. დიოდორე დილექტიკოსმა თავისი მონაფეებისა და საზოგადოების წინაშე ეერ შეძლო მის წინააღმდეგ წამოყენებული ერთ-ერთი არგუმენტის ახსნა; იგი ისეთი ძლიერი სირცხვილის გრძობამ შეიპყრო, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა. მე ნაკლებ ვაქვემდებარები ასეთ ძლიერ ვნებებს; ბუნებით ძლიერი ვარ და მშვიდად აღვიქვამ ყველაფერს, მსჯელობის წყალობით კი დღითიდღე უფრო მყარი და მტკიცე ვხდები.

ჩვენი ბრძოლაში ჩვენი ბარათ მიიღებია

ბევრი ადამიანებს მომავლისადმი მათი მუდმივი ლტოლვის გამო ადანამაულებენ და თან მოგვინოდებენ, დაეკმაყოფილდეთ მხოლოდ არსებული კეთილდღეობით, ნუ ვიზრუნებთ სხვა ნურაფერზე. მათი აზრით, მომავალი წარსულზე ნაკლებად გვეკუთვნის, ამით კი ისინი ყველაზე უფრო ზოგად ადამიანურ ცთომილებაში ვარდებიან. ცთომილებას უწოდებენ მერმისისაკენ ლტოლვას, რისკენაც თავად ბუნება გვიბიძგებს, რათა მის საქმიანობას ვავრძელებდეთ. სწავლულობაზე მეტად ჩვენ ქმედითობაზე მზრუნველი, იგი სხვა მრავალთა შორის ამ მაცდურ ოცნებასაც მთავავაგონებს.

ჩვენ არასოდეს „მინ“ - ჩვენს აქმყოფობაში არა ვართ, ყოველთვის სადღაც მის მიღმა ვარსებობთ. შიში, სურვილი და იმედი ნიადაგ მომავლისაკენ გვიბიძგებენ, გვართმევენ რეალობის აღქმის უნარს და მთელი არსებით ვეძლევით ფიქრს - ნეტავ, რა იქნება, თუნდაც მაშინ, როდესაც ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით. „მომავალზე ზრუნვით შემფოთებული სული უბედურია“ (სენეკა, ნერილიბე, 98).

პლატონი ხშირად იმეორებს ამ დიდ სიბრძნეს: „აკეთე საქმე შენი და შეიცან თავი შენი“. ამ ბრძნული ნათქვამის თითოეული მხარე მეორესაც მოიცავს და ამგვარად მთელ ჩვენ მოვალეობათა სფეროს შემოიწირს. ყველამ, საქმის კეთების მსურველმა, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავი უნდა შეიცნოს და ის, თუ რისი უნარი აქვს. ვინც საკმარისად ჩასწვდება საკუთარ თავს, იგი თავისთვის შეუფერებელ საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. საკუთარი თავის ფასი ეცოდინება და ყველაზე მეტად მის განვითარებაზე იზრუნებს; უარს იტყვის ამაო საქმიანობაზე, ფუჭ აზრებსა და წინადადებებს. თუ უგუნურება ვერასოდეს აფასებს სანადელის მიღწევას, კეთილგონიერება ყოველთვის კმაყოფილი განსჯის არსებულს და არასოდეს უკმაყოფილო არ არის საკუთარი თავის. უპიკურე თვლიდა, რომ ბრძენი თავს არ უნდა ინუხებდეს მომავლის განჭვრეტითა და ზრუნვით.

გარდაცვლილებთან დაკავშირებულ ნესთა შორის, ჩემი აზრით, ყველაზე მა-



რთებულია ის, რომელიც ადგენს, რომ ხელმწიფეთა საქმენი მათი აღსრულების შემდეგ უნდა განისაჯოს; ხელმწიფეები კანონთა განმგებლები თუ არა, მათი თანამზრახველნი მაინც არიან. რაკი მართლმსაჯულების ძალაუფლება მათზე არ ვრცელდებოდა, სავსებით მართებულია, რომ მან (მართლმსაჯულებამ) ეს უფლება გამოიყენოს მათი კეთილი სახელისა და მათ მემკვიდრეთა ქონების მიმართ, რასაც, მოგეხსენებათ, ხშირად სიცოცხლეზე შეტად ვაფასებთ. ეს ისეთი წესია, რასაც დიდი სარგებელი მოაქვს იმათთვის, ვინც მას იცავენ. დიდად სასურველია იგი ყველა კარგმა ხელმწიფემაც დაიცვას, ამით ის მოიხვეჭს უფლებას — მის ხსოვნასაც ისე არ მოეპყრან, როგორც უკუნურ ხელმწიფეთა ხსოვნას. ჩვენი ვალია ვეძვემდებარებოდეთ და ვემორჩილებოდეთ ნებისმიერ მეფეს, ვინაიდან მას ჩვენზე ამის უფლება აქვს, მაგრამ პატივს უნდა ვცემდეთ და გვიყვარდეს მხოლოდ მისი ქველობა. მხარი დაეუჭიროთ არსებულ პოლიტიკურ ნებას, მოთმინებით ავტანოთ თუნდაც უღირსი მეფეები, თვალის დაეხუჭეთ მათ ნაკლებზე, ჩვენი რჩევა-დარიგებებით ხელი შევეწყოთ მათს უმნიშვნელო ნაშონყებებსაც კი, ვიდრე მათი ხელისუფლება ჩვენ თანადგომას საჭიროებს. მაგრამ როგორც კი დასრულდება ჩვენი ურთიერთობა მათთან, არავითარი საფუძველი აღარ არსებობს იმისთვის, რომ უარი ვთქვათ სამართლიანობასა და ჩვენი ქვემარტობა გრძნობების გამოხატვის თავისუფლებაზე, ერთგულ ქვემეგრდომებს ჩამოვართვათ ბატონის ღირსეული მსახურის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილი იყო ხელმწიფის არასრულყოფილება და შთამომავლობას არ მიეცით ესოდენ ტყუისსასწავლებელი მაგალითი; ისინი, ვინც მათთვის განუვლი რაიმე კერძო სამსახურისათვის მადლიერების ნიშნად დაუმსახურებლად შეასხამენ გახვიადებულ ხოტბას არასაქებ ხელმწიფეს, კერძო სამართლიანობას საზოგადოებრივი სამართლიანობის საზიანოდ მიმართავენ. ტიტუს ლივიუსი სამართლიანად ამბობს, რომ „მონარქიულ წყობილებაში აღზრდილ ადამიანთა შეტყველება ყოველთვის აღსაესია ფუძე ტრახახითა და ყალბი ჩვენებებით. თითოეული ხოტბას ასხამს თავის მეფეს და მიუხედავად ამ უკანასკნელის ინდივიდუალური ღირსებებისა, მიანერს მას უშაღლესი რანგის ქველობასა და

მეფურ დიდებას. განა შეიძლება გაცივხოთ იმ ორი ჯარისკაცის ქვემარტობის საქციელი, რომელთაც მარტინუსმა ნერონს ის, რასაც მასზე ფიქრობდნენ. ნერონის კითხვაზე, თუ რატომ სურდათ მათ მისი მოკვლა, პირველმა უპასუხა: „მე შენ მიყვარდი მანამდე, ვიდრე ამის ღირსი იყავი, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქცი დედის მკვლელად, უთანხმოებათა მოთავედ, თვალთმაქცად, დოლის მეტლედ, შე შეგიძლევ, ვინაიდან შენ იმსახურებ ამას“ მეორემაც ასე მიუგო: „იმიტომ, რომ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ შენს დაუსრულებელ ბოროტებათა აღსაყვითად“. რომელი ტკუათმყოფელი გაბედავდა ამ იმპერატორის აურაცხელ ტირანულ და უსახიზღრეს დანაშაულთა განსჯას, რომლითაც იგი ისტორიის მიერ სამუდამოდ იქნა დაღდასმული?

გული მწყდება, რომ ისეთ უზადო სახელმწიფო ნუბამიც კი, როგორც ლაკედემონელებისა იყო, ერთი ასეთი ფარისევლური ჩვეულება ჰქონდათ: როდესაც მეფე გარდაიცვლებოდა, ყველა მოკამირეს და მეზობელს, ყველა პელოტს, კაცს, ქალს, — ბრბოდ შეერებოთ — გლოვის ნიშნად სახე უნდა ეხოკა და მოთქმით ეტირა, რომ გარდაცვლილი — მიუხედავად იმისა, როგორი იყო იგი სინამდვილეში — საუკეთესო იყო მეფეთა შორის. მიცვალეზულის დიდებას იქამდე განადიდებდნენ, რაც მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურებისათვის იგი ენიჭებოდად ადამიანს, თუნდაც უნ ყველაზე დაბალ ნოდებას ეკუთვნოდეს.

ამ ქვეყნად საკითხი არ დარჩენილა, რომელსაც არ შეეხო არისტოტელე, მაგრამ სოლონის სიტყვების გამო — „გარდაცვალეზამდე არ შეიძლება ვინმეს ბედნიერი ეწოდოს“ — სვამს კითხვას: შეიძლება თუ არა ბედნიერი ეწოდოს ადამიანს, რომელმაც იცოცხლა და გარდაიცვალა ისე, როგორც მას ეკადრებოდა, მაგრამ ცუდი სახელი და უვარგისი შთამომავლობა დატოვა. ვიდრე ვცოცხლობთ, ჩვენ ინტერესებს სურვილისამებრ წარემართავთ; მაგრამ როგორც კი ყოფიერების მიღმა აღმოვჩნდებით, ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს არსებულთან. უმჯობესი იქნებოდა სოლონისათვის გვეტქვა: ადამიანი არასოდეს ბედნიერი არაა, რაკი იგი მხოლოდ გარდაცვალეზის შემდეგაა ბედნიერი.

„ბოლომდე ძნელად თუ ვინმე განუდგება სიცოცხლეს. თითოეულს, თუმცა



ბუნდოვნად, მაგრამ მაინც აქვს ნარმოდგენილი, რომ მის შემდეგ რაღაც უნდა დარჩეს და იგი ბოლომდე არ შორდება და არ თავისუფლდება საკუთარი ხრნადად სხეულისაგან” (ლუკრეციუსი – საგანათა ბუნებისათვის, III, 877).

ბერტრან დიუ გლექენი ოვერში პიუსის მახლობლად, რანდონის ციხის ალყის დროს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ალყაში მყოფნი დანებდნენ, ისინი აიძულეს ციხის გასაღები გარდაცვლილ გლექენის ცხედარზე დაედოთ. ვენეციელთა ჯარის მხედართმთავარი ბარტოლომეო და ალფიონო საბრძოლო მოქმედებათა განმგებლობის დროს გარდაიცვალა ბრესში. მისი სხეული ვერონიდან ვენეციაში რომ გადაესვენებინათ, მტრის მინა-წყლით უნდა გაველოთ. ვენეციელთა ჯარის უმრავლესობა თვლიდა, რომ ამისათვის ნება უნდა ეთხოვათ ვერონელებისათვის. თუოდრო ტრიეულციომ უარი განაცხადა ამზე. მან ამჟობინა ცოცხალი ძალის იმედითა და ბრძოლის ალაღბედად გაელენია მტრის ტერიტორიაზე. „მას, ვისაც სიცოცხლეში არასოდეს მტრის არ შინებია, შიში არც სიკვდილის შემდეგ შეშვენის“ – თქვა მან. მართლაც, მსგავს შემთხვევებში, ბერძნული კანონების თანახმად, ის, ვინც მტერს გამოსთხოვდა დასასაფლავებლად ვინმეს ცხედარს, ამით უარს ამბობდა გამარჯვების პატივზე და უფლება ერთმეორა ძველი აღემართა გამარჯვების ნიშნად. გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვისაც მსგავსი თხოვნით მიმართავდნენ. სწორედ ამ მიზეზით ვერ შეძლო ნიკოსმა ესარგველა იმ უპირატესობით, რომელსაც მან კორინთელებთან ბრძოლაში მიიღწია და პირიქით, აგესილამ განიმტკიცა საეჭვო გამარჯვება ბუტრიელებზე.

ეს ადათები უცნაურად მოგვეჩვენებოდა, ყველგან და ყოველთვის ადამიანებს საკუთარ თავზე ზრუნვა ამქვეყნიური არსებობის შემდეგაც არა თუ არ სჩვეოდეთ, არამედ არ სწამდეთ კიდევ – ღვთის ნაჯლობა საიქიოშიც არ გვტოვებს და ჩვენს ნეტსაც მფარველობს. ჩემს მიერ თქმულის დამადასტურებელი მაგალითები მრავლად არა როგორც ძველ, ასევე ჩვენ დროში. მაგრამ საჭიროდ აღარ მიმაჩნია ამაზე უფრო ვრცლად შეჩერება. ინგლისის მეფე ედუარდ I-მა შოტლანდიის მეფე რობერტთან ხანგრძლივი ომების შედეგად ირწმუნა, თუ რამდენად უწყობდა ხელს მისი ლაფნა ინგლისელთა წარმატე-

ბას. მისი პირადი ხელმძღვანელობით ბრძოლა ყოველთვის გამარჯვებით შექვედებოდა. სიკვდილის წინ მისი უწყობა ვატიმეილი სახეიმი ფიცით დააველდებულა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მოახარმეინებდა მის ცხედარს, ძელეზისაგან გამოცალკეებულ ხორცს დაასაფლავებინებდა, ხოლო ძელებს შეინახავდა და ყოველთვის თან ნაილებდა, როდესაც შოტლანდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად გაუძღვებოდა ჯარს – თითქოს ბედისწერას გამარჯვების განმაპირობებელი ხედრი ურგუნებინა მისი ძელეზისათვის. იან ჟიჯამ, რომელმაც ვიკლეფის შეცდომების დაცვით ბოპემიის აღმფოთება გამოინვია, მოისურვა, რომ სიკვდილის შემდეგ მისთვის ტყავი გაეძროთ და გადაეკრათ დოღზე, რაც ხალხს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუხმობდა და ხელს შეუწყობდა ადრე ბრძოლებაში მოპოვებული წარმატებების განმტკიცებას. ესაბნეული წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალ ინდიელთა ზოგიერთ ტომებს თან მიჰქონდათ ერთერთი გარდაცვლილი მხედართმთავრის ძელები მისი წარმატებების პატივსაცემად. ამ ქვეყნის სხვა ხალხებიც ბრძოლის დროს არ იშორებდნენ ომში დაღუპული თავიანთი მამაცი მეომრების სხეულის ნაწილებს, როგორც გამარჯვებისა და სიმამაცის სანიშნად. ჩვენს მიერ მოტანილ პირველ მაგალითებში მიცვალეზებს მხოლოდ ის დიდება რჩებოდათ, რაც მათ წარსული მოქმედებებით ჰქონდათ მოხვეჭილი, ბოლო მაგალითებში ჩანს, რომ ისინი სიკვდილის შემდეგაც არ კარგავდნენ თავიანთ ძალას და სიცოცხლეს აგრძელებდნენ შთამომავალთა ქმედებაში.

ბევრად უფრო მშვენიერია მხედართმთავარ ბაიარის საქციელი. მან იგრძნო, რომ არკებუ ზიდან გასროლილი ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა; ამის მიუხედავად ყური არ ათხოვა თანამებრძოლთა რჩევას, ბრძოლის ველი დაეტოვებინა და უპასუხა, რომ სიცოცხლის აღსასრულის ფაშს ზურგს არ შეაქცევდა მტერს. მან ძალღონის გამოლევაში იბრძოლა. როდესაც იგრძნო, რომ გრძნობას კარგავდა და ცხენზე თავს ვეღარ იმაგრებდა, მსახურს უბრძანა მტრისაკენ პირმიქციული დაეწვინა ხის ძირში. იგი ასე გარდაიცვალა.

მინდა თქმულს კიდევ ერთი შემდეგი მაგალითიც დავუმატო, რომელიც ამ მიმართებით წინამდებარე მაგალითებზე ბევრად უფრო ღირსსახსოვარია. იმპერატორი

მაქსიმოლიანე ამჟამად მეფედ მყოფი ფილიპის პაპის მამა, უხვად იყო დაჯილდოებული მრავალი ღირსებით და, სხვათა შორის, განსაკუთრებული სილამაზის სხეულითაც. მაგრამ ამ ღირსებათა გარდა მას ჰქონდა ერთი, ხელმწიფეთათვის სრულიად უცხო თვისება, რომლებიც მნიშვნელოვან საქმეთა სწრაფად გადასახვევად ზოგჯერ საპირფარეოს საუჯდომ ფიცარს სამეფო ტახტად გადააქცევენ ხოლმე. მას უახლოეს მსახურთა შორისაც კი არ ჰყოლია ისეთი, ვისაც საჭიროებისას საკუთარი თავის ზილის ნებას დართავდა. იგი ყველას ფარულად შარდავდა; ქალწულივით მორცხვი ექიმის წინაშეც კი არასოდეს იმომხლებდა სხეულის იმ ნაწილებს, რომლებიც ადამიანს თანახმად დაფარული უნდა გვექონდეს. თავად მეც, ასეთი ურცხვი ემის პატრონი, ბუნებრივ მორცხვი ვარ; თუ ამას არ მოითხოვს აუცილებლობა ანდა ამისაკენ არ მიბიძგებს სასიკვარულო სიამოვნება, არასოდეს ვიქცევი ურცხვად და არაფის წინაშე არ ვიმომხლებ სხეულის საიორცხო ნაწილებს. მე უფრო მორცხვობით ვიტანჯები, თანაც იმაზე მეტად, ვიდრე ეს, ჩემი აზრით, მამაკაცს, განსაკუთრებით ჩემი მდგომარეობის მქონეს, ჰმარტებას. მაგრამ იმპერატორი მაქსიმოლიანე იმდენად იყო ამგვარი ცრურწმუნის ტყვეობაში, რომ მან თავის ანდერძი განსაკუთრებულად დაიბარა – გარდაცვალების შემდეგ მისთვის ქვედა საცვალი ჩაცმიათ. ანდერძის მინაწერში კი დაუმატა, რომ იმას ვინც ჩააცმევდა, თვალები ახვეული ჰქონოდა. კიროსმა* თავის შვილებს ანდერძით დაუბარა, რომ არც მათ და არც არაფის არ შეეხებოდათ მისი ცხედრისათვის და არ შეხებოდნენ მას, როცა სული სხეულს გამოარდებოდა. ჩემი აზრით, ეს შეიძლება აიხსნას მისივე ლეთისმომიშობით. მრავალ სხვა დიდ ღირსებათა გარდა თვითონ და მისი ისტორიკოსიც იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანებს განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მოკრძალებას შთავაზინებდნენ რელიგიის მიმართ.

დღიად არ შესაიამოვნა, როდესაც ერთმა დიდებულმა ერთ-ერთ ჩემ მოყვარეზე, მშვიდობიანი და საბრძოლო საქმეებით საკმაოდ ცნობილი კაცის ამბავი მიაშმო. ეს უკანასკნელი, საკმაოდ მოხუცი, კენტჯვანი ავადმყოფობისაგან აუტანელი ტკივილებით გატანჯული კვდებოდა და სიცოცხლის უკანასკნელ საათებში ნუგუნს თავისი დაკრძალვის ცერემონიისა და უკანასკნელი

პატივის მიცემის დანერგვებით დადგინა-ში ნახულობდა. მან ცხელი ნუგუნის დიდებულს სიტყვა ჩამოართვა, რომ მის დაკრძალვას დაესწრებოდა; დაჟინებული თხოვნით მიმართა მის სანახავად მისულ ხელმწიფესაც, რომ სამეფო კარისთვის ებრძანებინა მის გასვენებაზე მოსულიყვნენ. თავის გასამართლებლად მან მრავალი მაგალითი და მოსაზრება მოიშველია, რათა დაედგინებინა რომ მისნაირ ადამიანს ჰქონდა ასეთი მოთხოვნის უდავიო უფლება. იგი კმაყოფილი მიიქცალა იმით, რომ ხელმწიფისაგან სათანადო პირობა მიიღო და განკარგულება გასცა თუ როგორ უნდა აღესრულებინათ მისი დაკრძალვის ნუსი. ასეთი ძლიერი პატივმოყვარეობის მაგალითს არასოდეს შევხვედრებარ.

ჩემს საგვარეულოში საპირისპირო ხასიათის უცნაურობის მაგალითიც მოიძებნება. იგი ბევრი რამით ტყუპისცალივით ჰგავს პირველს, მაგრამ უცნაურობას გახლავთ, რომ ზოგი, მართალია მთელი მგზნებარებით ზრუნავს საკუთარი დასაფლავების ცერემონიაზე, მაგრამ მოითხოვს სრულიად მიუღებელი მომჭირნობით შემოიფარგლონ – კერძოდ, ერთი მსახურითა და ერთი ფანით. ვიცი, ბევრი ზოტბას ასხამს ასეთ მოკრძალებას, სახელობრ, მარკუს ემილიანე ლეპიდუსის უკანასკნელ სურვილს, რომელმაც თავის მემკვიდრეებს აუკრძალა მისი სიკვდილის შემდეგ თუნდაც უბრალო ცერემონიალის მოწყობა. ნუთუ ზომიერება და თავშეკავებულობა მხოლოდ ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ ხელგამძლეობა და ფუფუნება, როცა მათ აღარ ძალუძთ მოგვანიჭონ სიამოვნება? აი, თითისრულქმნის მართლაც, იოლი და იაფი საშუალება. სიკვდილის წინ ამის თაობაზე განკარგულების გაცემა საჭირო რომ იყოს, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც, როგორც ყველა სხვა ყოფიის საკითხში, თითოეულმა თავისი ქონებრივი მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს. ძალზე გონიერულად მოიქცა ფილოსოფოსი ლიკონი. მან მეგობრებს დაუბარა, რომ მისი სხეული იქ დაესაფლავებინათ, სადაც ისინი ჩათვლიდნენ საუკეთესოდ; რაც შეეხება დაკრძალვის ცერემონიალს, მისი სურვილით იგი არც ძალიან დიდებული უნდა ყოფილიყო და არც ძალიან ღარიბული. პირადად მე ადამიანთათვის მომიხდევია დაკრძალვის ცერემონიალის წესის აღსრულება; სიამოვნებით ჩაებაარებდი ჩემ უსულ სხეულს იმათ კეთილ ნებასურვილს, ვინც ამას იტვირთავდა, ეს ისეთი საზრუნავია



საკუთარი თავის მიმართ არად რომ უნდა ვაგდებდეთ, მაგრამ არა ჩვენი აბლომლების მიმართ” (ციციერონი, ტუსკულანური საუბრები, 1, 45). ერთ-ერთმა ნმინდანმა ნმინდა ტეშმარიტება თქვა: „დაკრძალვის საზრუნავი, საფლავის მოწყობა, დასაფლავების ფუფუნება – ყოველივე ეს უმაღლესი ცოცხალთა ნუგეშია, ვიდრე გარდაცვლილთა ხვედრის შემსუბუქება” (ავგუსტინე, ღვთის ქალაქი, 1, 12).

როდესაც კრიტონმა სიკვდილის წინ სოკრატეს პკითხა – როგორ სურდა დამარხვა, მან უპასუხა: „როგორც გუნებოთ“. მე რომ ასე შორეულ მომავალზე მეზრუნა, ჩემთვის უფრო სახარბიელო იქნებოდა იმათთვის მიშებადა, ვინც სიცოცხლეშივე ტკბებიან საკუთარი დაკრძალვის ცერემონიალის წესსა და ბრწყინვალეებაზე ფიქრით, მარმარილოს ფილაზე საკუთარი უსიციოცხლო სახის ნაკეთების ჭვრეტით. ბედნიერია ის, ვისაც ძალუძს ანუგეშოს და ელოლიავოს საკუთარ გრძნობებს და იცოცხლოს საკუთარი სიკვდილით.

თითქმის შეურიგებელი სიძულვილი მეუფლება ყოველგვარი სახალხო მმართველებისადმი – თუმცა მმართველობის ეს ფორმა ყველაზე ბუნებრივად და სამართლიანად მესახება – როცა ათენელთა არაადამიანური თავნებობა მახსენდება. მათ უმოწყალოდ დასაჯეს სიკვდილით თავიანთი მამაცი მხედართმთავრები, რომლებიც გამარჯვებულნი დაბრუნდნენ არგინეას კუნძულების მახლობლად ლაკედემონელებთან ყველაზე მნიშვნელოვანი და სასტიკი საზღვაო ბრძოლიდან, რომელიც კი ოდესმე გადაუხდიათ ზღვაზე ბერძნებს. მათ ბრალდებულებს არც კი მოუსმინეს და მხოლოდ იმისათვის მოუსპეს სიცოცხლე, რომ გამარჯვების შემდეგ მათ ისარგებლეს ომის კანონით შეთავაზებული შესაძლებლობით, ნაცვლად იმისა, რომ დაყოვნებულიყვნენ, გარდაცვილლ თანამებრძოლთა ცხედრები შეეგროვებინათ და დაეკრძალათ. განსაკუთრებულ საქავლობად მეჩვენება ეს ანგარიშსწორება, დიომედონეს ამბავი რომ მახსენდება. ეს უკანასკნელი – ერთ-ერთი სიკვდილმისჯილი – ჩინებული საბრძოლო და სამოქალაქო ქველშობით დაჯილდოვებული პიროვნება იყო; როდესაც მან საბრალდებო განაჩენი მოისმინა და თუმცა პირველად დართეს ნება გამოსულიყო ხალხის წინაშე, არც თავის მართლებას

მოჰყოლია, არც მსჯავრმდებელთა ასეთი სასტიკი განაჩენის ამკარაგანსკომის მხილებას. მისი სიტყვა გამტკიცებდა ამ მოსამართლეთა მომავალზე ზრუნვით. იგი ღმერთებს შეევედრა – არ დაესაჯათ ისინი ასეთი უსამართლობისათვის, არ დაეტეხნათ თავისი რისხვა მათზე დიომედონესა და მისი მეგობრების მიერ ღმერთებისთვის აღთქმულის შეუსრულებლობისათვის ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვების ნიშნად და მსაჯულებს ისიც აუნყა, რაც მათ აღუთქვეს ღმერთებს. მეტი მას არაფერი უთქვამს, არც შედაგეობა და არც შეწყალება უთხოვია. იგი მტკიცედ გაემურა სასჯელის აღსრულების ადგილისაკენ.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, მსგავს ვითარებაში, განგებამ დასაჯა ათენელები. კუნძულ ნაქსოსთან ათენის ფლოტის მთავარსარდალმა ქაბრიამ უპირატესობას მიაღწია სპარტელთა ფლოტის ადმირალთან პოლისესთან ბრძოლის დროს. ამ ამკარა გამარჯვების მანუყებელი უპირატესობა, რომელიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათენელებისათვის, ქაბრიამ მხოლოდ იმის შიშით დათმო, რომ მისი წინამორბედებით მწარე ხვედრი არ რგებოდა. რამდენიმე მისი მკვდარი მეგობრის ცხედარი ზღვაში რომ არ დაკარგულიყო, მრავალ ცოცხალ და სასალამათ მტერს გაქცევის საშუალება მისცა, რომელთაც შემდეგ ძვირად დაუსვეს ეს უგუნური ცრურწმენა.

„შენ გაინტერესებს სად განისვენებ სიკვდილის შემდეგ? იქ, სადაც ისინი განისვენებენ ვინც ჯერ არ დაბადებულან” (სენეკა, ტროელები, 407-408).

მეორე პოეტიც ასევე უსურვებს სიმშვიდეს უსულო სხეულს.

„აღე, ვერ პკოვას მან საფლავი, მისი სხეულით თავშესაფარი,

სადაც სიცოცხლის შემდეგ ტანჯვისაგან დაისვენებდა” (ციციერონი, ტუსკულანური საუბრები, 1, 44).

როგორც ბუნება გვიჩვენებს, ბევრ მკვდარ საგანს მაინც აქვს იდუმალი კავშირი სიცოცხლესთან. ამბობენ, რომ, როგორც ვენაზე იცვლება წლის დროთა მიხედვით, სარდაფში ღვინოც ასევე განიცდის ცვალებადობას. კასრში ჩადებული დამარილებული ხორციც ისევე იცვლის მდგომარეობასა და გემოს, როგორც ცოცხალი ნადირის ხორცი იცვლება (ცვალებადობს) წესის თანახმად.

ჩვენნი მოქმედებების მსავალი ჩვენნიც ზრახვაა



ამბობენ, სიკვდილი ყველე მოვალეობისაგან გვათავისუფლებსო. ამ სიტყვებს მრავალნიარად განმარტადენენ. ინგლისის მეფე პენრიბ VIII შეუთანხმდა დონ ფილიპეს – იმპერატორ მაქსიმელიანეს ვაჟს, ანდა უფრო მეტი ბრწყინვალეობა რომ მივანიჭოთ მის სახელს – იმპერატორ კარლოს V-ის ძმას, იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული ფილიპე მას გადასცემდა მის მტერს – „თეთრი ვარდის პარტიის“ ნერს, პერცოგ სეფოკლეს – რომელიც ინგლისიდან გაიქცა და ნიდერლანდებს შეაფარა თავი; პირობა კი ასეთი იყო: პენრიბი არ შეეცდებოდა მის მოკვლას. მიუხედავად ამისა, სიკვდილის წინ პენრიბმა თავის ვაჟივილს ანდერძით დაუბარა, რომ მისი გარდაცვალებიდან მცირეოდენი ხნის შემდეგ სიკვდილით დაესაჯა პერცოგი სეფოკლე. ამ ცოტაოდენი ხნის წინათ ბრიუსელში, გრაფ დორნსა და გრაფ დ'ეგმონს შორის მომხდარი ტრაგედია – რომელიც ალბის პერცოგმა გვაძწვნო – მრავალ საყურადღებო ფაქტს შეიცავს. სახელდობრ, გრაფმა დ'ეგმონმა თავისი მეგობარი გრაფი დორნი დაითანხმა დანებებოდა ალბის პერცოგს და დაარწმუნა იგი ამ ნაბიჯის უსაფრთხოებაში; თავად კი კატეგორიულად მოითხოვდა პირველი თვითონ დეგმონი დაესაჯათ სიკვდილით, რათა სიკვდილს გაეთავისუფლებინა იგი გრაფ დორნის მიმართ მოვალეობისაგან. ცხადია, პირველ შემთხვევაში ამ ვალდებულებას არავითარი ძალა არ ჰქონდა, თუნდაც პირობის მომცემი სიკვდილით არ დაესაჯათ. ჩვენ არ ძალგვიძს პასუხი ვაგოთ იმაზე, რაც ჩვენს ძალებსა და შესაძლებლობებს ალემატება, რადგან პირობის შედეგი და თვით მისი შესრულებაც ჩვენს ხელთ არაა, მკაცრად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საკუთარი ნების განკარგვა, ეს უკანასკნელი აუცილებლობით გვევლინება იმ საფუძვლად და სასაზიად, ადამიანის მოვალეობას რომ განსაზღვრავენ. სწორედ ამიტომ გრაფი დ'ეგმონი სულთ და ნებით მიცემული პირობის ერთგულია, რომლის შესრულებაც – მიუხედავად მისი დიდი სურვილისა – მის ხელთ არაა. ამდენად, ცხადია, განთავისუფლებოდა გრაფ დორნის მიმართ მოვალეობისაგან თუნდაც იმით, თუ იგი მასზე დიდხანს იცოცხლებოდა. მაგრამ შეუძლებელია რაიმე გამართლება მოვუძებნოთ ინგლისის მეფის უსინდისო საქციელს, რომელმაც განზრახ

გატეხა სიტყვა და პერცოგს მძიმე მით დასჯა მანამდე გადადებოდა, ვიდრე არ აღესრულებოდა. ასევე გაუმართლებელია პეროდოტეს კალატოზის მოქმედებაც. მან მთელი ცხოვრების მანძილზე მართლაც ერთგულად შეინახა თავისი ბატონის, ეგვიპტის მეფის, განძის საიდუმლოება. სიკვდილის წინ კი თავის შეილებს გაანდო.

ჩემ თანამემამულეთა შორის ბევრი მინახავს ისეთი ადამიანი, რომლებიც სინდისმა აიძულა გაეშვილათ, რომ სხვისი ქონება ჰქონდათ მითვისებული, ამ აღიარების შემდეგ მშვიდად იყვნენ – ეს ქონება მათი სიკვდილის შემდეგ ანდერძით კანონიერ შემკვიდრებზე გადაეცემოდა. ასეთ მოქმედებას არავითარი გამართლება არა აქვს: არც ის ვარგა, რომ ისინი ასეთ საშურ საქმეს აყოვნებდნენ და არც ის, რომ მიყენებული ზარალის ანაზღაურება უსოდენ მცირედი ძალისხმევის ფასად შესურთ და ასე მცირედს თმობენ თავიანთი მოგებიდან. თუ სამართლიანად ვიმსჯელებთ, მათ იმის გაყოფაც ჰქმარებოდათ, რაც მართლაც მათი კუთვნილი ქონება იყო. რაც უფრო მძიმე იქნებოდა მათთვის ამის გადახდა, რაც უფრო მეტი დაბრკოლების გადალაგება მოუწევდათ, მით უფრო სამართლიანი და ღირსეული იქნებოდა მათ მიერ ზარალის ანაზღაურება. მონანიება მსხვერპლს მოითხოვს. უარესად იქცევიან ისინი, ვინც სიკვდილის წინ უკანასკნელ სურვილად აცხადებენ თავიანთ ბოროტ ნებას რომელიმე აბღობლის მიმართ, რასაც მთელი სიცოცხლე ფარავდნენ. როცა საკუთარი ღირსება და სინდისი აღარ ენადვლებათ, სიკვდილსაც აღარ სცემენ პატივს, რათა ბოროტი გრძნობა ჩაიკლან. ისინი ამით ბოროტებას არსებობას უზანგრძლივებენ, რაკი მათ მიერ შეურაცხყოფილი ადამიანების მტრული განწყობილება მათი სსოვნისადმი ვაგრძელდება. ისინი იმ არაკეთილსინდისიერი მოსამართლეებივით იქცევიან, დაუსრულებლად რომ აყოვნებენ თავიანთი განაჩენის გამოტანას და მხოლოდ მაშინ გამოაქვთ, როცა მას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს საქმის არსისათვის. თუ შეეძელი, შევეცდებო სიკვდილმა რაიმე ისეთი არ მათქმევინოს, რაც ადრე სიცოცხლეში ვერ მათქმევინა.

ფრანკულიდან თარგმნა
დოლო ლაპარეჩა-ნოვაჩია

ფიჩრის კაზის ეროვნული საზრუნავი

„დათა თუთაშხიასა“ და მისი მსგავსი ნიგნების მნიშვნელობას მარტო მათი მძაფრი სიუჟეტი კი არ განსაზღვრავს, რაც ასე სიონტერესოსად საკითხავს ზღის მათ, არამედ ისიც, რომ ბევრ საფიქრალს გვატებს თავს, ისეთ საფიქრალს, რომლის ამოხსნასაც დიდი დრო და ჩაღრმავება სჭირდება.

რომანში ვირტუოზულადაა შერჩეული სათავეგადასავლო, ავანტიურისტული თუ დეტექტიური რომანის ელემენტები. ღრმა ფილოსოფიურ, ეთიკურ განსჯასთან გადახლართულია სოციალური, ისტორიული და ფსიქოლოგიური ასპექტები, მითოლოგიური და რეალისტური, ემპირიული და სულიერი პლანები.

ნებისმიერ ადამიანს თავისი მისია აკისრია, თავისი გზა აქვს, თავისი საქმე, თავისი ბედისწერა. ყველაზე რთული ცხოვრება მაინც ფიქრისთვის გაჩენილ კაცს აქვს. მან სხვების მსგავსადაც უნდა ამუშაოს და ყველას საფიქრალზეც უნდა იფიქროს.

„დათა თუთაშხია“ ზოგადად ადამიანური პრობლემისადმი მიძღვნილი რომანია, მაგრამ იმავდროულად უაღრესად ეროვნული, ქართული სულითაა სავსე.

რომანის მიხედვით დათა თუთაშხია არც სახეა და არც ტიპი, იგი სიკეთის განზოგადებაა, ზორცმეხსმული ღმერთი თუთაშხია. თითოეულ კარს ეპიგრაფად უძღვის მითოლოგიზებული ნოველა, მწერლის ფანტაზიის ნაყოფი, რომლის მთავარი გმირები არიან: თუთაშხია, მრავალთავიანი ურჩხული და ხალხი – ერი. მითური თუთაშხიას ქმედებით ისაზღვრება დათა თუთაშხიას ქმედება. თითქოს იგაეებით გვინიხანსარამბტყეველებს ავტორი რა გზას აირჩევს უმაღლეს ზნეობას, სრულყოფილებას მიახლოებული კაცი.

თუთაშხიამ, ნიღვდომილმა გმირმა, მტანჯველი გზით მიაგნო ჭეშმარიტების უმაღლესი ზნეობრივი მიზნის მიღწევა მხოლოდ უდიდესი მსხვერპლის გაღებას, თვითმენიერის ფასად შეიძლება, სხვა სამუალება ბოროტების სიკეთედ გარდაქმნისათვის არ არსებობს.

მკვლევარები: კობა იმედაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, აპოლონ ცანავა და სხვები თუთაშხიას თვითმენიერის აქტივი ქრისტეს ჯვარცმის ანალოგიას ხედავენ.

კობა იმედაშვილის¹ აზრით, ერის მახსოვრობაში შემორჩენილი სამი არქეტიპი: თუთა – მთვარე, თეთრი გიორგი – ქრისტე განსხვულდა ერთ პიროვნებაში – თუთაშხიაში.

სიკეთის ღვთაება საცმოდ რთულ მეტამორფოზასაც განიცდის. იგი ჯერ „სული კრებითი იყო, შემდეგ ძე ზორციელად გარდაიქმნა, ბოლოს კი აღეღვინა ცაღდაჯდა მთოვარედ და იქმნა იგი ძე ზორციელ ღმერთად“.

დათა თუთაშხია ცხოვრების გზაზე, სიკეთის ძიებაში მრავალჯერ განიცდის მარცხს, მწარე იმედგაცრუებას, ყოველი ასეთი ნარუმატებლობის შემდეგ იგი უღონოა, პასიურია, სულიერად „მკვდარია“. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ სასიცოცხლო ძალებით სავსეს, რაც დათას შემთხვევაში აქტიური სიკეთისათვის ბრძოლის ძალებს ნიშნავს. დათა თუთაშხია მკითხველის თვალწინ რამდენჯერმე „კვდება“ და კვლავ „უცხოვდება“, როგორც მამიბელი პიროვნება.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ ყოველი მომდევნო ეტაპი, ამ ტანჯვით, ეჭვებით, მარცხით სავსე გზაზე, ნინგადადგმული ნაბიჯია, როგორც ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ, ისე თავად დათას პიროვნული თვითგასრულების, სულიერი ზრდისა და სრულყოფის გზაზე. გმირის პიროვნული სამყარო ახალ-ახალი გამოცდლებით, ცხოვრებისეული შთაბეჭდილებებით მდიდრდება. იგი, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც ჯიუტად, უკანმოუხედავად მიიწევს თვითსრულყოფის, თვითდადგინების მწვერვალისაკენ.

დათას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საუბარი ეფემია ნინამძღვართან, რომლის ნათქვამის მოგონებასაც შეუძლია ის სიკვდილის ნინა ნუთებში. ეფემია ნინამძღვარი ჩვეული პირდაპირობით თვალწინ გადაუშლის დათას მისი ნამოქმედარის სურათს. უხსნის, რომ ბოროტების ბოროტებითვე დათარგუნვა კეთილს არ მოიტანს, პირიქით, იმავე ადგილას სხვა უამრავი ბოროტება აღმოცენდება. მისი აზრით, მსგავსი მართლმსაჯულების უფლება მხოლოდ მესიკებს აქვთ, ისიც, „თუ საამისოდ ვითარება არის მომნიშვნელებული და არა ყოველთვის“. ეფემია

1. კ. იმედაშვილი, მითი და თანამედროვე, ქართული პროზა, მნათობი, 1982, №2, გვ. 180

წინამძღვარი მოუთხოვს დათას მონამუბრევი ცხოვრების გზაზე, ართაც იგი ცოდვებისაგან განინმინდება“. მონასტერში ბერად აღკვეცას ურჩევს. ვერც ეს გონიერი და კეთილშობილი ქალი მიხედება, რომ დათა უკვე იყო მარტილიცა და ბერიც, რომ ეს გალოკილი თითოვით მარტოკაცი ცალ-ულელად უზიდებოდა ქვეყნად უმძიმეს საფიქრალსა და სატიკივარს. მართლაც განდევლივით ცხოვრობდა. საკუთარი სულის, პიროვნების განჩხრეკასა და სრულყოფის გზების ძიებაში ატარებდა წუთისოფელს. სწორედ მის შესახებ ამბობს მონაზონი გოგონა სახარების ენით: „მელთა ხერფული ურს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძეთა კაცისასა არა აქვს, სადა თაგი მიიდრიკოს“ (ლუკა, 9,51).

დათას სახარებაში განსაკუთრებით ის მოსწონს, ასეთი და ასეთი იყოს ადამიანი. მისი ზნეობრივი საბის ჩამოყალიბებაზე ქრისტიანული მორალი დიდ ზეგავლენას ახდენს.

აკვირდება და გრძნობს, დათა ბუნების თავისუფალი შეილია, მთლიანად მისი სული თავისფლებაა. ზეცური ძალა აქვს ებრძოლოს ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს და ზუნდება. იგი ნიშნულია ნამდვილი ადამიანობისა. თანდაყოლილი ლალი ბუნება ქედს არ ახრევენებს არავის და არაფრის წინაშე, ცხოვრების მორევში ტრიალებს. ვერაგობის, ბოროტების, გარყვნილების გარემოცვაშია და მაინც ინარჩუნებს მაღალზნეობრობას. თუ იმასაც ვაგიოთვალისწინებთ, რა სირთულეებით სავსე ეპოქაში არსებობდა, მართლაც ღმერთამდეა ამაღლებული მისი კეთილშობილობა.

XIX-XX საუკუნის მიჯნა ეს იყო ეპოქა, როცა ურმა დაკარგა ცხოვრების ფუძე და საძირკველი. თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული“ იქცა სამოვარსგადაგებულ, გათითოკაცებულ ყოფად, ურად.

დაკრული ლომის არაქს ჰყვება დათა. ლომი კედება და სიხარული აქვს აფთრებს, ლეში რომ დარჩებათა გავლისდებდა ლომი, მოიკრებს უკანასკნელ ძალ-ლონეს, ნამოუხტება აფთრებს, სისხლის გუბეს დააყენებს მათსას და ბანაობს შიგ. არაკში ასეა, მტრის და მოშურნის სისხლმა უნდა მოუშუმოს ქრილობები ლომს. ვეფას არნივს იხსენებს: „ამ დიდ კაცს რატომ არ მოუვიდა ახრად ნეტავი, მისი არნივიც რომ ნამოფრენოდა ყუბა-ურნებს, ბუმბული გაეფანტა მათი და შეება მიცემოდა ამით? რატომ და ასე რომ ექნა, გაბოროტების და ჯავრის ამოყრის მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. არ ქნა მან ეს. შესამედ გაიმეორებ თუ პირველად

ნაკითხავ შენთვის – არნივის სიბრძნეული, თანაგრძნობა გენევეს, ვაქცევეს, მისი მხარეზე დაგაყენებს, ღირსუმიდლომ და განწირულს შეგაყვარებს ლექსი“.

დათა თითამხიაც ამ არნივს ჰგავს ათას მახეს იცილებს, სასწაულებრივ რჩება სიკუდილს და არ უხდის სამაგიეროს არავის. ჯონჯოლიამ რომ უთხრა ფულს დავ-ხარბდო, გაფითრდა დათა სახეზე, უკერის და სწუნს თავისი მოდგმის სულმოკლეობაზე.

დათამ ზნეობრივად სძლია ბოროტებას. სიცოცხლე მოძრაობა, ვერ გაჩერდება. ეს სამყაროსეული კანონზომიერებაა. ამიტომ ეს მოძრაობა სიკეთის სამსახურს უნდა შეალიო და ბოროტებასთან ბრძოლას, თუ გინდა იყო ამაღლებული და ზნეობრივად სუფთა, საკუთარი სინდისის წინაშე ყოველთვის მართალი.

როცა დათას უყურებ, გრძნობ, რომ არის რალაც წმინდა, ამაღლებული, მაღალზნეობრივი. იგი ცდილობს, საკუთარი ქმედებით დაანახოს სხვებს სიკეთის უძლეველობა, უყვარს ადამიანი და აოცებს მასში აღმოჩენილი ყოველგვარი მანკიერი.

მუშნის არ გვაჩნია ის, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს – სიყვარულს უნარი. მას სძულს ადამიანი. შემთხვევითი არაა, რომ ყოველთვის უარყოფითს, დამამცირებელს ეძებს მასში. იყენებს მას და ისედაც მერყევი ბუნების ადამიანს აიძულებს ბოროტება ჩაიდინოს. თავისი მოწვევებით ზნეობრობის ქვეშ კაცთა მოდგმის სიძულელილს ფარავს.

მუშნი ისე საუბრობს ადამიანის გაუკეთესების შესახებ, გეგონება, დათას ვუსმენო. ადამიანის გაუმჯობესებაზე მსჯელობს კაცი, ვინც ყველაზე მეტადაა ადამიანის სულის დახვეწის უკალით, ვინც ერთნაირად ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ბინი აღმოაჩინოს ადამიანში, რათა ეს მანკიერებანი მიმართოს ბოროტების გასამრავლებლად.

მეთოდებს მუშნი ინტუიციურად პოულობს. ისიც დათასავით გუმანს მინდობილი პიროვნებაა. ოღონდ, დათას-გან განსხვავებით, ინტუიციით ნაკარნახევს არ უთანხმებს ზნეობრივ ნორმებს. ამიტომაც, ასე ამორალითა მისი ყველა მეთოდი, ნაბიჯი თუ საქციური. არც რომელიმე სხვა ლენისძიების ჩატარების წინ მიფიქრია ზნეობრივ მხარეზე. მე ვფიქრობ ხოლმე იმაზე, თუ რა არის გასაკეთებელი, ხოლო როგორ, რა ხერხით, რა საშუალებით უნდა გაკეთდეს, ამას ინტუიცია მკარნახობს. ამ ნაკარნახევს ჩემივე ზნეობის ნორმებთან არასოდეს არ ვათანხმებ. რახან ინტუიციამ



ასე მიკარნახა, მამასადამე, ზნეობასთანაც ქვეცნობიერად, ჩემს უნებურად, შეთანხმებულია" (გვ. 131).

გრაფი სეგვედი, ეს დიდი ცხოვრების-სეული გამოცდილების, მახვილი ალღოს მქონე კაციც კი, დიდხანს „გულისხმიერ და კეთილისმსურველ“ ადამიანად მიიჩნედა ზარანდიას.

მუშნი ზარანდიაც ერთგვარ ექსპერიმენტს ატარებს, ოღონდ დათას ექსპერიმენტის სანიწინააღმდეგო ხასიათისას. თუკი დათა ადამიანში ეძებდა ადამიანურს, კეთილს, ნათელს, ამაღლებულს, მუშნი ეძებდა და ხედავდა მდაბალს, მანკიერს, ბნელს. თუკი დათა ცდილობდა გადაეჩინა ადამიანი სულიერი კრახისაგან, მუშნი, პირიქით, ანტიერესებდა, სადამდე მივიდოდა ადამიანის დეგრადირება, მისი დაცემა, რამდენად ძლიერი იყო მასში ბოროტი სანყისი.

მუშნი ზარანდიასთვის დათა სიკეთის იდეალია, რომლისაც მას არ სწამს. ამდენად, დათა ანომალიად, საერთო წესიდან გამოწკლისად მიაჩნია. მუშნი ამბობს: „შევიცი, რომ სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომლებიც სრულქმნილებთან ყველაზე ახლოს არიან“ (გვ. 148). როცა გრაფი სეგვედი ეკითხება მუშნის, მისი მზაკერული ფანდი გამოიწვევს თუ არა დათას დაღუპვას, მუშნი პასუხობს: „ეგ მამინ უნდა მოხდეს, თუთაშხია თუ სხვებზე უძღური აღმოჩნდება. სუსტმა უნდა წაეგოს. აქ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მაგრამ ვიმეორებ, თუთაშხიას არაფერი დაუმართება“.

მუშნი დიდად აფასებს დათას თანდაყოლილ დადებით თვისებებს თუ აღზრდით ჩამოყალიბებულ მაღალ ზნეობას, მის უაგვარობას, მტიკიერ ნებისყოფას, პირდაპირობას, სიკეთის უძლეველობის რწმენას და მით მეტი აზარტით ებრძვის მას. აგრცელებს ჭორებს, პოულობს მკვლელებს, თითქოს ცდის, რამდენად მდგრადი და ბოროტებაგამძლეა ეს თვისებები დათაში, რამდენად გაუძლებს თუთაშხია ბოროტების ყოველმხრივ, ერთდროულ შემოტევას. შესაძლებს თუ არა, რაიმე ქმედით საშუალება დაუპირისპიროს ზარანდიას ხრიკებს. როგორ დაუძვრება მის მიერ დაგებულ მორიგ ხაფანგს.

თავად ზარანდიას კარგად ესმის, რომ მისი და დათასეული „გაგება“ ქვეყნისა, ცხოვრებისა, განსხვავებულია. ისინი სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ადამიანს. თუკი დათასთვის ადამიანი სიკეთის და სინათლის სიმბოლოა, ლეთის მინიერი ხატი და მისი სულიერი სადგურია, მუშნისათვის ადამიანი ყოველგვარი ბინიერებით სავესე ჭურჭელია.

თუკი პირველისათვის მოქმედებს მთავარი ამოსავალი „კარგი საქმე, მაკარგი კაცი“ მუორისათვის — „დეი საქმედაკუდი კაცისა“ ერთიც და მეორეც დარწმუნებულია თავის სიმართლეში და მის დამტკიცებას ახმარენ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას. ამიტომაც ასე სამკვედრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს. ფაქტიურად, ერთის ბრძოლას მეორის გარეშე აზრი დაეკარგებოდა. ამ ასპექტში დათა და მუშნი არა მარტო სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაა, არამედ ადამიანის პიროვნებაში იმთავითვე არსებული ამ ორი სანყისის ჭიდილიც.

დათა უაღრესად ერთგული გმირია. მისი ხასიათი, ქცევა, რაინდული სული, ვაჟაკური შემართება, სიკეთის უანგარო სამსახური, ქართველი კაცის საუკეთესო თვისებების გამოხმატველია. შემთხვევითი არაა, რომ დათა თუთაშხიას „ვეფხისტყაოსანი“ მუდამ თან დააქვს. „თუთაშხიამ ზურჯინიდან „ვეფხისტყაოსანი“ ამოიღო, ნინასნარ ჩანიშნულ ადგილას გადაფურცლა და კითხვას შეუდგა“ (გვ. 174). აქედან მოდის დათას მაღალზნეობრიობის სიმბოლო. ის ქვემარტივი ერისმულია, ხალხის ზნეობრივ ამაღლებაზე, მის გაუკეთებელზე რომ ფიქრობს. ამის მიღწევის გზებსა და საშუალებებს რომ ეძებს. „არც მგლის მოდგმის ვარ, რომ საქმლის მოწინისთვის ვიცხოვრო მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი და ძროხები მჭირდებოდეს მარტო. ერის მელი ვარ მე. ფიქრი მჭირია და საზრუნავი“ (გვ. 361).

დათას ბრძოლა სიკეთისათვის ერის ზნეობის გადარჩენისათვის ბრძოლადაა. დათასთვის ხომ სიკეთე თავისუფლებადაა — პიროვნული, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი.

სანდრო კარიძეს ილიასებური განაჩენი გამოაქვს ქართველი ხალხისათვის: „სამოვარსებადაგებული, გათითოკაცებული, ყოფილი ერ“ (გვ. 317). ილია ამბობს: „განეთითოვდი, ცალ-ცალკე დაეიშალენით, ასო-ასო დაეიჭურით, საერთო სახლი კერძობითად დაეხადეთ“.

რომანში ნარმოქნილია ერის სულიერი, ზნეობრივი ძიების ისტორია. ერის ცხოვრების უზოგადესი ეთიკურ-ფილოსოფიური პლასტები. ზოგადკაცობრიული, მარადიული, სულიერი ღირებულებები, რომლებიც ისტორიულ ცვლილებათა მიღმა დევს. რომანში დიდოსტატურადაა ხორცმესხმული ხალხის საოცნებო, იდეალური გმირის სახე.

დათა თუთაშხიას აზრით, თავისუფლება თვითონ უნდა მისცეს ადამიანმა თავის



თავს, რაც გულისხმობს, რომ პიროვნებამ ჯერ საკუთარი თავი უნდა შეიცნოს, განზრდიკოს თავისი სული ძირისძირობამდე, უნდა მონახოს საზოგადოებაში თავისი ადგილი და უნდა შეძლოს მოყვასის სიყვარული, მისთვის თავგანწირვა.

„დათა თუთაშხია ეროვნული ხასიათიცა და ზოგადკაცობრიული სიმბოლოც, რადგან თესლი, რომელსაც დათას მსგავსი ადამიანები ყრიან მიწაში, თავიანთ მარადნერბრუნებას ასრულებენ და იძლევიან ნაყოფს მაშინ, როცა მათი სახელიც კი წიშლება ადამიანთა მშისიერებიდან“¹.

დათა თუთაშხია ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. დათას მოქმედების ამოსავალი პრინციპია: ყველაფერი ჩემი საქნელია ამ ქვეყანაზე. მითუმეტეს, დათას არ შეუძლია მკლავებდაკრფილმა, მშვილდე უყუროს თავის ქვეყანას, მაგრამ არკულოვციასთან არ მიდის, რადგან რეეოლუცია ვერ გააუკეთესებს ადამიანს, უზნეოს ზნეობრივად ვერ ვარდაქმნის. ზნეობის ჩამოყალიბებას თავისი კანონები აქვს. ბოროტი და კეთილი ადამიანის არსებობა ღრმად ჩაბუდეებული სანყისებია. რომელი სძლევს, ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მშარითლებით წარმართავს პიროვნება სულის ზრდას. აი, აქ უნდა ადამიანს დახმარება, ზნეობრივი ორიენტირების ჩვენება. ამას აკეთებს დათა თუთაშხია. ესაა მისი ამ ქვეყნად მოვლინების გამართლებაც.

ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში დგება დრო, მისი სოციალური განვითარების გარკვეული საფეხური, როცა ეს ხალხი ან წყვეტს თავის არსებობას, როგორც პაჭანკები, ყოჩაღები და სხვანი, ან გადადის განვითარების თვისობრივად ახალ სტადიაში. ისინი, ვინც ამ პრობლემებზე მსჯელობენ, შემდეგნაირად ხსნიან მას: „ბოროტება ყოველთვის ძლევდა სიკეთეს, იმიტომ რომ ერთადაა, სიკეთე კი როგორც წესი, განზნულაია, გაითითოკაცებულია. იგი მოკლებულია თვითგაერთიანების უნარს. ამის შედეგად იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც საზოგადოება, მთელი ერი, დალუპვის, გადაშენების წინაშე დგას, მაგრამ ხდება „სასწაული“, მოდის ადამიანი, პიროვნება, თავის ირგვლივ აგროვებს სიკეთეს, პატიოსნებას, კეთილშობილებას და ყოველივე ამას მომძლავრებულ ბოროტებას უპირისპირებს“².

ასეთი პიროვნების მოსვლას არა აქვს არც განრიგი, არც კალენდარი, ისინი გამოჩნდებიან ას ნელონადში, ან ათას ნელინადში ერთხელ. იმის მიხედვით, თუ როდის

ხდება მათი მოსვლა აუცილებელია მსგავსი პიროვნებები ქართული ხალხის ისტორიაში არც თუ ისე ცოტაა. (ს. იქვე)

ასეთი პიროვნებაა დათა თუთაშხია. ყოველი ზოგადი უთუოდ კონკრეტულს ეყრდნობა, მაგრამ აქ ამ მომენტს, სახელდობრ, ქართული სულის და ხასიათის თავისებურებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

დედამიწაზე მოსიარულეთაგან ცოდვის მატარებელია ყველა, ასეთად მიაჩნია ეფემია წინამძღვარს დათაც. „დიდი ცოდვები განვეს დათა. მუნ კი ის კაცი არ ხარ, რომ შენს ნამოქმედარზე ხელი ჩაიჭირო, ყველაფერი მიიჭიწყო და უღარდელად ვალო შენი წუთისოფელი. დიჭანჯები, სინდისის ქეჯნა მოგლავს, სული ცოდვების მონანიებას მოგთხოვს, უნდა ენაშო“³.

დიახ, მართლაც ასეა დათა. ორმოცი წლის ვაჟკაცი გათეთრებულია და შებრუნებული უკვე. გამახვილა სმენა ეფემია წინამძღვრის ნათქვამზე, სახეზე ცნობისმოყვარეობა და ინტერესი აუთამაშადა.

ქართულ ხალხს ჰყვლია კაცები, ვისაც ცხოვრებამ, საქიროებამ ძალმომრეობა დააკისრა და თავისი ცოდვების მოწინააღმდეგე დაიხიოცნა. ხალხმა დაიოჩნა ისინი. იყვნენ ისეთებიც, ვინც თავისი ნამოქმედარის ბოროტება შეიგნო და ნებაყოფლობით ენაშა. ამით ამ კაცებმა საკუთარი სიცოცხლის წრე შეკრეს. თავის არსებობას დასრულებული სახე მისცეს. ავად ნალენია – სიკეთის, მარტივობის მარავანდელით შემოსეს და დღეს ისინი ხალხს სათაფრანებელ კერპებად შეაქს. თუნდ სიკეთისათვის, ერისავე კეთილდღეობისთვის ჩადენილი, მაგრამ ძალმომრეობა – მხოლოდ მაშინ ჰპოვებს გამართლებას ხალხის გონებაში, თუ იგი მოწამებრივი სინანულით დაგვირგინდება (გვ. 577).

დათას არ მიუძღვის მძიმე ცოდვები, არც ერის კაცობას ჩემულობს, მაგრამ მოწამებრივი სინანული კი გააჩნია. ფიქრის კაცია იგი. ცხოვრების ამოსხნას ცდილობს.

ნიჭია დათა. ეს ამინებს ეფემია წინამძღვარს, ნიჭიერება უნიჭობაზე სამიში რომაა.

„ნიჭიერი კაცი ხარ დათა. შენისთანა კაცების მცირე შეცდომაც კი ძალიან ძვირად უჯდება ერს. უნიჭობაზე სამიში ნიჭიერებაა, როცა მას მაღალი ზნეობა და ღმერთის მოშიშობა არ ახლავს თან. ნიჭიერი კაცის ყველა საქციელი გადამდებია, მაგალითის ძალა აქვს“ (გვ. 578).

ზნეობა მაღალი აქვს დათას. მისი ნიჭის შესაფერი ღვთისნიერიც დიდადაა. ისეთი

3. ი. ბ. შ. მახაჭაძის დისერტაცია თემაზე „მითი და რეალობა ქ. ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“, გვ. 135.

4. ვ. სერგუჯევა, „რაც ერთხელ ებოჯლად ხულს დაჩნდების“, თბ., 1986.



ბუნების კაცია, რაიმე უნდა აკეთოს და არ იცის რა. ამიტომ ურჩევნ მას მონასტერს. ახალი შთაბეჭდილებების და ცოდნის ნარავი რომ შეიჭრას მასში, ტემპარატება რომ ეძიოს და მიაგნოს.

თუთაშხიას სიკვდილის შიში არა აქვს. ამიტომ თავისუფალია და შეუზღუდავად აკეთებს სიკეთეს. შერე რა, რომ ფიქრი უღელივით არგუნა განგებამ. ლეშზე შე უნდა ვიფიქრო მხოლოდ და ცის ქვეშ ყველაფერზე უნდა ვიფიქრო მე. ორივე ტვირთი უნდა ვზიდო ერთდროულად და ერთად. ერთ-ერთის ან ცალ-ცალკე ზიდა უქმად ურობა არის ყოველთვის. კარგია ეს, მარტო კაციც ვარ და მთელი ქვეყნიერებაც". (გვ. 33).

თავის სიკვდილზეც ფიქრობს დათა თუთაშხია. აბრავის ცხოვრება ხომ ყოველნუთს ავალდებულებს ამ ფიქრით იაროს.

ყოველ ნაბიჯზე სიკვდილს უხედავრებენ. ის კი დადის ამაყად აშართული, ყოველის მიმხედვარი და შემამჩნეველი. არის ამაში რაღაც ლეთიური და ნეტარი. არ გემინოდეს სიკვდილის, ღმერთამდე ამაღლებაა. ფიქრობდე სიკვდილზე, კაცის ადამიანური ელის მოხდაა ყოველდღიურად.

ამაშია დათას ფაოტრაკებით სავსე ცხოვრების ილზიანობის საიდუმლო. ბედი ყოველთვის რისკიანის, გამბედავის, უშიშარის მხარეზეა.

ღირსეულმა მონინაღმდეგემ როდის როდის აღმოუჩინა სახელამ აბრავს აქილევსის ქუსლის. საკუთარი შვილი გამოუზარდა, გამოუწრთო მკვლედა.

დათას გონება იმდენად სუფთაა და ღეთიური, აზრადაც არ მოუვიდა, შვილში ეჭვის შეტანა. უკმეზ მიღებასაც კი თბილად მიხვდა. როცა ესროლა საკუთარმა სისხლ-მა და ზორცმა, განცვიფრებამ და სასიკვდილო ტკივილმა დაფაბრიცა სახე.

ნუთუ თუთაშხიების ჯიშს მსგავსი უნდა ჩაედინა, თუნდაც ქვეცნობიერ ინსტინქტს არ უნდა შეეჩერებინა?

ოიდიპოსის კომპლექსიც ამით აიხსნება. გუდუნა პერტიასთვის დათა თუთაშხია თავზეხელაღებული აბრავია, დედამისს რომ ამინებს და სახელს უტეხს, საყვარლად იხდის. მძიმე ბავშვობაგამოვლილს, ყმანვილობაში ფეხმედეგმულს, სისხლი უყიოდა შურის საძიებლად.

მშობელი მთელი ცაა შვილისათვის, საიმედოდ რომ ახურავს თავზე. ყოველი განყრომა ცის ჩამოცვევას უდრის. გუდუ პერტიას მამა არ ახსუს, ნამდვილი მამა რომ დათაა, არც ეს იცის. ესეც დათამ მოისურვა. მამის საფლავი უყვარდესო, დაე, ეგონოს რომ მისიაო. თუ გაიგებს სიმართლეს,

ბოროტებას ჩაიდებს გულში, აკე კაცე გაეზრდებაო. მაინც ჩასნედა ვაჟი, ვაჟის გულს ბოროტი ხელით ჩაშეუბრუნე სახეა ლა. ცის იმ ნახევარს, რომელსაც გუდუსათვის დედა ნარმოადგენდა, თუთაშხია ბლალავდა. ის ხომ უშიშარი მოდგმის იყო, ჩვეული სიმშვიდე და სიმტკიცე გასაჭირშიც რომ არ შორდებოდა. ამიტომ გასწირა შვილმა მამა. „რამ მოაფიქრებინა ეს! მაჯობა მაინც“ ჩაილაპარაკა თავისთვის. ამას არ ულოდა ღეთიური ნათლით სავსე გონების პატრონი.

„ფული არ გამოართვა, გაგანვალეხს და ნახებდნის ის ფული. მე ვიხამ მაგას! გვაშს რომ ვერ იპოვიან, ისე ვიხამ, ფულს აღარ მოგცემენ მაშინ!“ (გვ. 529).

გუდუ პერტიას გონება საოცრად დაენმინდა, საოცრად მკაფიო რწმენა ენვია იმისა, რომ თუთაშხიას ნათქვამი ზუსტად უნდა შეესრულებინა.

სასიკვდილოდ დაჭრილ დათას ინსტინქტები მაინც არ ღალატობს, ბოლო ნუთებშიც ზნეობრივ გმირობას სჩადის. როგორც ასწავლიდნენ გამზრდელები, ოჯახი ნშიდათა-ნშიდაა და შეუბღალავი უნდა დარჩეს! ხალხს გაუგებარი არაფერი რჩება და თუთაშხიას არ უნდოდა კაცის კვლით აღებული ფულით, ადამიანის სულიერება დარღვეულიყო.

ამიტომ მოიფიქრა საკუთარი სხეულის გაქრობა. მზარე სინამდვილე ნაშალა. მონინაღმდეგის მზაკერული, სულმდაბალი ნამოქმედარიც მოსპო და მის მსხვერპლსაც მცირედად შეუშსუბუქა კაცის ცოდვად აკიდებული ტვირთი. მაინც მოახერხა განსაკუთრებული სიკვდილი.

დათას ყოველთვის სჯეროდა, როცა მოკვდავად, განგების ნება იქნებოდა და არა მძასავით შეზრდილი მტრის მახე.

დათა თუთაშხია ზღვამ შთანთქა.

ასე შეერგო იგი პირველ სტიქიას, რადგან ზღვის ფსკერზე გაცილებით მეტი საიდუმლოა დამარხული, ვიდრე დედამიწის ნიაღში.

ეს იყო დათა თუთაშხიას უკანასკნელი ზნეობრივი გმირობა. მისი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. თავად დათა, როგორც პიროვნება, არ მიგვარნია ტრაგიკულად. მან მთელი სიცოცხლე ერთხელ არჩეული მიზნისკენ იარა. ბრძოლით, დამარცხებით, ტანჯვა-ნამებით, ტკივილით და სხვაბრლით განვლო მან ეს გზა. სრულყო თავისი თავი და უმაღლეს სიკეთეს ეზიარა.

ესაა ზნეობის სიმბოლოდ ქვევა, უკანასკნელი ზნეობრივი გმირობით დაგვირგვინებული.

გამოიღო საბოლოო მსხვერპლმწივრემ ნაყოფი კეთილი.

რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, რუსული თეოთიმპყრობელობა მისი სრული ათვისება-ანიმილაციის გეგმებს ადგენდა. ეს კარგად ჩანდა სამოქალაქო ცხოვრებაში. საეკლესიო თვალსაზრისით კი, მთავრობა და სინოდი ბრძოლას უფრო დაუარულად, შორსგამიზნულად აწარმოებდა, მიუხედავად მართლმადიდებლური აღმსარებლობისა, რუსული სახელმწიფო ისე ვერაგულად მოქმედებდა პატარა, ერთმორწმუნე ქვეყნის მიმართ, რომ რუსეთის მოაზროვნე ინტელიგენციის პატიოსან წარმომადგენელს ნ. დურნოვოს ასეთი სიტყვებიც კი აღმოებდა: „რუსიფიკატორი ეგ ზარქოსები სასტიკად ჩაგრავენენ ივერიის ეკლესიას, რომელიც უფრო სულმოთქმული იყო თურქებისა და სპარსელების დროს, ვიდრე ქართველების მოძულე რუსი მღვდელმთავრების ხელში“¹.

სინოდმა, საქართველოს, განსაკუთრებით ისეთი რეგიონები აირჩია თავისი ავტონომიის ეკლესიური ექსპერიმენტებისათვის, როგორც იყო აფხაზეთი, სამაჩაბლო და ა. შ.

გივი როგავას უახლესი გამოკვლევის თანახმად, რუსეთის ეკლესიის გაელენა აფხაზეთზე სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს, მისი სიტყვით, პირველი ეტაპი მოიცავს 1810-1831 წლებს, მეორე — 1831-1885 წლებს, და მესამე კი — 1886 წლიდან 1919 წლამდე გრძელდებოდა. მისივე გამოკვლევის მიხედვით, პირველ და მეორე ეტაპზე მიმდინარეობდა ისლამის ნინააღმდეგ ბრძოლა და აფხაზეთა მივიწყებული რწმენის (ქრისტიანობის) და ეკლესია-მონასტერთა აღდგენა-განახლება, მესამე ეტაპზე კი: „აშკარად იწყება რუსი სახელმწიფო მოხელეებისა და სასულიერო პირების შოვინისტური საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში“². ვიზიარებთ რა ამ შეზღუდულებას, გვინდა განვიხილოთ აფხაზეთში რუსული ეკლესიის მოქმედების სწორედ ეს ე. წ. მესამე პერიოდი.

ამჟამად, ამ საეკლესიო პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტზე გვინდა შევჩერდეთ, რომელსაც სინოდი და მთავრობა აფხაზეთის ტერიტორიაზე ახორციელებდნენ. ამ პოლიტიკის მიზნების შესახებ, კარგად

მოეხსენებოდა XIX ს. მონინავე ქართულ ინტელიგენციას. ცნობილი პედაგოგი — იაკობ გოგებაშვილი, მაგალითად, ნაკლებად ცნობილ სტატიაში „პოლიტიკანობა აფხაზეთში“, წერდა: „ამჟამად აფხაზეთს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დაამორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზეთისა ქართველებთან. თუ შეგნებულა აფხაზეთი დაახლოებით გაიცნობენ თავიანი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკებობოდა კეთილდღეობითა და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით“³. ამ სიტყვებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ.

კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად 1811 წლიდან საქართველოს სასულიერო სფეროს, ეგ ზარქოსი ედგა სათავეში. სულ 19 ეგ ზარქოსი მართავდა საქართველოს ეკლესიას და აქედან მხოლოდ პირველი იყო ქართველი — ვარლამ ერისთავი (1811-1817). დანარჩენი ეგ ზარქოსები რუსი ეროვნებისა იყვნენ და უმეტესობა ქართველი ხალხის მიმართ დაუფარავი მტრობით იყო გამსჭვალული. საქართველოს ეგ ზარქოსის ხელისუფლება თითქმის მთლიანად კავკასიაზე ვრცელდებოდა. XIX ს. დასაწყისისათვის, საეგ ზარქოსო 5 ეპარქიად იყოფოდა. აქედან ცენტრალური ეპარქიები ეთნიკურად ქართული მოსახლეობისაგან შედგებოდა. ცალკე, მეზუთე ეპარქიად იყო გამოყოფილი სოხუმის ოლქი⁴. რა ექსპერიმენტებს არ მიმართავდა რუსეთის მთავრობა ამ რეგიონში. ჯერ კიდევ 1831 წ. აქ დაარსდა არქიუპის კოპოსის (არქიელის) კათედრა, რომელიც მალე გაუქმდა. 1851 წ. აფხაზეთში შეიქმნა ქრისტიანობის გაერცვლების მისია, რომლის მეთაურად დაინიშნა აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის კარის მოძღვარი გერმანე. 1866 წელს სოხუმის ოლქი შეუერთეს იმერეთის ეპარქიას. მაგრამ 1885 წელს აფხაზეთი ცალკე ეპარქიად გამოპყვეს⁵. XX ს. დასაწყისში, სოხუმის ეპისკოპოსის არსე-



ნის თაოსნობით შეიმუშავეს ახალი გეგმა, რომლის თანახმად, სოხუმის ეპარქია უნდა გამოეყოთ საქართველოდან და ყუბანის ოლქისათვის შეეერთებინათ. საქართველოს ეგზარქოსი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ამით მოხდებოდა აფხაზეთის 75000-იანი მოსახლეობის ასიმილირება 172 ათასიან ყუბანის მოსახლეობაში¹⁰.

რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოს ეკლესიას, ძირითადი მოძრავ-უძრავ ქონება ჩამოართვა და ძველი მამულების მხოლოდ მცირე ნაწილი დაუტოვა. ამ ოპერაციით რუსეთის ეკლესიამ მიითვისა 150 მლნ. მანეთის ქონება და ხელფასის სახით სამღვდელეობებს დაუნიშნა 700000 მანეთი¹¹. განსაკუთრებით მცირემიწიანი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები. იმერეთის ეპარქიას, მაგალითად, სულ 91 დესეტინა მიწა ერგო. ეს იმ დროს, როცა სოხუმის ეპარქიას ასეთ-ობით მეტი დესეტინა. ეს აიხსნებოდა ჯერ ერთი იმით, რომ ითვლებოდა, თითქმის აფხაზეთში, მწირი ნიადაგები იყო. მეორეც, და რაც მთავარია, იმიტომ, რომ იქ სამღვდელეობა ძირითადად არაქართული იყო. სოხუმის ოლქს გამოეყო 603 ათას დესეტინაზე მეტი მიწა აფხაზეთში, და 763000 დესეტინაზე მეტი მიწა შავიზღვისპირეთის გუბერნიაში; სულ - 1 მლნ. 366 ათასზე მეტი დესეტინა¹².

აფხაზეთში, სინოდი ინტენსიურად ასახლებდა რუს კოლონიზატორებს. მათ შორის XIX ს-ში ძირითადად სექტანტები (დუხოზორები, მალაქნები და ა. შ.) იყვნენ; XX საუკუნიდან კი, მართლმადიდებლებიც. გადმოსახლებულებისათვის ხელისუფლება, პირველ რიგში, რუსულ ეკლესიას აარსებდა, რომელიც რეგიონში - რუსული, კოლონიალური პოლიტიკის გატარების ბურჟი ხდებოდა. ასევე, სინოდი ცდილობდა შეემცირებინა - სამღვდლო სასწავლებლების რიცხვი და რაც მთავარია, ქართული ენა გამოეღვევა იქიდან. ქართულ ენას დევნიდნენ არა მარტო აფხაზეთიდან, არამედ სამეგრელოსა და სვანეთიდანაც. რუსული ეკლესიისა და საერო ხელისუფლების მცდელობით, აფხაზეთში აღადგინეს ძველისძველი ქართული ტაძრების ნანგრევები, რომლებიც რუსი ბერ-მონაზვნებით აავსეს. მონასტრებიდან კი, მთავრობა რუსულ დასახლებებს აარსებდა. 1872 წ. შეკეთეს ბიჭვინთის მონასტერი, 1875 წ. ახალი ათონი, 1882 წელს - დრანდა. მხოლოდ ახალი ათონის მონასტერს 1321 დესეტინა მიწა გამოეყო მურნეობისათვის¹³. რუსი საეკლესიო პირები და მთავრობა არწმუნებდნენ აფხაზეთისა და სხვა მცირე

ეროვნების მოსახლეობას, რომ ისინი, მხოლოდ მათი განათლების და განვითარებისათვის აკეთებდნენ ამას. ნაწილობრივ კი, რუსული კოლონიური პოლიტიკა იმდენად უხეშად ერეოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებაში, რომ: აფხაზეთის დიდი ნაწილი აიძულა მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და თურქეთში გადასახლებულიყვნენ¹⁴. განთავისუფლებულ ადგილებში კი, რუსეთის მთავრობა ასახლებდა რუს სექტანტებს, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან. ცოტა მოგვიანებით კი, მსაზღვრეიდან - სომხურ მოსახლეობას¹⁵. ეს პროცესი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდებოდა.

გარუსების მთავარი მეთოდი, თვითმპყრობელობის ხელში, მიიწე ქართული ენისა და ქართული სამღვდელეობის ეკლესიიდან განდევნაში მდგომარეობდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს პოლიტიკა განსაკუთრებული დაინებით აფხაზეთში ხორციელდებოდა. საინტერესოა კონკრეტული მაგალითებით ვაჩვენოთ ქართული ენისა და ქართული სამღვდელეობის შევიწროვების ფაქტები აფხაზეთის ტერიტორიაზე.

1904 წ. „ცნობის ფურცელში“ „აფხაზის“ ფსევდონიმს ამოფარებული თვითმხილველი იუნყებოდა, რომ სოფელ გუდაუთაში მშვენიერი სამკითხველო იყო დაარსებული გოგოტიძისა და ნ. ჯანაშიას (სიმონ ჯანაშიას მამის) მიერ. მაგრამ მალე, ისინი აიძულეს საერთოდ დაეხურათ სამკითხველო და იქიდან ნასულიყვნენ¹⁶.

იგივე გუდაუთის შესახებ, უფრო ვრცელი სტატია, რუსულ ენაზე, გაზეთ «Завкавказская речья»-შია მოთავსებული. მისი ავტორი, ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძეა.

ლ. ბოცვაძე საინტერესო ცნობას აწვდის მკითხველს იმის შესახებ, რომ დაბა გუდაუთა დასავლეთ საქართველოდან გადასახლებულებს დაუარსებიათ. მათ დიდი ჯაფა და შრომა დასჭირდათ ჭაობების დასაშრობად და დასახლების კეთილმოსაწყობად. მათვე, საკუთარი სახსრებით აუგიათ ეკლესია, რომელშიც ნირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა. მაგრამ თანდათანობით, გუდაუთაში რუსული კოლონიზტები მომრავლდნენ. ისარგებლარა ამით, სოხუმის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, 1910 წ. თხოვნით მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, გაენვიათ იქიდან ქართველი მღვდლები, აერქაღათ ქართული ნირვა-ლოცვა და ამის ნაცვლად რუსი ეროვნების მღვდელი დაენიშნათ. სინოდალურ კანტორას სინფორთხილე გამოუჩენია და ეპისკოპოსისათვის ურჩევია,



არ გაეღიზიანებინა ადგილობრივი არარუსი მოსახლეობა. კანტორა წინადადებას აძლევდა მას. ქართველებთან ერთად დაენიშნა მეორე – რუსი უროვნების მღვდელი. მაგრამ ადგილზე, ეს რჩევა ყურად არ უღიავთ. ქართველი მღვდელი გამოუძევებიათ და მის ადგილზე რუსი, შოქინისტი მღვდელი – გვარად ობრაზცოვი დაუნიშნავთ. მას, ავტორის სიტყვით, „ადგილობრივი ქართველების არც ენა, არც ნუს-ჩეულებები არ ესმოდა“ და ქართველებსა და რუსებს შორის უნდობლობას სთესდა. მას გადაუღწევტია ქართველთა ტაძარი გაეყიდა და ამ თანხებით რუსული ეკლესია აეგო⁸.

კიდევ ერთი მაგალითი. ქართულ ენას არათუ გუდაუთამი ავიწროვებენ ყოველმხრივ, არამედ მთლიანად ქართველებით (მეგრელებით) დასახლებულ გალშიც კი. ქართულმა მოსახლეობამ მიაღწია იმას, რომ საეკლესიო ხარკს იმედა დაართო ქართველებს ქართული ენის სწავლება განეხორციელებინათ გალის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში (ასეთი სკოლა განათლების ყველაზე დაბალ დანეებით ფორმას შეესაბამებოდა). მაგრამ ეს უფლებები ფორმალური გამოდგა, რადგან ქართული ენის სწავლება, მხოლოდ ბოლო, მეექვსეუ აკვეთილზე დაუშვეს და მალე, პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს⁹.

რუსული სახელმწიფო მანქანა დაბეჯითობით, ნელ-ნელა ანარმოებდა აფხაზეთის მოსახლეობის ასიმილაციას და გარუსებას. იმას, რაც დღეს ხდება აფხაზეთში – XIX ს-ში ჩაეყარა საფუძველი. ეკლავ ნიკოლოზ დურნოვოს მოვუსმინოთ: „ქართველებს შეუძლიათ ქართველების, ოსების და აფხაზეთის გარუსების ათასობით ფაქტი ჩამოთვალონ, მაგრამ თით ქართველებს ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვით... 1892 წელს რუსმა ეპისკოპოსმა ავაფლოვორმა... მონათლა თითქმის ათი ათასზე მეტი აფხაზი, რომელთა ენა მან არ იცოდა და არც მონათლულებმა იცოდნენ რუსული ენა. ეს ხომ უხეში მოტყუება იყო, რომელიც იმით დამთავრდა, რომ უსამღველოესობამ [ე. ი. ავაფლოვორმა] მიიღო... თითქმის 25000 მანეთი ყოველწლიური შემოსავალი, ხოლო აფხაზეთმა დაივიწყეს რა ნათლობის სახელები, ისეე მამამდიანებად დარჩნენ“¹⁰.

თვალთმაქცური ნათლობის ფაქტები აფხაზეთში მართლაც ბევრი ყოფილა. საარქივო ცნობებით, მოსახლეობის გულის მოსაგებად, რათა ისინი მონათლულყვნენ (აფხაზთაგან ნახევარზე მეტი მუსულმანი იყო, მაგალითად, 1864 წლისათვის აფხაზეთა საერთო რიცხვი 43000 იყო. აქედან 15000-ზე მეტი ქრისტიანი, ხოლო 27000 – მუსულმანი). მთავრობა დიდძალ თანხებს ხარჯავდა. თანხის დიდი ნაწილი

ახლად მონათლულებს ურიგდებოდა, საქმე ქრის სახით. მეფის ნაცვქრის ქრისტიანი აფრთხილებდა სასულიერო მომსახურე-ანელებს, რომ საქმეებით მოხიბლული მოსახლეობა, მხოლოდ ფორმალურად ხდებოდა ქრისტიანი, ძალიან მალე კი, თავის ძველ სარწმუნოებას უბრუნდებოდნენ. ამიტომ მისიონერთთა საქმიანობის ასეთი სახე, გამართლებული არ იყო¹¹.

ამ დროს კი, გაზეთი „კავკაზი“ გააფთრებით ასაბუთებდა ქართველთა სრულ გამოუსადეგრობას მისიონერულ საქმიანობაში. ასევე უტიფრად ამტკიცებდნენ ქართული ენის „უეარვისობას“, როგორც აფხაზეთის, ისე მეგრელებისათვის, ნირვა-ლოცვის აღსრულების საქმეში. ვინმე ი. პონტოუხოვი, ამ საკითხზე წერდა, რომ გარდა იმისა, რომ რუსული ენა განათლების, წინსვლის და ადმინისტრაციის [ე. ი. სახელმწიფოს] ენა იყო, ადგილობრივ მოსახლეობასაც ის ეწვია ქართული (7). ქართულ ნირვა-ლოცვაზე, იგი სიტყვა-სიტყვით შემდეგს წერდა: „მართალია, ქართულ ენას ამ მხრივ ისტორიული გამოცდილება გააჩნია, ასევე საჭირო მიგნებაც არსებობს ქართულ ენაზე, მაგრამ... სამწუხაროდ, რელიგიური მიზნები და ზნეობრივი აღზრდა ამ ენით შეუძლებელია“ (7). ამაზე მეტი სიყალბის წარმოდგენაც კი ძნელი იყო, მაგრამ პონტოუხოვი კიდევ უფრო ავითარებს თავის დებულებას და აცხადებს, რომ მთელ სამურჩაყანოში ქართველ მღვდლებზე გაუნათლებელი, მოსახლეობაზე გაეღვივის არ მქონე მღვდლების ჰოვრა შეუძლებელია. ამიტომაც, აცხადებდა იგი, ცივილიზაციის სასარგებლოდ ამ ველურ მხარეში, აუცილებელია რუსული სკოლების გახსნა და რუსი მღვდლების დადგენა¹².

ქართული ენის დევნის საკითხში, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საეკლესიო სკოლების მზრუნველებმა კონანოსკიმ – XIX ს. 80-იან წლებში, XX საუკუნის დასაწყისში კი – ი. ვოსტოროვმა. ეს უკანასკნელი 1901 წელს დანიშნეს ამ თანამდებობაზე. მანამდე კი, იგი ქასულიარი მოამბის რედაქტორად მუშაობდა, საიდანაც გაანთავისუფლეს 500 მანეთის გაფლანგვისათვის და ყალბი საბუთების შედგენისათვის¹³. საფურადღებოა, რომ ამ დანამაულს მისი კარიერისათვის არ შეუშლია ხელი და ყოველგვარი ღონისძიებებით შეუდგა იგი ქართული ენის სრული განდევნის საქმეს¹⁴. არამარტო აფხაზეთიდან, არამედ მთლიანად საქართველოდან. მას მთელი შემართებით წინ აღუდგნენ ქართველი მწერლობის და სამღვდელეობის საუკეთესო წარმომადგენლები. ასაკი წერეთელი ი. ვოსტოროვზე მწვავე სატირული ლექსით კი მეთხზა. განსაკუთრებით მედგრად, ამ შოინისტ დეკანოზს, ეპისკ-



ოპოსი კირონი (საძაგლიშვილი) ებრძოდა. 1907 წ. შავრაზმულ გაზეთ „კოლოკოლში“, ი. ეოსტორგოვმა ცილისმწამებლური სტატია გამოაქვეყნა, სადაც კირონს ადანაშაულებდა სოხუმში მისი ეპისკოპოსად ყოფნის დროს (1906 წ.) ნირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსრულებაში. ამასთან, იგი წერდა, რომ კირონი „მოსახლეობაში, ნაძირალებს შორის ავროგებდა ხელმწიფრებს“, სოხუმის საკათედრო ტაძარში ნირვა-ლოცვის ქართულ ენაზე წარმოების მოთხოვნით. თავის მხრივ, კირონი, ამ ბრალდების საპასუხოდ აღნიშნავდა, რომ ყველასათვის გასაგებ უნდა ყოფილიყო იმ პიროვნების ობიექტურობა, ვინც ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობას „ნაძირალებს“ უწოდებდა²¹.

საინტერესოა კიდევ ერთი შოვინისტური გამოხმაურება, კირონის სოხუმში მოღვაწეობის შესახებ. თ. გერშელმანი ნიგნში „კავკასიაში უნდერგობათა მიზეზები“, წერდა: „სოხუმის ეპარქიაში, მისი დაარსებიდანვე იყვნენ რუსი ეპისკოპოსები, რასაც უთუოდ მცირე მნიშვნელობა როდი უქონდა რუსული გავლენის განსამტკიცებლად. კირონის დანიშვნის შემდეგ (სოხუმში), შესამჩნევი გახდა ქართული გავლენის გაძლიერება, რაც საფრთხეს უქმნის სოხუმის ოლქში რუსულ საქმეს. ამჟამად, ეპისკოპოსი კირონი გადაყვანილია შიდა გუბერნიის სხვა ეპარქიაში. ვიცავთ რა ქართული ეკლესიის ხელშეუხებლობას, ამავე დროს აუცილებელ პირობად მივიჩნევთ, რომ გატარებულ იქნას გადაწყვეტი ზომები, სოხუმის ოლქში ეკლესიის დასაცავად ქართული გავლენისაგან“.

ეგზარქოსები და სინოდი ქართველებს არა მარტო დევნიდნენ ეკლესია-მონასტრებიდან, არამედ ქართული ნირვა-ლოცვის ნინაღამდეგაც გამოდიოდნენ. საუკუნეების გამოვლილი დიდებული ქართული საგალობლებისათვის, ერთ-ერთ ეგზარქოსს „ძალღის ყეფა“ უწოდებია, ხოლო ქართულ საგალობელთა ისტორიის მკვლევარი, ქართული გალობის მასწავლებელი ვასილ კარბელაშვილი სემინარიიდან გააძევეს, სწორედ ამ საგნის სწავლების გამო²².

მიუხედავად ძალების არათანაბარი განაწილებისა: ერთი მხრივ რუსეთის მეფის მთავრობა, მთელი თავისი ბიუროკრატიული აპარატი და მეორე მხრივ თითქმის სრულიად დაუცველი ქართველი პატრიოტების ბრძოლა ქართული ენისათვის აფხაზეთში, მაინც აქტიურად მიმდინარეობდა. XIX ს. 90-იან წლებში, როცა ქართულ ენაზე თავდასხმები გახშირდა, აფხაზეთში შეიქმნა ქართული ინტელიგენციის ფგუფი, რომელიც ამ მხარის ქართულ მოსახლეობაში ქართული ენისა და ქართული კულტურის

დაცვას ისახავდა მიზნად. ამ გზაუფის აქტიური წევრები იყვნენ: ანდრეი პეტროვი (მასწავლებელი), თედო სახმუჩო (სწავლელ-მოღვაწე, ჟურნალისტი), სპირიდონ ნორაიძე (მრეწველი), გრ. კანდელაკი (ოქუშის მუაფეთიქე), ივ. გეგია (ოქუშის ბიბლიოთეკის გამგე), ფარნა დავითაია (ოზამჩირეში – წერილი ვაჭარი). მათთან თანამშრომლობდნენ პეტრე ჭარაია (მასწავლებელი), ადრე ნახსენები ნიკო ჯანაშია (ზუგდიდის სკოლის მასწავლებელი). მაგრამ ყველა მათ შორის, გამოირჩეოდა თედო სახოკია, როგორც განათლებითა და ნიჭით, ისე გავლენით და ბრძოლის უნარით²³.

1900 წ. 3 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აღშფოთებით მოახსენებს მთავარმართებელს იმ ქმედებათა შესახებ, რაც თედო სახოკიას უქავშირებოდა. მოხსენებით ბარათში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ სახოკიას მიზანი იყო: „ა) აფხაზური მოსახლეობის ეკლესიებში მოაწყოს ღვთისმსახურება არა სლავურ, არამედ ქართულ ენაზე; ბ) სამრევლო-საეკლესიო სკოლებში და კავკასიაში ქრისტიანობის აღმავლელ სკოლებში, რომლებიც აფხაზეთისა და სამურზაყანოს ფარგლებშია, ყველა საგნის სწავლება მოაწყოს ქართულ და რუსულ ენებზე, რომ ამ გზით გააქართველოს აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობა“.

სამწუხაროდ, აფხაზეთში, რუსეთის სინოდს და მთავრობის ინტერესებს, მხოლოდ რუსი ეროვნების პირები არ ემსახურებოდნენ. ასეთები, რა თქმა უნდა, მრავლად იყვნენ: თუნდაც სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, სკოლების შედამხედველი იასტრეზოვი, მღვდელი ოზრაცოვი და სხვები. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მათზე უფრო მეტი მონდომებით გამოირჩეოდნენ სოხუმის მხარის ეკლესიათა ნინამძღვარი (ბლალოჩინი) მარლანია, დრანდის მღვდელი ზუციშვილი, ოქუშის მღვდელი ივ. ქაუჯარაძე. ისინი ჯანდარმერის აგენტები იყვნენ და ქართველ პატრიოტთა ყოველ ქმედებას ჯანდარმერიას ატყობინებდნენ ხოლმე. მოსახლეობისათვის ეს ამბავი ცნობილი იყო, რის გამოც, ოქუშის მრევლის 169 წევრი სრულ უნდობლობას უცხადებდა ივ. ქაუჯარაძეს და მის მიერ შესრულებულ მღვდელმსახურებას²⁴.

რუსეთის სინოდი და საქართველოს საეგზარქოსო ძალღონეს არ იმურებდნენ აფხაზეთის – საქართველოსგან ჩამოსაშორებლად. ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ურადებოდნენ. ხან გამოსაცხადებდნენ, რომ აფხაზეთისა და საქართველოს ყველა მცხოვრებს, რუსულის გარდა, საეკლესიო სლა-

ეურიც უნდა ესწავლა და მაშინ ქართული აღარ დასტირდებოდათ, ხანაც ადგენდნენ, რომ საეკლესიო თანამდებობებზე მხოლოდ რუსი ეროვნების პირები უნდა დაენიშნათ. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სოხუმის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, რომელმაც სინოდის შესაბამის ბრძანებაზე დაყრდნობით, 1910 წ. 21 სექტემბერს საერთოდ აკრძალა არარუსი ეროვნების საეკლესიო პირთა დანიშვნა მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ამ ბრძანებამ აფხაზეთის ქართული საზოგადოების ისეთი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ ერთი თვის შემდეგ, 25 ოქტომბერს, სინოდმა ეს ბრძანება დროებით გააუქმა²⁶. 1912 წელს, აფხაზეთში დასანიშნ მღვდელმთავრისათვის და მათი მომხადებისათვის სინოდმა 1000 მანეთი გამოყო წელიწადში²⁷. ამავ დროს სინოდმა ეპისკოპოს დიმიტრის ნაცვლად, ეროვნებით ქართველი - ანდრია დანიშნა, რომელიც შედარებით ლმობიერ პოლიტიკას ატარებდა ქართველთა მიმართ²⁸.

ქართული საზოგადოების მიზანმიმდევრულად, სინოდს ხშირად კონსტრუქციულად, რომ აფხაზეთში (და მთლიანად საქართველოშიც) ჩასახლებული სექტანტები, მართლმადიდებლებს გაცილებით მეტ პრობლემებს უქმნიდნენ. სოხუმის ზემოთ მოხსენიებული ეპისკოპოსი დიმიტრიც კი იძულებული იყო აღენიშნა სექტანტების დიდი მომრავლება შავიზღვისპირეთში. ასევე აღინიშნებოდა აფხაზეთის მოსახლეობის მამამადიანობაზე გადასვლის უამრავი ფაქტი²⁹. მაგრამ სინოდი უფრო მეტად ქართული ნორვალოციის აღკვეთით იყო დაკავებული, ვიდრე სექტანტებთან ბრძოლით.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთში რუსეთის სინოდი და საქართველოს ეგზარქოსები იგივე პოლიტიკას ახორციელებდნენ, რასაც მთლიანად საქართველოში. მაგრამ ეს პოლიტიკა აფხაზეთის ტერიტორიაზე უფრო მეტი სიმწვავეით და დაუნდობლობით გამოიჩინოდა.

შენიშვნები

1. ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, ვერს. „გათაფი“, ქუთაისი, 1990, №10, გვ. 58.
2. ვ. როვაჯა, „რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წლებში. სადოქტორო დისერტაცია (ზელანდერის უფლებით) თბ. 1993, გვ. 109-110.
3. ი. გოგებაშვილი, პოლიტიკანობა აფხაზეთში, ვაზ. „სწავრო“, 1903, №26.
4. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სავგზარქოსო 1900-1917 წწ, თბ., 1995, გვ. 21.
5. მ. ზუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოც-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX ს. თბ., 1987, გვ. 61.
6. იქვე, გვ. 62.
7. ქ. პავლიაშვილი, დასახ. შრ., გვ. 23.
8. იქვე, გვ. 28.
9. მ. ზუციშვილი, დასახ. შრ., გვ. 34, 57.
10. იქვე, გვ. 33.
11. იქვე.
12. ვაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, №2580 (4).
13. Л.Бончакъ, Злободневный вопрос в Гудайте газета «Закавказская Речь», 1912, №203.
14. მ. ზუციშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 40.
15. ნ. დურნოვო, დასახ. შრ., გვ. 69.
16. Акты Собраніи Кавказско археологической комиссией, т.10, Тифлис, с. 225-28.
17. Газета «Кавказ», 1865, №97.
18. იბ. მაც. ს. იაშვილი, მასალები თბილისის ქართული ეპისკოპოსის ისტორიიდან (1879-1903), თბ., 1956, გვ. 5.
19. მ. ზუციშვილი, საქართველოს სავგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში. თბ., 1972, გვ. 37.
20. გ. შენგელია, ეპისკოპოსი იკრიონ და აფხაზეთი, საისტორიო მოამბე, №71-72, თბ., 1998-1999, გვ. 122.
21. თ. გერშელმანი, მითითებულია გ. შენგელიას დასახ. სტუდიის მიხედვით, გვ. 123.
22. ნ. დურნოვო, დასახ. ნაშრ., გვ. 41-42.
23. ტრ. ზუნდაძე, თედო სახოკია (მასალა ბიოგრაფიისთვის), კრებულში - „თედო სახოკია“, თბ., 1969, გვ. 66.
24. ტრ. ზუნდაძე, დასახ. შრ., გვ. 66.
25. იქვე, გვ. 67.
26. ქ. პავლიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 48.
27. «Закавказская речь», 1912, №233, с.2.
28. «Закавказская речь», 1913, с.3.
29. ქ. პავლიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 132.



ქართული

ბიურავი შპს/საქართველოს

ჩვენი სულიერი ხმოვრების ანოვალიები

*აქ აღიღებდნენ დამპალ კინტოს, თათრულ მუხამბაზს,
აბანოს მწვირებს, შუა ბაზრის კორიანტელსა,
ვაბერილ შარვალს, ყარაჩოხელს... (ვახაშვილი?)
აქ ივინყებდნენ ფიროსმანის მზიან მუშამბაზს,
მეჭა ოპიზარს, ოსტატობის ნმინდა ანდერძსა,
აქ ივინყებდნენ ძველ პოეტებს ოქროსყელიანს...
[ბიურავი ლომიძე]*

ნანილი პირველი

1953 წლის დეკემბრის სუსხიანი საღამოა. რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, სადაც საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას უშანგი ჩხეიძის საღამო გაუმართავს, ნემსიც კი არ ჩაეარდება. ეს საღამო უნიჭიერესი მსახიობის გარდაცვალების წლისთავს ეძღვნება. დარბაზი სავსეა ცრემლით, გაბზარული ხმებით, დაღერეული სახეებით. მოგონებებით გამოდიან უშანგის მეგობრები, მსახიობები, მწერლები. საზოგადოებას მოუთხრობენ იმ კაცზე, რომელმაც ქართულ თეატრალურ კაბადონს მეტეორივით გადაუარა და მეტეორივითვე ჩაფრთხილდა სახელი უშანგი ლამაზ ლეგენდად დაუტოვა შთამომავლობას.

იმ საღამოს აკაკი ვასაძემ ასეთი რამ თქვა - 1950-52 წლებში ჩანერილი მონოლოგებით, სცენებით, ლექსებით, რომელთაც ახლა დროდადრო ვისმენთ რადიოთი, ოდნავადაც ვერ შეფასდება უშანგი ჩხეიძის არტისტული ტალანტი. აქ უშანგი მხოლოდ აჩრდილია იმ უშანგისა, რომელიც ბობოქრობდა ქართულ სცენაზე.

ახლაც ნათლად დამკვიდრდა მახსოვს საზოგადოების იმ ნაწილის გაცემა, რომელსაც უშანგი სცენაზე არ ენახა, მხოლოდ გადმოცემით, მხოლოდ ნაკითხვით, მხოლოდ აღნიშნული ჩანაწერებით იცნობდა. თუმცა ეს მარტო გაცემა არ ყოფილა, რალე უფრო დიდი, განაწყენებულთა დრტივინვა დაგზავდა დარბაზში. ამ განწყობილებას თავისი ადრესატი პყავდა, ზოგი მათგანი იქ იმყოფებოდა კიდევ. მათი გულგრილობითა თუ დაუდევრობით უშანგი ჩხეიძის უზარმაზარი არტისტული ტალანტისგან მემკვიდრეობად

მხოლოდ აჩრდილილა შემოგვრჩენია. ეს მემკვიდრეობა კი ის ჩანაწერებია, რომელიც ჩვენი რადიოკომიტეტის ოქროს ფონდში ინახება დრომელთაც დროდადრო სასოებით ვისმენთ ხოლმე, მაგრამ თურმე აჩრდილად ქცეულ ხმას, სიტყვას ვისმენთ, მთავარი და უძვირფასესი კი ჩვენივე დაუდევრობით დაგვიკარგავს...

ეს შეუნყნარებელი გულგრილობა მემკვიდრეობით გამოგვეცა.

მკითხველმა განსაჯოს:
ჩვენი საუკუნის დამდევს ხმის ჩანწერი ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ინგლისის სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონმა“ 1906-1907 წლებში თბილისში ხმის ჩანწერი სტუდია გახსნა, სადაც ინერ-და ამიერკავკასიის ხალხთა სიმღერებსა და მუსიკას. სტუდია ბეჭდავდა კატალოგებსაც და დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ურიგებდა. ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ საზოგადოებას გააჩნდა სათანადო ინფორმაცია და სურვილის შემთხვევაში შეეძლო სტუდიის სამსახურით უსარგებლო. გარდა ამისა, სტუდიის პქონდა სპეციალური მალაზია, ვაქრობდა გრამოფონებითა და ფირფიტებით. ერთი სიტყვით, გარკვეული პირობა და საშუალება არსებობდა, რათა ქართული თეატრის თუნდაც უმნიშვნელო საუნჯე გრამოფონიტების მემკვიდრეობით შემონახულიყო. სწორედ ამ სტუდიის დამსახურებაა, რომ შემოგვრჩა ვასო აბაშიძის ენ. „სცენები“ და აკაკი წერეთლის მიერ ნაკითხული ლექსი „მთანმინდა“. ეს ჩანაწერები ჩვენი რადიოკომიტეტის ოქროს ფონდშია შეტანილი და ჩვენი სულიერი ცხოვრების შესანიშნავი ძველებია.



მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია?
ასეა!

ასეა, რადგან ქართულმა საზოგადოებამ ვერ გამოიყენა ტექნიკის დიდი მიღწევა, ვერ გამოიყენა ინგლისის საექციონერო საზოგადოების საქმიანობა. პირიქით, ყურადღება არ მიაქცია მის არაქართულ საქმიანობას. „კრამფონი“ მრავლად იწერდა აღმოსავლური მუსიკისა და სიმღერების ნიმუშებს, უპირატესად ბაგრატას, ანუ ბაგრატ ბაგრაშოვის სიმღერებს და ფირფიტებზე გადატანილს ფართოდ აერცვლებდა (ანზორ ერქომაძევილი, პირველი გრამფირფიტები საქართველოში, თბ., 1987). ამ სიმღერების ტექსტი იყო ქართული, თორემ მუსიკა მთლიანად აღმოსავლურია. გრამფირფიტები კი სალდეზოდა როგორც ქართველი ხალხის ეროვნული სიმღერა-მუსიკა.

თეატრი?

თეატრი კი სტუდიაშივე ვერ მივიდა.

ვერ მივიდა მოგვიანებითაც. ასე დაეკარგეთ ლადო მესხიშვილი, გიორგი არაძელ-იმხნელი, ალექსანდრე იმედაშვილი და კიდევ რამდენიმე.

ეს მაშინ, როდესაც რუსული კულტურის მოღვაწენი მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ ამ მნიშვნელოვან პრობლემას და სწორედ გრამფირფიტების წყალობით შემოუნახეს შთამომავლობას ეკაჩალოვის, ალიოფისის, ო.კნიპერ-ჩებოვას, აოსტუფევისა და სხვათა ნაღვანი.

რუსეთი მაგალითად იმიტომ მოწყავს, რომ ქართველმა საზოგადოებამ შესანიშნავად იკოდა რუსული კულტურა, მათ შორის რუსული თეატრალური ცხოვრება და მისთვის არც თეატრის გრამფირფიტებზე ფიქსირების ფაქტი დარჩებოდა უცნობი.

ჩვენ?

სულ ახლო წარსულის მოგონებებზე შემოგვრჩა კოტე მარჯანიშვილისა და ალექსანდრე ახმეტელის უძვირფასესი შემოქმედება.

ფაქტიურად დაიკარგა „ურვილ აკოსტა“, „პამლეტი“, „ანზორი“, „არღვევა“, „ყაჩაღები“, „ოტელი“, „ლამარა“ და...

სხვათა და სხვათა შესახებ რომ არაფერი ითქვას, რა შემოვიწახეთ თუნდაც ისეთი გრანდიოზული მსახიობის შემოქმედებიდან, როგორიც აკაკი ხორავა იყო?

რა შემოვიწახეთ ვერკო ანჯაფარიძის უზადო თეატრალური მემკვიდრეობისაგან, ვერკოსგან, რომელიც მსოფლიო საუკეთესო მსახიობ ქალთა ათეულშია შეყვანილი?..

ახლა ხომ არა მარტო ბგერის, არამედ გამოშახველობის ფიქსირების ტექნიკური საშუალებაც განუზომლად დიდი იყო?

თეატრალური კულტურის ამ შემკვიდრეობას გარდა ესთეტიკურ-შემეცნიებით

ფაქტორისა, ხომ უდიდები როლი ენიჭება მსახიობთა თუ რეჟისორების ქვეყნის მხარდისათვის, ჩამოყალიბებისათვის...?

საინტერესოა, თბილისის თეატრალური ინსტიტუტი როგორ ახერხებს სტუდენტებს ქართული თეატრის ისტორია ასწავლოს? ხომ არა გვაქვს არაფერი გარდა მოგონებებისა, ფოტოსურათებისა, ჩანახატებისა, ჩანაწერებისა, ე.ი. გარდა მშრალი ფაქტებისა... არა გვაქვს მთავარი, ცოცხალი მასალა – მსახიობის ხმა, დიქცია, მეტყველება და კიდევ ბევრი საჭირო რამ. ეს ხომ იგივეა, ვასწავლიდეთ ქართული მხატვრული სიტყვიერების ისტორიას და სათანადო საილუსტრაციო ნიმუშები არ გვექონდეს. ვასწავლიდეთ რუსთაველს და „ვეფხისტყაოსანი“ არ გავაჩნდეს, ვასწავლიდეთ დავით გურამიშვილს და „დავითიანი“ თვალთ არ გვეჩნახოს, ვასწავლიდეთ ბესიკს და მისი ბრწყინვალე ლირიკის შესახებ მხოლოდ გადმოცემით ვიცოდეთ, ვასწავლიდეთ ილია ჭავჭავაძეს და...

ამის წარმოადგენა თავზარდამცემი არ იქნებოდა?

თეატრი, მისი ისტორია?

1960 წლის მიენისს ვახუთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ასეთი ინფორმაციაა დაბეჭდილი:

„უღიამო შექსპირის დაბადების 400 წლისთავისათვის, რომელსაც 1964 წელს მთელი მსოფლიო აღნიშნავს, ინგლისში გამოშვებული იქნება გენიალური დრამატურგის ყველა ქმნილება გრამფირფიტების სახით. კრიტიკოსებს ეს უპრეცედენტო ამბად მიაჩნიათ გრამფირფიტების ისტორიაში. უკვე გამოშვებულია „ოტელი“, „რიჩარდ III“, „ვენეციელი ვაჭრის“, „მეფე ჯონისა“ და სხვა ნაწარმოებთა გრამფირფიტები“.

მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ინგლისელებმა მშვენივრად ისარგებლეს ბგერის ჩანერის ტექნიკით და შთამომავლობას ერის თეატრალური საუნჯე შემოუნახეს.

ჩვენ ჩაიწერეთ კი არა, ჩანაწერებიც კი ვერ შევიწარმინეთ. ჩვენი რადიოკომიტეტის ოქროს ფონდში შემონახული რამდენიმე სიმღერა, რომელსაც ვანო სარაჯიშვილი ასრულებს, ტექნიკური თვალსაზრისით იმდენად უხერხოა, რომ გაეკვივრება – ნუთუ ეს არის „საქართველოს ბუღბუღი“?

ვიდრე ფირფიტა მთლად არ გაცედა, არ გადაწერეს. (ამ ბოლო დროის ინფორმაციით, აღნიშნული ფირფიტების ხარისხი რამდენადმე გაუუმჯობესებიათ. ძალიან სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ გაუუმჯობესებიათ მხოლოდ რამდენადმე).



მოგვიანებით მოსკოვის გრამფირფიტების ფირმა „მელოდია“ ზოგჯერ იწერდა ლიტერატურულ კომპოზიციებსა და ლიტერატურულ-მუსიკალურ გადაცემებს, რომლებშიც ქართული მსახიობები მონაწილეობდნენ, ხოლო 70-იანი წლებიდან, როდესაც „მელოდიის“ თბილისის გრამფირფიტების სტუდია აშუშავდა, გარკვეული ყურადღება ამ უბანსაც მიექცა და 1989 წლამდე, ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მოვლენების დაწყებამდე, სტუდიამ ჩანერა და გამოსცა ქართული სექტეტაკლების მნიშვნელოვანი სცენები და მონოლოგები.

ყურადღება დაეთმო მხატვრული კითხვის სფეროსაც და საეპიკო ქსელში გამოჩნდა გრამფირფიტები, რომელზედაც ჩანერილი იყო ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსთა თხზულებები. კითხვობდნენ ქართული სცენის დიდოსტატები – ვერიკო ანჯაფარიძე, უმანგი ჩხეიძე, ვასო გომიამელი, სერგო ზაქარიძე, სპარტაკ ბალაშვილი, ზინა კვერენჭილაძე, ეროს მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, ოთარ მელვინიუთუბევი, გიორგი ხარაბაძე და სხვანი. განსაკუთრებით დასაფასებელია გურამ საღარაძის წვლილი. იგი სამართლიანად ითვლება მხატვრული კითხვის ერთ-ერთ გამოჩენილ ოსტატად.

თითქოს ყოველივე მშვენივრად დაიწყო, თითქოს შემოხსენებული დაუდევრობის ტრადიციაც დაიწვია, მაგრამ...

მეორე პრობლემამ იჩინა თავი, რომელიც ასევე ტრადიციით გამოგვეცა. მკითხველს ახსოვს, რომ ინგლისის სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონის“ სტუდია იწერდა და გრამფირფიტებზედ აერეცლებდა უამრავ ისეთ მუსიკალურ ნაწარმოებებსა თუ სიმღერებს, რომელსაც ქართულ მუსიკალურ კულტურასთან არაფერი აკავშირებდა, მაგრამ ვრცელდებოდა როგორც ქართული. ამ პრობლემაზე ქართულ საზოგადოებას უნდა ეზრუნა, მაგრამ არ უზრუნია.

ახლაც იგივე განმეორდა. ორიოდე გრამფირფიტაც არ იყო გამოსული, რომ დაიბეჭდა და გავრცელდა გრამფირფიტები, რომელზედაც ჩანერილი იყო აღმოსავლური მუსიკის ნიმუშები, გასაღდა კი როგორც ქართული მუსიკალური კულტურის შემადგენელი ნაწილი.

ახლაც არავის შეუნუხებია თავი. მე არ ვიცი, რამდენია ასეთი გრამფირფიტა. საილუტრაციოდ ერთ-ერთ მათგანზე შემოძლია მსჯელობა.

არსებობდა (იქნებ ახლაც არსებობს?) მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“.

რომელსაც ნიჭიერი მუსიკოს-მედიდუკე გრიგოლ ქსოვრელი ხელმძღვანელობდა. ხელთა მატეს გრამფირფიტაზედ ჩანერილი ნელს თბილისის გრამფირფიტის სტუდიის მიერ არის გამოცემული. მასზე ჩანერილია აღნიშნული ანსამბლის რეპერტუარის ერთი ნაწილი.

გრამფირფიტის კონვერტს ახლავს ანოტაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ანსამბლის შემოქმედებით რეპერტუარში ქართულ ხალხურ სიმღერას, განსაკუთრებით ქალაქურ ფოლკლორს (რა თქმა უნდა, იგულისხმება თბილისური) ნამყვანი ადგილი უკავიაო.

მე პროფესიით არც მუსიკოსი და არც მუსიკათმცოდნე ვარ, მაგრამ მაინც დაბეჯითებით მიწადა განვაიცხადე – ამ ფორფიტაზე ზოგიერთი ისეთი მუსიკალური ნაწარმოებია ჩანერილი, რომელიც შეუძლებელია ქართულს მიაკუთვნო! ძველი ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის შესახებ არსებულ შრომებს თუ გაკეთვალისწინებთ (ი.ველახოვი, მამოლიტ-ივანოვი, დარაყიშვილი, არმშველიძე, აბეგაჯანოვი, გრ.ჩხიკვაძე, ოთ.ჩხიკვაძე) უნდა ითქვას, რომ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორზე აღმოსავლური მუსიკის გავლენა უდგაო, მაგრამ ეროვნული მუსიკალური კულტურის დიდი წილი მაინც შენარჩუნებულია.

რა შეიძლება ითქვას „სოინარის“ მიერ შესრულებულ „დილის საარისა“ და „ჯაზის“ შესახებ?

ზემოაღნიშნული კომენტარის მიხედვით, „დილის საარი“ ხალხური უნდა იყოს, ან ქართული ხალხური, ან ქალაქური ხალხური, მაგრამ „საარი“ შეუძლებელია ან ერთი იყოს ან მეორე, შეუძლებელია მასში ქართული მელოდის თუნდაც ელემენტი ერიოს. სახელწოდებითაც, მელოდიითაც, როგორც იტყვიან, წმინდა წყლის აღმოსავლურია.

ზოგი რამ „საარის“ შესახებ. სიტყვა არაბულია, ნიშნავს „განთიადს“ და სპარსული, თურქული თუ აზერბაიჯანული ენის მემკვირვებით დამკვიდრდა ქართულ ენაში. აი, როგორ არის განმარტებული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ – „ჰიმნი, ჰანგი, რომელსაც დილას ასრულებენ ზურნით ან დუდუკით რომელიმე ნადიმის დროს“.

უფრო საინტერესოა ამ სიტყვის იგრიმ-ამვილისეული განმარტება:

1. დილის სიმღერა, რომლითაც ეგებებიან ცისკარს, შვის ამოსვლას, აისადუდუკის ერთგვარი ტკბილი ჰანგია, რომელსაც უფრო დილაობით (უფრო ქორნლისს მეორე დილით) ააზუზუნებენ ხოლმე;



2. საკუთრივ დილას ნიშნავს; როცა ამ პანგს დუდუკზე უკრავენ, ამით გამოხატავენ ლოცვას მზისადმი. უფრო მიღებულია ქორნაილის მეორე დღეს დილით, როცა პაერზე გამოვლენ მოქიფენი. ძალიან მელოდური და გულისაღმძვრელი პანგია.

სემანტიკურად ორი მნიშვნელობა გამოიკვეთა, პირველი რელიგიურ სამყაროს, ხოლო მეორე ყოფით სფეროს ასახავს.

საინტერესო ცნობას გვანდის ენაუმანი. ის არაბულ სამყაროზე, არაბულ მუსიკალურ კულტურაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მუეზინი ცისკრის ფაშს ადიდებს ალაჰს განსაკუთრებული სიმღერა-ჰიმნით, რომელიც თავისი მაგორული ფერადობითა და შემართებით გამოირჩევაო (Иллюстративная всеобщая история музыки, т. I, 1897).

ამჟამად შეინიშნება მნათობთა თავყანი-სცემის რეალიები, მზის კულტის ფაქტურა, რომელიც შემდეგ ჩართულია ისლამის რელიგიაში.

მეორე განმარტებაში სიმბოლიკის გარკვეული ნიშნებია. ასეა თუ ისე, ერთი რამ ამჟარაა, „დილის საარი“ თავისი გენეტიკით, მუსიკალური ენით ვერ თავსდება ქართულ ხალხურსა თუ თბილისური ფოლკლორის ლოკალში.

რაც შეეხება „იჯაზს“.

მახლობელი აღმოსავლეთის მუსიკალურ ტერმინოლოგიაში ჰიჯაზის სახელით ცნობილია ერთ-ერთი უძველესი მულაჰმა, კილო, რომელიც დამკვიდრებულია სპარსულ, აზერბაიჯანულ, თურქულსა და შუა აზიის რეგიონის მუსიკაში. ტერმინიც და მელოდიაც დაკავშირებულია არაბეთის იმ რაიონთან, რომელშიც ჩაისახა ისლამის რელიგია, რომელშიც მდებარეობს მაჰმადიანური სარწმუნოების ცენტრები — მეკა და მედინა. როგორც ჩანს, მელოდია უკავშირდება ისლამის რელიგიურ ჰიმნოგრაფიას.

მუსიკალური პანგების, კილოების ტერმინოლოგიური კავშირი გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ტრადიციულია. ასეა მიღებული, მაგალითად, ბაიათი-მირაზი (მირაზული ბაიათი), ბაიათი-ისპაანი (ისპაანური ბაიათი) და სხვ.

ნათქვამიდან ძნელი არ არის იმის მიხედვით, თუ რამდენად სამართლიანია გრამფირფიტის კომენტარი — ანსამბლის შემოქმედებით რეპერტუარში წამყვანი ადგილი ქართულ ხალხურ სიმღერას, განსაკუთრებით კი ქალაქურ ფოლკლორს უკავიაო.

ჩემი აზრით, აღნიშნული კომენტარი ინფორმაცია დეზინფორმაციაა. მას შეუძლია ძალზე ცუდი მისახსენი გაუნიოს ქართულ მუსიკალურ კულტურას, ამ

კულტურით დაინტერესებულ პირებს. ასეთები კი ცოტანი არიან. მუსიკალური პროფესიონალი მუსიკოსებისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი ქართული მუსიკალური კულტურის, პროპაგანდას უნდა იყოს მას. მათ ხელში ჩაეარდნილი ასეთი გრამფირფიტა რა შედეგს მოიტანს, ადვილი მისახვედრია.

ჩვენს კულტურულსა და ინტელექტუალურ ცხოვრებაში უამრავი ასეთი ანომალური მოვლენაა და ნერილში ზოგიერთ მათგანზე იქნება საუბარი.



იმ ძველსა და გადაულახავ ტრადიციას ქართული მხატვრული კითხვის სფეროც ვერ გადაურჩა. ჯერ იყო და, 1975 წელს იეთიმ გურჯის ლექსებით ჩანერილი გრამფირფიტა გამოსცეს, შემდგომ სხვა ანალოგიურიც მიაყოლეს.

გრამფირფიტაზე იეთიმ გურჯის ლექსების ჩანერა თუ მისი პოეზიის კრებულის გამოცემის ნინააღმდეგი არა ვარ. მხოლოდ, თბილისის გრამჩამწერმა სტუდიამ თავისი მოღვაწეობა ძველი ქალაქური ლიტერატურის პროპაგანდით რომ დაიწყო, ეს კომითვის მიუღებელია. თითქოს ქართული მრავალსაუკუნოვანი პოეზიის უკეთესი ნიმუშები შემოგველოდეს. რატომ გვავიწყდება, რომ იეთიმ გურჯის პოეზიის ნიალი და მისი ლირიკის არაერთი ნიმუში ბევრით სცილდება თვით ქალაქური ფოლკლორის იდეურ თვალსაზრისს?

სამწუხაროდ, მაშინ თბილისის გრამჩამწერმა სტუდიამ თავისი მოღვაწეობა მშვიდად გააგრძელა. მე ხელთა მაქვს 1989 წელს გამოცემული გრამფირფიტა, რომელიც ეძღვნება თბილისობის დღესასწაულს და ეწოდება — „თბილისო, ჩემო თბილისო“. მასზე ჩანერილია ი. გრიშაშვილის ლექსები, კითხულობს მსახიობი გურამ საღარაძე.

როგორც კონვერტის სატიტული მონატურლობა და დასათარება მონაშობს, სტუდიას სურს მსმენელს ი. გრიშაშვილის პოეზიით ძველი თბილისი გაახსენოს.

მინდა ამ გრამფირფიტის შესახებ შედარებით ვრცლად ვისაუბრო, რადგან იგი ტიპურად ასახავს ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაუოკებელ ლტოლვას აღმოსავლური დარღვიმანდულ-ჰედონისტური მეგრძნებებისაკენ და, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ეროვნულ ფასეულობებს ამ საზომით ზომავს, ამ თვალსაზრისით შეიმცნებს და ამ ყაიდაზე გარდაქმნის ხოლმე. ამისი ნათელი მაგალითია აღნიშნული გრამფირფიტა.

გრამფირფიტაზე 23 ლექსია ჩანერილი, ესენია: „გენაცვალე“, „დააჩქარე“, „დააჩქარე“.

დაიღ, მოუსვენრობა", „მეთევზის სიმღერა“, „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, „შავგვრემანი ლაშქარის დადებები? არაა, ქვემო აღმართი“, „ნუ თვალთმაქცობ“, „რომანო“, „აპრილი თბილისში“, „მთვარის ანარეკლი“, „სამშობლოს ნანგრევებზე“, „სამშობლოსადმი“, „გენიოსების ბუდე თბილისის ბაზარზე“, „მოლა მინარეთზე“, „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“, „საახალწლო სადღეგრძელო“, „დიანას ისრები“, „სანთლების ზეივანში“, „ოღონდ მაცალეთ“, „რა ჯეპა? და შემოდგომა თბილისში“.

პირველ თორმეტ ლექსს დუდუკის პანკი მიჰყვება, თერთმეტი აკომპანიმენტის გარეშე.

იბადება კითხვა, რატომ ახლავს იმ თორმეტ ლექსს დუდუკის მულოდია ან რატომ არ ახლავს დანარჩენ თერთმეტს?

პასუხის გასაცემად უნდა გაირკვეს, იკრიშაშვილის ლირიკა საერთოდ ითხოვს და იგუებს თუ არა დუდუკის აკომპანიმენტს?

ჩვენი ძველი სალიტერატურო კრიტიკა და საზოგადოებაც მიირჩევდა, რომ იკრიშაშვილი საერთო-საზოგადოებრივ პრობლემათაგან განდგომილი, იზოლირებული, აღმოსავლური სამყაროსა და ძველი თბილისის აპოლოგეტიკი შემოქმედი იყო. ამ მოსაზრებას საფუძველს უმაგრებდა პოეტის შრომები „საიათნოცა“ და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა“. როგორც ჩანს, ეს პირობა გახდა იმის მიზეზი, რომ სტუდიამ მოინეია მედუდუკეთა ანსამბლი, გრამფირფიტის კონვერტის სატიტულო გვერდზე გამოსახა ძველი თბილისის გადმოკიდულაივნებიანი სახლები და ვინრო, ოკრო-ბოკრო ქუჩა. ცხადია, სტუდიის თანამშრომელთ თბილისობის ანარეკლი იკრიშაშვილის პოეზიაში ეგულებოდათ და დუდუკის აკომპანიმენტიც ამ გააზრებასთან არის დაკავშირებული.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის მკაცრი ვერდიქტი სათანადოდ არ არის არგუმენტირებული. მას იკრიშაშვილის პოეზია, როგორც უსაგნო, როგორც არაეპოქალური, გაიგივებული აქვს შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურასთან, რაც არანაირი თვალსაზრისია. აღმოსავლურ პოეზიას აქვს თავისი სპეციფიკა, რომელიც აღმოსავლური ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების პრინციპებს, საკუთარ იდეურსა და ესთეტიკურ კონცეფციას ეფუძნება, რომლის მიხედვით მხატვრულ სიტყვას არ ევალებოდა სოციალურ-პოლიტიკური თუ სხვა მოვლენებისა და პრობლემების ასახვა, ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ზემოაღნიშნული ესთეტიკური კონცეფციით გამოხა-

ტავდა თავის სოციალურ-პოლიტიკურ კრედოს. შემოქმედს არეონ წყნარებაში ნათლებლურ პოზიციაც უნდა ექნებოდა ამიტომ, ასეთი შედარებები და პარალელური უპირისუპირებოა. თუ იკრიშაშვილის შემოქმედება აღმოსავლური მიმართულებისად მიგვაჩნია, მაშინ კონკრეტულად უნდა იქნეს მინიშნებული, თუ რა არის ის აღმოსავლური, თორემ სატრიფალი და ეროტიკული პოეზია მსოფლიო ხალხების ლიტერატურისთვისაც არის ნიშნული. სატრიფალი თუ ეროტიკული თემატიკის თავისებურება არ გახლავთ, რომელიც განსაზღვრავდა იკრიშაშვილის შემოქმედებით ორიენტაციას. ასეთ პოზიციასზე თუ ვიდგებით, მე უფრო მეტის თქმა შემიძლია, თუმცა მართალი არ ვიქნები. მაგალითად, იკრიშაშვილს აქვს ასეთი სტრიქონები:

„ვარდი გულმკერდ გაღვილი თვალთუთნა ნამს იხუტებს“.

საუცხოო პოეტური მიგნებაა.

გარეგნულ პოეტურ ანალოგიებს თუ რაიმე მნიშვნელობას მივანიჭებთ (პოეტის ლირიკას ზოგერთი მკვლევარი უპირატესად ამ თვალთახედვით განიხილავს), იკრიშაშვილი სპარსულ-თურქული პოეზიის ტიპურ ეპიგონად მოგვეჩვენება. მოვიყვან XVI საუკუნის შესანიშნავი თურქი პოეტი-ლირიკოსის მაჰმუდ ბაკის ლექსის ერთი სტროფის სიტყვასიტყვით თარგმანს:

**ვაზაფხული დაფა, მოდი, ვარდნას
მეამუროთ,
გაემზიარულდეო, გაშლილ ვარდად
გარდავიტყუო,
ხელიდან არ გაეუშვათ ღალით ხაზე ვახა,
დავთერეთ და კოკორეთ საყულო
შემოვებით...**

„საყულომემოხუელი კოკორი“ სრული ანალოგიაა „გულვადაღვილი ვარდისა“.

ბაკი XVI საუკუნის თურქი, იკრიშაშვილი კი—XX საუკუნის ქართველი პოეტია, სად არის მათი შემოქმედებითი თავმესაყარი?

პირდაპირი კავშირის ძიება აბსურდია. იქნებ, ძველი თბილისისა და აღმოსავლური სამყაროს ურთიერთობაში მონახონ იკრიშაშვილის ლექსის ფვრიტა?

როცა იპოვნ, მაშინ ისაუბრონ იკრიშაშვილის შემოქმედების აღმოსავლურ ორიენტაციაზე!

მანამდე კი ლიტერატურის ტიპოლოგიური მეთოდით უნდა ვიხელომძვანელოთ. ხოლო ზემოხსენებული მიდგომა, გარდა იმისა, რომ პრიმიტიულია, არც პოეტის შემოქმედებისათვის, არც ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიისა და არც ქართული მხატვრული აზროვნებისთვის არის სასიკეთო. გრამატიკურ სტუდიას უფლება არა ჰქონდა

საკუთარი შეხედულებით გადაეჭრა საკითხი, რომელიც ეროვნული მხატვრული სიტყვის ღირსებას უკავშირდება.

აი, რატომ ახლავს გრამფირფიტაზე ჩანერილ ლექსებს დუდუკის პანგი.

აუცილებელი არ არის იგრიშაშვილის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა იმის შესაცნობად, რომ იგი აღმოსავლური პოეზიის მხატვრულ-ესთეტიკურ სტიქიაზე ორიენტირებული პოეტი არ იყო. მოუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედების დერია ძველი თბილისი იყო, მან, როგორც პირველებამ, შემოქმედმა, საფუძვლიანი გარდასახვა მოახერხა და ქართულ მხატვრულ აზროვნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დარჩა როგორც ლექსის ნოვატორი, მეცნიერი, მემანქანა პუბლიცისტი, ლიტერატურული ნარკვევის ავტორი, რედაქტორი, თეატრალი, ღრმად ერუდირებული ბიბლიოგრაფი.

იგრიშაშვილის შემოქმედებით პორტრეტს მხოლოდ ენ. მაშროყული ციკლით „საიათნოეთი“ და ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქსის“ ავტორის ზერეულ შთაბეჭდილებით ქმნიან. ის კი აეინყდებათ, რომ ხარფუხში დაბადებულმა და გაზრდილმა, გაიარა განახლებული ქართული თეატრის, ამ ეროვნული ინტელექტუალური ტაძრის „უნივერსიტეტის“ სრული კურსი. სრულიად ახალგაზრდა 1908-1913 წლებში მოკარნახედ მუშაობდა თეატრში და ჩამოყალიბდა ქართული თეატრის კორიფეთა – ვალერიან გუნიას, ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნიას, კოტე მესხის, კოტე ყიფიანისა და ქართული სცენის სხვა მოღვაწეთა გვერდითა და ხელმძღვანელობით.

აეინყდებათ, რომ იგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და, რომ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას ამ უმაღლეს ინტელექტუალურ ფორუმზე სამუშაოდ „პარამკაჯანის“ ავტორი კი არ ჰყავდა მონკეული, არამედ სრულიად სხვა განზომილების პიროვნება და შემოქმედი.

აეინყდებათ, რომ იმ უზარმაზარი ბიბლიოთეკის პატრონი, რომელსაც თელი სიცოცხლის მანძილზე ფუტკლის შრომით აგროვებდა, ხოლო შემდგომ მამულიშვილურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უანდერძა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ყარაიხების, ზურნა-დუდუკის, ამპაშანა-ორთაქალისა თუ შეითანბარის მელექსე.

იგრიშაშვილის პოეზიის მოქალაქეობრივი პათოსი, მის შემოქმედებაში შემოჭრილი რუსული თუ ევროპული ლიტერატურული ნაკადი, თემატიკა, პოეტური ფორმები, პოეტური მანერა, სტილი, შეუძლებელია მოვითავსოთ აღმოს-

ავლურისა თუ ძველი თბილისის მხატვრული სიტყვის ლოკალიზ.

აი, რატომ არ უნდადადგინდეს მისი დუდუკის პანგი!

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ ახლავს იმ თორმეტ ლექსს დუდუკის მელიოდა, ან რატომ არ ახლავს დანარჩენ თეთრმეტს!

იმ თორმეტი ლექსიდან ერთი ძველი თბილისის გახსენებაა, ერთი ყარაიხების მეთევზის მონოლოგი, რაც, შესაძლოა მოითხოვს კიდევ დუდუკის პანგს. „შავგერმანი ლამე“ სევდიანი განწყობილებით გამოირჩევა, დანარჩენი ცხრა – სატრფიალოა.

თეთრმეტი ლექსი პატრიოტულ-მოქალაქეობრივი ხასიათისაა და სტუდიელთა თვალსაზრისით დუდუკის სევდიან პანგს არ საჭიროებს.

განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის ის არის, რომ პირველი ან სევდიანია ან სატრფიალო, მეორე – არც ერთი, არც მეორე! მაშასადამე, სევდიან განწყობილებასა და ტრფიას სევდიანი საკრავი დუდუკი ესაჭიროება.

აქ მცირე განმარტება არის საჭირო. რატომ ვამბობ, რომ სატრფიალო ლექსს აკომპანიმენტად სევდიანი მუსიკა ესაჭიროება?

უნდა ვაღიარო, ამ შემთხვევაში სტუდიელთა საქციელი მათი აზირება არ გახლავთ. აღმოსავლურ სატრფიალო ღირიკაში სიყვარულის გრძობა გათანაბრებულია მწუხარებასა და სევდასთან. ამგვარი სატრფიალო ღირიკა ჩამოყალიბდა არაბთა შორის, უზრიტთა ტომში. მათი თვალსაზრისით, თუმცა სიყვარულის გრძობა არის ტანჯვის, ტკივილის, მწუხარებისა და სევდის ნაყოფი, მაინც სანატრული და სასურველია, ადამიანი მაინც მისკნ მიიღტვის. ასეთი შეხედულება მათ პოეზიაში გადაიტანეს და შეიმუშავეს განსაკუთრებული ურიტორიულ-კოდეფულ-ება მეტრულა და სატრფიას შორის, რომელიც გარკვეულ ვასალურ, სუბორდინაციულ პრინციპებს ასახავდა. ამ ღირიკამ თანდათანობით პლატონური სიყვარულის ფორმა მიიღო და უზრიტული პოეზიის სახელწოდებით ფართოდ გავრცელდა მაშადაიანურ სამყაროში. მაშასადამე, უზრიტული პოეზიის მიხედვით ტრფიალი გათანაბრებულია სევდასთან, ტანჯვასთან, მწუხარებასთან, ცრემლთან...

ამ სქემაზე აგებულმა სატრფიალო ღირიკამ ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო ძველი თბილისის პოეზიაშიც გაჟონა და აღმოსავლური კულტურის მოყვარულთა შორის აღიარება მოიპოვა. გაეიხსნოთ სიონის ტაძრის სიახლოვეს მდგარი იეთიმ გურჯის ძველი. ყველას უნახავს ქვაში გამო-



კვეთილი გვემული სახე პოეტისა. რა აძლევდა ძველის ავტორს იმის საფუძველს, რომ ქალაქური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნარკომადგენელი, სუფრასა და ყარაჩოხელთა ქეიფებს გადაყოლილი ყაცი ასეთი მისტიკური თუ მონამეობრივი სახით გამოკვეთა?

ჩემი ღრმა რწმენით, ავტორის ჩანადიერი პოეტის სატრფიალო ლირიკაზე იყო ორადგნობრივი, რომელშიც სვედის ზღვა და ცრემლის მორეცია.

ის კი საკითხავია, მართლა რეალური და გულწრფელი იყო იეთიმ გურჯის ლირიკის პათოსი?

რა თქმა უნდა, არა!

ჯერ ერთი, შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ლატერატურული მოდელი ტრფიალის რეალურ ობიექტს კი არა, არამედ ზოგადად, ქალის მხოლოდ იდეალურ-ესთეტიკურ სახეს გულისხმობდა. აქედან, თვით ლექსის პათოსიც ორეალური იყო.

მეორეც, ცნობილია, რომ იეთიმ გურჯის სატრფიალო ლექსებს შვევეთითაც წერდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ლექსების რაღაც ნაწილი გონისმიერი უფრო არის!

ასე, რომ სიყვარული არ ყოფილა ის მტანჯველი და რეალური ძალა, რომელიც ძველის ავტორმა ჩაასახლა მის აბუზულ სხეულში.

ასე, რომ ტრფიალს ადევნებული სვედინი პანგი არის ის დარდიმანდული ფორმულა, რომელიც საფუძვლიანად გამეჯდარა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ცნობიერებაში და ჯოუჭად ცდილობს ყველა ამოცანა ამ ფორმულით ამოხსნას...

ასეა ახლაც. არა აქვს მნიშვნელობა ესა თუ ის ლექსი მხატვრულად, იდეურად, მეტყველებით გამომხატველია თუ არა მუხამბაზური ან ძველი თბილისის ლიტერატურის სულისკვეთებისა.

მაგალითები:

1. „ვენაცვალე“.

ლექსს არავითარი ქალაქური კოლო არ ეტყობა, აქვს დახვეწილი მეტყველება, კამერულ-სენტიმენტალური იერი, სალონური ფერადობა. ამ ლექსს ქართველი მკითხველი უპირატესად ვაჩი სარაჯიშვილის მემკვიდრით იცნობს: მან ლექსი თურმე იტალიელი კომპოზიტორის ბონჯიოვანის რომანსს „ლამის პეპელას“ მთარგო და ასე მოედო იგი მთელ საქართველოს. მას დაღესაძ ნარმატებით ასრულებენ მაღალმხატვრული დონის საღამოებზე. ახლა კი აღნიშნული გრამფიონის ნყალობით, „საქართველოს ბუღბუღს“ კი არა, ყარაჩოხელს ან ორთაქალელ „დუშკას“ გვახსენებს.

2. „რომანსი“.

გროსამევილისეული პეტრეს ტყვეობა-ტურით გამთბარი ლექსია: *პეტრეს ტყვეობა* კალური თეორიის თვალსაზრისით კამერულ-ეოკალურ ჟანრს განეკუთვნება და არამც და არამც დუდუკის მელოდიის ამტანი არ არის.

3. „დააქქარე დააქქარე“

ლექსის ნაწყვეტს მოვიყვან და თვით მკითხველმა განსაჯოს სტუდიელთა ჩანადიერის სიმართლე:

„...ჩქარა! ჩქარა! თორემ შენს

შუბ ვეციცა-

იმ შენს დობილსგან თავს ვეღარ დავიციე —

სალერსოდ მიწვევს შენსა

ლექსთამწეობელს

და წაგართმევს ჩემს თავს და

წაგართმევს ჭკობელს...“

4. „ჩემი აღმართი“

ერთადერთი „გამართლება“ სტუდიელთა ქმედებისა ის არის, რომ ლექსში ხარფუნსა და დაკარგულ სიყვარულზეა საუბარი.

5. „აპრილი თბილისში“

გახაფხულია. არქივიდან გამოსული, ფოლიანტების კითხვით დაქანცული პოეტი უეცრად შეიგრძნობს გახაფხულის ცხოველმყოფელობას და:

ქაერში ოჭო ლივლივებს,

მთებზე — ზურზუბტი, ლალია...
აფსუს, რა კარგი დღე არის!

აფსუს რამდენი ქალია!

იქნებ ხედებით, ამ ლექსში რა არის ხელჩასაჭიდი დარდიმანდი ინტელიგენტისათვის?

ქალი! ქალი და ... დუდუკი, დუდუკი და ქალი!

მართალია, ეს ორთაქალელი გიგუას ოცნებაა, მაგრამ ...

სხვა ლექსებზე შეწერება არც ღირს.

როდესაც თხზულების დაკონკრეტებას ვაპირებთ (თუნდაც მუსიკალური პანგიით დაკონკრეტებას) მნიშვნელობა აქვს ადრესატის ვინაობას. რკუსრამევილისა და ბარეულაძის საინტერესო ნაშრომში „გროსამევილის პოეტური სამყარო“ (თბილისი, 1976 წელი) გახსნილი და მთითებულია პოეტის მუხის რამდენიმე ადრესატი — მარუსია კანდინაშვილი (ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის პაულე ფრანგიშვილის და), ქართული თეატრის მსახიობები ოლღა ლეჟავა და ნინო ჩიხლაძე, პედაგოგი სონია ჩიჯავაძე.

არა მგონია გამართლებული იყოს ამ პირებისადმი მიძღვნილ ლექსებს რომ დარდიმანდთა საყვარელი დუდუკი დასტიროდეს..

ნუთუ ძნელია იმის ამოცნობა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ადრესატი ჩვენი პოეტის



ერთი ადრეული ლექსისა და მოუხდებოდა თუ არა ამ ლექსს დუდუკის პანგი?

**პო! დუშკაჯან, შენი ხულის კირიძე,
ნუ მიწერები, მომიბრუნე პირი მე,
ვიქიფიოთ, გაუმარჯოს ახალ წელს...
იდი, დუშკა, კანე იდი, საღის ზღეს...
ვიმოკრებ, ეს ლექსი ი.გრიშაშვილის და-
ნერილია, მაგრამ მისივეა ეს ნაწყვეტიც:
...წინის რაფზე ამოხი აქეთ დახეულ წინებს.
ფანჯარამ ტანზე შეიგლიჯა წყლისფერი
ფარდა —**

**ფარდის ნატები ცად აეიდა, ცად აფარფარდა:
და მღერის სოი: „ჩვენს შუხს ვუვებთ!
ჩვენ შუხე შეგავენებს!“**

წინის რაფზე ამოხი აქეთ დახეულ წინებს!

გრამფირფიტას დართულ ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ი.გრიშაშვილის პოეზია ქართული საზოგადოების უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა. აფიშებში მისი სახელის ხსენება დარბაზებს ავსებდა. ბოლო დროს კი მკითხველს მიავიწყდა და უფრო და უფრო იზვიათად ახსენებენ გალაკტიონისა და ლეონიძის გვერდით.

ამ უსამართლო, სასტიკი განაჩენის გასაბათილებლად სტუდიას აღნიშნული გრამფირფიტის გამოცემა გადაუწყვეტია. ჩანაფიქრი სამართლიანი და კეთილშობილურია. ინტერესისა და ემოციის გასაძლიერებლად მხატვრული კითხვის შესანიშნავი ოსტატი გურამ საღარაძე და მედუდუკეთა ანსამბლი „სონიარი“ მოუწვევია.

მაგრამ ი.გრიშაშვილის პოეზიის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ განზომილებით, დარდიმანდული სამყაროს ფსოქოლოგიითა და გააზრებით ლოკალიზება, როგორც ეს გამელავნებულია გრამფირფიტაზე ჩანერილი ლექსებით, მკითხველის უკურეაქციას გამოიწვევს, გარდა საზოგადოების იმ ნაწილისა, რომლის ცნობიერებაშიც ძველი თბილისი და ი.გრიშაშვილის პოეზია წარმოინდებდა როგორც ქალაქი და პოეტური სამყარო ყარაჩოხელებისა და კინტისა, დუდუკისა და ზურნის, ბაღდადურისა და ფაეტონისა, ორთაქალისა და მოფილოსოფოსი დარდიმანდისა.

თუ ჩანაფიქრი ასეთი იყო, მაშინ მიზანი ქუმპარიტად მიღწეულია.

ეს გაუმართლებელი და უგემური ტრადიცია აღნიშნული გრამფირფიტის ჩათავებასთან ერთად რომ დასრულდებოდეს, სათქმელი არავის არ ექნებოდა, მაგ-

რამ უბედურება ის არის, რომ ამ ტრადიციას დიდი ხანია ჩაეყარა საფუძვლიანი საძირკველი, ათეულმა მტკუნამ მტკუნებზე ბოგინობს ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს გააყვება ჩვენს სულიერ ცხოვრებას, კიდევ დიდხანს გააუკლმარებებს ჩვენს ეროვნულ სახეს. ამის დამადასტურებელია ის მასალა, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი.

ჩვენი კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების მრავალ სფეროში გრძელდება კინტო-ყარაჩოხელისა და ძველი თბილისის გაუთავებელი აპოლოგია და ეგზოტიკური სტილიზაცია. დღევანდელ პირობებშიც კი ნახავთ გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების, მართალია, ბანალურ, მაგრამ საკმაო ასორტიმენტის ნიმუშებს. არც თუ შორეულ წარსულში კინტოსა და ყარაჩოხელის გამოსახულების ათასგვარი ვარიანტის ბუკლეტებსა და ღია ბარათებსაც შეხვდებოდით, რომელიც დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პერსონაჟებით ქართველ მხატვართა დაინტერესება. ისინი უკრადღებას უთმობდნენ და ახლაც უთმობენ ძველი თბილისის თემას. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. საკუთარი დედაქალაქის ისტორიის ტილოზე გადატანა შემეცნებით დატვირთვის მქონეა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ფერმწერების ფუნჯაც უპირატესად კინტო-ყარაჩოხელის ქეიფების საჩვენებლად ირჯება. ეს არასასურველია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი სურათები მასიური ტირაჟით საფოსტო ბარათებად გამოდის. ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილსა და მხატვართა შორისაც ძველი თბილისი განსაკუთრებულ ეგზოტიკურ სამყაროდ იქცა, რომელშიც უპირატესი როლი კინტო-ყარაჩოხელის პერსონას, მის მისწრაფებებს, მის დარდიმანდულ პოზას მიენიჭა და მხატვარიც თავდაუზოგავად ეწინაა ამ მოფილოსოფოსო ბეკანალს. საელუსტრაციოდ მიემართავ მესანიშნავი ფერმწერის, მინიატურისტის, გრაფიკოსის სვერიან მანიაშვილის შემოქმედებას. მხატვარს აქვს სურათების სერია „ძველი თბილისი“ რომელიც საფოსტო ბარათებად 1971 წელს 50000 ტირაჟით გამოიცა და რომელსაც ახლაც რუსულ-ქართულ-ინგლისურენოვანი ანოტაცია, ანოტაცია გვამცნობს, რომ მხატვარს მინიატურების ქართული მოტივების ერთი მთლიანი ციკლი უქონია, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ძველი თბილისის ცხოვრების ასა-



ხველ ჯანრულ სურათებს უკავიაო. პარმოდგენილ სურათში 10 სურათია, ისინი ასეა დასურათებული: „ქეიფი მტკეარზე“, „კინტო თაბხით“, „ქეიფი სარდაფში“, „ქეიფი ორთაქალის ზალეში“, „თელეთისაკენ“, „ყვენობა“, „კინტოები“, „ამბლებების ჩხები“, „სატივო“, „თეთრი ფუქანი“.

სურათების უმეტესობას კომენტარი არ უსაქროება, დასათაურება აკონ-კრეტებს. ვეელა მათგანზე კინტო-ყარაჩოხელი ფიგურირებს, მაგრამ თუ იდეა სათაურში არ ჩანს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხატვარმა თვალსაზრისი შეიცვალა. მაგალითად, „თელეთისაკენ“. თელეთობა ის რელიგიური დღესასწაული იყო, საით-კენაც ამბლებების დღეს უამრავი ხალხი მიემურებოდა, ძირითადად დაერდორშილი, ხეობარნი, გლახაკი, უშვილონი. თელეთის წმინდა გიორგის ეკლესიას მოსახლეობა სასწაულ-მოქმედად თელიდა. ჩვენი მხატვრის სურათზე კი ყარაჩოხელებია გამოსახული, მიჰყავთ ცხვარი, მიაქვთ სანოვავე, მიაქვთ არღანი... მხატვრისათვის ძველი თბილისი ამ პერსონაჟა გარეშე არ არსებობს. ასეა „სატივო ზეცე“, აქაც ყარაჩოხელები ქეიფობენ, აქაც მათი დარდიმანდული პოზა და პოზიორული ფიგურებია გამოსახული, თუმცა სატივოს არსებითი ფუნქცია სულ სხვა რამ იყო.

თითქოს ოდნავ განსხვავებული ელფერი უნდა უქონოდა სურათს „კინტო თაბხით“ (უნდა ყოფილიყო „თაბხიანი კინტო“), მაგრამ აქაც ზაზგასმულია არა სოციალური ფუნქცია, არამედ ის უჩვეულო, პოზიორული მანერა, რომლითაც გვიხასიათებენ კინტო-ყარაჩოხელს. ასე, რომ ანოტაცია – მხატვრის მთლიან ციკლში განსაკუთრებული ადგილი ძველი თბილისის ცხოვრების ამსახველ სურათებს უკავიაო, ნიშნავს – ძველი თბილისის ცხოვრება სხვა არაფერი ყოფილა, გარდა კინტო-ყარაჩოხელის ღრეობისა.

როგორც ითქვა, სერია საფოსტო ბარათებად გამოსცეს და, ალბათ, ბევრი მათგანი ტურისტთა ხელთ აღმოჩნდა. შესანიშნავი საეიზიტო ბარათები გაგვიცაია ნუთუ ძველი თბილისი მხოლოდ კინტო-ყარაჩოხელის, მხოლოდ ქეიფის, დროის სატარებელი საბუდარი იყო? გასაოცარია, რატომ აქციეს ჩვენი დედაქალაქი ამ დარდიმანდული ფენის და ღრეობის საიმბოლოდ?

მიბრძანდით ე.წ. „მშრალ ხიდთან“, „ზემელზე“ გასაყიდად გამოტანილი სურათების სანახავად და ადვილად დარწმუნდებით ზემოთქმულის ჭეშმარიტებაში.

ხელთა მქვეს მერეო აღბობი, ესეც საფოსტო ბარათებად გამოცემული, ტირაჟიც

თელში მოსახვედრია – 27000, მასაც „ძველი თბილისი“ ეწოდება და 10 სტრუქტურულ სზე კინტო-ყარაჩოხელია გამომცემული ტვარია მიხეილ ხუბაშვილი. გამოცემულია 1969 წელს.

ეს მოვლენა ტიპური ვახლავთ. იგი განსაკუთრებით გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიკვიდრდა, მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა იგრიშაშვილის „საიათნოვა“ და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქმა“. ამ პროცესს ჩვენში კლასობრივი თეორიის აღზევებამაც შეუყო ხელი. კინტო და ყარაჩოხელი, როგორც დაბალი ფენის წარმომადგენელი გამოიყენეს ბურჟუაზიულ კლასთან დასაპირისპირებად და ხელოვნებაში ფართო გზა გაუხსნეს. ადრეულ წლებში სხვა ვითარება გვქონდა. გავისხენოთ ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტის ოსკარ შმერლინგის შემოქმედება. კაცი, ძველი თბილისის მოქალაქე, უკეთ იცნობდა ქალაქს. 1963 წელს გამომცემლობა „ხელოვნება“ დაბეჭდა მისი 32 ცალი ფურადი ლა ბარათი, რომელიც გაერთანეხულია კომპლექსში – „ძველი თბილისი“. მხატვარი ასახავს ძველი ქალაქის მრავალფეროვან ცხოვრებას, მისი პერსონაჟები სხვადასხვა ფენისა და პროფესიის წარმომადგენლები არიან. საყურადღებო კი ის ვახლავთ, რომ მის მიერ დახატული კინტო თუ ყარაჩოხელი გამოსახულია არა ყალბი პოზითა და დარდიმანდული პათოსით, არამედ ჩვეულებრივი პროფესიული და სოციალური ფუნქციით. შმერლინგის თაბხიანი კინტო არსებითად განსხვავდება მთისაშვილის თაბხიანი კინტოსაგან. აქ იგი ხელზე მოვაჭრე კაცია და არა თითქმის წელში განყვეტილი, კლაკენით მიმავალი მანერული გმირი.

შმერლინგს ქეიფის სცენებიც აქვს, მაგრამ ქეიფობენ არა სტილიზებული კინტო-ყარაჩოხელები, არამედ თბილისელი მოქალაქენი. მათ სახეზე იგრძნობა ლიმბოლი, მხიარულება და არა ნირნამხდარი, ამრეზილი შეწოხიანის თაედავინყება. ოსკარ შმერლინგის ძველი თბილისის სურათები რეალური ცხოვრების ამსახველია, შეულამაზებელი და გაუყალბებელია, არც შინაგანი პოეტურობა აკლია. შმერლინგის სურათებში ძველი თბილისი ტიპური, ჭრელი ეროვნული და სოციალური შემადგენლობის ქალაქია. იგი ხატავს პიურბოლაციის გარეშე, ამავე დროს მხატვრულ მეტაფორისტიკასაც არ აკლებს. მხატვარი არ იყო გატაცებული დარდიმანდული მანერიზმითა და ყალბი პოეტური იდიომატიკით, რომლის ტრადიცია დღესაც ცოცხალია. ვისაც სურს იცოდეს, თუ

როგორი იყო ძველი თბილისი, ოსკარ შმერ-ლინგის სურათები უნდა ნახოს.

ძველი თბილისისა და, აქედან გამომდინარე, კინტო-ყარაჩხელის ფეტიმის ქალაქის გაფორმება, რეკლამა, დეკორატიული ხელოვნებაც ვერ აცდა. ურო მაგალითს გადაცნობ მკითხველს.

ჩვენი დედაქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის დროს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ანჩისხატის ეკლესიასთან ამუნდა მშვენიერი შენობა, რომელიც მასშტაბურად ჩაერთო ამ უბანში. შენობაში განთავსდა სახაჭაპურე, აქვე იყო ცნობილი მიტროფანე ლალიძის წყლებიც. თბილისელებს აქ მოჰყავდათ ხოლმე საქართველოში ჩამოსული სტუმრები. თავმოსწარნიც ჰქონდათ. შენობის შიდა ნაწილი მნახველს ხობლავდა თანამედროვე არქიტექტურისათვის დამახასიათებელი დიზაინით. მაგრამ ძველი თბილისის დარდიმანდული აღქმა იოლად ვერ იქნა გადალახული და მშვენიერი ქალის პლაფონებში ჩაამონტაჟეს ფარფარაშარვლიანი კინტოს ფიგურები? დიზაინერის თვალსაზრისით, ეს ეგზოტიკური ელემენტი ძველი თბილისის სიმბოლოს მატარებელი უნდა ყოფილიყო.

იყო კი?

ეს პრობლემა ქართულ მუსიკალურ კულტურასაც აქვს, თავისი შედეგით უფრო შიშვე, რადგანაც მუსიკა თავისი სპეციფიკით უფრო მასიური ხასიათისაა, და ამავე დროს „ქალაქური მუსიკა“ არც სათანადოდ დონეზე არის შესწავლილი. თუ ეს ხარვეზი არ გამოსწორდა, თუ ჩვენი ქალაქური ეროვნული მუსიკის მიჯნები არ შემოისაზღვრა, მაშინ კიდევ დიდხანს უნდა გვიპყრობდეს შიში, რომ რომელიმე მომღერალმა ასეთი მისამღერიც არ შემოგვთავაზოს — აი, ბალამ, ბალაამ!

●

1972 წლის 29 თებერვალი. სატელევიზიო გადაცემა ნიკო ფიროსმანაშვილზე. საილუსტრაციოდ უჩვენებენ მხატვრის ტილოებს. გადაცემას მიჰყვება დუდუკის მკვნესარე ჰანგი და კინტოების ცოცხალი სურათები...

1991 წლის 30 მარტის საღამო. ტელეგადაცემა — „ქართული ხალიჩა და გობელენი“. გვიჩვენებენ თუში მქსოველების საქმიანობას. დიქტორის საუბარს ავსებს თუშური მუსიკა და სიმღერა.

დიქტორი ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალ ხელოვანთა შემოქმედებით ნიმუშებსაც გვაცნობს, კონკრეტულად გ. ფანდარელის ნამუშევრებს, რომელსაც გობელენზე ფიროსმანის პერსონაჟები ამ-

ოუქარგავს. უეცრად განწყობილ ქა აცვლებს, თუშური სიმღერა *მეჩქინე მჭეჩქინე* სევდიანი ჰანგი ცვლის *გულირე მეს*.

1996 წლის ოქტომბრის თვე ფიროსმანის საიუბილეო დღეებია. ტელესტუდია აქტიურად მონაწილეობს ამ ზეიმში. ხოქტომბრის საღამოა. გადაცემა ფიროსმანზე. მხატვრის ბიოგრაფიაზე ნ. კობიაშვილი საუბრობს. გადაცემას ორნად დუდუკის სევდიანი ჰანგი ახლავს...

იმვე წლის 14 ოქტომბერი. ტელესტუდია „მაცნე“. სიუჟეტი — ფიროსმანის სახელმუშეების გახსნა მხატვრის სახელობის ქუჩაზე, იქ, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ ხანს ცხოვრობდა იგი. საუბარია ახლად შეკეთებულ ბინაზე, პატარა საგამოფენო დარბაზზე, მუზეუმის მუშაკთა თავდადებულ საქმიანობაზე და... კვლავ დუდუკის მწუხარე ჰანგი...

ყურადღება მიაქციეთ, სხვადასხვა თარიღი, სხვადასხვა სიუჟეტი, სხვადასხვა რეჟისორი და მუსიკალურად გაფორმების ავტორი, მაგრამ ერთი თვალსაზრისი, ერთი გააზრება, უკვე მაშინვე აქვეყნი ტენდენციური ფაქტურა — ფიროსმანი და დუდუკი!

ესეც ტარდიციადქცეული უაზრობა! შევეცდები განვმარტო თუ რატომ მიმართა ასე.

ჯერ გავიხსენოთ ერთი მარტივი და უცილო ქმშარიტება: მხატვრული სიუჟეტის გადაცემისას მუსიკის დანიშნულებაა ხაზი გაუსვას გადაცემის საგნის იდეას, მსმენელ-მყურებელს გაუადვილოს ავტორის ჩანაფიქრის აღქმა.

ამ პრინციპით თუ განვიხილავთ და, აუცილებლად ამ პრინციპით უნდა განვიხილოთ აღნიშნულ გადაცემათა რაობა, უნდა დავასკვნათ, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის იდეური თუ ესთეტიკური კონცეფცია, მხატვრის სტიქია თუ ასოციაციები შემოზღუდულია თბილისის ერთი გარკვეული ფენისა და გარკვეული მუსიკალური საკრავის — კინტო-ყარაჩხელისა და დუდუკის სამყაროთი. ეს სრულიად ნათელია. ფერწერის თანამდგირ მუსიკალური ფაქტურა გადაცემათა ავტორების მიერ გააზრებულია როგორც მხატვრის თემატურ-ესთეტიკური ლიტმოტივი, ხოლო თვით ფიროსმანი, როგორც შემოქმედი — ბოქემა. სხვანაირად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ თუშური გობელენის ჩვენებისას მუსიკალური თანხლება თუშურია, ხოლო ფიროსმანის ტილოებისას — დუდუკი და კინტო? გადაცემის ავტორთა გააზრებაც მარტივად ამოიკითხება — ფიროსმანი ძველი თბილისის მცხოვრები იყო; კინტო და



დუდუკი ძველი თბილისის წარმოსახვითი და სიმბოლური ანტიურაგია. სწორედ ამიტომ იყო, რომ ფიროსმანის ბიოგრაფიულ ტექსტსაც დუდუკის პანგი ახლდა.

გადაცემის ავტორთა ცნობიერებაში ძველი თბილისი ქალაქი-ბოქემაა, ძველი თბილისის მცხოვრები-შემოქმედი ბოქემური განწყობილებისა. ბოქემურ ფორმულაზე დაიყვანება ჩვენი დედაქალაქის ისტორია და იმავე ფორმულით სურთ ამოხსნან, განსაზღვრონ თვით ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება. სამუხაროდ მდარე, არაპროფესიონალ ავტორთა პუბლიკაციების, მხატვრული სიტყვისა და ზემოხსენებულ გადაცემათა მემკვიდრით ჩამოყალიბდა აღნიშნული მრუდე გააზრება და განწყობილება. ასეთი გადაცემები კი პროფესიონალთა შეხედულებებსა და ცოდნას უნდა ეყრდნობოდეს. მას ხომ უდიდესი შემეცნებით-აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს.

მართალია, ფიროსმანი ძველ თბილისში ცხოვრობდა, იმ წრეებში ტრიალებდა, რომლის დარღვივებული სტილი დღესაც ბევრის მეტყველებასა და ქვევას განსაზღვრავს, მაგრამ რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს, ფიროსმანი სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობდა, იგი მარტოსული იყო. ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების სერიოზულ მეტელეგარა დასკვნა ასეთია.

ნუთუ ფიროსმანი აპოლოგეტი იყო იმ სამყაროში, რომელიც დუდუკისა და კინტოს პრიმიტიულ განწყობილებებშია მოქცეული? შემოქმედის ეს ანტიკური პრინციპები რომც არ გაეთვალისწინოთ, თვით თემბაკი-კა ამორებს ქალაქურ ხალხებსა და იმპულისებს. ცნობილია, ფიროსმანი ქალაქში კი ცხოვრობდა, მაგრამ ფრანგი პრიმიტივისტის ანრი რუსოსაგან განსხვავებით ქალაქის მხატვარი არ გამხდარა. მისი ხელოვნების თემა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა იყო. შემოარჩენილია მხატვრის 200-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთა უმეტესობაზე გამოსახულია ადამიანები და ცხოველები, ხოლო ძველი თბილისის ტიპაჟი წარმოდგენილია როგორც ისტორიული ლოკალი და არა მხატვრის იდეალი. ასე განმარტავენ ფიროსმანის მხატვრულ სამყაროს მისი მკვლევარი-ხელოვნებათმცოდნეო.

ამიტომ, ასეთ გადაცემებს შემოქმედის შესაცნობად შეაქვს არა სინათლე და გარკვეულობა, არამედ დისონანსი, შეცდომაში შეყვავს მსმენელი, მყურებელი და ჯოჯბად ნერგავს დეფორმირებულ გააზრებას ჩვენი ეროვნული კულტურის საზიანოდ.

თუ ვინმეს სურს, მსმენელსა და მყურებელს ფიროსმანის შემოქმედება გააცნოს,

ჯერ თვითონ უნდა იცოდეს იგი, სხვათა შორის, ასეთი ცოდნის შეძენის მიზანშეწონილი ტელევიზიის არც იმ მუხაზეა შესაძლებელი ამგვარი გადაცემების ეიზას იძლევა.

● ზოგიერთი ხელოვანი ისე გაუტაცია კინტო-ყარაჩოხელის დარღვივებული ყოფისა და ფსიქიკის აპოლოგიას, რომ უცხო ქვეყნის ლიტერატურული მასალა საკუთარი შეხედულებებისა და მისწრაფებების გამოსახატავად გამოუყენებია, გამოუყენებია ყოველგვარი იურიდიული პასუხისმგებლობის გარეშე, დაურღვევია ისტორიულ-ლიტერატურული, მხატვრული პრინციპები და თვით საერთაშორისო სამართლით დადგენილი საავტორო უფლებებიც კი დაურღვევია. მკითხველს ერთ მემთხვევას გაეახსენებ:

1972 წელს „მუსონდის“ გამოცემლობამ გამოაქვეყნა კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის ლირიკული სიმღერების კრებული „როცა შენ ვერ გხედავ“. კრებულში 9 ნაწარმოებია, ყველა მათგანს აკურთხავდა ახალა საჭირო და აუცილებელი კომენტარი. ამ კრებულში მესულია ე.წ. „ყარაჩოხელის სიმღერა“, რომლის კომენტარიც ასეთია — „მუსიკა ცაბაძის, ტექსტი რბერნსის, ქართული თარგმანი თერისთავის“...

საკმაოდ უცნაური და გაურკვეველი ვითარებაა. მე-18 საუკუნის მოტლანდიელი პოეტი, რომლის შემოქმედებაც ორგანულად უკავშირდებოდა თავისი ერის ფოლკლორულ საწყისებს (ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მიხედვით რობერტ ბერნსი ისეთივე ხასიათის შემოქმედი მოტლანდიელი მხატვრული სიტყვისა, როგორც ვაჭა-ფშაველა ქართული ლიტერატურისათვის), აღნიშნული კრებულის მიხედვით წარმოგვიდგება „ყარაჩოხელის სიმღერის“ ტექსტის ავტორად?!

ეს კუროზია.

თურმე, მოტლანდიელი რობერტ ბერნსი სასიმღერო ლექსს წერს შავროზიან თბილისელ ბაქჯანალზე.

ამ კუროზის კუროზულ ლოგიკას მაშინ მივხვდებით, როდესაც ლექსის თარგმანს ნაეკითხავთ და სიმღერასაც მოვისმენთ. საკითხის ნათელსაყოფად იძულებული ვარ ლექსის ქართული თარგმანი მთლიანად მოვიყვანო:

ცოლი შავს და ნაშუხი შავს,

არ დაუთმობ არავის,

რქებს ვერაინ ვერ დამაგვამს,

არც დაეაგვამ არავის.



ფულს დაეხარჯავ, თუ მაქვს წემი,
არ ვუშადლი არავის,
არა მაქვს რა გასაცემი
არც სესხსა ვთხოვ არავის.

●
მე არავის ვემონებო,
არც ეპატრონობ არავის
მტერს შიშველი ხმლით დახვედები,
ქედს არ ვუზრი არავის.

●
გაეიხარებ, გავლადები,
არ ვიღარღებ არავის,
თუ არავის ეწაღლელები
არც მე ღაღღევ არავის.
*[რობერტ ბერნსი, ლირიკა,
თბილისი, 1964, გვ. 27]*

რატომ არის ეს ლექსი ყარაიზხელის სიმღერა? რით და როგორ გამოხატავს თბილისელ დარდიმანდთა ბუნებას, ცხოვრებისეულსა და მსოფლმხედველობით კრედოს? ლექსში არაფერია საამისო. როგორც ჩანს, არჩევანის იმპულსი გაბდა ლექსის სულისკვეთება, რომელიც ხასიათდება უკომპრომისობით, ვაჟაკობის, სამართლიანობის მძაფრი შეგრძნებით და რომელიც სიმღერის ავტორთა აზრით ყარაიზხელთა ზნეობრივ პოსტულატებს ეხმიანება. მაგრამ ეს პირობა მოჩვენებითია, რამდენადაც სწორედ ლექსის სულისკვეთება არანაირად არ ეხმიანება ყარაიზხელთა ფენის ცხოვრებისეულ, ზნეობრივსა თუ მსოფლმხედველობით ნორმატივებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სიმღერის ავტორები ამ პრობლემას ზედაპირულად იცნობდნენ. საქმეს ძველი თბილისის კოლორიტისა და ყარაიზხელთა არტიკულური პოზის გათვალისწინებით ინტერპრეტირებულმა სტროფმაც ვერ უშველა:

კაცი ვარ და ქუდი მხურავს,
ქედს არ ვუზრი არავის,
არავის არ ვემონებო,
არც ეპატრონობ არავის.

ვერ უშველა იმიტომ, რომ ასეთი ინტერპრეტაცია არ ასახავდა ისტორიულ რეალობას. ნამუსის ქუდის პატრონი ყარაიზხელის სოციალური სტატუსი და მდგომარეობა სულაც არ იძლეოდა იმის არც მორალურსა და არც იურიდიულ საფძველს, რათა — „არც არავის მონა ყოფილიყო და არც არავინ დაემონებინა“... ხელისანთა კორპორაციების — ამქრის შიდაორგანიზაციული სტრუქტურების ელემენტარული ცოდნაა საკმარისი, რათა დაეინახოთ ყარაიზხელთა რეალურ ცხოვრებასა და ქართულ ხელოვნებაში შექმნილ ყალბ ნარმოცვენათა შორის არსებული კონტრასტი. ყარაიზხელი

პირველყოფილია არის არც ის ვაღიჯე, მამლაყინურად მოსიარულნი, სხივრეული, ბრძენი, შეუვალი და მშ. სიამაგებება, რომელსაც ვხედავთ კინოეკრანზე, სცენაზე, ტილოზე და სხვა, არამედ არის ხელოსანი, ამქრის ნევრი იმ ორგანიზაციისა, რომელიც აგებული იყო უაღრესად სუბორდინაციულსა და დიქტონულ რეჟიმზე. ამქრის მინაგანანესის დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა და იმის გამო, რომ ამქრის „კონსტიტუცია“ არ იყო დემოკრატიული, ამქრის ნევრს, ყარაიზხელს, ხშირად უხდებოდა „ნამუსის ქუდიანი თავი“ მოეხარა და უდრტიწველად გადაეტანა უსამართლო სასჯელი. ამქრის მეთაური უსტაბაში — ის „მზრუნველი მამა“ არ ყოფილა, რომელსაც ვუყურებთ კინოფილმში „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“. ამ მოვლენების გასაცნობად ორიენტაციისტიკაში საკმარისზე მეტი ლიტერატურა არსებობდა და არსებობს, მხოლოდ ეგ არის, მას ნაკითხვა უნდა.

რობერტ ბერნსის აღნიშნული ლექსის არც ერთი სტრიქონი არ გამოხატავს ყარაიზხელთა ცხოვრებისეულ „კოდექსებს“. ყარაიზხელს არ შეეძლო ეთქვა — არა მაქვს რა გასაცემი. მის წესდებაში ეწერა — დღიური შემოსავლის გარკვეული ნაწილი არმქონეთათვის უნდა გაიღო, მენი ამქრის ნევრებზე უნდა იღარდო, მათ უნდა დაეხმაროთ და ა.შ.

ერთი ანომალიაც:

აღნიშნულ კრებულში ცხრა სიმღერაა, აქედან ე.წ. „ყარაიზხელი“ მხოლოდ ორია, და მაინც, კრებულის სუბერზე გამოხატულია აზარფემიანი ყარაიზხელის სილუეტა. ამგვარი ალოგიკური გააზრება მათი საყვარელი სამყაროს მხოლოდ იმპულსური ცოდნის ნიშანია, ხოლო შედეგი ეროვნული შემეცნების რღვევის ხელისშემწყობი პირობა.

●
1990 წლის 3 მარტი. ტელეგადაცემა. საინფორმაციო სამსახურის სპორტული რედაქცია გვამცნობს, რომ სპორტის სასახლეში რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრი ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში. ტელევიზია კადრებსაც გვიჩვენებს. ქართული ჭიდაობის თავისებურება ისიც არის, რომ მუსიკა ახლავს. მუსიკოსები ყარაიზხელთა სამოსში იყვნენ გამოწყობილნი, ეცვათ გრძელი ჩოხები, ფარფარა შარვლები, ეხურათ ე.წ. „წინაკა“ ქუდეები... როგორც ჩანს, შეჯიბრის ორგანიზატორებს ამით სურდათ შეეჯიბრა-სათვის მეტი კოლორიტი და ლაზათი მიეცათ. მაგრამ ქართულ ჭიდაობას რა ავა-



ემირებს ამქრულ სამყაროსთან? ქართული ჭიდაობა არ ჩასახულა ერთ რომელიმე ლოკალურ-საზოგადოებრივ გარემოში. ქართული ჭიდაობის მშობელი ერთიანი საქართველოა, მას ისეთივე ეროვნული სული უდგას, როგორც ცეკვა „ქართულის“, „მრავალფაიერს“, „ნანას“.

სამწუხაროა, რომ აღნიშნული შეჯიბრის ორგანიზატორთა შორის არ აღმოჩნდა კაცი, რომელსაც ეს ელემენტარული ქემ-მარიტება ეცოდინებოდა. უფრო სამწუხაროა ის, რომ ასეთი კაცი არც „მოამბის“ რედაქციაში ყოფილა...

მასალა, რომელსაც მკითხველი ეცნობა, დროდადრო იკრიბებოდა. მაინც დაგროვდა. ამკარად შეიძინევა ზერელე დამოკიდებულება ეროვნული თვითმყოფადობის მიმართ. რა ხდება, ნუთუ ყოველ ჩვენთაგანს თავისი განათლების დონის მიხედვით უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ მოექცეს საუკუნეთა მანძილზე ფიქრით, განსჯით, ტკივილით შექმნილსა და დღემდე მოტანილ ეროვნულ ყოფას, ცნობიერებას, აზროვნებას? რატომ გვავიწყდება, რომ არასწორად ინტერპრტირებული ისტორიული ქემმარიტების საჯაროდ გამოტანა თავისი შეშეცნებითი ძალისხმევის გამო მომავალი თაობის ინტელექტუალურ დეფორმაციას გამოიწვევს.

ძალიან მინდა, ეს ნათქვამი მკითხველს პატრიოტულ პათეტიკად არ მოეჩვენოს. იმედი მაქვს, საილუსტრაციო მასალა ამის საშუალებას არ იძლევა.

1993 წლის 8 აპრილი და 11 მაისი. ტელეგადაცემა ქართულ ოქრომჭედლობასა და ქედლოვობაზე. საუბარია ჩვენი ეროვნული მემკვიდრების ამ შეტედა ფაქიზსა და საინტერესო სახეობის გენეზისსა და განვითარებაზე, მის ესთეტიკურსა და ტექნიკურ პრობლემებზე. ასეთი გადაცემა ძალზე საჭიროა. მოსახლეობას საშუალება აქვს გაცნოს ხელოვნების ამ დარგის ზანგარდლივ ისტორიას. ეკრანზე საკულტო ნივთებს უჩვენებენ. დიქტორის ტექსტში ახსნილია ყოველი მათგანის დანიშნულება, მნიშვნელობა. შემდეგ ეკრანზე საყოფაცხოვრებო ნივთებიც გამოისახა – კულა, თასი, ფილა და როგორც კი შეიცვალა თემატიკა, როგორც კი საილუსტრაციო მასალად სასისხები აჩვენეს, დიქტორის საუბარს დუდეუკის შელოდია აუდვენა?

ამოვიცნოთ გადაცემის რეჟისორისა და კომპოზიტორის (თუ მუსიკალურად გამფორმებელის) ქვეცნობიერი იმპულსისა თუ ნინანანარ ჩამოყალიბებული თვალთახედვის

საფუძველზე გამოკვეთილი განწყობილება – სასმისი – დუდეუკი!

ეს ვიზუალურად, მაგნიტურად, მხარს მჭობ შორის არის შესამეც, იგლისხმება სასმელი, ღვინო. მაშასადამე გვექნება ფორმულა – ღვინო-სასმისი-დუდეუკი. გადაცემის ავტორებს ხელოვნების ღვთიური სამყაროდან სრულიად კონკრეტულ, სრულიად გაუმართლებელ, თუმცა მათთვის უფრო ახლომელსა და შეცნობად ქეიფისა და დროის ტარების სამყაროში გადავყავართ.

შუძლებელია არ ნამოიქრას კითხვა – რატომ ინვესტს სასმისი და სასმელი მაინც-დამაინც დუდეუკის ასოციაციას და მაინც-დამაინც სვედიანი ჰანგის ასოციაციას?

ამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ საჭირო იყო მუსიკალური თანხლება, მამ, ეროვნული მუსიკა რატომ არ გამოიყენეს? მას რალაც ახირებულე პატრიოტული ფინის გამოსახატავად კი არ ვამბობ, არამედ იმის გამო, რომ დუდეუკის მუსიკალური მეტყველება უძველეს ქართულ საოქრომჭედლოსა და ქედური ხელოვნების ქემმარიტ სულისკვეთებას ვერ შეენწყობა. მისთვის იმავე ეროვნული სამყაროდან ამოზრდილი მრავალხმიანი სიმღერის სტიქია ფსიქოლოგიურადაც ახლომელი და ორგანული იქნებოდა, ამავე დროს მსმენელ-მყურებელსაც გაუადვილებდა საკითხში ნედომას. გადაცემის ავტორებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ. მათ კი ფილამ და ჯამ-მა რომმანტიკული იერის, დარდმანდული ფილოსოფიისა და ამ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ყარაჩოხელი და მისი განუწყრელი დუდეუკი გაახსენა. ამ ასოციაციამ და განუსჯელმა თვითნებობამ გადაცემას ქემმარიტი ღირებულება დაუკარგა და გაუბრალოებულ, შეითანბარულ მონოლოგად აქცია.

ეს ერთეული შემთხვევა არ გახლავთ. განა კურიოზი არ არის ის საოცარი ტრადიცია, რომ ჩვენი ტელევიზია დროდადრო ახალ წელს კინტოს ან ყარაჩოხელის გაქიანურებულ-გაუცხოებულ მეტყველებით გვილოცავს ხოლმე? თითქოს ღვინით დალოცვა თუ მილოცვა დღევანდელი საზოგადოების რომელიმე წევრს არ შეეძლოს. რატომ მოექცა ეს თბილი და ტკბილი ტრადიცია ძველი თბილისის დარდიმანდულ ოაზისში? ქართული კაცი უძველესი დროიდან ვახს კულტურასთან არის დაკავშირებული, სუფრის კულტურაც უძველესი დროიდან აქვს ჩამოყალიბებული. მაშინ სუფრას დუდეუკი კი არ დასტიროდა, არამედ ამშვენებდა „კარვლო“, „მო, ღვინო ვახხით“, „სასმინდელსა მხიარულსა“ და ა.შ.

თუ მასმისი სუფრისა და დროსტარების ასოციაციას აღძრავს, რომელსაც მუსი-

კალური მასატიც უნდა ახლდეს, მაშინ რატომ, რა უფლებით, არღვევენ ისტორიულ რეალობას? განა ღვინის სმის რიტუალი და ღვინის მხოლოდ აღმოსავლეთისა, თუნდაც ძველი თბილისის პრეროგატივა იყო? როდემდე შეიძლება ამ ვინრისა და ცრუ წრეში ტრიალი?

ჩვენი დედაქალაქის წარსული ცხოვრების ნოსტალგია ერთობ ძალუმად სუფევს ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. მაგრამ, ვიდრე გრძნობას საზოგადოების წინაშე გამოამყვანებდნენ, ისიც ზომ უნდა იცოდეს კაცმა თუ რამდენად ღირებული, რამდენად მისაღებია იგი? ამ ნოსტალგიური განწყობილების აგტიაციას კი ხშირად ეწევიან კიდევ. მზედველობაში მაქვს საქართველოს რადიოსა და ტელეგადაცემათა პროგრამები, რომელთა შორის გამოეყოფი რადიოს ახალგაზრდული რედაქციის გადაცემას „დედაქალაქი“. ამ გადაცემის ზოგი მასალა მომისმენია. ზოგიერთ მათგანი შესანიშნავია, ზოგი – ტრადიციული ლაფსუბის შემცველი. მინდაქოთხელს ზოგიერთი მათგანი შევასხნო.

რედაქცია სამართლიანად არის შემფოთებული თბილისისა და თბილისელების დღევანდელი მდგომარეობით. მას სურს თავისი შესაძლებლობა და უფლება გამოიყენოს, ზნეობრივი პოსტულატებით შეენიოს დედაქალაქს. რამდენადაც სანიშნოდ მიაჩნია წარსული წლები, ცხოვრების წესები, მორალური კატეგორიები, იმდენად ცდილობს დღევანდელი თაობის ჩვეულებში აღადგინოს თბილისელთა ტრადიციები, ამიტომ რედაქციაში ინვესტს ვასილ საუკუნის 50-60-იანი წლების ტიპურ თბილისელებს, მათთან დიალოგის ხერხით სურს ინტერესი გაუღვიძოს რადიომსმენელს.

როდესაც ტრადიციებზეა საუბარი, ეს ნიშნავს ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების მოფრთხილებას. ტრადიცია ზომ ისტორიულად ჩამოყალიბებული, მერე თაობიდან თაობაზე გადაცემული ზნე-ჩვეულებებია, ადამ-წესებია, ქცევის ნორმებია, რომელიც გარკვეული ვამძლეობით კი ხასიათდება, მაგრამ დროთა განმავლობაში მაინც იცვლება, იწმინდება, კრიტიკდება, ნაწილი კარგავს თავის ღირებულებას, დრომოქმული, საზოგადოებრივი განვითარების მუხრუჭად იქცევა. ერს ყოველთვის ესაჭიროება თავის წარსულთან, თავის ისტორიასთან მჭიდრო კავშირი. თუ ის განყდა, დგება ერის კვდომის პროცესიც. ერი ყოველთვის ცდილობს თავისი ტრადიციები წმიდად შემოინახოს,

თუ ისტორიული უბედურების გამო მივიწყებული აქვს, ცდილობს შეინახოს დაწერტილ სისხლქარღვევში უკანასკნელი სისხლი შეუმეას და ორგანიზმი გამოაცოცხლოს. მაგრამ ეს პროცესი ერთიანი ეროვნული ინტელექტისა და ენერჯისი წყობით უნდა მიმდინარეობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნულ ცნობიერებას გაუთვალისწინებელი ტკივილი მიადგება.

მკითხველს ამდენი საუბრით იმიტომ მოვებურე თავი, რომ ნათლად ვაჩვენო აღნიშნული რედაქციის ზოგიერთი გადაცემა რამდენად უსუსური და საზიანოა.

დავინუთ ამ გადაცემის ენ. „ქუდიო“, იმ მუსიკალური პრელუდით, რომელიც წინ უძღვის. ეს დუდუკის მელიოდა გახლავთ. უკვე იჩინა თავი რედაქციის ორიენტაციაში – მას დუდუკის მელიოდა ჩვენი დედაქალაქის ერთგვარი სიმბოლოდ აღუქვამს. უკვე ნათელია, რომელი ტრადიციის აღდგენა განუზრახავს.

1994 წლის 18 სექტემბერი, რადიოგადაცემა „დედაქალაქი“. სტუდიაში მონვეულია, თუ არ ვცდები (და თუ ვცდები ბოდიშს ვიხდი) ფირმა „აისის“ გენერალური დირექტორი (სამუხაროდ გვარის ჩანერა ვერ მოვასწარი). საუბრის თემა 50-60-იანი წლების თბილისი, მისი ყოფილი თუ სულიერი ცხოვრების მაყვაცემა, მისი ტრადიციები. საუბრის იდეა ასეთი იყო:

აღნიშნული პერიოდის თბილისი და თბილისელები შევეთრად გამოირჩეოდა დღევანდელი მოსავან. მაშინ დახვეწილი იყო მორალიც და ზნეობაც.

იმ დროს ახალგაზრდობა ენ. „პირფაზე“ იკრიბებოდა. ეს ერთგვარი აკადემია იყო. აქ ყალიბდებოდა ახალგაზრდობა ზნეობრივად, მორალურად (სხვათა შორის, ეს მოსაზრება ხშირად გაისმის ხოლმე). მაგალითად, თუ უბანი უბანს ეჩხუბებოდა, უთუოდ შენი უბნის გვერდით უნდა მდგარიყავი. ეს შენი წმინდა ვალი იყო.

ჩხუბი? მერე რა! ჩხუბში დანებს კი არ ატრილებდნენ, როგორც დღეს ხდება. იჩხუბდნენ და შერიგდებოდნენ. ეს შერიგება გადაკონცინთა და პური-მარილით სრულდებოდა.

სხვათა შორის, სტუმარმა სურვილი გამოთქვა, რომ თბილისმა ძველი სახე დაიბრუნოს, მისი თაობის თბილისელი „ბიჭები“ ისევ გამოვლენ „პირფაზე“.

რედაქციის სტუმართან არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია. მან თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა, ეს მისი პირადი სუ-



რვილი და უფლებაა. სთხოვეს და მოუთხორო, შევეითებენ და უპასუხა.

მაგრამ შეუძლებელია პრეტენზია არ გავიჩინდეს რედაქციის მიმართ. ამ გადაცემამში ბევრი არასწორი და არალოგიკური პასაჟია.

ჯერ ერთი, ნუთუ სერიოზულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ მაღალი ზნეობისა და მორალის ჩამოყალიბება ქუჩას შეეძლო? ნუთუ შეიძლება ასეთი აბსურდის გადაცემა რადიოთი?

ქუჩა და „ბირჯა“ მაშინაც სავსე იყო ათასგვარი მოულოდნელობითა და ზიფათით. „ბირჯაზე“ არსებითად უსაქმური ახალგაზრდობა იყრიდა თავს და ათასგვარი ბოროტებაც „ბირჯიდან“ იწყებოდა.

მეორე – თურმე 50-60-იანი წლების ახალგაზრდობა ეხლანდელეობით დანებს არ ატრიალებდა?!

დანებსაც ატრიალებდა და... იმ პერიოდში გავრცელებული იყო უზიფათო სამართლებლით ე.წ. „ბრიტვით“ საზის დასერვა, ხოლო ველოსიპედის ნამახულ მანას (თაშია) მუცელში უყრიდნენ... რამდენი დაიღუპა ამ „მაღალზნეობრივი“ საქციელით.

დანებს, „ბრიტვებსა“ და „სპიცებს“ არ ატრიალებდა ის ახალგაზრდობა, რომელიც ბირჯისკენ არ გარბოდა, უმაღლეს სასწავლებელში, ბიბლიოთეკებში, კინო-თეატრებში მიემუხრებოდა, საამქროებში, მიწოდორზე თუ საკუთარ ოჯახში იხვეწებოდა ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობით.

მესამე – ჩხუბში შენ უბანთან უნდა ყოფილიყავით! ხომ ისმის ამ სენტეციაში რალაც ყარაჩოხლურ-დარდიმანდული, რაღაც მორეული ექო აქველი თბილისის ლიტერატურული ბოქმისა?

ორ მოწუხებარს შორის არსებითად ერთი მტყუანია.

მერე და, შენ, თბილისელო, ცაკო სინდის-ნამუსიანო, მართლისმოყვარულო, „ბირჯის“ აკადემიაში გაზრდილო, ვიდრე ვინმე შემეველებოდე, ვიდრე ვინმეზე ხელს აღმართავდე, ხომ უნდა იცოდე, ვინ მართალია და ვინ მტყუანი? თუკი შენი უბანი ან უბნელი ტყუის, მაშინ შენ მტყუანსა და დამნაშავეს იცავ, მართალსა და უდანაშაულოს ებრძვი. სად დაიკარგა შენი თბილისელობა?

ამ გადაცემას რედაქციის კომენტარი არ ახლდა. მაშასადამე, რედაქცია იზიარებდა გადაცემის სულისკვეთებას, მაშასადამე, რედაქცია მომხრეა დღევანდელი ახალგაზრდობა ამ ღირებულებებზე აღზარდოს?

● 1996 წლის 12 მაისი. გადაცემა „დედაქალაქი“. მხოლოდ ერთი წინადადების ჩანწერა

მოვახერხე. მინვეული სტუმრისაგან, დღეს თბილისელობა მხოლოდ მსწავლეს ბეჭედს ნიშნავს. არა და, უბრალოდ მსწავლეს ბეჭედს ნიშნავს. არა და, უბრალოდ მსწავლეს ბეჭედს ნიშნავს. არა და, უბრალოდ მსწავლეს ბეჭედს ნიშნავს. არა და, უბრალოდ მსწავლეს ბეჭედს ნიშნავს.

?...

● სამწუხაროდ, ანალოგიური მასალა უხვია.

ერთ პატარა ნაწყვეტს გავაცნობ მკითხველს.

1997 წლის 21 ივნისი. გადაცემა „პირისპირ“. საუბარია თბილისელთა შესანიშნავ ტრადიციებზე. უნინ გოგოს უცხო უბნელი ბიჭი შინ ვერ მიაცილებდა. უბნელები სცემდნენ: ისინი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ უბნელი ქალის პატროსებას.

არც ამ გადაცემას უკონდა რედაქციის კომენტარი.

მაგრამ, ამ ტრადიციის კეთილ ტრადიციად გამოცხადება დასაშვებია?

ბიჭი თუ გოგოს შინ მიაცილებდა, მამ, გოგოს სურვილი ყოფილა! რას ერჩოდნენ სანყალ ბიჭს?

იმ გოგოსა და ბიჭს სხვა უბანში რომ ესერიანთ, ვინ გააკონტროლებდა, ვინ დაიცავდა ქალის ღირსებასა და პატროსებას?

აი, ასეთი ტრადიციების მოსურნეთა, ასეთი ტრადიციების ქება ისმის ჩვენი რადიოკომიტეტიდან...

● 1985 წლის 11 ნოემბრის გაზეთ „თბილისში“ ასეთი ინფორმაცია დაუბეჭდათ:

„ამუღების პოეზიის საღამო შემოდგომის ამ საღამოს ძველი თბილისის მყუდრო სახლი დუღუკების მელიძეებით იავსო. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა ამუღების – ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მთავარგონებელი მეგობრებისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. და, რა თქმა უნდა, საღამოს მთავარი გამირი იყო დუღუკი, ქუმშარიტად კავკასიური მუსიკალური საკრავი, ამუღების ერთგული მეგობარი და თანამგზავნი. საიათნოვას, იეთიმ გურჯელის ლექსებს კითხულობდნენ საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი, საქართველოს სახალხო არტისტი ვლენე ყიფშიძე. მათი წარმატება სამართლიანად გაიზიარა მეუღლეკეთა ტრიომ რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის გ.ქსოვრელის ხელმძღვანელობით.

ტრიოს თანხლებით ამუღური პოეზიის მარგალიტები მსმენელებს გააცნო რესპუ-

ბრის თანხლებით ამუღური პოეზიის მარგალიტები მსმენელებს გააცნო რესპუ-



ბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, მომღერალმა ცინუკი დადიანმა. ამ ღირსს-აბსოლუტ კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე მეტყვის ახალგაზრდული თეატრის მსახიობები.

ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ნათელია — ერთმანეთს ემთხვევა მისი ავტორის, საღამოს ინიციატორებისა და მასში მონაწილეთა თვალსაზრისი: ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასა და ამჟღად ხელოვნებას შორის არსებობს შინაგანი კავშირი, რაღაც სულიერი ურთიერთობა! წინააღმდეგ შემთხვევაში ან საღამოს გამართვის იდეა არ წარმოიშობოდა, ან შემოსხენებულნი მონაწილეობას არ მიიღებდნენ, ან ეს ინფორმაცია არ დაინერგებოდა ასეთი პათეტიკური ტონითა და ყალბი პათოსით...

ჩვენი საუბრის თემაზე არსებულ იმ უამრავ მასალას შორის, რომელიც ხელთა მაცეს, ეს ინფორმაცია და ჩატარებული საღამო ერთ-ერთ ყველაზე სამწუხარო, ყველაზე ანომალურ, ყველაზე გაუგებარსა და იწვევს ყველაზე სამარცხვინო ფაქტადაც კი მიმაჩნია. საქმე მარტო ის კი არ გახლავთ, რომ ამ ინფორმაციაში იმდენი უზუსტობაა, რამდენი წინააღმდეგაა, არამედ ის, რომ დღეს ჩვენი საუკუნის მიწურულს, ჩვენი ეროვნული კულტურის დონის, ჩვენი ეროვნული მეცნიერული დონის მუხებდავად, გაუცნობიერებულია მშობლიური ლიტერატურის ისეთი ელემენტარული პრობლემებიც კი, რომლებსაც სამუალო სკოლაში ასწავლიან.

შეიძლება თვალის დახეხვათ: იმაზე, რომ ჩვენში სრულიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამოღებისა და ამოღებულ კულტურაზე, რომ მათ შემოქმედებით თემატიკას არაერთი საერთო არაა ჰქონია ამიერკავკასიის ხალხთა ძმობა-მეგობრობის ხოტბასთან, რომ დედუკი მხოლოდ ამიერკავკასიის სამხუთკო საკრავი არასოდეს ყოფილა, რომ იეთიმ გურჯიცი ამოღად არ შეიძლება მივიჩნიოთ და ა.შ., მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის „დაძმობილება“ ამოღებთან, მისი კავშირი აღმოსავლურ კულტურასთან სხვა არა არის რა, თუ არა აბსოლუტური პრივილეგიუზი და გაუგებრობა. ნუთუ დღეს ამის შეხსენება ვინმეს უნდა სჭირდებოდეს?

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იყო ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, ვინც აღმოსავლური სკეპსისა და გრძნობათა ფეტიქისაგან საბოლოოდ გაათავისუფლა ქართული ინტელექტუალური აზროვნება და გონის, მოქმედების, ეროვნულობის მყარ ნიადაგზე დაამყარდა, რითაც ნერტილი დაუსევა ჩვენი ეროვნული სწრაფვის მრავალსაუკუნოვანი ისტორიას. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემო-

ქმედებითი პრინციპი, ახალგაზრდა ეპოქის, ევროპული ხასიათის შემოქმედებითი პრინციპი, ე.წ. „დაპირსაქმებელნი“ პრინციპი დამეტრალურად განსხვავდება შუა საუკუნეების აღმოსავლურ-აშულური სინკრეტული ხელოვნების „იგივობის ესთეტიკის“ პრინციპისაგან, მისი დაშტამპული ნორმატიული არსისაგან. ეს „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“ (ილია ჭავჭავაძე), რომელმაც „კრადიციული ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა აზიურ-აღმოსავლური დამაჩანაკებისა და მსუბუქი ლილინის ტონისაგან“ (მოსე გოგებერიძე), თავისი უზარმაზარი პოეტური ქვერგობისა და ინტელექტის მემკვიდრით ქართულ აზროვნებასა და მხატვრულ სიტყვაში სრულიად ახალ ეპოქას ინყებს. ქართულ ფილოლოგიურსა და ლიტერატურათმცოდნეობით დისციპლინებში ამ პრობლემის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს და ამის შეხსენებაც კი უხერხულოებას მიქმნის. არა და, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ყოველივე ეს მშვიდად განისყენებს ბიბლიოთეკის თაროებზე, ხოლო ეს გაუკუღმართებული და პრიმიტიული აზროვნება უკონტროლოდ წარმართავს თავის საქმეს. საოცარია, იმ კაცის სახლ-მუხუხუში, სადაც შეიქმნა „მერანი“ და „სამოლალონი“, აფიქრნი მტკვრის პირას“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“ „აშულური პოეზიის მარგალიტებს“ მსმენელებს აცნობენ რესპუბლიკის სახალხო თუ დამსახურებული არტისტები..

ერთი გასათვალისწინებელი დეტალი: არსებობს მედუდუკეთა ანსამბლი „არმაზი“, არსებობს შემოქმედებითი გაერთიანება „მამული“. ტელევიზორში მინახავს „მამულის“ მიერ ყარაჩოხელთა ყოფილი ამსახველი საოცრად პრიმიტიული და ყალბი ქორეოგრაფიული კომპოზიცია.

საინტერესოა, ვინ არიან მათი ნათლიები?

მაგალითად, არმაზი ჩვენს ცნობიერებაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სანწყისად, ქრისტიანობის ჩასახვის უნდინდეს სიმბოლოდ აღიქმება. ამ საპეტქო მედუდუკეთა ანსამბლს რა ფუნქცია აქვს?

1996 წლის 31 ოქტომბერი, საღამოს 9 საათი და 50 წუთი. ტელეგადაცემა — „ელვარება ქართული სულისა“.

რთობის სათაურია, არა? გადაცემას ინყებს მედუდუკეთა ანსამბლი, შემდეგ ყარაჩოხელთა ცეკვა, შემდეგ



„ჯეირანი“ და ა.შ., ყოველივე ამას „დამწერის“ მქლოდია ცვლის და ასე „ელვარებს“ ქართული სული..

ხოში არ დადგა იმის დრო, რომ ყველას არ მიეცეს საშუალება ისე იპარპაშოს ჩვენი ეროვნული კულტურის სარბიელზე, როგორც მოესურვება?

ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად, მაგრამ მაინც იყო კამათი ზურნა-დედუკის, კინტო-ყარაჩოხელის (როგორც სოციალ-კულტურული ობიექტის) რაობის, გენეზისის, ხელოვნებაში მათი ასახვა-არასახვის თაობაზე. ზოგჯერ ეს კამათი პრესის ფურცლებზეც გამოკრთებოდა ხოლმე. მაგრამ კამათი ემოციების სფეროს არსცილდებოდა, არგუმენტები კი არ ჩანდა. მოკამათენი არსებითად იგრიშაშვილის შეხედულებებს ეყრდნობოდნენ, თუმცა ამ შეხედულებათა საფუძველი ძველი თბილისის ცოდნას არ სცილდებოდა, რაც არ იძლეოდა საშუალებას პრობლემა დამადგინოთ გვანალიზებულყო, პრობლემა, რომელიც ჩვენი ცხოვრების სოციალურსა თუ სულიერ სფეროს მოიცავდა. ნარუმბატელობის მიზეზად არასაკმარისი ინფორმაცია შეიძლება დასახელებულიყო. ძალიან ცოტა რამ ვიცით როგორც სამუსიკო საკრავების შესახებ, ისე აღნიშნული ტიპების გენეზისზე. მართალია, იგრიშაშვილმა მდიდარი მასალა დაგვიტოვა, მაგრამ არსებითად იგი მხოლოდ მასალაა, რომელიც კვლევას საჭიროებს.

ჩემი მიზანი საკმაოდ მოკრძალებულია, მინდა ვისაუბრო აღნიშნულ პრობლემაზე, მაგრამ ნინასნარ ვაცხადებ, არავითარი პრეტენზია არა მაქვს იმისა, რომ იგი სრულყოფილი იქნება. უბრალოდ, როგორც პროფესიით ორიენტალისტს რამდენადმე ხელი მიმიწეება სათანადო სპეციალურ ლიტერატურაზე, რაც დამეხმარება კიდევ. ამ პრობლემის კვლევა მაინც მომავლის საქმე გახლავთ. ჩვენი ისტორიის ხანგრძლივმა და დაუნდობელმა კატაკლიზმებმა ჩვენივე ცხოვრების ნარსულის რუკაზე იმდენი თეთრი ლაქა დაგვიტოვა, რომ აღმოსავლეთის რეგიონის დღევანდელი ცოდნის დონე საკმარისი არ არის იმ თეთრი ლაქების ამოსაფხანად. ამ პროცესში უნდა ჩაერთონ პროფესიონალი მუსიკათმცოდნენი, ჟორეოგრაფები, მხატვრები, თეატრმცოდნენი, ეთნოგრაფები, ისინი ვისაც ეცოდინება არა მხოლოდ აღნიშნული დისციპლინები აღმოსავლეთისა, არამედ მხატვრული სიტყვა, რელიგია, სოციალური დისციპლინებიც... აღნიშნულები ან ასეთი სპეციალისტები, ამის იმედს იძლევა

ახალი თაობის საოცრად გაჭრდილი ინტერესები, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, მსოფლიო ცივილიზაციის მრავალფეროვნება ენობრივი პრობლემის მომავალი თაობა გადასწავტს, იბულებული იქნება გადარყვეტრის! ეროვნული სახელმწიფოს შენება ეროვნული ტრადიციების აღდგენასაც გულისხმობს, მსოფლიო ცივილიზაციის მარადიული კატეგორიების დანერგვას, დრომოქმულისა და უცხო სხეულის მოკვეთას მოითხოვს... მანამდე კი ჩემ ხელთ არსებული ინფორმაცია მინდა მკითხველს შეეთავაზო.

მაინც, რატომ აეიზირე აღნიშნულ პრობლემაზე საუბარი?

საქმე ის გახლავთ, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის მიმართ გარკვეული საყვედური გამოეთქვი, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად აღნიშნული რეალიები ძველი თბილისის ცხოვრების ორგანულ ნაწილად, უკვე შეთვისებულ, შესისხლბორცებულ, ან სრულიადაც აქ, საქართველომ დედაქალაქში დაბადებულად მიაჩნია. მას უფურცელს როგორც ეროვნული კულტურის შემადგენელ ნაწილს, ქვეყნის ისტორიას ამ ქრლიში განიხილავს და ახალს ამავე პრინციპითა და განწყობილებით ქმნის. საილუსტრაციო მასალა მკითხველმა უკვე იხილა (რა თქმა უნდა, არსებულის მცირე ნაწილი). ასე, რომ აღნიშნული შეხედულება მხოლოდ შეხედულებაა და არ რჩება, იგი მოქმედებს და ქართული ეროვნული შემეცნებისა და ცნობიერების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

მე მიმაჩნია, რომ ძველი თბილისის ეთნო-სოციალური ფენის ნარმომადგენლები ყარაჩოხელი და კინტო, რომელთა ეგზოტიკური ცხოვრების ნეს-ჩვეულებანი არსებითად განპირობებულია მამამადიური რელიგიის ზოგიერთი სექტის სარიტუალო კანონთ, როგორც ტიპიური უცხოა ქართული სინამდვილისათვის.

მიმაჩნია, რომ სამუსიკო საკრავები ზურნა და დედუკი ასევე აღმოსავლური საკრავებია, რომელიც გამოშხატულია იმ ქვეყნების საზოგადოების სულიერი მისწრაფებებისა. იგი უნდა გამოიყენებოდეს ყოველი კონკრეტული ეთარების შესატყვისად და იმგვარად, რომ არ გაყალბდეს აღნიშნული ტრადიციები.

ამიტომ მსურს ჩემი შექლების მიხედვით ვაწვენო მისი გენეზისი, ხასიათი, მისი მულთავსებლობათის სულიერ-ინტელექტუალურ ცხოვრებასთან. ეს არ არის ხმამაღლა ნათქვამი და ძალიან მინდა, რომ მკითხველმა დამიჯეროს.

პაქა-ფაქვლას საყვანვილო პროზა

განუსაზღვრელად დიდი ააღუდა ქეთუ-
ლაურში, „სტუმარ მასპინძელსა“ და „ახატრი-
ონში“ განსაზიერებელი მაღალზნიობრივ სახ-
ვია მნიშვნელობა. უსაზღვროა პოეტის სული-
ერება, მისი ყოველი სტრიქონი სიყვარულის,
სიკეთის, ვაგაკაობის უსაზღვრო პიწნია. მაგ-
რამ, სანამ მოზარდი ამ ქმნილებათა აზრობ-
რეისა და მხატვრულ სიდიადეს ჩასწვდება, მა-
ნამ მისი მეტყუარი ცხოვრების დიდ გზაზე
ვაგას ის „საბავშვო“ პერსონაჟები არიან, ვინც
ასე სისხლხორცეულად, ლამაზად შეიჭრება
ბავშვის ცხოვრებაში: შელის ნუკრი,
კურდღელი, ნახევარწიწილა, თავკი, ჩხაკი, ია,
წყარო და ვინ მოსთვლის რამდენი ვინმე თუ
რამე. ყველა ამეტყველებულია სულიერი თუ
უსულიო.

საოცრად სადად და უბრალოდ, სრულიად
ბუნებრივად იჭრებიან ისინი ყმანვილის
სულიერ სამყაროში, იპყრობენ მათ სულსა და
გულს. ყმანვილები იმ წუთებში ამ გმირებთან
ერთად ცხოვრობენ, მათთან ერთად უხარიათ
და მათი სატკივარი სტკივათ.

ვაგა წერდა: „ნურვის პეონია ადვილი იყოს
საბავშვო ლექსისა და მოთხრობის დანერა, ყვე-
ლაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არ ლეთიური
ნიჭით მირონცხებულსა და სულით მდიდარს,
რაიც ერთგვარად ხუთი-ექვსი წლის ბავშვს აახ-
ლოებს ორმოცი წლის ადამიანს, არ შეუძლია
გახდეს საბავშვო მწერალი“.

ვაგა-ფაქვლას საბავშვო თხზულებათა
ლაიტმოტივია „ბავშვებს ბავშვურად“ დაანახ-
ოს და ამადგროულად ასწავლოს „პანგები
გულზე მწვდომია“, რათა გააღვიძოს მოზარ-
დის გულში გრძნობა რაინდული ბუნების,
სამშობლო მიწის ფასეული სიყვარული.

ადამიანი კი არ უნდა შეიქმნას, არამედ დეი-
ბადოს საბავშვო მწერლად. აქ კი საჭიროა არა
მხოლოდ ტალანტი, არამედ თავისებური გენია—
წერდა ბელინსკი. და მართლაც, ვაგა-ფაქვლას,
როგორც საბავშვო მწერალს, ეს ტალანტი მოქ-
არბეულად შექმნდა. მისი სული ფაქიზი, მაღ-
ლიანი, მოყვარული, მშვიდი, ბავშვურად
გულუბრყველო, გონება ამაღლებული, განა-
თლებული, დიდი პოეტური ფანტაზიით გასბი-
ონებულ, საოცარ სურათებს ხატავს, ნაორფე-
როვად სახებებს ქმნის, იმისათვის, რომ ჩანდეს
ბავშვის გონებას, მის ფაქრსა და აზრს, ამისათ-
ვის კი საჭიროა თვით იყო მოზარდი ბავშვი.

მწერალი ხან შელის ნუკრის ენით ესაუბრ-
ება პატარებს, ხან ამაყი არწივი, ხან ხმელი
ნიფელი, უყვება მათ თავის გასაჭირს,
სასაცილო ამბავს ტრაგიკული ცვლის, სვე-

დას ხან სიზარული სდევს და პირიქით, ხან სი-
თბოთი ევსება მოზარდს გული და ხან სევდით.
მაგრამ ისეა პოეტის შემოქმედებაში ერთ-
მანეთთან შერწყმული, რომ არა მხოლოდ ბავ-
შვისათვის არის ეს საინტერესო, არამედ
უფროსი ასაკისანიც დიდი ინტერესით ეცნო-
ბიან მათ.

გენოსიაო ვაგა, უთქვამთ, განა სხვას შე-
ეძლო ამგვარად ამეტყველებინა უტყვე-
ბუნების შვილი, უწინი, ხე, ფოთოლი,
მდინარე, ნიშია, ყვავილი, ყველანი საუბრობენ,
ეაღერსებიან, ჭურჩულებენ, ეფერებიან
მოზარდის ფაქიზ სულს.

პოეტის სიდიადე ხშირად იმაშია, რომ მას
შეუძლია გარდასახვა. იგი ბავშვს სევდის
პირისპირ ტოვებს და ფაქრს აჩვენებს. თანაგ-
რძნობა, ტკივილის აღქმა, ოცნება, სიკეთის
კეთებისა, ყოველივე ეს დასაწესია მომავალი
ადამიანის ჩამოყალიბებისა. ეს არის პრიციპი,
როცა მოზარდის სული ფანტაზიასა და რეალ-
ობას შორის ეძებს იმ სინამდვილეს, რომელიც
დღესიადაც უკან დასდევს და მოსეკენებას არ
აძლევს მას. სინამდვილე, როგორც არ უნდა
იყოს იგი, მწარე თუ ტკბილი, სინამდვილეა და
პოეტის ძირითადი მიზანია ის, თუ როგორ
ფერით დაანახებებს ბავშვებს ამ სინამდვილეს.
იგი არ უნდა ატლანქებდეს მოზარდის სულს,
პირიქით უნდა ეძებდეს სიფაქიზისაკენ და სი-
ნატიფისაკენ გზას.

სილამაზე ხომ თოვად სიცოცხლეა და ამა-
ედროულად სათინოს აკვანივა.

ვაგას შეუძლია ბავშვის ცხოვრების ყველა
მხარეს მიადევნოს თვალთ. ნათლად დაანახ-
ოს, რა არის კარგი და რა ცუდი, როგორია სი-
კეთე და უბედურთა ბოროტება. ვაგა ხომ ბავ-
შვის შესაძლებელია.

ვაგას გმირები ტირიან, იცინიან, ხუმრობენ
და თხრობის მომენტებიდან ხდებიან მკითხველის
აღქმის ობიექტები. მათი მოქმედება მკითხვე-
ლი ღიმილს, სიზარად კი სიცილსაც იწვევს.

ვაგას მხატვრული სემოქმედება კა-
ცობროული ტკივილით აღბეჭდილი პიროვნე-
ბის ცნობიერებისა და გრძნობებში დახატული
სამყაროა. იგი ხომ იდუმალი გრძნობებით იყო
დაკაემორებული ბუნებასთან...

სწორედ შინაგანი რწმენის ნაყოფია მის
მიერ გაცოცხლებული ბუნება.

ვაგას მიერ ბუნების გაადამიანება, პურსო-
ნათა მეტყველება ერთ მიზანს ემსახურება:
აღადგინოს თანამედროვეობისათვის გაფერ-
მკრთალებული გრძნობები. დროყამით
მიმქრალი, მაგრამ ჯერ კიდევ გაუმქრალი.

ფემინური ლიტერატურა, ფემინისტური ლიტერატურა

მეოცე საუკუნის ბოლოს, თითქმის ყველა ქვეყანაში, ვითარდება ფემინური სპეციფიკური ლიტერატურა, რომელიც როგორც თავისი თემატიკით, ისე კონცეფციით, წარმოადგენს ცალკე სფეროს. ამ ლიტერატურის განვითარება განსაკუთრებით 70-იანი წლების დასასრულს გახდა თვალშისაცემი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ქალთა მიერ შექმნილი მთელი ლიტერატურა, რომელიც თავისი სპეციფიკურობას ამ პრინციპებზე არ აგებს, თუმცა კი მას ძირითად თემად ქალთა მიერ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება უდევს. პარალელურად იბეჭდება რადიკალურად ფემინისტური ლიტერატურა, რომელიც უპირისპირდება დანარჩენ (კაცთა) ლიტერატურას და რომელიც ემყარება ფემინური მწერლობის კონცეფციის სპეციფიკურობას.

ფემინური ლიტერატურის განვითარების ამოსავალ ნერტილად უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ქალის ჩაგვრა ქალისა და მამაკაცის როლების ტრადიციულ დადანიშნულებაში, და ეს ჩაგვრა, ბუნებრივია, ქალთა შემოქმედების ძირითად თემად იქცევა. ამ საკითხის თაობაზე ორი მოსაზრება არსებობს, რომელთაგან პირველი ითვალისწინებს, რომ სწორედ ამ თემატიკის მიხედვით უნდა მოხდეს ფემინური ლიტერატურის განსაზღვრა, მეორე მოსაზრების მიხედვით, ქალთა მწერლობაში გენეტიკურად განპირობებულ სპეციფიკურობას, ხედავენ. საერთო ჯამში, ფემინური ლიტერატურის საზღვრების დადგენა ისეთ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ერთობლად და სრულად გადაჭრა შეუძლებელია. ამსურდი იქნებოდა ქალების მიერ შექმნილი ყველა ნაწარმოები ფემინური ლიტერატურისთვის მიგვეკუთვნინა – ამას შედეგად ამ ლიტერატურის დისკრიმინაცია მოჰყვებოდა, ეს კი, თავის მხრივ, შეწინააღმდეგებოდა მწერალ ქალთა მიზანს, რომელიც ქალთა მანიფესტშია გამოხატული. ამ პრობლემას ვანყდებით ყველგან, სადაც დაჩაგრულად მიჩნეული ელემენტების მარგინალიზაცია ხდება.

ტერმინი „ფემინიზმი“ ლექსიკონში 1872 წელს დაეკუთვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისეთი აქტორები, როგორებიც იყვნენ ქრისტიან დე პიზანი (XV ს.), ოლიმპ დერუვი

(XVIII ს.) და ვერმენ დე სტალი (XVIII-XIX სს.) არ შეიძლება ფემინისტებად ჩაითვალოს. ვირჯინია ვულფი და სიმონა დე ბოუვარი ფემინისტური სწავლების სათავეებთან დგანან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში და აღორძინების ეპოქაში არსებობდა ფემინისტური მოსაზრებები, მაგრამ ფემინისტური მსჯელობები მე-20 საუკუნეში იწყებს ამოქმედებას. ნამდვილი ფემინისტური რევოლუცია საფრანგეთის 1968 წლის მოვლენების შემდეგ დაიწყო. ფემინიზმი უკვე დოქტრინაა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებაში ქალის უფლებებს და მისი როლის გაფართოებას ითვალისწინებს. ეს არის კულტურული და ინტელექტუალური მოძრაობა. ზოგადად არსებობს ორი პოლუსი ფემინიზმისა: თანასწორი ფემინისტები (რომლებიც ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ქადაგებენ) და რადიკალური ფემინისტები (რომლებიც ებრძვიან და ანგრევენ პატრიარქატს). ორივეს, ერთი მხრივ, მრავალმხრივი განმტოლებები გააჩნია. ერთი კი საერთოა, რომ ფემინიზმი ცდილობს დააგროვოს მამრობითი სტერეოტიპები, ფემინური კულტურის სასარგებლოდ.

ცნება „ფემინური მწერლობა“ უნდა გამოვყოთ „ქალების მწერლობიდან“. ეს უკანასკნელი 1980 და 1990 წლებში გაჩნდა და მეტაფემინიზმს მიეკუთვნება. აქ შემიწნევა ტრადიციულ ღირებულებებისადმი მიბრუნების ტენდენცია, ფემინისტური იდეების გათვალისწინებით. ქალთა მწერლობა არავითარ მოთხოვნებს არ აყენებს. მეტაფემინიზმი მარტო ქალთა უფლებებს კი არ გამოყოფს, არამედ ქალისა და მამაკაცის უფლებების სადარაჯოზე დგას. მისი წარმომადგენლები თვლიან, რომ კაცი ქალის ყველა პრობლემის წყაროდ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, ქალებმაც, თავის მხრივ, თავიანთი ჯერის სიმძიმეს უნდა გაუძღონ. მათი აზრით, პატრიარქატი კი არ უნდა დაინგრეს, არამედ ძირეულად უნდა შეიცვალოს.

აქ არ ვაპირებთ წარმოვადგინოთ ის თეორიული კონფლიქტები, რომელიც ფემინური მწერლობის შიდა და გარე საზღვრების დადგენის იდეალისწინებენ. თუმცა მაინც ნაადრევია შევფასოთ ფემინური მწერლობის გავლენა ლიტერატ-



ურის განვითარებაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ ამ ლიტერატურამ პოზიტიური გავლენა მოახდინა ქალთა გამოცდილებით დაგროვილი მასალის გამოვლენასა და გამოხატვაზე იმ სამყაროში, სადაც მამაკაცები დომინირებენ. და ესეც, თავისთავად უკვე ნარმოადგენს ქალთა მწერლობის დიდ წვლილს ბოლო 25 წლის კულტურულ განვითარებაში.

ამ ლიტერატურის ევოლუციის რიტმი, ისევე როგორც მისი მნიშვნელობა, სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში იგრძნობა მისწრაფება ფემინური მწერლობის არაერთგვაროვანი ანალიზისადმი; ამასთან, აუცილებლობას წარმოადგენს ქალთა თვალსაზრისის არსებობა კაცთა მწერლობის ხასიათსა და სტრატეგიაზე. საუნივერსიტეტო საგამომცემლო სახლების უმეტესობას დღესდღეობით „ქალთა სწავლებასა“ და „ქალთა კრიტიკაში“ სპეციალიზირებული სამსახური პეტე შექმნილი გამოცემლობა ვირაგო არესი კონცენტრირებულია იმაზე, რომ დაბეჭდოს იმ ავტორთა ნაწარმოებები, რომლებიც ფემინური ლიტერატურის ძალასა და ენერჯიას წარმოადგენდნენ გუშინ და არც დღეს დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. მაგალითად, რო ზამუნდ ლემენი პვევა, როგორ დაუბეჭდა ვირაგომ ნაწარმოებები რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ და რომ ეს ერთგვარი ექსპერიმენტის პროცესი იყო მისთვის. მწერალ ქალთა სამწერლო ასპარეზზე ხელახალი დაბრუნება საერთაშორისო მოვლენად იქცა: ფემინურმა მწერლობამ ბოლო 15 წლის განმავლობაში უფრო ფართო აუდიტორია შეიქმნა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ბრიტანული ფემინური მწერლობა ემსახურება იმ გამოცდილებისა თუ აზროვნების ნების გამოვლენას, რომელიც ქალებისთვისაა დამახასიათებელი: მარგარიტ დრებლი, ანიტა ბრუნერი, მარინა ვორნერი... ზოგიერთი ამ საკითხს უფრო პოლიტიკური თვალსაზრისით უდგება. დორის ლესინგი, ემა ტენანტი და ფეი უოლსონი თავიანთ შემოქმედებაში ცდილობენ ახსნან იმ მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ერთგვარი დაპირისპირება, სოციალური პოზიციის შეცვლა. დორის ლესინგმა, ემა ტენანტმა, ევა ფიჭმა და სხვებმა, ფემინური ლიტერატურისაგან შექმნეს ყველაზე ცოცხალი და ნაყოფიერი სფერო თანამედროვე ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის მანძილზე.

ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთში ამ მხრივ, სხვაგვარი სურათი გვხვდება. ზოგიერთ რეგიონში (მაგალითად, სერბია-

ში) საკუთრივ ქალური პრობლემები თავისუფლების საკითხს ეხება. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალთა ლიტერატურა მერყეობდა მისი წარმოშობის „პოლიტიკურ“ ასპექტსა და „ესოთეტიკურ“ ასპექტს შორის; ხორვატიაში ფემინური მწერლობა ენის პოეტოზაციითა და ბიოგრაფიული მასალების წარმოსახვებით შემოიფარგლა. სამაგიეროდ, ქალთა ლიტერატურის მოძრაობის არცერთი ასპექტი არ გამოსახულა უსწრულ ლიტერატურაში, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებად ანა კისი და კატალინ ლადიკი (ეს უკანასკნელი იუგოსლავიაში ცხოვრობს) არიან მიჩნეულები. ქალისთვის თავისუფლების მინიჭება პოლონური კლასიკური მოდერნიზმის ერთ-ერთი მთავარი თემაა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მისი მნიშვნელობა ახალი სოციალური და პოლიტიკური პირობების შექმნით ოდნავ დაიჩრდილა. პოლონურ პოეზიაში ანა სვირზინკამ წინ წამოსწია ქალთა სენტიმენტალური თვისებები. ფემინური ლიტერატურის კონცეპტი ოდნავ გაშლილა დაა წარმოადგენილი გერმანიაში. ფურნალი „ემა“ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვანი ფემინისტური „შეფასების ინსტიტუტს“. მაგრამ როცა იგი ორივე სტესის როლს ეხება, გრძნობების მრავალმხრივ პალიტრად გადაიქცევა. ერთ მხარეს წარმოვადგინით კარინ სტრუტი, რომელიც აპორტის უფლების წინააღმდეგ გამოდის, მეორე მხარეს, მაგალითად, კრისტა რეინიგი, რომელიც ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ამტკიცებს, რომ ქალებისთვის, კაცებში მიერ დაკანონებულ სამყაროში, მხოლოდ მშვიდად აღიარება არსებობს: ბრძოლა და ციხეში მოხვედრა; ბრძოლისაგან თავის შეკავება და გაგოყება; და ბოლოს, კაცზე მინდობა და დაავადმყოფება. ამ ორ ექსტრემალურ სიტუაციას შორის გერმანიაში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი რაოდენობა ქალებისა, რომელთაც ხელი შეუწყვეს სპეციფიკური მდებარეობითი სამყაროს განვითარებას (კრისტა ვილფი და სარა კირში).

იტალიაში მებრძოლი ფემინისტური ლიტერატურა ინტელექტუალთა ძლიერი პოლიტიზაციის პარალელურად ვითარდებოდა 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანის დასაწყისში: დაჩია მარაინი, გიულიანა მორანდინი, ბიანკა მარია ფრაბოტა. იმ მწერალმა ქალებმაც, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ (ელ ზა მორანტი, ორტეზე, სანეიტალი), ქალთა სპეციფიკური თვალსაზრისის შეთვისება დაიწყეს. მაგალითად, დედისა და ეპიმიელის



დამოკიდებულების აღწერისას, ამასთან იგრძნობა, რომ იტალიური ფემინური ლიტერატურა ერთგვარ ცვლილებებს განიცდის. მაშინ როცა ისტორიული ფემინიზმი ნელ-ნელა კარგავს თავის პოლემიკურ და აგრესიულ ხასიათს და ეძებს შეშეცნებითი ათვისის ნერტილებს. ზოგიერთი ავტორი „ორსქესოვან“ მოდელს უახლოვდება, რომელშიც, როგორც თავისი თემატიკით, ისევე სტილისტიკით დაკარგა ქალთა მწერლობის ყველაზე თვალსაჩინო დამახასიათებელი თვისებები. ახალგაზრდა მწერალი ქალები, როგორებიც არიან: მარტა მორაზონი და პაოლა კაპრიოლო, აღწერენ ისეთ ისტორიებს, სადაც შათი შეხედულებები, ანალიტიკური ინტერესები და აღწერილი კომპარები დიდად არ განსხვავდება კაცთა მიერ შექმნილი ლიტერატურისაგან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს თანხვედრას, რომელშიც ორიგინალური ქალთა ლიტერატურით მიღებული გამოცდილება იგივეა, რაც საერთოდ ლიტერატურისა.

საფრანგეთი ფემინური ლიტერატურის შესახებ დებატების მდიდარ ასპარეზს წარმოადგენდა, რომელშიც გაელენა მოახდინა (განსაკუთრებით თეორიული) მთელ ევროპაზე. განსხვავება ფემინისტურ ლიტერატურასა და ფემინურ ლიტერატურას შორის ნათელია. ფემინისტური ლიტერატურა, რომლის ფესვები სიმონა დე ბოუვარის „მეორე სქესიდან“ იღებს სათავეს, აერთიანებს ნაწარმოებებს, რომლებიც ქალებს ფსიქოანალიზისთვის ახალ საკამათო ასპარეზს უხსნის. ფსიქოანალიტიკური მსჯელობებით განსაკუთრებულად ღუს ირიგარე იყო დაინტერესებული. 70-იან წლ-

ებში გაჩნდა შეხედულებები, რომლებიც, როგორც „კაცთა მწერლობის განხილვა“ პყრეს. კატრინ კლემანის და ელენ სიქსუს ნაწარმოებები ფემინურ თემატიკასა და ქალთა საქმიანობის სფეროებს შორისაა მოქცეული. ისინი დაინტერესებულები არიან აგრეთვე ფსიქოანალიზით და ლიტერატურაში ავანგარდული კრიტიკის მომხრეებად გამოდიან. მათი აზრით, „ფემინური ტექსტი“ უფრო დამანგრეველ ძალას ატარებს, ვიდრე მოპირისპირე სქესის წარმომადგენლების მიერ შექმნილი ნაწარმოები, ან სხვაგვარად რომ ეთქვას, იგი უფრო მეტი დამანგრეველი ძალით გამოირჩევა. ფემინური ლიტერატურის ისეთი თემები, როგორცაა: სხეული, ორსულობა, საფრანგეთში ბრძოლის ერთგვარ იარაღად გამოიყენება. მაგალითად, ანი ლეკლერკის „ქალის სიტყვა“ და შანტალ შავაფის „საკურთხეველი“ მანიფესტად იქცა... ფრანგულ ლიტერატურას პყავს ისეთი ქალი მწერლები, მაგალითად, მარგარიტ დურასი, მარგარიტ იურსენალი, ნატალი საროტი, რომელთა ნაწარმოებები მხოლოდ ფემინური თემატიკით არ შემოიფარგლება. ზოგიერთი ქალი თვლის, რომ ფემინური მწერლობა საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და იგი წარმოადგენს, არც მეტი, არც ნაკლები, იმ ასპარეზს ლიტერატურაში, სადაც ქალებს ეძლევათ საშუალება სრულად გამოხატონ თავიანთი გრძნობები. ძალიან ძნელია ანი ურნოს, დანიელ სალენავის ნაწარმოებები ფემინურ ტექსტებად მივიჩნიოთ; ამ ორი ქალის მიერ წარმოქმნილი პრობლემები ქალთა მწერლობის შეზღუდულ ჩარჩოებს საკმაოდ სცილდება.



სარიალი სივრცე — სასჯელი ალამიანისათვის?!

მეოცე საუკუნის პარიზი ანდამატით იზიდავდა შემოქმედებითი სამყაროს პილიგრიმებს. კულტურის მექად ქცეული „დღესასწაულების ქალაქი“ ფიერვერკულ, განსაცვიფრებელ მხატვრულ სიახლეებს სთავაზობდა კაცობრიობას. პარიზმა არც უდიდესი კატაკლიზმების დროს დათმო პირველობა და ორმოციანი წლებიდან ახლებური ბრწყინვალეობა შეიმოსა. ეს ქალაქი ყოველთვის თეატრს ჰგავდა კარნავალური, დინამიური, მოულოდნელი და იდუმალი ცხოვრებით. აქ ადამიანური ენებები ყველაზე მძაფრად და გამოშვლებულად ვლინდებოდა.

პარიზელმა ემიგრანტებმა, სომხური წარმომავლობის რუსმა არტურ ადამოვმა, რუმინელმა ევენ იონესკომ და ირლანდიელმა სემუელ ბეკეტმა მისცეს დანაბამი მიმდინარეობას, რომელსაც აბსურდის თეატრი ეწოდა. აბსურდის თეატრი ახალი სიტყვა იყო მხატვრული აზროვნებისათვის — ხედვის, პლასტიკის, სცენური სივრცის, ქორეოგრაფიის, თეატრალური ხერხებისა თუ მეტყველების თვალსაზრისით. აბსურდის თეატრი ემიჯნება სხვა სკოლებს თუ მიმდინარეობებს. პიტერ ბრუკი მკვეთრ, თვალმისაცემ სხვაობას ტრადიციულ თეატრსა და აბსურდის თეატრს შორის მკაცრად უსვამდა ხაზს:

„ნატურალისტურ პიესებში დრამატურგი იმგვარად თბაზს დიალოგს, რომ მეტყველების ბუნებრიობაც შეინარჩუნოს და სათქმელიც ბოლომდე თქვას. აბსურდის თეატრის დრამატურგი კი სრულიად ახალ ლექსიკონს ქმნის — ენის ალოგიკური გამოყენების, მეტყველებაში სასაცილო ელემენტების გარეშითა და პერსონაჟების უცნაური საქციელის მეშვეობით.

აბსურდის თეატრში არაფერი ხდება. არ არსებობენ გმირები და ხასიათები. ვერ იხილავთ დაცემას, კათარზის, ამბლლებას. არ ხდება ამბის განვითარება, რაც მთავარია, არ არის „ინტრიგა“, არც პირდაპირი, არც ვადატანითი მნიშვნელობით, ინტრიგა, რომელიც დრამატურგიის ქვაკუთხედად ითვლება. აქ სიუჟეტიც არ არის. პერსონაჟები ერთ დიდ გაუქმებულ სათბურში შუუყრაით. ისინი ამის გამო არც პროტესტს გამოთქვამენ, არც იბრძვიან, არც

ემორჩილებიან, არც ნანობენ, არც უხარიათ, უბრალოდ არსებობენ. იციან, რომ ადამიანები პქეით და ცდილობენ ადამიანებს დაემსგავსონ, ადამიანურად ეცვათ, ადამიანურად ილაპარაკონ და ერთმანეთს ან ცოლ-ქმრობა გაუწიონ, ან სხვა სამსახური. ოღონდ ისე დაცულიან, აღარ ძალუბთ, დრო არ ჰყოფნიან, ძალა არ შესწევთ გრძნობებზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, მურზე, ღიმილზე თუ მონატრებაზე საფიქრებლად და აღსასრულებლად. რასაც აკეთებენ, ისიც ტანში გამცრელად არაბუნებრივი, არაადამიანური, შემზარავია. მოქმედი პირები ტიკინებს, მოსამართ თოჯინებს მოგვაგონებენ, რომელთაც ვიღაც მართავს, მაგრამ ეს ვიღაც არავინაა. ანტიკური აზროვნების პრიმატი — ბედის წერა გამორიცხულია, თეოლოგიური მიდგომაც ამკარად მოუღებელია, პიროვნება და საზოგადოება არ არსებობს. აბსურდის თეატრი თითქოსდა ადამიანის, ცხოვრების მიღმა დგას, ალოგიკურია და უარყოფს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. სწორედ, ალოგიკურობა მისი იდეშალებაც და მისი სიცხადეც — ყველაზე დიდი ლოგიკა ხომ ალოგიკურობას ესაჭიროება, და სწორედ იმდენადაა ალოგიკურად მიშველი აბსურდის თეატრში ადამიანი, რომ ჩვენი შეცნობის, აღქმის უნარს აღემატება. თითოეული პერსონაჟი თითქოსდა პლანეტაზე მცხოვრები ადამიანების ნამსხრევებისგანაა შექმნილი. სწორედ მაყურებლის, დამსწრის, მონმის და არა კრიტიკოსის პოზიციიდან აფასებს პიტერ ბრუკი აბსურდის თეატრს და ამბობს:

„როცა თავს ვესხმით ბეკეტის პესიმიზმს, სწორედ ბეკეტისულ გმირებს ვემსგავსებით, ბეკეტის მახეში გაბმულთ. მაგრამ როგორც კი უყოყმანოდ მივიღებთ ბეკეტის მტკიცებებს, უცრად ყველაფერი შოცვლება. ბოლოს და ბოლოს, არსებობს სრულიად საპირისპირო მაყურებელი, ის ნებისმიერ ქვეყანაში მოიძებნება, ის არ იმალება ინტელექტუალურ ბარიერებს მიღმა და არც მნიშვნელობათა გაანალიზებაზე იმტერვეს თავს. ეს მაყურებელი იციონის და ტირის, ბოლოს კი ბეკეტთან ერთად ზეიმობს, ეს მაყურებელი ბეკეტის სპექტაკლებიდან, შაგბნელ სპექტაკლებიდან



დამიშვებული და გამდიდრებულად გამო-
დის”.

იონესკო ამბობდა:

„მართებული იქნებოდა, იმ მიმართულე-
ბისათვის, რომელსაც მე მივეკუთვნები, გვ-
ნოლებინა პარადოქსული თეატრი, უფრო
სწორედ, პარადოქსის თეატრი. ჩვენ წარმო-
უქმინეთ სამყარო რეალური, ნამდვილი,
ტრაგიკული და არა შელამაზებული, დამ-
აქრული პარადოქსულობით. განა ცხოვრე-
ბა პარადოქსული და აბსურდული არ არის
ჩვეულებრივი, ადამიანური მსჯელობე-
ბისას? ცხოვრება, საცოცხლე ხომ
უკიდურესობამდე წინააღმდეგობრივია,
ბუნდოვანი, აუხსნელი იმავე ცხოვრებლი-
სეული, რაციონალური განსჯისას“.

თუ იონესკოს, მროვეკის ან არაბალის
პიესებში ირონია და სილალე სჭარბობს,
ბეკეტის პირქუში სამყარო შემზარავი და
თავზარდამცემია. „ბეკეტის პიესაში ადამი-
ანის უკანასკნელი ამოსუნთქვის პრობლემა
დგას“ (ე. იონესკო). განსხვავებულია ჟან-
ჟენის, ბეკეტის, არაბალის თუ იონესკოს
ფორმებიც, პერსონაჟებიც, სიტუაციებიც
და დრამატურგიული ხედვაც, მაგრამ უმთ-
ავრესი, რაც მათ აერთიანებთ, ენა, მეტყვე-
ლება, დიალოგი, რთვად ენა სპექტაკლში
კადვებ ერთ, ცალკე სპექტაკლად გვევლინე-
ბა. აბსურდის – პარადოქსის თეატრში ენას
საკომუნიკაბელო ფუნქციაც კი დაკარგული
აქვს. აქ მხოლოდ იმიტომ მეტყველებენ, რომ
ლაპარაკი, დანაყვერებული ბგერების წარმო-
თქმა შეუძლიათ, ან სხვაგვარად არ ძალ-
უძობ, დიალოგი თითქმის არ არსებობს,
როგორც თავისი კლასიკური ფორმით, ასევე
თვით ყველაზე მარტივი, პრიმიტიული დანი-
შნულებითაც კი, ბრუკმა, რომ მისცა ნიგნში
„კარიელი სივრცე“.

ჩვენი დროის ყველაზე უფრო შთაბეჭ-
დავსა და თვითმყოფად ნაწარმოებებს, ალ-
ბათ სამუელ ბეკეტს უნდა ვუმაღლოდეთ.
ბეკეტის პიესები სიმბოლოებია, ამ სიტყვის
ნამდვილი გაგებით. ყალბი სიმბოლო უძელ-
ლა და ბუნდოვანი, ტემპარიტი სიმბოლო
გარკვეულია, იგი სინამდვილის ერთადე-
რთი დასაშვები ფორმა“.

პარადოქსია, მაგრამ მიუხედავად ასეთი
მაღალი შეხედულებისა ბეკეტზე, და ზოგა-
დად პარადოქსის თეატრზე, მსოფლიოს
გამორჩენილი რეჟისორები ვრიდებოდნენ
„პარადოქსული“ პიესების დადგმას, პ.
ბრუკი, ჯორჯო სტრელერი, ბენო ბენსონი,
ფრანსუა ტრიუფო თუ ინგმარ ბერგმანი

არჩევდნენ ჩუხოს, სტრინდბერგს, ვიქტორ-
რს, ვიღრე ამ ახალი შემოქმედების კლასი-
კის სცენურ გადმოცემის პარადოქსის
თეატრი თავადაც ძნელად ეგუება სამეფო,
აკადემიურ და სახელმწიფო თეატრებს.
ჟენე, პინტერი ან ბეკეტი ვერ სუნთქავენ
ლიერებთან ადმინისტრატორებში,
ბროლის ქალებში, მოვარაყებულ დარბაზ-
ეში. ისინი მოისრაფიან ფსკერისაკენ,
შავბელი შესახვევებისაკენ, სადაც მტვერი,
ქუჩყი და ტალახი ადამიანისათვის
აუცლებელი და მშობლიური გამხდარა.
იქნება ამიტომაც მოხდა სასწაული: ფართო
საზოგადოებისაგან დაწვებული ბეკეტის
„გოდოს მოლოდინში“, ციხეში წარმატებით
წარმოადგინეს. იქ მკვლელი, სუტენიორი და
ბანდიტი ერთად მოთქვამდნენ და და-
სტროდნენ ამ ნუთისოფელს. სიმართლეს-
თან თვალის გასწორების თეატრად ენახება
პიტერ ბრუკს „პარადოქსის თეატრი“ და
ბეკეტის მაგალითზე მოგვითხრობს:

„აი, რატომაც ბეკეტის პირქუში პიესები
ნათელი პიესები, სადაც სასწაულკეთილე-
ბა მხოლოდ სიმართლის თქმის დაუკებელ
ფინს ასხივებს. ბეკეტის „არა“ კმაყოფილებით
როდი წარმოთქვამს, მისი დაუნდობელი
„არა“ თანხმობის ნყურვილიდანაა გამო-
ოქედოლი, და ამდენად, მისი სასწაულკეთი-
ლება ის ნეგატივია, საიდანაც ნორმალური
გამოსახულება უნდა იქნეს მიღებული“.

საგულისხმო და მრავლისმეტყველია
„პარადოქსის თეატრთან“ საფრანგეთის
საზოგადოების დამოკიდებულება:
როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკა უცხო-
ეთში მართავს ფრანგული კულტურის
დღეებს, თეატრალური, კინემატოგ-
რაფიული, სახეითი ზელოვნებისა და სამ-
ეცნიერო მიღწევების წარმოჩენა – ილუსტ-
რირების პარალელურად ეწყობა
ფრანგული ფოტოხელოვნების გამოყენა.
ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დარგის ექსპ-
ოზიცია თითქმის ყოველწლიურად იცვლე-
ბა ახალი სპექტაკლებით, ფილმებითა და
ექსპონატებით. მუდმივი ექსპოზიციით
მსოფლიო ფოტოხელოვნებაა „განები-
ერებული“ და საფრანგეთის უცვლელი
საეიზიტო ბართია გარე სამყაროსათვის.
ფოტომედეერებში ორადორი პორტრეტია
– ეყენ იონესკოსი და ჟან ჟენესი. ეს ის ჟან
ჟენეა, ჟან-პოლ სარტრისა და სიმონა დე
ბოუვარის თაოსნობით, კატორღიდან განთ-
ავისუფლებულს დეპორტაციიდან რომ
იხსნის ფრანგი ინტელიგენცია.

სიომე ჯანაშია-100

ორი დოკუმენტი სახელმწიფო არქივიდან

ენიანიტყაპობა

საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივის სახკომსაბჭოს ფონდში დაცულია ორი დოკუმენტი, რომელთა ავტორია სიომე ჯანაშია. პირველი დოკუმენტი (ფონდი 600, ან.1, საქმე 6591, გვ. 62-64) წარმოადგენს ს. ჯანაშიას მიმართვას ქართული ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გამო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის (დღევანდელი ტერმინოლოგიით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის) ვალერიან ბაქრაძისადმი. დოკუმენტი შედგენილია 1942 წლის 24 ივნისს, როდესაც II მსოფლიო ომი მძინეარებს, მტერი კავკასიასაა მომდგარი და მიუხედავად ამისა, ქართული მეცნიერები მაინც განაგრძობენ თავისი მოვალეობის შესრულებას, მთავრობა კი მათ მოთხოვნებს უყურადღებოდ არ ტყეებს. ქართული ძეგლების დაცვის პრობლემა ხომ დღესაც უაღრესად აქტუალურია.

მიმართვის შედგენის მიზეზი შემდეგი გამხდარა: „ლურჯი მონასტრის“ მცველი (სამსუხაროდ, მე მისი გვარი არ ვიცი) დილადრიან მისულა ღვთისმოსაეობით განთქმულ ქალბატონ ბაბო დაღან-მასხარაშვილთან და აღუღებთ უამბნია მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე რაღაც მშენებლობის დაწყების შესახებ. ქ-ნი ბაბო, იმხანად ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი, დალოდებია ს. ჯანაშიას მეცნიერებათა აკადემიის შესასვლელ კარებთან და მოუხსენებია შექმნილი ვითარება. ს. ჯანაშია, დაწესებულებაში შეუსვლელად, წასულია და ადგილზე დაუთვალეერებია ყველაფერი, შემდეგ დაბრუნებულია აკადემიის პრეზიდენტში, შეუდგენია ხსენებული დოკუმენტი და იმავე დღეს მთავრობაში ჩაუბარებია. დღეს, როდესაც თუნდაც ჩვენს დედაქალაქში, ასეთი არქიტექტურულ-სამშენებლო განუკითხაობაა დაროდესაც ცალკეული პირების გამოსვლებს არავითარ შემდეგი არ მოაყვება, ვფიქრობთ, აღნიშნული მიმართვა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ამ სერიოზულ და შედეგებით მძიმე საკითხებზე, მიგვაქცევინებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მონასტრის მცველი, ცნობილი ინტელექტუალი ქალბატონი და მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი – ყველა ერთნაირად აღუშფოთებია მომხდარ ფაქტს, ყველა ერთნაირად აღმოჩენილა მონაღების სინამდვილეზე.

მეორე დოკუმენტი (ფონდი 600, ან. 1, საქ. 6244, გვ. 1-10) წარმოადგენს ს. ჯანაშიას სიტყვას, რომლითაც გაიხსნა საფრანგეთიდან დაბრუნებული ქართული განძის გამოღენა. ცნობილია, რომ 1945 წ. აპრილის თვეში, მსოფლიო ომის დამთავრებამდე, საქართველოს დაუბრუნდა მენშევიკური მთავრობის მიერ 1921წ. გატანილი განძეულობა. განძს ჩამოყვავა მისი მეთვალყურე და გადამრჩენი ექვთიმე თაყაიშვილი. განძის დაბრუნება შესაძლებელი გახდა ა. სტალინისა და შ. დე გოლის უშუალო მოლაპარაკების შედეგად. შეიქმნა განძის მიმღები კომისია (ან. აფაქიძე, სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი; შ. ამირანაშვილი, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი; ვ. მგალობლიშვილი, სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე; ს. ქილაია, ცეკვა-ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგე; ს. ჯანაშია, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, – მიმღები კომისიის თავმჯდომარე). კომისიამ იმუშავა 18 აპრილიდან 29 დეკემბრამდე, ჩაატარა 61-მდე სხდომა. სხდომათა ოქმები და საერთოდ განძთან დაკავშირებული საქმე დაცულია ზემოთ ხსენებულ სახკომსაბჭოს ფონდში. ფარისო საზოგადოების ინტერესი დაბრუნებული განძეულობისადმი არაშეუვლებრივად დიდი იყო. ამიტომ კომისიამ საჭიროდ ჩაითვალა მოენყო განძის გარკვეული ნაწილის გამოღენა. მიმღები კომისიის თავმჯდომარის სიტყვები მოკლედაა დახასიათებული და აღწერული ექსპონატები. შემდგომში კომისიამ შეადგინა უფრო სრული და ზუსტი უნუსა განძეულობისა, რაც გამოიყვანა კიდევ ს. ჯანაშიას რედაქციით 1946 წ. რუსულ ენაზე სათაურით: *Опись грузинских музеевских ценностей...* (გივე ტექსტი მცირეოდენი შემოკლებით, ოღონდ უკვე ქართულად, გამოსცა აკად. შ. ამირანაშვილმა ორჯერ – 1968 და 1978 წლებში). გამომსვლელი თავის სიტყვაში გამოთქვამდა იმედს, რომ თავის დროზე დაინერგებოდა ამ განძის მოგზაურობის ისტორია. და მართლაც, დღეს ჩვენ ხელთაა ბატონ ვიცი ფორდისაშვილის შესანიშნავი წიგნი „დაბრუნებული საუნჯე“ (თბილისი, „მეცნიერება“, 1983). განძის საკითხს ეხებოდნენ აგრეთვე შ. ამირანაშვილი, რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე, ა. სურგულაძე...

ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნება სამშობლოში და განძის გამოღენა უდიდეს მოვლენად იქცა, ქართული საზოგადოება აღტაცებით შეხვდა გამოღენას, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზე, უფრინალ-გაზეთებში ამასთან დაკავშირებით იბეჭდებოდა უამრავი მასალა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ეყავი, მაინც მახსოვს უფროსების აღუღებული საუბრები. ბატონი ექვთიმე, პირადად მე, მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი. კარგად მახსოვს, როგორ



მობრძანდა იგი ჩვენს ოჯახში სამძიმრის გამოსახატავად მამას ვარდაცვალების გამო (1947 წ.).

ორმა კაცმა ძლივს ამოიყვანა მეორე სართულზე, მას ხონ სარული ძალიან შეეჩივებოდა. ბატონი გივი ფორდანიას სიტყვები რომ გაეიმეოროთ, ს. ჯანაშიას მოხსენებში წამოვიკითხე ავთვისტონს, გამოფენის გახსნის დღეს, წარმოადგენს ყველაზე ადრეულ ისტორიულ ნარკვევს ამ განძის შესახებ" და რომ „მის მიერ ნაზმარი გამოთქმა – განხეულობის ოდისეა“ შემდეგ შემოვიღე ხმარებაში" (დას. ნაშრომი, გვ. 10, 23).

შეითხველს ეთავაზობთ ზემოთ მოხსენიებული ამ ორი დოკუმენტის პუბლიკაციას, ავტორის სტილის დაცვით, მცირეოდენი შემოკლებებით...

დასასრულ, არ შეგვიძლია განსაკუთრებული მადლობით არ მოვიხსენიოთ უახლესი ისტორიის არქივის თანამშრომლები: დირექტორი, ბ-ნი თემურ ზურმუხტაშვილი და ქ-ნი მანანა ლილუაშვილი, პუბლიკაციის სამეცნიერო დარბაზის გამგე, რომლებმაც, მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომლებშიც მათ უბედვართ მუშაობა, ყველაფერი იღონეს, რათა აღნიშნული დოკუმენტები მოძიებულიყო და შესაძლებელი გამხდარიყო მათ გამოქვეყნება.

რუსუდან ჯანაშია
2000. წ. 31/11

24 ივნისი, 1942 წ.

საქართველოს სსრ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს
აბშ. ვალერიან მაჭარაძეს

მოგმართათ ქართული ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გამო. მიუხედავად მთავრობის სრულიად განსაკუთრებული ზრადლებისა და მზრუნველობისა მათდამი, ცალკეული შეუგნებელი კერძო და ზოგჯერ, აგრეთვე ოფიციალური პირები განაგრძობენ ისტორიული ძეგლების ნგრევას. რა იმედი უნდა ვაქონდეს ძეგლების დაცვისა რიონებში, როცა ჩვენს დედაქალაქში ამაღლებულ მოკლევას აქვს ამ მხრივ ადგილი. თბილისში, ყორღანოვის ქუჩის ბოლოში, მდებარეობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ე. წ. „ლურჯი მონასტერი“. ამ ძეგლს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს: იგი რუსთაველის ხანის ეკუთვნის; და დაზიანებულია და შეკეთებათა მიუხედავად, მას მაინც აქვს შერჩენილი შესანიშნავი ორნამენტაცია. ამას გარდა, მას აქვს დიდი წარწერა, რომელიც ძეგლს ათარიღებს და მრავალ საინტერესო ცნობასაც შეიცავს ჩვენი ისტორიისათვის. ძეგლის აღმშენებელი – საქართველოს ისტორიაში ცნობილი ისტორიული პირები არიან. ეს არის ერთადერთი წარწერა რუსთაველის ხანისა თბილისში!

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მთავრობის არა ერთი დადგენილება ასეთ მნიშვნელოვან ძეგლზე დაცვისა და მოვლის შესახებ, „ლურჯი მონასტრის“ დაცვა და მისი შემდგომი არსებობა დღემდე არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი. რამდენიმე წლის წინათ, მის ეზოში, სადაც არქეოლოგიურ გათხრას, უჭედილია, დიდად მნიშვნელოვანი მასალა უნდა გამოეჩინა, აქუნდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც ერთ ადგილას 4-5 მეტრითაც კი უახლოვდება ტაძარს. უკვე ამ შენობის აგება ამ ადგილას არის შე-

უწყნარებელი დანაშაული იმ ორგანოებისა, რომელთაც სათანადო ნებართვა გასცეს. უკანასკნელი ორი თუ სამი წლის განმავლობაში შენობას ლიმიტატრესტის საწყობად იყენებენ. ბუნებრივია, საწყობის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი ღონისძიებანი (მაგ., გათბობა რკინის ლუმელებით) აზიანებენ ძეგლს. დასასრულ, დაახლოებით ერთი კვირის წინათ წყალქანატრესტმა უშუალოდ შენობის მეზობლად, აღმოსავლ. კედლიდან 1/2 მეტრის მანძილზე გათხარა არხი ნიაღვრის წყალთა გადასაშვებად მარტის ქუჩიდან ხევში, სადაც საკანალიზაციო მაგისტრალი გადის. თუმცა არსებობს სათანადო დებულება იმის შესახებ, რომ ისტორიულ ძეგლთა მეზობლად არსებობს სამუშაოთა წარმოება მხოლოდ და მხოლოდ კულტურის ძეგლთა კომიტეტთან შეთანხმებით და ამ უკანასკნელის მეთვალყურეობით შეიძლება, მაგრამ აღნიშნულმა ტრესტმა გვერდი აიხევა მას და მუშაობის დაწყების შესახებ არავისთვის არაფერი უცნობებია. ამავე დროს: ა) არხის გაყვანა უეჭველ სამშრომლებს პქმის ძეგლისათვის; თუ განსაკუთრებული ზომები არ იქნა მიღებული, გაწინა წყალს შეუძლია შენობის საძირკველს ნიადაგი გამოურეცხოს და კატასტროფა გამოიწვიოს. საყურადღებოა ისიც, რომ არხი გაყვანილია შენობის მთავარსა და ამავე დროს ყველაზე დაზიანებულ კედელთან! ბ) მონასტრის ეზოში, როგორც აღინიშნა, გათხრის დროს არქეოლოგიური მასალის აღმოჩენაა მოსალოდნელი (რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი აღმოჩნდა კიდეც). ამის შესახებ ჩვენ მიემართეთ ქალაქის საბჭოს და ეთხოვეთ სამუშაოების შეჩერება, ჩვენი შუამდგომლობით აბშ. თავაძემ დაურუჯა აბშ. გვიჩიას

და იგივე წინადადება მისცა, შედგენილ იქნა ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ სამი აქტი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ შენობას ხიფათი ულის, მაგრამ მუშაობას მაინც არხონადა განაგრძობენ. **ალხანიშნავეია, რომ ინჟინერობა ლითონის მიღები კი არა, არამედ არხი შენდება მეტად მარტივად აგურისაგან.** ძველის დაზიანებულ კედელთან შენდება წყლის მთავარი კოლექტორი, თითქოს ძველის დანგრევის დასაქარებლად.

ყოველივე ეს ცოტა აღმოჩენილა.

თუ ორიოდე წლის წინათ ნება დართეს ამ შესანიშნავი ისტორიული ძეგლისათვის აღმოსავლეთიდან მიუშენებინათ სახლები, ეხლა მოხინაძრეები გაჩენილან დასავლეთიდანაც, რაღაც უმგებანი ქობნაბები დაუდგამთ და იმდენად გათავებებულან, რომ ძველის ეზო თავისთვის შემოუღობავეთ გელიანი მავთულის მაღალი ზღართით და ბოსტანი გაუშენებიათ. დღეს, როცა მე იქ ვახლდით, ტაძარში შიგნით ლიმონტრესტის დარაჯმა არ შემოშვა და ვარედან ძველის შემოვლა ვერ შეეძლო, მავთულის ლობის გამო.

არ შემიძლია ჩემი ღრმა მწუხარება არ გამოეტყვა იმის გამო, რომ ქალაქის საბჭომ არავითარი ფასი არ დასდო მეცნიერებათა აკადემიის ხმას. კულტურულ პირობებში ასეთი შემთხვევების გამო თვითონ მიმართავენ მეცნიერების კონსულტაციას!!! ანალოგიური შემთხვევები ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლთა დაზიანებისა და ზოგჯერ

განადგურებისა, სხვებზე შეიძლება განიხილავდეს. მაგ. ამ ორიოდე წლის წინათ (1940 წ.) დანგრეულ იქნა სოფ. ზაქარაძის (ქადაგის რაიონი) ტაძარი, აგებული იქნა 1911 წ. ქვენიში, თუმცა ამ ძეგლს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ პირველხარისხოვანი ძეგლის მასალით აშენებულ იქნა ბოსელი.

1940 წელსავე დაანგრეს 2/3-ით ვანის შესანიშნავი ძეგლი XII საუკუნისა, რომელსაც ისტორიული მხატვრობა და ქანდაკებები ჰქონდა.

წელს ანგრევდნენ მანაეის ციხეს (საგარეჯოს რაიონი). ნგრევა შეჩერებულია სიძველეთა დაცვის განყოფილების ჩარევით.

ყოველივე ნათქვამის გამო ვთხოვთ თქვენს განკარგულებას:

1) შეჩერებულ იქნას ეხლავე წყალსამუშეო არხის შენება „ღურჯ მონასტერთან“.

2) მოხსნილ იქნას მავთულის ლობი და განთავისუფლებულ იქნას ძველის ეზო ქობნაბებისა და მათი პატრონებისაგან.

3) დაუკავშირდეს ძველის ეზო როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურად კიროვის პარკს.

4) მასუხისგებაში მიცემულ იქნან ძველის დამზიანებელნი კანონის თანახმად.

საქ. მეცნიერებათა

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი: ს. ჯანაშია

*ქართული სამუზეუმო განძეულობის მიმღები
კომისიის თავმჯდომარის აკადემიკოს
სიმონ ჯანაშიას მოხსენება
15 აგვისტო, 1945 წ.*

ნება მომეცით მოგახსენოთ მცირე ინფორმაცია იმ განძეულობის შესახებ, რომლის ნაწილის დათვალიერებასაც შემდეგ აქ მყოფთ საბოლოო ჩვენი მუზეუმები; გამოყენილია მხოლოდ ნაწილი.

ეს განძეულობა გატანილი იყო საქართველოდან საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს, ამ მთავრობის საზღვარგარეთ გაქცევისას და, მამასადავამ, თბილისიდან 1921 წლის 24 თებერვალს, საქართველოს დანარჩენი პუნქტებიდან – მომდევნო თვეებში.

განძეულობა, რომელიც ამჟამად დაბრუნდა საქართველოში, გატანილია, რამდენადაც ჩვენ ამის შესახებ მსჯელობა შევძელია, საქართველოს რიგი მუზეუმებიდან, სახელმწიფო დანერგებულებათა საცავებიდან და აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის ადგილობრივ განყოფილებებიდან. სახელდობო, ეს მუზეუმები ვახლავთ: ყოფილი საეკლესიო, ყოფილი ქ. მ. ნ.-კ. გამაყრევიძის სახეივანეებისა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზო-

გადოებისა და საქართველოს მუზეუმი. ნაწილი ნივთებისა გატანილია სამხატვრო გალერეიდან, ნაწილი ნივთებისა კიდევ გატანილია სახელმწიფო ხაზინის ქუთაისის და სენაკის განყოფილებებიდან, სადაც მიზარებული იყო შესანახად საქართველოს ცნობილი, ძველი კულტურული ცენტრების – ეკლესიების, მონასტრების – ქონება (ისეთი მონასტრების, როგორიცაა მარტვილის, ხობის, გელათის). ნაწილი ნივთები, როგორც ჩანს, გატანილია თვით ამ მონასტრებიდან, ასე მაგალითად, ზელანაურები უნდა გატანილი იყოს თვით გელათიდან. გარდა ამისა, არის ცნობები, რომ გატანილი იყო განძეულობა თბილისის ხაზინიდან, სახელმწიფო ბანკიდან და ცალკე უწყებებიდან (სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, შინამრეწველობის მუზეუმი და სხვ.) არავითარი დოკუმენტი განძეულობის თვით საცავებიდან ამოღებისა და გადაბარება-ჩაბარებისა არ შემონახულია და, როგორც მცოდნე პირები მოწმობენ, არც უფიქროს როდენმე შედგენილი. ასეთი სიბერ არ ყოფილა შედგენილი აგრეთვე



განძეულობის საზღვარგარეთ ყოფნისას, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს განქარვულებაში ასეთი სიები არ არის. პირველად ეს სია შედგენილია, როდესაც საფრანგეთში ეს განძეულობა ჩაიბარა. საყურადღებოა ისტორია ამ განძეულობის მოგზაურობისა და მისი დაცვისა საზღვარგარეთის სხვადასხვა პუნქტებში. ამ ისტორიის ურცლად და დასაბუთებულად მოსახერხებლად ამჟამად მე სამწუხაროდ მასალები არ გამიჩნია, თავის დროზე ეს ისტორია დაინერება; ერთი შეიძლება ეხლა ითქვას, რომ განძეულობამ გამოიარა სრულიად განსაკუთრებული ოდისეა, ვიდრე თავის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდებოდა ამა თუ იმ სახით.

სია, საფრანგეთში შედგენილი, გაკეთებული ყოფილა 1934 წლის მაისში, როდესაც შექმნილს პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ეს განძეულობა ჩაიბარა საფრანგეთის მთავრობამ. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი 1944 წლის ნოემბრამდის, როდესაც მის მდგომარეობაში კარდინალური ცვლილებები მოხდა, ამის შესახებ მოგახსენებთ ქვემოთ.

საქართველოს სამუხუუმო განძეულობის საკითხი, იმ განძეულობისა, რომელიც საზღვარგარეთ იყო გატანილი, იმთავითვე ქართველი საზოგადოებრივობის და საქართველოს ხელისუფლების ყურადღების არეში მოექცა. ახალი პირობები, რომლებიც საქართველოში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წყალობით, მოქმედებდა იმ მიმართულებით, რომ ეს ყურადღება არასოდეს არ შენელებულიყო. მეცნიერული თეორია, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მოქმედებას და ჩვენი საზოგადოებრივობის საქმიანობას, კერძოდ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას საფუძვლად დაედო, ძალუმად მოითხოვდა ამას, რომ შემოკრებილი ყოფილიყო მაქსიმალური რაოდენობით ფიციელ-განრი წყარო, რომელიც ჩვენი ძველი წარსულის შესასანავლად იქნებოდა დასაბუთო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოდან გაიტანა ჩვენი სამუხუუმო განძეულობის მტად დაქორფასი ნაწილი, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში პირველსავე წლებში დააბრუნა ასეთივე ხასიათის სამუხუუმო ფასეულობანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში ინახებოდა, კერძოდ მოსკოუსა და ლენინგრადში. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში საქართველოს დაუბრუნდა უჭირფასესი სამუხუუმო განძეულობა ამ ცენტრებიდან.

ამავე დროს წარმოებდა თვით საქართველოში დაუცხრომელი მუშაობა ახალ-ახალი სამუხუუმო მნიშვნელობის ძველების შეგროვებისა და დაცვისათვის, ისევე როგორც კონცენტრაციისათვის სათანადო მძლავრ სამუხუუმო დაწესებულებებში. დიდძალი ჭონება შეგროვილ იქნა ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების

დაწყარების პირველსავე წლებში, კერძოდ 1923-1924 წლებში. შემდეგ ის არქივდროს დასაბუთდა, რომელიც ჩვენში სიტუაციის გამართმად და ასეთი ფართო მასშტაბით პირველად ისტორიაში სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოუწყო ეს არქეოლოგიური სამუშაოები გადაიქცა იმ წყაროდ, რომელმაც ჩვენი მუხუუმების შესახებ სწორუბოვარი, უბადლო მნიშვნელობის ახალი ისტორიული ძველები და ამავე დროს დიდი რაოდენობითაც, ისე რომ, განძეულობა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ამა თუ იმ სახით ჩვენს დაგვიბრუნდა, რა თქმა უნდა, ქართული ეროვნული სამუხუუმო სიმდიდრის ერთს ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს მუხუუმში დაცული მასალა საკმაო იყო იმისათვის, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა საზოგადოებისათვის ქართველი ხალხის შემოქმედებითი ენერჯის დონე.

მუხუუდავად ამისა, მაინც ის ძველები, რომელიც ჩვენ საზღვარგარეთ გვევლებოდა, კვლავ ყურადღების ცენტრში იყო, როგორც მანამდე. მხოლოდ ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამ ძველების საკითხი რადიკალურად გადაწყდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხის შეიარაღებულმა ძალებმა, მისმა სახელუანმა ნიეთლმა არმიამ დაამხვეს ტრანია ვეროპაში და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას ახალი მტკიცე დასაყრდენი შეუქმნეს. სწორედ ამიტომ არის, რომ საკითხი, რომელიც წინათვე იდგა, გადაწყვეტილ იქნა მხოლოდ 1944 წლის ნოემბერში. ამრიგად, ის ზიფათი, რომელიც ქართველი ხალხის კულტურული სიმდიდრის ამ უჭირფასეს ძველებს დამოკლეს მათელით თავს დაკიდული ქქონდა, ეს ზიფათი სამუხუუმო მოიხსნა. ზიფათი კი ძალიან დიდი იყო. თავის დროზე დაინერება ამის ისტორიაც. ეს ზიფათი ამ ძველებს დარაჯობდა ყოველ მხრიდან მათი საქართველოდან გატანის პირველ დღიდანვე.

აღსანიშნავია, რომ თუ 1944 წლამდე, წინა წლებში, ეს ძველები მეტ-ნაკლებად გადაურჩა სრულ განადგურებას, ამასი პირადი დამსახურება უთოვდ მოძღვლის პროფესორ ქვეთიმე თაყაიშვილს, რომელიც ძველებს თავიდანვე თვალყურს ადევნებდა.

1945 წლის დამდეგს საზღვარგარეთ მივლინებულ იქნა საბჭოთა მთავრობის სპეციალური კომისია აიხ. პ. შარაის მეთაურობით, რომელმაც ჩაატარა დიდი მოსამზადებელი სამუშაო და ძველები, რომელიც ჩვენს განქარვულებაში იმყოფება, საქართველოში ჩამოიტანა.

ამ განძეულობაში, რომელიც ამჟამად ჩამოიტანა, წარმოდგენილია სამუხუუმო ქსპონატების თითქმის ყველა სახე - არქეოლოგია, ფეოდალური ხანის ხელოვნება, მე-19 საუკუნის ქართული ხელოვნება, ეთნოგრაფია, ხელნაწერი ნიგნები, ხელნაწერი საბუთები, ძველი ნაბეჭდი ნიგნები, ქსოვილები,



ნუმიზმატიკური კოლექციები, სურათები და სხვ.

მოკლედ ცალკე კოლექციების შესახებ. არქეოლოგიური კოლექციები. პირველ რიგში უნდა აქ დასახელებულ იქნეს ახალგორის განძი. შემთხვევით აღმოჩენილი ამ საუკუნის დამდევს ახალგორის რაიონში (ქანის ხეობა) და ნანილობრივ გადარჩენილი დალუპვას. ეს კოლექცია გამოცემული არის ცნობილი რუსი მკვლევარის იაკობ სმირნოვის მიერ. ახალგორის არქეოლოგიური განძი არის საქართველოს ერთი უდიდესი განძთაგანი. ამიერიდან საქართველოს ძველი ისტორია, კერძოდ ხელოვნების ისტორია საქართველოში, მუშუდებელია დაინეროს ისე, რომ იქ დიდი ადგილი არ დაეთმოს ამ ნივთებს. ეს ის ნივთებია, რომლებსაც გარკვეული ადგილი უჭირავს ხელოვნების განვითარებაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე და რომელნიც ქმნიან შუალედ საფეხურს თრიალეთის შესანიშნავ ძეგლებსა და არმაზისდროინდელ ძეგლებს შორის. თარიღდება ეს ძეგლი 6-7 საუკუნით ქრისტეს წინ.

საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე მთელი რიგი სხვა კოლექციებიც დაუბრუნდა საქართველოს. ასეთი გახლავთ სტეფან-ნინინდის კოლექცია, წარსული საუკუნის 70-იან წლებში აღმოჩენილი; შესანიშნავი ნივთები სარგვეშიდან, ქსანდან. გარდა ამისა, მთელი რიგი ნივთები მცხეთისა და მცხეთის რაიონიდან და აგრეთვე ნივთები, რომელთა წარმოშობა კარგად ცნობილი არ არის. დაბრუნდა აგრეთვე რიგი კოლექციები, რომელთა თვისი წარმოშობით არ ეკუთვნიან საქართველოს, მაგრამ დიდ შენაძნადა უნდა ჩაითვალოს ჩვენი მუზეუმ-საცავებისათვის იმიტომ, რომ მათ გარკვეული კავშირი აქვთ ჩვენს ძეგლებთან. ასეთი გახლავთ პანტიკაპის (ქვლანდელი ქერჩი) შესანიშნავი კოლექცია. შემდეგ სოფელ ნეკაროსკიდან (ჩრდ. კავკასიაში), დიგორიდან (ჩრდ. ოსეთში) და სხვ.

იმუთათი სიმდიდრით არის წარმოდგენილი ჩამოსული კოლექციები ნუმიზმატიკიდან. დაბრუნდა რიგი ფონდები; ასეთი გახლავთ ენისკოპოს კიორონის კოლექცია, შემდეგ დიდი კოლექცია, რომელიც შეიცავს 74 ჯგუფს 3760 მონეტით. ამათგან მხოლოდ ქართულია 368, მათ შორის ოქროს - 4, ვერცხლისა - 29 და სპილენძისა - 335. კიდევ ერთი დიდი კოლექცია 37 ჯგუფის შემადგენლობით, რომელიც შეიცავს 5546 მონეტას. ამათგან მხოლოდ ქართულია 3643 ცალი. 271 ვერცხლისა და 2372 სპილენძისა. ლონგინოვის კოლექცია, 678 მონეტის შემცველი, მათ შორის 219 ვერცხლისა, 459 სპილენძისა. ბეერიან ძალიან იმუთათი და უნიკალური. არის კიდევ ცალკე უფრო პატარა ფონდები. სულ დაუბრუნდა საქართველოს მუზეუმებს 10 000-მდე მონეტა. ასე რომ, ამ მხრივ ჩვენი მუზეუმები კვლავ უფრო ძლიერი მუზეუმები იქნებიან.

შესანიშნავი ძველი არქეოლოგიური ძეგლი ფეოდალური ხანის და ფეოდალური ხანის დროის ძველი ნივთები, კერძოდ, ოქრომჭედლობის ძეგლები.

დაბრუნდა ზოგიერთი ისეთი ძეგლი, რომელიც ნამდვილ საიამავეს წარმოადგენს ჩვენსა და განუმორებელია. ასეთი გახლავთ თამარ მეფის გულსაკიდი (ველის) ჯვარი თავის ბუდეში; ოქროს ჯვარი სამღვდელმთავარო, მინანქრიანი, ძვირფასი თვლებით მე-8-9 სს. დათარიღებული; ასეთივეა ჯვარი მინანქრიანი მე-10-11 სს. დათარიღებული; პანაგია მინანქრიანი მე-11 საუკუნისა; ზიქონის ლეთის-მშობელი, ოქრომჭედილი, ლევან დადიანის შეკვეთით გაკეთებული 1568 წელს; ლეთის-მშობელი, ოქრომჭედილი, მინანქრით, ალექსანდრე იმერთა მეფისა შეკვეთით გაკეთებული 1730 წელს; ჭედური ჯვარი, წარწერა იხსენიებს დავით მეოთხეს სრული ტიტულით; მეჭურჭლეთუხუცესის აბუსალანის წარწერიანი ხატის ფრაგმენტები; ოქროსი კარელი, ოქროს ხატი ნაცხოვრისა; გამოსატანი ჯვარი მე-10 საუკუნისა; ქართული ათონური ჯვარი, ქანდაკება ხეზე; სახელგანთქმული მინანქრის ხატი, გემ-ოქმედიდან; დავით შესამის, კურაპალატის ჯვარი წარწერით; წმინდა მამას რელიეფური გამოსახულება ვერცხლის დისკოზე გელათიდან; ალექსანდრის ოთხთავის ყდა, ჭედური, მინანქრიანი. შესანიშნავი ძეგლები ჩვენი სახელგანთქმული ოსტატებისა, ბექა და ბემქენ ოპიზარებისა; წყაროსთავის ოთხთავის ყდა, ბექა ოპიზარისა; ბერთის მოთხაის ყდა, ბემქენ ოპიზარისა; დავით მეოთხის, აღმაშენებლის ჯვარი, წარწერით და აუარბული სხვა ძეგლები. ამათ შორის სპეციალურად უნდა დავასახელო შესანიშნავი კოლექცია ქართული სუფრის ტურქლისა, უბთავრესად ვერცხლეთულის; განსაკუთრებით ბლომად მოდის ისინი სამეგრელოს მთავართა ოჯახიდან (უპირატეს - დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ასულისეული. სიტყვამ მოიტანა და უნდა მოგახსენოთ: საერთოდ დავით და ეკატერინე დადიანების ოჯახი წარმოდგენილი უაღრესად საყურადღებო სამუზეუმო ექსპონატებით, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვიფიქროთ დიდი ქართველი ფეოდალის ოჯახი, ერთადერთი თითქმის იმ ოჯახთა შორის, რომელიც მეტ-ნაკლებად დაურბეველი გადარჩა).

ჩამოვიდა რიგი ნივთები, რომელნიც ცნობილ ისტორიულ პირებს ეკუთვნიან. ასეთი გახლავთ ბატონიშვილ ალექსანდრეს, ერეკლეს ძის, ხანჯალი; ბატონიშვილი გიორგის, ერეკლეს ძის თასა; ერეკლე II-ის ხმალი; სოლომონ ლიონიძის ხმალი; ალექსანდრე ბატონიშვილის ხმალი; იმერეთის მეფის დავითის მახვილი; ალექსანდრე ბატონიშვილის თოფი; ერეკლე II-ის თოფი; სოლომონ მეფის თოფი; ვერცხლის სურა ვახტანგ ბატონიშვილისა; აგრეთვე ჩვენს ნივთებში გამოიჩინა



ზოგი რამ კუთვნილი რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის და მისი მემკვიდრისა.

მდიდრად არის წარმოდგენილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და პირთა არქივები. კერძოდ, ძალიან მდიდრულად არის წარმოდგენილი აკაკის ნიუტები, განსაკუთრებით ის ნიუტები, რომელნიც მიერთმეფიათ მისი ნიჭის თავყვანისმცემლებს საოუზილო ზომზე აქ არის აგრეთვე ნიუტები იაკობ გოგებაშვილისა, ალ. ხახანაშვილისა და სხვ.

ხელთნაწერები და ძველნაბჭები ნიგნები რიცხვით დიდათ ჩამორჩება სხვა განძულულობას, სულ რაღაც ექვსი ათეულია, მაგრამ ამ ხელთნაწერებში არის ისეთი, რომელთაც კოლოსალური მნიშვნელობა აქვთ ჩვენი წარსული ისტორიისათვის. ჩამოვიდა ვეფხისტყაოსნის ძველი და ყველასათვის ცნობილი ხელნაწერები, მათ შორის №46 ნლისა; გადანერილი მამუკა თავაქარაშვილის მიერ მფეფ გიორგის შეკვეთით №80 ნელს; მდიდრულად შემკული ავეფხისტყაოსანი¹ №71 ნლისა.

ჩამოვიდა რიგი ოთხთავები. ზოგი მათგანი ეკუთვნის უძველესი ჩვენი ოთხთავების (ე. ი. სახარების) რიცხვს. ასეთია ქსნის ოთხთავი 1054 ნლისა, მინიატურით, ოთხთავი №92; ყანაყანისათვის №405; ურბნისისა მე-11 საუკუნის; ტბეთისა მე-12 ს.; წყაროსთავისა მე-12 ს.; ბერთისა მე-12 ს.; გელათისა მე-11 ს.; ათაბაგისეული მე-14 საუკუნისა.

დავივირუნდა პროლე დიადოხოსის „ავემორნი“, ოიანე პეტრიწის თარგმანი, უძველესი ნუსხა. დაბრუნდა ჩვენი კულტურული სიმდიდრის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი — მიქელ ნოდრეკილის საგალობელი; დიდი სჯულის კანონის ხელთნაწერები: არსენ იყალითოელისეული თარგმანი, მე-13; მე-14 ს. ექვთიმესეული 1028 წ. 1758 წ. ეფრემ მცირის თარგმანთა კრებული მე-11-12 ს. ვახტანგ მეექვსის სჯულის ნიგნის საყურადღებო ხელთნაწერები, რომელთა რაჭის ერისთავისეული 1751 ნლისა. შემდეგ კიდევ ერთი ხელთნაწერი №41 ნლისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ამ სელთნაწერებში იქცევენ ისინი, რომელნიც შემკულნი არიან სურათებით. ზოგი მათგანი შეადგენს ხელუწერების უფირფრას ძეგლს. ასეთია სეონასთავისათვის №648, 1030 ნლისა, მინიატურით. რიგი მინიატურები ამოჭრილია, დარჩენილი 87 მინიატურა უმესანინავეთი ძველთავანი ვახლათ ამ რიგისა.

მე-12 საუკუნის ოთხთავიდან ცალკეულად მენტებია; XI მინიატურა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკე ამოჭრილი; ოთხთავი №92, 1054 წლის; მინიატურებით და ასოებით; ყანაყანის ემნეულანი და ოთხთავი; ურბნისის სახარება მე-11 ს.; ალავერდის ოთხთავი მე-16 ს.; ქვევის ოთხთავი მე-17 წ.; ალავერდის ოთხთავი 1053 წ., აგრეთვე მდიდრულად შემკული; წყაროსთავის ოთხთავი მე-12 ს.; ბერთის ოთხთავი მე-12 ს.; გელათის სახარება მე-11 ს., ერთ-ერთი უფირფრასეი ქართულ დასურათებულ ძველთავანი; ათაბაგისეული ოთხთავი 1504 ნლისა; თეთრონის დავითნი — ფსალმუნი, მე-13 ს., საყურადღებო მინიატურით; გულანი №342, №61 წ.; მოქვის ოთხთავი 1300 ნლისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი დაზიანებულია, ის რჩება როგორც ერთი შესანიშნავი ძველთავანი ქართულ ხელთნაწერებში. მოქვის ოთხთავი ღრმესანიშნავი იმით, რომ ის განასაზღვრულია ყოველმხრივ, დათარიღებულია. ცნობილია მისი შემკვეთი, ადგილი შესრულებისა. გარდა ამისა იმით, რომ ის შესრულებულია მამონ, როდესაც საქართველოს ნახევარსაუკუნეზე უფრო ხანგრძლივ ჰქონდა გამოილილი მონღოლთა ბატონობის ქვეშ და ეს ძეგლი მჭერმტყველურად მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორ გრძელდებოდა ჩვენი კულტურული შემოქმედება, როგორ შეინარჩუნა ხალხმა მისი მაღალი დონე ამ უშიშეს და უძნელეს პირობებში.

ის, რაც მე თქვენ მოგახსენეთ ახლა, არის ერთი პატარა ნაწილი იმისა, რაც შეიძლება ითქვას ამ ძეგლების შესახებ. ნაწილობრივ ეს ძეგლები უკვე იყო თავის დროზე პირველადი მეცნიერული პუბლიკაციის და მსჯელობის საგანი, მაგრამ მათი სრული შესწავლა მხოლოდ მომავლის საქმეა. ჩვენ აქ იმის საშუალება არ გვქონდა, რომ ისინი ჩამოგეთვალა, და ამას არც აზრი ჰქონდა.

ზოგი ხელთნაწერი დაბრუნდა დიდად დაზიანებული, ზოგიერთი დაშალა, მხოლოდ მათი ყდები გადარჩენილა. თუ სად, რა პირობებში მოხდა ეს, ამის შესახებ მე არაფრის თქმა არ შემიძლია. ეს გახლავთ ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გესურდა ნაგვემდღეარებინა წინ, ძეგლების დათვლიერებაში. ძეგლების დათვლიერება კი ჩვენი ინტელიგენციის სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არის მოწყობილი...



თბილისი, რაჭობის რაიონის
რაჭობის რაიონის
აღმაშენებლის რაიონის

ღვანულადი მახეობი

ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილ წარმომადგენელს, არქეოლოგიურ კვლევის ცენტრის დირექტორს, საქართველოს სახელმწიფო და პუბლიკის პრემიების ლაურეატს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძეს 70 წელი შეუსრულდა. მიზანდასახულ და მულტიმედიულ პროექტში თვალდახეხვითაა გაილია თითქმის ნახევარი საუკუნე... ჩვენდა სასიხარულოდ, იგი ჯერ კიდევ მარაგა და შრომის სურვილით ანთებული, შემართებით დგას ქართული არქეოლოგიური მეცნიერების საქმისათვის და ამოუწურავი ენერჯითაა შესაძლებლობებით კვლავაც განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ოთარ ლორთქიფანიძე დაიბადა 1930 წლის 30 ოქტომბერს, თბილისში, ცნობილი მკურნალის დავით ლორთქიფანიძის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. მზრუნველმა და სათნო დედამს – პარასკევა ამამუკელმა, რომელიც გამოირჩეოდა მალალი პრინციპულობით, დიდი გავლენა იქონია ერთადერთი ვაჟის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე.

სამშალს სკოლის წარწინებით დამთავრების შემდეგ, 1948 წელს, იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე. მან პირველი კურსიდანვე მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა, შრომისმოყვარე და უაღრესად მოწესრიგებულმა ახალგაზრდამ. ქართული მეცნიერებისა და განათლების ტრადიციის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში მიამყვდა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდების დიდი ტალღა. 40-50-იან წლებში იქ სწავლობდა მრავალი ნიჭიერი სტუდენტი, რომელთაგან ბევრი დღეს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერია და სათავეში უდგას არაერთ სამეცნიერო დამსჯებულს. მით უფრო აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიანტი ოთარ ლორთქიფანიძე უნივერსიტეტში სწავლის დროს სათავეში უდგას არა მარტო ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეს, არამედ თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1953 წელს იგი დატოვებული იქნა საქართველოს

ისტორიის კათედრის ასპირანტად ანტიკური ხანის ისტორიისა და არქეოლოგიაში მოსამზადებლად. აქ მისი ხელმძღვანელი გაბლდათ ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც ნიჭიერ ახალგაზრდას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიაცვია ყურადღება. ბატონი სიმონის ხელმძღვანელობით იგი შეუდგა ანტიკური ქვეყნების ისტორიის და ბერძნულ-ლათინური ენების შესწავლას. 1955 წლის იანვრიდან ოთ. ლორთქიფანიძე მიაღწინეს პეტერბურგის უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის დასამთავრებლად. იქ ცნობილი მეცნიერების ქ. კოლობოვასა და ვ. გაიდეკეიჩის ხელმძღვანელობით, საფუძვლიანად გაიღრმავა ცოდნა ანტიკური ქვეყნების ისტორიისა და არქეოლოგიაში.

სტუდენტობის და ასპირანტურაში ყოფნის წლებში ოთ. ლორთქიფანიძე მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში, ყორიში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში, სოხუმიში, ლიხვის ხეობაში, ხოლმე და სხვ., რამაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას პროფესიონალ საეულე მუშაკად.

1957 წლის დასაწყისში იგი მიიწვიეს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც კითხვობდა სპეცკურსს „ანტიკური ხანის საქართველოს ისტორია და არქეოლოგია“. 1957 წლის ბოლოს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურ განყოფილებაში, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1958 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა ქ. მცხეთაში ახ. წ. II-II საუკუნეებში“. ოფიციალურმა ოპონენტებმა, მათ შორის პეტერბურგიდან მოწვეულმა პროფ. ვ. გაიდეკეიჩმა, მალალი შეფასება მისცეს სადისერტაციო ნაშრომს და დიდი წარმატებები უწინასწარმეტყველეს დამსჯებ მეცნიერს.

1960 წელს იგი ისტორიის ინსტიტუტში დაინიშნა უფროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ დროიდან იგი ზედიზედ აქვეყნებს ნაშრომებს კლხეთისა და იბერიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე. 1965 წელს იგი მიიწვიეს კლხიკური ფილოლოგიისა და ისტორიის მსოფლიო კონგრესზე უნგრეთში (ბუდაპეშტში), სადაც



მისმა მოხსენებამ „კოლხეთის საეპრო-
ეკონომიკური და კულტურული ურთიე-
რობები ანტიკურ სამყაროსთან ელინისტურ
ხანაში“ დიდი ინტერესი გამოიწვია. დასავლ-
ეთის სამეცნიერო ცენტრები ინტერესდები-
ანთ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო საქმი-
ანობით. 1967 წელს პოლონეთში იბეჭდება მისი
ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიაზე
აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული კულტურის
ძეგლები, ხოლო გერმანიაში – ვრცელი
სტატია „საქართველოს ტერიტორიაზე
აღმოჩენილი ბრინჯაოს იტალიური ნაკეთო-
ბანი“. 1966 წელს შესანიშნავი ნაშრომისათვის
„ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო“
მას ერთხმად მიენიჭა ისტორიის მეცნიერე-
ბათა დოქტორის წოდება, ხოლო 1969 წლიდან
ოთ. ლორთქიფანიძე თბილისის სახ. უნივე-
რსიტეტის პროფესორია.

1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით იგი
დაინიშნა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტო-
რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამ-
ეცნიერო ნაწილში. 1973 წელს ოთარ ლორთქი-
ფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიური
საზოგადოების საპატიო წევრად. 1973 წელს
ესე მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ვანის
არქეოლოგიური ძეგლების და პალეოურბანი-
სტული კვლევის ლაბორატორია, სადაც მან
გარშემოიკრიბა თანამოაზრეთა და მოწაფე-
ეთა მძლავრი ჯგუფი. ამ განყოფილებაში
დღევანდელი იუბილარის ხელმძღვანელო-
ბით, როგორც ეტილაონურმა სამეცნიერო
უჯრედმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა
ქართული არქეოლოგიური სკოლის შემდგომ
აღმავლობაში. 1977 წელს ისტორიის, არქეო-
ლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ოთ.
ლორთქიფანიძის ინიციატივით ჩამოყალიბ-
და არქეოლოგიური კვლევის ცენტრი,
რომლის ხელმძღვანელობაში იგი დღემდე
გვეყვინება. შეიძლება ითქვას, რომ აქედან
იწყება ახალი ეტაპი ქართული
არქეოლოგიური მეცნიერების განვითარება-
ში.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი მისი
ხელმძღვანელების მეთაურობით მართლაც გახ-
და საქართველოში ნამყვანი სამეცნიერო
უჯრედ არქეოლოგიის დარგში. იგი ასრულე-
ბს ახალ მშენებლობებთან დაკავშირებულ
უდიდეს საეველ საშუალებებს. მარტო იმის აღ-
ნიშვნა კმარა, რომ უოველწლიურად ველზე
გადიოდა ცენტრის თანამშრომლებით
დაკომპლექტებული 40-მდე ექსპედიცია. პა-
რალელურად დაიწყო მოპოვებული მას-
ალისა და მის საფუძველზე შექმნილი ნაშრო-
მების ფართო პუბლიკაცია. თუ რამდენად
შთაბეჭდავია ამ მხრივ მიღწეული წარ-
მატებები ამას მოწმობს თუნდაც ცენტრის 20
წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილი
სტენდი, რომელზეც ასახულია ცენტრის

თანამშრომელთა მიერ განკეთებული სამუ-
შაოების დასტავი ბული ნაშრომები და საქმი-
ანობის სამუშაოების ამსახველი რეკონსტრუქცი-
ბლად უნდა ითქვას, რომ ამ მართლაც
ტიტანური შრომის ორგანიზატორი და სულის
ჩამდგმელი იყო ოთარ ლორთქიფანიძე,
რომელიც უაღრესად პრინციპულობითა და
მომთხოვნელობით შთააგონებდა და შთააგ-
ონებს ცენტრის თითოეულ თანამშრომელს
აღეცხატურ საქმიანობას.

1978 წელს იგი აირჩიეს კლასიკური არქე-
ოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის
(რომი) პრეზიდიუმის, ხოლო 1980 წელს –
გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წევ-
რად. მანამდე ეს პატივი ქართველ მეცნიე-
რთაგან წილად ხუდა მხოლოდ გრიგოლ
ფელიძისა და ნურეთელს, ხოლო არქე-
ოლოგთაგან ბ. რიბაკოვსა და ბ. პოტროვ-
სკის.

ო. ლორთქიფანიძის მეცნიერულ და საზო-
გადოებრივ საქმიანობაში განსაკუ-
თრებულე ნაყოფიერებით გამოირჩეოდა 80-
იანი და 90-იანი წლები. მარტო 1983-1984 წლე-
ბში შესრულებული სამუშაო და გამო-
ქვეყნებული ნაშრომები, რისთვისაც მას საქა-
რთველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია
მიენიჭა, აღბათ საქმიანობა იქნებოდა ერთი
მეცნიერისათვის მთელი სიცოცხლის მა-
ნიფილზე. სწორედ ამ წლებში აირჩიეს იგი მაღ-
რიდის სამეფო აკადემიის, რომაულ-
გერმანული მუზეუმის საპატიო წევრად,
ანტიკური შაიზღვისპირეთის სამეცნიერო
კომიტეტისა და კლასიკური მითოლოგიის
იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორი-
სო სამეცნიერო საბჭოს წევრად და სხვა.

1990 წელს, დაბადების 60 წლისთავთან და-
კავშირებით, რუსეთის მეცნიერებათა აკადე-
მიის ფურნალში გამოქვეყნდა მისი
დაიბეჭდა მისდამი მიძ-
ღვნილი წერილი, რაც კიდევ ერთხელ მოუთი-
თებს მის ოფიციალურად აღიარებას საერთ-
აშორისო დონეზე.

1977 წელს მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის დადგენილებით
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი გამოეყო
ისტორიის ინსტიტუტს. ოთ. ლორთქიფანიძე
ერთხმად იქნა არჩეული მის დირექტორად.

1987 წლიდან იგი უცვლელი თავმჯდომარე-
თა არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან
არსებული სამეცნიერო ხარისხების
მიმნიჭებელი საბჭოსი, სადაც დაყულისა მრავ-
ალი ათეული დისერტაცია არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის დარგში.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს,
ოთ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო და საზო-
გადოებრივი საქმიანობა გამოირჩევა უაღრ-
ესად დიდი მრავალფეროვნებით. მას გამო-
ქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნა-
შრომი, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფია
მეტად ძნელია ერთ წერილში სრულყოფილად



ნარმოზნდეს მისი მოღვაწეობის ყველა მხარე. აქ მხოლოდ, ჩვენი აზრით, რამდენიმე მთავარ მიმართულებას შევვებებით.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლხეთისა და იბერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების კვლევას, რომელსაც მიუძღვნა მისი შრომები ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. ამ ნაშრომებში ძველი ქართული, ბერძნულ-ლათინური და სხვა წყაროების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და უაღრესად მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლების ანალიზის საფუძველზე განხილულია პირველი ქართული სახელმწიფოების კოლხეთისა და იბერიის სამეფოების წარმოქმნის დროისა და პირობების, საზოგადოებრივი წყობის, ქალაქების პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის, მათი ფუნქციონალური და ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის შესანიშნავი და სანიშნავი მავალითა წარმოადგენს მისი გამოკვლევები იბერიისა და კოლხეთის ხელოსნური წარმოების შესახებ. კოლხური ტრადიციის, ოქრომჭედლობისა და ლითონის ნაწარმის ტიპოლოგიური, მხატვრულ-სტილისტური და ტექნოლოგიური ანალიზის საფუძველზე პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ უჩვენა ხელოსნური წარმოების ძირითადი ფორმების უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში, რაც დაფუძნებული იყო კოლხური კულტურის უფრო ძველ ტრადიციებზე. ამგვარად, მან საერთოკოლხური მოდელის ნივთიერი კულტურის შექმნა განიხილა, როგორც შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირების და ეკონომიკური ერთობის გამოვლინება. ავტორის აზრით, სწორედ ამაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური კონსოლიდაცია.

არანაკლებ საყურადღებოა ოთ. ლორთქიფანიძის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება კოლხურ საზოგადოებაში ურბანიზაციის პროცესს. არქეოლოგიური ნივთების და კომპლექსების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე მან ახლებურად წარმოაჩინა ქალაქნარმოქმნისა და საქალაქო ცხოვრების არაერთი მხარე. ამ მიმართებით კვლევაში განსაკუთრებულია ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალების მნიშვნელობა.

ოთ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხების კვლევას. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სტატიებსა და მონოგრაფიებში განხილულია ბერძნულ-რომაული სამყაროს საეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ძველ საქართველოსთან ქრისტეობამდე II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ქრისტეობამდე N-V საუ-

კუნეებამდე. გამოყოფილია კომპლექსური ბათა ძირითადი ეტაპები: ბერძნული, რომანი, ატიკური, კლასიკური და რომაული. ნერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ახლებურადაა განხილული აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის თავისებურებანი. მოცემულია დიდი ბერძნული კოლონიზაციის (VIII-VII სს.) ტიპოლოგიური მოდელირების ახლებური თვალსაზრისი ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავი ზღვისპირეთისათვის. განსაზღვრულია კოლხეთის (და მთლიანად საქართველოს) მინა-წყალზე აღმოჩენილი იმპორტული ნივთების სანარმოო კერები, ქრონოლოგია და ჩვენში მათი არეალი. ჩვეული სიღრმითაა განხილული კოლხეთის ზღვისპირეთისა და შიდა ქალაქების - ფასების, დოსკურის, გიენისის, ქუთაისის და სხვათა - ლოკალიზაციის და ქრონოლოგიის საკითხები, კოლხეთის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი კოლხური კერამიკის და სხვა ნივთების საფუძველზე გამოქვეყნულია კოლხეთის ატიკური როლი ანტიკურ სამყაროსთან საეკონომიკურ ურთიერთობაში, განსაზღვრულია საქართველოს და ამიერკავკასიის საეკონომიკურ ურთიერთობაში, გამოქვეყნულია ელინისტური კულტურის გავლენის თავისებურებანი საქართველოს ხუროთმოძღვრებაზე, ტორეუტიკაზე, კერამიკაზე და კრძალვის ნესებსა და სულიერ კულტურაზე; მოცემულია ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის, აგრეთვე ძვირფასი ლითონების მოპოვების და დამუშავების ძირითადი კერების განსაზღვრის ცდა; ნერილობითი და არქეოლოგიური მასალების ურთიერთმეჯერებით გამოქვეყნულია თვალსაზრისი, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ფართოდ ასახული კოლხეთი რეალური სინამდვილის ანარეკლია, რომ კოლხეთი გვიან ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანაში წარმოადგენდა მეურნეობრივად დაწინაურებულ მაღალი კულტურის არეალს, რამაც განაპირობა კიდევაც ანტიკურ სამყაროსთან ამ რეგიონის ურთიერთობის თავისებურებები.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ უაღრესად საყურადღებო მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა საქართველოში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის შესწავლას. იგი, შეიძლება ითქვას, არტეფაქტების ამეტყველების უბედლო ოსტატია. ჯერ კიდევ 1972 წელს გამოცემულ ნიგნში ძველი კოლხეთის კულტურა განხილულია როგორც ანტიკური ხანის საკუთრივ ძველქართული მატერიული კულტურის და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ასევე საქართველოში მოხვედრილი ბერძნულ-რომაული კულტურის ძეგლები. საერთაშორისო მასშტაბითაა ცნობილი მისი გამოკვლევები ვანში აღმოჩენილი კოლხური



ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლების შესახებ, რომელთა მხა.კერულ-სტილისტური ანალიზისა და ფართო სტრუქტურულ-ტოპოლოგიური შედარებითი მეთოდის გამოყენებით შეკვლეარმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ქვისტემომამდე VI-IV-საუკუნეთა კოლხეთში არსებობდა მხატვრული ოქრომჭედლობის მძლავრი და თვითმყოფადი კერა თუ კერები, სადაც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით იქმნებოდა მხატვრული ხელოვნების შედეგები. ეს გამოკვლევები დღეისათვის მრავალ უცხოურ ენაზეა თარგმნილი. საერთაშორისო აღიარება ზედა ნილადა მის გამოკვლევებს ანტიკური კულტურისა და ხელოვნების იმ ძეგლისა შესახებ, რომელიც საქართველოშია აღმოჩენილი. ანტიკური კულტურის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ პროფ. ოთ. ლორთქიფანიძეს საშუალება მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის შეექმნა პირველი სახელმძღვანელო „ანტიკური არქეოლოგია“, რომელიც თავისი მიზანდასახულობით და შინაარსით არსებითად განსხვავდება ევროპულ ენებზე შედგენილი სახელმძღვანელოებისაგან, რომლებიც ძირითად ყურადღებას ანტიკური ხელოვნების ძეგლებს უთმობენ.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიის ამ ეტაპზე ერთგვარ დამაგვირგვინებელ ნაშრომს წარმოადგენს კაპიტალური მონოგრაფია „ძველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც ვერ რუსულად, ხოლო შემდგომ ბულგარულ და გერმანულ ენებზეა გამოქვეყნებული. ამ შესანიშნავმა ნივნამ, რომელსაც თან ერთვის უმდიდრესი ბიბლიოგრაფია, უმაღლესი შეფასება დამისახურა ევროპის ნამყვანმა მეცნიერების მხრივ და დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. ამ მონოგრაფიამ გარესსამყაროს ერთხელ კიდევ დააჩინა ქართული არქეოლოგიური სკოლის მონიფულაობა. იგი სამავადო ნივანად იქცა არამარტო კავკასიაშიცოდნეთათვის, არამედ გაცილებით ფართო სამეცნიერო წრეებისათვის.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის ნაშრომები გამოქვეყნებულია რუსეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ირანში, ბულგარეთში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში. მას განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს დამყარებული გერმანიის და საფრანგეთის სამეცნიერო ცენტრებთან, სადაც სისტემატურად იბეჭდება მისი ნაშრომები.

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დღევანელი ვანის ნაქალაქარის გათხრებისას მოპოვებული მასალების გამოქვეყნების საქმეში. ამჟამად გამოცემულია ამ სერიის 9 ტომი. გამოსაცემადმა მზად მომდევნო ნივანებიც ეს განხლავთ არქეოლოგიური ძიებისადმი მიძღვნილი აკადემიური გამოცემა,

რომელიც იმის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ დროულად და რა დონეზე უნდა ქვეყნდებოდეს არქეოლოგიის ნაშრომები.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის თეორიისა და მეთოდის საკითხების კვლევაშიც. სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა ნაშრომმა „არქეოლოგიაში სტრუქტურულ-სისტემატური ანალიზის შესახებ“. მან და მისმა თანამშრომლებმა პირველად ქართულ ენაზე შექმნეს კოლხური კერამიკის სტრუქტურულ-ტოპოლოგიური აღწერის სისტემა, რომელიც „ენის“ სერიის V ნივანში დაბეჭდა.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ბოლო წლებში ცენტრის სამეცნიერო პროგრამების დაფინანსების შეკუთრად შემცირებია, მან საოცარი შრომისმოყვარეობით, მეცნიერული პრობლემატიკის სწორი შერჩევით და ცალკეულ შეკვლევართა პოტენციური შესაძლებლობების მარჯვე გამოყენებით მოახერხა არა თუ 80-იანი წლების ტემპის შენარჩუნება ცენტრის სამეცნიერო საქმიანობაში, არამედ შეძლო კიდევ უფრო მრავალფეროვანი პროგრამების განხორციელება. კერძოდ: დაიწყო და გრძელდება საქართველოს არქეოლოგიის რეატომულის გამოცემა; დასრულდა ქართული არქეოლოგიური განმარტებითი ლექსიკონის გამოსაცემად მომზადება; გრძელდება მუშაობა საქართველოს არქეოლოგიურ ატლასზე, რაშიც ჩაბთვლია ცენტრის თანამშრომელთა დიდი ნაწილი; დასასრულს უხალოდება „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ-არქეოლოგიური კომენტარების გამოსაცემად მომზადება; დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი „ძიებანი“, რომლის ხუთი კრებული უკვე გამოქვეყნებულია; სისტემატურად ეწყობა „არქეოლოგიური საუბრები“, რამაც საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. შედევრე ჩატარდა საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობათა ისტორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელმაც ბოლო წლებში საერთაშორისო ხასიათი შეიძინა.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე არის ინიციატორი და ორგანიზატორი საერთაშორისო სიმპოზიუმებისა, რომელიც ეძღვნება შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის და არქეოლოგიის ურთულეს პრობლემებს. ამ სიმპოზიუმების მუშაობაში, რომლის 9 შეკრება უკვე ჩატარებულია ნეალტუბოსა და ვანში, აქტიურად მონაწილეობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, ევროპისა და ამერიკის გამოჩენილი მეცნიერები. ამ სიმპოზიუმების აქტივი სისტემატურად იბეჭდება საქმად დიდი მოცულობის ნივანების სახით, რომლის უცვლელი რედაქტორიც ჩვენი

იუბილარია. აღსანიშნავია, რომ ამ სიმბოზიუმის ერთ-ერთი ბოლო წიგნთაგანი იბეჭდება პარიზში თანამედროვე ფრანგული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის პროფ. პიერ ლევეკის თანარედაქტორობით.

თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი პროფ. ოთ. ლორთქიფანიძეს პოპულარულ-სამეცნიერო ლიტერატურის შექმნაში. ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი მისი წიგნები და სტატიები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. წიგნები დიდი ბერძენი მოქანდაკის ფიდიასის და ვანის ნაქალაქარის შესახებ სარგებლობს მკითხველთა დიდი მონონებით. უზარმაზარი შრომა აქვს განუვლი იუბილარს შედგაგოგიურ ასპარეზზეც. 43 წელია იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს კურსს ანტიკური ხანის არქეოლოგიაში და ხელეწიერებაში. გარდა ამისა, მას ნაკითხული აქვს ლექციების კურსი პარიზის, ოსტონის, პარიზის, რომის, ათენის, მადრიდის და გერმანიის მთელ რიგ უნივერსიტეტებში. გერმანიაში გამოიცა მის მიერ ტიუბინგენის და კონსტანცის უნივერსიტეტებში ნაკითხული ლექციები „ძველი საქართველოს სტრატეგიაში“ და კოლხეთი და მისი ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან“.

პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე პირველი ქართველი არქეოლოგია, რომელმაც ფართოდ შეაღწეოდა ევროპის კარი და დასაუფლეთის სამეცნიერო საზოგადოებას საფუძვლიანად გააცნო ქართული არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევები. ეს ურთიერთობები დღეს ინტენსიურად ვითარდება. იუბილარს მხარში ამოუდგა უცხო ენების მცოდნე ახალგაზრდა მეცნიერთა მოზრდილი ჯგუფი და მეცნიერული კონტაქტები გადაიზარდა მჭიდრო თანამშრომლობაში, ერთობლივ ექსპედიციებში, ერთობლივი ნაშრომების პუბლიკაციებში.

ოთარ ლორთქიფანიძემ დიდი ამაგი დასდო არქეოლოგიაში მაღალკვალიფიცირებული კადრების აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით დაიკურსა 16 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. ამავე დროს, იგი ყოველთვის მკაცრად ადევნებს თვალყურს ცენტრის თანამშრომლების მეცნიერულ ზრდას.

ვითარცა არქეოლოგიის განხორციელების მცირე სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი, იგი პირუთენელი და მკაცრი შემფასებელია იმ მეცნიერული ნაშრომებისა, რომლებიც წლიური გეგმით თუ გეგმიგარეშე სრულდება ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებაში. თვალსაჩინოა მისი დამსახურება ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვის საქმეში. მისი ინიციატივით და ძალისხმევით მნიშვნელოვანი საკონსერვაციო და დაცვითი სამუშაოები ტარდება ვანის ნაქალაქარზე, ხოლო მის მიერ ეანში დაარსებული მუზეუმი, რომლის ექსპოზიცია სრულიად ახლებური პრინციპითაა გამართული, წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას და შენაძენს.

იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს წევრი. აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „ძველის მეგობარში“, რომლის არა ერთი ნომერი მისი რედაქტორობითაა გამოქვეყნებული.

ასეთია პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის არასრული ნუსხა, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ რა ტიტანური შრომა აქვს განუვლი მას თავისი მოღვაწეობის ამ ეტაპზე.

დღეს ქართული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოებრიობა ჩვენს სახელოვან იუბილარს იცნობს არა მხოლოდ როგორც ჩინებულ მეცნიერს და საზოგადოებრივ მოღვაწეს, არამედ როგორც პრინციპულ და მალაღზნებრივ მოქალაქეს. იგი სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოების ფართო წრეებში.

პირად ცხოვრებაში იუბილარი არის შესანიშნავი მეოჯახე, კარგი მეუღლე, მზრუნველი მამა და შესანიშნავი მეგობარი, ურთიერთობაში ხალისიანი და მეგობრული, ქართული სუფრის უებრო დამფასებელი და კარგი მომღვინი, ენამახვილი და სასამოეონი მოსაუბრე.

ჩვენ, მისი კოლეგები და მეგობრები, ვუსურვებთ იუბილარს – ქუმარიტ მამულიშვილს და დიდებულ მეცნიერს, უწყვეტ ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს, რათა კვლავაც დიდხანს ემსახუროს მეცნიერების უსაყვარლეს დარგს და მშობლიურ ქვეყანას.



ლენონის სიკვდილი

დავაღაპრიდან 60, გარდაცვალებიდან 20 წლისთავი

სამოციანელთა საესტრადო მუსიკა გაშენის თითქმის პირველივე დღიდან ყველასთვის ერთნაირად გასაგები და ხელშისაწვდომი აღმოჩნდა. ერთნაირად ააღელვა და ააფორიაქა უამრავი ადამიანის გული და გონება, თითქოს სულის ფსკერიდან ამოხაზა სიმარტოვისა და უმწეობის გრძობა, იქ, ხაესმოკიდებულ წყალივით, მძიმედ და უძრავად რომ იდგა. უცებ დაიპატარავა ჩვენი ისედაც პატარა პლანეტა, თანაც ვაცილებით ეფექტურად, ვიდრე ეს ზებჯერი თმა ავიაციამ თუ საერთოდ ტექნიკის უკანასკნელმა მიღწევებმა შეძლო. ბარდის კომპლექსმა სასიკეთო ეპიდემიასავით (თუკი ამ ორი ცნების ერთმანეთთან დაკავშირება შეიძლება!) მოიცვა მთელი კონტინენტები. მუსიკა საკონცერტო დარბაზიდან ქუჩაში გამოვიდა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფაში შემოაღწია თუ შემოიჭრა. ეს, რა თქმა უნდა, პროგრესული მოვლენა იყო, თუმცა ტრადიციული რიტუალის უარყოფამ – მუსიკის რიტუალი უყარს – შეცვალა აღწმის თავისებურებაც. მთელი თაობის მოულოდნელი, საერთო ამღერება ანა მარტო ერთნაირობის, არამედ სულიერი ნათესაობის სტიმულად გადაიქცა. ალბათ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ესტრადის, ერთი შეხედვით, საკეთრველი პარმონიული თანაარსებობა კლასიკურ მუსიკასთან, რამაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბევრი რამ, რაც ნამდვილია და თითქოს წარსულს ეკუთვნის, მარადიულიცაა, ანუ ყველა მომდევნო თაობისთვის – თანამედროვეც ბეთჰოვენის მგლოდნა ახალ სამყაროში უცნაური სახელითა და ბუნებრივობით აფერხდა, თუნდაც, სტენლი კუბრიკის ფილმში. შეიძლება ითქვას, კლასიკურმა მუსიკამ საერთოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ეპოქის მემამობის ბუნების ჩამოყალიბებაში, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია ნინა ეპოქების მემამობებთან. მისი რევოლუციონერობა პოლიტიკური ამბიციებით, პოლიტიკური რადიკალიზმით კი არ მტლავდებოდა, არამედ რევოლუციური ოცნებით, თუკი, რასაკვირვებია, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას ოცნებად წარმოვიდგენთ. ახალი ოცნება ახალი დროის უდიდესი მიღწევაა და, ამასთანავე, უდიდესი სისუსტეც იყო. მართლაც, მიღწევად შეიძლება მისი

მიჩნევა, თუკი, მხოლოდ და მხოლოდ, ეს-თეტიკური თვალსაზრისით მიეუფებოდით, ერთგვარ რომანტიკულ სწრაფვას გვეუთანებრებდით, მისი სისუსტეც კი, თუნდაც, იმ მარტივი მიზეზით აიხსნებოდა, რომ დროს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ, საერთოდ, დროის მიღმა იყო დარჩენილი და ამდენად რეალობის შეცვლას კი არა, აბსტრაგორულებას ცდილობდა. გოეთეს სიტყვები, რევოლუციონერ ღმერთის ხელი არ ურევიან, მთელი სიცხადით დადასტურდა სამოციანი წლების ახალგაზრდული ამბოხებების ფონზე – ტრადიციების ჩაბეტონებული ბასტიონების წინაშე ახალგაზრდობა აღმოჩნდა საკუთარი ოცნების ამარა, ანუ ყველასაგან მიტოვებული, მათ შორის... ღმერთისგანაც.

ურველად გულწრფელი და პოეტური მუსიკა იმ ოთხი ინგლისელი ჭაბუკისა, რომლებიც იმდროინდელ ახალგაზრდა მწერლებთან ერთად, ამ ოცნების ავტორებად მოგვევლინენ, მაშინდელ ვითარებაში საკმაოდ მოულოდნელი იყო და, ამავე დროს, საკვირველიც, როგორც, თუნდაც, ქარეპი ჩატყვევებული პეპელას ვაცოცხლება. სწორედ გაცემის ეფექტი იქცა მათი შემდგომი ფანტასტიკური ნარმატების საფუძვლად. მათი მგლოდნეობით თითქოს კლასიკური მუსიკის წიაღიდან იყო ამოსროლილი, ამავე დროს, მათი მოცარტისეული სილალე და სიკამკამე აელენდა ხელოვნების შემეკვიდრუბით ბუნებასაც – ოთხი, თითქმის ბავები მუსიკოსი, თითქოს ენათიერულ აქტს ასრულებდა. ამგვარად, მათი შემოქმედება კულტურის დიადი ესტაფეტის ერთ-ერთ რგოლს, უაღრესად ბუნებრივსა და ლოგიკურ მოვლენას, წარმოადგენდა ანუ ახლდა რელიგიური მსგავსი, ცხოველმყოფელი ექსტაზიც, რაც დღევანდელ შემსრულებელთა უმრავლესობისათვის უცხოა და მიუწვდომელი. დღეს საესტრადო ანსამბლების უმეტესი ნაწილი უმიზნო აგრესიის, უმისამართო პროტესტის ნიშნად დაქუცმაცებულ სიჭაბუკის ლაშქარს დაგავს, ეპიგონთა ჯგუფებს, თავითთვე ეპიგონობის გამო გალიზიანებულთა და გაავებულთ. იგრძნობა ოცნების, როგორც განგბადის უქმარისობა. ამკარად ერთმანეთს მოუხმობენ, მაგრამ ერთმანეთისთვის სათქმელი კი არ გააჩნიათ. ამიტომაც, მათი საესტრადო ძალისხმევა, რატომღაც, აგო-



ნიას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე შემოქმედებით აქტს და ასეთ ნარმოდგენასა და შობაბეჭდილებას თვითონვე მთელი მონადირეობით, საგანგებოდ ამბავებზე. ცხაბი ზდება, რომ კულტურისადმი მკვეთრად დაპირისპირებული მოუბიზნესი კაცობრიობის გონიერების აგონიის ილუზიას ქმნის, სულიერ სიკვდილს აქცევს შემოსავლის წყაროდ. მოუბიზნესმა ახალგაზრდობას, რომელიც ერთგვარი ბიოლოგიური გულუბრყვილობით, ანუ ხალისითაც კი ნამოყვო ამ ანკესს, განუსაზღვრა, შემოუხაზა აზროვნების და უფრო მეტიც – ოცნების სივრცე. საესტრადო მუსიკის კონცერტზე, ზოგიერთ შემთხვევაში, სექტანტური ფანატიზმის საკულტო სენსის დაემსგავსა, ამიტომაცაა მას ხშირად თან რომ სდევს გაუგონარი მხეცობისა და ნარკომანული დეგენერაციის მაგალითები. მუსიკალურმა ნარკოტიკმა დაიკავა „მუსიკალური რელიგიის“ ადგილი. განცდისა და მისი გამოხატვის საეალღებულო ერთნაირობამ დარბაზიდან განდევნა პიროვნება, ხოლო მისი ადგილი მაშინვე უსხა, ამორფულმა მასამ შეავსო, რომელიც მუსიკისგანაც კი სანახაობას, უფრო ზუსტად – საესტრადო ხელოვნობას მოითხოვს. რამდენადაც მშვენიერია ცირკი, იმდენად მახინჯია ცირკად ქცეული ესტრადა...

სულიერი ფაშისის საზარელი აჩრდილი ადგას თავს დისკოტეკებსა თუ სტადიონებს, პიროვნება ითქიფება მასაში, ყალიბდება ყველასთვის ერთნაირად საეალღებულო ქვევის ნორმები, ჩაცმისათვის ლაბარაკის მანერა, ანუ ერთი ფორმის სიტყვით, „მაზობისტური მორჩილება“. ახალგაზრდამ შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ასეთ კონცერტზე, უფრო ზუსტად – ანტიკონცერტზე, უპირველეს ყოვლისა, პიროვნულ თავისუფლებას კარგავს. მისი ინტელექტის დონე საესტრადო დოლის დარტყმების რაოდენობით იზომება. ლენონის თანამემამულე და თითქმის თანატოლი, სახელგანთქმული დრა-მატურგი ტომ სტოპარდი ასეთი ახალგაზრდების შესახებ ამბობს, მთელი თავიანთი ფლოსოფია მისსურებზე ანერიათო. პოლიტიკურად ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქე შეიძლება ვერც კი ნარმოიდგინოს, რა ადვილია ნებისმიერი ავანტიურისტი პოლიტიკოსისაგან მისი ტოტალიტარიზმის ჯარისკაცად გადაქცევა. რალა ეთქმის იმ ქვეყნის ახალგაზრდას, რომელსაც თავისუფლების ციკ-აბოზეზე ჯერ კიდევ უტირს ფეხის მიკიდება. დღევანდელი კონტრკულტურა აჩენს ნიალიზმს ეროვნული ტრადიციების და კულტურის მონაპოვრებისადმი, რაც ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით

სახიფათოა, ისევე როგორც ყველა უჩველესი ქვეყნის შეილებისათვის. ეს უჩველესი ამჟამინდელი გაუგებრობა უფრო მეტად ამჟამინდელი მოუბიზნესი თავის დასაცავად ერთადერთი იარაღი შერჩენიათ – ეროვნული კულტურა, ვისაც ესმის იმ ქვეყნისთვის აზრი, რომ ადამიანის პიროვნული თავისუფლება არ არსებობს ეროვნული თავისუფლების გარეშე. ამ შემთხვევაში შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს ფაქტი, რასაც ანხამბლ „ბიოლზის“ თითქმის ყველა მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ის მუსიკალურ სამყაროში ბოლომდე გამოირჩეოდა, როგორც ტრადიციების ერთგული, ნმი-ნდა ინგლისური ფენომენი.

რაც უფრო მალალია საზოგადოებაში პროვინციალიზმის ხარისხი, მით უფრო კატეგორიულია ნიალიზმისა და საერთოდ ეროვნობის გამართლების მცდელობაც, იმდენად, რომ შეიძლება თავად ეროვნობის საესტრადო ხელოვნების ერთგვარ ნორმა-დაც კი იქცეს, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დაბალი კულტურული დონით იქნება გაპირობებული. ერთმა ჩვენმა შესანიშნავმა მომღერალმა, რომელსაც მიკერძობას ვერაფრით დასწამებ, რადგან ესტრადაზე თავად ბრწყინალებდ ასრულებდა და ასრულებს რუსულ რომანსებს, დღევანდელ რუსულ ესტრადას „შეზარავი“ უწოდებ. ეს ზუსტი ეპითეტი თამამად შეიძლება სხვა მრავალ ეპიგონურ ესტრადაზეც გაერცულდეს, მით შორის, სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ ესტრადაზეც. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, მხოლოდ გარკვეული მიმართულების, ანუ გამოკვეთილად ეპიგონურ, უმჯობესია ეთქვა – კოსმოპოლიტურ ესტრადას ვგულისხმობ. დღევანდელ ზოგიერთ საესტრადო კონცერტზე შეიძლება იმ აზრშიც გაიფიქროს, რომ ეს არის უმწიბობის შურისძიება, უმწიბობის ამბედრება ნამდვილი ხელოვნების ნიალიზმზე.

ლენონი დღესაც მოუბიზნესის მიერ გამოართულ ყველა კონცერტზე კვდება, უფრო ზუსტად – კლავნ და ეს გაუაზრებელი, თითქმის ინსტინქტური სიამე ძალადობისა, რალაც მნიშვნელოვნის, ტრადიციულის განადგურებისა, ბრბოს მიერ პიროვნების გათვლისა, მართლაც, ნარკოტიკით აბრუნების და თიშვის ახალგაზრდობის უზარმაზარ მასას, რომელმაც ჯერ კიდევ გუშინ თანატოლივით კი არა, მამასავით დაიტარა ლენონი, რადგან ლენონმა, თავისი სიკვდილით, შეიძლება ითქვას, დააოხრა ძველენის ახალგაზრდობა. აქარაა, რომ დღევანდელ ესტრადაზე ბიოლოგია ბატონობს კულტურაზე, ანარქიის ამ დიდებულ ცენზორზე, რომლის აუცილებლობაც და-



კანონებული იყო არა მარტო ბიბლიური ნი-
ნასწარამეტყველების, არამედ კაცობრიობის
არსებობისა და განვითარების ლოგიკით,
რამდენადაც კულტურა არის ყველაფერი
ის, რაც ჩვენ – ბიოლოგიურ არსებებს –
ადაშიანებად გვაქცევს.

როცა ლენონზე გადაღებულ ფილმს
უყურებ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თი-
თქოს გრძნობდა კატასტროფის მოახლოე-
ბას. მისი ბოლო წლები დაბნეულობით, დაუ-
ფარავი შიშით, ნონასწორობადაკარგული,
ჩვეულებრივი კალაპოტიდან ამოვარდნილი
კაცის ვაუგებარი, ზოგჯერ უკიდურესად
გამალიზიანებული საქციელითაა ნიშანდო-
ბლივი. თითქოს საკუთარ სიკვდილს ეთამა-
შებოდა. მართალია, ეს „თამაში“ ხშირად
ამკარა არტისტიზმით გამოირჩეოდა, მაგ-
რამ მუსიკოსს თითქოს საგანგებოდ დაევი-
წყებინა ის ქვეშეარტიტება, რომ სიკვდილმა
თამაში არ იცის! ამდენად, შეიძლება თვი-
თონვე წარმოგვედგინა საკუთარი სიკვდი-
ლის თანაავტორად. „ღმერთო, მიეცი ყვე-
ლას მისი საკუთარი სიკვდილი“ო, თქვა
რილკემ...

ორმოცი წლის ლენონი ისევე
ამბოხებული „მარადიული მოზარდი“ იყო,
რომელიც ორი ათეული წლის განმავლობა-
ში სულ თავის თავს – თერამეტი წლის ბიჭს
იმეორებდა, პირველი სიმღერით რომ შეძ-
რა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდების – და
არა მარტო მათი – გული. ალბათ, არ იქნება
გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ ოცი წლის
განმავლობაში ლენონი სულ ბისზე
მღეროდა, მსმენელი სცენიდან არ უშვებდა,

რადგან ჯერ თავისი ახალი კერა არ ჰქაე-
და, უკერპოდ კი აღარ შეძლებდა წყაფა,
რასაც თავად ლენონმა შექმნილი
დროს, არც ლენონს უნდოდა სცენიდან
ნასვლა, ან სად უნდა ნასულიყო,
ნასასვლელი არ ჰქონდა არსად. ესტრადა,
როგორც საერთოდ სცენა, ვარკვეული
თელსაზრისით, ბრძოლის ველსა ჰგავს,
სადაც უკან დასახვევი გზები მოჭრილია.

ლენონი ოცნებას განასახიერებდა და
ამიტომაც იყო აუცილებელი, ერთგვარად
შემაკავებელი იმ აზვირთებული უცემოენე-
ბისა და საერთოდ პროვინციალიზმის ნია-
ღერისა, რომელმაც ჩვენს თელწინ აკი
წალექა კიდეც ოცნების ნარჩენები. დღეს
ლენონის სიკვდილი შეიძლება სიმბოლურა-
დაც კი გაეთაზროთ, როგორც ესტრადაზე
მთელი მუსიკალური ეპოქის, მოძრაობის,
სტილის დასასრული, ჯერ კიდევ გუშინ
კულტურას რომ განეკუთვნებოდა და მძღ-
ებისდაგვარად, ანუ ხელოვნების საშუალებ-
ით, ამკვიდრებდა კიდეც მას.

ალბათ, თავისთავად იბადება სურვილი,
რომ დღევანდელმა ახალგაზრდა შემსრუ-
ლებლებმა მოძალეზულ რიტმულ ერთფერ-
ოვნებას, მუსიკალურ მონოლიზმს
როგორმე დაუპირისპირონ ეროვნული,
თუნდაც პიროვნული თავისებურებანი,
რათა იპოვნონ მათთვის ალბათ ყველაზე
სასურველი რამ – საკუთარი ხმა.

ეს წერილი შეიძლება დამემთავრებინ-
ა „ბითლზის“ ერთ-ერთი სიმღერის სტრიქ-
ონით: „მე აქ აღარ ვარ, მე აქ აღარ ვარ,
წავედი, მზის კვალს წავეყვი სადღაც...“



თანამედროვე სოციო-კულტურულ სფეროში ახალ მხატვრულ მიმართებათა ზოგადი ასპექტი

პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნება მხატვრული მოღვაწეობის სფეროდ რჩება, თუ არღვევს ტრადიციულ სახელებს, იჭრება ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროში და ქმნის რაღაც ახალ ფენომენს?

საკითხის ამგვარი დასმა განპირობებულია ერთი მხრივ, ახალ სოციო-კულტურულ გარემოში გამოყენებითი ხელოვნების განვითარების თანამედროვე ტენდენციებით და მეორეს მხრივ, თავად მხატვრული მოღვაწეობის სფეროში მიმდინარე გლობალური ცვლილებებით, რომლებიც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდებათ ზოგადად ადამიანის ცნობიერებაში მომხდარ გადატრიალებებს. ეს მრავალმხრივი და მრავალნაზხაა რთული პრობლემების გრძელი ჯაჭვია, რომლის ზოგიერთ რგოლს ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში შეუძლია დავეხმაროს.

ამისათვის უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოყენებითი ხელოვნების ზოგადი ბუნების დადგენისა და ხელოვნების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში მისი კონკრეტული ადგილის გარკვევის საფუძველზე. გამოვლინდეს თანამედროვე ადამიანის მხატვრულ აზროვნებაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესში გამოყენებითი ხელოვნების სახეცვლილების რეალური არსი, შედეგი და პერსპექტივა.

უკანასკნელ დროს ხელოვნებათმცოდნეობასა და განსაკუთრებით ესთეტიკაში მოდად იქცა ბუნებათმცოდნეობისა და ზუსტ მეცნიერებათათვის დამახასიათებელი მეთოდების ფორმალური გადმოტანა. მაგალითად, კიბერნეტიკულ-სემიოტიკური ცნებების შემუშავებით ცდილობენ ახსნან თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე ურთულესი პროცესები. კერძოდ, ხელოვნებათმცოდნეობის ცნების „ახის“ ნაცვლად იყენებენ ტერმინს „ჩიშინი“, „შინაარსის“ ნაცვლად „მნიშვნელობას“, „ფორმის“ მაგიერ იხმარება ცნება „სანიშნო სისტემა“ და ა.შ.

საუკეთესო შემთხვევაში ამის მიუხედავად სიტყვების, ასე ვთქვათ, „სარჩულგადაბრუნებაში“, მაგრამ უნეტესად ეს უმსახურება მხატვრულ პრაქტიკაში საყოველთაოდ ცნობილი სიტყვების ყალბი გამეცნიერების საქმეს და გამოხატავს ანტიადამიანურ

ტენდენციას. მეორეს მხრივ, შეუძლებელია ქართული ხელოვნებათმცოდნეობა დღეს დარჩეს მხოლოდ ასახვის თეორიის ანაბრად და უგულვებელყოს თანამედროვე შემეცნების თეორიის მიღწევები.

საქმე ასაა, თუ ხელოვნების შემსწავლელ თანამედროვე მეცნიერებათა მრავალფეროვანი სპექტრიდან, კონკრეტულად რომელ დარგს ამოირჩევს მკვლევარი – აქედან გამომდინარე უნდა შეარჩიოს მან კვლევის მეთოდი და მისი შესაბამისი ტერმინოლოგია.

დღეს ჩვენ გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის მიმართების ზოგიერთ ასპექტზე ვისახებრებთ ხელოვნების თეორიის შუქზე. ამ თვალსაზრისით გამოყენებითი ხელოვნების, როგორც მხატვრული შემოქმედების ამ თვისებური სფეროს არსებობისა და სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლა, ჩვენში ჯერ კიდევ განსახილველად დგას.

XX საუკუნის 20-იან წლებში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ე.წ. „მუშური დიქტატურის“ პირობებში, ბუნებრივია, დაისვა საკითხის ხელოვნების იმ სფეროს შესწავლისა, რომელიც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული შრომასთან და ღრმადია ფესვგადგმული ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. გაუცხვრეთ რუსული ავანგარდი და მისი გამოცდილი საქართველოში. მაგრამ შემდგომ, თუკი დასავლეთში ეს ტენდენცია განვითარდა (როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით), ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იგი მთავრდა უნიფიცირებული ცნობიერების გაბატონებაში და მასობრიობის ყალბმა გაგებაში. სტანდარტიზაციის ეს გაუკუღმართებული პროცესი მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა სრულად საპირისპირო ტენდენციით: ჯერ საბჭოთა არქიტექტურაში გარჩა ზედმეტობისაკენ მისწრაფება, შემდეგ კი იგი ფართოდ გავრცელდა გამოყენებით ხელოვნებაშიც. მასობრივი ნარმოების ნაყოფიანობა სანიშნაობადაა, პარადული ხასიათის უნიკალური ნაწარმოებებისადმი უპირატესობის მინიჭება ვაზდა ხელოვნების ამ დარგის ძირითადი პრინციპი. ცხადია, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა და ამჯერად სახვითი ხელოვნების კანონების მექანიკური გადატანა, ე.წ. „სტანკოუზმი“, იწვევდა გამ-



ოყენებითი ხელოვნების ვულგარიზაციას. სწორედ ამის გამო, 1956 წელს ფურნალმა „Искусство“ თავის ფურცლებზე დაიწყო დისკუსია გამოყენებითი ხელოვნების არსებობისა და სპეციფიკის შესახებ, ხოლო 1957 წელს კი შეიქმნა სპეციალური ჟურნალი „Коллективное искусство в СССР“, 5 წლის შემდეგ დაარსდა ჟურნალი „Техническая эстетика“, ამ და სხვა პერიოდულ პრესაში სისტემატიურად მიმდინარე პოლემიკას დროდადრო ავსებდა საბჭოთა მეცნიერთა თეორიული ნაშრომებიც (განსაკუთრებით, სალტიკოვისა და კავანის). ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში კი ძირითადად ინერგობდა გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის ამსახველი შრომები და ძალიან მცირე რაოდენობით – ესთეტიკოსთა სტატიები გამოყენებითი ხელოვნების, როგორც ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკური ათვისების ერთ-ერთი ფორმის არსისა და რაობის შესახებ. მაგრამ სრული, ყოველმხრივ დამუშავებული, პრობლემათა მთელი წრის მომცველი გამოყენებითი ხელოვნების ხელოვნებათმცოდნეობის თეორია (ხელოვნების სხვა დარგთა თეორიების ანალოგიურად), ჯერ კიდევ არ შექმნილა.

ცხადია, ჩვენ ამ ხარვეზის შევსების პრეტენზია, არ შეიძლება გვქონდეს, თუნდაც იმ უზარალო მიზეზის გამო, რომ ეს მრავალი მეცნიერის მრავალწლიან შრომას საჭიროებს, მაგრამ დიდი სურვილი კი გვაქვს ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ყურადღება მივაპყროთ თანამედროვე მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანესი სფეროს თეორიულად შემოქმედების პრობლემებს.

მხატვრული შემოქმედების ჩვენთვის საინტერესო სფეროს მიმართ იყენებენ ცნებებს: „გამოყენებითი ხელოვნება“, „დეკორატიული ხელოვნება“, „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება“, „ყოფითი საგნების ხელოვნება“ და ა.შ. ჩვენ ტრადიციულ ტერმინს ვიხმართ – „გამოყენებითი ხელოვნება“ და შევეცდებით მხატვრული მოღვაწეობის თანამედროვე ფორმასთან „დიზაინთან“ მისი მიმართების ზოგიერთ ასპექტზე შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

დღეს დასავლეთში საყოველთაოდაა დამკვიდრებული შეხედულება გამოყენებითი ხელოვნების აღარ არსებობის შესახებ. მისი კედომის დასაწყისი უკავშირდება XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს. I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წარმოიშვნენ მხატვართა ახალი გაერთიანებები – „დე სტუდიო“, „ესპრი ნუვო“ და „ბაუჰაუზი“. მათ შექმნეს მრავალი უცნაური მოდელი, რომელიც საზოგადოებისათვის გაუგებარი და აქედან გამომდინარე – გამოუყენებელი დარჩა. მაგალითად, ლა კორბუზიეს

ცნობილი სკამი. მაგრამ 30-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის სურვილმა რისკანადააქტიურად ამ თამაში ექსპერიმენტული მოდელების წარმოებაში დაინერგვის სურვილი აღდგინოს ძალიან მალე, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, ზემოხსენებულ მიმდინარეობათა წიაღიდან ამომავალი მოდელების მიხედვით დაიწყო ახალი სახის ყოფითი საგნების სერიალური წარმოება, რამაც განსაზღვრა სამრეწველო ნაკეთობათა მთელი რიგი დარგების ახალი სტილი.

მოუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად გამოყენებითი ხელოვნების ბუნება განსაზღვრება მისი ორმაგი უტილიტარული-ესთეტიკური ფუნქციით, მხატვრული მოღვაწეობის ხფეროს კუთვნილებად, ასე ვთქვათ, მისი ხელოვნებითობის აუცილებელ ნიშანთვისებას მაინც ყოველთვის წარმოადგენდა დეკორი ანუ ფორმის გამხატვრულების ხარისხი. ამგვარი თვალსაზრისი გამოყენებით ხელოვნებაში ნაკეთობის წარმოების ესთეტიკური ნორმებისა და საგნის კონკრეტული დანიშნულების მცდარ გაგებას ემყარებოდა. ეს ესთეტიკური ნორმები დაკავშირებული იყო ბუნებასთან, რომელიც ყოველივეს საზომად მოიაზრებოდა, ასევე აუცილებლად – „ბუნებრივი“ მასალის შერჩევის პრინციპთან და ბოლოს, ფორმათქმნადობის მეთოდთან.

გამოყენებითი ხელოვნების რაობის ამგვარი გაგების, ანუ ფორმის თავისუფალი განვითარების წინააღმდეგ მიმართულ მცდელობად უნდა ჩაითვალოს „მოდერნის სტილის“ და „არ დეკოს“ მიმართულების მხატვართა მოღვაწეობა. მანამდე თალსოდეს საგნის წარმოება ასე მჭიდროდ არ იყო დამოკიდებული მასობრივი მყიდველის მიზანძებლურ მოთხოვნილებებზე, ვინაიდან საუკუნეების მანძილზე გამოყენებითი ხელოვნების საგნები ემსახურებოდნენ მხოლოდ მონარქებსა და რჩეულთა ვინრო წრეს – „ელიტას“ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხატვრულ რენესას, რომელსაც ყოფითი ნივთების წარმოების საკუთარი განსაზღვრული ნორმები გააჩნდა და ყოველთვის პასუხობდა ადგილობრივი ტრადიციის მოთხოვნებს).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უკვე გამოიკვეთა და თინდათანობით გაიზარდა საზოგადოების ფართო ფენების როლი ყოფაში, შესაბამისად გაიზარდა მათი სოციალური მოთხოვნილებები, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია სამრეწველო წარმოების სტიმულირება. ასე, რომ გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებმა განიცადეს, ერთი მხრივ, მასობრივი მომხმარებლის მოზღვავებულ მოთხოვნილებათა და მეორეს მხრივ, წარმოების ახალი იარაღების, ხელსაწყო-



ბის და მანქანების ზემოქმედება. ამან აუცილებლობით გამოიწვია დიზაინის ნარმოშობა, მაგრამ თავდაპირველად მასში გამოიკვეთა ნაკეთობათა ნარმოების სამრეწველო ხასიათის გამო ნარმოქმნილი წინააღმდეგობა. კერძოდ, მხატვარ-დეკორატორებს არ სურდათ შეგუებოდნენ ტექნოლოგიების სფეროში მომხდარ გადატრიალებებს და ჯიუტად ცდილობდნენ დრომოქმული დეკორი ახალი ტიპის კონსტრუქციებისთვის მიესადაგებინათ, შედეგად იღებდნენ ყალბ „კუსტარულ სამრეწველო“ ნაკეთობას. ისინი ვაერთიანების „ხელოვნება და „ხელისნობა“ მხატვრები იყვნენ და ითვლებიან დიზაინერთა უშულო წინამორბედებად.

ფაქტურად, ფუნქციონალიზმის პრინციპები გამოკვეთილი სახით ჩამოყალიბდა მოგვიანებით „ბაუშაუსის“ სკოლის წარმომადგენელთა ძიებებში, კერძოდ, ვან ლირმა მოგვიანებით ასე განსაზღვრა ეს პრინციპები: „ფუნქციის ქვეშ ბაუშაუზი მოაზრებდა თავისი უტილიტარული დანიშნულებისადმი საგნის არა უბრალოდ დაქვემდებარებას, არამედ ელემენტთა ერთ სისტემის (ე.ი. ერთი საგნის), მეორე სისტემაში გადასვლისათვის ხელშეწყობას, სხვა სისტემის ნაწილად გახდომას ან მათ შეცვლას... სილამაზის გაგება არ არის უკუგდებულო, იგი შეესო ახალი მნიშვნელობით: რაც უფრო მდიდარია საგანი ფუნქციური თვალსაზრისით, მით უფრო მეტ ვარიანტებსა და შესაძლებლობებს მოიცავს მათი ელემენტების სისტემები და მით უფრო ლამაზები არიან ისინი“ (ამონანური კატალოგიდან გამოფენისთვის „რა არის დიზაინი?“ 1965 წ. პარიზი, დეკორატიულ ხელოვნებათა მუზეუმი).

ნაცისტების მიერ ბაუშაუსის დარბევის შემდეგ მისი ცნობილი მოღვაწენი: გროპიუსი, მოჰლ-ნადი, ალბერსო და მისი ეან როე შეერთებულ შტატებში წავიდნენ ემიგრაციაში, და სწორედ იქედან დაიწყო დიზაინმა მსოფლიო მასშტაბით გავრცელება.

აქ კვლავ თავი იჩინა გამოყენებით ხელოვნებასა და დიზაინის შორის დაპირისპირებამ. საქმე ისაა, რომ ბაუშაუსის სკოლა მიზნად არ ისახავდა მომხმარებლის გემოვნების თავის მხარეზე გადმობრუნებას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისთვის მთავარი იყო საგნის ფორმასა და ფუნქციას შორის დამოკიდებულებაში მოხდინა გადატრიალება და გამოეცადა ახალი მასალები. ბაუშაუსელებმა ამგვარი იდეოლოგიური სიმკაცრისაგან განსხვავებით, ამერიკელები ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან მოიხიუდნენ სამრეწველო ნაკეთობათა კონსტრუქციაში აუცილებლად ჩართული ყოფილიყო ახალი კომპონენტები

– მოდა, როგორც გემოვნებისა და მოთხოვნილებების მოდიფიკატორი და, პერიოდულად ცელის რეინტენსიფიკატორი. ნამტიცებას ახალ ფორმალურ ელემენტს და ზრდის მასზე მოთხოვნებს. ე.ი. მოდა ჯერ აყალიბებს მოთხოვნილებას და მერე თავადვე აღარ ემორჩილება მას მუდმივი ცვალებადობისა და განახლების ლოზუნგით ხელში. ასე გაჩნდა გამოყენებით ხელოვნების ახალი მიმართულება ე.წ. „სტაილიზმი“, რომელსაც მშობად უპირისპირებენ კლასიკურ დიზაინს. თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ სტაილიზმის მომხრეთა შორისაც არიან მხალღი კლასის მხატვარ-კონსტრუქტორები, როგორებიც არიან რეიმონდ ლოუი, უ-დ ტიკი და ხ. დრეიფერი. ისინი ნამყვან როლს ანიჭებენ რეკლამას და „სილამაზის“ ცნებაში განუსაზღვრელ შინაარსს დებენ, რადგან, როგორც რეიმონდ ლოუი ამბობს: „მზინჯი ცოდვად იყოღება“. სამრეწველო ნაკეთობათა სილამაზის ამგვარი კონცეფცია უდევს საფუძვლად საგნის ფორმის მისადაგებას ბაზრის მოთხოვნილებასადმი. სწორედ ამით განისაზღვრება სამრეწველო ესთეტიკის განვითარების ყველა დადებითი მხარე, აქედან – ფაქ ვენოს ლოზუნგშიც „სილამაზე მრეწველობაში“ და ყველა სხვა ე.წ. „Eye appeal“ სისტემა, რომელთა მიზანია საგნის გარეგნული სახის შეცვლა მისი ნარმოების ტექნოლოგიის შეუცვლადობის პირობით და რაც უპირველეს ყოვლისა, კომერციული მოსაზრებით არის ნაკარნახევი. დიზაინის სისტემაში ეს პოზიცია გასაგებია, მაგრამ რა ქმნის სილამაზე გამოყენებით ხელოვნებაში? რა წარმოადგენს სილამაზის სახომს ამ შემთხვევაში?

ბუნების მოვლენების აღქმისას ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ისინი წარმოადგენენ ბუნებრივი ძალების სტიქიური მოქმედების შედეგს. ეს განსაზღვრავს ესთეტიკური პრეტენზიის თავისებურებას, მაგრამ მდგომარეობა იცვლება ადამიანის ხელთქმნილი საგნების აღქმისას. ესთეტიკურა აღქმის პოზიციის ეს შეცვლა გამოიხატება იმაში, რომ თუ ბუნებრივი საგნის გარეგნობას ჩვენ ვუფარდებთ მის ბუნებრივ შინაარსს, ხელოვნური საგნის გარეგნობას ჩვენ ვუფარდებთ მის ადამიანურ შინაარსს, ე.ი. იმას, თუ რისთვის და როგორ შეიქმნა იგი.

როცა ადამიანი ახერხებს მოქმედებას ისეთი ხერხით, რომელიც ორგანულად გამომდინარეობს მის მიერ დასახული შეგნებული მიზნიდან, როცა მას შეუძლია ქმნადობა „შესაბამისი ზომით“, ე.ი. ჩამოყალიბებული საგნის სპეციფიკური კანონზომიერების გაგებით, მაშინ მისი ხელიდან გამოსული ნაკეთობა ხდება არა მარტო



კარგი, მოხერხებული, სასარგებლო, არამედ ლამაზიც.

არავითარი „სილამაზის ელემენტები“ არც ბუნებაში და არც ხელოვნებაში არ არსებობენ. ერთიდაიგივე ფერი, ბგერა, ფორმა და ა.შ. ერთ შემთხვევაში შეიძლება მშვენიერი იყოს, მეორეში – მახინჯი, მესამეში – არ გამოიწვიოს არავითარი რეაქცია. ფაქტია, რომ ახალი და თავისი შინაარსით სრულიად გაუგებარი საგანი ადამიანის მიერ ესთეტიკურად არ აღიქმება. მას შეუძლია გაგვაკლოვოს ან შეგვაშინოს მანამ, სანამ ვერ მივხვდებით რას წარმოადგენს ეს საგანი. საკმარისია მივიღოთ მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო წარმოდგენა მასზე, რომ თითქმის უნებლედ ვინცხვთ მის ფორმის შედარებას შინაარსთან და მაშინ კი წარმოიშობა ესთეტიკური ემოცია: მოგვწონს, ან არ მოგვწონს, ლამაზია, თუ არ არის ლამაზი.

მამასადამე, საგანთა სილამაზის „საიდუმლოება“ იმალება, ერთის მხრივ, მისი ფორმის სხვადასხვა ელემენტებს შორის დამოკიდებულებაში და მეორეს მხრივ, მის შესაბამისობაში შინაარსთან ანუ დანიშნულებასთან.

ეს საკმარისია სამრეწველო ნაკეთობათა სილამაზის გაგებისთვის, მაგრამ მხატვარ-დეკორატორის მიერ შექმნილი საგნის სილამაზის საზომს კიდევ რაღაც „სხვა“ წარმოადგენს და ეს არის სრულყოფილი ოსტატობა – ადამიანის ხელთქმნილი ფორმის ფლობის მაღალი ხარისხი. მხატვარი ხშირად არც ფიქრობს შექმნას ლამაზი ნივთი, მაგრამ დახვეწილი, ვირტუოზული ოსტატობა, თითოეონ ქმნის სილამაზეს.

მანქანურ წარმოებაში, ანუ დიზაინის სამრეწველო პროდუქტში მომხმარებელი სწორედ ამ „ხელთქმნილობის“ სილამაზეს ვერ პოულობს და დიზაინერთა მრავალგზის მცდელობის მიუხედავად საზოგადოება მაინც უნიკალური ყოფით საგნებისაკენ შემობრუნებას იწყებს.

ხალხური შემოქმედება შეიძლება გამოდგეს გამოყენებით ხელოვნებაში სილამაზის გაგების კლასიკურ მაგალითად. სილამაზე – ამ სიტყვის ყველაზე აუცილებელი გაგებით – იქმნებოდა სწორედ აქვეყნაზე ჩვეულებრივი, გარეგნულად არამიმზიდველი მასალის ოსტატური დამუშავების შედეგად. მასალა კი არ აღამაზებდა საგანს, არამედ მისი თვისებებისა და შესაძლებლობების მაღალსტატური გამოყენება – დამუშავება. მაგრამ რაც უფრო შორდებოდა გამოყენებითი ხელოვნება ხალხთა მასების ინტერესებსა და გემოვნებას, მით უფრო იცლებოდა დამოკიდებულება მასალისაკენ. მომხმარებელურ ბაზარზე ორიენტირებულმა მხატვარ-კონსტრუქტორებმა ეს მაშინვე იგრძნეს და, ასე ვთქვათ,

„ბუნებრიობის ესთეტიკა“ შეცვალა „სემბლანტის ესთეტიკა“ – ვაძლევთ მხოლოდ რესტაილინგი“.

მაგრამ მანამდე იყო 60-იანი წლების გარდამავალი პერიოდი, რომელიც უშუალოდ განპირობებული იყო არქიტექტურის შიგა სივრცეზე იმდროინდელ წარმოდგენათა თავისებურებით. კერძოდ, ცალკეული საგნის მისწრაფება უფრო მეტად შეერწყოს შენობის საერთო კონსტრუქციას. ინტერიერიდან გაქრა მისი ისეთი აუცილებელი მონყობილობა, როგორცაა ბუფტი, ან კარადა, იგი შეცვალა ჩაშენებულია კონსტრუქციებმა. სამაგიეროდ გაიზარდა დასაჯდომ ნაკეთობათა რიცხვი, თანაც არამედგრადი მასალით – გასაბერი ან დასაკეცი, გამჭვირვალე, მსუბუქი. ამრიგად, ავეჯის დიდი ნაწილი უწყმის არქიტექტურას. ამ პროცესს შეესაბამება ისეთი ასანყობა ავეჯის სერიული წარმოების აუცილებლობა, რომელიც შედგება მრავალფუნქციური ელემენტებისაგან.

ამავე დროს დიზაინი აგრძელებს ბრძოლას სტალინიზთან და თავის ნიაღში წარმოშობს ახალ ნაირსახეობას, ე.წ. „რე-დიზაინს“. ეს არის საგნის გადაკეთება ყოველგვარი ტექნიკური გადაამუშავების გარეშე და თავდაპირველი დანიშნულების შენარჩუნებით. ფაქტობრივად, ხდება საგანში წმინდა გარეგნული ცვლილებების შეტანა, რაც გასაღების მოსაზრებით არის ნაკარნახევი. ამგვარი გადაკეთება უმეტესად არ იწვევს საგნის ესთეტიკური მხარის გაუმჯობესებას და ამასთანავე კიბვის ნიშნის ქვეშ აყენებს მისი ფუნქციის გაგებას.

ამრიგად, ერთის მხრივ, სივრცის ორგანიზაციის უკიდურესად გამარტივების გამო მრავალფუნქციური სერიული ნაკეთობების მოძველებულმა წარმოებამ და მეორეს მხრივ, რე-დიზაინით გატაცებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან თუ რე-დიზაინის მხოლოდ იმიტომ მიმართავ, რომ საგნის გარეგნული მხარე მოწონებას აღარ იმსახურებს, ეს ნიშნავს, რომ იმთავითვე არ არსებობდა საჭირო ფორმა და აქედან დასკვნა – მოდას განსაზღვრავს მორალური ცვეთა, ასეთ შემთხვევაში კი დიზაინი არაფრით განსხვავდება სტალინიზისაგან, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგადად გასაღების ევულაციის შესატყვისად მხატვარ-კონსტრუქტორთა მოღვაწეობის 60 პროცენტი საგნის მოლოფიკაციაზე დაიყვანება.

სულ სხვა პოზიციაზე დგას დიზაინერი, რომელიც მუშაობს უშუალოდ მენარმის კონკრეტული დაკვეთით. წარმოებაში შედგომავდ მომუშავე კონსტრუქტორისაგან განსხვავებით, მონვეული მხატვარი კონკრეტული დაკვეთების შესასრულებლად



ყოველთვის ინარჩუნებს თვითმყოფადობას. თუ მოხდა გემოვნებათა დამთხვევა და, ასე ვთქვათ, სხვადასხვა გარემოებათა ხელშეწყობით მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელება შესაძლებელი გახდა, მაშინ იქმნება ჭეშმარიტად უნიკალური დიზაინერული მოდელი. გასაკვირი არ არის, რომ ამგვარი ერთჯერადი კავშირი იწვევს კრიტიკას პროფესიონალ-დიზაინერთა მხრიდან, რომლებიც გამოირჩევიან მკაცრი სიმარტივით და შესანიშნავად პასუხობენ ფუნქციურ ამოცანას. თავის მხრივ თანდათან იზრდება ამ ე.წ. მარტოხელა დიზაინერთა რიცხვი, ვინაიდან სტაილიზმის შემოტევის მოსაგერიებლად აუცილებელია „თავისუფალი და პოეტური მანერით“ გამორჩეული მოდელები (ფრანსუა არნალი – „ატელიე A“). მაგრამ აქაც უკიდურესობა იჩენს თავს და მნიშვნელოვან ადგილს სამრეწველო ნაკეთობათა წარმოებაში იკავებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუპერსტაილიზგი – ელიტარული ნივთი ელიტისათვის. ამ მიმართულებას შეიძლება სიმდიდრის დიზაინიც ეწოდოს. განსაკუთრებით მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი სახეობა, ვინაიდან უნიკალურობისა და ხელთქმნელობის მომენტები მისი მხატვრული მოღვაწეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამჯერად ბრაკის, მაქსიმ ერნსტის, ჯაკომეტის და სალვადო დალის კვალდაკვალ მხატვარ-დეკორატორები პოულობენ ისეთ გამომსახველობით საშუალებებს, რომლებიც პასუხობენ მათ პირად შემოქმედებით მისწრაფებებს და არა ბაზრის მოთხოვნილებებ-

ბს. იქმნება ისეთი ნამუშევრები, სადაც მხატვარი თავის შემოქმედებით, რწმუნებას უმორჩილებს საგნის ფუნქციურ-საექსპლუატაციურ, შესრულების მანერას მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე საგნის დანიშნულებას და ამით დგებიან უკიდურესად მხატვრული ანტიდიზაინის პოზიციაზე.

აქ მხატვარ-დეკორატორთა ერთ მნიშვნელოვან ღირსებას უნდა ვაუწყავთ ხაზი – ეს არის მათი შემოქმედების ინდივიდუალიზმი, რომელიც საკუთარი ხალხის ეროვნულ ტრადიციათა ნოყიერ ნიადაგშია ფესვგადგმული. დიზაინერთა შემოქმედებას კი უფრო უნიფიცირებული მახასიათებლები გააჩნიათ. ასე, რომ მხატვრული გადაწყვეტის მრავალ პრინციპთა თანმთხვევის მიუხედავად, მათ შორის განსხვავება ძალიან ღრმაა და ეროვნული კულტურიდან მომდინარეობს. დასახულ პრობლემათა უნივერსალური ხასიათის მიღების შესაბამისად, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ მხატვრული მოღვაწეობის ეს ორი ფორმა ამ პრობლემათა ერთგვაროვან გადაწყვეტას ვეღარ შესძლებს. დიზაინერის მოღვაწეობა ფილოსოფიურ ელფერს იძენს: იგი აცნობიერებს, რომ მის საქმიანობას განსაზღვრავს „ცივილიზაციის სულის“ ამსახველი ნიშნები და რომ ეს ხელს უწყობს იმ ახალი ენის ჩამოყალიბებას, რომელიც გასაგებია ფართო სოციალური ფენებისათვის, ვნისა, რომელიც აღმოცენდება მთელი მსოფლიოსათვის საერთო და მუდმივად ურთიერთგაცვლადი მოთხოვნილებების, ინტერესებისა და გამოცდილების საფუძველზე.



ნოსტალგიური ტოპო-გრაფი ანუ თემო მაჭავარიანის ალბარტი, როგელიც ვერ იცხა ვაკელ

ბელინსკი ამ ჩემ გადაღლილ ტვინში, რაღაც სხვაგვარ ფიქრებს აღძრავს ხოლმე...

ბესარიონ ბელინსკიზე კი არა, ბელინსკის ქუჩაზე მოგახსენებთ. არადა, ტიპიური თბილისური ქუჩაა, ველური ქუჩა, მძიმე აღმართით, ქვაფენილით, ბათქაშემშოფქვენილი სახლებით, იტალიური ეზოებით, გრილი სადარბაზოებით, შიგადაშიგ ნუვორიშების მიერ ჩადგმული ვილებით... და მაინც, სხვანაირი!

ბელინსკის ხსენებაზე თემო მაჭავარიანი მახსენდება ხოლმე; ისევ „დაუდგვარ ბელინსკის“ ვგულისხმობ.

აი, ბესარიონ ბელინსკის ხსენებაზე მე თუ ვახსენდება მაჭავარიანს, ეგ კი არ ვიცო, თუმცა „ბელინსკი“ ბავშვობაში ვიყავი, თორემ ახლა?!

მე მინახავს რუკა ძველი საქართველ-ოისა – ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმული რუკა. მაგრამ მე არასოდეს მინახავს თბილისის რუკა. მაგონი, ასეთი რამ ჩვე-ნის უახლოეს, ჩანითლებულ ნარსულში არც იყო. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტები ურიდებოდნენ ქალაქური რუკების აფიშირებას, რათა „შპიონებს“ არ ჩაეგდოთ ხელში.

ქალაქური ტოპოგრაფია მხოლოდ ნარ-მოსახეში არსებობდა, ანდა ზეპირი ინსტრუქციების სახით უკონდათ დახსომებული.

„გასტრონომს რომ ვაცდებები, აუხვევ; კუთხეში მწვანედ შეღებული ჭიშკარი შეგ-ვდება“ ნარნერით: „ფრთხილად, მაღალი ძაბვა“, ცოტას კიდევ გაივლი...“, დაახლო-ებით ასე ვუხსნიდით ერთმანეთს თბილისს – ჩვენს სიყვარულს.

ქალაქის რუკა ნაცნობ-მეგობართა ბინებს შორის მარშრუტებს უფრო ნარმ-ოად გენდა, შეხვედრებისა და ვიზიტების პუქტებს. გეოგრაფიულ მიმართულებათა დასახელებებიც იარაღიყები უფრო იყო.

მოკლედ, ჩვენ – ძირძველ ქალაქელებს, „თხელით ტერფამდე თბილისელებს“ გონება-ში ბავშვობიდანვე ჩაგვხატა მინაგანი კარ-ტოგრაფია, პარალელებისა და მერიდიანე-ბის ვირტუალური ბადე, რომლის ცენტრ-რშიც ჩვენივე სახლი იყო, ჩვენივე ბინა.

ეგ კი არა, ზოგიერთი აუგუსს ახალ ბინა-შიც ძველებურად ალაგებდნენ.

ასეა, ჩვენს მიწიურ მიგრაციამაც რაღაც საგანგებო, მინაგანი კარტოგრაფიის წესებით უფრო ემოქმედებთ. ეს უკვე გეო-გრაფია კი არა, ბიო-გრაფიაა, ანდა გეო-ბიო-გრაფია.

ამბობენ, დასტოვების თაყის პეტერბურგულ რომანებშიც, ქვეცნობიერ-ად თაყისი მშობლიური მოსკოვის ტოპოგრაფიას მიფრადდაო. ამბობენ, ბევრ რამეს ამბობენ... მე კი ვერ...

აი, ეს მინაგანი რუკა წაეფინება კოორდინატთა გარეგან, ობიექტურ გეოგრაფიულ სისტემას, ჩვენ კი, რაღაც და-გვემთენია – ამ ორი რუკის იდეალური უნისონი. ისევე და ისევე, მინაგანი კომპასის მეშვეობით. ბევრს ასეთი „კომპასი“ არცა აქვს. და ასე გადაიანუდებით ხოლმე „მა-რადიული ტიღის“ ფენომენს.

პირი ქვისკენ მიქნია და, მხოლოდ პოლიტიკისებმა არ უწყვიან მგონი, ნარსული და პლანეტის რეალური კარტო-გრაფიის პრივატიზაციისაც ამიტომ ლამობენ. არადა, ჩვენი პოლიტიკური ნევრ-ოზულობაც ამ სხვაობით – ჩვენსავე მინა-გან „ნულოვან მერიდიანსა“ და რეალობას შორის სხვაობით ხომ არ განიზომება?!

მზლას, ეტყობა, ბევრისთვის ბავშვობის ქუჩა, მართლაც აღარ არსებობს რეალურ პოლიტიკურ გეოგრაფიაში. ანდა უფრო მოდერად თუ ვიტყვით, გეოპოლიტიკაში. იქნებ ისიც „სხვათა“ ბავშვობის ქუჩებს წაე-ფინება და ასე გველანდება ხსოვნის ახალ ტოპოგრაფიად? კითხვა-ძახილები, კითხვა-ძახილები...

ასეა თუ ისე, თემო მაჭავარიანი სწორე-დაც ნოსტალგიური კარტოგრაფიის მაძიე-ბელია, ბავშვობის დაკარგული ქუჩების (და დაკარგული ბავშვობის ქუჩების) მაძიებელი. რაო, ამ ორი გეო-ბიო-გრაფიის გართო-მვა არა ღირს ყოველდღიურობის პოეტიზა-ციის მასალად? ღირს, რა თქმა უნდა, ღირს, ყოველ შემთხვევაში, თემო მაჭავარიანს ნა-მდვილად უღირს. მე ხომ, მიღირს და მიღირს!

თუმცა ეს სიმშათიური მხატვარი არც შავალისეული ვიტებსკის მსგავსი ქალაქის, როგორც პიპოთეტური ეკომუნუუმის მითს თხზავს, არც თბილისის, როგორც ტოპოსის რაიმე არქაულ-მითოსური ტექნიკის გახუ-რებას ცდილობს, არც აღმოსავლური ქა-

ლაქ-ბაზრის დისკურსს აგორებს... ამდენადვე, არც ჩვენ გვიბიძგებს კულტურულ-ეკუმენისტური რეკონსტრუირებისაკენ. უფრო უტრიალოსავით მიჰყავს სადაგი დღეების რეპორტაჟები ქალაქური ლანდშაფტებიდან. თბილისი მისთვის არც „ახსოლუტური სამშობლო“, ამიტომაც ხელოვნური იქნება რაიმენაირი ცდა მაჭავარიანის ქალაქის იმ მარგინალური უბნის აბსოლუტიზაციისაკენ.

მოკლედ, თბილისი მისი ნდობის ტოპოსია, მარგინალური აღმართია, რომელიც ვერასოდეს იქცევა ცენტრალურ ვაკედ.

არსებობს ქალაქი-ხსოვნა; არსებობს ქალაქი-შეხვედრა; არსებობს ქალაქი-ფიქცია...

თემო მაჭავარიანის ხსოვნის ქალაქი კლექტიური ისტორიის ნაკვალევითაა მოკირწყლული. ამ ქალაქში არა მხოლოდ ადამიანები ხედებიან ერთმანეთს, არამედ თვით ქალაქიც მოდის შესახვედრად და ისე გამოგვემცნაურება ხოლმე, როგორც კარგ ხნის დაინჯებული ადამიანი. ადამიანი – მართლაც რა ამაყად ეღერს. მოქალაქე, მით უმეტეს, ქალაქელს ხომ, ნულარ იკითხავ!

ამ ორი ქალაქიდან კი, ქალაქ-ხსოვიდან და ქალაქ-შეხვედრიდან ქმნის მხატვარი ქალაქ-ფიქციას, თავისი წარმოსახვის ქალაქს.

და მაინც, ეს სულაც არ არის ძველი ქალაქი, ყბადაღებული „ძველი თბილისი“. ციხეგრპერანგა ჩატრუკული ბიჭების მადევარი კინტოებისა და ორთაჭალის აბაღლარი ტურფების ქალაქი.

თემო მაჭავარიანისეული ქალაქი თანამედროვე ქალაქი უფროა. ამ ქალაქის თანამედროვეობა, ანდა უმჯობესია, თანამედროვეობის იდეალი, ისტორიულადაა აკუმულირებული.

ბოდლერს ერთ პოეტურ ციკლში აქვს ლექსი, სადაც ფანჯრის რაფასთან გარინდებული პოეტი ხედავს, თუ პორნოონტზე ეელესიათა სამრეკლოები როგორ ერთმეტიან ფაბრიკების მიღებს. თავის დროზე თან სტარობისკომ გაუკეთა კომენტარი ამ ლექსს და მიანიშნა, რომ ამ ორი ელემენტის თანაარსებობა განსაზღვრავს თანამედროვეობას. ამასთან – და ერთობ საგულისხმო შტრიხია – პოეტის სურვა, ცალკე ალებული არც ერთ მოტივთან არ ახდენს იდენტიფიკაციას.

თანამედროვეობის იდეალი სწორედაც იმ ფორმებში მგლავნდება, რომელშიც „ცელიან სიტყვებს“ ჟანრები, რათა მერე ქალაქური გარემოს აბალი კომპონირება გახადონ შესაძლებელი. ქალაქური გარემო თემო მაჭავარიანისთვისაც ამგვარი სიტყვების გაცვლაა.

„ხსოვნის ქალაქიდან“ – „შეხვედრის ქალაქამდე“ მოკლე მანძილზე, მსგავსი შეხვედრები თემო მაჭავარიანის ქალაქურ პერსონიფიკირებული. ეს ქალაქი, უზინარის ყოვლია, ქურთია, აღმართები, დაღმართები, სახლები, ცა, მუქი, პაერი... და მათი მოძრაობა. და კიდევ, ქალაქის სუნია, ანდა უმჯობესია, სურნელი...

თემო მაჭავარიანისეული ქალაქი მოლოდინიცაა, რომანტიკული მოლოდინი. გარდა ამისა, ფსიქოანალიტიკოსები რომ უწოდებენ ისაა – „გაფანტული ყურადღება“. ასეთი „ყურადღება“ ახლდაო ანდრე ბრეტონის გასეირნებას, ამბობენ. ქალაქი ამ დროს უნებლად წერტილად იყინება, ნარმოს-ადგენის სფეროში გარინდებულ უფრავ წერტილად, იმ დროს, როდესაც თვით ეს სფერო ფუნქციონალური ქალაქის ფორმისავე აირეკლავს და იმ ზოგად წესრიგსაც, ქალაქური შეხვედრები რომ ემორჩილებიან.

და მაინც, ამ „შეხვედრებს“ ჯიუტად არ გვიჩვენებს მხატვარი. ისეთ დროს გამოდის ქალაქში, როცა მის „სატრფოს“ – ქალაქს – ან არ გაუღვიძია, ან უკვე სძინავს, ან კიდევ, „მკვდარი საათი“ აქვს.

უპაციოდე ქალაქში უფრო ამკარად მოისმის ნაბიჯის ხმა.

როლან ბარტს აქვს მცირე ესეე – „ენის სეირი“, სადაც იგი სეირს ხმარს უპირისპირებს. სეირი ხმაურის არარსებობას აღბეჭდავს. იდეალურად სრულყოფილი და ამიტომაც, უხმაური მანქანის ხმაურს. ასეთი ხმაური გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ თვით ხმაურის გაქრობა. თემო მაჭავარიანის, თითქოს-და ხმაურის გაქრობის ხმას ვგავრცნებს. ანდა, დაბნა, გვაუფრებინებს, თუ როგორ ქრება ქალაქის ხმაური, ანდა პირიქით. აი, საცაა ახმაურდება ქალაქი და როგორმე უნდა მოვასწროთ გასეირნება – ეს უბნაური მოციონი. ასეთია ყოველდღიურობა.

ყოველდღიურობის დამულამებას სხვა კულტურა უნდა. უფრო ზუსტად, ტრადიცია. ყოველდღიურობა ჩვეულებაა. რჯულზე უმტიციკესი ჩვეულება. ყოველდღიურობის კონსტრუირება შეუძლებელია. შეიძლება ცხოვრების რაღაც სტილის კონსტრუირება. ოღონდ არა ყოველდღიურობის. ეს სტილი კი, ყოველდღიურობად მაშინ იქცევა, როცა ის განვლილია, განცდილია, გამოცდილია. მოკლედ, ნაცხოვრებია, ანდა ნახმარია!

ყოველდღიურობა – ა, ცხოვრება; ა, ტრადიცია!

ანრი ლეფერისა არ იყოს, ყოველდღიურობაა ნამდვილი შემოქმედების ლოკუსი. ამ ლოკუსში იქმნება ყოველგვარი ადამიანური, და თვითონ ადამიანი!

ისე, რა კარგი დრო იყო, ბელნისკი რომ ბელნისკობდა (ისევე ქულაზე მოგახსენებთ).

ვერა რომ ვეროდა, თბილისი რომ თბილი-
სობდა, საბჭოთა საქართველო რომ საქართველოდა.
ნაღი ყოველდღიურობის განც-
და მაშინ იყო, თუ იყო!

„პრაზნიკებმა“ ჩაიარა! ყოველდღიურო-
ბის რუტინიზირების დრო ახლა დადგა.
„სოვოკური პრაზნიკი“ ახლა
რუტინიზირდა. ყოველდღიურობა,
როგორც არადღესასწაული, არა იდეალი,
უფრო რთული დასახატია. ასეთ ყოველდ-
ღიურობაში უფრო ძნელია არტისტული
იდენტიფიკაცია. ქაოტური ყოველდღიურო-
ბის კომპოზიციაც უფრო ძნელი მოსახე-
ლთქმობა.

საერთოდ, თემო მაჭავარიანში ყველაზე
მეტად კომპოზიციის შეგრძნება მზიბლავს,
ქალაქური ლანდშაფტური კომპოზიციის
შეგრძნება. კომპოზიციის სტრუქტურა კი
არა, კომპოზიციის სიტუაცია. ალბათ,
კომპოზიციის რეალიზაცია ესაა.

პერტრუფა სტაინი სეზანზე რომ წერდა,
სწორედ ამ თვისებას აღნიშნავდა –
კომპოზიციის რეალიზმს (რამდენი
„კომპოზიცი“ დამიგროვდა, არა?).

თემო მაჭავარიანიც ასეა, სანამ მიაღგ-
ება თუ დაადგება რომელიმე ვერულ ქუჩას,
ბელისსკი იქნება ეს, ჯავახიშვილი თუ
კერესელიძე, ეს ქუჩა მოიაზრება როგორც
რეალობა, ჩვეულებრივი; სადაგი რეალობა.
აი, მას შერე, რაც მხატვარი ლანდშაფტურ
რეკურსს გამართავს, ანუ მას შერე –
როგორც უკვე ვთქვი – დაადგება ამ ქუჩას,
კიდევ უფრო უსტადედ, თვალს დაადგამს ამ
ქუჩას, უცებ იცვლება მისი კომპოზიციაც
და ამ კომპოზიციის რეალობაც ნაბიჯ-
ნაბიჯ, სულ უფრო ამკარა ხდება.

თემო მაჭავარიანს ვინრო ქუჩები უყვარ-
ს. ამ ქუჩებში კომუნიზმი მართლაც ვერ
შეუმეტყოდა...

მას ამ ქუჩების გაჩერება სჩვევია.
ქუჩების და სახლების. ჰო, ჰო, სახლები მოძ-
რაობენ, ჩვენთან ერთად მოძრაობენ. ჩვენს
აღქმაში მოძრაობენ. მხატვარი კი, სახლს
აჩერებს. ნივთსაც აჩერებს. აჩერებს
მხერთი, ხან მყისიერი, ხანაც დაჭინებული
მხერთი.

თემო მაჭავარიანსაც შეუძლია თქვას:
„ვამოუვარდები, ხარ თუ აღარა“, შერე კი,
„და მიხარია, რომ ისევ დგებარა“

ძველი ვერა თავისი სახლებით დღესაც
თემო მაჭავარიანისთანა მხატვრების წყალ-
ობით დგას.

ახლა მის ფერსაც მინდა დაეადგა თვალს
და ფერიც წერას, თითქმისდა ათასჯერ ნა-
ხმარ პრინციპსაც. ანდა, იქნებ ეს „პრინცი-
პიც“ ზედმეტი სიტყვაა? ყოველ შემთხვევა-
ში, მაჭავარიანის სურათებში ფერი სულაც
არაა თვითრეფერენტული; და მხატვარიც,
ელემენტარულად, ისტორიას მოგვითხრო-

ბს, უბნის ისტორიას, ქუჩის ისტორიას,
ლეს ისტორიას, აღმართის ისტორიას,
მართის ისტორიას... აი, საქართველოს ისტ-
ორიას არსად გვიყვება!

მოკლედ, ფერი მთლიანადაა დაქვემდევ-
ბარებული გამოსახულების თხრობით სტრ-
უქტურას. ანუ, როგორც ბევრმა ისწავლა
ჩემგან – „ნარატიუს“. ხშირ-ხშირად გაიმეო-
რეთ ხოლმე!

სად შეჩერდი? ჰო, ფერზე ებაზრობდი.
ჰოდა, ეს ფერი მოულოდნელად იძენს
ხოლმე რაღაც მეორე პლანს, ხდება არა
კონკრეტულად, ამა თუ იმ სახლის ფერი,
არამედ, საერთოდ, აგურისფერი, საერთოდ,
კედლისფერი, საერთოდ, ხისფერი, ანდა
საერთოდ, ცისფერი... ასეთი ფერი, თითქ-
ოსდა საბოლოო მიზნისგანაც თავისუფლ-
დება. შემქმლო დამწერა, ემანსიპირდება.
მაგრამ ემანსიპაციის თავისუფლება სჯო-
ბს. ის უკვე აღარ არსებობს (ფერზე მოგა-
ხსენებთ), რაღაც გარეგანისათვის (და გარ-
ეკანისათვის), თანაც ნიშნის თვისებითაც
აღარ არსებობს. მის მიღმა ჩანაფერებულ
იდეაზე რომ მიგვიანიშნოს, ფერის იდეაზე-
არადა, მგონი ისიც ამკარაა, რომ თი-
თოული ფერი, რაღაცას აღნიშნავს, ანდა
მაინც აღნიშნავს „რაღაცას“. ბოლოს და
ბოლოს, რახან „რაღაც“ ფერი საგნობრივ-
ად არსებობს, „რაღაც“ ეიდოსითაც უნდა
იყოს გამაგრებული. კაცმა რომ თქვას, მხა-
ტრობა ამ „რაღაცასა“ და „ეიდოსს“ შორის
ძაფერის გაბმაცაა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თემო მაჭა-
ვარიანთან ფერწერა განიცდებდა, როგორც
ფერების მიერ საქმის გარჩევა... ქუჩაში. აი,
ამაში მგლავნდება მისი ფერწერის ქა-
ლაქური ფარგონი. სწორედაც ქალაქელებს
სჩვევიათ ასეთი დისკურსი. და ფერებიც
ასევე არჩევენ ერთმანეთში თავიანთ
პოზიციებს, მტყუნანსა და მართალს
(მტყუნანს?!). ბოლო-ბოლო კი ყველაფერი
ერთ დამჯდარ ტონალურ სტრუქტურაშივე
მიდის. საინტერესო თვით ეს პოციუსია,
„მიახლოებისა და განხილვის ძალთა“ გან-
ლაგების პროცესი. ცივებისა და თბილების,
უბნებისა და ლაბილურების, სტატისკურე-
ბისა და მობილურების (?) დავა, კამათი,
რომელიც არასოდეს გადაიზრდება ხოლმე
ხელჩართულ ბრძოლაში და საერთოდ, თემო
მაჭავარიანის სურათებზე ვერავინ იტყვის:
„შემილილი სახით კოდა ქუჩა“.

ახლა ქუჩიდან ისევ მხატვრის ატელიუმი
დავბრუნდეთ და დაეაფიქსიროთ, რომ მას
მოტივზე მუშაობის საკმაოდ ინტიმური
პროცესი ახასიათებს. არადა, პროცესის
ინტიმი რა ჩემი საქმეა. ეტიოდურობა რომ
შეუმწმეველად გადაიზრდება ხოლმე სურა-
თოვნებაში, პლენერული ეგზერსისი კი
მოტივიანდე სოგადდება, ეგ კი ნაღვია.

თანაც ისე, რომ მხატვარი ამ მოტივს პლენერულ სუნთქვასაც (კინალმ დავენერე - არტიკულაციას) არ უკარგავს ხოლმე. ასეც შემოქმედო შეთქვა (შეთქვა კი არა, დამინერა) - მოტივს არ უკარგავს პლენერულ მოტივაციას. არც ქუჩის დისკურსს კლავს, მუდამ ინარჩუნებს დღის, ასე ვთქვათ, სეზონს - დილის, შუადღის, საღამოს, თუ სულაც ღამის აურას. დიახ, არა განათებას, არამედ აურას.

და მაინც, თემო მაჭავარიანისეულ მოტივებს მუდამ აზის რაღაც გამოგონებულის დამლა. გა-მოგონებულისა და არა შეთხზულისა. მოტივზე მუშაობისას, ასე მგონია, არასოდეს ტოვებს გამოგონების სვედა. ესაა მოგონების გახსენება. და ამ მოგონებისა და მის გახსენებას შორის, ისეთივე დროითი ცენზურაა, როგორც გამოსახულებასა და მის მატერიალურ-ფერადოვან ხანების შორის.

მხატვარს რეალობის კი არა, ისეც და ისეც, ყველდღიურობის ილუზიით სურს ცხოვრება. თუნდაც თავის ვატანა და დროის ვატარებაც. ყოველდღიურობის ილუზიით ცხოვრება ძალიან ძნელია, მით უფრო ძნელია საგნისა და მისი ფერწერული ეკვივალენტის ადგენას მოაქციო რეალობის სრული ილუზია. ძნელი კი არა, მგონი, სულაც შეუძლებელი არაა, ეს ხომ ქალაქური ეთოსის განცდვისა და მისი ტოპოლოგიური მოტივითის მთელი გამოა. გაუვალებელი აღმართია ფერებისა და პლანების, შექმნილი პერსპექტივისა თუ კომპოზიციური ცვლების წარმოდგენა გამოსახულებითი მიმართებების სისტემაზე და მერე მისი განსხვავება - სურათი. ასეთი არეული ტაქტივით სწევია ჩვენს მხატვარს.

მაჭავარიანის სურათების შემხედვარეს კი, კეთილგანწყობილ კრიტიკოსს, იმაშიც გინდა დაირწმუნო თავი, რომ გამოსახულება კი არ გეძლევა, არამედ ახდება, რომ სურათიც, კი არ იხატება, არამედ ახდება. ისე, როგორც ერთხელ იხადება ადამიანი და ერთხელაც კედება. სიკვდილის მერე დაბადება კი, მხოლოდ და მხოლოდ ფიქტია. თემო მაჭავარიანი კი, არასოდეს ყოფილა ფიქციონალისტი. არა, ფაიზინგერის ტიპის ნეოკანტიანელი ფიქციონალისტი კი არა, უბრალოდ, ყოველდღიური ფიქციონალისტი.

ის რეალისტი. რეალისტი დიდი ასოთი. უფრო ზუსტად, ნეორეალისტი. თანაც იმ გაგებით, რომ გამოსახულებას კი არ პოულობს, არამედ გამოსახულება მიჰყავს (თუ აჰყავს) იქამდე, რათა მან თავად აღმოაჩინოს თავი. და (რომ იტყვიან) მე ეიტყოდი, თავადვე მოახდინოს თვითკოლ-

მპონირებადი გამოსახულების ქაჩილთვი-თრეფლესია.

თემო მაჭავარიანის მხატვრული სისხსეული ხილისა არ იყოს, პირს არ დაგაკარებინებს, სანამ პირობას არ დაგადებინებს, რომ მარტოოდენ სამზერად გჭირდება. ახლა თვითონ მზერა? ესეც უცნაური პროცესია - საგანზე მზერა, მზერის შეჩერება, სულ მცირე დაყოვნებაც კი, შეიძლება ძალიან ძვირად დაგჯდეს. ერთი მყისიერი მონაწილისათვის რამხელა დრო უნდა გაიღო, განცდის დრო... აი, ეს განცდის დრო გეძლევა მის სურათებში მთელი სისასებით.

მხატვარი ქუჩას, საგანს, ადამიანს კი არა, მისდამი სიყვარულს ხატავს. თითქოს-და, რა უბრალო ამბავია არა? თანაც როგორ ბანალურია ეს ყველაფერი. და მაინც, როგორი სანდო, ნამდვილი, აუთენტური. ანდა, უბრალოდ, ნაღდი. თუმცა ხანდახან იმ ქუჩაზეც ვარ ხოლმე, რომ ხელოვნებას სულაც არ შეაფერის სინაღდე. ნაღდი ფული შეიძლება იყოს მხოლოდ. თუმცა ეს - ხანდახან...

და მაინც, რიდეები არ იყოს, ზემოთ რომ ვახსენე, იმგვარი სიყვარული, ყველანიორ სიყვარულზე მაღლა დგას. თუმცა ერთიცაა, ამგვარი „სიყვარული“ პროცესში, საგანი უარესდება თურმე. თვალის რეფლექსიას, ისევე როგორც, საერთოდ რეფლექსიას, ერთი უცნაურობა ახლავს: იმის მაგიერ რომ რაიმეს უტყვიო, ამ ცქერაზე ფიქრს იწყებ და ამასობაში ეს „რაიმე“ ფერს იცვლის, ნირს იცვლის, სახეს იცვლის, ნიღაბსაც იცვლის. უცებ შეხედავ და სადღაა ეს? საგანი - ლოკოპირისასებით თავის ჯავშანში შემძვრალა და გატვინულა... შენ კი ისეც გაიძახო: „აი, ის“, მაგრამ სადღაა? ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი სურათი, მაინც ანონიმური ობიექტის გამოსახულებაა, იმავე თემო მაჭავარიანისეულ, ქალაქურ მოტივებს პირობითადღა შეიძლება უწოდო, ეთქვათ, ბელინსკის ქუჩა, რადგან ეს სურათის სახელწოდება კი არა, ქუჩის სახელწოდებაა. თორემ პლენერული ეგზერსისიდან მოტივამდე ტრანსფორმაციისას ქუჩა სახესაც იცვლის და სახელსაც.

სხვათა შორის, ბელინსკის ქუჩას რა ხანია აღარც უქვია ძველი სახელი. და აღარც სახე აქვს ძველი.

და რა დარჩა მისგან? ნოსტალგიური ტოპოსი!

რაც შეეძება მხატვარს, ტექსტუალიზების პროცესში ისიც იცვლის, სახესაც და სახელსაც იცვლის. და რა რჩება მისგან? ნოსტალგიური ტოპო-გრაფი! მერე კი, უბრალოდ, გრაფი!

ფიროსმანსაც გრაფს ეძახდნენ თურმე...



ქურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს ცნობილ ქართველ მწერალს ლერა რაჭმინაძეს 60 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

ფრთხილად, მაღინდარა, ახლოა ქაში!

— მაღინდარა?

— ჰო, მაღინდარა!

— მაღინდარა ვინღაა?

— ვინ არის, ჩემო ბატონო, და, კაცზე ხომ გავიგონია ლაზღინდარაა, მასხარაა, მავნე-მაქციერიაო, ზემო იმერეთში უცებ იტყვიან: მაღინდარააო! ჰოდა, მოგვსწენება, ღრთია ვითარებაში სიტყვარგორი იველის სახეს, ზოგჯერ როგორ ჩიანდეება, იმრიტება, ზოგჯერ როგორ ააღვსო თავს, გაივსება. ასეა მაღინდარაც. ზემო იმერეთის უღრან მთებში უხსოვარ დროს ახალ მთვარეზე მგლის ლეკვივით ნაშობ სიტყვას, დღემდე ვეირილას და ჩვენიმელას ხეობებს რომ არ გადმოსცდენია, ყელსაბმელი შევაბი და გადმოვაბლორკე დღეღებზე, გადმოვაპლივიგუნე სერებზე, გადმოვაბარძუე დაბებზე, გზადაგზა ვასვი ვაჭაშზე, გავზარდე, ნამდვილ მაგულს დავამგვანე, ახალი ქურქით შევმოსე, ახალ აზრი მოვიანერგე და, შენ ხარ ჩემი ბატონი, საქვეყნოდ გამოგიცხადე.

არ იფიქრო, ჩემო ბატონო, მაღინდარა ახლა გაჩნდილყოფს, — ძველი დროდანვე მოქინდილ-მოლაინდარობს, არცერთ ხანაში ის არ კლებია საქართველოს, მაგრამ დღეს როა ამდენი — დღემთა დაგიფაროს! სად, რომელ კუთხეში, იერარქიის რომელ საფეხურზე არ ნახავ. რომ კითხობ — რა ხელობისა ხარო, დანამდვილებით ვერ გეტყვის, ვერც გვარსახელს გეტყვის, ვერც უროვნებას, რაღა თქმა უნდა, სახე ხომ არა აქვს და არა აქვს. მაგრამ მაღინდარას ეს რაში ენადლეება — ჩვენს ბედნიერ ხანაში ის ერთადერთია, ვინც მაღინდარობით იხვეცს სახელს და დიდებას. ჩემი პანია სარკელიდან ვხედავ — როგორ დაიბლინძებთან, როგორ დაიხვანძლებთან, დაიყინჩებთან. ზოგჯერ ისე ახლო მოდიან, სარკმელს მიჩრდილავენ, ისედაც ბნელთაბს კიდევ უფრო მიმწელებენ, გამწარებულ სულს კიდევ უფრო მიმწარებენ. ჩემი სარკმელი რა სათქმელია, ჩემო ბატონო, — სამშობლოს თურქ-სელჯუკებივით შესვევიან და მზეს უმაღავენ, აუკაცროლებენ. რაა, მაღინდარა ვინ არიო? — შეკითხება თავად მაღინდარა. შე მამაცხობნებულო, მთელი ცხოვრება იმის მოლოდინში ვარ, ეგება როგორც შენვე ნამოცხვედს მისი გვარსახელი და შაგას ახლა ჩემგან ითხოვ? ვერ ხედავ, ნათლის მოლოდინში წვედიადმო რომ დაეფორხილობთ? ყველას მწარე ძილით რომ დაეძინება (ვია, იმ ძილს), ვინ იტოლება სამაღინდროში და თავიანთ ნაქმწარსა და ნამოქმედარს ვინ უზიარებს ერთიმეორეს? ამდენი უბედურებით გულდათოუქულები, ნიანგის ცრემლებს ვინ ღვრის? ნაცვალსახელიან

ხელს ვინ იშვერს ვილაც უსახელგვარო და მინაშა-ვევებისაკენ, რომლებიც, თქვენ რომ კაცმა გისმინით, აქ, საქართველოში, ან თუნდაც ჩვენი პლანეტაზე კი არა, საფლავ ანდრომედას დახი-სლულ თანაერსკვლავებზე უნდა ვეძიოთ? ჩვენ სამაგოსოდ უძღურნი ვართ, რადგანაც „თუ საძირკვლები დანგრეულია, მართალმა რა ჰქნას?“ რაო, სამაღინდრო სად არიო? სამაღინდრო ყვე-ღვან შეიძლება იყოს, ჩემო ბატონო, ფაქტების სამკერეალოთი დანგვრული უმაღლესი მსაჯუ-ლის დარბაზონებით დამთავრებული. ისე ისწრა-ფვიან სამაღინდროებისკენ, როგორც ფუტკარი — სკისკენ. თუ სამაღინდროში რომელიმე მაღინ-დარა დანიწარდა, იქორპლატინის გვირგვინით ამკობენ, მუხლს უყრიან, ადიდებენ. ზოგჯერ კი შეიძლება ბედმა არ გაულომოს, ორპირა ნაჯახის წყალბობით ქართლის ნაემს ჩააბრძანონ, კბილები რაყ ძველქართული მონეტა წასწაონ, მდინარე აქტრონტის შავ ტალღებს გაატანონ და ჰადესში ჩააბრძანონ. რა ქნან, ამგვარი მათი წესი და ბუნება, ამგვარი დაიბლუნჩებთან და დაიარჩე-ბთან სამაღინდროდან სამაღინდროში.

„ვია შენ, იერუსალიმო! ნუთუ აღარ გასუფთა-ავდები? როდემდის?“ — გოდებს იერემია.

„ვია შენ, მაღინდარა, და სამაღინდრო, ნუთუ აღარ გასუფთავდები? როდემდის?“ — გოდებენ ნინაპარაძე ძელები მამადავითხე.

— აღარ მტყვევი, შეაკეთე, ვინ არი მაღინდარა?

— ვინ არი, ჩემო ბატონო, და ვინც გამწენს შემწმარა, ახველოს ხელი აუქმია, ემშაქს შე-უამხანაგდა, ნაღმართი გააუკულმართა, სიცო-ოცხლე სასტიკი საკერელებით შეკრა, სიყე-არული შებღანა, სასოება ბზესავით ქარს გაატა-ნა, პატოსნება დილეგმი გამოამწყვდია, სი-მწინდე ძალღებს გადაუყარა, მარგალიტი ღორებს დაუფინა. ვინც ვერც შეწვენიერებისა სცნო რამე, ვერც სიმხიზვის, ვერც სიკეთისა შეიწრო რაზე, ვერც სიბოროტის. ვინც მედიდურობს და ურწმ-უნოების ბინდში დაბოროილობს, მძლეურობს და მანაც ირვევა მისი საძირკველი, ვინც ვერაგო-ბით, ცრუბრძანობით, უსამართლობით ემსაჯუ-ლა, სიმწინდით გაკვართული მტკიცე კამათით დაარღვია, ათასწარი კანონი გამოსცა, ხალხი რომ უბედურებაში ჩაეყარა. ვინც განდიდებას ითხოვს ხალხისაგან, ხალხს სძულს. იღვნეს, როცა ხალხი სულატაკეთი ღაფავს სულს. ვის ხალ-პალატოცი აურაცხელი ზუთი და კანდელი იწვის, როცა ხალხი წყვდიადში ჩაძირულა.

ფრთხილად, მაღინდარა, უფაღს ნუ არისებ, ახლოა ვაში განკითხვის! — გოდებს მამადავითი.



ჩემი პანია სარკმლიდან ეხედავ — სიცილით კვდება მაღინდარა, მუშტებს მიღერებს, შორიდან რაღაცას მელარლილება: ვან კითხვის ფაში თუ ახლოა, ეგ მე რამი შეკითხება, ეგ შენ აკითხე, შე საცოდავო, მე იმხელა მფარველი მეყას, ნავალ და იმას შევეფარები, — ფეხთამლოკობაში მაჯობებ თუ ქვეშარომობაში იერარქიის რომელ საეცხურსაც მინდა, იმ საფეხურს ვიყიდი, ზევიდან მოვავლებ ქვეწიფერებას თვალს, უცხოეთის ავარაკებს მოვივლი, საროსკიოებს, რაქრამიცი ვივლი, სამორინეში გავერთობი, გამოფენებს დავათვალიერებ, სურათებს შევიძენ, შეილებს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ვასწავლი, ღვთის ველსაც მოვიხედი, ბიბლიის ფელაწარი გამოცემას შევიძენ, ზალა-პალატებს ხატებით ავაესებ, საკერაო ნირკებსაც დავწერები, სანთელს დავივითებ, პირუჯარს გადავიწერ, მე მეფელაფაშვილი არ გვგონო, არც ყვარყვარე, არც კვაჭი, მაგათი დრო ნავიდა, დღეს ჩემი დროა, აპა!

მართალი ხარ, ჩემო მაღინდარა, შენ დიდი მფარველი გყავს, იმას შეეფარები, რაც დაიბადე, იმის შესრულებაც შეგიძლია. მაგრამ შენს ურწმუნობას რას უზამ? ქვეშარომებად ახლოა ფაში განკითხვისა და ვაი თქვენ, მოციხიანო ამჯამად, კინაიდან ატორდებით და აქეთინდებით! პოდა, ნუ გადაეფოფებ ამ ეზირი სოფელს, დაუნყნარდი ბედს, მაღინდარა, უფალს ნუ უერჩები, ვერ ხედავ — გაუდაბურებულია გზები, აღთქმა დარღვეულია, თანყვეტილია სახლები, აფრები დაფხრწნილია. და შენ გგონია უკვე დაინერგე, უკვე მიწაში ფესვი გაიდგო? გზის პირას დაეარდნოლი თესლი ხარ შენ, სულ მალე ცის ფრინველები რომ აგვეკეციენ. არ გესმის, რა სასტიკად უბერავს, ჩალას-აეთი გახებულები ქარისხალი, პავრის ხილვაც კი შეგმუსრავს.

გაგიკვირდება, იმგვარი მოულოდნელი იქნება რისხვა, თავს რომ დავატყუდებთა შენცა და შენს მფარველ მაღინდარასაც. უწყალები მბაღური მეგონად, ჰოროტელთა სიხარული ხანმოკლეა და უღვთოს ღებნა ნამიერი. თუნდაც ცამდე აშალდეს მისი დიდება და მისი თავი ღრუბლებამდის მისწვდეს, თავისი განაჯალივით გაქრება საბოლოოდ. ნუ დრტინავ, ნუ იმღერევი, ნუ ჯიჯინი შობილ ქვეყანას, ნუ არყევი მის საძირკველს, ნუ თვალთმაქცობ, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით გიყვარდეს უფალი. პირუჯარს კი გადაინერ, მაგრამ სისხლში და ლაფში ამითონინლი ხლებს სად დიდავ? სათიულს კი დაანთებ, მაგრამ გულში ხომ იმკვლე: არ არი ღმერთი! აღსდგება მინა შენს ნინაალმდგე, ცა ამხელს შენ დანაშაულს, ქარივით გაქროლდება შენი დიდება, ღრუბლებით დაფარტბა შენი დოლაფი. იმაზე ნუ კი გაფაფავიფებარა, არიქა და მოხვედლობ რა დაუასრითო, — შემუფთიდი, ქარბუქსა და ყვანამი შენი შეილის ტოლს ხელგამვერილს რომ დაინახავ, განძარცვე სამოსი და შემოსე, ეგებ ამით მაინც დაიხსნა ნანყმედისაგან შენი თავიცა და შენი ნიშატიც. ო, მაღინდარავ, კონდა კრანწხულთა და ენამრუდო ნარცისო, ასე რამ შეგყვარა საკუთარი თავი? შენ სახეს ტანჯვებს ერთი ნაოჭიც რომ არ დასჩენია, შენს თვალებს მწუხარების ერთი ცრემლიც რომ არ მოსწე-

ვეტია, სადამდე გინდა მდაბიურ სირილიში და ღვარჯლი ამონებული ლაზარტის მხარეში შეიქციო, ხალხს თვალბმობი ქვეშარომებად რიგები? ბრიკელის მენიწარი ბრმას რომ დამგვარებინარ, უფსკრულში გადასარჩხად გამაღებულს, მომავლებს რაღას ერჩი? ანაიარი რა დავიშახურებია ერის და ქვეყნის ნინამე, რომ დიდკაცობ, რომ მვედიდურობ, მარმარაილოს აბაზანაში რომ აფუფუნებ შენ გლეხურ თავ-პირს?

ვაი შენ, საწყალო ვეა ფშაველია ვაი, საწყალო ნიკო ფირისმანაშვილი! ნუთუ იმისთვის იღენათ ასეთ სასტიკ სიღატაკში, ჩემად, უღრტინველად, ტანჯვით, ანაიარი მაღინდარები რომ გასწიწოდ და თვეს ქვეყანას ჩემო ძვირფასო მაღინდარა, ნეტა თუ იცი: როცა შურით აღესიღმა კენმა თავისი ძმა აბელი მოკლა და ამ ცოდვისათვის უფალმა ნანყმიდა, რამ იხსნა ამ ცოდვით ნარღველი მინა? — სოცარულმა და ჩმწხნამ, რადგან რისი იმედი ექნება უღვთოს, როცა გაბკვეთს, როცა ამოართმევს სულს ღმერთი? განა მის ჩივილს შეისმენს ღმერთი, როცა გასაჭირი დაადგება თავზე?

მაშინ კი აგებობდა, ბრმაო, თვლი, როცა უბედურება გენივთ, გაგახსენება, ურუო, ყური, როცა სინმანით დაიძლევ, ეგებ შეინანო კიდევ, მაგრამ უკვე გვიან იქნება, — უბედურების ჩარხს ბედნიერებისაკენ ვეღარ დაატრიალებ.

შესდგე, მაღინდარა, შეინანე, ვიდრემდე დროა! — გვედრება მამადავითა.

— და მაინც, ვინ არი ეს მაღინდარა?
 — ვინ არის, ჩემო ბატონო, და ვინც ღვთის საფდრად ცა არიწმუნა, სათნობა და სინმინდე ფებქემ გათელა, სათნული ხვირინის ქვეშ შდგა, იფლიდა, ვერც მტერი იცნა და ვერც მოუერე, ვისი პოც ტყულია და ვისი არავ, არავის არაფერი მოუტევა ვინც მობზრებელია, ვარუელია სისხლი, მშაკერობაში, დედისაგან დაწვეულია, მამისაგან მოკეთილია, ბორტების ჩამფარცხველია. ვინც მოლოკელს სათნული ჩაუქრო, მოკეთებე განარისხა, ძმა საკუთარი საკარმიდამოდან გადადგნა, თვისტომი გაამეძეა, გამათხოურა, სამონყალო ხელგამვერილი ვაროზავ. ვინც ნინამართა ნმინდა სახელები შეტალა, თანხმობას განხეთქილება დაუპირისპირა, მამაპაპულ წესსა და აფათს — ურჯულება, დარბაისილურ ქართულს — ცრუქართული. ვინც მცირე არ იქმნა, ზალა-პალატები განძელით დახუნდა, საქვეყნო ბელებით დაიკარივლა, მდაბიური სოფრა იუკადრისა. ვისაც ბრძენი ჰგონია თავი და ბრიყვს სცემს თავყანს, ვისაც ტანისამოსი სთბოვეს და იმან სანაცვლოდ ფეხსაცმელს კი განადა, ვისაც გროშები სთხოვეს და იმან უკანასკნელი ღუსმაც წარსტივა. ვინც სიძულელით იმსაჯულა, ქვეყნის სიმტიკე საკუთარ პატრეს და დიდებს ანაცვალა, საქვეყნო საქმე ტალახში ამოზუნა, სამშობლოს სახელით სამშობლოს ჭირი აზრავალია.

ფრთხილავ, მაღინდარა, უფალს ნუ არისხებ, ახლოა ფაში უბედურების! — გოდებს გვლათი.

ჩემი პანია სარკმლიდან ეხედავ — სიცილით კვდება მაღინდარა, მუშტებს მიღერებს, შორი-

დან რაღაცის მელარლილება: უნებურების გამო თუ ახლოა, ვე მერაბი მეკითხება, ვე მენიკითხე, შე საცოდავო, - მომხეტეულობაში მაჯობებ თუ რაშიწაველ და მალაღვალაუნინან სასახლეს შევ-აფარებ თავს, სასამელსაქმელი არ მატებს, ოქრო თუ იარაღ!

პართალი ხარ, ჩემო მაღინდარა, ნახელ და მალაღვალაუნინან სასახლეს შეაფარებ თავს, მაგრამ შენს ურნმუნოებას რას უზამ? ტუმშარიტად ახლოა გამო უბედურების! და ვაი თქვენ, მოციონარნო ამგამად, კინადან ატირდებით და აქვითინდებით". პოდა, ნუ გადაეფოფხე ამ ვინრო სოფელს, დაუნყარდი ბედს, მაღინდარა, უფალს ნუ უურჩებ, ქმარა, ყველაფერს საზღვარი აქვს, შე ვულგაკრებულა, დაფიქრად, საით მიაქნებ ქვეყანას, ხესაით ნუ ამოშორკე იმდე. ცხვ-გალაუნინი რომ შეყუფულხარ და შენს სისხლსა და ხორცს ემალები, სად არი მონყალეობა შენი, სად არის სიმართლე შენი, სად არი რანადობა შენი? არ გსმენია: „ოდეს დგება გამო მძლარეობისა: ხალხი ძრნის ძლიერთა ნინამუ. ნუ ანგრევთ მათ საცხოურისებს! ნუ დასცინით მათ ცხოვრებას! ნუ დაამწურებთ სხვის ცხოვრებას და თქვენიც აღარ დაწმუნებდეთ! რა ფასი აქვს შენს ლხენს, როცა შენს გვერდით თასიხით თვისტომი მშორია? რა ფასი აქვს შენს დოვლათს, როცა ქვეყნის საზღვრები მოქიქებულია და ყოველანაის უბედურება გელის? რა ფასი აქვს შენს სრა-სასახელს, დიდებულად მორთულ-მოკაშულს, ქვიშაზე დამეტულას, უსახურავოს? ეკალ-ზარდებში ჩაყარდნილი თელხარ შენ, ეკლად მოსული, უნაყოფო. ღვთის შეცნობას თუ არ ეცდები, ვერსად დაემალები მის რისხვას, ცეცხლით რომ გიზოვნებს სწორედ ყოველი დამმრეტელი წყლიდან ამოგიზოვდება შენი დამძუგველი ცეცხლი. უწყოდე: მრავალგზის ჩამქრალა ბორცტულთა ლამპარი, მრავალგზის დასტეხილი თავს უბედურება. შენი სრა-სასახლე ნაკარტულად, ქვეწარმავალთა სადგომად, ქარუბისა და ტურების სათარუმოდ იქცევა, შენს დარბაზებში ეკალი ამოვა, ქაცვი და ძეძვი, შენი ნიშატი ცეცხლში ჩაინაცრება. რჩარდით სასონარკეთილი ივირებ: ცხენი, ცხენი, მთელ ადგილამაშულს ერთ ცხენში ვაძლე! - მაგრამ მშეუღელი არ გვეყოლება, წყალი მოგეზმანება და წყალი არ გექნება, საქმელი მოგეზმანება და საქმელი არ გექნება. ნაბანი წყალივით დაიღვრები, გამოფიტულ თიხასავით დაგეფშენება ძელბი, ცილივით ჩაგადნება გული ცოდველ გეამში. საკუთარი ხელი დავიგლეჯ თმა-წვერს, ჩამოიხიკავ წელსაცხებლიან ლამაზ პირისაქვს. უწყოდე ბიბლოური შეგონება: უფალს ცოფვილი თუ გაუგონებენ და დაემორჩილებიან, დღეებს სიკეთეში დასარულებენ და ნღებს - ნეტარებაში. თუ არ გაუგონებენ, მახვილით დაიღუპებიან და უფურად დაიბოცებიან".

მამინ კი აგვიბლება, ბრმად, თვალს, როცა უბედურება გენება, გაგვხსნება, ყრუო, ყრუი, როცა სიბრძნით დაიძლევი, ვგებ შონანო კიდევ, მაგრამ უკვე გვიან იქნება, - უბედურების ჩარხს ბედნიერებისაკენ ევლარ დაატრიალებ.

შესდექ, მაღინდარა, შენაწინავე შემდეგ დროსა - ევედრება გელათ, შენაწინავე შემდეგ დროსა - ევედრება გელათ, - ბოლოს და ბოლოს, რა გეძნება, რა გეძნება?

- ვინ უშმაკება, ჩემო ბატონო, და ვინც მოყვასი იმეგარადვე მითხლა, როგორც მტერი. რაც თავისთვის არ ინდგობა, ის სხვას დამართა. მწყურვალს წყალი არ ასეა, მშობრს პური დაუკავა, დევნილი უფრო მეტად დევნა, დავედრებულს უფრო მეტად ავედრა, უმნიკლოს ცილი შესწამა, მაღლი ქრდა და აქილიკა, ნივთებს სცა თაყვანი, მარტო პურითა ცხოვნება ირნმუნა და გაამრავლა პარვა კაცთა შორის. ვინც ვეღა დროებისა, საითაც ქარმა დაუბერა, ღერნამივით იქით გადაიხარა, სამშობლოს სიფარული საკუთარი თავის პატივს და ამპარტავობას შესწინარა, შინათგამცემლობა სთესა, შფოთი, პირუმტკიცობა, მონყალეების მიმოყენელი გიგად შურაცხა, უნუგემულად თანამომქმეხე ხელკეტი აღმართა, ჯელოანი შემოსილ ბრძენს კაცს, მატყარ-მოქანდაკეს, ლექსისა და ტძრის აღმშენებელს, აზრისა და არსის დამფუნებელს. ვინც არც მინის კანონებს მორწმუნებს, არც ცის კანონებს, არც ღვთის კანონებს.

ფრთხილად, მაღინდარა, უფალს ნუ არისხებ, ახლოა გამო დაქცევის! - გოდებს ალავერდი.

ჩემი შანი სარკმლიდან ვხედავ - სიცილით კვდება მაღინდარა, მუშტებს მიღერებს, შორიდან რაღაცის მელარლილება: დაქცევის გამო თუ ახლოა, ვე მერაბი მეკითხება, ვე მენიკითხე, შე საცოდავო, ნავალ და, - ამხელა დედამინას ხომ უყურებ, - სადაც მინად იქ დავესახლება, შენსავით დაეღვრამილი კი არა ვარ!

მართალი ხარ, ჩემო მაღინდარა, დედამინა დიდია, სადაც გინდა იქ დავესახლები, მაგრამ შენს ურნმუნოებას რას უზამ? ტუმშარიტად ახლოა გამო დაქცევის! და ვაი თქვენ, მოციონარნო ამგამად, კინადან ატირდებით და აქვითინდებით". პოდა, ნუ გადაეფოფხე ამ ვინრო სოფელს, დაუნყარდი ბედს, მაღინდარა, უფალს ნუ უურჩები. გარბიხარ? შენ გვინდა შენი მღვევარი კაცია? უფალი ხომ მთელი სამყაროს შეუფავა და ერთი-ციციქონა დედამინა რაღა? ევრსად გაუქცევი მის რისხვას, ცეცხლივით რომ გიზოვნებს, შენც დაიღვრე და შენი გზებიც დაცარიელდება, შენს ცხოვრებას შენივე ხელით გამოუშლი საძირკველს. სამინელება ნიაღვარივით დაგატყდება თავს, მტვერსა და ნაცარს დაემუგანება, ქარმშობლს გადაეცემა ვასაცამტვერებლად. ქდემობრილი შენი შეილები შენივე ხელით ნაგვემ დატაკათა ფერხთა ტერფებთან დაემოხიან. საზარელი მოქციებები შეგზარავს, ურკნო საპურობილები გამოიკეტები, წყვდიადზე მეტად დამძიმდები, შენიანის ხორცს დაუნყებ ქამას, შენი გვამი დაუტარებელი, დაუმარბავი ეგდება უცხო მინაზე, ნადირთა კრძი შვიტები. სადაც არ უნდა იყო, ვარლამ არავიძესავით ამოვთხრინა საფლავიდან. გაიხსენ, ჩვენი მოძღვარი რას გვასწავლის: თუ შენი ხელი გაცთუნებდეს, მოიკეთე; თუ შენი ფეხი გაცთუნებდეს, ისიც მოიკეთე;



თუ შენი თვალი გაცთუნებდეს, ამოითხარეო, სხეულის ასოთა დაკლება გერჩიოს ცეცხლის გვენამი ჩავარდნასო. ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, სხვები რომ იმსახუროს, არამედ სხვებს რომ ემსახუროს. გსმენია ეკლესიასტესი: „უკეთესია ის ქვეყანა, სადაც შეფე ქვეყნისთვის იღწვის“? უკმინ მონყალება, არ აქციო პირი დაერდომილს, არც შენ შეგაქცევს პირს უფალი. ჩამოირიცხე კალთიდან უცოდველთა სისხლი, შიგვე კეთსარს კეისრისა, ღმერთს ღმერთისა და შეისმინე ესაია წინასწარმეტყველისა: „ვთი შენ, დამარბეველო, თავად დაურბეველო, გამცემო და თავად გაუცემელო! როცა მოათავებ რბევას, შენც დაირბევი. როცა შენვევტ გამცემლობას, შენ გაიცემი“.

მაშინ კი აგვიხილება, ბრმაო, თვალი, როცა უბედურება გენევა, გავგხსნება, ყროო, ყური, როცა ქუმარტივით დაიძლევი, ეგებ შეინანიო კიდევ. მაგრამ უკვე გვიან იქნება, —უბედურების ჩარხს ბედნიერებისაკენ ეველარ დაატრიალებ.

შესდექ, მალინდარა, შეინანე, ეიფრემდე დროა! — გვეუდრება ალავერდი.

გხედავ, მალინდარა, გხედავ მე სულგამარებული — სიცილისაგან ცრემლები გცვივა, ცა ქუდად არ მიგაჩნია, დედამინა ქალამნად, ვერც ნმინდა საყდართა ეედრებამ მოგიღბო გასასტიკებული გულო, ვერც ღვთის დიდმადლიანობამ და შემწყალებლობამ. დიდება, ღმერთო, შენს სახელს! ამაჰარი რა ქმნილება ხარ, არავისა და არაფრისა რომ არა გნამს — არც კაცისა, არც ღვთისა, არც სინანულისა, არც შიშისზარისა! შე დალოცვილო, თუ ისტორიის ან მიბღიის გადაფურცელა გუხარება, ქონით დაგმანული ტვირის უფრადები მაინც გადაიფხიკე და გაიხსენე! სულ აგერ, აუღინ თუ გაუმიწინი, არ იყო აფხაზეთში და სამაჰაბლოში ქართული ცა თავზე რომ დაგემხო? საკარმიდამო რომ გადაგებუგა? სახლ-კარი სიხსლით რომ მოგერწყო? შენი ცოლი სხვამ რომ შეირთო? ფეხბუდგმელი ჩელი ხარზე რომ ჩამოგორღრეს? უმობელი ნაყოფი დედის მუცელშივე რომ ამოგიფატრეს? შენს ძმას თავი ღორივით რომ მოსჭრეს და აბურთავეს? შენი ქართული სიხსლი ჭიქებით რომ სეეს? ნლობით ნაამაგარნა-ჯახირევი მტკრად და ნაცრად რომ ვიციციეს? არაფერი შენ არ გნამს და რალა მაინც და მაინც იმამი ხარ დარწმუნებული, ყველაფერი ხეად და ზეგ არ განშეორდეს! უფალმა ამხელა განსაცდელი ამატომ მოგიფლინა, თვალი რომ აგებულა, გასაჭირი გასაჭირითვე დაგვმარცხებინა, თავი დაგვხსნა გასაჭირდელისაგან, რომელიც განსაცდელითაც უფალმა გიჭყენა რომელი გზით გველო, რომელი გზით — არა. მერე, შეიცნე რამე?

ირწმუნე უფლის? დაინახე გზა? ისევე უკეთურების, ისევე მალინდარობის გზაა, მალინდარობა აქცეო, მოსი ნაღმართი გზებზე დასიხსნება. გზა სხენე: ფარანთა ქვეყნიდან გამოსვლისას აბრაამის მოადგმამ რამდენჯერ სის სყოდა, იმდენჯერს დაისაჯა უფლისაგან. ხოლო სასჯელი ყოველთვის იყო სასტიკი, შემამარწმუნებელი, სასჯელი, ლეთებრივი განსაცხელიც რომ იყო, უფლისაგან ხსნის ნიშნად გამოცხადებული. ინართობადა ისრაელთანთა სული ამ განსაცდელში, რამაც გამოცდილებმა შეიცნეს, თუ რანაირად იტანჯებთან თავს რისხედატეხილი უღვთოები. და მათ მანამ მოუღვენდა უფალი განსაცდელს, ეიფრემ ცოდვებისაგან განწმედილი არ მოაყენა ოორდანთა წმინდანართებს, რომის გაღმაც დაპირებული ქვეყანა იყო. უფალმა მოსესაც კი არ შეადგმეინა ფეხი ქანანში, ნემოს შორეული მთის მწვერულიდან ახილვინა აღთქმული ქვეყანა. და ამის შემდგომაც რამდენჯერ სის სყოდეს, რამდენჯერ სის შეზალეს უფლის სამკვიდრო, იმდენჯერ სის სასტიკად დაისაჯუნ უფლისაგან. ხოლო შენ, მალინდარა, რისი იმედი გაქვს, როცა ახლია ფიმი განკითხვის, ფიმი დაქცივის? გალავანს გადაღამა რომ ჩაბუდრებულხარ, თავი გმირად მოგაქვს და ყველაფერი ცისა და ქვეყნის ფეხებზე გკიფია, უწყოდე: გალავანს გადმოღმა დარჩენილი ქართველი, შეგინებული და გულმუშუსერილი, შენდა გასაკვირა, აფხაზეთს და სამაჰაბლოს კი არა, ოდესლაც დაკარგულ ტაო-კლარჯეთს და საინგილოსაც ტირის, თავად უპოვარი და არასმქონე, ღამამის შუქზე „ქართლის ცხოვრების“ ძველ ფულიანტებს ფურცლავს და უქველეს ნარსულში მიტაცებულ გოჯ მინასაც ისეთნაირადვე გლოვობს, როგორც დღევანდელს და შენ, მალინდარა, ტფილად გგონია, ეს ქვეყანა შენი ნილხევედრი იყოს, — ის ღვთისმშობლის ნილხევედრია და მას საჯუჯუნად არავინ დაგანებებს!

დაფიქრად, მალინდარა, შესდექ, — ქუმარტივტად რაინდი არ მძლავრობს! შეინანე, ეიფრემდე დროა, შეიბრალე შენი მშობელი ხალხი, შენი მშობელი ქვეყანა, შენი ერთადერთი სამშობლო დედამინაზე, შეიბრალე და მოგიტყვეებს უფალი — შემწყნარებელი და კეთილმონყაღე. შეიბრალე და ოდეს დაიხფულვებს, სეციციხოვლის დიდ ტაძარში შენც შეუერთე შენი ხმა შენი დაბეჯებული ერის ხმას, შეუერთე და ანდერძოვით მთიბეჭდე გულში ლეთებრივი აკაკის ლეთებრივი სიტყვები:

არც შეუარებია, არც მიყვარს,
 არც მწლობება, არც მინდა,
 არც მწამებია, არცა მწამს,
 შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

1 ივლისი, 2000 წელი, თბილისი





სნორფროზისა და ნანსლოზის მისტიკა

ხევესურეთსა და ფშავეში ქალსა დაკაცს შორის საინტერესო ურთიერთობა არსებობდა, ხევესურეთში — სნორფროზის, ხოლო ფშავეში — ნანსლოზის სახელწოდებით.

სნორფროზის შინაარსი სპეციალური ლიტერატურის (2, 6, 13-139, 9, 14-15) მიხედვით ძირითადად ასეთია: მას შემდეგ, რაც ელჩი (მეტწილად ქალი, უდღეო და უსნორფრო) ერთმანეთის მონონებას შეატყობს ახალგაზრდებს (განსაკუთრებით ქალს), ცდილობს მათ დაახლოებას, მიდის ქალთან, აუხსნის სნორფროზის აუცილებლობას, დაითანხმებს, შემადგა ვაჟს შეატყობინებს ქალის თანხმობას, დათქვამენ ადვილს, ნიშანს და ღამით ელჩი მიაცილებს ქალს ვაჟთან.

ზოგი მონაცემის მიხედვით ქალს შიამუტს ერთი ბოთლი არაყი, რომელსაც ვაჟს დააღვთონებს. ქალი ნება ვაჟის გვერდზე მარცხენა მხარეს, ფეხებს აწყობს ვაჟის ფეხების მოშორებით. ვაჟი ვაჟი მოშორებით ნებს ქალისაგან, გულადმა და უსაუბრება სხვადასხვა საკითხებზე. ქალი თავიდან მორცხვობს, მოგვიანებით, როცა იგი დაამშობდება, ვაჟი ბრუნდება მისკენ და იწეწებს მკლავზე, იწყებენ საუბარს „ქალ-ვაჟობაზე“, კამათობენ და იცავენ თავისი სქესის ღირსებას. შემდეგ ვაჟი აკოცებს მორიდებით და მოეხევა. ქალი საპასუხოდ თანაუგრძნობს კოცნაზე. შესაძლოა, მორიდვაცნობილებმა ერთმანეთს არც აკოცონ და არც მოეხვიონ. ქალს უფლება აქვს ვაჟის ყელთან ხელი მიიტანოს, გულზე დაადოს, მაგრამ არ შეიძლება საყელოში, ილიის ქვეშ ან ნელამდე ხელის ჩატანა. არც ვაჟს აქვს უფლება ხელი ვეღვდგან შეახოს ქალს, არ შეიძლება გულზე, ილიის ქვეშ, საყელოზე, ფარავის ლოზე ხელის შეხება. დაუშვებელია მუხლებს მიახლოება. დილით ქალი დგება, ვაჟი აკილებს მცირე მანძილზე და გამთხოვებისას ეტყვის: „სეილ შავი მართას ღმერთომ“, ქალი უპასუხებს: „ღმერთმა გიმშველას! ძალიან შესწუხდი და შორგაზე გამოშვეცი. მე კი სად უნდა წაგიდგო“ და სხვა. რამდენიმე დანოლის შემდეგ ქალი და ვაჟი ხელებიან ნამდვილი სნორფროზები ანუ მძობილები. მეორე და მესამე ნოლის შემდეგ სნორფროზები უფრო გაბედულები არიან, მაგრამ, თუ ქალმა იგრძნო ვაჟის გადაშტებულისილაღე და უტყბო ცეცხლი, ადგება და ნაეა, რაც ვაჟისთვის სამარცხვინოა.

სნორფროზები ძირითადად წვებიან ვაჟის სახლში, მაგრამ მათი ნოლა შეიძლება, აგრეთვე, მკამში, ქორწილში და „ახალ-უხალში“ (ლხინში), ოღონდ ისე, რომ მოხუცებულებმა არ დაინახონ. წვებიან ღამით. დღისით მათი ურთიერთობის გამოვლენა დაუშვებელია. საზოგად-

ოებაში ისინი უბრად და უქმნად ექვეყიან ერთმანეთს, თუ დაელაპარაკებიან — კილვით და ირონიით. ხატობაში სნორფროზთა ნოლა აკრძალულია.

სნორფროზა სხვადასხვა ხასიათისაა: 1. ნამდვილი სნორფროზა — ნოლა მძობილებთან; 2. სნორფროზა სარძლოსა და საქმროს ნათესაეებს შორის; 3. სნორფროზა სიძისა და ცოლის მოგვარე ან ახლომელ ქალებთან; 4. სნორფროზა დეიდამილებსა და მამიდამილებს შორის; 5. სნორფროზა დედის მახლობლებთან; 6. ქალის ნოლა თავის მოგვარეებსა და სოფლებლებთან; 7. სნორფროზა უცხოებთან (ძირითადად უცხო ხევესურებთან).

სნორფროზის დროს სქესობრივი კავშირი — გარყვნა არ შეიძლება. ამ წესის დამრღვევ ვაჟებს ჯვარში არისებენ, ხოლო ვაჟისა და ქალის გვარებს შორის იწყება მუდლი და „ჭრიაჭრილობა“. სნორფროზა დაქორწინება არ შეიძლება; თუ შეეცდებიან, ვაჟის ნათესავები ვაჟს მოიციე თავენ, ხოლო ქალის ნათესავები ვაჟს სასიკედილოდ გადაემტყრებიან.

სნორფროზი (ანუ მძობილი) ხევესური ქალისთვის უსაყვარლესი არსებია. ქალმა შეიძლება უღალატოს მშას, მამას, მაგრამ სნორფროს — არასოდეს; ის თავის ნაკეთობებს ზუჭნის და ლექსებს უთხავს სნორფროს. ქალი გათხოვების შემდეგაც სნორფროს პატივისცემულად რჩება. ხშირად ემთხვევა, როცა ქალი ვერ თმობს სნორფროს ცხოვრებას და ამის გამო ვაჟი ან ან საერთოდ არ თხოვდება, ან თავს იკლავს. რაც შეეხება ვაჟს, ის უფრო შეზღუდულია, რადგან ქალს პყავს თავისი გვარი, რომელიც ვალდებულია დაიცვას თავისი ქალ-რძალი და, თუ სხვა ვინმე მოინდომებს მათი ქალების გამოკომპაგებას, ეს ქალის გვარეულობისათვის სირცხვილად ითვლება. ვაჟი თავს არ მოიკლავს, ოღონდ პატივს სცემს გარდაცვლილი სნორფროსის ხსოვნას, გლოვობს და ხშირ შემთხვევაში თავს ანებებს სნორფროსთან. ნაკეთობებს ვაჟიც ზუჭნის ქალს, მაგრამ ლექსებს იშვიათად უთხავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალი გათხოვებას დააპირებს.

კარგ ქალად ითვლება ის, ვისაც ბევრი სნორფროზი, კარგი მძობილი (ნამდვილი სნორფროზი) და კარგი საქმრო პყავს, ასეთ ქალზე იტყვიან „ადლიანია“, ესე იგი ყველასთვის მოსაზრნია. „ადლიანს“ ისეთ კაცსაც უწოდებენ, რომლის აზრსაც ხალხი აფასებს. ხევესურეთში ცდილობენ „ადლიანი“ სნორფროზები პყავდეთ. ქალს სნორფროზას ვერაჟინ და უშლის, თითქმის ყველა ქალი ნება ვაჟთან,



ნათლებლად ან ქრეულლებთან მიიწ, ოღონდ სანამ ქმართან მუდმივ საცხოვრებლად გადავა. გათხოვების შემდეგ ქალს ეკრძალება სწორფრობა, ვატი კი ცოლის შერთვის შემდეგაც განაგრძობს სწორფრობას.

დაახლოებით ასეთვე მინარსისა ფშაური ნაწლობაც [4, 353-355; 5, 435-442; 6, 157-166; 9, 1-5; 13, 149-189, 197-258], თუმცა შათ შორის განსხვავებაც შეინიშნება; კერძოდ: 1. თუ ხევსურეთში ნამდვილ სწორფრებს „მშობლები“ უწოდებთ, ფშავეთი ნაწლებს „ნადვლ-ნადმოზი“ ჰქვიათ; 2. ნაწლობის დროს შუამავლის (ელწის) როლი არ ჩანს; 3. ნაწლობისას ვაჯი მიდის ქალთან, ნოლა ხდება ძირითადად ქალის სახლში, აგრეთვე, შკაში, ქორწილში, ბატობა-დღეობებზე, განსაკუთრებით, ლაშარობაზე და ციხე-გორობაზე ან კოპალობაზე; ფშაველი ქალი გათხოვების შემდეგაც განაგრძობს ნაწლობას, თუმცა ეს ნება-დართული არ არის და ხშირ შემთხვევაში ქმრის ოჯახის უსამოყენებას იწვევს.

სწორფრობის და ნაწლობის წარმოშობის, რაობისა და სახელწოდებების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ ამ ჩვეულების მონაწილეთა შეხედულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც იმეორებს ნათელა ბალიაური, თუმცა ის არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას. კერძოდ, ხევსურთა გადმოცემით, სწორფრობა დარჩენილა ლეკების შუბოსევის შედეგად. საბოლოოების თავედან ახაცლებლად დიდი გეარის ახალგაზრდა ქალ-ვაჯები ერთ სახლში (ციხე-სამაგრეში) მოიჯარდნენ თავს, სადაც გასამხნეველად ერთი ნაბდის ქვეშ ეძინათ. სიმშვიდის დროს კი ქალ-ვაჯი ერთიმეორეს თავის ნებით ხელვებოდა, ხოლო დღევანდელ სწორფრებს, ქალსა და ვაჯსაც, შამში ეწოდებოდა „სანდაური ძმობილი“. ქალის გათხოვების შემდეგ ქალ-ვაჯს შორის კავშირი წყდება. აქედან წარმოიშვა ტერმინი „დობილ-მშობლობა“, სწორფრობას ძველი ხალხი ისევე დობილ-მშობლობას ეძახის. დობილ-მშობლობა, სწორფრობა, ნოლა-დგომა ხევსურეთში ერთი და იმავე აზრის გამოხატულებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნათელა ბალიაურის საოცარი სიზუსტით (შხატერულ-დოკუმენტურად) აქვს აღწერილი სწორფრობის ეპიზოდები, სწორფერთა ურთიერთობანი, პიროვნებისა და საზოგადოების უფლებამოვალეობანი და მრავალი სხვა, რითაც ქვემოთ უსარგებლებთ სწორფრობის დახასიათებისას.

მაქსიმ კოვალევსკი თუმცა კი აღნიშნავს, რომ ნაწლობის დროს სირცხვილად ითვლება სექსობრივი აქტი, მაგრამ ის შიაც ადარებს ნაწლობას ველურების შორის არსებულ გარეგნულად მსგავს ჩვეულებებს (თუმცა სექსობრივი ურთიერთობით), აგრეთვე, რუსეთის, ძველი აღმოსავლეთის, კლასიკური საბერძნეთისა და რომის პეტრიოზში, შვეიცარიის „კილგანგს“ და ყველა ამ მოვლენას საერთო

ახსნას უძებნის, მიიწვევს რა შათ მკვლარეკტას გადმოწამთად (8, 97-100).

სერგი მაკალათიას აზრით, სიხეველი „ნაწლობის“ შესაძლებელია წარმოშდგარიყოს „ნახოლასა-გან“, რადგან თვით ეს ნუსი ნოლასთან არის დაკავშირებული (9, 1). სერგი მაკალათია იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც სრულად აღწერა და მოგვანოდა სწორფრობისა და ნაწლობის ჩვეულებები და რომელმაც შეაჯერა ამ ჩვეულების შესახებ მანამდე გამოთქმული მოსაზრებები. კერძოდ, სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ ვაჯა-ფშაველას, როგორც შვიდრ ფშაველს და მონაწილეს, ნაწლობის წესების სრული აღწერა შეეძლო, მაგრამ, რადგანაც შესაძლებელია, რომ ისიც სხვებსავეთ ამ ჩვეულებას გარყენილების ნამთად თვლიდა, მასზე დანეროლებით შერქება და წერა სამარცხვინოდ მიაჩნდა, რასაც მისივე სიტყვებით ამხილებენ: „ახლის ცხოვრების სიომ ნაწლობაც გაპყენა. დღეს ამ თვალთმაქცურ და-მშობას ბევრი ცუდი ემჩნევა. ძველ დროში, როგორც მოხუცებულები ამბობენ, რუსთაველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი საყვარლად გადაიქცაო“. შემდეგ მკვლევარს მოჰყავს დ. სოსლანის შეხედულება ნაწლობაზე, რომლის აზრითაც აღნიშნული ჩვეულება რაინდობის ხანის ნაწილია. ნაწლობას მიიწვევს ფშაველი ქალის სისუსტის გამო შექმნილად, რადგანაც ქალს ძლიერი მფარველი სჭირდებოდა მთაში მწყემსად ყოფნის დროს შამაკეთა ძალაობისგან თავდასაცავად, ხოლო ლაშარობის საზოგადო ნოლას კავკასიაში მოზინადრე ამაზონელებს უკავშირებს. სერგი მაკალათიას მოჰყავს, აგრეთვე, ნ. ხუჯაძოვის აზრი, რომლითაც სწორფრობა მიჩნეულია ხევსურეთის ბუნების სიმწარითა და მცხოვრებთა ეკონომიკური გაჭირვებით გამოწვეულ არანორმალურ სექსობრივ აქტად და ვინმე ბარისახოელის ცნობა, რომლითაც ხევსურული სწორფრობა საძაველ ნაწლობადაა მოსხვნიებული.

სერგი მაკალათია, ადარებს რა სწორფრობასა და ნაწლობას ერთმანეთს, ფიქრობს, რომ ფშაური ნაწლობა უფრო ძველი წესების შემცველია და რომელიმე წარმართ, მცირე აზიაში არსებულ ღვთაების კულტთან იყო დაკავშირებული და ფშაურ ელმარის ხატობას უდარებს ღვთაება კიბელას კულტს, რომელიც იმით ხასიათდებოდა, რომ შორმშენეები მის გამოწინას ორგითით ხედებოდნენ.

სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ მაქსიმ კოვალევსკი იყო პირველი, რომელმაც ნაწლობის წესები დედისუფლებს ნამთად აღიარა და საფუძველი დაუდო ქართულ დედათმთავრულ თეორიას, მაგრამ არ ეთანხმება მის აზრს, რადგანაც მაქსიმ კოვალევსკი დედისუფლებას წარმოშობის დამადასისათველ თვისებად ეგზოგამიურ დამოკიდებულებას აღიარებდა და ამ თვალსაზრისით იხილავდა ფშაური ნაწლობის წესებს, რაც ვერ ხსნის ნათესავთა შორის ნაწლობის არსებობის მიზეზს და ავტორი წინა-



აღმდეგობაში ვარდება, რადგანაც „ნათესაეთა შორის ნანღობის არსებობა შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ ენდოგამიური წესების ჩვენში არსებობით“ და რომ სახელწოდებანი ნადობი, ნადობი და ძმობლივი ენდოგამიური წესების ნაშთი უნდა იყოს (9, IV-V, 23-26).

საინტერესოა და გასათვალისწინებელი, აგრეთვე, გიორგი თედორაძის, როგორც თვითმხილველისა და დამკვირვებლის, მიერ აღწერილი და მოწოდებული ცნობები სწორფროზისა და ნანღობის ჩვეულებათა შესახებ. გიორგი თედორაძეს არ მიაჩნია დამაჯერებლად ლეკანობის დროს სწორფროზის გაჩენა. მის წარმომოხას სხვა საფუძველი უდევსო, აღნიშნავს ავტორი. ამავე დროს გვანდობის სხვა ცნობასაც — ხევსურთა გადმოცემით, სწორფროზა გადმოღებულა მუზობელი ფშაველებისაგან და შემდეგ გადაკეთებულია თავისებურადო (6, 13).

გიორგი თედორაძე უარყოფს სერგი მაკალათიას აზრს იმის შესახებ, რომ ტერმინი „ნანაღი“ „ნანოლასგან“ მომდინარეობს და სხვა ევრსიას გვთავაზობს: „ახალგაზრდა ფშაველი ვაჟი სქესობრივი მომნიშვნებას ასაკში იწყებს სოფლიდან სოფლად ნანაღას, რის გამოც მას ხშირად დასცილიან ამიანავები, კბიჭო, რას დამურები, რას დასნანაღებ ამ შუალაშეშო“, და თითქო აქედან წარმოიშვა სიტყვა „ნანღობა“. ფშაველების გადმოცემით, ნინად ნანღობას თითქო „ნანაღობა“ ეწოდებოდა, მაგრამ შემდეგ ვამთა ვითარებამ იგი კეთილგონიერების პრინციპს დაუქვემდებარა და ხსენებული სიტყვისგან მოვიღეთ „ნანღობა“ (6, 16).

გიორგი თედორაძე აღნიშნავს, რომ შეკითხვაზე, თუ როგორ ესმით ფშაველებს მათივე ნანღობის მინარსი, ასეთი პასუხი მიიღო: ნანღობა სასიყვარულო ნაშება არის, ურთიერთის სინდისიერი დანდობაა, ბუნებრივად თანა-სწორთა დასაყვარლებსა — თავისუფალ მიჯნურობას ნიშნავს, მაგრამო, თავსაგრძობს ავტორი, ნანღობა ჩვეულებრივთა ვიწროფული სიყვარულისგან განსხვავდება იმით, რომ ნანღობის დროს ადგილი აქვს მეცნიერებაში ცნობილი coitus interruptus (ცოლქმირული ონანიზმი), ამიტომ ფშავეს ახალგაზრდობის შეტვი ნანაღი მიღებული ადამიანის უსუსურ ლანდივით გამოიყურებო (6, 159). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს მოვლენას ხსნის როგორც „პროფილაქტიკურ ზომას დაორსულების ნინაბამდე“ (6, 135).

აღსანიშნავია ზურაბ კიკნაძის წერილი სწორფროზაზე, რომელიც, ავტორის ცნობით, დაინერა ნათელა ბალიაურის წიგნის (სწორფროზა ხევსურეთში) კითხვისა და პირად საუბარში მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე (7, 99). ზურაბ კიკნაძის შეფასებით, ნათელა ბალიაურის ნარკვევები იმით არის ღირებული, რომ მათში სწორფროზა დანახულია შიგნიდან, ამ წეს-ჩვეულების მონაწილისა და თვითგანმცდელის მიერ, რომელიც სწორფროზას აღწერის არ როგორც თვითქმარ მოვლენას, არამედ როგორც ხევსურთა საუბოების საზოგადოებ-

რივი ურთიერთობების ორგანულ ჩვენს (კიკნაძის ხალ ყოფაში, ხშირად უკუკონტრულური უპიზოდები და სწორფროზის მიაგალითზე და-სტურდება ქალის პიროვნების თავისუფლება საზოგადოებაში, თორცა, ისიც კარგად ჩანს, რომ სწორფრული ურთიერთობა არ იფარგლება პიროვნებათა ურთიერთობით, სწორფრული პასუხისმგებელი არიან საზოგადოების ძინა-შე. ზერელეა ამ ჩვეულების შედარება თხელ საზოგადოებათა ე.წ. მეტერნობთან ან საკრია-ლური ქორწინების რიტუალთან, რადგან, თუ იქ ნაშლილია პიროვნების სახეურები და ბუნების კანონი არის დამორჩილებული, აქ ისეთი ნიჭია ადამიანში, რომელიც მხოლოდ სწორფროზის დროს შეიძლება გამოვლინდეს. სწორფროზა არის სასინჯი ქვა მოვშის დღიანობის გამოსაცდელად (7, 61). ამავე წერილში ზურაბ კიკნაძე ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ რომაძის მოთხრობა „ენგაღზე“ (14, 59-78) და აღნიშნავს, რომ სწორფროზის სულიერი, პლატონური და იქნებ ერთგვარი ასკეტური მინარსი მისებური გამჭირაობით გამოიწვე-მწერაღმა (7, 61). ზურაბ კიკნაძე მნიშვნელოვან პარალელს ადებს სწორფროზის დღიანობასა და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოხუცურთ ზნეობაზე ლაპარაკისას ჩამოთვლილი იმ თვისებებს შორის, რომლებიც აუცილებელია მოჯნურისათვის და აღნიშნავს, რომ მიჯნურობა და სწორფროზა ერთი ზნეობაზეა დაფუძნებული. აღსანიშნავია ისიც, რომ, ზურაბ კიკნაძის აზრით, სწორფროზა არა მხოლოდ სიძვეს გამოიწვევს, არამედ მკაცრად კრძალავს საქორწინო კავშირსაც, რომ სწორფროზისა თუ ძმობილ-დობლობის მიზეზი და მიზანი სიყვარულია, თავისი არსით ეს არის ინდივიდუალურ-პიროვნული განცდა, ცოლქმირული ურთიერთობა კი სოციალური მოვალეობაა საყმის წვერისა, მისი მიზანი საოჯობი მერწნობისა და ახალი თაობის შექმნაა.

ნანღობის საკითხით დაინტერესდა კიდევ ერთი მეცნიერი — ქვენი თვითი, რომელიც არ ეთანხმება გიორგი მარაშქიძის ცდას ერთ-მანეთს შეადაროს ნანღობა და სვანური „ღინთურწლი“ და მართებულად მიიჩნევს ნანღობის დაკავშირებას სვანურ „ჭჭილართან“ („ლიჭჭი“) არა მხოლოდ რიტუალთა გარეგნული მსგავსების, არამედ — ფორმული გარეგნუ-ქართული ნან — და სვანური ტატ-მორფემების საერთო ქართველური არქტიპის გამო. ავტორის აზრით, საერთო ქართველური ნან — ან ნან — აღ — აღნიშნავდა სექსთა შორის ურთიერთობას ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფების ფარ-გლებში, ამავე დროს ნანღობა გამომხატავს თანასწორობას ინდივიდებს შორის, ხოლო „ჭჭილარი“ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის (16, 13-18).

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან დაეინახეთ, სწორფროზისა და ნანღობის შესახებ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა არსებობს. იყო კვლევის ცდებიც, მაგრამ ავტორები ძირი-

თადად თავს არიდებდნენ მის არსში ჩანდომას და აღნეროლობით იფარგლებოდნენ, რადგანაც ძიების ყოველი ეტაპი განხორციელდა მიაჩნდათ მისი იდუმალი ბუნდოვანობის გამო, ხოლო ვინც სცადა — მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, ზერელე, ნაძალადეგ და უკუღმართ ნარმოდგენად ჩაითვალა ადგილობრივი მოსახლეობისა და მკვლევართა მხრიდან (12, 202-203; 9, IV-V, 8, 60).

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ დავინტერესდი აღნიშნული ჩვეულებით, თუ მის იდუმალებში ნედლობა თითქმის შეუძლებლად არის მიჩნეული? საქართველოში ქალის საოცრებო და საზოგადოებრივი მდგომარეობის კვლევის პროცესში ქალის ზოგად დანიშნულებასზე, შემდეგ კი ქალის გაჩენასზე დამოქცევა, ხოლო ბიბლიური სიუჟეტის — ადამისა და ევას სამოთხეში ყოფნის პერიოდის შედარებამ სწორფრობისა და ნაწლობასთან, მათეოქებიანა, რომ სწორფრობა და ნაწლობა მხოლოდ საინტერესო ანუ რომანტიკული (როგორც გარედან ჩანს) ჩვეულება არ არის.

ბიბლიის მიხედვით, „შექმნა ღმერთმა კაცის თავის ხატად, შექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა... გამოსაბა უფალმა ღმერთმა ადამი (კაც) მინის მტკვრისაგან და შთაბრძოლა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად... გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო. თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარჯა ადამის მარტოდ ყოფნა. გაუზრუნე შეშენს, მის შესაფერს. უფალმა ღმერთმა ძილქუში მოპკვარა ადამს და რა დაეჭრა, გამოუღო ერთი ნეკრი და მისი ადგილას ხორცი ჩაუღო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა... მიხვედნი იყვნენ ორივენი, ადამი და მისი დედაკაცი, და არ რცხვენოდათ“ (1, დაბ. თ. 1-2). მაგრამ გველმა აცდუნა ევა, აჭამა აკრძალული ხის ნაყოფი, ევამ ადამსაც აჭამა აკრძალული ნაყოფი და მათ გაუჩნდათ სირცხვილის გრძნობა — აიფარეს ღვლევის ფოთლები. ეს იყო ადამისა და ევას პირველი ცოდვა გველის შუამავლობით. უფალმა ღმერთმა ამ ცოდვისათვის დასაჯა ისინი. „უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რაკი ეს ჩაიფინე, წვეულიმც იფაე ყველა პირუტყვს შორის, ყველა გარულ ცხოველს შორის მუცლით იხოზე და მტკერი ქამე მთელი სიცოცხლე. მტრობის ჩამოვადგებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გეჭმეყავდეს, შენ კი ქუსლს უგანსაედე! დედაკაცს უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და ვაგიძნებლებ ორსულობას, ტანჯვით მოხ შეიღებს. ქმრისკენ გეკნება ღტოლვა, ის კი იბატონებს შენზე. ადამს უთხრა: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ქამა აკრძალული

მქონდა შენთვის, მინა დაიწყელონი შენს გამობრუნვით მიიღებდე მისგან მტკვრის ნესტი სიცოცხლე“ (1, დაბ. თ. 3, 124) და „მეცხმეყავდათ ედემის ბაღიდან“.

ბუნებრივია, გამოძევებულ ადამსა და ევას (შემდეგ კი — მათ შთამომავლებს) შემორჩათ ედემში ნეტარი ცხოვრებისა და ღმერთთან უშუალო კავშირის ხსენება, დაეუფლათ დაეკარგულ ბედნიერების (ედემის) ნოსტალგია, გაუჩნდათ დანიშნულის გრძნობა ცოდვის გამო და ღმერთთან შესარგებლად შეეცადნენ ცოდვის შემსუბუქებას, რისთვისაც პირველი საშუალება იქნებოდა ედემისეული ყოფის დღესასწაულად ასახვა ნუთისოფელში. ქალისა და კაცის ედემისეული ყოფა კი სხვა რა არის, თუ არა მხოლოდ მათი ნრფელი ურთიერთობა დიდილოვით, ზუსტად ისეთი, როგორც სწორფრობა და ნაწლობა.

ხალხური ნარმოდგენითაც ხომ სწორფრობა „ბთის“ გაჩენილია. „რაც კაცს გაჩენილიანაე, იცის ჩემ მამამ, იმის შემრავ ქალ-ვაჟს სრუ სდობნივაც ერთუციე. ნინან უფრო სდობნივაც ერთმანეთი, სურულით ჯიკილანაე ნინან კაცნო, იციან. ერთად ნოლა ქვე არ ყოფილ, ევერ თუ უაზრებდაან ერთუცეს (2, 11). მართალია, არსებობს ხევესურთა სხვა გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორფრობის გაჩენას ლეკიანობა უკავშირებენ, მაგრამ ეფიქრობთ, რადგანაც ლეკიანობა გვიანდელი მოვლენაა, იმ პერიოდისათვის მკაცრი ეგზოგამოფრობის გარეგნად ნარმოუდგენელი იქნებოდა. უფრო სავარაუდოა, რომ, რაკი სწორფრობა ღმერთისაგან გაჩენილად მიანხედათ, მტრის შემოსევების დროს მას იხსენებდნენ და ასრულებდნენ, როგორც ერთ-ერთ დამცავ საშუალებას.

ბიბლიის მიხედვით, პირველი ცოდვის სიმძიმე გველს (მან აცდუნა ევა), შემდეგ — ქალს (მან ქამა აკრძალული ნაყოფი და აცდუნა ადამი) და ბოლოს — კაცს (მან ქამა აკრძალული ნაყოფი, მაგრამ არავინ უცდუნებია) ანეეს. ამიტომ ცოდვის შემსუბუქება ჯერ — გველის, შემდეგ — ქალის (ძირითადად) და ბოლოს — კაცის ვალია.

სწორფრობაში გველის როლი სიმბოლურად ჩანს ელჩის (შუამავლის) სახით. ელჩის კაცებზე სწორფრობა არ ხდება. „უელონი ვაქსთან დანოლას ქალ როგორ გაიბედაესა?“ — ამბობს ლექსი (2, 177). ელჩი — უმანვილი ქალი, უდელო და უსწორფრო, თავად უნდა მიხედეს ქალვანის გულისანადებს, რადგანაც ეს უკანასკნელნი არც სწორფრობაშია შეიძლება ერთმანეთისადმი ნდომას არასოდეს გაამტავნებენ. ელჩი პირველად ქალთან მიდის გამოსატეხად, თუ ვინ მოსწონს, ვინ „უნდ“ სასწორფროდ. ქალი თავიდან უარზეა, მაგრამ, დეაკვირდეთ, „ელჩ ქალს გველის ღმერთს გააძვინესო“ ან „ელჩს რა დაიქტრს? გველის ღმერთს გახვესა-დ გაიცილისო“ (2, 150). ნათელა ბალიაურის ცნობით, ელჩი ხევესურეთში მტეს აფუჭებს და ცოტას აკეთებს, იგი ეხმარება ქალ-ვაჟს,



რას არ ჩაიდენს, მოიგონებს, იტანს ათასნაირ დამცირებებს, ღანძლებს, ოღონდ ქალ-ვაჟი ერთმეორეს შეახვედროს და დაანეინოს. როგორც ვხედავთ, ხალხის დამოკიდებულება ელჩისადმი უარყოფითია. მაგრამ ეს არ ნიშნავს ხალხის უარყოფით შეხედულებას თავად სწორფრობისადმი, რადგანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათ სწორფრობა ლევის გაქნილად, აუცილებელ ჩვეულებად, ბევრსწორფრიანი ქალი ას ვაჟი მოსაწონად — „დღიანად“ მიაჩნიათ. ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება ელჩისადმი უთუოდ რეაქციაა იმ თავდაპირველ მოქმედებაზე, რაც გველმა ჩაიდინა ედემში. ხოლო შემდეგ ნუთისოფელში, მიუხედავად მრავალგვარი დამცირებისა (დავაკირდეთ, „მუცლით იხოზე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე“), ელჩი (გველის სიმბოლო) ყველანაირი ხერხით ცდილობს ცოდვის შემსუბუქებას. ელჩს რომ პკითობს, როცა გაიანძობება ხოლმე, რა ძალა გეგდა, მაგას რომ აკეთებდო, ის სიცილით უპასუხებს: სხვა რა მაღალ უნდა დამხუდას საიქოს, თუ ის არ, რასაც ქალ-ვაჟის ერთად დაწვენით აუღებ? მაფლი-ას მდობიარეთ ერთად დაწვენა“ (2, 150).

ნაწლობაში შუამავლის — ელჩის როლი (ე.ა. გველის სიმბოლო) არ ჩანს. შესაძლოა დაიკარგა, შესაძლოა, არც არსებობდა და პირველი ცოდვის მთელი სიმძიმე ქალ-ვაჟმა იტვირთა. როგორც ხევსური, ასევე ფშაველი ქალის ცხოვრება ორ პერიოდად იყოფა: ერთია — გათხოვებამდე, ანუ ქმრის სახლზე გადასვლამდე, სრული თავისუფლებითა და სიყვარულით — სწორფრობითა და ნაწლობით სავეს ცხოვრება და მეორე — გათხოვების შემდეგ, უსიყვარული — უსწორფროდ და უნაწლოდ, ოჯახური ტვირთითა და მუცლების გაჩენის უშიშესი პირობებით.

„ხევსურეთში ქალობა არც ადვილი საქმეა“ (2, 64). გეამცნობს ნათელა ბაღიაური და, მართლაც, სწორფრობასა და ნაწლობაში ქალზეა დამოკიდებული რიტუალის სინამდის დაცვა, რადგანაც ხევსურ ქალს ყოველთვის შეუძლია თავის პატიოსნად შენახა“ (2, 31) და, როგორც კი იგრძნობს ვაჟის გადამატებულ სილაგეს, ლეგინიდან ადგება და ნავა. ეს ვაჟისთვის სამარცხენიაო (დავაკირდეთ: შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი და გაუწნდა სირცხვილის გრძობა). თუ ქალი სუსტი ნებისყოფისაა და თავდაუქრელი, მაშინ „საქმე გარყვნილებით მთავრდება“, ან ვაჟი გაავდებს მას ლეგინიდან, რაც ქალისთვის დიდად სამარცხენია... (დავაკირდეთ) — შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი და გაუწნდა სირცხვილის გრძობა). თუ ქალ-ვაჟს შორის მომხდარი სექსუალური ურთიერთობის შესახებ სხვები გაივებს, ქალ-ვაჟს გააძვებენ, იწყება ქალისა და ვაჟის გვარებს შორის შუღლი, საქმე მიდის მკვლელობამდე; თუ ქალი დანიშნულია, მაშინ მის საქმრის მიხედვით იმ ვაჟის საცოლვე, რომელმაც მისი დაინიშნული შეურაცხყო. ცოლმართველი ვაჟი კი ხევსურეთში სამუდამოდ შერცხვნილად ითვლება და ამ

უსიამოვნების თავიდან ასევე უნდა იქნას ყოველთვის თავდაქრელია... (დავაკირდეთ) — სოფელს დაატანს, ამდენად სწორფრობისა და ნაწლობის ვარ როლს ქალი ასრულებს.

ფშაური ნაწლობისა და ლეგინიდან ნასვლა იმ შემთხვევაში, თუ ვაჟს უცხო ნდომა შეამჩნია, მაგრამ მაინც ქალის ნებისყოფაზეა დამოკიდებული სინამდის შენახვა, რადგან ვაჟი ფრთხილობს იმის გამო, რომ, თუ დაარღვია ნესი და ქალის დარწმუნებით არ სხვა მიზეზით გაიცა მისი დანაშაული, ქალ-ვაჟს გააძვებენ და ვაჟს არც საცოლვე და არც თავისი გვარი არ შერიგდება, სანამ საგმრო საქმეს არ ჩაიედნს (6, 15-16).

როგორც ვნახეთ, სწორფრობისა და ნაწლობისა მაცდუნებლად ქალი ითვლება, ისევე როგორც ედემში, მაგრამ მან თავი უნდა შეიკავოს, არც ვაჟი უნდა შეცდეს, სწორფრობა და ნაწლობა „სასიყვარულო ნაშეზი“ მისი დღიანობის გამოიწვია. ქალ-ვაჟმა ერთმანეთი უნდა დაინდონ, უნდა გაიმეორონ ედემისუფლი ყოფა ცოდვის გარეშე, მაგრამ თუ შესცოდეს, მათ საზოგადოება გააძვებებს, ისევე, როგორც ღმერთმა გააძვეა ისინი ედემიდან.

გათხოვების შემდეგ ხევსურ ქალს აღარა აქვს უფლება სწორფერი ჰყავდეს, ვაჟს კი — დაქორწინების შემდეგაც არ ეკრძალება. მართალია, ფშაველი ქალი გათხოვების შემდეგაც განაგრძობს ნაწლობას, მაგრამ ეს ნებადართული არ არის და მსგავს მოვლენას ხშირად უსიამოვნება მოჰყვება ხოლმე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ძველად, არც ფშაველ ქალს პატივად გათხოვების შემდეგ ნაწლის უოლის უფლება, ფშაველ კაცს კი არასოდეს ეკრძალებოდა.

გარდა ამისა, ხევსურ და ფშაველ მამაკაცებს ბევრი სხვა უპირატესობაც აქვთ ქალებთან შედარებით, რაც გიორგი თვარიაძის მიერ მოწოდებულ ცნობებში კარგად ჩანს, კერძოდ, ქალის უნამდვირობის გამო მისი გახიზვნა ქალური ნების დროს საშიშროლოში, ბავშვის გაჩენის დროს — ქობში, ქალისთვის ხატთან მიახლოების აკრძალვა, ცოლის „კეთილმო ჩასმა“, მგზავრობისას ქალის უკან მიდევნება კაცისთვის (კაცი ცხენზე ზის, ქალი — არა), სისხლის აღების დროს ქალის თავის ორჯერ იაფად შეფასება (კაცის თავი 60 ძროხა ღირს, ქალისა — 30) და სხვა მრავალი (6, 53-59). მაგრამ ვფიქრობთ, ეს მაინც არ ნიშნავს ღმერთის სიტყვას: „ქმრის გექნება ღტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“ — ეს სექსუალური ურთიერთობის დროს კაცის უპირატესობას უნდა ნიშნავდეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ძნელია ხევსური და ფშაველი ქალისთვის სწორფერისა და ნაწლის მიტოვება და გათხოვება, ამიტომ ისინი გვიან თხოვდებიან ან თავს იკლავებ. თუ ქალს არ მოსწონს შერიგული საქმრო, მშობლებს ასე უსაუბრობენ: „შერე რა, რომ არ მოგწონს, განა სწორფერია, რომ გიყვარდეს“ (2, 33). გათხოვება კი აუცილებელია, ქალმა შეი-



ლები უნდა გააზიაროს, რადგანაც ედემიდან გამომდინარეობს ადამს და ევას ერთადერთი იმედი დარჩა: — დედაკაცის შთამომავალი დათრგუნავდა ეშმაკს, (უფალმა თუმცა გველს დედაკაცის შთამომავალი გიჟტყუავდაც თავისი). სწორფრზე გათხოვება კი აკრძალულია, რადგანაც, ხევსურთა რწმენით, ქალის არჩეული კაცი საქმროდ არ გამოდგება. ქალი ხივეარულისთვის ჯიშს და ჯილაგს არ დაქვებებს, რაც აუცილებელია ქალის კარგად გათხოვებისათვის (2, 33).

ამრიგად, ხევსური და ფშაველი ქალის ცხოვრების პირველი პერიოდი სწორფრობითა და ნაწლობით იმეორებს ქალის ედემისეულ ყოფას, ხოლო მეორე — ნუთისოფლისეულს. პირველი პერიოდი ქალისთვის იყო დღესასწაული ცოდვის გამოსასყიდად, რომლის დროსაც ინარჩუნებდა ედემისეულ მადლს, შესაძლოა, ამიტომაც არ ეთმობოდა სწორფროსი (და ნაწლობის) ცხოვრება და თავს სწორად მას, ხოლო რაც შეეძლო უფრო, მით შეეძლო მადლის მატარებლად და შესაბამისად უფრო დღიანად ითვლებოდა. მეორე პერიოდი ქალისთვის იყო აუცილებელი ტანჯვა ცოდვის გამოსასყიდად, რომლის დროსაც უნდა გაეჩინა შთამომავალი ეშმაკის დასათრგუნავად.

ამრიგად, სწორფრობა და ნაწლობა არის მის ტერია პირველი ცოდვის შესამსუბუქებლად, რომელშიც მონაწილეობენ: ელჩი (შოლოდ სწორფრობაში), ქალი და კაცი.

დროთა განმავლობაში, შესაძლებელია, სწორფრობამ (და ნაწლობამ), გაიდუმბლდა და მისი არსი, დაკარგა მისტერიული ხასიათი და გავაძიქვა სიყვარულში პიროვნების თავისუფლების გამოხატულებად, მოყმის დღიანობის გამოსაცდელად. ამჟამად დროს უნდა აღინიშნოს, რომ სწორფრობას (და ნაწლობას) ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულებაც, კერძოდ, სწორფროები (და ნაწლები) ერთმანეთს სასიცოცხლო ძალით ავსებდნენ, რაც ვლინდებოდა შემდეგ ყოფა-ცხოვრებაში, მტერთან ბრძოლაში და პოეზიაში (ხევსურებისა და ფშავლების პოეზიას ორიგინალური ხიბლი ახასიათებს), ამიტომ ვერ დავეთანხმებით გიორგი თედორაძეს, როცა ის აღნიშნავს, რომ სწორფრობა (და ნაწლობა) იყო დაუმთავრებელი სექსობრივი აქტი (coitus interruptus), რის შედეგადაც ფშავლები მიიღებდნენ გამოიყურებოდნენ. მაგრამ თუ ეს პოეზიის უარყოფითად მოქმედება ფშავლებზე, რატომ არ მოქმედებდა ასევე ხევსურებზე? აქ ნაწლობაში ვარდება ავტორი აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია აღნიშნული სექსობრივი ურთიერთობა მამაკაცებზე უარყოფით გავლენას არც ახდენს, რადგანაც ვერ კიდევ აღმოსავლურ დაიოსტურ მწერლობაში, 2000 წლის წინ, ამ მოვლენის შესახებ აღნიშნავდნენ, როგორც სასიცოცხლო ენერჯითი ამკვებებს და მამაკაცებისთვის პოტენციის გამძლიერებლებს (17, 1-126). და თუ ამ მოვლენას მაინც ჰქონდა ადგილი სწორფრობას თუ ნაწლობაში, ის გვიან გარჩილად უნდა ჩაითვალოს.

სწორფრობისა და ნაწლობის წინადაცხადების შეცვლა რომ გვიანდროსში, კერძოდ, მის დასამტკიცებლად გამოდგენილია, ეს უნდა განვიხილოთ ქალწულობის აუცილებლობა ხევსურეთისა და ფშავში. მოუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ ქალს ჰყავდა სწორფრო (და ნაწალი), ამით მათ საპატარძლოდ არავინ იწუნებდა, პირიქით, რაც უფრო ბევრსწორფროსი (და ნაწლიანი) იქნებოდა ქალი, მით უფრო სანატრული და საამაყო საპატარძლო იყო (9, 3), მაგრამ თუ ის ქალწული არ აღმოჩნდებოდა, მშობლებთან აბრუნებდნენ (8, 106), თუმცა, როგორ ხდებოდა მისი ქალწულობის შემონახვა, ამის შესახებ მასალები არ მოგვაქვია.

მისაზრებას სწორფრობისა და ნაწლობის მისტერიული ხასიათის შესახებ, ვფიქრობ, მხარს უჭერს ტერმინ „სწორფრობის“ ანალიზიც. „სწორფრობა“ („სწორფრობა“) კომპოზიცია და შედგება ორი სიტყვისაგან — „სწორი“ და „ფრო“ (ფრობა). სულხან-საბას განმარტებით „სწორე“ ნიშნავს „არამრუდს“, „წყველს“ და „სწორი“ — „მისთანას“, „უმრუდოს“ (11, 123), ხოლო „ფერი“ — რაიმეს ფერს — „ეთორს, ნიოფს, მავს“ (11, 148). „ფრობა“ კი — კეთილი საქმისთვის ადამიანის განწყობას სიტყვით ან სხვა ღონისძიებით (11, 149). ამრიგად, სწორფრობა შეიძლება ასე განმარტოთ — არამრუდთა, წყველთა, მისთანათა ერთფრობა ან მათ მიერ ერთმანეთის განწყობა კეთილი საქმისთვის სიტყვით ან სხვა ღონისძიებით (ამ შემთხვევაში მოფერებით, სეჟისი გარეშე). ორივე შემთხვევაში სწორფრობა იდენტურია ადამ და ევას, ანუ შესაფერია „ეთვე უფალმა ღმერთმა: არ ვარჯა ადამის მარტოდ ყოფნა, გაუურეს შემწე, შესაფერს“ ედემისეული წრფელი ურთიერთობისა.

რაც შეეხება ტერმინ „ნაწლობას“, ვფიქრობ, შესაძლებელია, ისიც სწორფრობას მსგავსად აიხსნას მათი შინაარსის მსგავსების გამო და შეუძლებელია მისი დაკავშირება „ნაწლობასთან“ ან „ნაწლიანთან“, რაც შემდეგში ლინგვისტური კვლევის საგანია, თუმცა გასათვალისწინებელია ქვეინ თუთით მიდგომა ამ საკითხისადმი, რომლის აზრითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთოქართველური „ნაწ“ ან „ნაწ“ აღ-აღნიშნავდა სქესთა შორის თანასწორ ურთიერთობას.

არსებობდა თუ არა საქართველოს სხვა კუთხეებში სწორფრობისა და ნაწლობის მსგავსი მისტერია? სურგი მაკალათია აღნიშნავდა „ჩვენ ვიცით, რომ ამგვარივე ხასიათის ჩვეულებები საქართველოს დასავლეთ კუთხეებში მოიპოვება, როგორც მანარჩიან, სვანეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში და, შესაძლებელია, სვანეთში, რასაც შოლოდ მიკვლევდა და აღმოჩენა სტორია“ (9, 25). მაგრამ არც აღნიშნულ ნაშრომში და არც სხვაგან ავტორი არ იძლევა ცნობებს მათ შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გიორგი შარაშიძე ნაწლობის ჩვეულებას უდარებს სვანურ „ლინტორლს“, რასაც ქვეინ თუთით არ ეთანხმება



და ნაწილის მსგავსებას. სწავლურ „ქვილმ“-თან უფრო ხედავს (16, 14). თუმცა, აღნიშნულ ორსავე სწავლურ ჩვეულებაში შეინიშნება სწორფრომისა და ნაწილის მსგავსი ნიშნები, ვფიქრობთ, ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

თუშეშეშე სწორფრომისა და ნაწილის მსგავსი ჩვეულებას შესახებ მონაცემები ვერ მოვიძიებთ, მაგრამ მის არსებობაზე მიგვანიშნებს თუშეშეშე ხალხური პოეზია, კერძოდ „... დოჭუღუღის ქალ-რძლები, ფიცვენ ბაკურის მზესაო, კიი კაცია ბაკური, გამოგვადგება ბეჭრსაო, ზოგს ვაგვიკეთებს ფარჯ-კვალებს, ზოგს დაგვიწყება გვერდსაო...“ (3, 380).

რაც შეეხება სამეგრელოში სწორფრომისა და ნაწილის მსგავს ჩვეულებას, ამის შესახებ ერთი ცნობა მოვიძიებთ აკაკი ქანტორიას საარქივო ასახლებიდან: „ჩემი ბაბუის ნათქვამი ვიცი, მაგად ითავდა, ვინმე მოვიფიქრა სახალბო, ღამეს გაათქვამა, შეორე დღეს სახალბო დღესასწაულზე (ჯარში) მიიღოდა. იმ ღამეს, თუ მასპინძელს ქალიშვილი ჰყავდა, შეიძლება და სტუმარი მასთან დაენიშათ. მეორე დღეს ამ ქალიშვილზე ნაიფიანდა „ჯარში“ და უკანვე ნამოიფიანდა (ქალიშვილისთვის ხელი რომ ეხლო, იმ კაცს მოკლავდნენ ან ღირსებააყრილად გამოაცხადებდნენ“ (18, 189).

საქართველოს სხვა კუთხეებში სწორფრომისა და ნაწილის მსგავსი მისტერიას არსებობის შესახებ, ვარდა ზემოთ აღნიშნულისა, სხვა ეთნოგრაფიული მასალები არ მოგვეპოვება.

ფფიქრობთ, თუ როგორ აიხაზა სწორფრომისა და ნაწილის მისტერია (ან მისი ნიშნები) მითოლოგიასა და ხალხურ თქმულებებში.

არსებობს მეგრული მითი „წყლის დედა“, რომლის მიხედვითაც, სწორფრომის მსგავსად, წყლის დედის (შხეთუნხაზე ქალის) ურთიერთობა კაცთან დიალოგით იწყება, წყლის დედა ცდილობს კაცი აღაპარაკოს, თუ კაცი დაელაპარაკა, დაიმორჩილებს და თავისთან დაიხვეწს (10, 310).

იქნებ შედეგადა და იაზოხის ურთიერთობაშიც ვეძებთ სწორფრომისა და ნაწილის მსგავსი ნიშნები, თუ საგულისხმო პარალელს ვაკვლებთ — სწორფრომა ქალმა შეიძლება უღელატოს მამს, მამას, მაგრამ სწორფროს — არასოდეს.

აღსანიშნავია ხალხური თქმულება „აბესალომ და ეთერი“. ზურაბ კიკნაძე აბესალომისა და ეთერის ერთფრომას (აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი) ბევრსურული სწორფრომის ბადალად მიიჩნევს, ეარაოდობს, რომ ეს „ერთფერობა“ მათ უხვედრელობას — ქორწინების აკრძალვას გულისხმობდა და ეთერის სწულდება ამ აკრძალვის გამობტულება (7, 64) საინტერესოა, რომ ხვესურებიც აბესალომისა და ეთერის ტრავჯედიას უკავშირებენ სწორფრომის გარჩენას: „რაც

კაცს გაწინილია... იმის მიუხედავად, რომ სწორფრომისა და ნაწილის მსგავსი ჩვეულებები ერთმანეთი, სურულით წარმოიქმნა, მაგრამ ცნო... ერთად ნოლა ჭეე არ ყოფილ ეგერ თუ უაზრებდათ ერთუცს. მემრ ღმერთს ათერიო, ამზრხელ ცთერი და აბესალომე უნახის სურულით დაბოცილნი. ამდგარად სურულ ქალვაჭისადა მთუშორებავ, ირმის რქაზე, თამაკოზედა, ქალის ფარავ ზე გადაუტანავ“ (2, 11).

საყურადღებოა, აგრეთვე, ზურაბ კიკნაძის აზრი იმის შესახებ, რომ ის, რაც სწორფრომაში დღიალობად იწოდება, შეიძლება ამოვიკითხოთ „ეფებისტყაისნის“ პროლოგში, სადაც პოეტი „მიჯნურთ ზნობაზე“ ლაპარაკობს და ჩამოთვლის იმ ადამიანურ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია ქემშარტი მიჯნურისათვის (7, 62).

ამგამად დაწერვლებით არ ვანიხილავთ პოეტის პროლოგს ამ თვალაზრისით. ვფიქრობთ, ეს შემდგომი კვლევის საგანი იქნება, მაგრამ აუცილებლად უნდა აღენიშნოთ ის, რისთვისაც, შესაძლებელია, ზურაბ კიკნაძეს ყურადღება არ მიუქცევია ან არ აღუნიშნავს: 1. თუ რუსთაველი მიჯნურობაში დებს სწორფრომისა და ნაწილის მსგავს მინაარსს და პოემა მიჯნურობაზეა, ხოლო მისი გმირები მიჯნურები და, შესაბამისად, სწორფერებისა და ნაწილების მსგავსი არიან, პოემის მინაარსშიც უნდა ასახულიყო სწორფრომისა და ნაწილის დამახასიათებელი მსგავსი თვისებანი. დავაკვირდეთ: მას შემდეგ, რაც გამოვლავდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა ხეარაზმშას — ნესტან-დარეჯანის საქმაროს მოკელის შემდეგ (ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ერთი გვირის წარმომადგენლები არიან, ამიტომ ქალს სხვა საქმრო ჰყავს), ნესტან-დარეჯანს გააძვეებენ, ხოლო ტარიელი თავად გაიძრება ველად, მოძებნის მიჯნურს და მხოლოდ საგმრო საქმის ჩადენის შემდეგ დაბრუნდება და, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებით სრულდება მათი ურთიერთობა, ზურაბ კიკნაძის აზრით, ქორწინილ ესტატოლოგიური მნიშვნელობისა და განმწმდელი ყოფითი მინაარსისაგან და რომ, როდესაც პოემის ავტორი წერდა მიჯნურობაზე „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიო“, სიძვასთან დაპირისპირებულ ამ „იგი“-ში ის არ გულისხმობდა ნარკიულ კემირს, თუნდაც კანონიერ ქორწინებით კრთხულს (7, 62). 2. ეფებისტყაისნის პროლოგის მეორე სტროფში რუსთაველი ღმერთის სთხოვს: „მენ დამიფარე, ძლევა შეც დათრგუნავ მე სატანისა, მომეც მიჯნურთა სურვილი სიკედმდე გასატანისა, ცოდევათა შესულტება, მუნ თანა ნასატანისა“ (15, 2). თუ აღნიშნულ სტროფს ასე გავიგებთ: მიჯნურთა სურვილი (ანუ მიჯნურობა) არის ცოდევათა შესულტება, მაშინ შესაძლებელია, ვფიქროთ, რომ, სწორფრომისა და ნაწილის მსგავსად, მიჯნურობასაც მისტერიული ხასიათი ჰქონდა. ამ მხრივ განათვალისწინებელია კიდევ ერთი

სტროფი, სადაც პოეტი მიჯნურებზე ლაპარაკობს, კერძოდ, „ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დამურების აღმაფრენითა“ (15, 22).

რაც შეეხება ტერმინ მიჯნურობას, როგორც შოთა რუსთაველი ამბობს — „მიჯნური შმაგსა გვიქვია არაბულითა უნითა“ (15, 22), უცხო ენის გავლენით შექმნილია და, უთუოდ, მისი შესატყვისი ქართული ტერმინიც იარსებებდა, რომელიც რაღაც მიზეზის გამო არ გამოიყენა პოეტმა, შესაძლებელია, ეს ის მიზეზია, რა მიზეზითაც პოემის ბოლოს მიჯნურთა ურთიერთობა ქორწინებით მთავრდება, რამიზეზითაც გადაიხვეწა სამშობლოდან შოთა რუსთაველი („ჰაჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხედდომია ველთა რბუნაჲ“ (15, 10)), რა მიზეზითაც იღვენებოდა „ვეფხისტყაოსანი“, თუმცა ეს უკანასკნელი მეცნიერებაში სადავო საკითხია და ვფიქრობთ, ტერმინისა და აღნიშნული მიზეზების ძიება შემდგომი კვლევის საქმეა.

ამრიგად, პირველი ცოდვის (რომელიც კაცობრიობას ედემიდან გამოჰყვია) შემსუბუქე-

ბა, ძირითადად ქალმა იტყვიანო, რადგანაც ეს მისი მოვალეობა იყო და ქვეყნის კულტურაში ხატა არა ნამებთ ან მსხვერპლთა მხეცრეთ, არამედ სიყვარულით — სწორფრობისა და ნაწლობის მისტერიით, რომელიც დღესასწაულად აქცია, რადგანაც უფალი გვეუბნება: „თქვენა სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი, უფლის შემეცნება და არა აღსაკლენი“ (1, ოს. თ. 6, 6). და თუ აღნიშნულმა მისტერიამ შემდეგ დაკარგა ნიშნა ხასიათი, ვფიქრობთ, ათი მართალი ქალი მაინც იქნებოდა ამ მისტერიის ნარჩელად შემსრულებელი — ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველო გადაურჩა მრავალრიცხოვან მტერთა შემოსევებს და თავი დღემდე შემოინახა (უფალმა უთხრა აბრაამს, არ დაეღუპაუ ქალაქს, ათი მართალი კაცი რომ იყოსო (1, დაბ. თ. 18, 32)). საგულეისბოა, რომ სწორფრობისა და ნაწლობის მისტერია საქართველოში არსებობდა, ამდენად, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საქართველო ღვთისმშობლის ნიღბვედრი ქვეყანაა და რომ იგი ნიშნა ნინომ გააქრისტიანა.

ლიტერატურა

1. შიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. ნათელა ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.
3. გიორგი ბოჭორიძე, თუმეთი, თბ., 1993.
4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964.
5. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1993.
6. გიორგი თედორაძე, ხუთი წელი ფშავესურეთში, ტფ., 1930.
7. ზ. კიკნაძე, სწორფრობა, ფურნალი „ივერია“, N1, თბილისი-პარიზი, 1992.
8. М. Ковалевский. Законы и обычаи на Кавказе, т II., М., 1890.
9. ს. მაკალათია, ფშაური ნაწლობა და ხევსურული სწორფრობა, თბ., 1927.
10. მეგრული ზღაპრები და მოთხები, თბ., 1994.
11. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
12. ალ. ოჩიაური, „თეთრი საყელი“ და ხევსურეთი, ფურნ. „მნათობი“, თბ., 1928.
13. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშაველი), თბ., 1991.
14. გრიგოლ რობაქიძე, ენგადი, ფურნ. „მნათობი“, 1987N8.
15. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1976.
16. ქვეინ თუთი, ნაწლობის ეტიმოლოგიისა და უძველესი საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის, „ამიანი“ — კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, N1 თბ., 1999.
17. ჩვენ მაი ცხინ ან ციუნგ შუ, სიყვარულის დაო, 1976, ნაბეჭდი რუსულ ენაზე.
18. აკაკი ქანტორია, მეცნიერის არქივიდან, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1989.



ლეონტი მროველის ქართული ხალხის ეთნოგენეტიკური და გლობოლოგიური კონსტრუქცია

1. ლეონტის კონსტრუქციის ნანამძღვრები

დიდი ხანია ქართულ ისტორიოგრაფიაში ლეონტი მროველის (XI ს.) კავკასიის ხალხთა და, კერძოდ, ქართველთა ეთნოგენეზის კონცეფციასზე დიდი დავაა. მის შეფასებაში სხვადასხვა, ძირითადად კი ორი საპირისპირო თვალსაზრისია:

1. ლეონტის კონცეფციური თვალთახედვა ქართული პოლიტიკურ-რაციონალურია;

2. ლეონტის ეთნოგენეტიკური კონცეფცია არმენოფილურია.

უპირველეს ყოვლისა, საქიროა, გიორგის საფუძველი: ლეონტი მროველის ნანამძღვრები (წყაროები) კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზის კონცეფტუალურ საკითხში და, ასევე, სწორად ამოდიოდა თუ არა იგი ამ ნანამძღვრებიდან.

როგორც ცნობილია, კაცობრიობის ეთნოგენეტიკური წარმომავლობის ახსნის პირველი ცდა „ბიბლიაშია“ მოცემული, მის პირველი ნიგნში — „დაბადებაში“ („შესაქმეთა“ ნიგნი). ბიბლიის მიხედვით, ადამისა და ევას ერთ-ერთ შორეულ შთამომავალს, კეთილ და ღირსეულ კაცს, ნოეს, სამი შვილი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეთი. ბიბლიით, წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი შიადგა არარაბის მთებს. კიდობანში თავშეფარებული გადარჩნენ. ნოეს შვილებს წარღვნის შემდეგ შეეძინათ შვილები: 1. იაფეთის ძენი იყვნენ: გომერი, იავანი, თუბალი, მემეტი და სხვ. იაფეთის შვილის, გომერის ერთ-ერთი ძე კი იყო — თოგარმა, ხოლო იავანის ერთ-ერთი ძე — თარშოში; 2. ქამის ოთხ ძეს შორის ერთ-ერთი იყო ქუმი, რომელმაც შვა ნებროთი, ქვეყანაზე გამორჩეული სიდიერითა და სამფლობელოებით; 3. სემის ძენი იყვნენ ელამი, ამური და სხვ. ნოეს შვილები და შვილიშვილები იყვნენ კაცობრიობის ეთნოსთა გენეტიკური პატრიარქები.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ ნოეს ძეთა შთამომავლობიდან „განშტოვდნენ ხალხები ქვეყანაზე წარღვნის შემდეგ“ და მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული. მაგრამ ქვეყანა ერთპირი იყო, ერთ ენაზე მეტყველი. თქვეს: ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი (ციხე) და აღმართოთ ცას მიწედნილი ნიშანსებტა, რომ არ გაიფანტოთ დედამიწის ზურგზეო. მაგრამ ღმერთმა

ხალხს ამის საშუალება არ მისცა: ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას მათ გაუჩინა („აურია“) სხვადასხვა ენები, ამიტომ ერთმანეთს ვერაფერი ვაუგეს, რადგან დამალა და აღრია უფალმა მათი საერთო ენა და უკვე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები გაიფანტნენ მთელი დედამიწის ზურგზე.

ერთი ფუძე ერის დაშლის შედეგად კაცობრიობა დაიყო ცალკეულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებად (ეთნოსებად), ენების რიცხვი ეტრაველთა და ბერძენთა მიხედვით შეადგენდა — 70-72-ს.

ეს არის ძირითადად ბიბლიის მიხედვით კაცობრიობის ეთნოგენეზის საწყისი პოზიცია და არსი.

ანტიკურ ეპოქაში და შემდეგაც, შუა საუკუნეების ცივილიზებულ ქვეყნებში, ისტორიკოსები თუ საეკლესიო მოღვაწენი ბიბლიის საფუძველზე ცდილობდნენ, დაედგინათ საკუთარი თუ სხვა ხალხთა ეთნოგენეზი, წარმომავლობა ანუ გენეტიკური კავშირი ბიბლიური ნოეს შთამომავალ რომელიმე პატრიარქთან. ეს ისტორიკოსებია: ოსებ ფლავიუსი (39-95 წწ.), იპოლიტე რომაელი (III ს.), ეპიფანე კვიპრელი (314-403 წწ.), თეოდორიტე კვირელი (393-457 წწ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია „ხალხთა წარმომავლობის ნიგნი“, „Liber Generationis“, რომლის ავტორად შიანდათ III ს-ის მწერალი იპოლიტე რომაელი.

ცდილობდნენ რა ხალხთა წარმომავლობის დადგენას და მათ ბიბლიურ პატრიარქებთან დაკავშირებას, აღნიშნული ავტორები კომენტარებას უკეთებდნენ ბიბლიურ სქემას და ამ მხრივ თავის მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ. ასე მაგალითად:

„საუკუნის ისტორიკოსის ოსებ ფლავიუსის მიხედვით, იაფეთის შვილის **თობელის** შთამომავალნი არიან **იბერები**, ხოლო „მოსოზონები“ ანუ „მესხენები“ (მესხები — დ.გ.) დაფუძნებულია **მოსოხის** ანუ „მესხოსის“ (მუშქის — დ.გ.) მიერ. სომხეთი კი, ანუ „არმენია“ დაფუძნებულია სემის ძის, არამის შვილის, „უროსის“ მიერ.“

ეგსტატი ანტიოქელი ნოეს სამი ვაჟის (სემი, ქამი და იაფეთი) რიგ შთამომავლებს შორის ასახელებს: **თობელი**, რომლისგანაც არიან თეოქელები, დღეს რომ იბერები ეწოდებათ; **ოსოხი**, რომლისგანაც არიან

მესხენები (მესხები – დ.გ.), დღევანდელი კაპადოკიელები”.²

უკიდურეს კვირულის მიხედვით კი, ნოეს შვილის სემის შთამომავალი სხვებს შორის არიან: ლაზები, ხალიბები, მოსინიკები, იბერები. ნოეს მესამე ვაჟის იაფეთის შთამომავალი კი სხვებს შორის არიან აგრეთვე: კოლები, ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები, კოლხები. მისივე აზრით, რიგ სხვა ქვეყნებთან ერთად, სემს ნილად ხედა ლაზია და იბერია.³

თეოფორიტე კვირულის მიხედვით, რომელიც „დაბადებას“ იწმინებს, „თბილისი ეწოდებოდა იბერებს, ხოლო მოსოხი – კაპადოკიელებს“.⁴ (ასურული წყაროს „თაბალის ქვეყანა“ (იგივე თობელის – დ.გ.) ძვ. წ. IX ს-ში მდებარეობდა დიდ კაპადოკიაში).

განსაკუთრებით მდიდარია ხალხთა (კაცობრიობის) ეთნოგენეალოგიური სქემები „ლიბერ გენერაციონისში“. მისი ავტორი, მართალია, ძირითადად „დაბადებიდან“ ამოიღის, მაგრამ ისე როგორც სხვები, თვითნებურ გადახვევებსაც აკეთებს, ე.ი. ნებისმიერ განმარტებებს იძლევა. „ლიბერ გენერაციონის“-ში იაფეთის შთამომავლობის ჩამოთვლისას, აქ დასახელებულია იაფეთის შვილის გომერის ძე „თოგორმა“, რომლისაგან არიან არმენიელები“-ო, ხოლო იაფეთის შვილის იუვანის ერთ-ერთი ძე არის „თარსისი, რომლისგანაც არიან პიბერები“.⁵ იაფეთის შთამომავალ აქ ჩამოთვლილ უამრავ ტომებში არის აგრეთვე: კოლები, ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები.⁶

აქ მნიშვნელოვანია შემდეგი ცნობაც: „ვისაც ამითაჲნ დამწერლობა აქვთ, ესენი არიან: იბერელები, ლატინები, რომელთაც აგრეთვე რომაელები ეწოდებოდა, ისპანელები, გრეკები, მიდეები, არმენები“.⁷ შემდეგ ჩამოთვლილია ვრცლად ქამის და სემის შთამომავალი ხალხებიც.

როგორც ვხედავთ, ანტიკური ხანის მწერლები ხალხთა ბიბლიურ გენეალოგიას, სქემას, შეხედულებისამებრ ცვლიდნენ და განმარტავდნენ. ერთი ასეთია იპოლიტე რომაელის „ლიბერ გენერაციონის“-ში „დაბადების“ თოგორმას (თოგორმა – ნეთური წყაროების „თეგარამა“, „თეგარამას ქვეყანა“ (ძვ. წ. XV ს.) აღმოსავლეთ კაპადოკიაში) შთამომავლად უკვე არმენების (სომხები) დასახელება. ასეთი რამ კი საკუთრივ „ბიბლიაში“ არაა. არც „არმენიელები“, არც „სომხები“ და არც მათი ეთნარქი „აიაკი“ (პაოსი) ბიბლიაში მოხსენიებული არაა და არც მათი მსგავსი ფლერადობის ეთნოტერმინები.

იპოლიტე რომაელის ამ ცნობაზე დაყრდნობით კი V-IX ს-ში სომეხმა ისტორიკოსებმა (ავატანგელოსი, მოსე ხორენაცი) ისარგებლეს და სომხების გენეტიკურ პატრიარქად (მამამთავრად) ბიბლიური თორგამა ანუ

თარგამოსი გამოაცხადეს და ფიქტურებით თარგამოსის შვილად ბიბლიაში წარმოადგინეს.

ამასთან, მართალია, ბიბლიაში „თუბალის“ და „მეშექის“ (მეშხის) შთამომავლებად ქართული ტომებიც, „იბერი“ და „მესხი“, არაა აღნიშნული, მაგრამ ამ ეთნოტიკურების გენეტიკური ელერადობა „თუბალთან“ და, განსაკუთრებით კი, ამკარად, „მეშექთან“: მეშექი-მეშხი, მესხი, მესხი, ასევე ძვ. წ-ის XII ს-დან ისტორიულ წყაროებში (ასურულ, ურარტულ, ბერძნულ...) დამოწმებულ ისეთ ეთნოტერმინებთან, როგორიცაა: „მუშქები“, „მუსხები“, „მესხენები“, „მოსხი“, „მესხი“ („მესხები“), – ქართული „მესხების“ აღმნიშვნელი ტერმინები. დაბოლოს, ძველი ბერძნული სახელწოდების ქვეყანა „მოსხიკე“ (მესხეთი), და, რაც მთავარია, ბიბლიური ეთნოგენეალოგიური სქემის „თობალი“ და „მეშექი“ (მეშხი) ანტიკური ხანის თითქმის ყველა მკვლევარ კომენტატორს ქართველი ტომების – იბერების და მესხების წინაპრებად მიაჩნიათ, რასაც, გამოკვლევების შედეგად XIX-XX სს. სამეცნიერო ლიტერატურაში, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საფუძვლიანად მიიჩნევენ. ამ მხრივ კი ბიბლიის ენ. „შესაქმეს“ ნივნი, ანუ „დაბადებაში“, „სომეხ“, „არმენებთან“ და „აიაკი-პაოსთან“, თუნდაც მსგავსი ფლერადობის ეთნოტერმინების სახით, სრულიადვე არაფერია ნათქვამი. ამოსავალი წყარო კი ჩვენთვის, რახან საკითხი ფორმალურ მხარეს (ბიბლიის) ეხება „დაბადება“ უნდა იყოს (სხვა საკითხია, რამდენად აქვს მას მეცნიერული ღირებულება).

კითხვა ისმის: რატომ გამოაცხადა იპოლიტე რომაელმა ბიბლიური თორგამა „არმენიელების“ (სომხების) მამამთავრად? აქ უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ძველი ებრაელები „დაბადებას“ ადგენდნენ ძვ. წ. XIII-IX სს-ში, კაცობრიობის ეთნოგენეტიკურ სქემებში და საერთოდ „ძველ აღთქმაში“ შექმნილად ის ხალხები და ქვეყნები, რომელნიც მამის ცნობილი იყვნენ ძველ სამყაროში: მცირე აზიის, შუამდინარეთის, ეგვიპტის ძველი ქვეყნები და მათი ხალხები. ამიტომ მთელი რიგი ხალხები და ქვეყნები, ისტორიის ასპარეზზე შემდგომ გამოსულნი, მათ შორის სომხეთი, ცხადია, ბიბლიაში არ არის, არა, ამის გამო, იპოლიტე რომაელმა, რომელიც III ს-ში მოღვაწეობდა, განიხილა განმარტება მიეცა ბიბლიის ლეგენდისათვის: ნოეს კიდობანი არარატის მთაზე შეჭრდა, მის დროს III ს-ში აქ უკვე ეარც ხანია სომხები ცხოვრობდნენ და ისტორიის ასპარეზზე ცნობილი იყვნენ. ამიტომ, ამ სომხებისათვის რომელიღაც მამამთავარი ნინაპარი ზომ უნდა გამოიწვეულიყო ხალხთა



წარმომავლობის ბიბლიურ სქემაში, მით უმეტეს, რომ ნოეს კიდობანი ლეგენდით არარატის მთაზე აღმოჩნდა; და აი, „ლიბურ გენეოლოგიისიმი“ (ხალხთა წარმომავლობის ნიგნი) იპოლიტემ ერთ-ერთ ბიბლიურ პატრიარქ თოგარმას თვითნებურად, ხელოვნურად დაუკავშირა არმენიელები (სომხები). ბიბლიაში („დაბადებაში“) კი, როგორც დავინახეთ, ასე არაა, თოგარმა (თარგამოსი) არმენების (სომხების, პაოსის) ეთნოპატრიარქი არაა.

ასევე ითქმის ი. ფლავეუსის შესახებაც, რომლის ბიბლიური სქემის სემის ძის არამის შვილი „უროსი“ (რომელიც მისი მოგონილია) და არც თვით არამი სომხების ეთნოპატრიარქი არაა.

ამასთან აღსანიშნავია, იპოლიტე რომაელის სახელით ცნობილ „ხალხთა წარმომავლობის ნიგნი“ მოცემულ კაცობრიობის ეთნოგენეტიკური სქემის ფერულში, ბიბლიურ პატრიარქებთან დაკავშირებით, განმარტებების სახით დამატებით შემოყვანილია მისი დროისათვის უკვე ცნობილი ათულობით სხვა ხალხები და ქვეყნები (თუმცა ხშირად არეულად), რითაც დიდად გაფართოებულია იმ დროის (III ს.) მსოფლიოს ეთნოგენეტიკური და გეოგრაფიული თვალსაწიერი.⁹

შემდგომში ბიბლიის საფუძველზე ხალხთა წარმომავლობის თხრობა და ლინგვისტური სქემა მოცემულია IV ს. სირიელი მოლაგანის ფერემ ასურის (306-373 წწ.) ავტორებით ცნობილ თხზულებაში, „განძთა ქვაბში“ [ქვ. თაყაიშვილის აზრით, იგი უფრო გვიან, VI ს-ში უნდა იყოს დაწერილი].

„განძთა ქვაბი“ თხრობას ისევე იწყებს, როგორც ბიბლია: ღმერთის მიერ ქვეყნიერების, ადამისა და ევას გაჩენას, მათ შთამომავლობაზე საერთოდ და, კერძოდ, სახელოვან ნოესა და მის შვილებზე (სემი, ქამი, იაფეთი), ნოეს კიდობანზე, წარღვნაზე და ნოეს და მისი შთამომავლობის გადარჩენაზე. „განძთა ქვაბში“ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ადგილი, რომელიც ნოეს შთამომავალთა მიგრაციას, ბაბილონის გოდოლსა და ხალხთა ენას ეხება. აქაც ეფრემი არსებითად ბიბლიას მისდევს, მაგრამ განსხვავებული რედაქციით: „დღეთა ფილვისთა შემოკრბეს ყოველნი ტომნი [ტომი“ აქ, ნათესავი შთამომავალნი – დ.გ.] ნოესი და შვილნი: სემ, ქამ და იაფეთ... და წარვიდეს აღმოსავლით და პპოვეს ველი ქუყყანასა და ლურულსა და დაემენეს მუნ. და იყო სიტყვა მათი ერთ და ენასა ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე მუნ დღემდე ენასა ასურულსა ფრიად ვრცელსა ვიდრე სომხითამდე და არს იგი მუფე ყოველსა ენისა“¹⁰

აქ თქმული იმას ნიშნავს, რომ ადამიდან დაწყებული „მუნ დღემდე“, ე.ი. ბაბილონის

გოდოლამდე, კაცობრიუბებს, ეფრემი ენა პქონდა, – ასურული, ამეფე მექლენა პქისა“, ანუ ყველა ენის მამამთესურსა მესეს ასურული ენა ვრცელდებოდა იქამდე. სანამდე მამის კაცობრიობა იყო დასახელებული, სახელდობრ, სომხეთამდე. „სომხეთი“ აქ ეფრემ ასურის დროის გეოგრაფიული ცნებაა, ბიბლიის არარატის მთის ნაცვლად არის აღნიშნული (ბიბლიური ნოეს და მისი შვილების დროს აქ „სომხეთი“, ცხადია, არც არსებობდა) და „განძთა ქვაბში“ ნათქვამი ისე კი არ უნდა გაიგავთ, თითქოს კაცობრიობის ერთი საერთო ასურული ენის გარდა ბაბილონის გოდოლამდე, ეფრემ ასურის მიხედვით, კიდევ არსებობდა მეორე ენა – სომხური. ასე რომ იყოს, მამის როგორც ამბობს „ბიბლია“ და „განძთა ქვაბი“, – ბაბილონის გოდოლამდე კაცობრიობის (ადამისა და ევას შთამომავალ ხალხთა) ენა ერთი იყო. ეს ჩანს „განძთა ქვაბის“ ტექსტის შემდგომი თხრობითაც: კაცობრიობის ამ ერთი ენის, ასურულის, არსებობისას, „რაგამს აღაშენეს გოდოლი ბაბილოვანს, მუნ შეირივნეს ენანი და განიბნივნეს ყოველნი პირსა ქუყყანისასა და ენოდა ადგილსა მას ამისთჳს ბაბილოვანი და შემდგომად განსყოფასა ენათასა... იქმნა ქუყყანა სამეოცდაათ ენათა“.

როგორც ვხედავთ, „განძთა ქვაბის“ თხრობის შემდეგი (შომდეგვი) ნაწილი დამატებით ნათლად ადსატურებს, რომ ბიბლიური ბაბილონის გოდოლამდე ასურული ენის გარდა, არავითარი სომხური ენა არ არსებობდა, ისე როგორც სხვა ენებიც და ბაბილონის გოდოლის ამენების წარუშატებელი ცდის დროს კაცობრიობის ერთი საერთო ფუძე ენა, „განძთა ქვაბით“ ასურული, დაიმალა (ბიბლიით კი ამ საერთო ფუძე ენის სახელწოდება უცნობია, რაც მუდარებლად გონიერულია), „შეირივნეს ენანი“ და 70 ენაზე მოლაპარაკე ხალხები „განიბნივნეს“ მთელ დედამიწაზე.

აღსანიშნავია, „განძთა ქვაბში“ ხალხთა წარმომავლობის თხრობისას ნახსენები არაა ბიბლიური „თოგარმას“ ძე და ან შთამომავალი სომხეთა ეთნარქი პაოსი [პოიკი] და, ასევე, როგორც ვხედავთ, ნახსენები არაა არც სომხური ენა.

როგორც საკუთრივ ბიბლიის („დაბადების“), ისე ანტიკური ხანის მოღვაწეების შედგენილი ხალხთა (ერთა) წარმომავლობის ბიბლიური სქემები X-XI სს-ის საქართველოში კარგად იყო ცნობილი. ქართველი მოღვაწეები მათ თარგმნიდნენ. კერძოდ, ასურული „განძთა ქვაბი“ თარგმნა დიდი ქართველი მოღვაწე მამია მთაწკრიძემ და მთარგმნელმა ეფრემ მცირემ XI ს. წახვედრობ. ექ. თაყაიშვილის აზრით კი, იგი უფრო ადრეც უნდა

ეთარგმნათ ქართულად, არა უგვიანეს IX საუკუნისა.¹²

იპოლიტე რომაელის „ლიბერ გენერაციონის“ კი თარგმნა X-XI ს-ის ქართველთა მოღვაწემ ექვთიმე ათონელმა-მთაწმინდელმა (955-1028 წწ.). აღსანიშნავია, ისე როგორც იპოლიტე ნებისმიერად მოექცა და განმარტებებით განავრცო ბიბლიის ხალხთა წარმომავლობის სქემა, ასევე ექვთიმე ათონელმა იპოლიტე რომაელის „ლიბერ გენერაციონის“ თარგმნა ნებისმიერად (თავისუფლად) და თავის მხრივაც ბიბლიური პატრიარქების ჩამომავალ კაცობრიობის ფარგულში კიდევ სხვა ხალხებიც შემოიყვანა, რომელნიც მის დროს ისტორიის ასპარეზზე იყვნენ ცნობილი. მის მიერ თარგმნილ „ლიბერ გენერაციონის“-ში, ისე როგორც ბიბლიაში, იაფეტის შვილებად თობალი და მემუქი არიან დასახელებული, რომელთა შთამომავლებად ანტიკურ ისტორიკოსებს ქართველი ტომები — იბერები და მესხები მიაჩნდათ. ექვთიმემ რატომღაც ამას უწრადლება არ მიაქცია და ნებისმიერად ქართველთა სემის შთამომავლებში მოაქცია (ხალხთა რიგის 21-ე წმირად). სემის შთამომავლებად მიიჩნია მან სხვა ქართველი ტომები: პერები, მეგრელები, ასევე აფხაზნი. იაფეტის შთამომავლებში კი მან ჩასვა „ქელტ-ქართველი დასავლისანი“.¹³

დამოლოს უნდა აღინიშნოს V-IX საუკუნეების ფარგლებში მიჩნეულ სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის თხზულება „სომხეთის ისტორია“ თავისი ხალხთა წარმომავლობის ბიბლიური სქემის ვარიანტით, სადაც სომეხების მამამთავარი პაოსი („პაიკი“) იაფეტის შვილთა შვილის, თორგომის შვილად არის წარმოდგენილი.¹⁴ ამასთან, თავის ამ ლეგენდარული არმენოფილური ტენდენციურობით აღსაქვს თხზულების ბიბლიური სქემის ვარიანტში მოვსეს ხორენაცმა საერთოდ გამორიცხა და არ ჩასვა ქართველები, იბერები, — არც თობალი და მემუქი, და არც ქართველ ტომთა სხვა მამამთავარიც.

მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ იმთავითვე უთარგმნიათ და ცნობილი ყოფილა საქართველოში. ჯერ კიდევ მას X ს-ის მოღვაწე არსენ კათალიკოსი საფარელი იხსენიებს.¹⁵

ასეთი შინაარსით მოვიდა ბიბლიის პირველი ნიგნი „დაბადება“ (სადაც კაცობრიობის ეთნოგენეალოგიაა მოცემული) და მის საფუძველზე ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის მწერლების მიერ მოცემული ხალხთა ეთნოგენეტიკური სქემის სხვადასხვა ვარიანტები და კომენტარები, როცა XI საუკუნეში საშოღვენო ასპარეზზე ლეონტი მროველი გამოვიდა.

2. ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკურ-ბიოლოგიური კონცეფციები და მისი არამოწმად მიჩნევა

ლეონტი მროველი, ამჟამაა, იცნობდა „დაბადებისა“ და ბერძნულ-რომაულ, ასევე სომხურ საისტორიო მწერლობის ხალხთა ეთნოგენეალოგიას, მისი სქემების სხვადასხვაგვარ ვარიანტებსა და კომენტარებს. გაცივრო რა ზემოაღნიშნულ წყაროებს, მან ქართლის უძველეს ისტორიას წარუმძღვარა კავკასიელთა და, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. ქართველთა და კავკასიელ ხალხთა წარმომავლობის ლეონტისეული სქემა ასეთია:

„სომეხთა და ქართველთა, რანთა და შოვაქენელთა, პერთა და ლექთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამით თვსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარმისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“.¹⁶ ბაბილონის გოდლოს ამენების წარუმატებელი ცდის შემდეგ, როცა ავანეყვანს მუნ ენანი, „წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავეთურთ მისით, და დატყვედრა ორთა მით მათთა შუა... არარება და მასისსა“.¹⁷ აქ გამრაველდა თარგამოსის შთამომავალნი და ევლარ იტყედა არარატ-მასისის ქვეყანა. თარგამოსს ჰყავდა რვა შვილი: პაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვსეკან, ლექ, პეროს, კავკას და ეგროს.¹⁸ ლეონტის მიხედვით, რვა ძმას შორის ყველაზე გმირი იყო უფროსი პაოსი (სომეხი), ისეთი რომ „ეგვიეთარი არაოდეს ყოფილიყო“ არც წარუღნამდე და არც მის შემდგომო. რახან გამრავლებული თარგამოსიანები ეერ ეტროდნენ არარატ-მასისის რეგიონში, თარგამოსმა განუყო შვილებს ქვეყანა: მთელი ქვეყნის (კავკასიის) ნახევარი და თანაც საუკეთესო ნაწილი მისცა პაოსს, ხოლო დანარჩენი გაუნაწილა შვიდ ძმას.¹⁹ ქართლოსს, ანუ ქართველთა მამამთავარს (ეთნარქს) ქართლი ერგო თავისი საზღვრებით. ლეონტი ჩამოთვლის ყველა ამ ძმის ნიღბდომილ ქვეყნებსა და მათ საზღვრებს. ამ უფედ ძმათა გამგებელი და უფალი იყო მათი უფროსი ძმა პაოსი (სომეხთა ეთნარქი), ხოლო ძმები „ყვენეს მორჩილ პაოსისა“.

შემდეგ, სომხურ საისტორიო მწერლობაში შეთხზულ ცნობას პაოსის მიერ ბიბლიის ყველაზე დიდ გმირ ნებროთთან ბრძოლასა და განგმირვას, ლეონტი ახალ რედაქციას აძლევს და მას პაოსის ძმებსაც უკავშირებს (სომხური სქემით კი პაოსის ძმები არ ჰყავდათ). ლეონტის მიხედვით, პაოსი თავისი ძმებით და მათი შთამომავლობით, პაოსის მხედართმთავრობით, ამარცხებს და ბრძოლაში კლავს თვით ბიბლიის ყველაზე ძლიერ გმირს, ნოეს ძის, ქამის შვილიშვილს, „დაბადების“ ენით „ბუმბურაზ“ ნებროთს,

რომელსაც ნოეს შთამომავლთა შორის პიბლიით ეკლესიუ ვრცელი სამფლობელოები და დიდი ქალაქები ქაინდა (ბაბილონი, ერეტი, აქადი და სხვ.) და რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქვეყნისა, რომელსაც ლეონტი, სხვა ქვეყნებს შორის თარგამოსიანთა რვაივე მძებიც ემორჩილებოდნენ და ხარკს უხდიდნენ. ნებროთის დამარცხების შემდეგ, ლეონტის მიხედვით, პაოსმა (სომხების მამამთავარმა) თავისი თავი გამოაცხადა მეფედ ძმათა თესთა ზედა და, ასევე, მისი ქვეყნის სხვა მოსახლერე ხალხების მეფედაც. ხოლო შვიდნივე ძმანი იყვნენ თავიანთ ქვეყნებში და კვლავ აყენეს მორჩილ პაოსისა.²⁰ ბიბლიაში ნებროთ-პაოსის ბრძოლის მსგავსი არაფერია, იქ პაოსი საერთოდ ნახსენებაც არაა და, როგორც ითქვა, ეს შეთხზულია V ს-ის სომხურ საისტორიო მწერლობაში.

თავისი კონცეფციის დასასრულს, ლეონტი ეზება ქართული ენის საკითხსაც. რადგან თარგამოსის შვილები ძმები იყვნენ, ერთი მამის შვილი, ცხადია (ლოგაიურია) მათი ენაც ერთი უნდა ყოფილიყო. და, აი, ლეონტის მიხედვით, თარგამოსიანთა რვა ძმისა და მათი შთამომავლობის ენა დიდი ხნის (ეპოქების) მანძილზე, ვიდრე ნაბუქოდნოსორი იერუსალიმს აიღებდა ძვ. წ. VI ს-ში, უფროსი ძმის, პაოსის ენა იყო და, კერძოდ, „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“²¹ ხოლო შემდეგში, როდესაც ქართლში მოედნენ და დასახლდნენ სხვა ურიცხვი უცხო ტომები („ურიცხენი ნათესავნი“), მაშინ ქართველებმა დაივიწყეს ენა სომხური და უცხოტომელების ენების შეჯვარებით შეიქმნა ქართული ენაო. შემდეგში კი „რაოდენთამე ნელინადთა“, ქართლში კვლავ მოვიდნენ ახალი უცხო ტომები და „ესრეთ აღრუელ... ქართლსა შინა“ იყო („სრხაბუოდა“) აქვსი ენა: სომხური. ქართული (უცხო ტომის შეჯვარებით მიღებული – დ. გ.) ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული.²² ასე გაგრძელდა ქართლის პირველ მეფე ფარნავაზამდე.

აი, ეს არის სრულად ლეონტი მროველის ქართულთა წარმომავლობისა და მათი ენის კონცეფცია.

რაც შეეხება პაოსის დანარჩენი ძმების, შემდგომში სომხურისაგან განსხვავებული ენების შექმნაზე, ლეონტი მისზე არაფერს გვაუწყებს.

ამჟამად, როდესაც ჩვენ ზემოთ გავეცანით ბიბლიურ, „დაბადების“ ეთნოგენელოგიურ სქემებს, ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქის ისტორიკოსების კომენტარებსა და ბიბლიური სქემების მათ ვარიანტებს, ასევე, თვით ლეონტის სქემას, შეიძლება

დავსვათ კითხვა: რა ნაწიში იყო მროველი წყაროებით ხელმძღვანელები? და, რა ნაწიში მროველი ეპიკოსის ხალხთა და ურთიერთწარმომავლობის სქემის შედგენისა და თავისი კონცეფციის ჩამოყალიბებისას, და, ასევე, ეთანხმების თუ არა ეს წყაროები ლეონტი მროველის ეთნოგენელოგიურ კონცეფციას. ლეონტის წყაროები აქ, ჩვენი აზრით, ნათლად გამოჩნდა. ეს არის იპოლიტე რომაელის „ლიბერ გენერაციონის“, ფრემდ ასურის „განძთა ქებაი“ და V ს-ის ძველი სომხური საისტორიო მწერლობა (აგათანგელოსი, მოვსეს ზორნაცი). ამ წყაროებიდან იგი იღებს მისთვის სასურველ ბიბლიურ ფაქტებს და ახდენს მათ თვითნებურ, ხელოვნურ შეჯვარებას (სრტამინაცი). ამასთან უმატებს მის მიერ გამოვლილ ბიბლიურ ფაქტებსა და მოღონებს და ასე თხზავს და აყალიბებს თავის ორიგინალურ კონცეფციას. ხალხთა წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ამ წყაროებს ზემოთ გავეცანით და ამგვად ისმის კითხვა: ეთანხმებიან თუ არა ეს წყაროები ლეონტის კონცეფციას? არც ერთი: 1. არც ბიბლია, არც „ლიბერ გენერაციონის“, არც ასურული „განძთა ქებაი“ და არც ძველი სომხური საისტორიო მწერლობა არ ეთანხმება მას ქართველების და, საერთოდ ეპიკოსების („მ მის“) ბიბლიური თოგარმადან (თარგამოსიდან) წარმომავლობის შესახებ. 2. ასევე, არც ერთი ზემოაღნიშნული წყარო არ ეთანხმება ლეონტის პაოსის და მისი შვიდი ძმის ერთობლივ ბრძოლას ნებროთის წინააღმდეგ (ნებროთ-პაოსის ბრძოლა კი, ეს საერთოდ სომხური მწერლობის გამოწვევია). 3. სომხური საისტორიო მწერლობა (და არც სხვა) არ ეთანხმება მას, თითქოს პაოსის ძმები ჰყოლია. 4. დაბოლოს, არც ერთი აღნიშნული წყარო არ ეთანხმება ლეონტის, ვითომცდა პირველად ქართველთა მშობლიური ენა სომხური ყოფილიყო, ხოლო შემდეგმ უცხო ტომების ქართლში მოსვლითა და მათი ენების შეჯვარებით ქართული ენა წარმოქმნილიყო. ლეონტის მიერ შეთხზული კონცეფცია ქართველთა ეთნოგენელოგიასა და ქართული ენის საკითხზე, მთლიანად ყალბ და ყალბად გამოყენებულ ნაწამძღვრებზე აგებული. ერთადერთი, რაც მისი სქემის ერთ დეტალს ეთანხმება, ესაა იპოლიტე რომაელის მიერ თვითნებურად „ლიბერ გენერაციონის“-ის ბიბლიურ სქემაში ჩასმული „არმენიელები“ (ანუ სომხები) და მისი დაკავშირება ბიბლიურ თოგარმასთან (თარგამოსთან), რასაც ხელი ჩასჭიდეს V ს-ის სომხთა ისტორიკოსებმა და რომელთაგან (იპოლიტე რომაელი, სომეხი ისტორიკოსები) აიღო ლეონტიმ მათი სქემის ეს დეტალი – პაოსის („არმენიების“) სომხების

ეთნარქის) ბიბლიურ თარგამოსთან დაკავშირება.

მასადაამე, ქართველთა და კავკასიის ხელხთა ეთნოგენეტიკური სქემა ლეონტი მროველისა მთლიანად ნებისმიერი, თვითნებური და ყალბია. მან ხომ იცოდა, რომ ბიბლიაში („დაბადებში“) არმენები და ჰაოსი ნახსენებაც არაა და, ცხადია, არცაა დაკავშირებული თოგარმასთან (თარგამოსთან). ასევე, ლეონტიმ ხომ იცოდა, რომ „დაბადებში“ თობალი და მუშუქი ნოეს ძის იაფეტის შვილებია, რომელთა შთამომავლობა ანტიკური მწერალ-კომენტატორების აზრით, „იბერები“ და „მესხები“ ანუ ქართველები არიან.

რაც უფრო გასაკვირია, რა ნაწამმღერიდან გამოიყვანა ლეონტი მროველმა ჰაოსი (სომეხი) ქართლოსის (ქართველის) უფროს ძმად და ქართლოსიანთა გამგებლად, ბოლოს კი შეფედ (ასევე დანარჩენი კავკასიის ხალხებისთვის), ხოლო ქართლოსი მის „შორილად“? რა ბიბლიური ან სხვა რიგის, ანდა რა მეცნიერული საფუძველი უქონდა მას საამისოდ? არაერთი. აღსანიშნავია, თვით ძველი სომეხი ისტორიკოსებიც (ავთანგილოსი, მოვსეს ხორენაცე) არ აღნიშნავენ ჰაოსის უფროს ძმობას და უფროს-გამგებლობას ქართლოსზე, კიდევ მეტიც, მათი ხალხთა წარმომავლობის სქემებით ჰაოსს საერთოდ ძმები არც უყოლია, რითაც ისინი იპოლიტე რომაელის სქემიდან გადახვევას ამ მხრივ არ აკეთებენ. ლეონტი მროველი, რომელმაც, ცხადია, შესანიშნავად იცოდა „დაბადება“, ქართულ ეთნო-ცენტრულ (ჯანსაღი გაგებით) პოზიციაზე რომ მდგარიყო, თავისუფლად შეეძლო და ვალდებულიც იყო ქართველი ხალხი და მისი ეთნარქი ქართლოსი დაეკავშირებინა როგორც ბიბლიურ (იაფეტის ძეების), ისე ამავე დროს რეალური-ისტორიულ თუბალთან და მუშუქთან, რომელთა შთამომავლებად ანტიკურ ბერძნულ-ლათინურ მწერლობას მიაჩნიათ იბერები და მესხები, ანუ ქართველები.

სომეხების, „ჰაოსის“, უფროს ძმად გამოყვანას ვერც ი. ფლავიუსის მიერ „არმენიელების“ დაკავშირება შვედის შორეულ ბიბლიურ ეთნოპატრიარქთან, სემის ძის არამის შვილთან, მის მიერ მოგონილ „უროსი“-სთან, ან, გენეზით, თვით არამისთან, სახელთა მსგავსი ფლავადობის გამო. ასეთი ფორმალური ბიბლიური „ეთნოგენეტიკური ხის“ სქემით, სახელთა მსგავსი ფლავადობის საფუძველზე, ქართველები ანუ იბერები ჩვენ შეგვიძლია დავუკავშიროთ თვით „ნარენამდე“ და ბიბლიურ ნოემდე არსებულ ადამის და ევას პირველი მოდგმის კაცობრიობის წარმომადგენლებს – „იაბალს“, „იუბალს“ და „თუბალ“-კაენს

(დაბ., თ. 4): „იაბალ“ – „იუბალ“ – „თუბალ“ (კინი) – იბერი (ცნობილად მსგავსი სქემით მირებენ „იბერს“, იბერულად იბერულად მირებენ „იბერს“), იბერულად მსგავსი სქემით როცა უკვე „ნარენის“ შემდგომი კაცობრიობის მეორე მოდგმის (ნოეს) „თუბალ“ („თობალი“) და „მუშუქი“ (მესხები) – ქართველთა, ანუ იბერ-მესხების წინაპარნი, – ბიბლიით ნოეს შვილიშვილებია (იაფეტის შვილები), სომეხების ბიბლიური წინაპარნი – „თოგარმა“ და არამის ძე „უროსი“ (იპ. რომაელის და ი. ფლავიუსის მოგონილი) ნოეს შვილიშვილის შვილებია. ასე რომ, ავთენტური, პირვანდელი ბიბლიური გენეტიკური სქემით და ეთნოტერმინების მსგავსობის ფლერადობით, უპირატესობა და ასაკით უფროსობა მანვე ქართველთა ეთნოპატრიარქებს (თუბალს და „მუშუქს“) აქვთ სომეხების ეთნოპატრიარქებთან შედარებით.

შორეულ არსებითი ლეონტის ეთნოგენეტიკურ-გეოლოგიურ კონცეფციაში ეს არის ქართული ენის საკითხი. აქ ორი საკითხია: 1. ლეონტის მიერ კავკასიელთა, მათ შორის, ქართველთა თავდაპირველ მშობლიურ ენად სომხურის გამოცხადება და 2. ქართული ენის წარმოქმნა უცხო ტომების „ენათა შერევის“ (შეჯავრების) შედეგად.

გარდა მის მიერ შეთხზული კონცეფციისა: კავკასიის ხალხებში ჰაოსის უფროსი ძმობისა, დამატებით აქ, აშკარაა, ლეონტის წყარო ასურული „განმთა ქებათა“, მაგრამ მისი ტექსტის სათანადო ადგილი მან ან სწორად ვერ გაიგო, ანდა შეგნებულად თავისი კონცეფციის მიზნისთვის მას სხვა ახსნა მოუძებნა. „განმთა ქებათ“, როგორც ზემოთ აღინიშნა [ვითარება მოითხოვს გავიმეოროთ), კაცობრიობას, ნოეს შთამომავლობას, ადამიდან ბაბილონის გოდოლამდე ერთი ენა უქონდა, ასურული, „ფრიად ვრცელ“ ტერიტორიაზე, სადამდეც მამინ კაცობრიობა სახლობდა, სახელდობრ, „ეიდრე სომხითამდე“. აქ, ცხადია, „სომხითიც“ ასურულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნად ითვლება, თუ ეს მინანქალი დასახლებულია, მაგრამ „განმთა ქებათ“ უფრო ეს რეგონი ვერ დასახლებულად არ იგულისხმება, რადგან კაცობრიობა „სომხითამდე“ სახლობდაო. „სომხითი“ კი აქ „განმთა ქებათ“ შექმნის დროინდელი გეოგრაფიული ცნებაა, ბიბლიური არაბატის შიგნის ნაცვლად აღნიშნული და ანტიპრონიზია, რადგან ბიბლიური „ბაბილონის გოდოლის“ ეპოქაში „სომხითი“ საერთოდ არც არსებობდა. ამიტომ „განმთა ქებათ“ ნათქვამი: ადამის მოდგმა, კაცობრიობა, „ერთ ენასა ზრახვიდეს ადამისითგან, ვიდრე მუნ დღემდე (ბაბილონის გოდოლამდე – დ.გ.). ენასა ასურულსა ფრიად ვრცელსა, ვიდრე სომხითამდე“ – სრულიად არ ნიშნავს, რომ ასურუ-



ლის გარდა ბაბილონის გოდოლამდე კიდევ ერთი სხვა ენა, სომხური არსებობდაო.

უნდა აღინიშნოს, ფსევდო (ყალბი) ეფერების „განძობა ქვაბის“ ტექსტის ასეთი გაგება: ვაბატონებელი ასურულის გარდა, ბაბილონის გოდოლამდე, „განძობა ქვაბის“ მიხედვით, კიდევ არსებობდა სომხური ენაო, მოცემულია ივ. ჯავახიშვილთან, რაც მართებულად არაა. ამასთან, ტექსტის ასეთ გაგებას ივ. ჯავახიშვილი მიაწერს ლეონტი მროველსაც, რადგან, მისი აზრით, „განძობა ქვაბში“ ასე ნერია და ლეონტისაც ასე უნდა ეფიქრა და სწორედ ასეც უფიქრია“-ო.²³

სიმართლე უნდა ითქვას, ლეონტისთან ასე არ არის და ასეთ რამეს იგი არც ამბობს. იგი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში ადამიანთა მოდგმის საერთო ენის, ხოლო „ბაბილონის გოდოლის“ შენების შემდგომ კაცობრიობის ამ საერთო ენის დაშლის საკითხში ბიბლიურ სქემას სწორად მიყვება. მაგრამ ისიც აშკარაა, შემდგომში ლეონტი სომხური ენის საკითხში, ეფერმ ასურის „განძობა ქვაბის“ ტექსტს ან არასწორად გებულობს, ანდა სუბიექტურ, მისთვის სასურველად მოსაღებ ახსნას აძლევს: რახან მასში ნახსენებია „სომხეთი“, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი აზრით, ლეონტი „პაოსს“ და „სომხურ ენას“ „დიდმნიშვნელოვან“ უპირატესობას ანიჭებს (იქვე) და, ჩემი აზრით, ამ ძველითაც სურს იგი მთელი კავკასიის ენად გამოაცხადოს, ოღონდ არა ბაბილონის გოდოლამდე, არამედ მის შემდგომ, „საერთო ენის“ დაშლის შემდეგ.

თავისი კონცეფციისათვის ლეონტიმ, ჩანს, მისი აზრით, „განძობა ქვაბში“ დამატებითი არგუმენტი იპოვა: „სომხეთის“ ხსენება, მაგრამ უსაფუძვლოდ, რადგან, როგორც ითქვა: „სომხეთი“ ეფერმ ასურის დროინდელი (IV ს.) გეოგრაფიული ცნება იყო და, ბიბლიური გოდოლის ეპოქაში მისი გადატანა ანაქრონიზმი: იმ ხანაში „სომხეთი“ – არც ქვეყანა და არც ტერმინი არ არსებობდა.

როგორც ვხედავთ, ლეონტიმ, თავის შეთხზულ კონცეფციასთან ერთად („პაოსს“- უფროხი მშა კავკასიელების), დამატებით „განძობა ქვაბის“ ტექსტის მცდარი გაგებით, ანდა მისი შეგნებული დამახინჯებით, სომხური ენა გამოაცხადა ქართველთა (და სხვა კავკასიელთა) თავდაპირველ მშობლიურ ენად, რაც თავიდან ბოლომდე შეთხზული და ყალბია.

ასევე მცდარია ლეონტის გლოტოლოგიური კონცეფცია ქართლში მოსახლე „ურიცხვი“ უცხო ტომების ენების „სურვის“ (შეჯვარების) შედეგად ქართული ენის წარმოშობის შესახებ. აქ კი მისი ცდურება, აშკარაა, „განძობა ქვაბის“ ტექსტის გაუგებრობაა. „დაბადებამი“ ნათქვამია, რომ

ბაბილონის კოსმოს შენების ჩაშლის მიზნით ლმერთმა ერთ ენაზე მოღმარეს მკჷმის მოდგმას (კაცობრიობაჲ მსტურსქსქსქსქს) ხოლო „განძობა ქვაბში“ ნათქვამია: უფლის ნებით აჲ, „ბაბილონის“ შეორივნეს ენანი... და მიერიოვან იქმნა ქუეყანა სამოცდაათ ენად, ცხადია, „დაბადებამი“ ნათქვამი: უფალმა ბაბილონს „აურიცა ენანი“, ხოლო „განძობა ქვაბით“ – „შეორივნეს ენანი“ აზრობრივად ერთია, და ამიერიდან 70 ენა გაჩნდაო, იმას კი არ ნიშნავს, თითქოს, ეს 70 ენა ენების „შეჯვარებით“ გაჩნდა, არამედ, როგორც „დაბადების“, ისე „განძობა ქვაბის“ კონტექსტებში ენების „არევა“ და „ენების შერევა“ ნიშნავს ერთი საერთო ფუძე ენის დაშლას სხვადასხვა ენებად და შემდეგ მათ „არევას“ (აღრევას, ერთმანეთის გაუგებრობას). როგორც ივ. ჯავახიშვილი სწორად აღნიშნავს, ლეონტიმ ჩანს, „ენების შერევა“ პირდაპირი, „ძირითად მნიშვნელობით“ გაიგო (თხ.ხ., VIII, 183). ანუ „ენების შეჯვარებად“ და ამ წანამძღერის მცდარი გაგების საფუძველზე შეთხზა მისთვის სასურველი გლოტოლოგიური თეორია: ქართლში მოსულ მრავალ უცხოტომელთა ენებიდან შეჯვარებით (ლეონტის სიტყვით „შერევით“) ერთი, ქართული ენის წარმოშობის შესახებ, რაც როგორც ტექსტის ახსნის მხრივ, ისე ზოგადი მეცნიერული თვალსაზრისით მთლიანად მცდარია. „განძობა ქვაბში“ ენათა „შერევის“ მცდარად გაგება მან მექანიკურად (ხელღვნურად) გადმოიტანა ქართული ენის წარმოქმნაზე, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა თავისი შეცდომები.

ლეონტის კონცეფციით, ამიერიდან ქართველებმა დაივიწყეს თავიანთი მშობლიური სომხური ენა და აღაპარაკდნენ მრავალრიცხოვანი უცხო ენების შერევისგან შექმნილ ქართულ ენაზე! ლეონტიმ თავის ამ შეთხზულ თეორიას საფუძვლად და, მისი აზრით, ურყვე მონმედ, „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველ მის მატინანეს – „პამბაკი ქართველთა მეფეთა და ნათესაეთა“-ს, აკი წინ დაურთო კიდევ ასურული „განძობა ქვაბი“ (რახედაც ამ მხრივ შეკვლევით უნარადღება დღემდე არ მოუქცევიათ), რაც ამ საბით ძველმა მარამისეულმა „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა, რომელიც, ჩემი აზრით, ექვი არაა, ლეონტის დედნიდან მომდინარეობს (იხ. ხელნაწერი – ხი, 5-30) და იგი „ქართლის ცხოვრების“ ორგანოლი ნაწილი სრულადაც არაა, „განძობა ქვაბი“ აქ ლეონტის მიერ მექანიკური ზედმეტი დანართია თავისი ყალბი ეთნოგენეალოგიური და გლოტოლოგიური კონცეფციის გასამართლებლად.

ამგვარად, ჩვენ ზემოთ სრულად გადმოვიცით ლეონტი მროველის კონცეფცია. რა არის ეს? რა არის ლეონტის ეს ყოველი-



ვე ზემოაღნიშნული პოზიცია და კონცეპტუალური შეხედულებანი ქართველი ხალხის ეთნიკურ წარმომავლობასა და ქართული ენის წარმომავალზე, თუ არა არმენოფილური? თანაც თავანკარა არმენოფილური პოზიცია და კონცეფცია!

რახან ლეონტიმ ეთნოგენეალოგიაში და ენის საკითხში ერთხელ და შეჯვარება (კონტამინაცია) დაისახა მიზნად, რატომ „უფროს-უმცროს“ ძმებში ქართლოსი არ გამოცხადდა შაოსის უფროსად, ანდა კიდევ, „ენათა შერევის“ (შეჯვარების) თეორია რატომ არ მიუყვება მან შაოსიანთა სომხურ ენას? ლეონტის შენათხზით მისი თავანკარა არმენოფილობა ამკარად ჩანს, რადგან არც ერთ ზემოაღნიშნულ მის წინამძღვარ წყაროებში არც შაოსის უფროსი ძმობა კავკასიაში, არც შაოსის სომხური, როგორც მათი თავდაპირველი მშობლიური ენა, და არც „ენების შერევის“ შედეგად ახალი ენის წარმომავალი არაა მოცემული. აღნიშნულ წყაროებში მოცემულია გარკვეულ დრომდე კაცობრიობის ერთი საერთო ფუძე ენის არსებობა, ხოლო შემდეგ (ბიბლიური ბაბილონის გოდოლის შენებიდან) ამ ერთი ფუძე ენის დაშლა ხალხთა შრავალ ენად, როგორც ბიბლია, ისე ძველ ავტორთა ბიბლიური „ხალხთა გენეალოგიური“ სქემები აქ ვაკლებით მაღლა დგას ლეონტი მროველის შეთხზულ „ენების შერევის“ თეორიასთან, რის შედეგად, თითქოს, ქართული ენა ურიცხვი უცხო ტომების „ენების შერევის“ (შეჯვარების) შედეგად წარმომობილიყოს.

ლეონტი მროველის (ავტორის და რედაქტორის) სახელით ცნობილ „ქართლის ცხოვრების“ პირველ მატჩანეს („სამშავეი მეფეთა და ნათესაეთა“) ქართველთა ეთნოგენეალოგიის და ქართული ენის თხრობისას, როგორც ამკარად, ისე ქვეტექსტებში მთელ სიგრძეზე მკვეთრად, ნითელი ზოლივით გასდევს არმენოფილური პოზიცია, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ლირსების დაამაშვირებელი. წარმოუდგენელია ქართული ეროვნული შვებების რომელიმე წარმომადგენელს სუა საუკუნეებში შეექმნას ასეთი ანტიქართული ეთნოგენეტიკურ-ლინგვისტიკური ისტორიული შენაახზი.

ის წყაროები, გნებავთ სომხურიც, რომლებითაც ლეონტი მროველი სარგებლობდა, არ აძლევდა მას საფუძველს კავკასიელთა „უფროს ძმად“ შაოსის გამოცხადებისა, ასევე, კავკასიელი ხალხის და ქართველთა თავდაპირველ მშობლიურ ენად სომხურისა და ამდენად (ლოგოკურად) კავკასიის მთელი მიწაწყლის სომხურად გამოცხადებისათვის.

ლეონტის არმენოფილური პოზიცია მხოლოდ ბიბლიურ ეპოქაში ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში შაოსიანთა

პრიორიტეტობით, ქართველთა თავდაპირველ მშობლიურ ენად სომხურის გამოცხადებითა და ქართული ენის წარმოქმნის ტომების ენების „შერევის“ შედეგად წარმომობით არ შემოფარგლულა. შემდგომშიც, როდესაც რეალურ-ისტორიული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ისტორია იწყება, — ძე. ნ. V ს-დან (მეფე ფარნაეზიდან), განსაკუთრებით ქართლის მოთხე მეფის, ფარნაეზიმიდან დაწყებული, ვიდრე პირველ ქრისტიან მირიან მეფემდე (V ს.), — „ქართლის ცხოვრების“ პირველ მატჩანეს, „სამშავეის მეფეთა“ (რომლის ავტორი-რედაქტორი ლეონტია), კვლავ მკვეთრი ზოლივით გასდევს არმენოფილური ტენდენცია, სომხეთის უპირატესობა ქართლის სახელმწიფოსთან. საამისოდ რიგი პოლიტიკური მოვლენების ჩამოთვლა აქ შორს ნაკვივანად. ვინც „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატჩანის აღნიშნულ ნაწილს ნაიკითხავს, ადვილად დაარწმუნდება მასში, ლეონტის არმენოფილურ პოზიციაში (ლეონტის ქართლის ისტორია V ს-მდე, ვახტანგ გორგასლამდე მოჰყავს).

კიდევ მეტი, ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის თხრობისას, ლეონტი არ აღნიშნავს მის საეტაპო მოვლენებსაც კი, როგორც იყო: 1. რომაელთა (კომპუტისის) შემოსევა ქართლში ძე. ნ. 65 წელს და ქართველი ხალხის პირველი სამამულო ომი ისეთ დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორაც მაშინ იყო რომი. 2. ქართლის (იბერიის) ძლიერების ხანა ახ. წ. I საუკუნეში, როდესაც ქართლის სამეფოს საგვარეულოს წარმომადგენლები — მითრიდატე და რადამისტი სომხეთის მეფეები იყვნენ. 3. რაც მთავარია, ძველი ქართლის ყველაზე უფრო ძლიერების ხანა II ს-ში, ფარსმან II დროს, რომის იმპერიის ფართილი დაშოკდებულება ქართლთან და მასთან ეკუმონის მიზნით რომის იმპერატორის (პიუსი) მიერ ქართლის მეფის ფარსმან II-ის მიწვევა რომში და სხვ. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლეონტი არა თუ ობიექტურობას იჩენს, არამედ ცდილობს დაამციროს ქართლის პოლიტიკური ისტორია სომხეთის სახელმწიფოს ხელეწიურ განდიდების ფონზე, მაშინაც კი, როცა რეალურ-პოლიტიკური ვითარება ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში პირიქითაა (ამ მხრივ ლეონტის დიდი წინამორბედი ჰყავს: მოვსეს ხორენაცის („სომხეთის ისტორია“) ტენდენციური თვალსაზრისით, „ქართველთა ქვეყანა“ თითქმის მუდამ სომხეთის დაქვემდებარებული ქვეყანაა).

3. ლეონტის კონცეფციის შეფასება ძირითად ისტორიოგრაფიაში

გასაკვირია, რომ ლეონტისეულ ანტიქართულ არმენოფილურ კონცეფციას



სათანადო რეაქცია და უარყოფა არ გამო-
წვევია შუა საუკუნეების ქართულ საი-
სტორიო მწერლობაში. მართალია, XII ს.
მოლენე არსენ ბერი (იყალთოელი),
რომელიც კარგად იცნობდა ქართლის ცხო-
ვრების პირველ ლეონტისეულ მატთანეს
(ეს ნათლად ჩანს არსენის „წმ. ნინოს ცხოვრ-
ებიდან“), ქართველთა წარმომავლობას
თარგამოსიდან და არარატ-მასისის ქვეყნი-
დან არ მიიჩნევს და არც ქართლოსისა და
ჰაოსის ძმობას აღნიშნავს. არსენი იზიარე-
ბს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა-კონცე-
ფციას ქართველი მეფეებისა და ქართველი
ხალხის „არიან ქართლის“ ქვეყნიდან მოსე-
ლა-წარმომავლობას და ქართველი ხალხის
ენად „არიან ქართლის“ ქართველთა ენას
მიიჩნევს.²⁴ ამასთან, მართალია, არსენი „ქ-
ართლის ცხოვრების“ პირველ მატთანეს აკ-
რიტიკებს, მაგრამ ეს კრიტიკა ეხება მასში
მოცემულ ლეონტისეულ „წმ. ნინოს ცხოვრ-
ების“ არქიტექტონიკას, როგორც არსენი
აღნიშნავს, „შეუწყობლად“, „აღრუდულად“
შეფუძნილსა და ძნელად გასაგებად დაწე-
რილს.²⁵ ლეონტის ნებისმიერად შეთხზულ
ქართველთა და კავკასიის ხალხთა
ბიბლიურ ეთნოგენეალოგიას, მის მიერ ქ-
რთველთა თავდაპირველ მშობლიურ ენად
სომხურის გამოცხადებას და უცხოტომე-
ლთა „ენების შერევით“ ქართული ენის წარ-
მოშობის „თეორიას“ კი არსენი საერთოდ
არც ახსენებს. არადა, აქ ხომ მას შეეძლო
ლეონტის კონცეფციის კრიტიკა და უარყო-
ფა მოეცა.

მას შემდეგ კი, რაც ქართლის ცხოვრუ-
ბის“ კრებული შედგა (XI ს. II ნახევარი) და
შეგ პირველ რიგში შევიდა ლეონტისად
მიჩნეული პირველი მატთანე („ჰამბავეი
მეფეთა“), სადაც არმენოფილური
ეთნოგენეტიკურია კონცეფციაა
მოცემული, როცა ამით ქართველი
ინტელექტუალური საზოგადოება ფაქტის
წინაშე დადგა, შემდგომი თაობების მიერ
გააფერისიას „ქართლის ცხოვრებაში“ რაი-
მეს აზრობრივი შეცვლა ან მით უმეტეს
რამიმს ამოღება, როგორც წესი,
მიუღებელი იყო, რამდენადაც ჩვენ „ქ-
ართლის ცხოვრების“ ხელნაწერებს ვიცნო-
ბთ. სხვა ამბავია, როცა იშვიათად დაქა-
რავთბულ სიტყვას ან წინადადებას გადა-
მწერნი ვერ გებულობდნენ და
ცდილობდნენ ისე დაეწერათ, როგორც მათ
ესმოდათ, რითაც ხშირად შეცდომას უშ-
ვებდნენ. ამასთან, როგორც ირკვევა, „ქ-
ართლის ცხოვრებაში“ ზოგჯერ აკეთებდნენ
ჩანართებს (დამატებებს). ასე რომ,
მომხდარი ფაქტის შემდეგ ქართლის ცხო-
ვრებიდან“ ლეონტის კონცეფციის შეცვ-
ლა ან ამოღება დაუშვებელი იყო.
სამაგაეროდ შუა საუკუნეების ქართველ

ისტორიკოსებს სხვა, იშვიათ
დამოუხიდავებელ ნაშრომებშიც მოხუცდნენ
რთლის ცხოვრებაშიც. ეთნოგენეტიკის
სახით შეცვლილ ლეონტის არმენოფილური
კონცეფციის უარყოფა ან კრიტიკული შე-
ფასება მინც, მაგრამ ეს მათ არ გაუკეთე-
ბიათ. ვასაკვირი ისაა, ლეონტის
არმენოფილური კონცეფცია ვერ გადალა-
ხა და უარპყო შუა საუკუნეების საქართვე-
ლოს ისეთმა დიდმა ისტორიკოსმა და
გეოგრაფმაც კი, როგორც ვახუშტი ბაგ-
რატიონი იყო.²⁶ ასეა თუ ისე, შუა საუკუნე-
ების ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ
უკუაღმო (თუ არ ცდილა) „ქართლის ცხო-
ვრებაში“ მოცემული ლეონტის
არმენოფილური ეთნოგენეტიკური კონცე-
ფცია და პოლიტიკური პოზიცია, ვერ გაშ-
ოჩინა ამ საკითხში ეთნიკური თვითშეგნე-
ბა, ვერც შეცნირულ-ობიექტური და ვერც
პოლიტიკურ-ეროვნული სიფიზილე. გამა-
რთლება არა აქვს იმას, რომ XI ს-ის შემდეგ
სომხეთი დაცემული იყო, სახელდამიფოებ-
რიობა დაკარგული ჰქონდა და, ამიტომ,
თითქოს, არას დაეჭვებდნენ, რა ენურებოდა
ამ მხრივ „ქართლის ცხოვრებაში“.

შუა საუკუნეების მხოლოდ მწარურულს,
გვიანფუოდალურ ხანაში ისტორიკოსმა
თეიმურაზ ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა)
მორიგებით სცადა უარყოფა, ამასთან,
აუხსნა-ცაემართლებინა ლეონტის კონცე-
ფცია. 1848 წელს დაბეჭდილ ნაშრომში თეი-
მურაზი აღნიშნავს, რომ იოსებ ფლავიუსის
ნაშრომის მიხედვით, ქართველი („ივერნი“)
ბიბლიური იაფელის შვილის, – თაობელის
(თუბალის) შთამომავალი არიან, ხოლო
სომხები – სემის შთამომავალნი. ამით თეიმ-
ურაზმა უარპყო ლეონტის კონცეფცია ქ-
რთველთა და სომეხთა ერთი პატრიარქი-
დან, თარგამოსიდან წარმომავლობაზე, მათ
ძმობაზე, მით უმეტეს, ჰაოსის უფროს ძმო-
ბაზე და, აქედან გამომდინარე, ქართველთა
თავდაპირველ მშობლიურ ენად სომხურის
გამოცხადებას. მაგრამ აქვე იგი შეეცადა
ლეონტის კონცეფციის ახსნა და გამართლ-
ება მოეცა, თუმცა ლეონტის არც ახსენებს,
მაგრამ, ცხადია, მას გულისხმობს. თეიმუ-
რაზი წერს: მართალია, ქართველებსა და
სომხებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლ-
ობა აქვთ, მაგრამ „ეინაიდგან ქართველი-
ანი და სომეხნი იყვნენ მუხობელ ურთიე-
რთისა და მარად გარემოცულნი უმეტეს
სომეხნი მტერთა მიერ შეიწირულნი... ამის-
თვის გულისემსიტყველობთ: ითხოვედა
მდგომარეობაჲ ორთა ამათ მეზობლთა
ნათესაობათა პოლტიკებრივი თქმად მათ
შორის, რომელ არიან ივინი ერთისაგან
შთამომავლობისა, რათა მათ შორის იყოს
ერთობა დაუხსნელადმებრ საპოლტიკე-
ოთა სასარგებლოთა კავშირისა“.²⁷

როგორც ვხედავთ, ლეონტის კონცეფციის ახსნის ცდა თვითურაზის მიერ ნათლად არის მოცემული: ქართველები და სომხები სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი ვართ, მაგრამ რადგან მეზობლები ვიყავით და მტრებით შევიწროვებულნი, უმეტესად სომხები, ამიტომ ამ მდგომარეობის გამო პოლიტიკური თვალსაზრისით გატარდა მებედულემა ქართველებისა და სომხების ერთი ეთნიკური ძირისგან მთავომავლობასა და ნათესაობაზე, ძმობაზე, რათა მათ შორის ყოფილიყო მუდმივი ერთობა პოლიტიკური კავშირის სახარგებლოდ. ლეონტის ეთნოგენეტიკური კონცეფციის თვითმუხარზისეული ახსნის ეს ფორმულა შემდგომში ბევრმა ქართველმა ისტორიკოსმა გაიმეორა, თუმცა მისი ავტორის დაუმონუმბლად (ეთიკური ნორმების დარღვევა დამახასიათებელი გახდა ქართულ ისტორიოგრაფიაში).

შემდგომში, XIX-XX სს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში ლეონტის კრიტიკა-უარყოფას ან მის ახსნა-გამართლებას ხშირად ჰქონდა ადგილი. 1966 წელს კი სპეციალური დისკუსიაც მოეწყო ისტორიის ინსტიტუტში ლეონტის აღნიშნული კონცეფციის შესახებ.²¹ უპირველეს ყოვლისა, დღემდე მრავალი თვალსაზრისი გამოითქვა ლეონტის კონცეფციის ახსნისა და მისი გამართლებისათვის:

1. ბიბლიური სქემის, ეფრემ ასურის, „განთა ქვების“ გავლენა, ასევე, პოლიტიკური-იდეოლოგიური მოტივი საქართველოსა და სომხეთის „პოლიტიკური კავშირის“, კავკასიის ხალხთა „პოლიტიკური მგვირობისა და ერთობის განმტკიცება“ (თ. ბატონიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ზ. აღექსიძე).

2. ლეონტი „სომხებში“ თანამედროვე არმენებს კი არ გულისხმობდა, არამედ ერთერთ ქართველ ტომს (ნ. მარი, აკ. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი).

3. ლეონტი მხოველს მხედველობაში ჰქონდა ძვ. წ. III სს-ები, როცა სომხეთი ქართლზე უფრო ძლიერი სახელმწიფო იყო (ს. კაკაბაძე და სხვ.).

4. ლეონტის კონცეფცია კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობისა და ძმობის შესახებ ისტორიული ეპოქის მოთხოვნა და იდეოლოგიური დანახატებაა, როცა საგარეო მტრების წინააღმდეგ დღის წესრიგით იდგა კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობა საქართველოს მეთაურობით. ამიტომ ლეონტის კონცეფციის არსი ისაა, რომ ძველ ხანაში კავკასიის ხალხთა უფროსი ძმა პაოსი (სომხეთი) ჰეგემონობდა, ხოლო შემდეგ იგი პოლიტიკურად დასუსტდა და XI ს-დან ჰეგემონობა უკვე მემკვიდრეობით გადავი-

და უმცროსი ძმის ქართლის, ქართლის სამეფოს ხელში, რომელსაც მემკვიდრეობა კავკასიის პოლიტიკურმა ტრადიციამ დატოვა (პრ. რატანი, დ. მუსხელიშვილი, ზ. აღექსიძე).

5. ლეონტის კონცეფცია უნდა აიხსნას შუა საუკუნეებში არსებული უძრავი ქონების მემკვიდრეობის წესით, ან კიდევ ე.წ. „პიორატის“ სისტემით, რითაც უფროსი ვაჟი პაოსი, მამის, თარგამოსის რეზიდენციას ლეზულობს არარატ-მამისის შთის რევიონში და დანარჩენ ძმებზე უფროსია. ამის საფუძველზეა მიღებული კონცეფცია პაოსის უფროსობისა კავკასიაში და მისი სომხური ენის პირველადობისა, რადგან უმცროს ძმებს უფროსი ძმის ენა უნდა ჰქონოდა (კ. გრიგოლია, ზ. ანჩაბაძე, ე. ხოტმარიან-ბროსე).

ნაწილი მკვლევარებისა კი თვლის, რომ ლეონტი მოკლევლის კონცეფცია „ქართლის ცხოვრების“ პირველ მატარებელ მოცემული, არმენოფილურია (გ. მელიქიშვილი, ა. აბდალაძე, გ. ყორანაშვილი და სხვ.). ამასთან, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არმენოფილურ კონცეფციასთან ერთად, ლეონტი გაორებული პიროვნებაა სომხურ-ქართული ეთნიკური თვითმეგნებით.

● ცდებიან მკვლევრები, რომელნიც ცდილობენ ლეონტის კავკასიის ხალხთა ეთნოგენეალოგიური და ლინგვისტური კონცეფცია გაამართლონ სხვადასხვა ახსნითა და მოსაზრებებით, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური სქემით და მისი სხვადასხვა რედაქციებითა და კომენტარებით. როგორც ზემოთ ვთქვამ, ბიბლიაში საამისოდ ლეონტის არავითარი ნაწამძღვარი არ ვააჩნია, ხოლო „ლიბერ გენერაციონის“ ში ბიბლიის თოგარმასთან ნებისმიერად დაკავშირებულ „არმენიელების“ საფუძველზე, შემდეგ კი, დამატებით, ასურულ „განძთა ქვების“ მიხედვით „სომხური ენის“ უპირატესობის გამოვლენებით, ლეონტიმ სრულიად თვითნებურად შეთხზა მისთვის მისაღები ეთნოგენეალოგიური სქემა და „ენის საკითხი“, რითაც მთელ კავკასიულ ხალხთა უფროს ძმად პაოსი (სომხები), ხოლო მათ თავდაპირველ მშობლიურ ენად – სომხური გამოაცხადა და თავანკარა არმენოფილური კონცეფცია გაატარა. ავთენტური ბიბლიური ეთნოგენეტიკური სქემითაც ქართველთა (იბერთა და მესხთა) ეთნოპატრიარქები, „თუბალი“ („თობალი“) და „მეშხი“ („მესხები“), როგორც ვაირკვა, „ასაკით უფროსია“ სომხების (პაოსიანთა) ეთნოპატრიარქებთან, როგორც ი. ფლავიუსის სქემის არაამის ძესთან, „ურსონის“, ისე იპოლიტე რომაელის „თოგარმასთან“. ამკა-



რია, სწორედ ამიტომ, სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ზორენაციის მსგავსად, არ ჩასვამს ლეონტიმ თავის კავკასიელ ხალხთა ბიბლიურ ეთნოგენეტიკურ სქემაში ბიბლიის „თუბალი“ და „მეშხი“ (მესხები), რომელნიც ანტიკური ხანის მწერლებს ქართველთა – იბერების და მესხების ეთნოპატრიარქებად და წინამკრებად მიაჩნდათ, რაც ლეონტის კონცეფციას – შაოსის (სომეხის) „უფროს ძმობას“ უარყოფდა.

ასევე არაა მართებული, თითქოს ლეონტისთან სომეხები არ არიან „არმენები“ (ე.ი. დღევანდელი სომეხები), სხვადასხვა ხალხია და, თითქოს, „სომეხები“ ერთ-ერთი ქართული ტომი იყო, ხოლო „სომხური ენა“ – ქართული. ლეონტისთან ასეთი რამ გამოირიცხებოდა, კარგად განარჩევს იგი სომხურ ენას ქართულისაგან. ამასთან ლეონტი „არმენებს“ საერთოდ არ ახსენებს.

ასევე არაა სწორი მკვლევართა თვალსაზრისი, თითქოს, ლეონტის კონცეფციის საფუძველი გულისხმობდეს ამიერკავკასიაში სომეხების პოლიტიკური ძლიერების ხანა – ძვ. წ. III საუკუნეებს, როცა სომხური ენის სახელმწიფოებრივი ფუნქცია გაფართოვდაო. ასეც რომ იყოს, ცხადია, ისიც ძირშივე მცდარი იქნებოდა: პოლიტიკურად გაბატონებული ან დამპყრობელი ქვეყნის ხალხის ენის დამოკიდებულ, გნებავთ, დაპყრობილი ქვეყნის ეთნიკურად სხვა ხალხის დედაენად გამოცხადება. ამდენი ლეონტიმ კი იცის, ძვ. წ. III საუკუნეებში, ქრისტეს წინ, ძვ. და ახ. წ.-ის მიჯნაზე, ქართველი ხალხის დედაენად სომხური რომ არ გამოცხადდეს (რასაც არაერთი დიჯერებდა). ლეონტიმ ძალიან კარგად იცის რას წერს და რას აყალიბებს, – მიზანმიმართულ არმენოფილურ ეთნოგენეტიკურ კონცეფციას, რომელიც ენება კავკასიის ხალხთა, მათ შორის, ქართველთა წარმომავლობის არქაულ ბიბლიურ ეპოქას (ამ მხრივ ლეონტი არქაულ ბიბლიურ ეპოქას საესეებით სწორად იღებს), რომლის არსია ლეონტის მიერ ბაბილონის გოდოლისა და კაცობრიობის საერთო ენის დაშლის დროიდან, ვიდრე ნახუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებამდე, ანუ ძვ.წ. VI საუკუნემდე, – ქართველთა თავდაპირველ დედაენად სომხურის გამოცხადება და ამდენად ქართველთა სომხური წარმომავლობა, – სომხობა. ამრიგად, ლეონტის კონცეფციაში ძვ. წ. III სს-ში პოლიტიკურად გაძლიერებული სომეხების სახელმწიფოებრივი სომხური ენის ქართველებში დედაენად გავრცელება კი არაა ახალბული, არამედ მასში მოცემულია უაღრესად მორიელ ბიბლიურ ეპოქაში ქართველი ხალხის წარმომობა და მისი ეთნიკური დედაენა. მკვლევართა მიერ აქ არაა გათვალისწინებული

ლეონტის ეთნოლინგვისტური კონცეფციის ქრონოლოგიური მიჯნები [ქრ. I სს-ს II სს-ს]

რაც შეეხება ძვ. წ. III სს-ს და III სს-ს ეთის ძლიერების ხანას, მკვლევართა საპირისპიროდ, პირიქით, ლეონტის კონცეფციით, ამ დროს ქართველებს („ქართლოსანებს“) უკვე ეარგა ხანია, – ოთხი საუკუნეა გასული, – ნახუქოდონოსორის დროიდან (ძვ.წ. VI ს.), დავიწყებული აქვთ დედაენა სომხური და ახალ ენაზე – ქართლში მოსულ უცხოტომელთა ენების შეჯვარების შედეგად წარმოშობილ ქართულ ენაზე მეტყველებდნენ; გარდა ამისა, სომეხთის აღნიშნულ ძლიერების ხანამდე, ასევე, ეარგა ხანია, – ორი საუკუნეა გასული, – ფარნავაზ მეფის დროიდან დაწყებული (ძვ. წ. IV-III სს.), რაც ქართლში უკვე გაბატონებულია მხოლოდ ქართული ენა („ქს ცხა-“, I გვ. 16, 21). ამიტომ ლეონტის კონცეფციაში, სომეხების ძლიერების ხანამდე, ძვ. წ. III საუკუნეებშიც, ცხადია, ქართლში ქართული ენაა გაბატონებული და იგი არის ქართველთა როგორც დედაენა, ისე სახელმწიფო ენა.

როგორც ეხედავთ, მკვლევართა აღნიშნული თვალსაზრისიც სწორი არაა და ისიც ვერაფრით ვერ ამართლებს ლეონტის ყალბ კონცეფციას – ქართველთა ეთნიკურად სომხური წარმომავლობისა და თავდაპირველად მათი სომხური დედაენის შესახებ

ასევე, სწორი არაა ლეონტის კონცეფციის ასახსნელად და გასამართლებლად ნაშოყენებული ძირითადი თვალსაზრისი: XI ს-ის ისტორიული ეპოქის მოთხოვნის შესაბამისად ლეონტის კონცეფციის საფუძველად პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნების დასაბუთება – კავკასიის ხალხთა საერთო ნათესაური წარმომავლობისა და კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანების დასაბუთების აუცილებლობა საგარეო მტრებთან საბრძოლველად საქართველოს შეჯვარებისათვის, რომ თითქოს ლეონტის კონცეფციის არსით, ძველად უფროსი მშა, სომეხთის სამეფო იყო ძლიერი და შეგვემონი კავკასიაში, ხოლო იგი ამჟამად დასუსტებულ-დაცემულია და კავკასიაში პოლიტიკური შეგვემონობა ვადავლდა მისი უმცროსი ძმის ქართლოსის, საქართველოს სამეფოს ხელში, რომელმაც უნდა გააერთიანოს მთელი კავკასიის ქვეყნები და ხალხები.

ჯერ ერთი, XI ს-ში პოლიტიკურად ასეთი გამართული საქართველო არაა, როცა ლეონტი მოღვაწეობს. საქართველო ძნელბედობის ხანაშია. ბაგრატ III-ის დროს გაერთიანებული საქართველო (ID ID წ.) X ს-ში მალე დაიშალა (1014 წ.), სწარმოებს სასტიკი შინაპოლიტიკური (შინაყალასობრივი) ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასთან (ბაგრატ IV – ლიპარიტ ბაღვაში...) და, რაც მთ-



აეარია, ვართულებული საგარეო ურთიერთობა ბიზანტიასთან, თურქ-სელჩუკებთან; ხდება თურქ-სელჩუკების მასობრივი შემოსევები საქართველოში (ღიღი თურქობა) და დაშლილ საქართველოს თვით სჭირდება ჯერ პოლიტიკური გაერთიანება და თუ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ლეონტიმ მაინც გაიაზრა პერსპექტივაში საქართველოს სიძლიერე და მისი პეგემონობით კავკასიის გაერთიანების-აუცილებლობა, მაშინ, თუ ლეონტის განხილული კონცეფცია არმეწიფილური არაა და ეპოქის ნაკარნახევი სამოქმედო იდეაა, რატომ ერთხელაც არ აღნიშნავს იგი, რომ, მართალია, ძველ ხანაში სომხეთი იყო ძლიერი, მაგრამ შაოსის სომხეთის პოლიტიკური დასუსტებისა და XI ს-ში სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, უპირატესობა ამიერიდან მისი უმცროსი ძმის (ლეონტის მოგონილის) ქართლოსის, საქართველოს ხელში გადავიდა და პირველი ადგილი ამ მხრივ კავკასიაში უკვე ქართლოსმა დაიკავა. ერთი სიტყვაც არ დაეცენია ლეონტის საამისოდ. არც ენება ლეონტი საერთოდ თავისი ეპოქის, XI ს-ის საქართველოს ისტორიას და არც არაფერს ამბობს კავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებაზე. ამდენად ლეონტის ხელოვნურად აწერენ იმას, რაზედაც იგი არაფერს ამბობს. ლეონტი ძველი ქართლის ისტორიას V ს-ით, ვახტანგ გორგასლამდე ამთავრებს. მაგრამ თუ მის კონცეფციამ შაოს-ქართლოსის პოლიტიკური პეგემონობის მონაცვლეობის იდეა იყო ჩადებული, ხომ შეეძლო მას ორიოდვე სიტყვით ეთქვა ის, რაც ისტორიული რეალობა იყო: ქრისტეს დროიდან (I ს.) მოყოლებული შაოსის სომხეთი თანდათან დასუსტდა და კავკასიაში მისი პირველი ადგილი ქართლოსის საქართველომ დაიჭირა და კავკასიის მომე-მონათესავე ხალხები მისი მეთაურობით უნდა გაერთიანდნენ უცხოელი მტრების ნინა-ალმდეგ საბრძოლველად. ერთი სიტყვაც არა. ცხადია, ლეონტი თავის არმეწიფილურ კონცეფციას არ ღალატობს და მას თანმიმდევრულად ბოლომდე იცავს.

რაც მთავარია, ლეონტი ისტორიულადაც სცოდავს. რაბან კავკასიელები მას მძებდად შიანდა, ამიტომ უფრო გამართლებული იქნებოდა უფროსი ძმობა მას ქართლოსისთვის მიეცა. რატომ? იმიტომ, რომ ისტორიულად ცივილიზაციასთან გაცილებით ადრე ქართულ-კოლხური ტომები მივიდნენ, ვიდრე სომხები (არმენები, პაიკები). ქართულ-კოლხურმა ტომებმა უკვე ძველი ნ-ის II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში შექმნეს სახელმწიფოებრიობა, ასურულ-ურარტული წყაროებით ცნობილი დიაოხი და კოლხა, რომლის შემკვიდრნი იბერია (ქართლი) და

კოლხეთი იყვნენ. ეთქვათ, უკვე უმცროსი ტერიტორიაზე სომხელებმა უკვე ადრე არსებული ურარტუს სახელმწიფოც არ იცოდა ლეონტი მრთველმა და ვერც მოუთხოვთ მის ცოდნას, მაგრამ, ეფიქრობთ, ამჟამად, მან იცოდა, ანტიკურ წყაროებში ქართველ ტომებს – იბერებს და კოლხებს გენეალოგიურად რომ უკავშირდებდნენ ბიბლიის (დაბადების) თუბალსა და მეშებს და სხვა ბიბლიურ პატრიარქებს. ასევე, თუმცა ცნობილი არაა, მაგრამ, შესაძლოა, ლეონტიმ იცოდა, ლეგენდა არგონავტებზე და არგონავტების დროინდელი ძველი კოლხეთის სამეფოს არსებობაც (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო). სომხებმა (შაოსიანებმა) გაცილებით გვიან შექმნეს ცივილიზაცია და სახელმწიფო (VI-V სს.), ვიდრე ქართველმა ტომებმა – იბერებმა და კოლხებმა (XIII-XI სს.). აი, რატომ უნდა გამოეყვანა ლეონტის, თუ ეს აუცილებელი იყო, უფროს ძმად ქართლოსი კავკასიის ხალხთა ეთნოგენეალოგიურ სქემში.

იდეად ცდილობს რა ქართველ მეცნიერ ისტორიკოსთა ნაწილი, როგორმე მაინც გამამართლებელი ახსნა მოუძებნოს ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის და კულტურის დამამცირებელ ლეონტი მრთველის ეთნოგენეტიკურ-ლინგვისტურ კონცეფციას, ამ მიზნით სურთ იგი გამართონ შუა საუკუნეებში არსებული უძრავი ქონების, – მიწის და ხელისუფლების მემკვიდრეობის ნუსით, – მამიდან უფროს შვილზე გადაცემით, ან კიდევ ე.წ. „მაიორატის“ სისტემით.

სახელდობრ, რაბან ლეონტის დროს, არარატის მთის მიდამოებში სომხები ცხოვრობდნენ, მაინათ, რომ ლეონტის აზრით, მათი ეთნარქი შაოსი ყოფილა თარგამოსის უფროსი შვილი და შუა საუკუნეების მემკვიდრეობის ნუსით მას მოუღია მამის სამყოფელი ადგილი (მინა-წყალი). დანარჩენები – ქართლოსი, შეროსი და სხვა კავკასიელები, რაბან არარატის მიდამოებში არ ცხოვრობდნენ, გამოდის, რომ ისინი შაოსის უმცროსი ძმები ყოფილან და სხვაგან დამკვიდრებულან; ხოლო რაბან უფროსი ძმის შაოსის ვნა სომხური იყო, მისი ძმების (კავკასიელთა ეთნარქების), კრძომდ, ქართლოსის და ქართველთა ენაც სომხური იყო.

შუა საუკუნეებში არსებული უძრავი ქონების მემკვიდრეობის ნუსის ლეონტის სქემის არგუმენტად გამოყენება ხელოვნური და უსაფუძვლოა. ასეც რომ არ იყოს, შუა საუკუნეების აღნიშნული უძრავი ქონების მემკვიდრეობის ნუსის ხალხთა და მათი ენის წარმომადგენლობის საფუძვლად დადება ვერაფრითარ კრიტიკას ვერ უძლებს. შუა საუკუნეების უძრავი ქონების უფლებების მემკვიდრეობითი ნუსი, ეს იყო



ყოველი იურიდიული ნორმა, საგვარეულო ოჯახთა გაყოფისას მათი ადგილ-მამულის სახლის შვილებზე, მათ შორის უფროს შვილზე განაწილების წესი, რაც შუა საუკუნეების ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სახელმწიფოებრივ სამართალშიც აისახა. საგვარეულო სახლთა უძრავი ქონების მემკვიდრეობისა და განაწილების ამ ყოფით იურიდიულ ნორმებს შუა საუკუნეების არც ერთი ქვეყნის, მათ შორის სომხეთის, ისტორიოგრაფია სრულიადაც არ უდებდა საფუძვლად სულ სხვა რიგის ისეთ დიდ ნაციონალურ-კულტურულ პრობლემებს და სქემებს, როგორიც იყო ხალხთა, ეთნოსთა წარმომავლობა, მათი ენ. „უფროს“ - „უცროსობა“, ასევე ხალხთა ეროვნული ენების წარმოშობა-ნათესაობა. თუ მართლაც ლეონტიმ ასეთი უსუსური არგუმენტაცია შეგნებულად დაუდო საფუძვლად თავის კონცეფციას, მით უფრო თვითნებურ-ხელოვნური ჩანს იგი და მით უფრო უარსაყოფია.

რაც შეეხება ენ. „პიორატის“ სისტემას (იშვ. ეროპაში XI-XII სს-ში), - ადგილ-მამულის დაქუცმაცების სანიხააღმდეგოდ მთელი სამფლობლო მიწის მშობოდ უფროს შვილზე გადაცემის მემკვიდრეობის წესს - იგი აქ სრულიად გამოსარიცხია, რადგან, ლეონტის მიხედვით, გაყოფისას თარგამოსის კველა ვაჟმა თავი-თავისი წილი სამფლობლო მიწოდ კავკასიაში, რომელიც მისი აზრით, თარგამოსის „წილით ხდომილი“ ქვეყანა იყო.

ასე რომ, შუა საუკუნეებში არსებული უძრავი ქონების მემკვიდრეობის წესი, სრულებითაც ვერ ხსნის და ვერ ამართლებს ლეონტის არმენოფილურ ეთნოგენეტიკურ-გლოტოლოგიურ სქემასა და კონცეფციას. ასეთი თვითნებური გზებით ლეონტის თავისუფლად შექმნილ ყოველგვარი ეთნოგენეტიკური, მათ შორის ქართველოფილური ეთნოგენეტიკური სქემაც შეექმნა, მაგრამ მან არმენოფილური ეთნოგენეტიკური სქემის და კონცეფციის შეთხზვა ამჯობინა.

დამოლოს, იმასაც აღნიშნავენ: ლეონტის ეს კონცეფცია საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაკვეთა უნდა ყოფილიყო, ვითომცდა სომეხთა გულის მოსაზადირებლად, სომხეთის საქართველოსთან გაერთიანების საკომპენსაციოდ. გულშეგრძელო თვალსაზრისით, შეუძლებელია სამეფო კარს ასეთი ანტიქართული დაკვეთა მიეცა; მეორე კი, მთავარი ისაა, რა არის თვით ობიექტი თავისთავად; ეს ობიექტი კი, - ლეონტის კონცეფცია, - ქართველთა დამამიკრიბებელი ჩამოსხმული არმენოფილური კონცეფციაა. ჩვენ, პირიქით, სხვა კითხვა გვებადება: ხომ არ არის ლეონტის არმენოფილური კონცე-

ფცია სომხეთის საპატრიარქოს დაკვეთა. ეროვნებით სომეხი ქარი **ფრეცეფეძეს** მარამის დროს (XI ს.) **ქველქიუთეძეს** იდეოლოგიური აგენტურის გაქცეა ქართულ ეკლესიაში საეკლესიო მოსალოდნელია, ასევე, სამეფო კარზეც, შესაძლოა, იგი ფრთებს შლიდა.

● თუ ჩვენ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ლეონტი მროველის კავკასიის ხალხთა ეთნოგენეტიკურ-გლოტოლოგიური კონცეფციის მთავარი არსი ასეთია: ბიბლიურ და ისტორიულ წარსულში თარგამოსის შვილებს, ანუ კავკასიის ხალხთა ეთნარქების უფროსი ძმა პაოსი (სომეხი) იყო, ამიტომ თარგამოსიანთა ანუ კავკასიელთა, მათ შორის, ქართველთა თავდაპირველი მშობლიური ენაც სომხური იყო და, ლოკურად აქედან გამომდინარე, თვით ბიბლიის თარგამოსაც სომეხი იყო, რადგან მისი შვილების მშობლიური ენა სომხური იყო, ხოლო მთელი კავკასიის მიწაწაყლიც - სომხური. აქი არც მალავს და პირდაპირ ნერს კიდევ ამას ლეონტი - მთელი კავკასია თარგამოსის „წილით ხდომილი“ ქვეყანაა (ქ.ქ., I, 4), ხოლო პაოსი დაემკვიდრა მამის (თარგამოსის) სამყოფელსა (თარგამოსის მისი მიდამოები) და უპყრა მთელი კავკასია ეპაოსის ზღვიდან შვე ზღვამდე: „პაოს დაემკვიდრა საყოფელთა მამისა თვისთა თარგამოსისთა, და დაიპყრა ქუეყანა ჩრდილოთ (ჩრდილოეთით მისი 7 ძმის სამყოფლოებოები - დ.გ.), ვითა დამიწერია: სამართა მითი ორეთისითვან, აღმოსავლით, ვიდრე ზღვამდე გურგანისა (კასპიის ზღვამდე - დ.გ.), და დასავლით ვიდრე ზღვამდე პონტოსა (მაე ზღვამდე - დ.გ.) და ამით შუადთავე გმირთა ზედა იყო გამკებელ და უფალ პაოს. და ესე ყოველი იგვენს მორილ პაოსისა“ (ქ.ქ. ც-ა, I, 6). შემთხვევითი არაა, რომ მაშინ როცა ლეონტი აქ პაოსის შვიდივე ძმის საზღვრებს უჩვენებს, პაოსის ანუ საკუთრივ სომხეთის საზღვრებს არც ასახვლავს, რითაც ხაზს უვსავს მთელ კავკასიაში მის ტერიტორიულ უფლებას. უფროსი ძმა პაოსი (სომეხი) იყო უპირველესი გმირი და ხელმძღვანელი მთელი კავკასიის ხალხებისა, მათ შორის, ქართველებისა. დროთა ვითარებაში სომხური წარმომშობის ხალხებს (თარგამოსიანებს) კავკასიაში, კერძოდ, ქართველებს, მრავალი უცხო ტომების „ენების შერევის“ შედეგად გაუწდათ ახალი ენა - ქართული, რის გამოც თავდაპირველი მშობლიური სომხური ენა მათ დაივიწყეს. მაგრამ ქართველებს და სხვა კავკასიელებს ნუ დაგავინწყდებათ ფიზიკურ-ეთნიკურად თქვენი სომხური წარმომავლობა ამ სომხურ მიწაწაყალზე. ნუ დაგავინწყდებათ, რომ

პოლიტიკური პეგემონი კავკასიაში, თქვენი ნინაპრების უფროსი ძმის ჰაოსის შთამომავანი, — სომხები და სომხეთი უნდა იყოს, რადგან უფროსი ძმა (ძმებში) მუდამ უფროს ძმად რჩება და ითვლება. როგორც ვხედავთ, თავისი კონცეფციით, მართალია, ლეონტის სურს კავკასიის ხალხთა ძმობა და ერთიანობა (თანამედროვე პოლიტიკური ტერმინით „კავკასიური სახლი“), მაგრამ იგი მას უნდა უფროსი ძმის ჰაოსის, სომხეთის პოლიტიკური პეგემონობით.

აი, ეს არის ლეონტი მროველის კონცეფციის მთავარი არსი და მისი ქვეტექსტების თავანკარა არმენოფილური პოზიციის პოლიტიკური არქივი. შეუძლებელია ლეონტის ამ შეთხზულ ეთნოგენეტიკურ კონცეფციაში რაიმე რაციონალური ქართული მარცვლი დანიშნო, გნებავთ თავისი ეპოქის (XI ს.) და გნებავთ დღევანდელი ასეთი შორეული პოლიტიკური გადასახედიდან. პირიქით, ლეონტი თვორიულად ასაბუთებს სომხეთის (ჰაოსიანების) პოლიტიკური პეგემონობის პრეტენზიას კავკასიაში, ჰაოსის, როგორც, მის მიერ მოგონილ, კავკასიელთა „უფროსი ძმის“ საფუძველზე. ლეონტი მროველმა თავისი არმენოფილური ეთნოგენეტიკური და პოლიტიკური კონცეფციისათვის კავკასიის ხალხთა ისტორია მხოლოდ სამეფო მასალებად გამოიყენა. ამასთან, ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფცია საერთოდ, ეს არის XI საუკუნეში პოლიტიკურად სახელმწიფოდაკარგული სომხეთის იდეოლოგიური წარმომადგენლის ცრუმეცნიერული ამბიციური პოლიტიკური რომანტიზმი.

4. ლეონტი მროველის პირობა

რუსის ეპისკოპოსი ლეონტი მროველი რეალური ისტორიული პიროვნებაა. მოხსენიებულია XI ს. ათონის ხელნაწერებსა („ლეონტი მროველი მთავარეპისკოპოსი“) და სოფ. თრევის გამოქეაბულის 1066 წ. წარწერაში.

ვის იყო ლეონტი? რა იყო „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატინის ასეთი არმენოფილური კონცეფციის შექმნის საფუძველი და რატომ შეიტანეს იგი „ქართლის ცხოვრებაში“? მოუთხოვენ ლეონტის ეთნიკურ მხარეს — ამჟამად, ან შესაძლო არაქართველობას (ქ. პატკაძე, ა. აბაღაძე, გ. ყორანაშვილი და სხვ.). საამის ცნობა არა გვაქვს, მაგრამ შესაძლოა, უსაფუძვლოდ არ აღნიშნავდა ამჟამად ქ. პატკაძე, ლეონტის ნინაპრები და თვით ლეონტიც გაქართველებული ფოფილიყენენ. ცხადია, ლეონტი იყო ქართული მწიგნობრობის შეს-

ანიშნავი მცოდნე. ასეთი სწავლულნი, როგორც ქართველებს, ვხედავთ, თველებული სომხებიც, ქართველებსა და სომხური ენის მცოდნეები, ასევე სხვა ენებისაც, საქართველოს სამეფო კარზე და ეკლესიაში XI-XIII სს-ში ბევრი იყო. რიგმა სწავლულმა ისტორიკოსებმა საკმაოდ იცოდნენ უცხო წყაროებიც, ლიტერატურაც.

„ქართლის ცხოვრება“, რომელიც XI ს-ში შეიქმნა და რომლის პირველი მატინის („ამბავი მეფეთა და ნათესავთა“) ავტორ-რედაქტორი ლეონტი მროველია, არაა ცნობილი თუ რამდენად გულდამსობით წაიკითხეს და შეამომწეს ეროვნული თვალსაზრისით სამეფო კარზე XI ს-ში, ანდა, საერთოდ, დროულად გაეცნენ თუ არა მას. საქართველოს საპატრიარქო კი რომ განცნობოდა, განა ასეთ ამჟამად ანტიქართულ არმენოფილურ კონცეფციას გაუშვებდა „ქართლის ცხოვრებაში“? პირიქით, განგაშს ატებდა, განსაფუთრებით იმ გაუთავებელი მძაფრი კონფესიონალური დავის შემდეგ, რომელიც VIII ს-ში დასრულებული წარმოებდა, რასაც ქართველთა და სომხთა საეკლესიო განხეთქილება მოჰვა. ეს მძაფრი კამათი ხომ ქართველი თუ სომხები ერის ეთნოპოლიტიკური და კულტურული პირობების რკვევაში გადაიხარდა. ეს დავა XI საუკუნეშიც და შემდგომაც გრძელდებოდა. ამ მძაფრ დავა-კამათში ლეონტის და იოანე ზოსიმეს ლინგვისტური კონცეფციები დაპირისპირებული ეროვნული იდეური პოლუსებია.

აღნიშნავენ (ა. აბაღაძე, გ. ყორანაშვილი) ლეონტი მროველის კონცეფციის შემუშავებაში ბაგრატ IV-ის დედის მარიაშ დედოფლის მფარველობას და ხელშეწყობას, რომელიც სომხეთის მეფის ასული იყო. თუმცა წყაროებით ეს არ ჩანს, მაგრამ საეკლესიო შესაძლოა. სავსებით დასაშვებია სომხური დიასპორის ანტიქართული სწავლული აგენტურა. ისე კი, ჩვენი აზრით, გამოიყენებულა საქართველოს სამეფო სახლ-ს შეგნებულად ნებართვა მიეცა ასეთი ანტიქართული არმენოფილური კონცეფციის შეტანისათვის „ქართლის ცხოვრებაში“. შესაძლოა, სამეფო სახლი და საპატრიარქო არც განცნობოდა თავის დროზე (XI ს. II ნაწილი) ლეონტისეულ კონცეფციას. დაბოლოს, იმ დროის ქართული ფეოდალური ინტელიგენცია, საერთოდ, როდესაც ქართული ენის საგალობელი კიშნია დაწერილი (იოანე ზოსიმე), რომ განცნობოდა, განა მოიხონებდა ლეონტის ასეთ ანტიქართულ ეთნოგენეტიკურ და გლოტოლოგიურ კონცეფციას?

დასკენის სახით კი აქ კატეგორიულ-ობით უნდა ითქვას: შეუძლებელია ქართული



ეთნიკური თვითშეგნების პიროვნებას შეთხზას ასეთი ანტიქართული არმენოფილური ეთნოგენეტიკური და გლოტოლოგიური კონცეფცია.

ლეონტი მროველის არმენოფილურ კონცეფციაში ჩვეულებრივი დამახასიათებელი სომხური დიდგული ნაციონალიზმია. საქვეყნოდ ისტორიულად ცნობილია სწავლული სომხების ნაციონალისტური ბაქიობა, უსაფუძვლო კონდენსირებული ნაციონალიზმი, რაც ადრეული საუკუნეებიდან მოსდგამდათ მათ და, რომელიც საკადრისად შეაფასა IX-X სს-ის ქართველმა ეპისკოპოსმა სტეფანე მტბერამ²⁹ და, ასევე, ივ. ჯავახიშვილმა,³⁰ დიდი ილიას „ქვათა ღღაღღზე“ რომ არაფერი ითქვას. ლეონტიანულ ეთნოგენეტიკურ კონცეფციაში მიმკვიდრეობით ასახულია სომხური ამბიციური ნაციონალიზმი.

5. ლეონტის ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში

აქ დავბა საკითხი: **ლეონტის ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ლეონტი მროველი სრულიადაც არაა XI ს-ში შედგენილი „ქართლის ცხოვრება“, მას სხვა ავტორიც ჰყავს (ჯუღაშვილი). ამასთან, ლეონტი „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატეიანის („პამბავე მეფეთა და ნათესავთა“) მხოლოდ ერთ-ერთი ავტორ-რედაქტორია. ქართლის ცხოვრება, ანუ საქართველოს ისტორია, თუმცა მოკლე პრონიკული თხრობით, უძველესი დროიდან არაბების შემოსევამდე, ლეონტიანულ არსებობდა „მოქცევა ქართლისაჲ“ სახით. „მოქცევა ქართლისაჲ“, როგორც დღეს სახეწება, ან, შესაძლოა, მისი ურცელი არქეტაპი (შესაძლო სხვა სახელწოდებით), ვახტანგ გორგასალის მეფობამდე, ლეონტი მროველმა არსებითად მთლიანად გადაწერა და შეიტანა თავის თხზულებაში, „პამბავე მეფეთა და ნათესავთა“-ში. ასევე ლეონტიანე თავის აღნიშნულ თხზულებაში რედაქტირებული სახით არსებითად მთლიანად შეიტანა „წმ. ნინოს ცხოვრება“. შეიტანა რა თავის თხზულებაში აღნიშნული წყაროები („მოქცევა ქართლისაჲ“, „წმ. ნინოს ცხოვრება“) სათანადო რედაქტირებული სახით, ამდენად ლეონტი მროველი არის „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატეიანის რედაქტორი. მაგრამ ამასთან, ლეონტის ბევრი რამ საკუთარი ორიგინალურიც აქვს, რიგი წყაროებით ამდიდრებს საქართველოს ისტორიას, იძლევა სიახლეებს, ამასთან, ზოგ სწორ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისსაც და, ამდენად, იგი „ქართლის ცხოვრების“ პირველი

მატიანის არა მარტო რედაქტორია, არამედ ავტორიც. ლეონტი მროველი მსოფლიო ისტორიკოსის, სრული მტკიცებით მტკიცებელია, რადგან მას დიდი სიწრცე სჭირდება. მოკლედ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი.

მიუხედავად იმ დიდი ანტიქართული სიყალბისა, ჩამოეცილოთ ლეონტი მროველის მის მიერ თვითნებურად შეთხზული არმენოფილური ეთნოგენელოგიურ-ლინგვისტური კონცეფციის ჩენჩი და, საერთოდ, არმენოფილური პოზიცია და ჩვენს წინაშე იგი წარმოგვება როგორც თავისი დროის შუა საუკუნეების დიდი ისტორიკოსი: ქართული და უცხოური წყაროების (სომხურის, ბერძნულ-რომაულის, სპარსულის) ცოდნა და გამოყენება, მათ შორის, დარწმუნებული ვართ იგი იცნობდა მცხეთაში იმ დროს, ალბათ, ჯერ კიდევ ფართოდ შემორჩენილ არმაზულ ეპიგრაფიკას, სადაც რიგი ძველი წარმართი შეფეების სახელები, ეპიტაფები თუ სხვა საისტორიო ცნობები იყო ამოტვიფრული (არამეულ-ბერძნულ ენებზე), თავისი დროისათვის შესაფერი ისტორიული გეოგრაფიის შესანიშნავი ცოდნა-ანალიზი, საქართველოს ცალკეული ეთნიკური კუთხეების საზღვრების ასეთივე შესანიშნავი აღნიშვნა [როგორც წმ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ამ მხრივ მარტო ის რად ღირს, ისტორიული წყაროების საფუძველზე, ლეონტის მიერ ვერისის (ძველი კოლხეთის) წილი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის დადგენა-აღნიშვნა: მდ. ყუბანამდე, ანუ „ქვირისა ხაზარეთისა მდინარემდე“], მის თხზულებაში მოცემული მდიდარი ტოპონიმიკა და პიდრონიმიკა; ასევე, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოში ძველი წინაქალაქობრივი საზოგადოების, ანუ მეფობის ხანამდე არსებული გეოგრაფიული საზოგადოების მეცნიერულად განჭვრეტა-დახასიათება; ამ მხრივ ლეონტის მიერ ფორმულირებული წინაქალაქობრივი საზოგადოების „ამასახლისობის ხანა“, უქვეყნია, მსოფლიო მნიშვნელობის ბრწყინვალე ისტორიული ხედვა იმ ეპოქაში (XI ს.).

რაც დიდად დასაფასებელია, ლეონტი მროველს უნდა დაუფასოსოთ, ხოლო რაც მეცნიერულად ყალბი და ანტიქართულია უნდა დაეგმოთ და უარეყოთ.

● მცენიარეაბიდან მცირე იდეურ-პოლიტიკური გადახვევა

ლეონტის თან გადაჰყვა პოლიტიკური ეპოქები, ქართველ ისტორიკოსთა თაობები, საქართველოს თავზე პოლიტიკურმა ქართველებმა გადაიარა. ლეონტის ეთნოგენეტიკურ-გლოტოლოგიური კონცე-

ფცია „ქართლის ცხოვრებაში“ უცვლელი დარჩა.

შეუძლებელია აქ არ შევედაროთ ერთმანეთს სომხური და ქართული ისტორიოგრაფიის ეთნიკური თვითშეგნება და, ასევე, დანაშაული იქნება არ აღინიშნოს ქართველი ერის მოღვაწეების პოლიტიკური და მეცნიერული სიფხიზლის შესახებ. დავინახავთ შემდეგ: თუ სომხური ისტორიოგრაფიის ეთნიკური თვითშეგნება ამბიციურ-ავრესიული ეთნოცენტრიზმით გამოირჩევა (მისი ფორმულაა: სომხები უპირველესი ერია მსოფლიოში), ქართული ისტორიოგრაფია, პირაქით, ხშირად გულგრილობითა და ეიფორიით გამოირჩევა ისტორიულ წარსულშიც და დღესაც. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიას, ისე ქართველ სახელმწიფო მოღვაწე-პოლიტიკოსებს (მათ დიდ ნაწილს) აკლდათ ეროვნული იდეოლოგიური და პოლიტიკური სიფხიზლე. შემთხვევითი არაა, რომ ქართველობიდან, ქემშირიტი პატრიოტიზმის გვერდით, გამოდიოდნენ ისეთი ნიპილისტები, ეროვნულ თვითშეგნებას ისე მოკლებულნი, რომელთა მსგავს სხვა ხალხთა ისტორიაში ძნელად თუ ვიპოვით.

მაშ, ასე, ლეონტი მროველმა (იგი ქართველი იყო თუ გაქართველებული სომხი აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) ოციეი-აღურ ქართულ ისტორიოგრაფიაში, „ქართლის ცხოვრებაში“, ქართველი ხალხის „უფროს ძმად“ და გამგებლად შაოსი, სომხები გამოაცხადა, ხოლო ქართველთა თვითაპირველ მშობლიურ უნად სომხური; XIX საუკუნეში გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელმა ბროშურა შეითთხნა და მასში თუორია შეთხზა – პატარა ერების, მათ შორის ქართველთა გარდუვალი ასიმილიაცია-გაქრობის შესახებ; XIX-XX საუკუნეში განსხვავებით ყველა სხვა ქვეყნის სოციალისტებისაგან, ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნული თვითშეგნება ნულზე დავიდა; XX ს-ში კვლავ ქართველმა ქართველ ხალხს ძველი უფროსი ძმის „შაოსის“ ნაცვლად უკვე ახალი „უფროსი ძმა“ და გამგებელი, „რუსი“ გამოუგონა, მაშინ, როცა „რუსი“ ისტორიული ასაკით საბჭოთა იმპერიის ძველ ცივილიზებულ ერებთან შედარებით ყველაზე უმცროსი იყო; XX ს-ში, ჩვენს დღესდღეობაში, ქართული ისტორიული და ენათმეცნიერული სკოლის წარმომადგენელთა მიერ შეიქმნა მეცნიერულად მცდარი, ხოლო პოლიტიკურად მავნე კონცეფცია – დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის, ცხაფია, დღ. აფხაზეთში) ისტორიულად ქართველებამდე ცხოვრობდა ჩერქეზულ-ადიღური მოსახლეობა; ასეთივე მეორე მცდარი კონცეფცია – დღევანდელი აფხაზეთის (ავ. რ.) ტერიტორიაზე ქართველები და აფსუები (დღ. აფხაზეთი)

თავიდანვე სინქრონულად (ერთდროულად) სახლობდნენ და ამიტომ, რეგულარულად, ამ ტერიტორიის მკვიდრი აბორიგენები და ორივეუთის ეს ტერიტორია არის მკვიდრი სამშობლო, მაშინ, როცა სინამდვილეში აფხაზეთის მკვიდრი აბორიგენი მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართველ-კოლხური მოსახლეობაა კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის დროიდან (ქ. ნ. VI ს.). არც კი უფიქრდებოდნენ, მეცნიერულად ასეთ მცდარ კონცეფციებს რა მძიმე უარყოფითი პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა მომავალში.

საბჭოთა იმპერიის ქართველ თავკაცთა და საქართველოს მთავრობის ნიპილისტურ-პოლიტიკური უდარდულობით, ისტორიული ბედუკლმართობის შედეგად ისედაც ძლიერ შემცირებული საქართველოს მიწანყლის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დაიკარგა რევოლუციის შემდეგ, XX ს. 20-იან წლებში (საინგლო, ლორე...) გარდა ამისა, შექმნეს საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ უცხოტომელთა (აფსუების, ოსების) სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები (პოლიტიკური ავტონომიები), რის მწარე ნაყოფსაც ახლა ვიპოვებთ და რომლის გამოსწორებაზე დღეს, – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, – საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის) დამპყრობ-მიმტაცებელთა მხრიდან დიდი დაბრკობებები ელოდება წინ ქართველ ერს. აქ ქართველ სახელმწიფო მოღვაწე-მეთაურთა ნიპილისტურ-პოლიტიკური და ქვეყნის საზიზიზ დამღუპველი სხვა მრავალი ღონისძიების ჩამოთვლაც შეიძლებოდა...

ნუთუ აღარ ეშარა და აღარ დადგა დრო, როცა საქართველომ, ქართველმა ერმა და მისმა ინტელექტუალურმა მოღვაწეებმა, ბოლოს და ბოლოს, გაიცინობიერონ სახელმწიფოებრივ-ეროვნული, პოლიტიკური და მეცნიერულ-იდეოლოგიური სიფხიზლე!

● ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა, მაგრამ ამასთან საჭიროა ისტორიული სინამდვილის ობიექტური შესწავლა და გაანალიზება. ჩვენს მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა: ლეონტი მროველის კავკასიის ხალხთა და უპირველესად ქართველთა ეთნოგენეტიკურ-გლოტოლოგიური კონცეფციის ობიექტური ანალიზი და შეფასება.

ლეონტი მროველზე დღემდე დიდი დავა და, რაც მთავარია, დღევანდელი საქართველოს რეალობა დიდ გაკვეთილებს უნდა აძლევდეს როგორც ქართულ ისტორიოგრაფიას, ისე მთელ ქართველ ერსა და მის მოღვაწეებს მეცნიერულ და პოლიტიკურ აზროვნებაში.

შენიშვნები

1. ბობლია, საქართველოს საპატრიარქო, 1989, 16-20.
2. გეორგიკა, I, 271 ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, „მეცნიერება“, 1983 წ. გვ. 81, თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა.
3. გეორგიკა, I, 35.
4. იქვე, 39-41.
5. იქვე, 221-222.
6. იქვე, 12.
7. იქვე, 13.
8. იქვე, 14.
9. გეორგიკა, I, 11-18.
10. ექ. თაყაიშვილი, მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“; დამატება I, გვ. 812.
11. იქვე, გვ. 813.
12. საქართველოს მეცნ. აკად. შიშხიაშვილი, ტ. IX, № 9-10, 1948, გვ. 624.
13. იხ. თარგმანი, კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში, „ეტიუდები“, I, გვ. 171-173.
14. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, „მეცნიერება“, 1984 წ., გვ. 62. ა. აბდლაძის გამოცემა.
15. არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, „მეცნიერება“, 1980 წ., გვ. 87, 142, ზ. ალექსიძის გამოცემა.
16. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 3.
17. იქვე.
18. იქვე, 4.
19. იქვე, 4-6.
20. „ქართლის ცხოვრება“, I, 6-7.
21. იქვე, 16.
22. იქვე.
23. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VIII, გვ. 183.
24. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 79-80.
25. ძქაძე, III, გვ. 51.
26. იხ. „ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 14, 47, 53.
27. თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დანუბეთთან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სპბ, 1848, გვ. 11-12.
28. „მაცნე“, 1968, №1.
29. ძქაძე, I, 175.
30. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VIII, 119.

მეოცე საუკუნის ლიტერატურული რემითოლოგიის ფსიქო-ფილოსოფიური ნინამკვრები

მითოლოგიისა და ხელოვნების, კერძოდ, ლიტერატურის ურთიერთქმედების ეპოქა ზუსტად იმდენ ათასწლეულს ითვლის, რამდენსაც ადამიანის მხატვრული აზრი. ტერმინები „რემითოლოგია“ და „დემითოლოგია“ აღნიშნავენ ხელოვნების მითოლოგიისადმი დამოკიდებულებას. მთელი თავისი განვითარების მანძილზე ხელოვნება ან იყენებდა მითს შემოქმედებით აზრისა და მხატვრული ქმნის ძირითად წყაროდ, რასაც რემითოლოგია ეწოდება, ან უარყოფდა მას, რაც დემითოლოგიის სახელითაა ცნობილი.

რემითოლოგიის ყველაზე მძლავრი ტალღა მსოფლიო ლიტერატურაში მეოცე საუკუნის დასაწყისში მოვიდა. ამჯერად, ნინამკვრედ შემთხვევათაგან განსხვავებით, მითისკენ მიბრუნების პროცესი აღინიშნა არა მხოლოდ ხელოვნებაში, არამედ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაშიც, კერძოდ – ფსიქოანალიზში. ეს მოვლენა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ სწორედ ფილოსოფიით დაწყებულმა და ფსიქოანალიზით გაღრმავებულმა რემითოლოგიამ უდიდესი გავლენა მოახდინა ლიტერატურის განვითარების მსგესელობაზე და წარმოშვა ახალი, უჩვეულო მხატვრული სიტყვა. იმით რიცხვში, ვინც მოამინოდა ამ ახალი, ელიტარული, თუ შეიძლება ითქვას „ცისფერისებრიანი“ ლიტერატურის შექმნისათვის სასარგებლო სიტუაცია, არიან: ფ. ნიცშე, ა. ბერგსონი, რ. ვაგნერი, ზ. ფროიდი, კ. გ. იუნგი და სხვები. ჩამოთვლილი მოაზროვნეების პოზიციას განაპირობებდა მათი აპოლოგეტური დამოკიდებულება მითისადმი. „ცხოველების ფილოსოფიის“ და ფსიქოანალიზის ორიგინალურ კონცეფციებს განამტკიცებდა ახალი ეთნოლოგიური თეორიებიც, რომელთა ავტორებმა – ჯ. ფრეზერი, ბ. მალინოვსკიმ, ლ. ლევი-ბრაულმა, ე. კასირერმა და სხვებმა – ძალზე გააღრმავეს ტრადიციული მითოლოგიის გაგება. პოზიტიურმა რაციონალიზმმა და ხელოვნებაში მოჭარბებულმა ევოლუციონიზმმა მალე გამოფიტეს თავი და ლიტერატურის კრიზისის საფუძველი შექმნეს. ამას ისიც დაერთო, რომ მხატვრული ქმნის ყველა არსებული ფორმა მოყრდენი უღადა და ყაუღარულად ეჩვენებოდათ როგორც მწერლებს, ასევე კრიტიკოსებსა

და ლიტერატურათმცოდნეებს. როგორც უკვე ვთქვით, კულტურის ისტორია თავისი განვითარების მთელი დროის მანძილზე ურთიერთქმედებდა მითოლოგიასთან და ეს ურთიერთობა უმეტესად დემითოლოგიისკენ იყო მიმართული. მეთურამეტე საუკუნის განმანათლებლობამ და მეცხრამეტე საუკუნის პოზიტივიზმმა კი საბოლოოდ განდევნა ხელოვნებიდან მითოლოგები და ირაციონალური სამყაროდან მოსული მხატვრული სახეები.

შექმნილ მდგომარეობაში, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გაჩენილი მცირემისმტაბიანი რომანტიკული გატაცება მითებით სინათლის იმ ვიწრო ზოლად იქცა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში „ახალი ლიტერატურის“ მძლავრი აფეთქება გამოიწვია. მეოცე საუკუნის ათიან წლებში რემითოლოგიამ მთლიანად დაიკარგა კულტურის სხვადასხვა სფერო. მითი აღიარებული იქნა მარადცოცხალ საწყისად; თავად მითში გამოიყო მუდმივი განმეორებადობის კონცეფცია და, რაც მთავარია, მოხდა მითის გაიყვება ხელოვნებასთან. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ მითისშემოქმედება მალამხატვრულ აზროვნებასთან იქნა გათანასწოებული, ხოლო ყველა მითისშემოქმედი, ველურიდან დაწყებული და ყველაზე ცივილიზებულით დამთავრებული – ხელოვნურად იქნა მიჩნეული.

მითოლოგიზმებით დაინტერესებას მოჰყვა გაცხოველებული კვლევა. გარდა ისეთი ცნებები, როგორებიცაა რიტუალიზმი და ფუნქციონალიზმი. პირველი იმითაა საგულისხმოდ, რომ აღიარებს რიტუალის პრიორიტეტს მითთან მიმართებაში. რიტუალიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ჯეიმს ჯორჯ ფრეზერი, რომელიც ტილორისა და ლენგის ანთროპოლოგიური სკოლის მონადირე იყო. საინტერესოა, რომ ფრეზერისთვის მითი სამყაროს ახსნის მცდელობა კი არა, მომაკვდავი რიტუალის სიტყვაში გაცხადებული ასლია. ფრეზერის სხვადასხვა დროის ნაშრომები ერთად გამოიცა მის ნივთში „ოქროს რტო“, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა რემითოლოგიისა და მითოლოგიებისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭების საქმეში. ჯ. ჯ. ფრეზერმა სათავე დაუდო კლასიკური

ფილოსოფიის ე. წ. „ექიმბრიჯის სკოლას“, რომლის წარმომადგენლებმა ჯ. ჰარისონმა, ფ. მ. კორფორდმა, ა. ბ. ბუქსა, გ. მერვიმ და სხვებმა აგრეთვე უდიდესი წვლილი შეიტანეს მითოლოგიის გენეზისის კვლევაში. კლასიკური ფილოსოფიის ამ სკოლის წარმომადგენელთა დიდი დამსახურებაა ის, რომ მათ განმარტეს მითოლოგიურ-რიტუალური მომენტი, როგორც პოეტური და-ნაწილობრივ სამეცნიერო ტრადიციის წყარო.

მითის სწორად გაგების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ერნესტ კასირერმა. მან შეაფასა ინტუიციურ-ემოციური საწყისი მითში და ამასთან ერთად, გააანალიზა მითი, როგორც რელიგიის ასახვის განსაკუთრებულად სრულყოფილი სამუალები. სწორედ ერნესტ კასირერმა გამოავლინა მითოლოგიური აზროვნების ფუნდამენტური სტრუქტურა და მითოლოგიურ სიმბოლიზმის სახით, ამგვარად, მითის უახლესმა თეორიებმა გამოკვეთეს მისი ანთროპომორფული, ისტორიული და ეტიმოლოგიური მნიშვნელობის განმსაზღვრელი გზები და საშუალებები. მიუხედავად შეზღუდულობათა მრავალფეროვნების და სხვადასხვაობისა, ყველა მკვლევარი აღიარებდა, რომ მითი, თავისი საწყისი არსით და წარმოშობით არის ინდივიდუალური მხატვრული შემოქმედების მასობრივ კულტურაზე ამაღლების უნივერსალური საშუალება.

უშუალოდ ფილოსოფიაში რემითოლოგიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ფრიდრიხ ნიცშეს სახელს. ნიცშესა და ვაგნერის რემითოლოგიზაცია მოქმედაურის პროშენის გავლენით ჩამოყალიბდა. ბერგსონისივე ინტუიტიზმზე და უკვე არსებულ მითოლოგიზაციებზე დაყრდნობით, ნიცშემ შექმნა სრულიად განსხვავებული, თვისობრივად ახალი ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც იმითაც იყო უნიკალური, რომ მისი გადმოცემის ხერხად ნიცშემ მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ფორმა აირჩია. უკვე ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მეთოდისათვის შემზღვეველი რაციონალიზმის ჩამოშორების მცდელობისას, ნიცშეს ფილოსოფია გამოხატულებას პოულობს ეტიკურ ქმედებაში, ლეგენდაში, მითში. არსებული ფილოსოფიური მსოფლხედვის ნგრევის თარიღად ნიცშემ გამოიყენა მითი, ის მითი, რომელიც ჩვენმა წინაპრმა კაცობრიობის გარიყრაზე შექმნა, თუმცა არც კი იყო. საიდან მოვიდა მითოსშემოქმედების ეს დიადი უნარი. ფრიდრიხ ნიცშემ შექმნა ახალი იდეალი, რომლის არსიც სამყაროს ორი ძირითადი საწყისის – „დიონისურისა“ და „აპოლონურის“ განონასწორებაში, ამ ორი პოლარული მითოლოგიურ-კოსმოგონიური

საწყისის სწორ თანაფარდობაზე მდგომარეობა ტრამინი „დიონისურის“ მკაცრ სკალტობობს ცოვრებისეულს, „აპოლონურის“ ტრაგიკულს, ხოლო „აპოლონურში“ – მემეცნებადს, ლოგიკურსა და ცალმხრივად ინტელექტუალურს. მისი აზრით, სწორედ ხელოვნება წარმოადგენს რეალური არსებობის ინტერპრეტაციას და არა ისტორია; ამდენად, ქვეყნიერების ერთადერთ ღირებულებად აგი სამართლიანად მიიჩნევს ესეთიკურ ფენომენს. ნიცშე პირველ იყო, ვინც ხმამაღლა დასდო ბრალი სოკრატესა და მის მიმდევრებს სკეპტიკურ რაციონალიზმში. მათ ბრალი დაედოთ ხელოვნებისთვის უმთავრესი წყაროს, მარადიული სიცოცხლის ძირითადი საშუალების – მითის ჩამოშორება. დაღუპული კულტურის აღდგენის გზად და მითის ცოცხალი განცდის დაკარგვისაგან უკიდურესად „გაფილისტურებული“ ადამიანის რეაბილიტაციის უმთავრეს საშუალებად ნიცშე მითოლოგიების გაცოცხლებას, მითოლოგიური სახეების მხატვრულ აზროვნებას მიიჩნევდა. ამდენად, ლოგიკურია, რომ ნიცშეს ნაშრომებმა ე. წ. „შემოქმედებითი მითოლოგიის“ რიგში დაიჭირეს თავისი ადგილი ვაგნერის, ჯოსის, თომას მანის, აგრეთვე ზოგერთი სინკრიტული და ერთიკული შუასაუკუნეობრივი სწავლების გვერდით. – ამბობს ე. მ. მელეტინსკი. მისი გავლენის შედეგად, მოგვიანებით გაფორმებულ მოდერნისტულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა მარადიული განმეორებადობის პათოსი, რომელიც წარუღი, უსასრულო სვლის საბით დამკვიდრდა მხატვრულ შემოქმედებაში. ფრიდრიხ ნიცშეს გავლენა განიცადა მწერალთა დიდმა უმრავლესობამ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს გავლენა, როგორც ნესი, პოზიტორი შედეგებს იძლეოდა. „ესე იტყვოდა ზარატუსტრა“, ნიგნი ყველასთვის და არაფისთვის, იქცა ფილოსოფიურ-ლიტერატურულ ქეაკუთხედად, რომელზედაც „ახალი ხელოვნების“ ფილოსოფია აიგო.

მყარი ფილოსოფიური ტენდენციის ჩამოყალიბებასთან ერთად, გაჩნდა მითოსური აზრისა და სახის ფსიქოლოგიური ანალიზის აუცილებლობაც. „ვერ კიდევ გერმანელი ფსიქოლოგის ელკელმ ტუნდტის შრომაში, რომელიც ახლო იყო ინგლისურ ანთროპოლოგიურ სკოლასთან და ავითარებდა ანიმისტურ კონცეფციას, მოხდა ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის მკვეთრი დაახლოება...“

...ამასთან, მითების გენეზისთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღინიშნებოდა აფექტური მდგომარეობებისა და სიზმრების, აგრეთვე ასოციაციური ჯაჭვების როლიც. – ნერდა ე. მელეტინსკი.

ცხადია, რომ თუ ეთნოლოგიური კვლევისას დადგა აფექტის, სიზმრისა და ასოციაციის საკითხი, მაშინ, ღრმა ფსიქოანალიტიკური კვლევა გერაფრით ვერ აუღლიდა გვერდს მსგავს პრობლემათკენ. ფროიდის, ადლერის, იუნგისა და სხვათა სკოლამ, ფანტაზიის ეს უცნაური, მითთან ამკარად მონათესავე ნაყოფები ქვეცნობიერს, ან, ზოგ შემთხვევაში, გაუცნობიერებელს, ადამიანის ფსიქიკის უკვლევ სიღრმეს დაუქავეშირა.

ფსიქოანალიზის ფუძემდებლის ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრების საფუძველს, როგორც ცნობილია, ქვეცნობიერებაში განდევნილი კომპლექსები შეადგენს. ინფანტილური ლტოლვა საინანაღმდევო სქესის მშობლისადმი, ე. წ. „ოიდიპოსის (ელექტრას) კომპლექსი“, ზიგმუნდ ფროიდის აზრით არის რელიგიის, ზნეობრიობის, საზოგადოებრიობის, ხელოვნების საწყისი სტადიის თელსაჩინო მაგალითი. ამდენად, ცალკეული მითი, ამ კერძო შემთხვევაში – მითი ოიდიპოს მეფეზე, იქცევა კერძო ფსიქოლოგიური კომპლექსის ილუსტრაციად. მსგავსი კომპლექსები მრავალადა ყველა ბერძნულ თეოგონიაშიც; ფროიდის აზრით, მამამწერითა და ლეთისშვილების მარადიული ორთაბრძოლის მიზეზი დედისადმი (გეასადმი) ფარული ლტოლვაა.

ფროიდი და მისი მიმდევრები აღიქვამენ მითს, როგორც უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური სიტუაციის ამკარა გამოხატულებას². ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფროიდი თელსაჩინო მაგალითობით ადასტურებს მის მიერ აღმოჩენილი კომპლექსების განმსაზღვრელი და განმამაირობებელი პრობლემების მარადიულობას. მისი „ესთეტიკის ფსიქოანალიზის“ ნაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ინფანტილიზმი უდავოადა მალალი ხელოვნების ერთ-ერთი მანარმოებელი. ზიგმუნდ ფროიდი თელს, რომ მითოსშემოქმედება არის ჭეშმარიტი ხელოვნების ერთადერთი სახეობა. იგი ბუნებრივი მოთხოვნილების, პირველყოფილი გაუცნობიერებელი სურვილის დაკმაყოფილებაა, ამდენად – მშვენიერია. მთავარი, ჩვენი აზრით, მაინც არის ფროიდის მიერ მოცემული მითის, როგორც სოციალური ფაქტორის განმარტება. ნიგში „მე და იგი“, თავში „მასობრივი ფსიქოლოგია და პიროვნული „მე“ ანალიზი“ ფროიდი წერს: „მითი გვეულებება იმ ნაბიჯად, რომლის დახმარებითაც ცალკეული ინდივიდი გამოდის მასობრივი ფსიქოლოგიიდან. პირველი მითი, უეჭველია, იყო მითი

ფსიქოლოგიური, მითი პერიოქული; განმარტებითი მითი ბუნებრივი სხვაობებით ბევრად უფრო გვიანს გვიჩვენებს, რომელიც გადამდგა ეს ნაბიჯი და ამით თავის ფანტაზიაში გამოიყო მასას, ახერხებს რეალურ ცხოვრებაში მინც დაუბრუნდეს მას. ის ზომ მიდის და უყვება ამ მასას მის მიერ შექმნილი გმირის სასახელო საქმეებზე. არსებითად, ეს გმირი სხვა არაინაა, თუ არა თავად პოეტი. ამით იგი ეშვება რეალობამდე, ხოლო თავის მსმენელებს ფანტაზიამდე ამაღლებს“³.

ამგვარად, ფროიდი განმარტავს არა მარტო მითის არსს, არამედ მისი საზოგადოებრივი, სოციალური დატვირთვის სიდიდესაც. ქვეცნობიერიდან მოსული მხატვრული აზროვნების მძლავრი იმპულსი ჯერ გამოიყოფს ინდივიდს პრობლემად, ხოლო შემდეგ იმავე ბრბოში აბრუნებს ამბის მიმყოლად, საინტერესო თავგადასავლით, ბრბოში მთვლემარე ქვეცნობიერის გამოლეიძების მიზნით. ფროიდი სავარაუდო პირველი მითოსშემოქმედის სახესაც კი გვაძლევს და მას თამამად უწოდებს პოეტს. ზიგმუნდ ფროიდიმ გააფართოვა და განავრცო ცნება „მითი“, ახალი მრავალსაპექტიანი დატვირთვა მოუწახა მას და ამით უდიდესი წვლილი შეიტანა რემითოლოგიზაციაში.

მითის კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტება – გამოყენებისა და ქვეცნობიერთან აქტიური დაკავშირების მცდელობა მოგვცა კარლ იუნგმა. მის მიერ შემოშაებული არქეტიპების სისტემაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ლიტერატურისადმი მითოლოგიური მიდგომები. თავისთავად ტერმინი „არქეტიპი“ განიმარტება, როგორც თავდაპირველი, თანდაყოლილი ფსიქიკური სისტემა, ფანტაზიისმიერი სახეების პირველადი სქემა, რომელიც სისტემატურად დასებობს კლექტიურ ქვეცნობიერებაში და არის წარმოსახვის აქტივობის აპრიორული მანარმოებელი. ამ ტერმინის წარმოშობის კვლევისას იუნგს მივყავართ ფილოსოფიკსანდრიელთან და დიონისე არეოპაგელთან.

არქეტიპის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული პლატონისულ „ეიდოსთან“, მსგავსი ცნება გვხვდება ავეუსტიკნეს ნაშრომებშიც. იუნგის თეორიის მიხედვით არქეტიპის ფუნქციონირებას უწოდებენ „არქეტიპი არის ის სახე, ან უფრო ზუსტად – სახეობა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობებს და რომელიც ყველა თაობის მხატვრული შემოქმედების წყაროდ და სახეობის საგნად იქცევა. საგლისხმობა იუნგის პიპოთეზა იმის შესახებ,

2. Е. М. Мелетинский, *Поэтика мифа*, М., 1976, გვ. 136

3. З. Фрейд, „Я“ и „Оно“, М., 1993, გვ. 131



რომ „მემკვიდრეობით“ სიმბოლოები კოლექტიური ფანტაზიის ანბანს შეადგენენ. ანუ, ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე, ნებისმიერ დროსა და გეოგრაფიულ სივრცეში მოთავსებული ინდივიდი, მხატვრული სახეებით აზროვნებისას იყენებს თითქმის ერთსადაიმთხვევითოლოგებებს, „მოტივებს“, რომლებიც მისი, როგორც ინდივიდის თანდაყოლილ ცოდნას შეადგენს. ძალიან საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, იუნგის მოხსენება, რომელშიც ის გვეუბნება, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ფსიქიკური ამბილობის სხვადასხვა სტადიის ავადმყოფები, თავიანთ გაუცნობიერებელ მსოფლგანცდას იდენტური კოსმოგონიებით გამოსცემენ. დაახლოებით ერთნაირი არქეტიპებით აზროვნებენ ისინიც, ვისაც ნურაკითხვის ელემენტარული უცოდინარობის გამო საშუალება არ აქვთ რაიმე წარმოდგენა ჰქონდეთ ამ, ან მსგავსი ცნების არსებობაზე.

ამგვარად, ფროიდისეული ინდივიდუალური მითოსშემოქმედების ცნებებიდან გამოყოფის თეორიას დეტალური განმარტავდაყოლილი ცოდნის სინდრომი, რის ნარჯზეც მიღებული იქნა მწერლის (მითოსშემოქმედის) ძალზე დამაჯერებელი ფსიქოლოგიური სურათი. მწერალი ეს ინდივიდია, რომელსაც უნარი შესწევს არქეტიპი მაღალმხატვრულ სახედ აქციოს და თავისი უნივერსალური მითოსშემოქმედებით გამოეყოს საზოგადოებას და რა პარადოქსულადაც არ უნდა ელერდეს ეს, მითი გვევლინება ყველაფრის გონიერ, მაგრამ ირაციონალურ სანყისად.

ამ წერილში ჩვენ უცადეთ გვეჩვენებინა ის წინამძღვრები, რომელთა ლოგიკური შედეგებია რემითოლოგიზირებული ინტელექტუალური ლიტერატურა მეოცე საუკუნის დასაწყისში და ამით უკეთ გაგვეაზრებინა ლიტერატურული მითოლოგიზირების რთული მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Коссаж Ежи, Экзистенциализм в философии и литературе, Москва, 1980;
2. Краткий очерк истории философии, Москва, 1971;
3. Мелетинский Е. М., Поэтика мифа, Москва, 1976;
4. Ницше Ф., Так говорил Заратустра, Москва, 1991;
5. Философский Энциклопедический словарь, Москва, 1983;
6. Фрейд З., «Я» и «Оно», Тбилиси, 1991;
7. Юнг К. Г. Архетип и символ, Москва, 1991;



ქართული სასულიერო პოეზიის მოტივები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში

საკმაოდ დავალებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ძველი ქართული მწერლობისაგან, რომელთანაც მას აკავშირებს როგორც თემატურ-მინაარსობრივი და იდეურ-აზრობრივი ნათესაობა, ისე სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედრილობაც. ქართული პიმნოგრაფია, „ვეფხისტყაოსანი“, ქება და დიდება ქართულისა ენისა, „გალობანი სინანულისანი“, თეიმურაზი ვახტანგი, არჩილი, დავით გურამიძელი არის ნ. ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი მსაზრდოებელი წყარო, მისი პოეტური წარმოსახვის ხელშემწყობი.

ნ. ბარათაშვილის სულიერ ფორმირებაზე, მისი პოეტური კულტურის დახვეწანა და ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ძველმა ქართულმა მწერლობამ. ნ. ბარათაშვილის პოეტური ძარღვი ძველი ქართული მწერლობის სახელოვანი ტრადიციებიდან იღებს სასიცოცხლო ელექსირს... ბარათაშვილის პოეტური ძარღვი ქართული მწერლობის სისხლქარბ არტერიებშია ჩანასკული... (მ. ლლონტი, ნ. ბარათაშვილის პოეტის საკითხები, საიუბილეო კრებული, თბ., 1968 წ. გვ. 53-55).

ქართული პოეტური აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგს, როგორცაა სასულიერო პოეზია ანუ პიმნოგრაფია. ქართული პიმნოგრაფია ღვთისმსახურების ანუ ლიტურგიკის ნიაღში აღმოცენდა. გალობა ქართულ ტაძრებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ღვთისმსახურების აუცილებელ ელემენტს შეადგენს. ადრეული შუა საუკუნეების ძველი ქართული პოეზია ბიბლიური ნივნებიდან იღებს სათავეს და ბუნებრივია, სულის გაწმენდისა და ხორციის უარყოფის პათოსითაა აღსავსე. ქართული პიმნოგრაფიული ძეგლები, ბიბლიური საგალობლების მსგავსად სამებისადმი, წმინდანებისადმი, ანგელოზებისადმი ვუფრების გამოხატველია, სიკეთისა და სათნოების, სიყვარულისა და ღვთის ტაძრების დაუსრულებელი ქებათა-ქებაა.

ქართული პიმნოგრაფიის პოეტური ქსოვილი, მისი განწყობა, ლექსიკა დამახასიათებელია ქართველი რომანტიკოსებისათვის. ქართული საგალობლების გარეშე არ არსებობს არათუ ნ. ბარათაშვილის პოეზია, არამედ, საერთოდ, ქართული მწერლობის განვითარება.

ადრეული შუასაუკუნეების პოეზია, მისი სვედა და მისტიკა კვებადა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას. ძველ ქართულ პოეზიასა და ნ. ბარათაშვილის პოეზიას შორის არსებობს პარალელები და ძირები, კონგენიალური „შეხვედრები“, ლექსიკური დამთხვევა, თემატიკის განმეორება, თუმცა, მათ შორის „სიმორე“ და განსხვავებაც ძალზე დიდია. ამდენად, ძველი ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი ფორმები და გამოთქმები ნიშანდობლივია ნ. ბარათაშვილის პოეტური აზროვნებისათვის. ქრისტიანული სამყაროს ლიტერატურამ და ეთიკამ წარმოშვა ნ. ბარათაშვილის ფსალმუნის მავგარი შემოქმედება.

ნ. ბარათაშვილის პოეტური აზროვნებისა და შთავგონების ერთ-ერთი პირველი ელემენტი იყო ქართული პიმნოგრაფია. ქართული პიმნოგრაფიის ძეგლებთან ბევრი საერთო აქვს ნ. ბარათაშვილის პოეზიას. შევეცდებით ეს პარალელები და ძირები წარმოვთქვათ დასახელებულ ნაშრომში.

ძალზე საინტერესოა X საუკუნის მოღვაწე მწერალი-პიმნოგრაფის, იოანე მინჩხისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში არსებული პარალელები. ნ. ბარათაშვილის პოეზიაში არის ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც იოანე მინჩხის პოეტურ ქსოვილთან მივყავართ.

მაგ., ნ. ბარათაშვილის პოემაში ნახსენებია „მწყემსი კეთილი“ იოანე მინჩხის პოეზიიდან იღებს სათავეს.

„ევედრენით ღმერთსა ფრიად და მოგცეს თქვენ მწყემსი კეთილი“.

„სად არს მწყემსი კეთილი“.

„მწყემსი კეთილის“ სახე ასევე გვხვდება იოანე ბოლნელის საგალობელში.

„ექმნეს მწყემს კეთილ წმინდანი იგი მღვდელთ-მოძღვარნი...“ ი. მინჩხის პოეზიაში ასევე ფართო ადგილი უჭირავს „სული ბოროტოს“ სახე-სიმბოლოს:

„და განსდევნეს სოცლი ბოროტნი“. თუმცა „სული ბოროტოს“ სიმბოლური სახე დასტურდება მეორე დიდი პიმნოგრაფის მიქელ მოდრეკილის თხზულებაშიც:

„დაუსაბამოსა მზისა ნათლისა ნათლისღებისა დამდაბლებულნი არიან და დაბნეული უკუნისამდე მავნებულნი სულნი“.

ბოროტნი და მზეებრ ნათობენ ნათლებლებნი ადამიანი”.

ნ. ბარათაშვილის წერილის ქარგა ... მე მინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხედვისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არ ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გძინავთ! მე არ ძინავს, მაგრამ... ი. მინჩის პოეზიის ასოციაციას იხსენებ:

„ან განიღვიძე, რომელსაც ეგე გძინავს...”

კიდევ უფრო დიდია ნათესაური კავშირი იოანე მტბევეარისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიას შორის. ი. მტბევეარის პავლიოგრაფიულ ძეგლებში არის ლექსიკური ერთეულები (ლამპარი, ტაძარი, მთიები, ცვარი, ცეცხლი, ნისლი), რითაც დიდად დავალებულია ბარათაშვილის პოეზია.

ბარათაშვილისეული „ცხოვრების წყაროს“ ძირი უთუოდ დაუთოვდა ცხალმუნებში და ქართულ პიმნოგრაფიაშია საძიებელი. იოანე მტბევეართან ვკითხულობთ:

„მოვედით ჩემდა, ხობის ქაბზე მოწყალეთ... რამეთუ ცხოვრებისა წყაროი დაეპნურგე“.

„ცხოვრების წყაროს“ საბუ-სიმბოლო ასევე გვხვდება საბა სეინგელოზისა და მიქელ მოდრეკილის საგალობლებში.

საბა სეინგელოზის საგალობელში ვკითხულობთ:

„ცხოვრება შემოსილი კლდე წმინდაი, საფლავი, წყარო ცხოვრებისა და აღდგომისა ჩვენისა...“

მდრ. ბარათაშვილი: „მოვედით, სეადით მამკრალნი“.

მტბევეარი: „მოვედით ჩემთა დღეს ყოველი ეგე დამამკრალნი...“

ბარათაშვილი: „თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური“;

მტბევეარი: „საღმრთოხსა შოკრისა ცეცხლი აღეგზნა თქოვენ შორის“, ბარათაშვილი: „და ჩემთ ბავთ რაღა დაუშით მენდა სათქმელად, მამა, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვა“.

მტბევეარი: „მომიტევე მე კადნიერებთა არა ღირსსა ამას მამო. და მიითოვალე ძქვენი ოკლირისთაგან ბავთთა განკუვრნე წყლოვლება“.

ბარათაშვილის ადრინდელ ლექსში („ბუღბული ვარდზე“) ნახსენები სიტყვა „მთიები“ ი. მტბევეარის პოეზიიდან იღებს სათავეს:

„რამეთუც გამოშნდი შენ ვითარცა მთიები მბრწყინვალეი საღმრთოთა ნათლითა“;

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა იოანე მინჩის, იოანე მტბევეარისა და მიქელ მოდრეკილის საგალობლებს.

პიმნოგრაფიაში ამოებების თემა სხვაგვარადგლი უჭირავს, მხედველობაში უწყვეტს პიმნოგრაფიული პოეზიის ტრადიციულ მდებარის იოანე დამასკელის თხზულება – „დასდებულნი“ მიცვალებულსა ზედა“. თარგმანი შესრულებულია მე-10 საუკუნეში, ხოლო მთარგმნელის ვინაობა უცნობია. სავარაუდოა, ქართველი რომანტიკოსები იცნობდნენ იოანე დამასკელის თხზულების ქართულ თარგმანს, რადგან იოანე დამასკელის თხზულების განწყობა ძალზე ახლოს დგას ქართველი რომანტიკოსებისა და განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან. აი, როგორ ჟღერს ამოებების თემა იოანე დამასკელის პოეზიაში:

ყოველივე ამო არს კაცობრეი, რაოდენცა რაი ჰქვას შედგომად სიყ დღისა: არ დაადგრების საზღიდრე, არცა თანწარყვების დიდება, რამეთუ მოიწია სიყუდილი და ესე ყოველი მისი ავარყო.

სად არს სოყლისა ამის სიხარული და სიწუთოისა სახობაი? სად არს ოქროს ვინა ვერცხლი, სად არს მართა სიმარულე და ამბიზი? ამა ესერა ყოველივე იქნა ავი, ყოველივე ესე იქნა მტკურ, ყოველივე ესე იქნა სიხმარ და არდილი!

ძალზე საინტერესოა (ანონიზში) ოპიზარი მგოსნის თხზულება „გალობანი სულისანი“. ამ საგალობელში ნინა პლანზე ნამონეულია ნუთისოფლის ამოებების თემა. ოპიზარი მგოსნის თხზულების პირველი ტექტი თავისი შინაარსით ძალიან ემპაურება ნ. ბარათაშვილის ამოებების თემატიკას:

ცხოვრება ესე წარვალს და განილვის, შეწინებრება და დიდება დაქნების, ხოლო სიზღიდრე დაღების და წარწყმედის, რასა ცუდად ვმადლოთი ოდეს ყოველი მიყუდანი ვართ და მიწად მიტყუვადი.

ნ. ბარათაშვილი: არ ვიცა, ამ დროს ჩვენს წინაშე წყნი ცხოვრება რად იყო ფუჭი და შხოდოდ ამოება?... მაინც რა არის წყნი ფოფა-წყაისიოფელი, თუ არა ოდენ საწყული აღუვებელი?

ნ. ბარათაშვილის „ჩინარის“ ბოლო სტროფი: „ესრეთ იდუმალ, მავრამ ძლიერად დიტიანევისს მარად მიჯნური, თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური“. ამ პერიფრაზს ბასილის საგალობელთან მიყვავართ:

„ლამპრითა ბრწყინვალეთა სათნოებითა განბრწყინდი და სიყვარული ღმრთისაი ეგზნებოდა გულსა შინა შენსა...“

ქართული პიმნოგრაფიის გეირგეინს წარმოადგენს ქართველთა სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის თხზულება — „გალობანი სინანულიანი“.

საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებლის სახელი ძალზე დიდია. ის იყო უდიდესი პოლიტიკოსი და ნიჭიერი მხედარ-მეთაური. ქვეყნის წინაშე ვალის სასახელოდ მოხდის მიზნით ხალხმა მას აღმაშენებელი უწოდა. „გალობანი სინანულიანი“ ავტორი არნახულ გავლენას ახდენს ერის სულიერებაზე, ერის იდეოლოგიაზე, რწმენასა და მორალზე. ეჭვგარეშეა, ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა სახელოვან მეფეს, რადგან ქართველ მეფეთა შტოდან მოდიოდა, და ბუნებრივია, მას კარგად ეცოდინებოდა მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარება, დავით აღმაშენებლის მეფობის წამი, მისი პუშანინში, სიქველე, მეცენატობა და ისიც, რომ გელათის აკადემია დიდი მეფის სახელთან იყო დაკავშირებული. ცხადია, ნ. ბარათაშვილი ბიბლიურ ნიგნებთან ერთად კარგად იცნობდა დავით აღმაშენებლის თხზულებას.

დავითის გზა იყო ღეთისაკენ მიმავალი, სინანულის, სულის განწმენდის გზა. მაგრამ მაინც საკითხავია რა ცოდვები, ტყივილები ანუხებდა ქვეყნის აღმშენებლად ნოდებულ დიდ მეფეს? ან რა ადარდება სეგებდნიერ ბიბლიურ სოლომონს, ეკლესიასტეს ავტორს, რომელიც აურაცხელი სიმდიდრის პატრონი და ძლიერი სახელმწიფოს მესაჭე იყო?

ქართველი პოეტის სიტყვებით რომ ეთქვათ:

**სეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მოუტყვება?
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რად გადარდებ?
გასწიე იგი „ნიყოფიითგან
დარუბანდამდე“.**

ბიბლიური თვალსაზრისით ყველა ადამიანი ცოდვილია. და ამ ცოდვას მორეულ წარსულში აქვს ფესვები გამდგარი. პირველი ცოდვა იყო ის, როდესაც კაცობრიობის პირველმა დედამ და მამამ სამოთხეში აკრძალული ხილი იგემეს. ამ დიდ ცოდვას სისხლისღვრა არ მოჰყოლია,

უსისხლოდ მოხდა ამ ცოდვის განხორციელება, მაგრამ მეორე ცოდვა „წმენა“ — წმენდა სისხლი — დიდი ცოდვაა. **წმენა წმენდა** — წმენა აბელი მოკლა — დაიღვარა სისხლი. ამდენად, კაცობრიობას მეორე დიდი ცოდვა დაატყდა თავს. აქედან იღებს სათავეს ძმის მკვლელობის სიუჟეტი ლიტერატურაში.

დავით აღმაშენებელს, როგორც დიდ მეფესა და დიდ პუშანინს, თავის თავზე გადააქვს ყველა ის ადამიანური ცოდვა, რაც კი კაცობრიობამ იცის. „გალობანი სინანულიანი“ ავტორი გვევლინება კაცობრიობის ცოდვათა თავმსდებად. აქ ჩანს მეფის დიდი პუშანინში, მისი კეთილქმედების აზრი.

დავით აღმაშენებლის სევდა ბიბლიური ნიგნებთან იღებს სათავეს, კერძოდ, ეკლესიასტედან, დავითის ფსალმუნებიდან, ამიტომაც დავით აღმაშენებლის სევდა მსოფლიო სევდაა. სწორედ, ეს მსოფლიო სევდა წინაპირობად დახვდა ნ. ბარათაშვილის პოეზიას. დავით აღმაშენებლის ამოყვების თემით იკვებებოდა ბარათაშვილის პოეტური სული.

გამი რამ წელიღთა და კმელთა

აღმოფშენვათაი წარმოადგეს,

ზარი მეფობისაი წარკვებს და

დიდება დაშრტეს,

შუებანი უქმ იქმნენ,

უუვილოვნება დაჭნეს,

სხუამ შიიღობს სიპრად,

სხვასა შეუდგენ სანად.


მამინ შემწყვალე, მსაჯულო წემო!..

ამრიგად, ქართული საგალობლები ის ანგარიშგასანაწევი ძეგლებია, რომლიდანაც სათავეს იღებს ბარათაშვილის პოეტური სული, და საერთოდ, ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმეგობრება.

დამონშებული მავალითები ცხადყოფს, რომ ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა ქართულ საგალობლებს, ქართველ პიმნოგრაფებს. ბარათაშვილმა ჯეროვნად აითვისა და გამოიყენა ძველი ქართული პოეტური კულტურა, განაახლა და გაამდიდრა ეროვნული პოეზიის სახელოვანი ტრადიციები, აამაღლა და ახალ საფეხურზე აიყვანა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ინგოროყვა, „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“, თბ., 1913 წელი;
2. ქართული პოეზია, ტომი I, თბ., 1979 წელი;
3. დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულიანი“, თბ., 1989 წ.



თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასანუბად 15.09.2000 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 9.11.2000 წ.
ტირაჟი 300. შეკვეთა №59.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42.

2000

5186/2

105



შპსი ორი ლარი

ნაგებობის
ნომერი 76125